საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტი

ალექსანდრე ბარამიძე

ახლო წარსულიდან

(მოგონებანი)

„მეცნიერება"
თბილისი
1983

8Г2
83.3Гр
899.962.1.09
ბ255

ალექსანდრე ბარამიძის წიგნი „ახლო წარსულიდან“ ერთგვარად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, მაგრამ მოიცავს ისტორიულ-კულტურული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის არაერთ საკითხს. აქ აღწერილია ჩვენი სამეცნიერო და ლიტერატურული ცხოვრების ბევრი საყურადღებო მოვლენა. ნაშრომი ძირითადად ემყარება დოკუმენტურ მასალას.

წიგნი განკუთვნილია ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

რედაქტორი აკად. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი

ბ 70202 / M 607(06)—83 107—82 © გამომცემლობა „მეცნიერება“ 1983

ავტორისაგან

„ვინც დაიჯერებთ, ეს ჩემის თვალით
მინახავს, ვინც არა და თქვენ იცით“.

სულხან-საბა ორბელიანი

ჩემი საყვარელი პოეტი დავით გურამიშვილი დიდი გულისტკივილით ამბობს ერთ თავის ლექსში:

რაც დამრჩა, ვერ ვსთქვი, მეწადა
მეთქვა გრძლად, თავი მეცადა;
ვერა ვსთქვი, მოცლას უცდიდი,
ნეტამცა არა მეცადა!

რაღაცა ამის მსგავსი მეც მომივიდა. არა-და, მოგონებების საწერად ვერ მოვიცალე. მოსაგონარი და სათქმელი კი საკმაოდ მქონდა. მხოლოდ დროდადრო, ნაწყვეტ-ნაწყვეტად თუ ვახერხებდი ზოგთ რამის დაბეჭდვას. ამიტომაც აქ არ არის ერთი გაბმული, თანმიმდევრული თხრობა, წიგნი რამდენადმე ფრაგმენტულია. რამდენადაც წიგნის ცალკეული ნაწილები სხვადასხვა დროსაა დაწერილი, ამიტომ ალაგ-ალაგ განმეორებებს თავი ვერ დავაღწიე. მოგონებანი ძირითადად ემყარება დოკუმენტურ მასალას.

რა თქმა უნდა, ჩემს მოგონებებს ავტობიოგრაფიული ხასიათი აქვს, მაგრამ შევეცადე, ისეთი მასალა შემერჩია, რომელიც ისტორიულ-კულტურულსა და საზოგადოებრივ მნიშვნელობას არ იქნებოდა მოკლებული.

ამ წიგნის კორექტურის ტვირთი შემომსუბუქა ალექსანდრე გვახარიამ, რისთვისაც მას გულითად მადლობას მოვახსენებ.

ჩემი სოფელი

მე დავიბადე გურიის პატარა, მშვენიერ სოფელ ჯუნჯუათში (ლანჩხუთიდან სამი კილომეტრითაა დაშორებული) 1902 წლის 27 მარტს, თუმცა მეტრიკის წიგნში იმავე წლის 25 ნოემბერია ჩაწერილი. ჯუნჯუათი ორი უბნისაგან შედგება: მერე და ეწერი, მათ ჰყოფს ორაგვისღელე (ეს ღელე სოფელ ორაგვეში იღებს სათავეს, აქედან მოდის მისი სახელწოდება). მეორე ორაგვისღელის დაბალ ნაპირზეა, ეწერი — მაღალ ნაპირზე. ახლა ჯუნჯუათი ორად არის გაყოფილი და ორი ხელოვნური სახელი შერქმევია —ჯუნმერე და ჯუნეწერი. ეს დაყოფა გამოიწვია საკოლმეურნეო მშენებლობამ. ჯუნეწერი მეზობელი გვიმბალაურის[1] გამსხვილებულ კოლმეურნეობასთან არის გაერთიანებული, ჯუნმერე კი მაჩხვარეთის კოლმეურნეობას შეუერთდა. საქმე იქამდის მივიდა, რომ ჯუნჯუათის (ჯუნმერეს) რვაწლიან სკოლას, რომელიც რევოლუციამდე დაარსდა, მაჩხვარეთის სკოლა ეწოდება (რევოლუციამდე ჯუნჯუათის სკოლა იყო სამწლიანი).

ჩვენი სოფლიდან იწყება ალმართი, რომელსაც აგვირგვინებს ნიგოითის მთების უმაღლესი მწვერვალი — სამების მთა. ჩემი ბავშვობა მიმდინარეობდა ორაგვისღელისა და სამების მთის კალთების მიდამოებში.

მამაჩემი, გიორგი მათეს ძე ბარამიძე, სოფლის მღვდელი იყო და საღვთო სჯულის მასწავლებელი, დამთავრებული ჰქონდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი, იყო წიგნიერი, რუსულის კარგი მცოდნე, იცოდა ბერძნული ენაც. რვა და-ძმანი ვიყავით, ძალიან ხელმოკლედ ვცხოვრობდით. მამაჩემი უპირატესად მიწისმოქმედებას მისდევდა, დედა (სოფიო მიხეილის ასული იმნაძე) იყო გამრჯე დიასახ-

[1] ვ. თოფურიას განმარტების თანახმად, სოფელს უნდა რქმეოდა გვიმბრაური, მართლაც ამ სოფელში და მის მიდამოებში ძლიერ მოდებული იყო გვიმრა (გურული კილოთი— გვიმბრა), ახლა იქ ჩაის პლანტაციებია.

ლისი, ყოველგვარი საოჯახო საქმე მას ეკითხებოდა. მამაჩემს მიწა ცოტა ჰქონდა, მიწის პატარა-პატარა საზიარო ნაკვეთები გაფანტული იყო სამების მთის კალთებზე და მის ხევებში (ღარდებში) —გუგულაში, კვანტასოულში, ტომაყველში, ტუტკიეთში, ბაკანაში და ზედავაკეზე (უკანასკნელი სამების მწვერვალის ძირას არის). ჩვენი მოზიარენი იყვნენ ქაიხოსრო და რაჯაბ ბარამიძეები (რაჯაბის შვილია გრიგოლ ბარამიძე, შვილიშვილი რევაზ ბარამიძე). მე და ჩემი უმცროსი ძმა ვანო, ქაიხოსროს შვილი ბენია (ჩემი კბილა და სკოლის ამხანაგი) და ვანოს სკოლის ამხანაგი გრიგოლი ვიყავით სადილის მიმტანი, ჩემი უფროსი ძმა ბენო (შემდეგ დიდხანს სკოლის დირექტორი და თბილისის აღშასკომის განათლების განყოფილების გამგე) მამას შეელოდა ყანაში. ხალისითა და ჟრიამულით ავყვებოდით ხოლმე მთის ბილიკებს, მიგვქონდა კალათებში ჩალაგებული სანოვაგე, ჩვეულებრივ ეს იყო კეცზე გამომცხვარი მჭადი, ტარანი ტყემლისწვენით, დერგის ყველი და მწნილი, „ხაპებით“ ვეზიდებოდით ნაკადულის ცივ წყალს, ზოგჯერ ჩაცივებული იზაბელას („ადესის“) ღვინოც აგვიტანია დოქით. ცხელი მჭადი კაკლის ხის ფოთლებში იყო გახვეული და განუმეორებელი სიამის სუნს გამოსცემდა. რა მადიანად შევექცეოდით ყანის ნაადრევ სადილს! ვისაც ასეთი სადილის გემო არ გაუსინჯავს, მას ბევრი რამ დაჰკლებია წუთისოფელში.

დიდი სიამოვნების მომგვრელი იყო ღომის „წყობა“ აჭინარში, ღამის თევა ნელ ცეცხლთან ნალიის ქვეშ (ნალიაში ახლად მოჭრილი ღომის-ღომის ძნები იყო დახვავებული და გასაცეცხვად მზადდებოდა): ნალვერდალში იწვებოდა ჭყინტი სიმინდი და ხაპი (ხაპერა), უხვად იყო ტკბილი მაჭარი და ახლად შემოსული ნიგოზი. ბავშვები გულისყურით ვუსმენდით უფროსების საინტერესო სათავგადასავლო ამბებს, მახვილგონივრულსა და მახვილსიტყვიერ ოხუნჯობას.

კვანტასოულში რამდენიმე ძირი იზაბელა გვქონდა თხმელის ხეზე გაშვებული. კარგ მოსავალს იძლეოდა. საამო სანახავი იყო შავი მტევნებით დახუნძლული ვაზის ტოტები, სუროსავით რომ ეხვეოდა ხეებს ძირიდან კენწერომდის. ახლა საკვირველად მეჩვენება, მაგრამ ფაქტია, მწიფე ყურძენს არავინ გარეშე ხელს არ ახლებდა, თუმცა კვანტასოული ჩვენი სახლიდან კარგა მანძილით იყო დაშორებული და მცველიც არასოდეს გვყოლია.

ადრე ორაგვისღელე არ შრებოდა, წვიმების დროს ადიდდებოდა ხოლმე, ნაპირებს წყლით დაფარავდა და დიდ ზარალს აყენებდა

პატარა-პატარა წისქვილებს, რომლებიც კოხტად იყვნენ ჩამწკრივებულნი ჩვენი სოფლიდან ზევით ორაგვისღელის სათავემდის. ორაგვისღელე მდიდარი იყო წვრილი თევზით. განსაკუთრებით განთქმული იყო ორაგვისღელის ქაშაპი. ო, რა მიყვარდა ამ ღელის დაგუბებულ ტბაში ბანაობა და ხელით თევზის ჭერა. რა სიამე შეეძრებოდა ამას. ახლა ორაგვისღელე თითქმის მთლიანად შრება ზაფხულ-შემოდგომაზე ჩვენი სოფლის ქვემოთ და ვეღარ აღწევს ფიჩორამდის, რომელსაც წინათ უერთდებოდა. მიზეზი—ტყეების გაჩეხვა სამების მთის კალთებზე და ღარდებში (ხევებში). ეს ღარდები სავსე იყო ყიხულივით ცივი ნაკადულებით, რომლებიც თავს იყრიდნენ ორაგვისღელეში და მის მუდმივ მასაზრდოებელ წყაროს შეადგენდნენ. ეს კია, რომ რამდენიმე ნაკადული მილების საშუალებით ახლა გემრიელი წყლით აძარაგებს ლანჩხუთსა და ჯუხეწერს.

ჩემმა სოფელმა და ბავშვობისას იქ გატარებულმა წლებმა შემაყვარა მშობლიური მიწა და მშობლიური ხალხი, მშობლიური ენა, შემაყვარა შრომა და გარჯა, მაგრძნობინა მშრომელი კაცის გამრჯე მარჯვენის ძალა და მისი ზნეობრივი სიფაქიზის მნიშვნელობა. ჩემს სოფელში და მის ახლომახლო (გეოგრაფიული ფარგალი, მართალია, ძალიან ვიწრო მჭონდა) მაშინ ძალზე იშვიათად იყო ქურდბაცაცობა, კაცისკვლის შემთხვევა კი მე საერთოდ არ მახსოვს. უზნეო და უქნარა კაცი თითით საჩვენებელი იყო და საყოველთაო გაკიცხვას იმსახურებდა. ჩემს ცნობიერებაში ყრუდ იჭრებოდა ერთობის კაცის იდეალური სახე. „სტრაუნიკისა“ და „პრისტავის“ გაგონება შიშს მგვრიდა.

სასკოლო ასაკისა (შვიდი წლის) ვიყავი, როცა ჩვენ სოფელში გაიხსნა სკოლა. ეს დიდი ბედნიერება იყო, რადგან ჩემს უფროს ძმას საკმაოდ შორს მანძილზე უხდებოდა სასწავლებელში სიარული. სწავლის ფასი ერთგვარად შემეცნებული მქონდა მამაჩემისა და უფროსი ძმის წყალობით. მამა, როგორც ვთქვი, წიგნიერი იყო, გამოწერილი ჰქონდა ქართული ჟურნალ-გაზეთები („ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „მწყემსი“). ჩვენი სახლის კედლები აჭრელებული იყო შპალერად გამოყენებული გაზეთების ფურცლებით. კითხვა სწორედ ამ „კედლის გაზეთებით“ შევისწავლე. მამა ბევრს მიამბობდა სწავლა-განათლების სარგებლობასა და სიკეთეზე, მიღვიძებდა სწავლის სურვილს. სწავლა წარმატებით დავიწყე და მალე „პირველი მოწაფე“ გავხდი. გაჭირვება მაშინ ვიგრძენი, როცა რუსულზე გადავედით (ყველა ტიპის სახაზინო

სკოლაში მეორე წლიდან სწავლა რუსულად წარმოებდა). რუსულის არა გამეგებოდა რა. ამის სამწუხარო შედეგი მალე ვიგრძენი. ერთხელ ჩვენს სკოლას ეწვია რევიზორი, ვინმე გასპარიანცი. რევიზორი დაგვესწრო საღვთო სჯულის გაკვეთილზე (საღვთო სჯულს მამა გვასწავლიდა). ტექსტებს ზეპირად ვსწავლობდით, მექანიკურად, უმეტეს წილად მათი შინაარსი სრულიად არ გვესმოდა. მამაჩემმა გამომიძახა და დამავალა მომეთხრო «Вход господень в Иерусалим». მეც სხაპასხუპით შევუდექი გაზეპირებულის „მოყოლას“. მივადექი ფრაზას «Господь наш Иисус Христос сидел на осле». ფრაზის პირველი ნაწილი წარმოვთქვი გამომეტყველად, მაგრამ უცებ ვიგრძენი მოულოდნელი ხიფათი. სადღაც ცნობიერად თუ ქვეცნობიერად საშინელი ეჭვი აღმეძრა. ეს როგორაა, რომ ძე-ღმერთი იესო ქრისტე იჯდა ვირზე («на осле»), ჩემს წარმოდგენაში «осел» იყო სალანძღავი სიტყვა (სკოლის გამგე, პარმენ ბარამიძე, რომ გაგვიჯავრდებოდა «осел»-ს გვეძახდა). ჩვენც, ბავშვები, ზოგჯერ ვთამაშობდით რაღაც უხეშ „ვირობანას“ (ამ თამაშის მიხედვით ვინც ვირი გახდებოდა, უმოწყალოდ ვურტყამდით და ვიძახოდით „აცე, ვირო!“). როგორც ვთქვი, წამიერად კრიტიკული აზრი დამეუფლა, როგორ შეიძლებოდა, რომ იესო ქრისტე ვირზე მჯდარიყო? ალბათ, მე ვცდები-მეთქი, და «на осле» მომენტალურად შევცვალე სხვა გამოთქმით: «Господь наш Иисус Христос сидел на отце». რევიზორის სახეზე განცვიფრება გამოიხატა. «Повторите еще раз последние слова»—შემომიბღვირა. ცალი თვალი მამაჩემისაკენ გავაპარე, მის სახეზედაც შეშფოთება ამოვიკითხე. მივხვდი, რომ რაღაც მიუტევებელი შეცდომა დავუშვი, მაგრამ რა? ჩემი გონება უძლური იყო გადაეწყვიტა ეს ამოცანა, სხვა გამოსავალი არ ჩანდა, ისევ დავიწყე «...Иисус Христос сидел... сидел на...» და ვეღარ დავამთავრე, ღრიალი მოვრთე. ასე ვასახელე ჩემი თავიც, მამაჩემიც და სკოლაც. რა თქმა უნდა, ბევრი საყვედური მივიღე მამაჩემისა და სკოლის გამგისაგან.

მწარე გაკვეთილმა ორი რამ აშკარად მაგრძნობინა: პირველი, თუ რა განუზომელი სიკეთეა მშობლიურ ენაზე განათლების მიღება, მეორე, რამდენად საჭიროა რუსული ენის ბავშვობიდანვე დაუფლება. ეს გრძნობა კიდევ უფრო გამიღრმავა და განმიმტკიცა მამაჩემის შეგონებამ, მშობლიური ენის სიყვარული უნდა გქონდეს, მაგრამ მარტო მშობლიური ენით შორს ვერ წახვალო. მისი ეს სიტყვები ღრმად აღმებეჭდა გულში.

მამაჩემი ბევრს გვიამბობდა მე და ჩემს უფროს ძმას ბენოს საქართველოს სახელოვან წარსულზე, თანაც გვაფრთხილებდა, საზოგადოებისა და ქვეყნისათვის რომ სასარგებლო გამოხვიდე, წარსულის სიყვარული საკმარისი არ არის, ადამიანის უპირველესი და უწმინდესი მოვალეობაა ემსახურო საზოგადოებას, შენს კუთხესა და მშობლიურ ქვეყანასო. მამა მორწმუნე იყო, ოღონდ თავის ფანატიკურ მორწმუნეობას თავზე არ გვახვევდა. (ჩემი თავისათვის ვერ მიპატიებია, რომ სარწმუნოებრივი გრძნობის ნიადაგზე ერთხელ მამაჩემს ძლიერ ვაწყენინე. მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, გაზეთში დავბეჭდე წერილი აღდგომის დღესასწაულის შესახებ, აღდგომას აღმოსავლური ლეგენდა ვუწოდე (გაზ. „მაშვრალთა ხმა“, I.5.21). იმ წელს სააღდგომოდ სოფელში წავედი, მამაჩემს გაზეთი ჩავუტანე და მივაწარე, რომ წერილი დამიბეჭდეს. ასე მეგონა, ამით მამას ვასიამოვნებდი. მაშაჩემმა წერილი გულდასმით წაიკითხა, სახეზე უკმაყოფილება დაეტყო, თავშეკავებულად და მორიდებით საყვედური მითხრა. „შვილო, — მომმართა, მე ჩემს რწმენას თავზე არ გახვევ, რაც გინდა, წერე და ბეჭდე, მაგრამ ერთ რამეს კი გთხოვ, ჩემს გრძნობებს ნუ შეურაცხყოფ და მსგავსი ხასიათის წერილებს მომავალში ნუ მაჩვენებო“. შემრცხვა, რომ მამაჩემს უნებლიეთ გული ვატკინე. ამ სირცხვილს ახლაც ვგრძნობ, ამ მოგონებას რომ ვწერ, დიდი შეცდომა მომივიდა, სიხარულის ნაცვლად საყვარელი მამის გულს ჭრილობა მივაყენე).

ჩვენი სკოლის გამგის პარმენ ბარამიძის ორივე ვაჟი ფოთის გიმნაზიაში სწავლობდა. არდადეგებზე სოფელში ჩამოდიოდნენ და ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით. უმცროსი ვაჟი, მიშა, ჩემი ტოლი იყო. მომწონდა მათი სასკოლო ფორმა, ავიტეხე, მეც გიმნაზიაში მასწავლეთ-მეთქი. მამას უჭირდა თანხმობის მოცემა ხელმოკლეობის გამო, მირჩევდა უფროს ძმასთან ერთად სწავლა გამეგრძელებინა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, ორივენი ერთად იქნებით, უფრო იოლად გამოხვალთო. ჯიუტური დაჟინებით მე ჩემი გავიტანე. გიმნაზიაში შესასვლელად სოფლის სკოლაში მიღებული ცოდნა საკმარისი არ იყო. გამოცდებისათვის მომამზადეს ჩემი დეიდის მულებმა— ლიდამ და მატამ. დეიდაჩემი ნინუცა ჩვენს სოფელში იყო გათხოვილი. მისი მეუღლე ალექსანდრე (სანდრო) კვასხვაძე მრავალმხრივ საინტერესო პიროვნება გახლდათ, პროფესიით — რკინიგზის მუშა, მემანქანე, მაგრამ ფრიად გათვითცნობიერებული, ნაკითხი, მშვენიერი

ბიბლიოთეკის პატრონი. მოგეცათ ლხენა, ამ ბიბლიოთეკით უხვად ვსარგებლობდი! ალექსანდრე, კვასხვაძემ თავის დებს კარგი განათლება მიაღებინა. თვითონ კი ერთი პირველთაგანი აღმოჩნდა, რომელსაც საბჭოთა პერიოდის პირველსავე წლებში დამსახურებისამებრ შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა. 1912 წლის სექტემბერში გამოცდები ჩავაბარე და ფოთის გიმნაზიის უფროსი მოსამზადებელი განყოფილების მოწაფე გავხდი. მამაჩემმა ერთი შორეული ნათესავის ოჯახში ბინაბარა, რიონის სანაპიროს ახლო, მიყიდა წიგნები, ფორმის ტანსაცმელი, ათი შაური ჩამიდვა ჯიბეში, დამარიგა—როგორ დაბეჭირა თავი სკოლაში, შინ და გარეთ, გადამკოცნა და გამომეთხოვა. მარტოდ დავრჩი უცხო ოჯახში და უცხო გარემოში, თვალებზე ცრემლი მომადგა, მაგრამ რა გაეწყობოდა, მამაჩემმა ხომ სურვილი შეშისრულა. იმ ღამეს (შემდეგაც) ჩუმად ბევრი ვიტირე. მალე „ღრუბელმა გადაიარა, თან გადიტანა ჩემი ნაღველი“. ასე თუ ისე შევეჩვიე ჩემს მდგომარეობას, ცხოვრების ახალი ხანა დაიწყო.

1974

გიმნაზიაში

ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში მეექვსე კლასამდის (1912—1918 წლები) ვსწავლობდი. შემდეგ ხაშურში გადავედი და საშუალო სასწავლებელი 1920 წელს იქ დავამთავრე.

ფოთის გიმნაზია იყო ერთ-ერთი მოწინავე საშუალო სასწავლებელი. იქ დიდი ყურადღება ექცეოდა ფიზკულტურას, მოწაფეთა ჯანმრთელობას, პირად ჰიგიენას, ყოფა-ცხოვრებას, ჩაცმა-დახურვას, საზოგადოებრივ დაწესებულებებსა და ქუჩაში თავის დაჭერას.

კარგად ისწავლებოდა ენები (გერმანული, ფრანგული, ლათინური), განსაკუთრებით რუსული. სამაგიეროდ, სრულიად უყურადღებოდ იყო მიტოვებული ქართული, იგი არაჯავალდებულო საგნად ითვლებოდა და ნებაყოფლობითს საფუძველზე მხოლოდ ბოლო საათები (მეექვსე გაკვეთილები) ეთმობოდა.

თებერვლის რევოლუციამდე გიმნაზიას ხელმძღვანელობდა განათლებული პედაგოგი, პირქუში, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ად-

მინისტრატორი ალექსანდრე იოსების ძე იაგულოვი. გვიან გავიგეთ, რომ იგი თურმე ქართველი იყო, იაგულაშვილი (კათოლიკე მესხი). იაგულოვმა ფოთის გიმნაზიაში თავი მოუყარა მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებლებს. დიდი სიამოვნებით ვიგონებ ალექსანდრე მიხეილის ძე ნერონოვს (მათემატიკოსს, ჩვენი კლასის დამრიგებელს), ისტორიკოსებსა და ლათინისტებს ანდრეი ივანეს ძე ვოლობუევსა და იური ფერდინანდის ძე გილერტს, ანატოლი ალექსანდრეს ძე იასტრებოვს (გეოგრაფს), ჰენრიხ ვაცლავის ძე ბოურს (გიმნასტიკის მასწავლებელს, ჩეხს).

ნერონოვი ხშირად სიამაყით ახსენებდა თავის უნივერსიტეტის ამხანაგს, შემდეგ განთქმულ ქართველ მათემატიკოსს, თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელთა ჯგუფის წევრს ანდრია რაზმაძეს. ნერონოვი იყო ჩვენი კლასის დამრიგებელი, კეთილი, ჰუმანური, ზრდილი, ტაქტიანი, ბილწსიტყვაობას ერიდებოდა (სამწუხაროდ, ზოგი მასწავლებელი ხშირად ხმარობდა უწმაწურ სიტყვებს). ერთხელ ნერონოვმა საკლასო ჟურნალი გასინჯა და შეამოწმა, თუ ვინ არ ესწრებოდა ქართულის გაკვეთილებს. მან სასტიკად დატუქსა ის ქართველი ბავშვები, რომლებიც მშობლიურ ენას არ სწავლობდნენ, სამაგიეროდ, ძალიან შეაქო ვანო აფენდოპულო (ბერძენი), რომელიც ქართულის გაკვეთილს არ გააცდენდა. სხვათა შორის, ნერონოვმა ცოლად ქართველი ქალი შეირთო და მყუდრო ოჯახი შექმნა. სამწუხაროდ, ადრე დაიღუპა (რიონში ბანაობისას დაიხრჩო).

1914 წელს, ომის დასაწყისში, შავი ზღვის სანაპიროს ქალაქები, მათ შორის ფოთი, დაბომბეს გერმანიის სამხედრო ხომალდებმა „გებენმა“ და „ბრესლაუმ“. ამის გამო ფოთის, ბათუმისა და სოხუმის გიმნაზიები გახიზნეს. ფოთის გიმნაზია ქუთაისის ქართულმა გიმნაზიამ შეიკედლა, 1914—1915 სასწავლო წელი ერთ გავატარეთ. თუმცა მაშინ მეორე კლასის მოწაფე ვიყავი, კარგად ვხედავდი, როგორი განსხვავებული ატმოსფერო სუფევდა ქუთაისის გიმნაზიაში. მე ბევრჯერ მინახავს ამ გიმნაზიის სახელოვანი დირექტორი იოსებ ოცხელი (ახოვანი, წარმოსადეგი, ლამაზი, ჰაერარა წვერ-ულვაშით დამშვენებული სანდომიანი კაცი) ტკბილი ქართულით რომ ემუსაიფებოდა მის გარშემო თავმოყრილ მოწაფეებს. როგორ შევნატროდით მათ! ასეთი რამ ჩვენთვის საოცნებოდ რჩებოდა.

განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით მინდა მოვიგონო ფოთის გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებლები. დაწყებითს

კლასებში ამ საგანს გვასწავლიდა ლადი გაგუა. ფრიად სიმპათიური ადამიანი. იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა და ყოველმხრივ ცდილობდა ჩაენერგა ჩვეხთვის მშობლიური ენისა და ქვეყნის სიყვარული. სახელმძღვანელოდ გვქონდა იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“. უფროსკლასელები გვიქებდნენ მელიტონ კელენჯერიძეს (ლიტერატურათმცოდნესა და ფოლკლორისტს, მწერლობაში ცნობილი იყო ტონკაშელის ფსევდონიმით). იგი რუსულ ენაზე საღვთო სჯულს გვასწავლიდა და ამ საგნისადმი მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იჩენდა. როცა შემთხვევით ილიასა და აკაკიზე სიტყვას ჩამოაგდებდა, თვალები გაუბრწყინდებოდა, გამოცოცხლდებოდა, ჩვენც . აღტაცებით ვუსმენდით.

თებერვლის რევოლუციამ მეოთხე კლასში მომისწრო, მეხუთე კლასიდან დაიწყო სკოლის ეროვნულ ლიანდაგზე გადაყვანა. ქართულმა ენამ და ლიტერატურამ ამ დროიდან ცენტრალური ადგილი დაიჭირა. საბედნიეროდ, პედაგოგიც ღირსეული დაგვინიშნეს — გიორგი ჩიტაია, აწ ჩვენი გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. მან პეტროგრადის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა, ნიკო მარსა და ივანე ჯავახიშვილთან მუშაობაში გაიწაფა. მასწავლებლობა ფოთის გიმნაზიაში დაიწყო და თავის საგანს მშვენივრად უძღვებოდა. ბევრს გვაკითხებდა და გვაწერინებდა. ერთხელ მან საკონტროლო თემა დაგვაწერინა — „სამშობლოს სიყვარული ილია ჭავჭავაძის ლექსებისა და პოემების მიხედვით“. რამდენიმე დღის შემდეგ რვეულები მოიტანა. ჩემი ნაწერი მოსწონებოდა, შენგან კრიტიკოსი გამოვაო, მითხრა.

რევოლუციის შემდეგ ერთხანს გიმნაზიაში დისციპლინა შეირყა, ამან უარყოფითი გავლენა იქონია აკადემიურ წარმატებაზე. მოწაფეთა კომიტეტის ხელში დიდი უფლება გადავიდა. კომიტეტის პირველი აქტი ის იყო, რომ დირექტორობიდან მოხსნეს იაგულოვი (ვითომ ძველი რეჟიმის მომხრეაო). მის ნაცვლად მოიწვიეს სერგი დანელია (იგი ადრე, იაგულოვის დროს, ფოთის გიმნაზიაში მასწავლებლობდა), შემდეგ ცნობილი მეცნიერი, ფილოსოფოსი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ს. დანელია დიდად განსწავლული, ბრწყინვალე პედაგოგი იყო, თუ რაიმე მიზეზის გამო რომელიმე პედაგოგი მეცადინეობას გააცდენდა, მას თვითონ ცვლიდა. ს. დანელიას არაერთხელ ჩაუტარებია ჩვენთან გაკვეთილი-საუბარი ისტორიაში, გეოგრაფიაში,

რუსულ სიტყვიერებაში, უცხო ენებში. ყველაფრის კარგ ცოდნას და გადაცემის იშვიათ უნარს იჩენდა. დაუზარელი იყო, ბეჯითი, ენერგიული, მოძთხოვნი, ოღონდ ზომაზე მეტად ნერვიული. ჩემი აზრით, ადმინისტრაციული საქმე არ იყო მისი მოწოდების სფერო. ს. დანელია ფოთიდან მალე წაიყვანეს, დააწინაურეს, რესპუბლიკის საშუალო სასწავლებლების მთავარ ინსპექტორად დანიშნეს.

ოჯახური პირობების გამო VI კლასიდან ფოთის გიმნაზია დავტოვე და ხაშურში გადავედი. მერვე, დამამთავრებელი კლასის მოწაფე ვიყავი, როცა სარევიზიოდ მთავარი ინსპექტორი სერგი დანელია გვეწვია. მასწავლებელმა გამიძახა, კითხვები დამისვა და პასუხის გაცემას შევუდექი. ინსპექტორმა შემომხედა, მიცნო, გამიღიმა. შესვენების ზარი რომ დაირეკა, ჩემთან მოვიდა, ხელი ჩამომართვა, მომესალმა, მომიალერსა, აქ რა გინდაო, მკითხა. მერე დირექტორს (შალვა სიმონის ძე მხეიძეს) და მასწავლებელს (კონსტანტინე გეგელიძეს) მიუბრუნდა და უთხრა: ხომ ხედავთ, ფოთის გიმნაზიის მადლი გამოჰყოლიაო. ინსპექტორის ყურადღებამ ჩემი ავტორიტეტი ძალიან აამაღლა.

ფოთის გიმნაზიის თანაკლასელთაგან ვმეგობრობდი იასე ცინცაძეს (შემდეგში უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი), სიკო დოლიძეს (ცნობილი კინორეჟისორი), გიორგი ბელელაძეს (ერთ დროს თვალსაჩინო პარტიული მუშაკი იყო), ძმებს ლევან და დავით კელენჯერიძეებს (ლევანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, დავითის ბედისა არა ვიცი რა), კაკო მარს (ცნობილი ალპინისტია, ნიკო მარის ნათესავი). კაკო მარიც ბევრს გვიამბობდა თავისი ბიძის, პეტერბურგელი სწავლულის შესახებ.

სხვათა შორის, მეხუთე კლასში ვცემდით იუმორისტულ ხელნაწერ ჟურნალს „მელა-კუდას“ (ჟურნალს რედაქტორობდნენ სიკო დოლიძე და ჩემი მოგვარე მიხეილ ბარამიძე). ერთი თუ ორი კლასით ჩემზე წინ იყვნენ ეგნატე ფიფია (გამოჩენილი დასტაქარი), ვლადიმერ ზამბახიძე (პედაგოგიკის პროფესორი) მწერალი-კრიტიკოსი, კ. ხოჭოლავა (ბიოლოგიის პროფესორი), ნიკო ხოშტარია (მათემატიკოსი, დოცენტი). ყველა ამათთგან, ისე როგორც გიორგი როგავასთან (ენათმეცნიერების პროფესორი), რომელიც მომდევნო კლასელი იყო, ამხანაგობა და მეგობრობა მქონდა.

ერთგვარი შურით შევცქეროდით უფროსკლასელებს. კერძოდ, შალვა ამირანაშვილს (შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადე-

შიის აკადემიკოსს, ხელოვნებათმცოდნეს) და იასე შაქარიშვილს (გეოგრაფიის კათედრის გამგე იყო თბილისის უნივერსიტეტში). იასე შაქარიშვილი მთელ გიმნაზიაში პირველ მოწაფედ ითვლებოდა და თითქმის ყოველწლიურად საზეიმო ვითარებაში დირექტორისაგან ქების სიგელს იღებდა.

ფოთის გიმნაზიას ყოველთვის სიყვარულით ვიგონებ. ამ სასწავლებელს უკავშირდება ჩემი პირველი ოცნება, გატაცება, პირველი შეუცნობელი ნაბიჯები რთული ცხოვრების გზებზე.

ხაშურის გიმნაზიაში 1918 წლის სექტემბრიდან გადმოვედი. შემიკედლა ჩემმა უფროსმა დამ ქსენიამ, რომელიც ხაშურის საორთქლმავლო დეპოს ზეინკალ თადეოზ სხილაძეს მისთხოვდა. საჭმელ-სასმელი და ბინა გარანტირებული მქონდა. ჩასაცმელ-დასახურავსა და სასწავლო ნივთებს ჩემი შრომით მოპოვებული გროშებით ვიძენდი (ვამზადებდი მოწაფეებს, რაც მცირე შემოსავალს მაძლევდა). საბუთები რომ წარვადგინე და შესაფერის (მეექვსე) კლასში ჩარიცხვა ვითხოვე, ხაშურის გიმნაზიის ინსპექტორმა (ის მაშინ დირექტორის მოვალეობას ასრულებდა) გიორგი ჯანაშვილმა (ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის მოსე ჯანაშვილის შვილმა) გაიკვირვა: ფოთის გიმნაზიიდან ხაშურში რამ მოგიყვანაო, ალბათ რაღაც დანაშაული ჩაგიდენიაო, ან ცუდად სწავლობდი, და გარიცხვის შიშით ჩვენთან თავის შეფარება განგიზრახავსო. ახსნა-განმარტებამ არ გაჭრა. დაეკითხნენ ფოთის გიმნაზიის ადმინისტრაციას. მხოლოდ პასუხის მიღების შემდეგ შეიწყნარეს ჩემი თხოვნა. მართლაც, ფოთის გიმნაზია ჩინებული სასწავლებელი იყო და კარგ ცოდნასაც იძლეოდა. მალე ხაშურის გიმნაზიის „პირველი მოწაფე“ გავხდი და მეექვსე კლასიდან პირდაპირ მერვე, დამამთავრებელ კლასში გადამიყვანეს. გვქონდა სალიტერატურო წრე, ვცემდით ხელნაწერ ჟურნალს, ვაწყობდით ლიტერატურულ გასამართლებებს, ვდგამდით სპექტაკლებს... ამ საქმეში ბევრს გვეხმარებოდა გეოგრაფიის მასწავლებელი პეტრე ჭაბუკიანი (შემდგომ სათაფლიას მღვიმის აღმომჩენი), რომელიც ჩემი მაშინდელი წარმოდგენით კარგ ლექსებს წერდა.

ჩემი დროის მოწაფეობა პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში იყო ჩაბმული. გამონაკლისს არც მე შევადგენდი. თავიდან უფრო ფედერალისტებს თანავუგრძნობდი, შემდეგ ჩემი სიმპათია გადაიხარა ე. წ. მაშვრალთა ანუ რევოლუციურ სინდიკალისტთა კავშირის მხარეზე. საბოლოოდ იქაც გული გამიცრუვდა. ძალიან კარგი

ურთიერთობა მჭონდა ხაშურელ მოწინავე, ხელმძღვანელ კომუნისტებთან, კერძოდ, შემანქანე გრამიტონ მოწონელიძესთან და მასწავლებელ არჩილ გიორგაძესთან (არჩილ გიორგაძე, პერსონალური პენსიონერი, განაგრძობდა სამსახურს საქართველოს უმაღლეს საბჭოში, გარდაიცვალა 1977 წელს), ბევრჯერ მასთან ერთად გამოვსულვარ პოლიტიკურ თავყრილობაზე, ზოგჯერ არალეგალური ხასიათის დავალებებსაც ვასრულებდი. ორგანიზაციულად კი პარტიაში არ ვყოფილვარ.

ჩემი მაშინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მრწამსი მხოლოდ ბუნებრივ ალღოს ემყარებოდა. მასულდგმულებდა ეროვნული გრძნობა, მიტაცებდა სოციალური რადიკალიზმი. ამასთან დაკავშირებით შაგონდება ასეთი შემთხვევა. 1918 წლის ზაფხულში მოწაფეთა პატარა ჯგუფს ვამზადებდი დედულეთში. ბინად მჭონდა ბაბუაჩეჩის, შიხეილ იმნაძის სახლი. იმ სახლში დროებით ცხოვრობდა იმდროინდელობის კვალობაზე საკმარისად შეძლებული ერთი მემამულე. ადრე ზაფხულის ერთ საღამოს მისი ბინიდან გამოვიდა შეზარხოშებული საზოგადოების მაღალი ხმა. „მეჯლისის" ზოგიერთი წევრი სიხარულს გამოთქვამდა თურქების შემოსევის გამო (თურქებს მაშინ დაკავებული ჰქონდათ მთელი აჭარა და ოზურგეთშიც შემოიჭრნენ), შეისმა მოშავალი ბეგების სადღეგრძელოები. ბაბუაჩემი აღაშფოთა ბეგობის მოტრფიალეთა საქციელმა. მთხოვა, ეს ამბავი ამეწერა და გაზეთში გამომექვეყნებინა, პასუხს მე ვაგებო, მითხრა (უკვე რამდენიმე საგაზეთო წერილისა და კორესპონდენციის ავტორი ვიყავი). შართლაც, შოვამზადე წერილი და ქუთაისის გაზეთ „ხალხის მეგობარს" გავუგზავნე. წერილი სწრაფად დაიბეჭდა („ჩვენი მხარე: წერილი ლანჩხუთიდან", გაზ. „ხალხის მეგობარი", 22.VI.18) და მხილებულთა მხრივ საშინელი რეაქცია გამოიწვია, სიკვდილითაც დამემუქრნენ, მაგრამ ბაბუაჩემის შეეშინდათ (საზოგადოებრივ აზრსაც უწევდნენ ანგარიშს). ბაბუა წარმოსადეგი ვაჟკაცი, უდრეკი და მებრძოლი ხასიათის გლეხკაცი იყო. ატყდა ერთი აურზაური, მითქმა-შოთქმა, ჩივილი, მიწევ-მოწევა, მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, ვნებათა ღელვა დაცხრა. ჩვენი კუთხის მასშტაბით მეც საშიში ჟურნალისტის სახელი გამივარდა (პატარ-პატარა წერილებს, ნარკვევებს და კორესპონდენციებს არაიშვიათად ვბეჭდავდი მოწაფეობისა და სტუდენტობის დროს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში, უმეტესად „მებრძოლთა ხმაში", „ხალხის მეგობარში", „სახალხო გაზეთში",

„ახალ ნაკად'ში", „მა'შვრალთა ხმაში"...). იმავე ქუთაისის „ხალხის მეგობარში" (31.VII. 1918) გამოვაქვეყნე კორესპონდენცია, რომლითაც ვილაშქრებდი მთავრობის აგრარული რეფორმის წინააღმდეგ და მოვითხოვდი, რომ უმიწაწყლო გლეხებს უფასოდ გადასცემოდა მემამულეთა მიწები.

ხაშურელი მასწავლებლებიდან კმაყოფილებით ვიგონებთ კონსტანტინე გეგელიძესა და ფრანც (ფერენც) ფრანცის ძე პავლატას (1918 წლის შემოდგომაზე ცოტა ხნით ქართულს გვასწავლიდა უკვე ძალზე მოხუცი, ცნობილი პედაგოგი და მწიგნობარი გიორგი იოსელიანი). ფრანც პავლატა, ეროვნებით ჩეხი, გვასწავლიდა გერმანულ ენას (ცოტა უცნაური და ახირებული კაცი იყო, მაგრამ განათლებული, კეთილი, უბრალო, გატაცებული პატრიოტი). პირველ გაკვეთილზე გამოგვიცხადა, რომ ის ჩეხია, ჩეხეთის ეროვნული მოძრაობის ერთგული მიმდევარი, პრეზიდენტ მასარიკის თაყვანისმცემელი. გერმანელები არ მიყვარსო, გერმანია დიდხანს ჩაგრავდა ჩემს სამშობლოს, მონობაში ჰყავდა ჩეხი ხალხიო. ნუ გაგიკვირდებათ, რომ გერმანულს გასწავლით. მართალია, გერმანია ბატონობას ჩვეული, პატარა ერების მჩაგვრელი გულზვიადი ქვეყანაა, მაგრამ გერმანელები ევროპის მოწინავე კულტურის ხალხია. ჩვენ ჩვენივე ეროვნული ინტერესების გამო გვჭირდება მათი ენის დაუფლება. ცოდნაზე დამყარებულ შრომასა და ბრძოლას ყოველთვის კარგი ნაყოფი მოაქვს, ამიტომ თქვენ, ქართველ ახალგაზრდებს, ჩეხი კაცი გულწრფელად გირჩევთ, დაეუფლოთ გერმანულ ენასო.

სწავლის დამთავრებამდე რამდენიმე თვეღა რჩებოდა, რომ გიმნაზიასთან გაიხსნა მოზრდილთა საშუალო სკოლა. მიმიწვიეს ამ სკოლის მასწავლებლად. ნივთიერი მდგომარეობა საგრძნობლად გამიუმჯობესდა, თუმცა ეს არ მახარებდა. წინ ახალი საზრუნავი მქონდა — თბილისი, უნივერსიტეტი, სტუდენტობა. უნივერსიტეტი ახლა ახლოს იყო, ჩვენს დედაქალაქში, მაგრამ ჩემს ოცნებას ფრთები ეკვეცებოდა, როდესაც საქმე პრაქტიკულ ნიადაგზე დგებოდა. მამაჩემს აღარ შეეძლო ნივთიერი შემწეობის აღმოჩენა. თვითონვე უნდა მეშოვა თავშესაფარი და რაიმე სამსახური თავის სარჩენად. ღმერთმა უშველოს ვანო ჩახავას, ჩემი სკოლის ამხანაგს, რომელმაც თბილისში ელისაბედის (აწინდელ კლარა ცეტკინის) ქუჩაზე თავისი ოთახის კუთხე დამითმო დროებით საცხოვრებლად. მანვე მიშოვა გაკვეთილები ევგრაფ მ-ლის გადასამზადებელ კურსებზე. გასამრჯელოს იმდენს ვიღებდი,

რომ შავი პურისათვის და მჟავე კიტრისათვის მყოფნიდა. მეტის პრეტენზია არც მქონია. მთავარი ის იყო, რომ უნივერსიტეტის სტუდენტად ჩავირიცხე და საოცნებო მატრიკულის პატრონი გავხდი. სექტემბრამდის უზრუნველყოფილი ვიყავი. მერმე, კურსები რომ დაიხურებოდა?

უნდა მოვიგონო ერთი უსიამოვნო დეტალი კურსებზე მუშაობის ისტორიიდან. ევგრაფ მ-მა გაკვეთილები რომ შემომთავაზა და შვიდი გოგონასაგან შემდგარი ჯგუფი გადმომაბარა სამეცადინოდ, დასძინა, რომ ორი გოგონა ძალიან ღარიბია და სწავლის ქირას მათ არ ვახდევინებთ (ჩემი გასამრჯელო მოწაფეთა რაოდენობაზე იყო დამოკიდებული). სეზონის შუაგულში იმ გოგონებმა რამდენიმე გაკვეთილ გააცდინეს. მიზეზი გამოვკითხე. გამომიტყდნენ, ფულის შემოტანა დაგვიგვიანდა, ბ-მა ევგრაფმა სამეცადინოდ არ დაგვიშვაო. ამ ამბავმა ძალიან მატკინა გული, გამოაცა მასწავლებლის ყოვლად უღირსმა საქციელმა. ჩემი გაოცება მით უფრო დიდი იყო, რომ ევგრაფს თავი რევოლუციონერად მოჰქონდა (საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გარკვეული თანამდებობა ეკავა განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში).

გასაჭირი მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, უთქვამს ჩვენს ხალხს. გაჭირვებამ და არსებობისათვის ფიქრმა მომაგონა, რომ ერთ დროს მამაჩემთან ერთად ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა მაშინდელი სახელმწიფო კონტროლიორი (მინისტრი) და უნივერსიტეტის პროფესორი ფილიპე გოგიჩაიშვილი. გადავწყვიტე, ბედი მეცადა და ბ-ნ ფილიპესაგან მეთხოვა დახმარება. მაგრამ მინისტრთან ვინ მიმიშვებდა?

კეთილ ადამიანებს რა გამოლევს ჩვენს ქვეყანაში? და, აი, ერთმა ასეთმა კეთილმა ადამიანმა, მუშა ჟურნალისტმა ბესო ქელბაქიანმა მომიხერხა არზის გადაცემა ბ-ნ ფილიპეს მდივნისათვის (ესეც დიდი დახმარება იყო!). სამიოდე კვირის შემდეგ მიხმეს. სასწრაფოდ გავჩნდი სამინისტროში. კარისკაცმა ნელა შეაღო მინისტრის კაბინეტის კარი და მანიშნა, შევსულიყავი. მორცხვად გადავლახე ზღურბლი, ძალზე ვღელავდი. დარბაზს მაინც შევავლე თვალი. ბ-ნი ფილიპე ვერ დავლანდე, შევცბი, ნირი წამიხდა. ფართო საწერ მაგიდას უჯდა მკაცრი გარეგნობის უცნობი კაცი. იგი მიუხვდა ჩემს გაჭირვებას. მაგიდასთან მიმიწვია. სკამზე მიმითითა და ოდნავ გამიღიმა (რამაც უზომოდ გამამხნევა). კონტროლიორი საზღვარგარეთ ბრძან-

დებაო, მითხრა. შემდეგ გამომკითხა, თუ რამ გამაბედვინა ბ-ნი მინისტრის შეწუხება. როგორღაც არეულად ავუხსენი საქმის ვითარება. უცნობს ისევ ღიმი დაეტყო ბაგეებზე. კარგიო, რამეს ვიღონებთო, დაბალი ხმით ჩაილაპარაკა (ამის გაგონებაზე სიხარულის ჟრუანტელმა დაძრია მთელს სხეულში). ღილაკს თითი დააჭირა, მდივნის პირით ვიღაც მოხელე იხმო. „ამ ახალგაზრდის მამა ბატონ ფილიპეს ამხანაგი ყოფილა წინათ. გვთხოვს სამსახურს, იქნებ რკინიგზის სამმართველოში გავგზავნოთ ინჟინერ კარპოვიჩთან, ჩემი სახელით ბარათიც მისწერეთ“. ასეთი დავალება მისცა პირველმა უცნობმა მეორე უცნობს (შემდეგ გავიგე, რომ პირველი უცნობი ყოფილა სახელმწიფო კონტროლიორის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი). უცნობის სიტყვებმა საბოლოოდ გადაწყვიტა ჩემი ბედი. კეთილისმყოფელს მაკრძალებით თავი დავუკარი (მადლობის თქმა ვერ მოვახერხე) და მოწყვეტით გავედი კაბინეტიდან. მაშინ დააბლოებით ის მომივიდა, რაც ერთ დროს ლეკთა ტყვეობიდან თავდახსნილ დავით გურამიშვილს გადახდა („მუხლებმა რყევა დამიწყეს, ზე ტანმა შექნა ზანზარი“.).

ასეთი სიკეთე მიყო ბ-ნ ფილიპე გოგიჩაიშვილისა და მამაჩემის ძველმა მეგობრობამ.

ასე და ამრიგად, 1920 წლის აგვისტოს მიწურულში რკინიგზის სამმართველოს მე-14 რანგის უმცროსი მოხელე გავხდი. ჩემი კლასის ამხანაგისა და მეგობრის გიორგი თურმანიძის წყალობით პატარა (მართალია, ბნელი) ოთახიც ვიშოვე მატინოვის (აწ კალანდაძის) ქუჩის მეხუთე ნომერ სახლის სხვენზე. თითქო ყველაფერს მივაღწიე: მაქვს საკუთარი საცხოვრებელი კუთხე, სამსახური, სტუდენტის მატრიკული. ჩემს ბედში მყოფი სხვას რას ინატრებდა?!

1974

სტუდენტობის წლები

1920—1921 სასწავლო წლის პირველმა სემესტრმა ისე გაიარა, რომ დასამახსოვრებლად მნიშვნელოვანი ჩემთვის თითქო არა მომ-

ხდარა რა. ყველაზე უფრო ის მაწუხებდა, რომ უშუალოდ ჩემი პროფილის ლექციებს ვერ ვესწრებოდი. ლექციები უმთავრესად დილის საათებში იკითხებოდა, საღამოობით კი ნაწილობრივ სემინარული მუშაობა წარმოებდა. ვერ ვესწრებოდი ვერც კ. კეკელიძის, ვერც ა. შანიძის და ვერც ი. ჯავახიშვილის ლექციებს. ვუსმენდი მხოლოდ დ. უზნაძეს (პედაგოგიკის ისტორია) და შ. ნუცუბიძეს (ფილოსოფიის შესავალი). ორივე გვხიბლავდა ცოდნის სიღრმითა და იშვიათი ორატორული მშვენიერმეტყველებით. ლექციებზე დაუსწრებლად როგორ უნდა დამეძლია ძველი ქართული ენა, ძველი ქართული მწერლობა, საქართველოს ისტორია? სპეციალური ლიტერატურა ცოტა იყო: რაც იყო, ისიც ხელშიუწვდომელი რჩებოდა. მთელი დღე ვუნდებოდი სამსახურს, ლუკმაპურისათვის ზრუნვას. ფეხით მიხდებოდა სიარული მატინოვის ქუჩიდან რკინიგზის სამმართველომდის, იქით და აქეთ, ცოტათი ბორანი მიმოკლებდა გზას. არ იქნა და არა, გემო ვერ გავუგე სტუდენტურ ცხოვრებას. ეს ცხოვრება ადრე ძალიან რომანტიკულად მესახებოდა. სინამდვილე სულ სხვა აღმოჩნდა, თურმე ოცნების ტყვეობაში ვიყავი. შევეცადე, კიდევაც დამეხატა მაშინდელი ქართველი სტუდენტის უღიმღამო პორტრეტი (გაზ. „მაშვრალთა ხმა“, 21.IV.21). კაცმა რომ თქვას, ავტოპორტრეტი გამომივიდა.

ამასობაში პირველი სემესტრი მიიწურა. დადგა 1921 წელი, ჩვენი ხალხის ისტორიის უდიადესი წელი. ჩემს პირადულ განწყობილებას სავსებით ესალბუნებოდა მოვლენათა სოციალურ-პოლიტიკური ასპექტი. ამ განწყობილების შესაბამისი წერილიც გამოვაქვეყნე („მაშვრალთა ხმა“, 10.IV.21).

ჩემი საცხოვრებელი სახლის მეპატრონემ, ხანდაზმულმა სიმპათიურმა დიასახლისმა ქ-ნმა იულია ალექსანდრეს ასულმა ჯანდიერ-ჩერქეზიშვილმა მეორე სართულზე შემომთავაზა პატარა, კოხტა, ორთვალიანი ბინა. სახლი ქ-ნ იულიას სახელზე ითვლებოდა, მისი მეუღლე ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, კარგი შესახედავი მოხუცი, ქ-ნ იულიას — მისი სიტყვით, —„მოურავად“ ჰყავდა აყვანილი (ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი ცნობილი ანარქისტის ვარლამ ჩერქეზიშვილის ნათესავი იყო). დიასახლისი თურმე თვალ-ყურს ადევნებდა ჩემს საქმიანობას და ყოფა-ცხოვრებას, მოსწონებია, როგორც თვითონ ამიხსნა, ჩემი ბეჯითობა და აკურატობა, რატომღაც „ფრანცუზას“ მეძახდა (პარიზში კი იყო ნამყოფი). საერთოდ ძალიან მფარველობდა. ცხოვრებაში ბევრი რამ ხდება უცნაური, გაუთვალისწინებელი და მოუ-

ლოდხელი. გავიდა კარგი დრო, ქ-ნი იულია აღარ იყო ცოცხალი, მისი შვილიშვილი გულნარა ცოლად შეირთო ჩემმა უფროსმა ვაჟმა არჩილმა, ხოლო ჩემი ყოფილი საკანე მის სამუშაო კაბინეტად გამოცხადდა. „საკვირველ არიან, უფალო, საქმენნი შენნი!“... ამრიგად, სხვენიდან დაბლა ჩამოვედი. დავსადგურდი ახალ ბინაში. მართალია, შესაშური ავეჯი არ მქონდა — ერთი დანჯღრეული სკამი და ძველი, უხეირო მაგიდა. სამაგიეროდ ბინას „ამშვენებდა“ ვეებერთელა სკივრი, რომელსაც ზომაზე დიდი ადგილი ეჭირა ჩემს საბრძანებელში. მაგრამ სკივრს უნივერსალური დანიშნულება ჰქონდა, ღამით იგი საწოლი ტახტის როლს ასრულებდა, დღისით კი საწყობად მქონდა (შიგ ვინახავდი ქვეშსაგებს, ჭურჭელს და სხვადასხვა ხარახურას) და წარმატებით ვიყენებდი სავარძლად. და, ბოლოს, ჩემი ოთახის ხამდენილ სამკაულს შეადგენდა შუშის ძველებური, მოდიდან უკვე გამოსული საყვავილე ვაზა, რომელიც დიასახლისმა მისახსოვრა (როდესაც ელიაშვილებთან გადავედი საცხოვრებლად, ეს ვაზა „მზითვად“ წავიღე თან. სამწუხაროდ, მას მალე სარდაფში უკრეს თავი)... ერთი სიტყვით, გამიჩნდა საკუთარი მყუდრო სადგომი. მერე რა რომ სადგომი იყო მოუწყობელი და საჭმელ-სასმელიც მაკლდა. მზე და სინათლე მქონდა თავსაყრელი. ეს იყო დიდი ღვთის წყალობა და ფასდაუდებელი ავლა-დიდება ახალბედა პროვინციელი სტუდენტისათვის...

კვირაობით დროს ვატარებდი უფროს ძმასთან ბენოსთან ნავთლუღში. იგი ჯარში მსახურობდა, არტილერისტი იყო. ბენო და მისი ამხანაგები გულუხვ მასპინძლობას მიწევდნენ, თავიანთ მწირ ულუფას შინაწილებდნენ და ზოგჯერ შინაც კი მატანდნენ შაქრის ნატეხს და პურის ყუას. მაძღარი ებრუნდებოდი შინ (რასაკვირველია, ფეხით) და ხალისით ველოდებოდი მომავალ კვირას. მაგონდება ერთი კურიოზული შემთხვევა. გათენდა 1921 წლის პირველი იანვარი. ადრე დილით ნავთლუღში გავეშურე. შევუდექი ციციანთ ალმართს. წინ ორი ყარაჩოხელი (თუ კინტო) შემომეგება. არღანს აწრიპინებდნენ და იმპროვიზებული სუფრიდან გამვლელ-გამომვლელთ სასმისით ღვინოს სთავაზობდნენ, ახალი წელია, დაგვლოცეთო. მეც შემომთავაზეს ხელში სავსე სასმისი. ხათრი ვერ გავუტეხე, ვადღეგრძელე, ჭიქა დავცალე, მადლობა მოვახსენე და წასვლას ვაპირებდი, რომ ზორბა მეარღნე წინ გადამეღობა, მადლობა რის მაქნისია, შე დალოცვილო, ღვინო რომ გადაჰკარი, მუქთა ქელეხში ხომ არ ყოფილხარო. შევცბი, გავწითლდი. ჯიბეები მოვიქექე, უკანასკნელი გროში ამოვიღე,

ჩემს „კეთილისმყოფელ“ მასპინძელს მორცხვად ხელში ჩავუდე და სასწრაფოდ გავშორდი იქაურობას. ბენომ და მისმა ამხანაგებმა ბევრი იცინეს ჩემს გულუბრყვილობაზე, ახალწლის დღის ნავსიან დასაწყისსა და ყარაჩოხელთა „ხელგაშლილობაზე“...

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბენო ჯარიდან გაათავისუფლეს. სოფელში წავიდა, ცოტა ხორაგი მოიმარაგა, შემდეგ თბილისში ჩამოვიდა, სტუდენტის უფლებები აღიდგინა (ჯარში გაწვევამდე უნივერსიტეტში ჩაირიცხა სტუდენტად), მე შემომეკედლა და სწავლას დაუდო თავი. მეც გარკვეული შეღავათი მომეცა: ამიერიდან ჰირ-ვარამს (ხან სიხარულსაც) ერთმანეთს ვუზიარებდით, ლუკმაპურს ძმურად ვიყოფდით და ცხოვრების ჭაპანს ერთად ვეზიდებოდით ჩვენი ძალ-ღონის შესაფერისად. სიამოვნებით ვიგონებდით ნავთლუღის დღეებს და ხშირად ვნატრობდი შაქრის ნატეხებს.

გაზაფხულის სემესტრის ბოლოს პირველი გამოცდა ჩავაბარე ძველქართულ სასულიერო მწერლობაში პროფესორ კორნელი კეკელიძეს. გამოცდის დროს იგი ჩვეულებრივ თვალებს ხუჭავდა ხოლმე და სმენად გადაიქცეოდა (ზოგს კი ეგონა, პროფესორს რული მორევია და პასუხს ყურს არ უგდებსო). სტუდენტს საუბარს არ აწყვეტინებდა (თუ უხეშ შეცდომას არ დაუშვებდა), საკითხებში ჩაძიება და ჩაციება არ იცოდა. სასწავლო ლიტერატურა ცოტა გვქონდა. უმთავრესად კონსპექტით ვსწავლობდით (კონსპექტი კარგად იყო შედგენილი და ერთგვარად შემოწმებულიც პროფესორის მიერ). ბიბლიოგრაფიის საკითხებზე რომ სიტყვა ჩამოვაგდე, „კომენი“ ვახსენე, რომელიც იმ ხანებში კ. კეკელიძის მიერ იყო გამოცემული. პროფესორმა ერთბაშად თვალები გაახილა, დაკვირვებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა, არაფერი უთქვამს, ჟესტით მატრიკული მომთხოვა და ნიშანი ჩამიწერა. ეს იყო პირველი ნათლობა, პირველი ფრიადი, პირველი სიხარული, იმ სიხარულს რა შეედრება!

საზაფხულოდ ბენო სოფელში ადრე წავიდა. მამას შეეხიდა, მერე ცოტათი მეც მივეშველე. მოწაფეებიც ვიშოვე მოსამზადებლად (ახლა ავტორიტეტიანი რეპეტიტორი ვიყავი, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი!). თბილისში რომ დავბრუნდი, ჩემი ხაშურელი მასწავლებელი შემხვდა, ალექსანდრე გარდაფხაძე, გულიანად მომესალმა, ხელი ჩამომართვა, ამბავი გამომკითხა, განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ვარო, მითხრა, და კარგი სამსახური შემომთავაზა, გამგეობის საქმეთა

მმართველობა. ცოტა შემეშინდა, საამისო გამოცდილება მაკლდა, მაგრამ სახარბიელო შემთხვევის ხელიდან გაშვებაც არ მინდოდა. მადლობით თანხმობა მოვახსენე, რკინიგზის სამმართველოს გამოვეთხოვე და რუსთაველის პროსპექტზე, პროფკავშირების სასახლეში (აწინდელი სასტუმრო „თბილისის“ შენობა) დავიწყე მუშაობა. ალექსანდრე გარდაფხაძემ ის სიკეთეც მიყო, რომ ჯარისკაცთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ჯგუფში (ნიკოლოზ ოკუჯავას უწყებაში) გაკვეთილები მიშოვა. იმ დროის კვალობაზე ეს დიდი მიღწევა იყო, ჯარში მასწავლებლობა კარგ, ე. წ. მშრალ, ულუფას იძლეოდა.

სამუშაო ბევრი მქონდა. ენერგიას არ ვზოგავდი, რომ არც თავი შემერცხვინა და არც ჩემი კეთილისმყოფელი მასწავლებელი. ბენო გულმოდგინედ სწავლობდა და ჩვენს „მეურნეობას“ უძღვებოდა. ჯარში ყოფნისას „მზარეულობის ხელოვნებას“ დაუფლებოდა და, თუ სანოვაგეს ვიშოვიდით (გვშველოდა სამხედრო სასწავლებლის ულუფა), გემრიელ კერძებს ამზადებდა (ყოველ შემთხვევაში, ბენოს მომზადებული კერძი გემრიელად მეჩვენებოდა). განსაკუთრებით ოსტატურად იცოდა მოლესილი ლობიოს შეკაზმვა. ბენოს მზარეულობის ამბავი განთქმული იყო ჩვენი ამხანაგების წრეში.

ამრიგად, საორგანიზაციო-საოჯახო საქმე მოგვარდა. შრომის „რაციონალურმა განაწილებამ“ ნაყოფი გამოიღო. ამის მნიშვნელობა უფრო მაშინ ვიგრძენი, როცა უნივერსიტეტში სემინარული მუშაობა დამეწყო. რაკი ლექციებს ვერ ვესწრებოდი, დავეწაფე სემინარს, თუმცა თავდაპირველად მოულოდნელი დაბრკოლება გადამეღობა წინ. ქ. კეკელიძემ ისეთი თემები დაგვირიგა, რომლებიც ხელნაწერი მასალების ცოდნას ითვალისწინებდა. უნივერსიტეტის სიძველეთსაცავი კვირა-უქმე დღეებში იხურებოდა. ღია იყო და ისიც მხოლოდ დამთვალიერებელთათვის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი. სამეცადინოდ იქ არ უშვებდნენ. სამუშაო დღეებში მე არ მეცალა. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის გამგის, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სერგი გორგაძის და მისი მოადგილის, ეთნოგრაფისა და მწერლის იროდიონ სონღულაშვილის კაიკაცობის ამბავი გაგონილი მქონდა. ნავსი გავტეხე, იროდიონ სონღულაშვილს ვეახელი, ჩემი გასაჭირი ავუხსენი, თავი შევაცოდე და დახმარება ვთხოვე. ჩემი თხოვნა სულგრძელად შეიწყნარეს, მყუდრო კუთხე მომიჩინეს და კვირაობით ხელნაწერებზე მუ-

შაობის ნება დამრთეს, მუშაობას რომ გემო გავუგე, დრო არ მეყო. ამიტომ ასე ვიქცეოდი; ხელნაწერებიდან ამოსაწერ ადგილებს ვინიშნავდი, ტექსტებს კი შემდეგ იწერდნენ ბენო და სტრატილატე ჰანტურია. ასე ვაივაგლახით მოვამზადე სამი მოხსენება. სამივე სემინარის სხდომაზე წავიკითხე, ერთი ლიტერატურულ წრეში გავიმეორე (წრეს ხელმძღვანელობდა უფროსი კურსელი, მწერალი სავლე აბულაძე, მე მდივანი ვიყავი).

კ. კეკელიძე ყურადღებით მეპყრობოდა. მოხსენებები მომიწონა. შირჩია, ნაშრომი თეიმურაზ პირველზე სადიპლომოდ წარმედგინა. ბ-ნმა კორნელიმ პატივი დამდო და სემინარის მამასახლისობა შემომთავაზა. მევალებოდა თემების განაწილება (თემები გვირიგდებოდა ბილეთების სახით, არჩევანი ნებაყოფლობითი იყო), მოხსენებათა გრაფიკის შედგენა, გრაფიკის დაცვის კონტროლი და ოქმების წარმოება. ამის გამო ამხანაგები ხუმრობით ბ-ნ კორნელის „ასისტენტს" შეძახდნენ. ჩვენი სემინარის შემადგენლობა, ისე როგორც საერთოდ მაშინდელი სტუდენტობა, ძალიან ჭრელი იყო. რამდენიმე სასულიერო პირიც კი გვყავდა. მახსოვს, „ვისრამიანზე" მოხსენება წაიკითხა ბერმა ქრისტეფორე ციცქიშვილმა, მომავალმა კათალიკოსმა. იგი რაღაც არაჩვეულებრივი გატაცებით აანალიზებდა „ვისრამიანის" პერსონაჟთა ჟინიანი ვნებების ამბავს. ჩვენთან იყვნენ ხანდაზმული მანდილოსნები და ჭაღარაშერთული მამაკაცები, რომელთაგან ზოგს რუსეთში თუ უცხოეთში უკვე ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება, მაგრამ ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებას ხელახლა მოეზიდა სტუდენტის მერხთან. სასემინარო მოხსენებები დიდ ინტერესს იწვევდა, იმართებოდა საქმიანი აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ცხარე კამათიც. სემინარული მუშაობა იძლეოდა საკითხის ცოდნის და დამოუკიდებელი აზროვნების გამომჟღავნების საშუალებას, ხელს უწყობდა კვლევაძიებითი ჩვევების შეძენას. სემინარი იყო მეცნიერულ მუშაობაში წრთობისა და დახელოვნების პირველი სკოლა. პირადად მე კ. კეკელიძის სემინარებმა ბევრი რამ მომცა, უწინარეს ყოვლისა, კვლევა-ძიების ინტერესი გამიღვიძა და ერთგვარად მომავლის გეზიც გამიკვლია.

სამეცნიერო წრის სხდომებს სტუდენტობა ხალისით ესწრებოდა. ერთხელ მოხსენება მქონდა თეიმურაზ პირველის შესახებ. აუდიტორია გაჭედილი იყო. სხდომა მიმდინარეობდა პირველი სართულის პირველ აუდიტორიაში, ახლა რომ მეცნიერ მუშაკთა სამკითხველო დარბაზია.

როგორც შემდეგ გამოირკვა, დამსწრეთა მოზღვავებას თურმე იმანაც შეუწყო ხელი, რომ ხმა დარხეულიყო, სხდომაზე რაღაც ექსცესები მოხდებაო. შუა მოხსენება იყო, რომ ერთბაშად კარები გაიღო და აუდიტორიაში საშინელი ხმაურით შემოცვივდნენ უცნაურად მორთულ-მოკაზმული ახალგაზრდები, რომლებსაც ხელში ვეება წითელი ბოლოკები ეჭირათ და მადიანად ილუკმებოდნენ. მომხდურებს წინ მოუძღოდა არლეკინის ტანსაცმელში გამოწყობილი პოეტი ნიკოლოზ (კოლია) ჩაჩავა. აშკარა იყო, რომ თავს დაგვესხნენ ფუტურისტები (თურმე ამას ელოდნენ სასეიროდ მოსული მსმენელები). „ძირს თეიმურაზები და მათი დამჭაშები“, ჩახლეჩილი ხმით იყვირა ერთმა მომხდურმა, „ძირს დამყაყებული მეცნიერება“, ბანი მისცა მეორემ. შეიქმნა აუწერელი ხმაური, ყიჟინა, უწმაწური შეძახილები, ერთი ვაი უშველებელი, აურზაური, ისტერიული სიცილ-ხარხარი... განსაკუთრებით აქტიურობდნენ (ნიკოლოზ ჩაჩავას გარდა) ნიკოლოზ შენგელაია, ჟანგო ღოღობერიძე, პალიკო ნოზაძე, გრიგოლ ორაგველიძე. შედარებით თავდაჭერილად იყვნენ სიმონ ჩიქოვანი და ბესარიონ ჟღენტი. დებოშში უშუალოდ არ მონაწილეობდნენ, დერეფნიდან იცქირებოდნენ და იცინოდნენ დემნა შენგელაია და ლევან ასათიანი. ძლიერმა ხმაურმა ლექციები ჩაშალა მეზობელ აუდიტორიებში. ახლა სტუდენტობის ახალი ტალღა მოაწყდა ჩვენი აუდიტორიის კარებს. გზა შეიკრა. ხმაურმა კიდევ უფრო იმატა. გვესმოდა პროფესორ გრიგოლ წერეთლის აღშფოთებული სიტყვები (მას ლექციები ჩაშლოდა) —„Это безобразие. Кто позволил каким-то клоунам бесчинствовать в университете и срывать лекции?“ მოცვივდნენ დარაჯები და საკმაოდ ხანგრძლივი ხელჩართული ბრძოლის შემდეგ დებოშირები გააბრძანეს შენობიდან. ასე დამთავრდა ფუტურისტების პირველი (და, რამდენადაც ვიცი, უკანასკნელი) საჯარო დემონსტრაცია უნივერსიტეტის კედლებში.

მოხსენებისათვის ვისღა ცხელოდა? იმ დღეს ბევრი ლექცია ჩაიშალა. ამას რომ ვიგონებ, მიკვირს. ნიკოლოზ ჩაჩავას შემდგომ ყველა იცნობდა როგორც იშვიათად დარბაისელ კაცს, მშვიდსა და უწყინარს, მაშინ კი იგი მეთაურობდა ფუტურისტების თითქმის ყველა დებოშს მწერალთა კავშირში თუ სხვაგან, საერთოდ, უნდა აღვნიშნო, რომ ფუტურისტების ჯგუფი არ იყო ერთფეროვანი. ზოგი, ასე ვთქვათ, მაქსიმალისტი იყო, ზოგი ზომიერი, ზოგიც შემთხვევით მიკედლებული. ქართველ ფუტურისტებს ფაქტობრივ არ ჰქონიათ ერთიანი ლიტერატურულ-ესთეტიკური იდეალები, ერთიანი სამოქმედო

პროგრამა. აბა, რა ჰქონდა, ფუტურისტული, მაგალითად, დემნა შენგელაიას, ან ლევან ასათიანს, ან თუგინდ აკაკი ბელიაშვილს?

დღის პირველ ნახევარში ჩემი ოთახი ბენოსა და მისი ამხანაგების, ისტორიკოსების, განკარგულებაში იყო. საღამოობით კი მას ფილოლოგები ეუფლებოდნენ. ფილოლოგებიც ჩვეულებრივ ერთად ვემზადებოდით გამოცდებისათვის. ჩვენი ჯგუფის მუდმივი წევრები იყვნენ სიკო დოლიძე, სტრატილატე ჰანტურია, ალექსანდრე მაღულარია, გრიგოლ ებრალიძე, გუგული ებრალიძე. გრიგოლ ებრალიძე ჩინებული სტუდენტი იყო, ნიჭიერი, ბეჯითი, ნაკითხი. იგი, ჩემი აზრით, კვლევაძიებითი მუშაობისათვის იყო მოწოდებული, მაგრამ რაღაც ხელი შეეშალა და თავის მოწოდების გზას ასცდა, თუმცა თავისი პროფესიისათვის არ უღალატია, დიდხანს მასწავლებლობდა, იყო თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილების მეთოდისტი და ინსპექტორი. ადრე გარდაიცვალა.

დასახელებულთ გარდა, ჩვენთან დროდადრო მოდიოდნენ დემნა შენგელაია, ლევან ასათიანი, ბესარიონ ჟღენტი (უფრო მოგვიანებით — სიმონ ჩიქოვანი), გიორგი თავზიშვილი, ზაქარია კიკნაძე. სტუდენტურად ვიქცევდით თავს, ვბაასობდით და ცხარედაც ვკამათობდით ლიტერატურული და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების საკითხებზე. რა თქმა უნდა, არც პოლიტიკური ცხოვრების სფერო გვრჩებოდა უყურადღებოდ. ბევრს, ძალიან ბევრს ვკამათობდით და ვდაობდით, ოღონდ ეს სრულიად არ უშლიდა ხელს ჩვენს მეგობრობას. ლხინიც ვიცოდით, პურმარილის მადლი, არც მიჯნურობას ვაკლებდით ხელს, ამ ნიადაგზე ერთმანეთის გამოჯავრება და საიდუმლოს გამომჟღავნება უზნეობად არ ითვლებოდა. ჩხუბი, აყალ-მაყალი, შური და მტრობა ერთმანეთს შორის ჩვენ არ გვქონია. სწავლა, ძმობა და ქვეყნის სიყვარული გვაერთებდა, გვასულდგმულებდა და ცხოვრების სტიმულს გვაძლევდა.

სამსახური თავისას ითხოვდა. ბეჯითობასა და გულმოდგინებას არ ვაკლებდი. უფროსები შრომას მიფასებდნენ. სიამოვნებით ვიგონებ იმ ოთხ წელიწადს, რომელიც პროფკავშირებში მუშაობას მოვანდომე. მაინც საგანგებოდ მინდა მოვიგონო მასწავლებელთა (განათლების მუშაკთა) კავშირის თავმჯდომარე სუსანა ნიკიტას ასული შაერდოვა, ეროვნებით სომეხი, რომელმაც ქართული პრაქტიკულად კარგად იცოდა (სხვათაშორის, მას ეკუთვნის საიათნოვას რიგი ქართული ლექსების რუსული პწკარედი თარგმანი, რომელიც საფუძ-

ვლად დაედო 1945 წელს ერევანში გამოქვეყნებულ კრებულს). სუსანა შავერდოვა განათლებული ქალი იყო, ტაქტიანი, წინდახედული, აუჩქარებელი, მომთმენი, გარეგნულად საკმარისად სანდომიანი, ხნოვანებით—ბალზაკის დარბაისელ მანდილოსანთა ასაკისა. ერთი შეხედვით თითქო ძალიან მკაცრი და ცივი, ისე კი კეთილი, მზრუნველი, მოყვარული. მე მისგან ბევრი სიკეთე მახსოვს, ადამიანური კეთილშობილებისა და სულგრძელობის ბევრი მაგალითი მიჩვენა, ბევრი დასამახსოვრებელი რჩევა-დარიგება მომცა და ზოგი უნებლიე „შეცდომაც“ მაპატია.

მას შემდეგ, რაც პროფკავშირებში სამსახური დავტოვე და უნივერსიტეტში გადავედი, სუსანა შავერდოვა აღარ მინახავს. 1945 წლის ადრე შემოდგომაზე სომხეთში ვიყავი სტუმრად. საიათნოვას გარდაცვალების 150-ე წლისთავს აღნიშნავდნენ. საქართველოდან დელეგაცია გაიგზავნა საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად (ი. გრიშაშვილი, ლ. მელიქსეთბეგი და ამ სტრიქონების ავტორი). მე მოხსენება მქონდა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის საჯარო სესიაზე. სხდომა რომ დაიწყო და დამსწრე საზოგადოება აიშალა, ჩემთან მოკრძალებით მოვიდა, მორცხვად გამიღიმა და „საშა ძვირფასო, ვერ მცნობო“, მომმართა ხანდაზმულმა და, როგორც ეტყობოდა, ჯანგატეხილმა ვიღაც ჭაღარა ქალმა. კარგად რომ დავაკვირდი, ვიცანი, სუსანა შავერდოვა იყო, უკეთ, სუსანა შავერდოვას ლანდი. მას საშინელი განსაცდელი დასტყდომოდა თავს, ოჯახი დანგრეოდა, მარტოხელა დარჩენილიყო, ტრაგიკული თავგადასავლის შემდეგ დამკვიდრებულიყო ერევანში და ერევნის უნივერსიტეტში გამწესებულიყო რუსული ენის მასწავლებლად. სომხეთში ხშირად მიხდებოდა ყოფნა. იქ არაერთი კარგი ამხანაგი და მეგობარი მყავდა. ერთხელ მონაწილეობა შივიღე თბილისისა და ერევნის უნივერსიტეტების გაერთიანებულ სამეცნიერო სესიის მუშაობაში. სესიას ბანკეტი მოჰყვა. ბანკეტზე ბევრი გრძნობიერი სიტყვა ითქვა და ბევრი სადღეგრძელო შეისვა ხალხთა მეგობრობის თემაზე, კერძოდ, სომეხი და ქართველი ხალხების ისტორიული მეგობრობის ტრადიციებზე, მეც მომიხდა სიტყვის წარმოთქმა. ჩვენი ხალხების მეგობრობის რამდენიმე ფაქტი დავიძოწმე შორეული თუ ახლო წარსულიდან, დავსძინე, რომ ხალხების ძმობა-მეგობრობას მყარ ნიადაგსა და მტკიცე საძირკველს უქმნის ამ ხალხთა შვილების კონკრეტულ-ინდივიდუალური ძმობა-მეგობრობის მაგალითები. საბუთად გამოვიყენე ჩემი გამოცდილება — თა-

ვისი მაგალითით როგორ შემაყვარა სომეხი ხალხი ერთმა განათლებულმა მანდილოსანმა, ჰკუისა და ცხოვრების მასწავლებელმა, რომლის მეურვეობით ხდებოდა ჩემი მოქალაქეობრივი სახის ფორმირება სტუდენტობის წლებში. ეს მანდილოსანი ახლა აქ იმყოფება, ჩვენი სუფრის წევრია, ერევნის უნივერსიტეტის დოცენტი, მისი სახელია სუსანა ნიკიტას ასული შავერდოვა. მე დიდ გულითად მადლობას მოვახსენებ მას საჯაროდ, ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას ვუსურვებ-შეთქი, დავასრულე სიტყვა და სასმისი დავცალე. ჩემი გამოსვლა და სიტყვა ძლიერ შთამბეჭდავი აღმოჩნდა. სუსანა შავერდოვა მოიჭრა ჩემთან, გადამეხვია და გადამკოცნა. მის მაგალითს მიჰყვნენ სხვებიც. შეგობრული განწყობილების სათბომ იმატა და ხალისიანმა პურობამ ხალხთა ძმობის ნაძდვილი დემონსტრაციის ხასიათი მიიღო.

ეს ამბავი შედარებით ახალია. მისი საფუძველი კი ძველი, სტუდენტური წლები, ძვირფასი, განუმეორებელი, სანეტარო წლები, რომლებიც წავიდნენ, გაქრნენ, „ვით ნიაღვრები გაზაფხულისა".

1974

დაოჯახება

პროფესორმა კორნელი კეკელიძემ უნივერსიტეტთან დატოვება რომ შემომთავაზა, ერთ უმთავრეს პირობად მომთხოვა, ასპირანტურის პერიოდში არ მეფიქრა პირადი ცხოვრების მოგვარებაზე, კერძოდ, ოჯახის მოკიდებაზე. პირობა მიველი, თუმცა გული მეთანაღრებოდა. მართალია, ოჯახის შექმნის საკითხი ჩემს წინაშე პრაქტიკულად არ დასმულა, მაგრამ მაშინ ძლიერი მიჯნურული სნებით ვიყავი შეპყრობილი. პროფესორის შეგონებამ და თითქო საგანგებო გაფრთხილებამ გამომაფხიზლა, ახალი საზრუნავი გამიჩინა და საგონებელში ჩამაგდო. ჩემი ცხოვრების მომავალ თანამგზავრთან (ნინო ივანეს ასულ ელიაშვილთან) მოვითათბირე, შევთანხმდით, შეუღლება ორი წლით მაინც უნდა გადამედო. ნინოს მშობლებმაც მოიწონეს ჩვენი გადაწყვეტილება, მშობლიურად დაგვლოცეს და ყოველმხრივ ხელის შეწყობა აღმითქვეს (ნინოს ზოგიერთ მახლობელ ნათესავს

„голоштанный“ ეწოდებინა ჩემთვის და სასიძოდ დავეწუნებინე), ეს მოხდა 1925 წლის ზაფხულში. შემოდგომიდან (ოქტომბრიდან) უნივერსიტეტთან დატოვება გაფორმდა, სამსახურს თავი დავანებე და საასპირანტო მუშაობას შევუდექი. ნინოს მშობლებმა მირჩიეს, რესტორანს მოვრიდებოდი და სასადილოდ მათთან მეევლო. ოჯახში. რესტორანში მუდმივად კვება სახიფათოა და ბევრ დროსაც წაგართმევსო. პირველი ყოყმანის შემდეგ ასეც მოვიქეცი. დიდ ყურადღებასა და შზრუნველობას მიდასტურებდნენ, რაც ერთგვარად მბორკავდა კიდევაც და გარკვეულ უხერხულობას მიქმნიდა. ერთ საღამოს, სუფრას რომ ვუსხედით. ბ-ნმა ივანემ (ნინოს მამამ) მითხრა, მე გულისყურით ვუკვირდები შენს ძდგომარეობას, ვამჩნევ ზოგიერთს, შენთვის უხერხულ ვითარებას, დროც ბევრი გეხარჯება, იქნებ აჯობოს, რომ შენ და ნინო შეუღლდეთ, საცხოვრებლად ჩვენთან გადმოდი, მუშაობის უკეთესი პირობები შეგექმნება, დროსაც მოიგებ. იფიქრე, ჩვენ მხოლოდ რჩევას გთავაზობთო, დაუმატა. მე კარგად მესმოდა ამ თავაზიანი წინადადების აზრი. ელიაშვილები მოითხოვდნენ, შეუღლება დამეჩქარებინა. განა მე წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ რა მეთქვა პროფესორ კეკელიძისათვის მიცემულ პირობაზე? ამას მე მოვაგვარებო, შემნიშნა ბ-ნმა ივანემ. ის, მართლაც, პირადად კარგად იცნობდა კორნელი კეკელიძეს. ვგრძნობდი, რომ საქმე მირთულდებოდა. ბოლოს მოვიაზრეთ, ჩუმად დაგვეწერა ჯვარი, გაუხმაურებლად, ასე ვთქვათ, არალეგალურად, რომ ეს ამბავი არ მისულიყო ბ-ნ კორნელის ყურამდის.

1926 წლის 14 იანვარს, ნინოობის დღეს, ჯვარი დავიწერეთ და ძალიან მოკრძალებული ქორწილი გადავიხადეთ. ჩემი პატარა ოთახი მატინოვის ქუჩაზე დიასახლისს დავუტოვე და საცხოვრებლად ელიაშვილებთან გადავედი (მესანგრეთა, აწ ძნელაძის ქუჩაზე, სახლი №11). გარეგნულად ყველაფერი ისე აეწყო, თითქო სადარდელი არაფერი მქონდა, ნინოც და მისი მშობლებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ, რომ ჩემთვის შინაური გარემო შეექმნათ. საქორწილო ვიზიტებისაგან თავს ვიკავებდი. იშვიათად თუ ვისმე ვწვევივართ. ბედად, ერთხელ ვეახელით ალექსანდრე წერეთელს, რომელსაც გიმნაზიიდანვე ვიცნობდი, მან ჩვენი ამბავი კარგად იცოდა და ქორწილზედაც დაგვესწრო. ალ. წერეთელი მაშინ იყო უნივერსიტეტის ლექტორი, ცხოვრობდა ყოფ. წმიხდა ნინოს სასწავლებლის შენობაში (შიო ჩიტაძის ქუჩაზე), ადრე ამ სასწავლებელს, უკვე გიმნაზიად გადაკეთებულს,

განაგებდა. ალ. წერეთლის ბინის კარები შევაღე და ადგილზე გავშეშდი. ვხედავ მაგიდას უზის და მასპინძელს ესაუბრება კორნელი კეკელიძე. ტახ'ში ჟრუანტელმა დამიარა და ცივმა ოფლმა დამასხა. იგივე მოუვიდა ნიხოსაც. უკან გაბრუნება აღარ ეწყობოდა, მასპინძელმა დაგვინახა და ჩვენსკენ გამოეშურა, შინ შეგვიწვია და ბ-ნ კორნელისა და ქ-ნ ძინადორას (კორნელის მეუღლის) წინაშე წარგვადგინა, ახლად შეუღლებული ახალგაზრდები არიან. ვგონებ, კიდევაც იცნობთო. თავზარდაცემული და გაოგნებული ვიყავი, თითქო დიდ დანაშაულზე წამასწრეს და საშინელ განაჩენს ველოდი, აკანკალებული ხელი შევაგებე ბ-ნ კორნელის ჩემკენ ცივად გამოწვდილ ხელს. ბ-ნ კორნელის აშკარა უკმაყოფილება ეტყობოდა. ამან კიდევ უფრო შემაშფოთა და დამაბნია. მასპინძელს არ გამოჰპარვია სიტუაციის სიმწვავე. უხერხულობის გასაფანტავად ყველანი გაშლილ სუფრასთან მიგვიპატიჟა. უხმოდ და მექანიკურად დავემორჩილე განკარგულებას. დაზაფრულმა დავიკავე შემოთავაზებული ადგილი. ალექსანდრე წერეთელმა სასმისი აიღო, ჩვენი შემოსწრებისა (და დაჭორწინების) სადღეგრძელო წარმოთქვა მისთვის ჩვეული მჟევრმეტყველებით. სასმისს ხელი შეახო ბ-ნმა კორნელიმაც. ჯერ ცოტა მოსვა (თითქო ღვინოს გემო გაუსინჯა), მერმე ხინოს მიუბრუნდა და დამარცვლით უთხრა: „დღემდის ალექსახდრეზე პასუხს მე ვაგებდი, უთუოდ ნიჭიერია. გულმოდგინეა და შრომისმოყვარე. ამიტომაც დავიტოვე ჩემთან. გარკვეული პირობაც ჩამოვართვი. მას ჩემი მცნება დაურღვევია. მიზეზი თქვენ ხართ. იცოდეთ, ალექსანდრეს ბედი თქვენს ხელთაა, დღეიდან ჩემთან ერთად სანახევროდ მაინც (თუ მეტად არა), თქვენ პირადად აგებთ პასუხს ალექსანდრეს მომავალზე. ღმერთმა ქნას, რომ იმედი არ გამიცრუვდეს". შემდეგ მე შემომხედა წყრომით, თუმცა არაფერი უთქვამს, სასმისი დასცალა. იმ საღამომ ფრიად უგემურად ჩაიარა ჩვენთვის. შინ უგუნებოდ დავბრუნდით.

ახლა შეძდგომს მოვლენებს უნდა გავუსწრო და მოვიგონო 1962 წლის 12 აპრილი. იმ წელს, მარტის 27-ს, დაბადების 60 წელი შემისრულდა. ბ-ნი კორნელი ავად ბძანდებოდა, მაგრამ მოისურვა ამ თარიღის შინაურ წრეში აღნიშვნა. 12 აპრილისათვის დანიშნა პურობა, იხმო თავისი მისანდო მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები. შეხვედრა შედგა ერთი ჩვენი თანამშრომლის სახლში ბ-ნ კორნელის საცხოვრებელი ბინის მახლობლად, კამოს ქუჩაზე. ადგილი საგანგებოდ იყო შერჩეული, ფართო სასტუმრო დარბაზი პირველ სართულზე იმ-

ყოფებოდა (ბ-ნ კორნელის უჭირდა კიბეებზე ასვლა). ბ-ნმა კორნელიმ ძლიერ მოიღხინა, ღვინოსაც მიეძალა, თუმცა სასტიკად ჰქონდა აკრძალული. ბევრი იხუმრა. სიამოვნებით ისმენდა გასართობ ანეგდოტებს, გულიანად იცინოდა. ცენტრალური სადღეგრძელო მე მომიძღვნა. არსებითად ეს იყო დიდი მოძღვრის ანდერძი. ასე მეჩვენება, რომ სწორედ ამ ანდერძისათვის გამართა მან ეს თავისებური „საიდუმლო სერობა". ანდერძის შინაარსს ვეცდები სხვა დროს დავუბრუნდე. აქ ვიგონებ ბ-ნ კორნელის სიტყვის მხოლოდ ერთ მხარეს. მხიარული და სახენათელი მიუბრუნდა ბ-ნი კორნელი ნინოს, მთელი გულით ადღეგრძელა. მოიგონა პირველი გაცნობა ალექსანდრე წერეთლის ბინაზე, დიდსულოვნად მოუხადა ბოდიში მაშინდელი მწყრალი დახვედრისათვის. ვაღიარებო, განაცხადა, რომ თქვენ გაამართლეთ ის პასუხისმგებლობა, რაც ჩემთან ერთად იკისრეთ. ამის საბუთიაო დღევანდელი შეკრება. ალექსანდრე ბარამიძის მეცნიერული და ადამიანური სახის ჩამოყალიბებაში ჩვენ ორივეს თანაბარი წვლილი მიგვიძღვის. ალექსანდრემ გაამართლა ჩემი იმედები, დღეიდან მას ვაბარებ ჩვენი საქმის მეთაურობას, იმან უნდა უწინამძღვროს აქ შეკრებილ ჩემს მოწაფეებსა და მოწაფეთა მოწაფეებსო. გადაგვეხვია და მხურვალედ დაგვკოცნა ორივენი. თვალებზე ცრემლი მოადგა. ყველანი ფეხზე წამოდგნენ. ბ-ნ კორნელის გულზე ვემთხვიე. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, თუმცა ამ ბედნიერებას მწარე სინანულის გრძნობაც თან დაჰყვა. ჩემთვის აშკარა იყო, რომ მოძღვართმოძღვარი ემშვიდობებოდა თავის მრევლს. ასეც მოხდა... პუროობამ ერთხანს კიდევ გასტანა, ბ-ნ კორნელის დაავიწყდა დაღლილობა და ექიმის შეგონება. სუფრიდან უკანასკნელი ადგა. შინამდის მივაცილეთ[1]. ეს იყო და ეს. საუბედუროდ, 12 აპრილის სიტყვა გედის სიმღერა აღმოჩნდა. იმ დღის შემდეგ ბ-ნი კორნელი სახლიდან აღარ გამოსულა. ავადმყოფობამ უძალა, სავარძელსა და ლოგინს მიაჯაჭვა. პუროობის დღიდან ზუსტად ორი თვის თავზე, 12 ივნისს, ბ-ნი კორნელი მიწას მივაბარეთ..

ახლა კი პირველსავე სიტყვას დავუბრუნდეთ, ჩემი სიმამრი ექიმი ივანე ელიაშვილი (1864—1932) ცნობილი იყო არა მარტო როგორც ჩინებული მკურნალი, არამედ როგორც თვალსაჩინო საბავშვო

[1] ამ პუროობის ამბავი მოკლედ აღწერილი აქვს გრიგერ ფარულავას (კორნელი კეკელიძე, ჟურნ. „ცისკარი", 1979, № 10, გვ. 136—137).

მწერალი, ჟურნალისტი, უანგარო საზოგადო მოღვაწე, აკაკი წერეთლის უახლოესი მეგობარი და მისი ნების შემსრულებელი. კარგახანს იგი ოჯახით ცხოვრობდა ბაქოში, 1914 წლიდან გადმოვიდა თბილისში. თავის დროზე შეძლებულ კაცად ითვლებოდა (ბაქოში ჰქონდა ნავთობიანი მიწის ნაკვეთი, რომელიც კარგ შემოსავალს აძლევდა), ეწეოდა ქველმოქმედებას, კერძოდ, ბევრს ეხმარებოდა ნივთიერად აკაკი წერეთელს. აკაკი წერეთელი ელიაშვილების ხშირი სტუმარი იყო ბაქოშიც და თბილისშიც. ჩემს სიმამრს საკუთარი ორსართულიანი სახლი ჰქონდა თბილისში (მესანგრეთა ქუჩა №11). ჩემი სიდედრი თამარი დედით იყო ერისთვის (ქსნის ერისთვის) ჭ-ლი, ხოლო მამით კაბენინა (უკრაინელი მემამულე პოლკოვნიკ კაბენინის ასული). თამარი ძალიან ადრე დაობლებულა დედითაც და მამითაც. აღზრდა მიუღია მოსკოვში კეთილშობილ ქალიშვილთა ინსტიტუტში. იყო განათლებული, უცხო ენების მშვენიერი მცოდნე. ელიაშვილების ოჯახში ოაქს იყრიდა თბილისის ინტელექტუალური თავკაცობა. მე რომ ამ ოჯახის წევრი გავხდი, იგი საკმაოდ ჩამოქვეითებული იყო ნივთიერად, თუმცა ძველი იერი შენარჩუნებული ჰქონდა. ივანე ელიაშვილი ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში მსახურობდა და სოციალური ჰიგიენის კათედრას განაგებდა თბილისის უნივერსიტეტში. ელიაშვილებს შერჩათ ორი შვილი ნინო და არჩილი. ეს ის ბავშვებია, ცნობილი ფოტოსურათის მიხედვით, აკაკის რომ უსხედან მუხლებზე. მათი სახელები ბევრჯერ იხსენიება აკაკის პირად წერილებში. ნინომ „ლიტერატურის მატიანეში“ წერილიც გამოაქვეყნა ამ სურათის გადაღების გარემოებათა შესახებ. არჩილი გრენობლში (საფრანგეთი) სწავლობდა საინჟინრო ფაკულტეტზე. ბოლოს იგი დიდხანს წარმატებით ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მარკვის სისტემის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს. გარდაიცვალა 1971 წელს. ნინო ადრე განათლების მუშაკთა პროფკავშირში მსახურობდა. იქ გავიცანი (სტუდენტობის პერიოდში მე ამ პროფკავშირის საქმეთა მმართველი ვიყავი). ივანე ელიაშვილმა უმაღლესი სამკურნალო და საბუნებისმეტყველო განათლება მიიღო ოდესისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში. ახლოს იცნობდა და მეგობრობდა იქაურ მოწინავე ქართველობას (ვ. პეტრიაშვილს, ა. სუმბათაშვილს, ა. ხახანაშვილს..) და მათთან მიმოწერა ჰქონდა. საშუალო სასწავლებელი ქუთაისში დააძთავრა. სწავლობდა ნიკო მართან, რომელთანაც სიკვდილამდე მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა. ჩემს დროს ელიაშვილების ოჯახ-

ში ე. წ. დათქმულ დღეებში (jure fixé) ჩვეულებრივ იკრიბებოდნენ ხოლმე ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, გიორგი ლასხიშვილი, იასონ ლორთქიფანიძე (უფრო იშვიათად ნიკო ლორთქიფანიძე), ექიმი კონსტანტინე ლორთქიფანიძე, იოსებ ლორთქიფანიძე. ივანე მაჭავარიანი, გრიგოლ გველესიანი და სხვ. თითქმის ყოველდღე მოდიოდა ჩემი სიმამრის სიყრმის მეგობარი, ცნობილი ექიმი და პუბლიცისტი ვასილ წერეთელი (აკადემიკოს გიორგი წერეთლის მამა). ელიაშვილების ოჯახში გავიცანი იოსებ გრიშაშვილი და გალაკტიონ ტაბიძე (ბ-ნი ივანე თანამშრომლობდა გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში). ივანეს კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ექვთიმე თაყაიშვილთან, ივანე ჯავახიშვილთან, დავით კარიჭაშვილთან და ბევრ სხვა გამოჩენილ მეცნიერთან, მწერალთან, საზოგადო მოღვაწესთან. იგი იყო თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ხელისშემწყობი საზოგადოების წევრი, აქტიური წევრი წერა-კითხვის გამავრცელებელი და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა. ერთი სიტყვით, ელიაშვილების ოჯახი, როგორც ვთქვი, გამორჩეული ინტელიგენტური ოჯახი იყო თავისი მტკიცე ზნეობრივი და ეროვნულ-საზოგადოებრივი ტრადიციებით. ამ ოჯახმა მე, მაშინ სრულიად უჩინარი და უბრალო ყმაწვილ-კაცი, გულით მიმიღო, მშობლიური მზრუნველობა გამიწია, შემითვისა, შემიყვარა, უცხოურობა არ მაგრძნობინა, ჩემს განკარგულებაში გადმოვიდა მშვენიერი ბიბლიოთეკა (ამ ბიბლიოთეკაში ბევრი იყო სამახსოვრო ავტორისეული წარწერებით შემკული წიგნები აკაკისა, სუმბათაშვილისა, მარისა, ხახანაშვილისა). ივანე ელიაშვილი ბეჯითად ადევნებდა თვალყურს ჩემს მუშაობას, გულდასმით ეცნობოდა ჩემს კველა ნარკვევს, მამხნევებდა, მაგულიანებდა. ძალიან მომიწონა პირველი ნაშრომი, რომელიც ასპირანტობის პირველსავე წელს მოვამზადე, მოხსენების სახით წავიკითხე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში (XI, 1926 წ.) და მალე ბეჭდურადაც გამოვაქვეყნე (1927 წელს). მაგრამ ჩემი ნამდვილი შთაგონება, ჩემი ცხოვრების ნამდვილი თანამგზავრი, ჰეშმარიტი მეგობარი და მართლაც მ ე უ ღ ლ ე ჰირსა და ლხინში იყო ნინო ელიაშვილი. მას ვუზიარებდი ყველა ჩემს განზრახვას, ყველა ჩანაფიქრს, ყოველი წამოწყების გეგმას. ნინო ელიაშვილი იყო ყველა ჩემი ნაშრომის პირველი მკითხველი, პირველი (და უაღრესად მკაცრი) პირუთვნელი კრიტიკოსი, გადამწერ-გადამხუსხავი, გადამბეჭდავი (დახელოვნებული და ფრიად კვალიფიციური მბეჭდავი . იყო მანქანაზე—ქართულად, რუსულად და

უცხოურად), კორექტორი. ნინო ჩვეულებრივ ყოველთვის თან მახლდა ხოლმე არქივებსა და მუზეუმებში მუშაობისას, ზუსტად და შეუძლებლად გადაჰქონდა რვეულში გადმოსაწერად მინიშნებული ტექსტები. ჩემსავით ძლიერ უყვარდა მგზავრობა, არ გამოტოვებდა არც ერთ შემთხვევას და თან დამყვებოდა მივლინებაში ყოფნისას საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში თუ საზღვარგარეთ ტურისტული მგზავრობის დროს. ყველგან მიქმნიდა მუშაობისა და დასვენების მყუდრო გარემოს. ასევე ყურადღებიანი იყო ყველას მიმართ კოლექტივში. ყველას ხიბლავდა თავისი ჭკუით, მზრუნველობით, გულკეთილობით. კეთილი თანამგზავრის ეტალონს უწოდებდნენ ხოლმე ჩვენიანებიც და გარეშენიც. ვაი, რომ მაშინ გამომეცალა ჩემი ცხოვრების ეს კეთილი თანამგზავრი, როცა კიდევ უფრო მჭირდებოდა მისი მზრუნველი ხელი, როცა ხანდაზმულობის სენი მეწვია (ნინო გარდაიცვალა ინფარქტისაგან 1967 წლის 27 აგვისტოს).

1974

პირველი ნაბიჯები

ა) ბესიკის გამოცემა

ჩემი პირველი ტექსტოლოგიური ნაშრომია „ანთოლოგიის" მეორე წიგნი (XVI—XVIII სს.), რომელიც ოფიციალურად ია ეკალაძის რედაქტორობით დაიბეჭდა 1928 წელს. ფაქტობრივ კი ამ „ანთოლოგიის" ტექსტის შემზადებაში და რედაქტირებაში ია ეკალაძეს მონაწილეობა არ მიუღია. ეს გარემოება ერთგვარად აღბეჭდილია ია ეკალაძის შენიშვნებში, რომელიც ერთვის ჩვენს ნარკვევს „ტექსტისათვის". შენიშვნაში ვკითხულობთ: „როდესაც ჩვენ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის „ანთოლოგიის" გამოცემა განვიზრახეთ, აზრათ გვქონდა ქართველი საზოგადოებისათვის მიგვეწოდებინა რაც შეიძლება სრული და ვარგისი კრებული, ამიტომ როგორც ამ დარგში არა სპეციალისტმა დავიხმარე უფრო მცოდნენი. ეს წერილი გვიჩვენებს, თუ როგორის თავგამოდებით შეუსრულებია პატივცემულ ალექსან-

დრე ბარამიძეს ჩვენი დავალებანი. იხ ეკალაძე" (ანთოლოგია, II, 1928, გვ. V, შენ. 1).

ანთოლოგიის გამოცემის საქმეს ხელმძღვანელობდა ანდრო შილაკაძე. შეორე ტომის შედგენა თავდაპირველად სთხოვეს სერგი გორგაძეს, „ჩვენი ძველი მწერლობის" ქრესტომათიის ავტორს. სერგი გორგაძემ დიდი პატივი დამდო და თავის მხრივ ჩემზე მიუთითა. მკითხველმა საზოგადოებამ ანთოლოგია კარგად მიიღო. დაიწერა რამდენიმე წამახალისებელი რეცენზია, მაგალითად თედო ბეგიაშვილი წერდა: „ანთოლოგიის შეორე ტომი არსებითად განირჩევა მისი პირველი ტომისაგან. რამდენად პირველი დაუმუშავებელი, აჩქარებული და ზერელე გამოცემა იყო, იმდენად მეორე ტომი დამუშავებულია და მეცნიერულ იერსაც მოკლებული არ არის" (გაზ. „კომუნისტი", 21.X.28). გიორგი ლეონიძეც ხაზს უსვამს ანთოლოგიის მეორე ტომის გარკვეულ უპირატესობას პირველთან შედარებით (მასალის დამუშავების მხრივ), იძლევა საქმიან შენიშვნებს და ასკვნის: «Главное достоинство антологии в интересной разработке текста (принадлежащей А. Барамидзе), отличающей ее как от хрестоматии Чубинашвили, так и от 1 тома той же антологии» («Заря Востока», 8.III.29).

შედარებით უფრო ვრცლად იხილავს ანთოლოგიებს (I და II ტომებს) ვახტანგ კოტეტიშვილი. იგი საგანგებოდ აღნიშნავს ანთოლოგიების გამოცემის დროულობასა და დიდ საჭიროებას. ვ. კოტეტიშვილის სიტყვით, საანთოლოგიო მასალის შერჩევა რთულია, აქ „უნდა გამოჩნდეს შემდგენლის ნიჭიც, ცოდნაც და გემოვნებაც". რეცენზენტის სიტყვით პირველი ტომის მასალას აკლია რედაქციული დამუშავება, „საჭირო იყო ტექსტისათვის ისეთივე ხასიათის მუშაობის გაწევა, როგორც ეს მეორე წიგნისათვის გაუწევია და დიდის გულმოდგინებითაც ალ. ბარამიძეს" (ჟურნ. „ქართული მწერლობა", 1929, №3, გვ. 115—117. რეცენზია ხელმოწერილია ინიციალებით ვ. კ.).

მალე გამომცემლობა „ფედერაციამ" დამავალა ჯერ გურამიშვილის, ხოლო შემდეგ ბესიკის თხზულებათა გამოცემა. ბესიკის ტექსტის დადგენა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. თანარედაქტორად მოვიწვიე ვარლამ თოფურია. გამოცემას უნდა დართოდა გ. ლეონიძის ნარკვევი ბესიკის შემოქმედებითი ცხოვრების თაობაზე. მე და ვარლამ თოფურიამ დიდი შრომა გავწიეთ და მოვამზადეთ კრიტიკული ტექსტი, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა წინა გამოცემებისაგან. წიგნი აწყობილი იყო მთლიანად და გამოქვეყნებას უც-

დიდა. არ ჩანდა გ. ლეონიძის ნარკვევი. ბოლოს წიგნმა იხილა მზის სინათლე. მას ახლდა გამომცემლობის საგანგებო განცხადება — „ბესიკის აკადემიურ გამოცემას თან უნდა დართოდა გიორგი ლეონიძის მონოგრაფია „ბესიკი და მისი დრო“, რომელიც სიდიდის გამო ცალკე წიგნად გამოდის“.

ბესიკის წიგნი ბაზარზე გაჩნდა 1932 წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში. ჩვენ ოჯახს მაშინ დიდი განსაცდელი დაატყდა თავს. თბილისში მუცლის სახადის ეპიდემია მძვინვარებდა. ერთდროულად სახადით ავად გავხდით შე, ჩემი მეუღლე და ცოლისძმა (ინჟინერი არჩილ ელიაშვილი). განსაკუთრებით მძიმე ფორმის სახადი მე შემხვდა. სამკურნალოდ ყოფილი არამიანცის სახელობის საავადმყოფოში მომათავსეს, როგორც შემდეგ გავიგე, ბესიკის გამოცემას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყოლია...

საავადმყოფოში თავზე დედა შადგა და ის მივლიდა. ცოტათი მომჯობინებული ვიყავი, როცა შევნიშნე, რომ გაზეთში გახვეული სანოვაგე მოეტანათ შინიდან. დედას ვთხოვე გაზეთი წაეკითხა ჩემთვის („სალიტერატურო გაზეთი“ აღმოჩნდა, 1932 წლის 30 ოქტომბრის ნომერი). თავიდან დაიწყე-მეთქი. დედამ სათვალე მოიმარჯვა და კითხვას შეუდგა. დინჯად, გამომეტყველად და მონოტონურად კითხულობდა. აი, ყურში მესმის: „...აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ამ გაშლილი ბრძოლისა, რომელიც ჩატარდა ფედერალიზმის რეციდივების წინააღმდეგ, ამ ბოლო ხანებში ადგილი ჰქონდა მის ცალკე გამოვლენებს (ლ. ასათიანის წერილი „გ. წერეთელზე“). პირადად დანაშაულია როდესაც ბარამიძის ყოვლად უმსგავსო კომენტარებით იცემა კლასიკოსები („ფედერაციის“ გამოცემა „ბესიკი“). გამომცემლობა „ფედერაციამ“ უნდა გარდაქმნას თავისი მუშაობა ცეკას დადგენილების საფუძველზე, შემოიკრიბოს თავის გარშემო კვალიფიციურ მწერალთა კადრი, გამოუშვას იდეურად და მხატვრულად მაღალი ხარისხის ხაწარმოები. ამ მხრივ კი ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა გაკეთებული“... გულმა აჩქარებით დამიწყო ცემა, ბოლმა მომაწვა, დაღლილობა და თავის ტკივილი ვიგრძენი. დედას ვთხოვე კითხვა შეეწყვიტა. თვალები დავხუჭე და კედლისაკენ მივბრუნდი. დიდხანს ვიყავი გარინდებული, მხოლოდ გულის ბაგა-ბუგი მესმოდა. არ ვიცოდი, გაოგნებულმა დედამ გაიგო თუ არა დამოწმებული ნაწყვეტის შინაარსი. მოგვიანებით მხოლოდ ის მკითხა, ასათიანი ვინ არისო. ფეხზე რომ დავდექი და შინ დავბრუნდი, მაშინ გავიგე, რომ „სალიტერატურო

გაზეთის“ იმავე ნომერში დაბეჭდილი ყოფილა ჩემი განმაქიქებელი კიდევ ორი წერილი. ერთია კ. მელაძის „უთავბოლობის ნაყოფი (ბესიკი, გამომც. „ფედერაცია“, 1932)“. კ. მელაძის ვრცელი წერილი გაზეთის მომდევნო ნომერში დასრულდა. კ. მელაძე თავს ესხმის „ბესიკის“ გამოცემას, რეაქციული კრიტიკის გამოცოცხლებად თელის ჩემს ნარკვევს და თავის წერილს ასე ამთავრებს: „ერთი რუსი პოეტის თქმისა არ იყოს, „მკვდრები მისთვის გაცოცხლდნენ, რომ ისინი ხელმეორედ დავასაფლავოთ“. სხვათა შორის, ეს ის მელაძეა, ჩემი ყოფილი მოწაფე, რომელმაც ე. წ. კონდრატიევშჩინის დროს ტრიბუნიდან კლასობრივი ზიზღი გამოუცხადა თავის მასწავლებლებს (მ. ზანდუკელს, ვ. კოტეტიშვილს, ალ. ბარამიძეს...).

მელაძის კრიტიკული შენიშვნის ნიმუშად მოვიტან ერთ მაგალითს. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ანა დედოფალი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ბესიკის პირველი ან ერთადერთი ტრფობის საგანი. ამის გამო კ. მელაძე ქედმაღლურად აცხადებდა „ეგ მარქსიზმი არ არისო“ და გამოძწვევი კილოთი მეკითხებოდა: „რას ნიშნავს, მოქ. ბარამიძევ, იგივე «სევდის ბაღიდან» პოეტის შემდეგი სიტყვები «მეც მომხვდა სოფლის მკვლელი ბრჭყალები». როგორ უნდა გავიგოთ ეს, რომელი «მკვლელი ბრჭყალების» შესახებ ლაპარაკობს ბესიკი?“ კითხვას თვითონვე აძლევდა იქვე პასუხს: „ბესიკი ლაპარაკობს არა ვარდზე და იაზე, როგორც ეს ბარამიძეს და მის მოწმეს დავით რექტორს ჰგონია, «არამედ სოფლის მკვლელ ბრჭყალებში» ბესიკი გულისხმობს იმ ახალ ძალას ს ა ვ ა ჭ რ ო კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს სახით, რომელიც დეგრადაციის და დაშლის გზაზე აყენებდა ფეოდალურ საქართველოს“.

კ. მელაძის უმეცრულმა წერილმა აღმაშფოთა, მაგრამ გული ვერ მატკინა. გული მატკინა მეორე წერილმა, რომელიც გაზეთის პირველ გვერდზეა დაბეჭდილი—„ფედერაციის მუშაობა უნდა გარდაიქმნას“. წერილში აღნიშნულია, რომ შემდგარა საქართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა საბჭოთა მწერლობის აქტივთან ერთად. სხდომას მოუსმენია გამომცემლობა «ფედერაციის» დირექტორის იაკინთე ლისაშვილის მოხსენება და ბესარიონ ჟღენტის თანამოხსენება გამომცემლობა «ფედერაციის» მდგომარეობისა და მისი გარდაქმნისათვის აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ. მოხსენებაში და მოხსენების გარშემო გამართულ კამათში «ფედერაციის» ცუდი მუშაობის ნიმუშად დაუსახელებიათ ბესიკის გამოცემა.

თანდათან მოშჯობინება დამეტყო. ქუჩაში გასეირნებაც შევძელი, მაგრამ გუნება მქონდა გაფუჭებული, გულაცრუებული და გულგატეხილი ვიყავი. მოულოდნელად მდგომარეობა შეიცვალა.

დეკემბრის დასაწყისი იყო (1932 წელია), ტელეფონმა დარეკა თუ შეძლებთ მოსვლას, ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ გიორგი ყურულაშვილს უნდა თქვენი ნახვაო. დაუყოვნებლად ვეახელი. ძალიან თავაზიანად მიმიღო, ჯანმრთელობის ამბავი გამომკითხა. თქვენს შესახებ უსიამოვნო და უსაფუძვლო ხმაური ასტეხესო, მითხრა. ჩვენ ამას ვწუხვართ, გაუგებრობა მოხდაო. თქვენ ალბათ იცით, განაგრძო მან, გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაცხადა, რომ აპირებდა თქვენზე ვრცელი წერილის გამოქვეყნებას. აი, ამ წერილის საკორექტურო ანაბეჭდიო, თქვა, და მთელი საგაზეთო გვერდის სარდაფის ანაწყობი ტექსტი მაჩვენა. ეს წერილი არ დაიბეჭდებაო. ანაბეჭდს ცნობისმოყვარეობით შევავლე თვალი, წაკითხვის ნებართვა არ მითხოვია (გაოგნებული შევყურებდი მასპინძელს), ოღონდ ხელის მოწერას კი დავაკვირდი, კოლექტიური იყო, ხუთი კაცი აწერდა ხელს. რაც მოხდა, დაივიწყეთ, ისევ განაგრძო ყურულაშვილმა. მე უკვე გავაფრთხილე გამომცემლობა „ფედერაცია“, მიბრძანდით ამხ. იაკინთე ლისაშვილთან, ხელშეკრულებას დაგიდებს; რომელ ავტორსაც ისურვებთ, იძის ნაწერებს გამოსცემენ დაუბრკოლებლად. საერთოდ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენს მუშაობაში ხელი არ შეგეშლებათ, დაამთავრა საუბარი. ახლა კარგად აღარ მახსოვს, მგონი მადლობის გადახდაც ვერ მოვახერხე, სასწრაფოდ გამოვემშვიდობე და გახარებულმა დავტოვე მისი კაბინეტი. მეორე თუ მესამე დღეს ვეწვიე იაკინთე ლისაშვილს. ის მართლაც გაფრთხილებული აღმოჩნდა. რის გამოცემას აპირებო, მკითხა. მე ვოცნებობდი თეიმურაზ პირველის ნაწერების გამოცემაზე. თეიმურაზის შესახებ მქონდა სადიპლომო შრომა. თეიმურაზის თარგმანებს სწავლობდა ჩემი მეგობარი გიორგი ჯაკობია. გეგმები მას გავაცანი. შევამხანაგდით, გატაცებით შევუდექით საქმეს და უკვე 1934 წელს მკითხველმა საზოგადოებამ ხილი თეიმურაზ პირველის თხზულებათა კრებული, მშვენივრად გაფორმებული ლადო გრიგოლიას მიერ.

გიორგი ყურულაშვილს უწინ შორიდან ვიცნობდი. ის იყო პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე, მე მაშინ საქმეთა მმართველად ვმსახურობდი განათლების მუშაკთა კავშირში. შემდეგ გ. ყურულაშვილი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივ-

ნად აირჩიეს კულტურის დარგში. კარგა ხანს ჟურნალ „მნათობს“ რედაქტორობდა. ამბობდნენ, რომ მწერლებთან კარგი ურთიერთობა აქვსო. მე არ ვიცი, როგორ დაინტერესდა გ. ყურულაშვილი ჩემი საკითხით. შესაძლებელია გარკვეული როლი შეასრულა სიმონ ხუნდაძემ ან იოსებ გრიშაშვილმა. იმ დროს ბევრი გამამხნევებელი წერილი მომდიოდა. კერძოდ, იოსებ გრიშაშვილი მწერდა კისლოვოდსკიდან: „ბესიკზე პირისპირ მოგელაპარაკები. ერთ პროლ. კრიტიკოსს სახელგამში ბურთი ჩავჩარე. სხვა? მორიგი გამარჯვება რა იქნება?... იმუშავე და «დუშმანთა ლაყბობას» განზე გაუარე“. მე ვერასოდეს ვერ დავივიწყებ გიორგი ყურულაშვილის კარგ კაცობას და ჩემდამი გაწეულ სამაგალითო ამაგს[1].

ახლა მუშტრის თვალით რომ გადავიკითხე ბესიკის 1932 წლის გამოცემა, ბევრი რამე არ მომეწონა. ჩემი ნარკვევი ღელარჭნილი სტილითაა დაწერილი, ორიოდე შეუფერებელი გამოთქმაა გაპარული, ზოგი რამე დასაზუსტებელი და გასასწორებელია[1], მაგრამ ეს გამოცემა წინა გამოცემებთან შედარებით მნიშვნელოვნად წინ წადგმული ნაბიჯი იყო ბესიკის ლიტერატურული მემკვიდრეობისა და შემოქმედებითი ცხოვრების შესწავლის თვალსაზრისით. ეს ვერ შეამჩნიეს (ან განზრახ ძიჩქმალეს) სუბიექტივიზმის სულისკვეთებით გამსჭვალულმა რეცენზენტებმა. თუ არა გ. ყურულაშვილის ჩარევა ამ საქმეში, ვინ იცის, რა შედეგს მოიტახდა რეცენზენტების გამოხდომები.

ეს მოგონება შეიძლება ერთგვარ გაკვეთილად გამოადგეს ზოგ ვინმე მეცნიერსა თუ ლიტერატორს.

ბ) ფირდოუსის იუბილე

1932 წლის ძლიერი სულიერი ტრავმა ერთგვარად მომიშუშა, ყოველ შეძთხვევაში სულიერი ტკივილები შემიმსუბუქა თეიმურაზ

---

[1] სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ 1933 წლის ნოემბერში „ფედერაციის“ დირექტორმა მწერალმა ი. ლისაშვილმა დაბეჭდა წერილი „ფედერაცია“ ოქტომბრის 16 წლის თავზე („ლიტერატურო გაზეთი“, 25. XI. 33). „ფედერაციის“ მიღწევათა შორის ი. ლისაშვილი ასახელებდა ბესიკის აკადემიურ გამოცემას „ახალგაზრდა ლიტერატურის მკვლევარის ალ. ბარამიძის რედაქციით და მონოგრაფიით“.

[1] ბესიკის შევსებულ-შესწორებული გამოცემა ჩემი და ვარლამ თოფურიას რედაქციით დაიბეჭდა 1962 წელს.

პირველის თხზულებათა გამოცემისათვის დაწყებულმა მუშაობამ. ჩვენ, მე და გიორგი ჯაკობია, შედარებით კარგად ვიცნობდით თეიმურაზის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებს (გ. ჯაკობიას გამოცემული ჰქონდა თეიმურაზის „იოსებ-ზილიხანიანი"). ჩვენს განკარგულებაში იყო თეიმურაზის მთელი ხელნაწერი მემკვიდრეობა (მე საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის მცველი ვიყავი). სისტემური და ისტორიული შრომის შედეგად 1933 წლის სექტემბერში წიგნი (ტექსტი, გამოკვლევა, შენიშვნები) მზად გვქონდა და წარმოებას გადავეცით. იმავე წლის 5 ნოემბერს თეიმურაზ პირველის შემოქმედების შესახებ მოხსენება წავიკითხე ენისა და ლიტერატურის ახლად დაარსებულ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში (ეს იყო ინსტიტუტის ლიტერატურის სექციაში წაკითხული პირველი მოხსენება). 1934 წლის მაისში „თეიმურაზ პირველი" სტამბიდან გამოვიდა. მკითხველმა და ლიტერატურულმა საზოგადოებამ იგი კარგად მიიღო. ეს იყო ჩემი, როგორც ლიტერატურის მკვლევრისა და ტექსტოლოგის, თავისებური რეაბილიტაცია.

1933 წლის ბოლოს თუ 1934 წლის დასაწყისში ცნობილი გახდა, რომ მთელი კულტურული კაცობრიობა აპირებდა 1934 წელს აღენიშნა დიდი ირანელი პოეტის ფირდოუსის დაბადების მეათასე წელი. ეს იყო დიდი პოეტის პირველი საერთაშორისო იუბილე. საბჭოთა კავშირი შეუდგა საიუბილეო სამზადისს (1934 წლის ოქტომბერში თეირანში დანიშნული იყო საერთაშორისო კონგრესი, რომელიც ფირდოუსს ეძღვნებოდა). საბჭოთა კავშირის ხალხებიდან ტაჯიკების შემდეგ პირველი სიტყვა ქართველებს ეკუთვნოდა. ქართულად შემონახულია ფირდოუსის განთქმული პოემის „შაჰნამესა" და მისი ციკლის თხზულებათა ძველი თარგმანები. უკვე 1916 წელს იუსტინე აბულაძემ გამოაქვეყნა „შაჰნამეს" ქართული ვერსიების პირველი მოხუმენტური ტომი. პარტიისა და მთავრობის დადგენილებით გადაწყდა საქართველოში ფართოდ აღნიშნულიყო ფირდოუსის იუბილე. შეიქმნა საიუბილეო სამუშაო კომისია უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ ლევან აღნიაშვილის ხელმძღვანელობით. შემუშავდა გეგმა. სექტემბრისათვის უნდა გამოცემულიყო „შაჰნამეს" ქართული ვერსიების მეორე ტომი და მონოგრაფიული ნარკვევი ფირდოუსის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. გეგმა ითვალისწინებდა აგრეთვე საქართველოს მუზეუმში გამოფენის მოწყობას, ხოლო უნივერსიტეტში

სამეცნიერო სესიის ჩატარებას. საიუბილეო დღეებს დააგვირგვინებდა საზეიმო სხდომა.

საქმე საშური იყო. სამკალი ბევრი ჩანდა, მომკალი კი ცოტა. „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების ტექსტის შომზადება დაევალა კოლეგიას (იუსტ. აბულაძე, ალ. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, ა. შანიძე), მონოგრაფიის დაწერა — ამ სტრიქონების ავტორს, გამოფენის მოწყობა — პ. ინგოროყვას და მე.

საქმეს ბეჯითად შევუდექით. „შაჰნამეს“ საკითხებში გაწაფული ვიყავი. ჩემი პირველი ხაშრომი, რომელიც 1927 წელს გამოქვეყნდა, „შაჰნამეს“ ქართულ ვერსიებს მიეძღვნა. შემდეგაც განვაგრძობდი კვლევაძიებას. იმ დროისათვის მოპოვებული მქონდა „შაჰნამეს“ ქართული თარგმანის ძახაძდის უცნობი პროზაული ტექსტის მოზრდილი ფრაგმენტი, „შაჰნამეს“ ვიცნობდი სპარსულ დედანშიც. ყოველივე ამან ხელი შემიწყო მუშაობა დამეჩქარებინა. გამოსაცემი ტექსტის საჩემო ნაწილი წარმოებას დროზე გადავეცი. ივნისის ბოლოს გამოვიდა ჩემი ნარკვევიც „ფირდოუსი და მისი შაჰნამე“ (თბილისი, 1934, გვ 55). ძოსაგვარებელი მრჩებოდა გაშოფენის საქმე, ამის გარდა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებიდან დაკვეთილი მქონდა წერილები.

ივლისის მეორე ნახევარში ცოტა ხნით ქვიშხეთში წავედი. იქ მყავდა ცოლ-შვილი. ორიოდე დღის ჩასული ვიყავი, რომ პოეტი ალექსანდრე აბაშელი მეწვია, მალაქია ტოროშელიძე გკითხულობს, სასწრაფოდ თბილისში უნდა დაბრუნდეო (მ. ტოროშელიძე მაშინ იყო სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი). რაღა გაეწყობოდა. გავემგზავრე თბილისში და ბინაზე ვეახელი ბ-ნ მალაქიას. მან ვრცლად მიამბო მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის სამზადისის ვითარება. გამაცნო ი. სტალინთან საუბრის შინაარსი და ქართული მწერლობის თაობაზე მომავალი მოხსენების ხასიათი, მთხოვა მონაწილეობა მიმეღო ამ საშვილიშვილო საქმეში და დამეწერა XV—XVIII საუკუნეების ქართული მწერლობის მიმოხილვა. მთავარი ყურადღება უნდა დათმობოდა სულხან-საბა ორბელიანს, დავით გურამიშვილსა და ბესიკს. რასაკვირველია, დავალება ვიკისრე და დათქმულ ვადაში ჩავაბარე. ამის თაობაზე აქ ვრცლად აღარ ვლაპარაკობ, რადგანაც მას საკმარისი სისრულით აშუქებს ბესო ჟღენტი — „დიდი ერთიანობის ყრილობა“ (ლიტერატურული საქართველო, 30. VIII. 74; — «Съезд великого единства» — журн. «Литературная Грузия», IX, 1974). ოღონდ დავურთავ, რომ მ. ტოროშელიძემ გამომკით-

ხა ფირდოუსის იუბილეს სამზადისის ვითარება. ეს საკითხი პირადად ი. სტალინს აინტერესებსო.

მწერალთა კავშირის ყრილობა დამთავრებული არ იყო, რომ გაჩოქვეყხდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება (20 აგვისტოს თარიღით) შოთა რუსთველის იუბილეს თაობაზე. დადგენილება ხაზს უსვამდა ვეფხისტყაოსნის უდიდეს ეროვნულსა და საერთაშორისო მნიშვნელობას. დადგენილებაში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „ვეფხისტყაოსანი წარმოადგენს პოეტური შემოქმედების იმ ჯერ კიდევ მიუწვდომელ მწვერვალს, რომელზეც უნდა სწავლობდეს საქართველოს თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურაც".

ამ დადგენილებამ ჩვენი ინტელიგენციის, მთელი ჩვენი ხალხის არაჩვეულებრივი აღტყინება და სულიერი აღმავლობა გამოიწვია. ვეფხისტყაოსანი ხომ ჩვენი სულიერი კულტურის ის ფასდაუდებელი განძია, რომელსაც მთელმა ქართველმა ერმა „შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თვისნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი" და რომლითაც ქართველობას თავი მოაქვს და სამართლიანად ამაყობს (ილია ჭავჭავაძე). ამისდა მიუხედავად, სხვადასხვა მიზეზის გამო ვეფხისტყაოსანი ერთგვარად ჩრდილში იყო მოქცეული. ახლა ერთბაშად მისი სამაგალითო ღირსება აღიარა საბჭოთა კავშირის მწერალთა უმაღლესმა ფორუმმა და დააგვირგვინა ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ. ჩვენს სიხარულსა და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. მე ასე მეჩვენება, რომ ფირდოუსის იუბილემაც მისცა ერთგვარი ბიძგი რუსთველის ღირსებათა წინ წამოწევას და ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების გამოტანას. მაგრამ, ასეა თუ ისე, დადგენილებამ ახალი, მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო საზრუნავი გაგვიჩინა. იმ მრავალ ღონისძიებათაგან, რასაც დადგენილება ითვალისწინებდა, მთავარი მაინც ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის მომზადება და გამოცემა იყო, რაც ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტს ეკისრებოდა.

ჯერ ფირდოუსის იუბილე გვქონდა კარზე მომდგარი. ჟურნალ-გაზეთების რედაქციები გასაქანს არ გვაძლევდა. ძალიან გვშველოდა იური (გიორგი) მარი, ჩინებული ირანისტი და ფირდოუსის შემოქმედების საუკეთესო მცოდნე. მაგრამ იგი მძიმედ ავად იყო და აბასთუმანში ცხოვრობდა. ამასთან იური თუმცა ფართოდ განსწავლული

ძკვლევარი იყო სპარსული მწერლობისა, ქართული მწერლობის საკითხებში ისე თავისუფლად ვერ გრძნობდა თავს. ავადმყოფობის მიუხედავად, იური მარმა ბევრი წერილი დაბეჭდა ფირდოუსის შესახებ თბილისის რუსულ პრესაში. განმაცვიფრებელი იყო ამ ავადმყოფი კაცის შრომითი ენერგია, შეუპოვრობა და თავგამოდება.

ფირდოუსის იუბილეს გამო საბჭოთა კავშირში სტუმრად ჩამოვიდა სახელგანთქმული სპარსელი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე საიდ ნაფისი.

13 სექტემბერს საქართველოს მუზეუმის შენობაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ფირდოუსის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა. შეკრებილ საზოგადოებას მხურვალედ მიესალმა ირანელი სტუმარი. 14 სექტემბერს ორჯონიკიძის სახელობის საზაფხულო კლუბში (ყოფილ ბუბუტაიძის) გაიმართა საიუბილეო-საზეიმო სხდომა. სხდომა ვრცელი შესავალი სიტყვით გახსნა ამიერკავკასიისა და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ფილიპე მახარაძემ. სიტყვები წარმოსთქვეს საიდ ნაფისიმ, კ. კეკელიძემ, შ. ნუცუბიძემ და ა. შანიძემ. ირანის საკონსულომ მოაწყო მიღება. 16 სექტემბერს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სპეციალური სამეცნიერო სესია. საიდ ნაფისის შეხვედრები ჰქონდა მწერალთა კავშირში და სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ფილიპე მახარაძემ აგვისტოს ბოლოს გაიგო, რომ მას ევალებოდა ფირდოუსის საიუბილეო სხდომის გახსნა და შესავალი სიტყვის წარმოთქმა. თავისთან მიმიხმო მთავრობის სასახლეში საკონსულტაციოდ. გამომიტყდა, რომ დავალება მოულოდნელად დაატყდა თავს და მთხოვა დავხმარებოდი საჭირო ლიტერატურით. მივართვი ჩემი ბროშურა და ზოგი სხვა წყაროც (აბულაძის, კეკელიძის, მარის, კრიმსკის შრომები) შევაძენინე. ამ მასალების საფუძველზე საკმაოდ კვალიფიციური სიტყვა მოამზადა (ამ სიტყვის ტექსტი ალბათ არქივში იქნება დაცული, ტექსტი მე პირადად წინასწარ გამაცნო).

ფირდოუსის იუბილე შაღალ დონეზე ჩატარდა. გვიან შემოდგომაზე ჩვენი გამოფენა დაათვალიერა საბჭოთა კავშირის განათლების სახალხო კომისარმა ბუბნოვმა და მოითხოვა მისი მოსკოვში გადატანა. მე და პ. ინგოროყვას სასწრაფოდ მოგვიხდა გამოფენის კატალოგიის შედგენა ქართულსა და რუსულ ენებზე. 1935 წლის დასაწყისში გამოფენა ექსპონირებული იქნა მოსკოვში, აღმოსავლეთის ხელოვნების მუზეუმში, კატალოგი კი ბეჭდურად გამოქვეყნდა.

ფირდოუსის იუბილესადმი მიძღვნილ კონგრესზე თეირანში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის დელეგაცია. დელეგაციაში შევიდა იური მარიც. მას მოხსენება უნდა წაეკითხა „შაჰნამეს“ პოეტური მეტრის მუთაყარიბის შესახებ. იური დაგვპირდა, რომ კონგრესზე გამოაქვეყნებდა მასალას „შაჰნამეს“ ქართულ ვერსიებზე. ამისათვის მომიხდა პატარა, მაგრამ ტევადი, შემაჯამებელი ხასიათის ნარკვევის მომზადება ფრანგულ ენაზე „ფირდოუსის შაჰნამე ქართულ მწერლობაში“. ტექსტი დაიბეჭდა თბილისში ქართულად (მნათობი, 1934, №9) და ფრანგულად (საქართველოს მუზეუმის მოამბე, IX—B, 1936). სამწუხაროდ ი. მარმა ვერ შეძლო ჩემი ნარკვევის გამოქვეყნება[1].

ფირდოუსის იუბილესთან დაკავშირებით უნდა მოეიგონო ერთი კურიოზული ფაქტი. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ სიტყვა მისცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ დათქმულ ვადაში გამოსცემდა „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების წიგნს. ამ წიგნს უნდა დაემშვენებინა ფირდოუსის გამოფენა, რომელიც 13 სექტემბერს იხსნებოდა. წიგნზე მომუშავე კოლექტივმა და სტამბამ სიტყვა შეასრულეს, საუცხოო ყდაში ჩასმული ქართული „შაჰნამეს“ პირველი ეგზემპლარები უკვე მზად იყო. ლევან აღნიაშვილმა გადმომცა დაბეჭდილი წიგნის ორი ცალი და მთხოვა მიმეტანა ცენტრალურ კომიტეტში პეტრე აღნიაშვილთან (პეტრე აღნიაშვილი ლევანის ძმა იყო, ცეკას მეორე მდივანი). მეგზურად გამატანა განათლების სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკი შ. ს-ძე, ალექსანდრეს წაჰყევი, საშვებზე რაიმე დაბრკოლება არ შეხვდესო. ცეკას შენობის შესავალ კარებს რომ მივადექით (რუსთაველის პროს-

---

[1] თავის გამოუქვეყნებელ მოხსენებაში ი. მარი წერს: „Перед отъездом я получил от доцента А. Барамидзе грузинский и французский текст: резюме докладов оглашенных на торжественном заседании Госунта. Я посоветовался с остальными товарищами по делегации (გარდა მარისა დელეგაციაში შედიოდნენ ი. ორბელი, ბერტელსი, ფრეიმანი, რომასკევიჩი, ბოლოტნიკოვი— დელეგაციის ხელმძღვანელი) и было признано, независимо от большой трудности получить лишнее время на выступление, неудобным зачитывать это резюме на конгрессе, ввиду того, что обещанные подарки Грузии—грузинские версии Шахнаме, о которых знали несколько представителей конгресса, получены не были. Грузинский же текст я отправил И. А. Орбели в Ленинград для всесоюзной сводки о проведении торжеств. Эту сводку предположено издать по французски и английски и отправить в Англию и Париж на торжество».

პექტზე ახლა რომ კულტურის სამინისტროა), ჩემმა მხლებელმა მითხრა, თქვენი შეწუხება არ ღირს, საშვების მიღება რთულია, წიგნებს სამდივნოს ჩავაბარებ დანიშნულებისამებრ. გადასაცემადო. მე გულუბრყვილობა გამოვიჩინე და შემოთავაზებულ წინადადებას დაკეთანხმე. მეორე დღეს რექტორმა დიდი საყვედური მითხრა. წიგნების გაგზავნას ჩვენც როგორმე მოვახერხებდით, შე მინდოდაო, რომ თქვენ, უნივერსიტეტის ახალგაზრდა დოცენტი და წიგნზე მომუშავე პირი, პირადად ხლებოდით ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას უნივერსიტეტის სახელით მოგეხსენებინათ („გეპატაკათ") პირობის შესრულება. თქვენ შეცდომაში შეგიყვანათ შ. ს-ძემ, რისთვისაც ის კარგად დავტუქსეო.

ლევან აღნიაშვილი ძაინც კმაყოფილი იყო ჩემი მუშაობით და ორთვიანი სამეცნიერო მივლინებით დამაჯილდოვა (მაშინ სამეცნიერო მივლინება ი'შვიათი ხილი იყო, მივლინების ნივთიერი მხარე კი სახარბიელო). ნოემბერ-დეკემბერი ლენინგრადსა და მოსკოვში გავატარე, დრო კარგად გამოვიყენე და ბევრი საინტერესო მასალა მოვიპოვე. ნოემბრის შუა რიცხვებში თეირანიდან ახლად დაბრუნებულმა იოსებ ორბელმა ფირდოუსის საიუბილეო დღესასწაულის შესახებ მოხსენება წაკითხა ლენინგრადის მეცნიერთა სახლში ხალტურინის ქუჩაზე. მოხსენებას მეც დავესწარი, დამსწრე საზოგადოებას მოკლედ გავაცანი, თუ როგორ ჩატარდა ფირდოუსის დღეები საქართველოში და მომხსენებელს მივართვი ჩვენი „შაჰნამე" და ჩემი პატარა წიგნი. მომხსენებელიც და აუდიტორიაც თბილად შეხვდა ჩემს გამოსვლას. შადლობის ნიშნად იოსებ ორბელმა მეორე დღისათვის ერმიტაჟში ძიძიწვია (ორბელი იყო სახელმწიფო ერმიტაჟის დირექტორი). დანიშნულ დროს ვეახლე. მახლდნენ მეუღლე და პროფესორი ვარლამ დონდუა. ორბელმა ხალისიანად მიგვიღო თავის კაბინეტში, ბევრი გვეშუსაიფა, ჩაით გაგვიმასპინძლდა და შემოგვთავაზა დაგვეთვალიერებინა ერმიტაჟის „სარდაფები". ბევრი რამ საოცრება ვნახეთ იქ (გიდად მიჩენილი გვყავდა პროფესორი ტრეველი), მათ შორის რომანოვების უმდიდრესი სამეფო განძი, კერძოდ, გვიჩვენეს გრიბოედოვის სისხლის საფასურად შაჰისაგან მიღებული საარაკო სიდიდის ბრილიანტი. კიდევ ბევრი, ბევრი უნიკალური მხატვრული ნივთი ვიხილეთ და ძლიერ კმაყოფილებმა დავტოვეთ ერმიტაჟის ზღაპრული „სარდაფები". ვარლამ დონდუა ხუმრობდა, მგონი ქართველთაგან ეს „სარდაფები" დღემდის არავის უნახავსო.

იოსებ ორბელს ამის შემდეგ მოგვიანებით შევხვდი ერევანში, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესიაზე. სესიამ საორგანიზაციო საკითხებიც განიხილა და აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩია მწერალი დერენიკ დემირჭიანი (აკადემიის წევრი უკვე იყო პოეტი ავეტიქ ისააკიანი). ჩვეულებისამებრ გაიმართა ბანკეტი. განრიგის მიხედვით მეც მომცეს სიტყვა. ვისარგებლე შემთხვევით და დერენიკ დემირჭიანის არჩევა დავუკავშირე დიდი სომხური მწერლობის აწინდელ წარმატებებს, ცოტა რამ ვთქვი სომხური მწერლობის დიდ ტრადიციებზე, პირველად, რასაკვირველია, ღირსებისამებრ მოვიხსენიე გრიგოლ ნარეკელი. სიტყვა დავასრულე სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მწერლების სადღეგრძელოთი. თასი დავცალე, სკამზე დავეშვი. სხეული დავასვენე და რაღაც შინაგანი შვება კიგრძენი, რომ ჩემი მოვალეობა შევასრულე. გვერდით მისხდნენ რაფიელ აგლაძე და ილია აბულაძე, ჟესტით მანიშნეს, რომ გამოსვლა მომიწონეს და გამახარეს. ერთგვარ ბურანში ვიყავი, რომ ვიღაცამ მძლავრი მკლავები მომხვია, მიმიზიდა, ყურისძირში შეამბორა, დიდი წვერ-ულვაშის შარი-შურიც ვიგრძენი. უკან რომ მოვიხედე, შევიცანი, იოსებ ორბელი იყო, მოძმესალძა, მომიალერსა. თქვენმა სიტყვამ გამახარაო, მითხრა. ვინ, თუ არა, ქართველი კაცი და ძველი მწერლობის მკვლევარი მოიგონებდაო ამ სუფრაზე ჩემს სათაყვანებელ პოეტს გრიგოლ ნარეკელსო. ნარეკელი ხომ სომხებისათვის იგივეა, რაც ქართველებისათვის რუსთველიო. შადლობა მითხრა, კიდევ გადამეხვია და წავიდა (ისიც ნასვამი ჩანდა და ამიტომაც უაღრესად გულწრფელი იყო). რაფიელ აგლაძე და ილია აბულაძე გაკვირვებული უყურებდნენ ამ სცენას. იოსებ ორბელი მეტი აღარ მინახავს.

1934 წელმა და, კერძოდ, ფირდოუსის იუბილემ დიდი როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში. სხვაგან დაწვრილებით ვამბობ, მაგრამ გაკვრით აქაც უნდა აღვნიშნო, რომ 1933/1934 სასწავლო წელს ისევ აღდგა თბილისის უნივერსიტეტი. ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენი ერის კულტურის ისტორიაში და დიდი გამოძახილიც ჰქონდა ჩვენს მოაზროვნე საზოგადოებაში. უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა განათლებული და განსწავლული მეცნიერი, ფართო ეროვნულ-საზოგადოებრივი ინტერესების პატრონი, ენერგიული, შრომისმოყვარე და ჰუმანური კაცი — ლევან აღნიაშვილი. აღნიაშვილის თაოსნობით უნივერსიტეტთან შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ცენტრი, რომელსაც ჯერ ენისა და ლიტერატურის ინს-

ტიტუტი ეწოდებოდა, ხოლო შემდეგ მისი საქმიანობა გაფართოვდა და ფაქტობრივად მოიცვა ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების ყველა დარგი და შეერქვა „ელხი“ (ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების ინსტიტუტი). „ელხს“ ჰქონდა თავისი საკუთარი ორგახო „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, რომლის მხოლოდ პირველი ტომი დაიბეჭდა 1935 წელს. იქ გამოქვეყნდა ჩემი ორი წერილი („ფირდოუსი“ და „შაჰ-ნამეს ახლად აღმოჩენილი ქართული პროზაული ვერსია“). „ლიტერატურული მემკვიდრეობის“ ფაქტობრივი რედაქტორი იყო გიორგი ლეონიძე.

1934 წელი მიიწურა. დამთავრდა ფირდოუსის ეპოპეა და დაიწყო ცხარე დისკუსია ვეფხისტყაოსნის ახალი (ცინცაძისეული) გამოცემის გარშემო. წინ დიდი ამბები გველოდა...

ბ) ქილილა და დამანა

1919 წლის შემოდგომა იყო. ხაშურის გიმნაზიის VIII კლასის მოწაფე ვიყავი. ქართულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა კონსტანტინე (კოტე) გეგელიძე. ქართულის მასწავლებელი გვიყვარდა. მის გაკვეთილებს არ ვაცდენდით და ყოველთვის ყურადღებით ვუსმენდით. ერთხელ კ. გეგელიძე სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ საკითხებს გვიხსნიდა. თხზულების გარჩევა რომ დაამთავრა, პორტფელიდან დიდი წიგნი ამოიღო, საბა ორბელიანის ნათარგმნია ვახტანგ მეექვსესთან ერთადო, „ქილილა და დამანა“ ჰქვიაო. ეს იყო და ეს. ძალიან დამაინტერესა წიგნის ამ უცხო ეგზოტიკურმა სათაურმა. მაშინ სახელმძღვანელოდ გვქონდა სერგი გორგაძის „ჩვენი ძველი მწერლობა“-იქ ძალიან ცოტა რამ ვიპოვე „ქილილა და დამანას“ შესახებ. გადავიკითხე ალ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია“. იქ შედარებით უფრო საფუძვლიანი ცნობები აღმოჩნდა. მასწავლებელმა კ. გეგელიძემ მათხოვა „ქილილა და დამანას“ წიგნი. შევუდექი კითხვას, მაგრამ ვაი ამ კითხვას! თითქმის ვერაფერი გავიგე, ძალიან მძიმედ მომეჩვენა მისი ენა, თურმე მართალი ვიყავი. ცნობილი ირანისტი ევგენი ბერტელსი ასე ახასიათებს „ქილილა და დამანას“ ენასა და სტილს: «...цветиста и вычурна до последней степени, запутанные периоды, пересыпанные стихами разных авторов, арабскими поговорками, цитатами из Корана и т. д., могут довести до отчаяния самого те-

рпеливого читателя, ибо бездна заключенных в ней премудростей и ученых намеков не может быть понята без обширного комментария». სტუდენტობის დროსაც მხედველობიდან არ გამომრჩენია „ქილილა და დამანა“, ვაპირებდი ლიტერატურულ წრეში წამეკითხა მოხსენება, მაგრამ ვერ გავბედე. თითქოს საგანგებოდ, სახელმწიფო გამოცდაზეც „ქილილა და დამანა“ შემხვდა. ეს იყო 1925 წლის მაისი თუ ივნისი. გამოცდებს ვაბარებდით ოთხნი (კატო ბერიძე, ვერა ბარდაველიძე, Saვლე აბულაძე და მე). საგამოცდო კომისიაში იყვნენ გიორგი ახვლედიანი (თავმჯდომარე), კორნელი კეკელიძე და აკაკი შანიძე. გამოცდებისათვის კარგად ვიყავით მომზადებული. გიორგი ახვლედიანმა პასუხი მომიწონა, „ქილილა და დამანას“ საკითხში ახალი სიტყვა ბ-ნ კორნელის ეკუთვნისო თქვა და ჩვენ მთავარ გამომცდელს გადახედა. ბ-ნ კორნელის ბაგეებზე ღიმი დაეტყო. აბა, რა ვიცი, საკითხი მეტად რთულიაო, ჩაილაპარაკა. ამან კიდევ უფრო გააღიზიანა ჩემი ცნობისმოყვარეობა. შეუცნობლად ვგრძნობდი, რომ ეს თემა იყო ჩემი წერა.

1925 წლის შემოდგომიდან უნივერსიტეტში დამტოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად. იმთავითვე გადავწყვიტე საფუძვლიანად შემესწავლა სპარსული მწერლობა და სპარსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხების კვლევა-ძიებას შევდგომოდი. თავდაპირველად „ვისრამიანსა“ და „შაჰნამეს“ ჩავუჯექი. პარალელურად ვეცნობოდი ლიტერატურას „ქილილა და დამანას“ გარშემო. ვცადე სპარსული დედხის, „ქილილა და დამანას“ „ანვარი სოჰაილის“ რედაქციის კითხვაც. დიდი სიძნელეები შემხვდა, მაგრამ უკან არ დავიხიე. ჩემთვის ვინიშნავდი ქართულ-სპარსული ტექსტების პირველი შეჯერების შედეგებს. ამ შედეგებმა ძლიერ გამიტაცა. დავეწაფე ქართულ ხელნაწერებსაც. აქაც ბევრი რამ ახალი და საყურადღებო ვიპოვე. გადავწყვიტე შევჭიდებოდი ამ ლიტერატურულ კოლოსს. განსაკუთრებით რთული და დახლართული ჩანდა მისი ქართული ვერსიების ისტორია. პროფ. კ. კეკელიძე ამის თაობაზე წერს: „ქართულ ენაზე ნათარგმნ არც ერთ თხზულებას ისეთი რთული ისტორია არა აქვს, როგორც იგავ-არაკთა იმ კრებულს, რომელსაც „ქილილა და დამანა“ ეწოდება“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 462). წინასწარი შედეგები და გუმანი გავაცანი ჩემს ხელმძღვანელებს — კორნელი კეკელიძეს (ხელმძღვანელობას მიწევდა სპეციალურ საგანში, ძველ ქართულ საერო მწერლობაში) და აკაკი შანიძეს (მასწავლიდა ძველ ქართულ ენასა და არაბულს). მომიწონეს. აკაკი

შანიძემ დამისახელა ლენინგრადის საარხიო მუზეუმის ერთი ხელნაწერი, რომელმაც შემდეგ განსაკუთრებით დიდი დახმარება გამიწია. ეს ხელნაწერი კ. კეკელიძემ ლენინგრადიდან გამომიწერა (კ. კეკელიძე იყო უნივერსიტეტის პრორექტორი). იგი რამდენიმე თვე ჩემს განკარგულებაში იყო. ხანგრძლივი, სისტემური და ნამდვილად გატაცებული მუშაობის ნაყოფი ხელთ მქონდა: 1929 წლის 12 აპრილსა და ნოემბრის მიწურულში მოხსენებით გამოვედი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომებზე. სხვაგან უკვე აღნიშნული მაქვს, რომ ივანე ჯავახიშვილმა და აკაკი შანიძემ მირჩიეს ეს გამოკვლევა სადისერტაციოდ წარმედგინა. საბოლოო სიტყვა ბ-ნ კორნელის ეკუთვნოდა. დიდი ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე წერილით შევსიტყვებოდი. ჩემს არქივში შემონახულია ჩემი მაშინდელი წერილის პირი. ძოძაქვს ძისი ტექსტი მთლიანად და უცვლელად:

დ´დ პატივცემულო ბ-ნო კორნელი!

დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ ბარათით მოგმართავთ, მაგრამ ზეპირ, პირადად ვერ გაგიბედეთ მომეხსენებინა ის, რასაც წერილობით ვახერხებ. იქნებ თვით მომართვის ფაქტიც კადნიერი თავხედობის ნაყოფი იყოს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ამ შემთხვევაშიც მაპატიებთ.

მოკლედ, საქმე შემდეგშია: ჩემს უკანასკნელ მოხსენებასთან („ანვარი სოჰაილის ქართული ვერსიები") დაკავშირებით პროფესორებმა ა. შანიძემ და ივ. ჯავახიშვილმა მირჩიეს აღნიშნული შრომა საკვალიფიკაციოდ (სადისერტაციოდ) წარმომედგინა. რასაკვირველია, პატივცემული პროფესორების აზრს ჩემთვის დიდი მორალური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ცხადია, გადამწყვეტი ღირებულება ჩემთვის ექნება მხოლოდ თქვენს პირადს შეხედულებას ამ საკითხზე. და ჩემი კადნიერებაც სწორედ ამ მიზეზით არის გამოწვეული. მგონი ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ, თუ არ ზევით აღნიშნული გარეშოება, ამ ნაბიჯს ვერასოდეს გავბედავდი რომ გადამედგა.

უკვე მეხუთე წელია, რაც მე სპეციალური ხასიათის მუშაობას ვეწევი და დიდად სასურველი კი იქნებოდა ჩემთვის ერთგვარი ფორმალური ვალდებულების დროული შესრულება. სამ-

წუხაროდ, ე. წ. ზეპირი გამოცდები ამდენს ხანს ვერ მოხერხდა და არც რაიმე პერსპექტივები ჩანს ამ მხრივ მომავლისათვის.

ყოველივე ამის გამო, თუ ფორმალურად შესაძლებელი იქნებოდა წერილობითი შრომის ოფიციალური წარმოდგენა და ამ შემთხვევისათვის თქვენი დასტური მექნებოდა, მე პირადად ამისი დიდი მთხოვნელი ვიქნებოდი.

მარად თქვენი ალ. ბარამიძე

I.XII.29.

წერილი ბ-ნ კორნელის ჩავუგზავნე სიძველეთსაცავიდან (უნივერსიტეტის მესამე სართულზე რომ იყო მოთავსებული), ამ სიძველეთსაცავის ტექნიკური თანამშრომლის ვერა მარიამულის ხელით. ბ-ნ კორნელის, უნივერსიტეტის პრორექტორის, კაბინეტი პირველ სართულზე იყო, ახლა რომ რექტორატია იქ. წერილის გაცნობისთანავე ბ-ხმა კორხელიმ ძიხმო. დაუყოვნებლივ ვეახელი. კაბინეტის კარები შევაღე, მაგრამ ფეხები უკან მრჩებოდა. ბ-ნი კორნელი ძალზე აღელვებული დამხვდა. გამალებული სცემდა ბოლთას თავის პატარა კაბინეტში. ერთ მომენტში შემომხედა, შეჩერდა. „ეს რა დაგიწერიაო", მითხრა წყრომით და ჩემი ბარათი მიჩვენა. „რა გამოდის, — განაგრძო, — თქვენზე, თურმე ს ხ ვ ე ბ ი ფიქრობენ და ზრუნავენ („სხვები" გაძოყოფილად და ხაზგასმულად წარმოთქვა), მე კი თურმე ყურადღებას არ გაქცევთ! რატომ ერევიან ჩემს საქმეში? მე ოფიციალური პირი ვარ და მეტი პასუხისმგებლობა მომეთხოვება. იცით თუ არა, თქვეხ, რომ დისერტაციების დაცვა გაუქმებულია?" — მე შეცბუხებული ვიყავი და თავჩაქინდრული, კედელს მიყრდნობილი. სიტყვა არ დამიძრავს. ბ-ნმა კორნელიმ კიდევ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, მომიბრუნდა და მითხრა: „ახლა წადით, ნაშრომი გაამზადეთ წიგნად და მომიტანეთო". კარები ნელა გამოვიხურე და ჩუმად გამოვედი. ძეც ძლიერ ვღელავდი. მწყინდა, რომ ჩემს საყვარელ მასწავლებელს ჩემდა უნებლიეთ უსიამოვნება მივაყენე. ეს ამბავი მოხდა სამსა თუ ოთხ დეკემბერს (1929 წელს). მთელი ჩემი ენერგიის დაძაბვით შევუდექი მუშაობას და ოთხი თვის შემდეგ, 1930 წლის მარტის ბოლოს მონოგრაფია ბ-ნ კორნელის მივუტანე — „ანვარი სოჰაილის ქართული ვერსიები" (ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევი).

გავიდა რაღაც ორიოდე თვე. სიმონ ყაუხჩიშვილი შემხვდა, შენს წიგნს მიხედეო (სიმონ ყაუხჩიშვილი საგამომცემლო საბჭოს მდივანი იყო, თავმჯდომარე კი კორნელი კეკელიძე). გახარებულმა სტამბას ძივაშურე. დამპირდნენ დღე-დღეზე შევუდგებით აწყობასო. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სტამბას მისამართი დავუტოვე და სასწაფხულოდ სოფლისაკენ გავწიე. გარნა სოფელი თავის მკვიდრთ დიდხანს ახარებს?!

იმ ზაფხულს დიდი ამბები მოხდა უნივერსიტეტის ცხოვრებაში. მთავრობის დადგენილების საფუძველზე (კადრების მასობრივად მომზადების ღონისძიებათა ჩასატარებლად) უნივერსიტეტი გაუქმდა და მის ბაზაზე შეიქმნა რამდენიმე ინსტიტუტი. უნივერსიტეტის შენობაში დარჩა ორი ინსტიტუტი — ეკონომიკისა (პირველ სართულზე) და პედაგოგიური (ძეორე და მესამე სართულებზე). უნივერსიტეტის დაშლასთან დაკავშირებით სიძველეთსაცავი საქართველოს მუზეუმში გადაიტახეს. ჩემდა სამწუხაროდ, გაუქმდა უნივერსიტეტის საგამომცემლო გეგმა. აგვისტოს ბოლოს სტამბას რომ მივაკითხე, მირჩიეს, წიგნი გაიტანეთ, არ დაგეკარგოთო. დიდი გულისტკივილით წავიღე ჩემი ნაჭირნახულევი. სიძველეთსაცავის გადატანისა და ახალ შენობაში დაბინავების ისტორიას კვლავ დავუბრუნდები, ახლა განვაგრძობ „ანვარი სოჰაილის ანუ ქილილა და დამანას“ ამბავს.

სიმონ ხუხდაძისაგან ბევრი სიკეთე მახსოვს. ის ჯერ გამომცემლობა „ფედერაციის“ დირექტორი იყო (მაშინ დაგვიბეჭდა „ბესიკი“), მერმე „სახელგამის“ ხელმძღვანელად დანიშნეს. მიხმო და „ნარკვევების“ გამოცემა შემომთავაზა. მირჩია, ძლიერ ვიწრო სპეციალურ საკითხებს მოვრიდებოდი და ყურადღება მიმეპყრო მეთოდოლოგიური მხარისათვის. ასე შეიქმნა ჩემი „ნარკვევების“ პირველი წიგნი, რომელშიაც შევიტანე გამოკვლევა „ანვარი სოჰაილის ანუ ქილილა და დიმნას ქართული ვერსიები“. გამოკვლევა საფუძვლიანად შევამოკლე, მთლიანად ამოვიღე იქიდან საილუსტრაციო სპარსული ტექსტები. იმდროინდელობის კვალობაზე წიგნი თითქო იდეოლოგიურად გამართე, ჩავურთე სოციოლოგიური სულისკვეთებით გამსჭვალული თავები, წავუმძღვარე მოკლე წინასიტყვაობაც, რომლითაც ჩემი ლიტერატურული კრედო გამოვხატე. მომყავს ამ წინასიტყვაობის პირველი აბზაცი: ე. წ. ძველი ანუ, უფრო სწორად, ფეოდალური ეპოქის ქართული მწერლობის ისტორია არც ისე დიდი ხანია რაც სპეციალისტების კვლევის საგნად გამხდარა. მიუხედავად ამისა უკვე

ორი ვრცელი კურსი მოგვეპოვება: ალ. ხახანაშვილისა და პროფ. კ. კეკელიძისა. გამოქვეყნებულია არა ერთი და ორი სერიოზული მონოგრაფიული ნაშრომიც (ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია აკად. ნ. მარის დაუფასებელი ღვაწლი). მაგრამ ეს უდავოდ საინტერესო ლიტერატურული მემკვიდრეობა დღეს უკვე მიუღებელია კვლევის ყალბი მეთოდოლოგიური საფუძვლების გამო. ფაქტიური მასალების მხრივ კი ეს მემკვიდრეობა სერიოზულ გადასინჯვას საჭიროებს".

რაღა თქმა უნდა, მეცნიერული მემკვიდრეობა აქ ძალზე მკაცრადაა შეფასებული. ეს იყო დროის გარკვეული ხარკი და ჩემი დიდი შეცდომა.

ამასობაში 1935 წელი დადგა. გამოქვეყნდა დისერტაციების დაცვისა და ხარისხების მინიჭების ახალი წესები. ვისაც დოცენტის წოდება ჰქონდა მიკუთვნებული, პირდაპირ იცავდა დოქტორის ხარისხს. 1932 წელს მომახიჭეს დოცენტის წოდება. სადისერტაციოდ წარვადგინე „ანვარი სოჰაილის ანუ ქილილა და დამანას ქართული ვერსიები", რომელიც „ნარკვევებში" იყო დაბეჭდილი. ოფიციალურ რეცენზენტ-ოპონენტებად დამინიშნეს პროფესორები კორნელი კეკელიძე და იუსტინე აბულაძე (მაშინ ორი ოპონენტი კმაროდა). ბ-ნმა კორნელიმ მისაყვედურა, ახალი შრომა უნდა წარმოგედგინაო, მაგალითისათვის დამისახელა „შაჰნამეს ქართული ვერსიები" და „არჩილი". მე დაჩეჭებული თეძა ვირჩიე. რეცენზენტებმა დისერტაცია საერთოდ დადებითად შეაფასეს, თუმცა ბ-ნ კორნელის შენიშვნები მკაცრი ფორმით იყო გამოთქმული. თანაც ოფიციალური ოპონენტი შრომას მცირე მოცულობისად მიიჩნევდა. მოცულობით იგი თითქო არ დაიწუნებოდა, ათამდე თაბახს მაინც აღწევდა. ისიც კარგად იყო ცნობილი, რომ მე იძულებული გავხდი ტექსტი შემემოკლებინა თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით (1930 წელს რომ უნდა დაბეჭდილიყო ცალკე წიგნად). მთავარი ის იყო, რომ რეცენზენტი, როგორც ვთქვი, მკაცრად აფასებდა შრომას. კრიტიკულ შენიშვნებს დიდი ფორმატის ნაბეჭდი წიგნის ხუთი გვერდი უჭირავს, დადებითს კი 13 სტრიქონი. დადებით ნაწილში ყურადღება გამახვილებულია შედარებით უფრო წვრილმან მომენტზე, მაშინ როდესაც სრულიად არაფერია ნათქვამი სკრუპულოზური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული უცნობი ვერსიის (ვახტანგისეული თარგმანის) შესახებ, რამაც ახლებურად გადამაწყვეტინა საკვლევი პრობლემის უმნიშვნელოვანეაი საკითხები.

ფაკულტეტის დეკანმა ბენიტო ბუაჩიძემ დისერტაციის დაცვა შეაჩერა და რეცენზიაზე პასუხის გაცემა მომთხოვა. პასუხი განიხილა საგანგებო კომისიამ (ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, ლეონ მელიქსეთბეგი). კომისიის დასკვნის შედეგად დაცვა დაინიშნა 1936 წლის 5 მარტს (დაცვის მომზადება ძალზე გაჭიანურდა). დაცვას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ბევრი მოელოდა, რომ მოწაფესა და მასწავლებელს, ჩემსა და ბ-ნ კორნელის, შორის მწვავე ბრძოლა გაჩაღდებოდა, ნამდვილად ასე არ მოხდა. ბ-ნმა იუსტინე აბულაძემ იმთავითვე აჩქარად კეთილგახწყობილებითი ტონი აიღო. პროფესორ აბულაძის სიტყვებმა განმუხტა დაძაბულობა და პაექრობას შედარებით მშვიდი ხასიათი მიეცა. არც ბ-ნ კორნელის გამოსვლა იყო გამომწვევი, რიგი შენიშვნა მან გამოტოვა, თუმცა ზოგი შენიშვნის კილო კვლავ ზომაზე მკაცრი იყო. აქაამად ბ-ნ კორნელის რეცენზია გამოქვეყნებულია (ქ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, X, 1968, გვ. 38—43). მე უკვე მქონდა შემთხვევა ამის თაობაზე აღმენიშნა: „ახლახან გამოვიდა კორნელი კეკელიძის «ეტიუდების» მეათე წიგნი, რომელიც შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა სოლომონ ყუბანეიშვილმა. წიგნში შეტანილია 1935 წლის 6 ივნისით დათარიღებული რეცენზია კ. კეკელიძისა ჩვენს გამოკვლევაზე ქილილა და დამანას შესახებ. თავის რეცენზიაში კ. კეკელიძე ავითარებს პრინციპული ხასიათის რიგ ისეთ მოსაზრებას, რომლებიც შემდეგ მან თვითონ უარყო. ჩვენ უმართებულოდ მიგვაჩნია კ. კეკელიძის ადრინდელი (დაუბეჭდავი) რეცენზიის უკომენტაროდ პუბლიკაცია. ამ პუბლიკაციით უგულებელყოფილია ავტორის საბოლოო თვალსაზრისი ქილილა და დამანას ქართულ ვერსიების რთულ ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემებზე საზოგადოდ, კერძოდ კი მისი შეხედულება ჩვენს ნაშრომზე“ (ნარკვევები, V, 1971, გვ. 337). აქვე დავძენ, რომ ჩემი პირველი „ნარკვევები“, სადაც დაიბეჭდა გამოკვლევა „ქილილა და დამანას“ შესახებ, 1945 წელს ხელახლა გამოვეცი საფუძვლიანად გადამუშავებული და შევსებულ-შესწორებული სახით, თუმცა „ქილილა და დამანას“ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხებისათვის ხელი სრულიად არ მიხლია, მხოლოდ სტილისტურ-რედაქციული „ჩალხი გავკარი“. კ. კეკელიძის იმავე „ეტიუდებში“ შესულია ჩემი „ნარკვევების“ შეფასება ბ-ნ. კორნელის მიერ. იგი აღნიშნავს, რომ წიგნი „ერთ-ერთი საყურადღებო და მნიშვნელოვანი ნაშრომია, რომელიც კი შეემატა ჰუმანიტარულ ქართველთმცოდნეობას

უკანასკნელი წლების მანძილზე“ (ეტიუდები, X, გვ. 133). 1945 წლიდან უნივერსიტეტში საუკეთესო სამეცნიერო შრომებისათვის დაწესდა ყოველწლიურად ორი პრემია (პირველი და მეორე პრემიები). ბ-ნ კორნელის წარდგინების საფუძველზე იმ წელს პირველი პრემია მომენიჭა სწორედ „ნარკვევების“ დამოწმებული წიგნისათვის.

აქ უადგილო იქნებოდა დისერტაციის დაცვის თაობაზე სპეციალური მსჯელობა. მინდა შევეხო მხოლოდ კ. კეკელიძის რეცენზიის ერთ საკითხს. გამოკვლევაში მე ვამტკიცებდი, რომ „ქილილა და დამანას“ ხელნაწერი S—31 უნდა ყოფილიყო სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფი (ძახაძდის სულხან-საბას ავტოგრაფი ცნობილი არ იყო). ეს ხელნაწერი თავის დროზე ხელთ ჰქონდა „ქილილა და დამანას“ პირველ გამომცემელს ილია ჭყონიას, მაგრამ რედაქტორ-გამომცემელმა მისი ფასი ვერ გაიგო, უპირატესობა მისცა ლამაზად გადაწერილ ხელნაწერებს. S—31 ხელნაწერის ტექსტი ნასწორებია, ბევრი ადგილი გადახაზულ-გადაშლილია, შიგადაშიგ ჩაწებებულია ქაღალდის ცალკე ხაჭრები ახალი ტექსტებით. მზის სინათლეზე კარგად იკითხება ნაჭრების ქვეშ მოქცეული თუ „დამარხული“ ნაწყვეტები. ამ „დამარხულმა“ ფრაგმენტებმა კი მიმაგნებინა „ქილილა და დამანას“ ჟანამდის უცნობი შესანიშნავი თარგმანი, რომელიც პირადად ვახტანგ მეექვსეს შეუსრულებია, ჩემთვის ავტოგრაფად საგულვებელ S—31 ხელნაწერში მოიპოვება ანონიმურად მიჩნეული ანდერძი, რადაც მოთხრობილია „ქილილა და დამანას“ ქართულ ენაზე თარგმნის ისტორია და სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგის ურთიერთობის ფრიად საინტერესო ამბები. S—31 ხელნაწერში ეს ანდერძი დასათაურებულია „ანდერძი სულხან-საბა ორბელიანისა დიდად შეჯერვებულ ძეღონებულისა“. ტექსტში სახელი სულხან ორჯერ წერია. მთელი სათაური გადახაზულია (გადაშლილია), მაგრამ თავისუფლად იკითხება. ეტყობა, საბა ძორიდებია თავისი თავის დასახელებას და სათაურის ტექსტი მოუხსნია. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაზარდა S—31 ხელნაწერის მნიშვნელობა. იქ დასახელებული აღმოჩნდა ანონიმურად ცნობილი შესანიშნავი ანდერძის ნამდვილი ავტორი. „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომის პირველ გამოცემაში (თბილისი, 1924, გვ. 310) კ. კეკელიძე ამ ანდერძს „შემდეგი დროის ინტერპოლაციად“ თვლიდა. ჩემი სადისერტაციო შრომის რეცენზიაშიც იგი ბეჯითად უარყოფდა S—31 ხელნაწერის ავტოგრაფობას და შენიშნავდა: „მთავარი ისაა, რომ, თუ ხელნაწერი S—31 მართლა საბას ავ-

ტოგრაფია, ეს ჩასცემს ლახვარს წამოყენებულ მოსაზრებას.. სახელი «სულხან» ორჯერ ყოფილა გამეორებული ორიგინალში; ნუთუ საბამ თავისი სახელი სწორად, შეუმცდარად და გაუმეორებლად ვერ დაწერა?“ (ეტიუდები, X, 41. ხაზი ჩვენია — ა. ბ.). როდესაც ეს შენიშვნა ბ-ნმა კორნელიმ ენერგიული კილოთი გაიმეორა დისპუტზე (დააკვირდით — „ეს ჩასცემს ლახვარს წამოყენებულ მოსაზრებასო“), აკაკი შანიძემ ვერ მოითმინა და ადგილიდან შეესიტყვა: „სულხან რომ ორჯერ წერია და ორჯერვეა გადაბაზული, ეს სწორედ ტექსტის ავტოგრაფულობას ამტკიცებსო, საბა ყოყმანობდა, შეეტახა თუ არა ტექსტში თავისი სახელი, დაწერა — წაშალა, ისევ დაწერა და ისევ წაშალაო“. ა. შანიძის შენიშვნაზე ბ-ნ კორნელის არ უპასუხნია. გამოქვეყნებულ რეცენზიაში აღნიშნულია, რომ ანდერძის ავტორი საბა არ არის, „ის ვილაც სხვა, არც ისე ორიენტირებული პირია“ (ეტიუდები, X, 41). „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ უკანასკნელ, მეოთხე გამოცემაში (თბილისი, 1958, გვ. 455) ამ ანდერძს კ. კეკელიძე უკვე საბას მიაწერს[1].

„ქილილა და დამანაზე“ ყველა ჩემი ძირითადი დებულება შემდეგდროინდელმა კვლევა-ძიებამ სავსებით დაადასტურა. საგულისხმოა, რომ მაგალი თოდუამ მთელი წიგნი მიუძღვნა „ქილილა და დამანას“ საბასეულ ვერსიას (თბილისი, 1967, 346 გვ.) და ამ წიგნში აღნიშნა, რომ ჩემმა გამოკვლევამ „მთელი ეპოქა შექმნა ამ ძეგლის შესწავლის საქმეში“ (გვ.84). მეორე ცნობილი ირანოლოგი დ. კობიძე მ. თოდუას მრომისადმი მიძღვნილ რეცენზიაში წერს: „არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს, რომ „ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიების შესახებ არსებობს მეორე, უდავოდ დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევა, რომელიც აღნიშნული თხზულების ვერსიების ნამდვილ მეცნიერულ შესწავლას წარმოადგენს, იგი ალ. ბარამიძეს ეკუთვნის. მასში ბევრი საკითხია აღძრული და გადაჭრილი. მარტო ის რად ღირს აღინიშნოს, რომ ავტორის მიერ აღმოჩენილი და კვლევის არეში იქნა მოქცეული ვახტანგისეული რედაქცია, გარემოება, რამაც შეცვალა მანამდე არსებული მთელი რიგი შეხედულებანი. მ. თოდუა ალ. ბარამიძის გამოკ-

[1] იხ. აგრეთვე „ეტიუდები“, VIII, თბ., 1962, გვ. 305; „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომი, რომელიც გამოსცა ლიტერატურის ინსტიტუტმა (თბილისი, 1966, გვ. 464).

ვლევას უწოდებს „მთელი ეპოქის შემქმნელს“ ამ ძეგლის შესწავლის საქმე'ში (გვ. 84) და იგი მართლაც არის ასეთი.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღინიშნოს, რომ დასახელებული ნაშრომი თავის დროზე რატომღაც მართებულად ვერ შეაფასეს ისეთმა დიდმა მკვლევარებმა, როგორიც კორნელი კეკელიძე და იუსტ. აბულაძე იყვნენ. დღეს ეს გაუგებრობა გადალახულია და ალ. ბარამიძის გამოკვლევას შესაფერისი ადგილი აქვს მიკუთვნებული“[1].

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემ გამოკვლევამდის სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფი ცნობილი არ იყო. S—31-ის ავტოგრაფობამ კი მიმაგნებინა საბას ავტოგრაფული ლექსიკონები (ენიმკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 109—114). საბას რამდენიმე ავტოგრაფული მინაწერი ვიპოვე ქართლის ცხოვრების რუმიანცევისეულ ხელნაწერში (ალ. ბარამიძე, ნარკვევები, III, 332—336). 1933 წელს საბას ავტოგრაფული ტექსტები გამოავლინა პაველ ინგოროყვამ (იხ. ჩემი ნარკვევები, III, გვ. 337). სხვათა შორის, აქვე დავძენ, რომ ჩემი თხოვნის თანახმად, პაველ ინგოროყვამ, რომელიც საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა ანუ პალეოგრაფიის განყოფილებას განაგებდა, შეადგინა სპეციალური კომისია (პ. იხგოროყვა, ნ. ბერძენიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი), რომელმაც შეისწავლა სათანადო მასალები და საგანგებო აქტით დაადასტურა S—31 ხელნაწერის ავტოგრაფულობა (ამ აქტის დედანიც ჩემს არქივში ინახება). 1934 წელს ტრიფონ ჯაფარიძემ, ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის გამგემ, გამოაქვეყნა სულხანის ერთი მშვენიერი ავტოგრაფულ-ავტობიოგრაფიული ჩანაწერი (გაზ. „სიტყვა და საქმე“, 5. 12. 34, ქუთაისი). ე. მეტრეველმა შეისწავლა სულხან- საბა ორბელიანის ლექსიკონის უძველესი რედაქციის ავტოგრაფული ნუსხა (საქართველოს მუზეუმის მოამბე, XIX—Б 1956). ლილი ქუთათელაძემ ძირითადად „სიტყვის კონის“ ავტოგრაფები დაუდო საფუძვლად თავის სადისერტაციო შრომას (სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., 1957). სულხან-საბას ავტოგრაფები საბოლოოდ ისე დახვავდა, რომ მკვლევარებმა ნებსით თუ უხებლიეთ დაივიწყეს კიდეც ამ საქმის პიონერი მკვლევრის სახელი. ამ მხრივ საყურადღებოა სულხან-საბა ორბელიანის თხზუ-

---

[1] დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბ., 1969, გვ. 332 (დაყოფა ჩემია — ა. ბ.).

ლებათა კრებულის IV ტომი. ესაა საბასეული ლექსიკონი (ორ წიგნად). ტომს სატიტულო ფურცელზე აწერია „ავ ტ ო გ რ ა ფ უ ლ ი ნ უ ს ხ ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ“ (თბ. 1965). ამ მარად კეთილად სახსენებელი მეცნიერის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ ლექსიკონის ახალი გამოცემა ემყარება ცხრა ავტოგრაფულ ნუსხას. ილია აბულაძე ასახელებს და მადლობას უცხადებს ათ მეცნიერ მუშაკს, რომელთაც დახმარება აღმოუჩინეს წიგნის გამოსაცემად მომზადებასა და გამოქვეყნებაში. ამისდა ძიუხედავად, ილია აბულაძე ერთი სიტყვით არ ახსენებს საბას ავტოგრაფების გამოვლენისათვის ეგოდენ დამაშვრალ ამ სტრიქონების ავტორს. თურმე ასეც ხდება.

დასასრულ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კ. კეკელიძესაც დასჭირდა ერთხელ სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფს დაჰკითხებოდა. იგი შენიშნავს, „ჩვენ ვიცნობთ ოთხ ავტოგრაფულ ნუსხასო“ და იმოწმებს ამ ავტოგრაფების მონაცემებს (ეტიუდები, VIII, გვ. 349).

ჭეშმარიტად, სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა. ჩემმა გულმა თავის დროზე როგორღაც გაუძლო დიდი მეცნიერის კრიტიკულ ლახვარს. მე არც იმას ვივიწყებ, რომ ცხარე პაექრობის შემდეგ კორნელი კეკელიძემ პირველმა გულწრფელად მომილოცა დოქტორის ხარისხის მონიჭება. მამა-შვილურად გადავკოცნეთ ერთმანეთი. ამ დროიდან მოკიდებული ჩვენი კეთილ-მეგობრული ურთიერთობა გაღრმავდა და განმტკიცდა.

ქილილა და დამანაზე რომ საუბარს მოვრჩე, კიდევ უნდა მოვიგონო ერთი საკმაოდ კურიოზული ეპიზოდი. 1959 წელს სრულდებოდა სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით გადაწყდა გამოსულიყო მისი თხზულებათა სრული კრებული ოთხ ტომად. შეიქმნა ავტორიტეტული სარედაქციო კოლეგია (ი. აბაშიძე, ილ. აბულაძე, ალ. ბარამიძე, ვ. დონდუა, კ. კეკელიძე. გ. ლეონიძე, ა. შახიძე). თვითოეულ ტომს მიეჩინა შემდგენელი და რედაქტორი. მეორე ტომი დაეთმო „ქილილა და დამანას“ („ქილილა და დამანას“ საბასეულ რედაქციას). ტექსტის გამოსაცემად მოშზადება და რედაქტირება დაგვევალა მე და ელენე მეტრეველს. ზოგიერთმა მწერალმა ვიქტორ გაბესკირიას მეთაურობით განგაშობატეხა. საბა არაფერ შუაშია, „ქილილა დამანა“ ვახტანგს ეკუთვნისო.

„მნათობის“ რედაქციამ მომთხოვა განმარტება. ეს განმარტება გაძოვაქვეყნე (ქილილა და დამანას ახალი გამოცემის გამო, „მნათო-

ბი“, 1960, N7, 177—178). წერილს ახლავს სარედაქციო შენიშვნა: „მ ნ ა თ ო ბ ი ს“ რედაქციაში შემოვიდა რამდენიმე პირის შეკითხვა. თუ რატომ არის შეტანილი სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებთა კრებულში «ქილილა და დამანა», რომელიც, მკვლევრების აზრით, საბას ნაშრომს არ წარმოადგენს. ამ საკითხის გამო რედაქციამ მიმართა პროფ. ალ. ბარამიძეს, რომლის განმარტებას აქ ვბეჭდავთ“. ეტყობა, ამ განმარტებამ ვერ დააკმაყოფილა საკითხით დაინტერესებული პირები. დისკუსია გაგრძელდა. მთავარი სარედაქციო კოლეგია გამოვიდა სპეციალური განცხადებით („ლიტერატურული გაზეთი“, 28. IV. 61). განცხადებამ ვერ დააცხრო ვნებათა ღელვანი. ვ. გაბესკირიამ მკვახე პასუხი დასტამბა — „ერთი განცხადების საპასუხოდ“ (ლიტერატურული გაზეთი, 5. V. 61). დისკუსიაში სხვებიც ჩაებნენ, კერძოდ, ელენე მეტრეველი და ალ. გვახარია. „დროშაში“ (1961, N3) დაიბეჭდა ალ. სიგუას ხელმოწერით არაკვალიფიციური, მაგრამ უაღრესად აგრესიული სტატია „ვინ არის „ქ ი ლ ი ლ ა და დ ა მ ა ნ ა ს“ მთარგმნელი?“ შე კვლავ მომიხდა ახალი განმარტების დაწერა: — „ქილილა და დამანას“ ახალი გამოცემის გამო. წერილი რედაქციას („მნათობი“, 1961, № 11, გვ. 180—181). «მნათობის» რედაქციამ ამ წერილით საზღვარი დაუდო დისკუსიას და საგანგებო შენიშვნა დაურთო ჩემ წერილს: „ჟურნალ მ ნ ა თ ო ბ ი ს 1961 წლის №3-ში გამოქვეყნდა ვ. გაბესკირიას წერილი «ქილილა და დამანას» გარშემო. წერილმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა და «ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე გაიშალა საინტერესო კამათი. ამ კამათს ჰქონდა გარკვეული დადებითი მნიშვნელობა.

რედაქციას საკითხის მართებულ გადაწყვეტად მიაჩნია სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათა სრული კრებულის რედაქტორის ალ. ბარამიძის განცხადება იმის შესახებ რომ «ამჟამად ს ა ბ ჭ ო თ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო სცემს ამ რედაქციის მეცნიერულ-კრიტიკულად დადგენილ ტექსტს. გამოცემის სატიტულო ფურცელზე აღინიშნება, რომ ტექსტის თარგმანი ეკუთვნის ვახტანგ მეექვსეს, ხოლო ლიტერატურული რედაქციის ავტორია სულხან-საბა ორბელიანი».

რედაქცია ამით კამათს ამოწურულად თვლის“.

ჩანს, მნათობის რედაქციის დასკვნამაც ვერ დააკმაყოფილა დისკუსიის ყველა მონაწილე. ზოგმა მათგანმა უკუღმართ ხერხს მიმართა, დაბეზღებასა და ცილისწამებას. ასე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის სახელზე შევიდა განცხა-

დება 1962 წლის 22 ივნისის თარიღით. განცხადების პირველსავე აბზაცში იკითხება: „ქართული კულტურის დიდი მოამაგის ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანისათვის არავის არ მიუყენებია ისეთი შეურაცხყოფა, როგორც მათ მიაყენეს ალ. ბარამიძემ და ელ. მეტრეველმა". განცხადებაში მოკლედ და ძალზე ტენდენციურად (ლახძღვა-გიხებით!) გადმოცემულია დისკუსიის შინაარსი და ბოლოს აღნიშნულია: „ვახტანგისათვის ავტორობის უფლების წართმევა აღემატება ალ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის უფლებებს, ვინაიდან ეს არის ჩვენი ეროვნული საქმე და არა რომელიმე კერძო პიროვნების საქმე".

ცილისწამებელი ჩივის, თითქოს ჩვენ თვითნებურად მოვეპყარით სხვების მიერ მიკვლეულ თუ აღმოჩენილ დიდებულ ძეგლს, ხოლო „მეცნიერება მეცნიერებაა და არა ლაუ სორტელის ფილოსოფიაო" შეგვაგონებს.

მოჩივარი სთხოვს ადრესატს პირადად „ჩაერიოს ამ საქმეში, რათა ვახტანგ VI-ეს დაუბრუნდეს «ქილილა და დამანას» კანონიერი საავტორო უფლებები". საჩივარი იხურება ვახტანგის ერთი საწყევარი ლექსით — „არ ვეჭობ, შერჩეს ღვთისაგან, ვინც ჩემთვის ესე ინება".

ცილისმწამებლის საჩივრის მთელი ტექსტი მე საჯაროდ გამოვაქვეყნე ძაგალი თოდუას სადისერტაციო შრომის ოპონირების დროს.

დიახ, „ქილილა და დამანამ" ჩემს ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა.

1978

უკრაინაში — გურამიშვილის ნაკვალევზე

1948 წლის ზაფხულში ცოლ-შვილით ვისვენებდი ქვიშხეთში. ივლისი იწურებოდა, რომ თბილისიდან მივიღე ელვა-დეპეშა: „სასწრაფოდ ჩამოდი თბილისში მირგოროდში გასამგზავრებლად უკრაინის მინისტრთა საბჭოს მიერ გურამიშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად გამოტანილი დადგენილების გამო. საკითხი გადაწყვეტილია. ვიცე-პრე-

ზიდენტი შანიძე". დეპეშას თარიღად ჰქონდა 27 ივლისი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტის ბ-ნ აკაკი შანიძის დეპეშის ენერგიულმა კილო აღარ მაძლევდა ყოყმანისა და დაყოვნების უფლებას. იმ დღესვე, საღამოს თბილისში გავჩნდი. გამოირკვა, რომ მირგოროდში მიემგზავრებოდა მეცნიერებათა აკადემიისა და მწერალთა კავშირის სამი კაცისაგან შემდგარი დელეგაცია: შალვა დადიანი (მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი), კრიტიკოსი ლევან ასათიანი და მე.

საქმე ის იყო, რომ იმ ხანად უკრაინელმა მკვლევარმა დმიტრო კოსარიკმა ძოიპოვა შესანიშნავი დოკუმენტი დავით გურამიშვილის გარდაცვალების თაობაზე —მირგოროდის მიძინების სამრევლო ტაძრის მიცვალებულთა მეტრიკული წიგნი. წიგნის თანახმად, დავით გურამიშვილს ზიარება მიუღია მიძინების ტაძრის მღვდელ რომან შაფრანოვსკისაგან და გარდაცვლილა 1792 წლის 21 ივლისს (ძველი სტილით, ანუ 1 აგვისტოს ახალი სტილით), ამით აშკარა გახდა, რომ გურამიშვილი დასაფლავებული უნდა ყოფილიყო სამრევლო ტაძრის (ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის) ეზოში. მალე მოიძებნა პოეტის საფლავიც (ძახამდის უცნობი იყო გურამიშვილის აღსრულების თარიღიც და მისი საფლავის ადგილმდებარეობაც). უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ გამოიტანა დადგენილება, 1949 წლის აგვისტოში გურამიშვილის საფლავზე დადგმულიყო ძეგლი. გურამიშვილის გარდაცვალების თარიღისა და საფლავის აღმოჩენის სასიხარულო ამბავი თბილისში ჩაძოიტანა თვითონ კოსარიკმა. თავის მხრით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით მწერალი დმიტრო კოსარიკი და მირგოროდის მკვიდრი ათანასე ლუკას ძე მალიარი დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით დავით გურამიშვილის შესახებ ძვირფასი საბიოგრაფიო ძასალების მოპოვებისა და მისი საფლავის მიგნებისათვის. ყოველივე აღნიშნულის გამო ჩვენს სადირექტივო ორგანოს გადაეწყვიტა მირგოროდში მწერალთა და მეცნიერთა დელეგაციის მივლინება (დმიტრო კოსარიკის თანხლებით).

29 ივლისს, ადრე დილით, გავფრინდით მირგოროდისაკენ. თვითმფრინავმა ხარკოვში ჩამოგვსვა. მირგოროდის მიმართულებით იმ დღეს, საღამოძდის, არც თვითმფრინავი იყო და არც მატარებელი. იქ კი გველოდნენ. გამოსავალი ისევ კოსარიკმა გამონახა. იგი ტელეფონით დაუკავშირდა კიევის სამხედრო ოლქში გენერალ ვასილ მჟავა-

ნაძეს, აუხსნა საქმის ვითარება და დახმარება სთხოვა. მჟავანაძემ არ დააყოვნა და სულ მალე ჩვენს განკარგულებაში აღმოჩნდა თვით-მფრინავი. რომელმაც რაღაც ნახევარი საათის განმავლობაში მირგოროდის მახლობლად მდებარე აეროდრომზე დაგვსვა. აეროდრომის პატარა ავტობუსმა კი მირგოროდის ცენტრში მიგვიყვანა. ჯერ კიდევ ადრე იყო. ბინა გამზადებული დაგვხვდა მირგოროდის სამკურნალო წყლების სანატორიუმის ერთ-ერთ კოტეჯში. საღამოს მიგვიპატიჟეს კულტურის სახლში. სახლის თვითმოქმედმა გუნდმა გაგვიმართა სახელდახელო კონცერტი. მოვისმინეთ უკრაინული საამო ხალხური სიმღერები. კარგად შეასრულეს ჩვენი „სულიკო“ და „ციცინათელა“. გახურდა ცეკვა. გვიან დავბრუნდით ჩვენს სადგომში და მეორე დღის საძზადისს შევუდექით.

მეორე დღეს, 30 ივლისს, 12 საათისათვის დანიშნული იყო მიტინგი გურამიშვილის საფლავზე. დილით შევიარე საპარიკმახეროში პირის გასაპარსავად. უნებლიეთ ჩემი ყურადღება მიიპყრო იმან, რომ ხალხი სადღაც გაფაციცებით მიეშურებოდა, მიჰქონდათ დროშები, ტრანსპარანტები, პლაკატები. საპარიკმახერო თითქმის ცარიელი იყო. ერთმა ოსტატმა მეორეს გადაულაპარაკა. ხედავ რა ამბავია? ქართველები ჩამოსულან და ეკლესიის ეზოში მათი პოეტის, გურამიშვილის საფლავზე მიტინგია დანიშნული, რად არ დაგვიძახეს? მე გატრუნული ვუსმენდი ოსტატების საუბარს. აი, თურმე, როგორ აფასებენ უკრაინაში ჩვენს დიდებულ, ეროვნულ პოეტს.

მანქანებმა მოგვაკითხა და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელთა თანხლებით მიძინების ძველი ტაძრისაკენ გავეშურეთ. ტაძარი მდებარეობს ქალაქის განაპირას, სოროჩინცებისა და პოლტავის ქუჩების გზაჯვარედინზე. ვუახლოვდებით დანიშნულების ადგილს და მღელვარება მატულობს. ყველანი ჩუმად ვართ, ფიქრები გურამიშვილის გარშემო ტრიალებს. შორიდან გამოჩნდა ეკლესიის შენობა. ეკლესიის ეზო და ახლომახლო მიდამოები ხალხითაა სავსე. ალბათ აქაა პოეტის სავანე, გავივლე გულში და მანქანებიც გაჩერდნენ. ნერვულმა დაძაბულობამ და უჩვეულო მღელვარებამ დამძლია. ბურანში ვარ. მაგონდება: ნიკო მარმა იერუსალიმში მოიპოვა ქართული მწერლობის უშესანიშნავესი ძეგლი X საუკუნისა, გიორგი მერჩულეს „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“. იმგზავრა კლარჯეთსა და შავშეთში. დიდი რუდუნებითი ძიების შემდეგ მიაგნო ხანძთას, იშხანს, მიძნაძორს, შატბერდს და ქართული კულტურის სხვა სავანეებს. განსაკუთრებული აღტყინებით ეძებ-

და მეცნიერი შატბერდს, გრიგოლ ხანძთელის მიერ აგებულ ამ საკვირველ მონასტერს, სადაც თავის დროზე ყვაოდა მწერლობა. იქაა შექმნილი ჩვენ დრომდე მოღწეული უნიკალური „შატბერდის კრებული“, მიქელ მოდრეკილის მიერ შედგენილი საგალობლების უზარმაზარი წიგნი... უჩვეულო მღელვარებით უახლოვდებოდა მარი შატბერდის შელახულ კედლებს, სახელოვანი მეცნიერი თითქო აწმყოს აღარ ეკუთვნოდა, ფიქრებით IX—X საუკუნეებში იყო გადაკარგული. «В гостях у Григория Хандзтийского», გაუელვა თურმე მარს გულში, არც ის გამიკვირდებოდა, ხორცშესხმული ცოცხალი გრიგოლი რომ შემხვედროდა წინო. «Я с наслаждением переступал порог ворот, на душе было хорошо. и я до слез был растроган при мысли, что вступаю в интимный уголок древних тружеников просвещения», წერს მარი. მაგრამ, ვაგლახ, განაგრძობს, ჩემი აღტაცებული განწყობილება გაიფანტა, «и я пришел в неописуемое раздражение, когда увидел, что двор Шатбердской церкви сделан конюшнею, местом свалки нечистот», თვით წმინდა ტაძარი და მისი საკურთხეველი სიბინძურით ყოფილიყო შებილწული.

დიახ, მაგონდება მარის ისტორია და მეც გულში ვიმეორებ: «в гостях у Давида Гурамишвили, в гостях у Давида Гурамишвили» გურამიშვილის სტუმრად მოვსულვართ შორეული ქართლის ქვეყნიდან მისი თანამემამულენი, მისი ჰირისუფალნი. უცხოეთში გადაკარგული პოეტი მწარედ ჩიოდა, „ცოცხალი არვის ვახსოვარ, მკვდარს ვინღა მომიგონებსა?“ არა, შენ ცდები, დიდო მგოსანო, — ქართლში, კახეთში, საგურამოში, ლამისყანაში, მთაში და ბარში, სოფლად თუ ქალაქად, სკოლის ასაკის ყმაწვილები და გოგონები, კოლმეურნეები, მუშები, სტუდენტები, მწერლები, მეცნიერები, — დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, — ყველანი და ყველგან გატაცებით კითხულობენ და იზეპირებენ „დავითიანის“ მშვენიერ ლექსებს. სამშობლო როგორ დაიწყებს ეგოდენ ამაგდარ პოეტს! მისი სახელი უკვდავია ერის ხსოვნაში. აი, მოვსულვართ კიდეც, რომ თაყვანი ვცეთ შენს წმინდა საფლავს... ყველაფერმა ამან წამიერად გამიელვა გულში. ოღონდ თუ გაოგნებულ მარს მის საოცნებო შატბერდში შმორის სუნი და ფინთის გუნდები დახვდა, ჩვენ შემოგვეგება ზღვა ხალხის ანთებული თვალები და გულწრფელი, ღრმა სიყვარული.

ხალხის თავყრილობა ორად გაიპო, იქით და აქეთ ჩამწკრივდნენ გოგონები და ბიჭუნები თაიგულებით ხელში, გზა გაგვიხსნეს საფლა-

ვისაკენ. წამოვიდა ყვავილების სეტყვა და გაისმა ტაშის გრიალი. ჩვენ გაოგნებული მივდიოდით და მივთელავდით ყვავილებით დახერგილ ბილიკს. მეც ნამდვილად მეჩვენებოდა, რომ წინ ღიმილით გველოდებოდა ხორცშესხმული, ცოცხალი გურამიშვილი. მართლაც-და, სახელდახელოდ გაკეთებულ, თუ იმპროვიზებულ ტრიბუნიდან ჩვენ შემოგვყურებდა ჭაბუკი გურამიშვილის დიდრონი თვალები როინიშვილის ცნობილი ფოტოსურათისა.

ავედით ტრიბუნაზე, ტაშმა შეძრა იქაურობა. მიტინგი გახსნა ძირგოროდის რაიკომის მდივანმა ამხ. მაიბოროდამ. მან დამსწრეთ აუწყა, რომ მოძმე საქართველოდან ჩამოვიდა მწერალთა დელეგაცია, რათა პატივი სცეს თავის დიდ თანამემამულე პოეტ გურამიშვილს, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა ჩვენს ქალაქში და აქვეა დასაფლავებული მისი ნეშტი. დღევანდელი მიტინგი ეძღვნება გურამიშვილის დაკარგული საფლავის აღმოჩენას და ქართველთა დელეგაციის ჩამობრძანებასო. თავმჯდომარე მხურვალედ მოგვესალმა და სიტყვა მისცა ჩვენი პატარა დელეგაციის მეთაურს, ბ-ნ შალვა დადიანს. ისევ იგრიალა ტაშმა. წინ არტისტულად წამოდგა ლამაზი, ახოვანი, მხარბეჭიანი, ხუჭუჭი ჭაღარით დამშვენებული სანდომიანი კაცი, რომელმაც ჟესტით გამოხატა მისალმება, ჩვენ გვანიშნა, საქმეს შეუდექითო, თვითონ წამოიჩოქა და მშვიდარე ხმით დაიწყო ქართულ ენაზე: დიდო დავით, ქართველის ჭირი მოსპობილია, შენი სამშობლო თავისუფალია ყოველგვარი კირთებისაგან, თავისუფალია შენი მეორე სამშობლოც, შენდამი გულისხმიერი დიდი უკრაინა, გიხაროდენ, გიხაროდენ, დიდო დავით!

ჩვენს დელეგაციას პატარა პარკით წამოღებული ჰქონდა ოთხი ბუჟა ქართული მიწა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას საფლავებიდან. გვქონდა დაფნის დიდი გვირგვინიც, რომელიც საგანგებოდ გაგვიწყო თბილისის ბოტანიკურმა ბაღმა (ნიკო კეცხოველის წინადადებით). ბ-ნ შალვას რომ სიტყვა მისცეს, ჩვენ ტომსიკა შემოგვაჩეჩა. მე და ლევანი ტრიბუნიდან ძირს ჩამოვედით, გვირგვინი საფლავის თავზე მოვათავსეთ, ხოლო საფლავზე ძოვაფრქვიეთ უკვე მტვრად ქცეული მთაწმინდის მიწა. ეს იყო დიდებული, განუმეორებელი და დაუვიწყარი წამი. სამი ქართველი ინტელიგენტის სახით მშობლიური ქვეყანა უზომო სიყვარულს უმჟღავნებდა თავის სასიქადულო შვილს და სიმბოლურად ხელახლა აბარებდა მიწას მის ნეშტს. ერთხანს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარ-

და. ყველა დაძაბული ყურადღებით შეცქეროდა ამ საოცარ სანახაობას, აქა-იქ მხოლოდ ქალების ზლუქუნის ხმა გამოისმოდა. შემდეგ ისევ წამოიწყეს ერთსულოვანი ტაში, რომელიც ხანგრძლივ ოვაციაში გადაიზარდა, წამოვიდა ყვავილების ახალი ტალღა (მაინც სად იყო ამ, ძედარებით მცირე ქალაქში ამდენი ყვავილი, ამდენი დროშა, ამდენი ხალხი!).

მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს დმიტრო კოსარიკმა, გურამიშვილის სახელობის საშუალო სკოლის მოხუცმა მასწავლებელმა კოზუტაძ, პოლტავის საოლქო კომიტეტის მდივანმა ე. ვოლგინმა, ლევან ასათიანმა და ამ წიგნის ავტორმა. ამხ. ვოლგინმა განაცხადა, რომ საქართველოდან ჩამოსული სტუმრების პატივსაცემად გურამიშვილის დღეები გაგრძელდებაო პოლტავაში. ლ. ასათიანმა წაიკითხა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება დმიტრო კოსარიკისა და ათანასე შალიარის საპატიო სიგელებით დაჯილდოების თაობაზე. ძანვე საზოგადოებას აუწყა, რომ სწორედ ახლა, როცა მირგოროდში ვზეიმობთ გურამიშვილის ხსოვნის დღეს, დაბა სურამში, იქ, სადაც აღესრულა დიდი უკრაინელი პოეტი ქალი ლესია უკრაინკა, საზეიმოვე ვითარებაში ძიმდინარეობს მისი გარდაცვალების 35-ე წლისთავის აღნიშვნა, ორივე განცხადებას საზოგადოება დიდი კმაყოფილებით და ვაშას შეძახილებით შეხვდა. ჩემს სიტყვაში მოკლედ ძევეხე გურაძიშვილის მნიშვნელობას ქართული სულიერი კულტურის ისტორიაში და მადლობა მოვახსენე უკრაინელ ხალხს ჩვენი პოეტის ღვაწლის დაფასებისა და მისი ხსოვნის უკდავყოფისათვის.

მიტინგი დამთავრდა. ხალხი ნელ-ნელა დაიშალა, ჩვენ კი გავუდექით გზას სოფელ ზუბოვკისაკენ, რომელიც მირგოროდიდან 10 კილომეტრით არის დაშორებული. ზუბოვკაში იყო გურამიშვილის სამფლობელო შამული. ამ უჩინარი სოფლის სახელი ქართველმა პოეტმა სამუდამოდ უკვდავყო სიტყვიერი ხელოვნების ისტორიაში თავისი მშვენიერი ლექსით „სიმღერა დავითისა ზუბოვკა“.

იმ ადგილას, სადაც სოროჩინცების (გოგოლის სოროჩინცების!) შარაგზიდან ზუბოვკისაკენ მიმავალი სოფლის გზა უხვევს, გზის მახლობლად თვალუწვდენელ ტრიალ მინდორში აღმართულია ძველი ყორღანი. დ. კოსარიკის ვარაუდით, სადღაც აქ, ყორღანის მიდამოებში, უნდა გაკვანძულიყო ის ტრაგიკული ამბავი, რომელიც ასე გრძნობიერად აქვს აღწერილი პოეტს „ზუბოვკაში“. მანქანებს ვტოვებთ და ყორღანის წვერზე ავდივართ. ირგვლივ შორს, თვალის სა-

წიერზე ბიბინებს წიწიბურას და ჭარხლის ნათესები. კოსარიკმა აიტეხა, აქ, ყორღანზე, უნდა მოვისმინოთო „ზუბოვკა“ ქართულად. საბედნიეროდ, მე ზეპირად მახსოვდა ამ გახმაურებული ლექსის ტექსტი და, რამდენადაც შემეძლო, გამომეტყველად წარმოვთქვი:

ზუბოვკიდამ მოჩავალმან ვნახე ერთი ქალი,
მეტად ტურფა, მშვენიერი, მაზე დამრჩა თვალი.
შავ თვალ-წარბას, პირად თეთრსა ასხდა შავი ხალი,
მისმან ეშხმან დაცამლეწა, შემიმუსრა ძვალი.

ნიავი საამოდ ჰქროდა და შორს გაჰქონდა გურამიშვილის მელოდიური ლექსის წარმტაცი ჰანგი. ალბათ, ყორღანის შემოგარენი გურამიშვილის შემდეგ პირველად შეარხია ქართულმა ბგერამ.

ზუბოვკის მცხოვრებმა ორმა მოხუცმა თავკაცმა სოფლის საბჭოსთან შოგვართვა პურ-მარილი. ჩვენ სასოებით ვემთხვიეთ დედა-პურს, ცოტა მარილი შოვაყარეთ და პურის ნატეხს გემო გავუსინჯეთ. მოსწავლეებმა და პატარა ბავშვებმა ცოცხალი ყვავილების თაიგულები მოგვიძღვნეს. სოფლის საბჭოში გაიმართა ცხოველი საუბარი გურამიშვილის შესახებ და სოფლის ცხოვრების თაობაზე. გურამიშვილის სახელი იქ ძალიან პოპულარულია. სიამაყის გრძნობით მოგვითხრობენ, რომ დიდი ქართველი პოეტი-მეომარი გახდა სოფლის მკვიდრი. იქ ჰქონდა მამული, რომელსაც სათუთად უვლიდა და გლეხობის გულშემატკივარი იყოო. ყველამ კარგად იცის „ზუბოვკაში“ გამხელილი სიყვარულის ამბავი. ბევრი ლეგენდაა გავრცელებული პოეტზე, ზოგიც ახლა ითხზვება. სოფლის საბჭოდან გავწიეთ ხოროლისაკენ. ჩვენ თვალწინ გადაიშალა განიერი, ლაქაშებიან-შამბნარიანი მშვიდი, უშფოთველი, მდორე მდინარე. ხოროლზე ძნელია კაცმა თქვას, მდინარეაო. ისე ნელად და ზანტად მოედინება, ნაპირები დაჭაობებული აქვს. არა, ხოროლი არაფრით ჰგავს გიმაჟ და დაუდეგარ არაგვს, ხოროლის ლაქაშებიანი ნაპირებიც არაფრით ჰგავს არაგვის ატეხილ ჭალებს. ხოროლის გაღმა გაშლილი, თავისებურად ლამაზი, თვალუწვდენელი სტეპიც სრულიად არ წააგავს გურამიშვილის მშობლიური კუთხის უცხოდ მოხატულ ბუნებას, მუხრანის ვაკეს, ზედაზნის კალთებს, კავკასიონის ბუმბერაზ მთაგრეხილს. „საწუთროს სოფლისაგან ბევრის გზით ვხებული, მრავალს განსაცდელსა შინა შეყვანებული, სხვის ქვეყნად სამკვიდროს ქვეყნით გამოძებული“ პოეტი ბედმა აქ მოიყვანა, აქ გაუჩინა ბინა, აქ დაასახლა. ბოლოს და ბოლოს პოეტი ასე

თუ ისე შეურიგდა თავის ხვედრს, სახლ-კარს მიხედა, ხვნას და თესვას შეუდგა, ქერი და ფეტვი ბევრი მოიყვანა, მაგრამ ენატრებოდა მშობლიური მკადის ნატეხი. პოეტურ შემოქმედებასა და სამეურნეო შრომას გურამიშვილი უთავსებდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას და ერთგვარ სამეცნიერო საქმიანობას. მირგოროდსა და ზუბოვკაში პოეტს შეუდგენია წყლის წისქვილის პროექტი და წყლის ასამაღლებელი დანადგარის ნახაზები. გურამიშვილის გამოგონებანი გამიზნული იყო გვალვის და მოუსავლიანობის საწინააღმდეგოდ, „მალოროსიელი“ გლეხკაცის ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ჩვენ არ ვიცით, რა პრაქტიკული ნაყოფი გამოიღო ამ გამოგონებებმა, მაგრამ პოეტს რომ მიზანი წმინდა ჰქონდა, ეს აშკარაა. ზუბოვკელმა მოხუცმა კოლმეურნეებმა ჩვენი ყურადღება მიაქციეს ხოროლის წყალში მდგარ ორ ობოლ სვეტს. მათი სიტყვით, ისინი თითქო გურამიშვილის წისქვილის გადმონაშთია...

ხოროლის ნაპირებზე გაგრძელდა სოფლსაბჭოში შეწყვეტილი საუბარი გურამიშვილის თავგადასავალზე, სოფლის ჰირ-ვარამზე, საკოლმეურნეო ცხოვრების ვითარებაზე. მოგვიყვანეს იქაური ქართველები, უკრაინელი ქართველები. ზოგის გვარს წარხოცილი აქვს ქართული იერი — ბალიბა, რეგედა, საგინაზ... ნამდვილ ქართულ გვარს ატარებს შშვენიერი თვალ-ჟუჟუნა გოგონა ლიდა ოდეშელიძე. მე შევნიშნე, რომ უფრო სწორი იქნებოდა ფორმა ოდიშელიძე, რომელიც წარმოდგება სიტყვისაგან ოდიშელის — ძე, ე. ი. თქვენი წინაპარი მეთქი, ავუხსენი გოგონას, უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოდან, ოდიშიდან (სამეგრელოდან). ეს „ლინგვისტური“ ექსკურსი ლიდასაც მოეწონა და ჩვენ კოლეგებსაც. გათამამებულმა დმიტრო კოსარიკმა დაურთო, მე მგონია, რომ ქართული წარმოშობისაო მიკოლა ბაჟანის გვარი. სიტყვა „ბაჟან“-ის ახსნა უკრაინულ ნიადაგზე არ ხერხდება, ეს უნდა მომდინარეობდეს ქართული საკუთარი სახელისაგან ბეჟანიო. შემდეგ ეს ვუამბეთ მიკოლას, გაიცინა, შეიძლება მართლაც ასე იყოსო და მით უკეთესიო, დაუმატა. ერთი სიტყვით, ლინგვისტურმა დისკუსიამ ნაყოფი გამოიღო.

სადილად ძიგვიწვიეს კოლმეურნეობა „ჩერვონნი პარტიზანის“ თავმჯდომარის ამხ. ბარდოლას ოჯახში. უკრაინული გემრიელი საჭმელებით მოკაზმული სუფრა გაშლილი დაგვხვდა. კარებთან შემოგვეგება და სუფრაზე მიგვიწვია გარეგნულად ფრიად სიმპათიურმა, ძკვირცხლმა, ძხიარულმა დიასახლისმა ჰანნა იკოვლევნამ. დაღლი-

ლებიც ვიყავით, მოშიებულებიც. საჭმელს მივეძალეთ, დიასახლისი გვაქეზებდა (გამახსენდა „ხამს სტუმარი სასურველი, მასპინძელი მხიარული"), შემოჰქონდა ახალ-ახალი კერძები. უხვად იყო უკრაინული განთქმული არაყი „პერცოვკა", ოდნავ მოვსვი სირჩა, ყელი დამეწვა, მყისვე შევეშვი, ლევანი ერთხანს სვამდა, ბოლომდე ვერ გაუძლო, საძაგიეროდ, „პერცოვკამ" დიდი სიამოვნება მოჰგვარა ბ-ნ შალვა დადიანს. განუწყვეტლად და ბევრს სვამდა, თუმცა ოდნავი სიმთვრალე არ დატყობია (ოღონდ ლაპარაკის მადა გაუღვივდა). ლევანმა იხუმრა, ბ-ნ შალვას კუჭი მოკალული აქვს და ამიტომაც სასმელს ადვილად იტანსო. პურობა დიდხანს გაგრძელდა. ბევრი სადღეგრძელო შეისვა და კეთილი სიტყვა ითქვა. უკრაინულმა სიმღერებმაც დაგვატკბო. მზე გადაწურული იყო, რომ გამოვემშვიდობეთ სტუმართმოყვარე მასპინძლებს. ღამით დავბრუნდით მირგოროდში.

31 ივლისს დილით მანქანებით გავემგზავრეთ პოლტავაში. პოლტავა ასიოდე კილომეტრით არის დაშორებული მირგოროდს. ცუდი გზები იყო, ძალზე ცხელოდა, მზე უზომოდ აჭერდა. მტვერმა და სიცხემ შეგვაწუხა, გახურებული ალოობა იყო. იმ წელს უკრაინამ, საერთოდ, კერძოდ კი პოლტავის ოლქმა მარცვლეულის სარეკორდო მოსავალი მიიღო. ნაშუადღევს ჩავაღწიეთ პოლტავაში. ბინა მიგვიჩინეს საოლქო კომიტეტთან არსებულ პატარა სასტუმროში. ყველაზე კარგი ის იყო, რომ შემოგვთავაზეს ნელთბილი შხაპი. ნებიერად დავისვენეთ. საღამოს პარტიული განათლების სახლში დანიშნული იყო შეხვედრა პარტიულ აქტივთან და ქალაქის ინტელიგენციასთან. მე დამევალა მოხსენების გაკეთება. მომიხდა მოხსენების სქემის შედგენა, მეხსიერებით ავადგინე საჭირო ცხობები და ზოგი რამ უფრო მნიშვნელოვანი ჩავიწერე. ამან დრო მოითხოვა. ამასობაში სხდომაზეც მიგვიწვიეს. შეხვედრას დიდძალი ხალხი დაესწრო, დარბაზში ტევა არ იყო. წინ მიგვიძღოდნენ პოლტავის საოლქო კომიტეტის მდივნები ამბ. მარკოვი (პირველი მდივანი) და ე. ვოლგინი (მდივანი აგიტაცია პროპაგანდის დარგში). ჩვენმა გამოჩენამ მთელი დარბაზის ერთსულოვანი აპლოდისმენტი გამოიწვია. შეხვედრა გახსნა, ჩვენ მოგვესალმა და გურამიშვილის დღეების მნიშვნელობაზე ილაპარაკა ვოლგინმა. შემდეგ მოხსენებისათვის მე მომცა სიტყვა. მოკლედ დავახასიათე გურამიშვილის ცხოვრების გზა საქართველოსა და უკრაინაში, განსაკუთრებით შევეხე გურამიშვილის შემოქმედების უკრაინულ მოტივებს. მოხსენება იმით დავამთავრე, რომ განვაცხადე — თავისი ცხოვ-

რებით, შემოქმედებითა და მოღვაწეობით გურამიშვილი ერთნაირად ეკუთვნის საქართველოს და უკრაინას, დიდება ჩვენსა და თქვენს დავით გურამი'შვილს-ძეთქი. ამ განცხადებამ ერთსულოვანი აღტაცება გამოიწვია და ხანგრძლივი ტაში. შეხვედრაზე სიტყვები წარმოთქვეს პოლტავის პედაგოგიური ინსტიტუტის ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანმა, დოცენტმა ჩირკომ, დმიტრო კოსარიკმა, ლევან ასათიანმა და შალვა დადიანმა. გურამიშვილისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხა ახალგაზრდა პოეტმა თედორე განრიმ. მოგვესალმნენ და თაიგულები მოგვართვეს პიონერებმა. ჩვენი დელეგაციისა და მთელი ქართველი ხალხის სახელით შალვა დადიანმა მადლობა გადაუხადა პოლტავისა და მირგოროდის პარტიულ ორგანიზაციებსა და ფართო საზოგადოებრიობას კეთილი გულით ჩვენი მიღებისა და განსაკუთრებით იმ ი'შვიათი მზრუნველობისათვის, რასაც იჩენენ დავით გურამი'შვილის ხსოვნის მიმართ.

1 აგვისტოს დავათვალიერეთ ქალაქი პოლტავა და მისი ღირსშესანიშნაობანი. ქალაქი მთლიანად ნანგრევებს წარმოადგენდა. გერმანელ დამპყრობლებს მიწასთან გაუსწორებიათ ოდესღაც მშვენიერი ქალაქი. აღდგენილია დანგრეულის მცირე ნაწილი. ყვავილებით შევამკეთ შევჩენკოს, გოგოლისა და კოტლიარევსკის ძეგლები (შევჩენკოს ძეგლი დაზიანებულია). მძიმე შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე პოლტავის ისტორიული მუზეუმის ეულად დარჩენილმა კედლებმა. სამუდამოდ დაღუპულა მუზეუმში დაცული ფასდაუდებელი განძი, კერძოდ, მდიდარი საისტორიო არქივი (მათ შორის მასალები გურამიშვილის შესახებ). გულმოდგინედ დავათვალიერეთ ვლადიმერ კოროლენკოს რესტავრირებული (უკეთ, მთლიანად განახლებული) სახლ-მუზეუმი და კარ-მიდამო. ახსნაგანმარტებას გვაძლევდა სახლ-მუზეუმის გამგე, მწერლის ასული სოფიო კოროლენკო. მწერალი დასაფლავებულია იქვე, ეზო'ში. საფლავი, რა თქმა უნდა, ყვავილებით ამევამკეთ, შალვა დადიანი დაიხარა და ემთხვია საფლავის წარწერიან მარმარილოს ფირფიტას. ვლადიმერ კოროლენკო იყო დიდი რუსი მწერალი, მოაზროვნე და ხალხოსანი რევოლუციონერი. სოფიო ვლადიმიროვნას ვკითხე, წერდა თუ არა მამამისი უკრაინულად. თავიდანვე არაო, მიპასუხა, რევოლუციის შემდეგ სცადა და ორიოდე მოთხრობაც დაწერა უკრაინულად, მაგრამ კმაყოფილი არ იყო და რუსულად განაგრძო მწერლობა. ეს კია, რომ სულითა და გულით უკრაინელი იყო, თუმცა ნაციონალისტური განწყობილებანი ეუცხოებოდაო.

კოროლენკოს სახლ-მუზეუმმა მომაგონა მწერლის მემუარული შედევრის («История моего современника») ერთი ეპიზოდი: კოროლენკოს ჭაბუკობის დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში თურმე მოღვაწეობდა თუმცა ჩინებული, მაგრამ ახირებული პროფესორი პეტრე გიორგის ძე რედკინი (1808—1891), რომელიც ტენდენციურად ეპყრობოდა ჩვენი ერთი მეზობელი ტომის წარმომადგენლებს და გამოცდებზე მათ გასაქანს არ აძლევდაო. ერთხელ რედკინთან გამოცდაზე მისულა ღიღაც კავკასიელი სტუდენტი. პროფესორს მისი სახე არ მოსწონებია და თურმე ჩაჰკრას უპირებდა. შეშფოთებულ სტუდენტს მწვავე აქცენტით უთქვამს: ღმერთმანი, ქართველი ვარო, ქართველი «грузын, ей богу, грузын». პროფესორს დაკვირვებით შეუთვალიერებია სტუდენტი, შეუნიშნავს —ეს სხვა საქმეაო («а, это другое дело») და ნიშანიც ჩაუწერია მატრიკულში. ცნობილია, რომ ცნება ქართველი სიმპათიურ ასოციაციებს იწვევდა ჩვენი ქვეყნის გარეთაც.

დიდი ინტერესით დავათვალიერეთ აგრეთვე პოლტავის 1709 წლის განთქმული ბრძოლის ველი და ამ ბრძოლის ამსახველი საუცხოო არქიტექტურული ანსამბლი, რომელიც უნაკლოდ არის გადარჩენილი.

პოლტავის დათვალიერებით არსებითად დამთავრდა ჩვენი მისია. ბედნიერად ვგრძნობდით თავს, რომ ქართველთაგან პირველს მოგვეცა შესაძლებლობა მოგვენახულებინა გურამიშვილის საფლავი და პოეტის სახელთან დაკავშირებული ისტორიული ადგილები. საქართველოდან დეპეშაც მოვიდა, მწერალთა კავშირის გამგეობა იბარებდა შალვა დადიანსა და ლევან ასათიანს. საქმე ისაა, რომ გამოირკვა ერთი უსიამო გარემოება. ჩვენი უკრაინაში გამგზავრება მოხდა დ. კოსარიკის სიტყვიერი ინფორმაციის საფუძველზე, ოფიციალური მიპატიჟება არ ყოფილა (კოსარიკს რწმუნება არა ჰქონია მიპატიჟებისათვის), მირგოროდში ჩასვლაზე კიევს არაფერი სცოდნია. უკრაინის მთავრობა და მწერალთა კავშირი გურამიშვილის დღეების ჩატარებას თურმე გეგმავდნენ ერთი წლის შემდეგ, 1949 წლის აგვისტოსათვის, როცა განზრახული იყო გურამიშვილის საფლავზე ძეგლის დადგმა. ჩვენ ნაადრევად მოგვიხდა გურამიშვილის ნაკვალევის მოხილვა. ამაში ცუდი არაფერი იყო, მაგრამ ცენტრი უკმაყოფილო დარჩენილა, ჩვენ მზად არ ვიყავით ქართველი სტუმრების მისაღებად და ზეიმის ჩასატარებლადო. ყველაფერთან ერთად გურამიშვილის მთავარი უკრაინელი „ჭირისუფალი“ მიკოლა ბაჟანი უცხოეთში იმყოფებოდა. პოლტავას თურმე ურჩიეს გურამიშვილის დღეებისათვის იმჟამად ადგილობრივი, ლოკალური

ხასიათი, ასე ვთქვათ, საოლქო მას'შტაბის ხასიათი მიეცათ. პოლტავამ და მირგოროდმა ეს მითითება ჩინებულად შეასრულეს. მეტიც, გურამი'შვილის დღეებმა მასობრივი, სტიქიური, უმაგალითო დღესასწაულის ხასიათი მიიღო. დღესასწაულის კიევში გადატანისაგან თავი შეეკავებინათ (ეს ამბავი საქართველოში დაბრუნების შემდეგ გავიგეთ). 1 აგვისტოს საღამოს შ. დადიანი და ლ. ასათიანი თბილისში გაფრინდნენ, მე და ჩემი მეუღლე დმიტროს თანხლებით კიევში გავემგზავრეთ ინკოგნიტოდ უკრაინის დედაქალაქის გასაცნობად, მანამდის კიევში ნამყოფი არ ვიყავი. 2 აგვისტოს დილით კიევში ჩავედით. დმიტროს დახმარებით რიგიანი ნომერი დავიკავეთ თეატრალურ სასტუმროში და პირდაპირ ქალაქის დათვალიერებას შევუდექით. კიევზე, როგორც „კიევის სახელმწიფოს" დედაქალაქზე, გარკვეული წარმოდგენა მქონდა შემუშავებული, მაგრამ ნახვამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

საღამოს კოსარიკმა შეგვატყობინა, რომ მიკოლა ბაჟანი დაბრუნებულა უცხოეთიდან, ჩვენი იქ ყოფნის ამბავი გაუგია და მეორე დღისათვის (ე. ი. სამი აგვისტოსათვის) გვიწვევდა მინისტრთა საბჭოში (მიკოლა ბაჟანი მაშინ იყო უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე). ბაჟანს ადრეც პირადად ვიცნობდი რუსთველის პირველი საიუბილეო დღესასწაულის დროიდან (1937 წლიდან). დათქმულ დროს ვეახელით. კაბინეტში მასთან დაგვხვდნენ პოეტი — დრამატურგი ლიუბომირ დმიტერკო (მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის განთავისუფლებული მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილედ ითვლებოდა აგრეთვე პავლო ტიჩინა, ისიც მთავრობის წევრი — განათლების მინისტრი) და პროზაიკოსი სიმონ სკლიარენკო (მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი). ბაჟანმა ალერსით მიგვიღო, მოგვეხვია და დაგვკოცნა, დაწვრილებით გამოგვკითხა, როგორ მოვეწყვეთ, როგორ ჩატარდა გურამი'შვილის დღეები, სინანული გამოთქვა, რომ შ. დადიანი და ლ. ასათიანი პოლტავიდან გაბრუნებულანო. შემდეგ იგი მიუბრუნდა დმიტერკოსა და სკლიარენკოს, შეამოწმეთ როგორ ცხოვრობენ ჩვენი სტუმრები, თქვენ (ხაზგასმით უთხრა მათ) დმიტრო კოსარიკთან ერთად „მიმაგრებული ხართ" სტუმრებთან, თქვენს განკარგულებაში იქნება მსუბუქი ავტომანქანა, დაატარეთ და აჩვენეთ ყველაფერი, რაც კი საინტერესო გაგვაჩნია და რითაც თავი მოგვაქვს, ხომ იცით, ესენი დიდი კულტურის მქონე ხალხის შვილები არიანო, მეც შეძლებისდაგვარად ყურადღებას არ მოგაკლებთო, დაამთავრა, რა უნდა გვეთქვა, გული-

თადი მადლობა მოვახსენეთ მიკოლას და გამოვეთხოვეთ. დავბრუნდით სასტუმროში და ხუთი დღის გეგმა შევადგინეთ, მეტი ხნით დარჩენა არ შეგვეძლო, თუმცა მიკოლა ბაჟანი მაცთუნებლად გვირჩევდა ლვოვში წასვლას.

დმიტერკო და სკლიარენკო სამაგალითონი აღმოჩნდნენ სამეგობროდ. ლიუბომირ დმიტერკო იყო (და არის ახლაც, მიუხედავად შეჭაღარავებისა) ლამაზი, წარმოსადეგი, ვაჟკაცური იერით დამშვენებული, ქართველების უზომოდ მოყვარული. იგი სამამულო ომის მონაწილე ყოფილა, მძიმედ დაჭრილა და სამკურნალოდ ქუთაისის ჰოსპიტალში მოხვედრილა, ქართველის სისხლი გადმომისხეს და სიკვდილისაგან მიხსნესო, ჩემს სხეულში ქართული სისხლი დისო, სიამაყით დასძინა ამ შესანიშნავმა უკრაინელმა მწერალმა და მოქალაქემ. სიმონ სკლიარენკო უაღრესობამდე სიმპათიურია, ზრდილი, თავმდაბალი, სანდომიანი, მოყვარული, თუმცა გარეგნობით დმიტერკოს არა ჰგავს. მთელი ხუთი დღის განმავლობაში დმიტერკო და სკლიარენკო (აგრეთვე კოსარიკი) არ მოგვშორებიან, ყურადღებით და მზრუნველობით აგვავსეს, თავი შეგვაყვარეს. მათი თანხლებით დავათვალიერეთ ძველი და ახალი კიევის ყველა შესანიშნავი კუთხე. უწინარეს ყოვლისა, ვიყავით სოფიის გრანდიოზულ ტაძარში (ახლა მუზეუმადაა ქცეული). განსაკუთრებული გულისყურით თვალი მივადევნე იმ ფრესკებს, რომლებსაც, რუსი და უკრაინელი სპეციალისტების აღიარებით, ქართული ხელოვნების ზემოქმედების კვალი აქვთ აღბეჭდილი. საშინელი სურათი წარმოგვიდგა თვალწინ, როცა კიევის პეჩორის ლავრის ეზოში ვნახეთ მიწაზე დანარცხებული ამ ლავრის დიდებული სამრეკლო (ეს გერმანელი ფაშისტების ბარბაროსობის ნაყოფია). ვეწვიეთ შევჩენკოს მუზეუმს და ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარს (XVIII საუკუნის არქიტექტურულ შედევრს), რომელიც დნეპრის მარჯვენა, მაღალ ნაპირზე ამაყად დგას და შორს გასცქერის უკრაინის დედა-მდინარის ჭალებს. აქედან იშლება რაღაც ზღაპრული სანახაობა. კიევის ამ წარმტაც კუთხეს შთაუგონებია ბევრი ხელოვანი, მათ შორის უკვდავი გოგოლი. ანდრიას ტაძრის მინიშნებული კუთხიდან გაჰყურებდა თურმე გოგოლი დნეპრის წყალდიდობისას ზღვად ქცეულ უნაპირო დაბლობს, რომლის გადალახვას ვერ ახერხებდაო ვერც ერთი მარდი ფრინველი. აქ, ანდრიას ტაძრის კედლებთან ჩასახულა გოგოლის უბრწყინვალესი პოეტური საგალო-

ბელი — «Чуден Днепр». ახლა დნეპრის სანაპიროზე თანამედროვე ნაკეთობის კოხტა სახლებია აგებული და გაშენებულია კულტურისა და დასვენების უზარმაზარი პარკი. გმირთა სასაფლაოზე ყვავილებით შევამკეთ გენერალ ვატუტინის და ქართველი მეომრის გოგიჩაიშვილის საფლავები (გოგიჩაიშვილი გმირულად დაღუპულა კიევის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში). მოვიკითხე, ვინახულე და თაიგულით შევამკე ლესია უკრაინკას საფლავი. ერთი სამახსოვრო დღე გავატარეთ უკრაინის მწერალთა კავშირის შემოქმედების სახლში — ირპენში (კიევის მახლობლად). „ირპენის“ გარშემო სულ ფიჭვნარის ტყეებია, გვერდით ჩამოუდის პატარა (უკრაინული ტიპის) მდინარე ირპენი, სანატრი სათევზაო წყალია. დიდი პატივი გვცეს და გულუხვად გვიმასპინძლეს. ერთი დღე სტუმრად ვიყავით მიკოლა ბაჟანის ქალაქგარეთ აგარაკზე. სამაგალითო პურობა მოგვიწყო ალექსანდრე კორნეიჩუკმა. იგი ცხოვრობდა ქალაქის ცენტრში, ეჭირა მთელი ორსართულიანი სახლი, რომელიც ფერწერის გალერეას უფრო ჰგავდა. პურობას ესწრებოდნენ უკრაინული მწერლობის თაყვანცემები — მიკოლა ბაჟანი, პავლო ტიჩინა, მაქსიმე რილსკი, ვლადიმერ სოსიურა, პეტრო პანჩი და, რა თქმა უნდა, ლიუბომირ დმიტერკო, სიმონ სკლიარენკო და დმიტრო კოსარიკი. კორნეიჩუკმა მოიბოდიშა, დიასახლისი (ცნობილი მწერალი ქალი ვანდა ვასილევსკაია) შინ არ არის, დედულეთში, პოლონეთში იმყოფებაო. ბევრი კარგი სადღეგრძელო და სიტყვა ითქვა ძმობაზე, მეგობრობაზე, მშვიდობიანობაზე, პოეზიაზე და სიყვარულზე. მოგვაჯადოვა მასპინძელმა თავისი უშუალობით, გულითადობით, მახვილგონიერებით. დიდი სიამოვნება მივიღეთ. ყველანი თავს ძალდაუტანებლად და შინაურულად ვგრძნობდით.

კიევში ჩემს ყოფნას აშუქებდა ლიტერატურული პრესა. ვრცელი ინტერვიუ აიღო ჩემგან და გამოაქვეყნა „ლიტერატურნა გაზეტამ“ სათაურით «Клятва братерства и эдності» (5. VIII. 48). გაზეთის იმავე ნომრის მეთაურ წერილში («Наша дружба непорушна!») აღნიშნულია ქართველ მწერალთა დელეგაციის ჩამოსვლაზე მირგოროდში და გურამიშვილის მნიშვნელობაზე, როგორც ხალხთა ძმობის მომღერალზე. უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა მოისმინა ჩემი ინფორმაცია ქართულ-უკრაინულ ურთიერთობაზე კულტურის სფეროში. საქმიანი საუბარი გაიმართა გურამიშვილის ძეგლის დადგმის შესახებ მირგოროდში 1949 წლის ზაფხულისათვის და ქართული მწერლობის

ნიმუშების პუბლიკაციაზე უკრაინულად, ეს საკითხი ვრცლად არის გაშუქებული წერილში „ქართული მწერლობა უკრაინულ ენაზე. საუბარი მიკოლა ბაჟანთან“, რომელიც გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ გამოქვეყნდა (20.XI.49) და ამიტომ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ გადაწყდა დაჩქარდეს „დავითიანის“ უკრაინული თარგმანის გამოცემა (მთარგმნელობა ნაკისრი ჰქონდა მიკოლა ბაჟანს) და ქართული პოეზიის ანთოლოგიის მომზადება. პრეზიდიუმმა დაადგინა აგრეთვე ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევის გამოქვეყნება უკრაინულ ენაზე (20—25 თაბახის მოცულობით). ფრიად სამწუხაროდ ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების (თუ დაუდევრობის) გამო ეს წამოწყება დღემდის განუხორციელებელი რჩება. საქმიანი და სასარგებლო საუბარი მქონდა შევჩენკოს სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში ცნობილ მკვლევართან, უკრაინის აკადემიის წევრ-კორესპონდენტ სერგი ივანეს ძე მასლოვთან (ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ალექსანდრე ბელეცკი შვებულებაში იმყოფებოდა).

უკრაინაში გურამიშვილის ნაკვალევზე პირველმა მგზავრობამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა[1]. ბევრი კეთილი მეგობარი შევიძინე. მაშინ ჩაეყარა საფუძველი იმ ხანგრძლივ მეგობრობას, რომელიც მაკავშირებს მიკოლა ბაჟანთან და მის ოჯახთან. გაშიძლიერდა და განმიმტკიცდა მჭიდრო ურთიერთობა და ძმობა დმიტრო კოსარიკთან. 7 აგვისტოს, დილით შინისკენ გამოვემგზავრეთ შატარებლით.

სრული ერთი წლის შემდეგ, 1949 წლის 7 აგვისტოს მირგოროდში, დიდი სახალხო ზეიმის ვითარებაში, გურამიშვილის საფლავზე გაიხსნა ძეგლი. ძეგლის გახსნაში მონაწილეობის მისაღებად გაიგზავნა საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია — სანდრო შანშიაშვილი, კარლო კალაძე, ბესო ჟღენტი, მაყვალა მრევლიშვილი, ალექსანდრე ბარამიძე. ჩვენ ჯერ კიევში ჩავფრინდით და იქ დავბინავდით. 6 აგვისტოს, საღამოს, მატარებლით გავემგზავრეთ მირგოროდში. თან გვახლდა უკრაინის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია მიკოლა ბაჟანის მეთაურობით (დელეგაციაში შე-

[1] უკრაინაში მგზავრობა საინტერესოდ აქვთ აღწერილი შალვა დადიანსა და ლევან ასათიანს: იხ. შალვა დადიანი, გურამიშვილის საფლავთან („ლიტერატურა და ხელოვნება“, 8. VIII. 48); ლევან ასათიანი, მირგოროდი, ზუბოვკა (იქვე, 15. VIII. 48), პოლტავაში (იქვე 28. VIII. 48.).

დიოდნენ პავლო ტიჩინა, სიმონ სკლიარენკო, პეტრო პანჩი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ვლადიმერ რუბანი, დმიტრო კოსარიკი, კომპოზიტორი ანდრია შტოგარენკო, მხატვარი მიხეილ ხმელკო, უკრაინის სახალხო არტისტი ალექსანდრე იურა-იურსკი, საბჭოთა კავშირის მწერალთა გამგეობის წარმომადგენელი ვიქტორ გოლცევი და გურამიშვილის ძეგლის შემქმნელი კოლექტივი—მოქანდაკე ი. რაჟბა, ქართველი არქიტექტორები შ. ჰედია და კ. ჯანაშია). მთელმა ამ მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ თავი მოიყარა მიკოლა ბაჟანის სალონ-ვაგონში. გზა განვლეთ მხიარულად, იყო ერთი გაუთავებელი ჟრიამული, სიცილ-კისკისი, ხუმრობა, სიმღერები, ლექსების კითხვა, დმიტრო კოსარიკმა მოიტანა ალბომის სპეციალური წიგნი და ზეიმის მონაწილეებს ჩააწერინა შიგ ვინ რასაც ისურვებდა, ოღონდ ჩანაწერი უნდა ყოფილიყო გურამიშვილის სახელის გარშემო. მე წინა წლის ამბავი მოვიგონე და ალბომში ჩავწერე: «Еду в гости к Давиду Гурамишвили. На душе радостно и светло». გვიან, ნაშუაღამევს დავიშალეთ. ქართველი დელეგატებისათვის სალონ-ვაგონში გამოყოფილი იყო კუპეები, ერთი კუპე გვერგო მე და ნიწოს. მშვენივრად მოვეწყვეთ, მაგრამ ძილი არ გაგვეკარა. ადრე დილით მირგოროდის სადგურში ვიყავით. ვისაუზმეთ იქვე, სალონ-ვაგონში. შემდეგ პოლტავის საოლქო და მირგოროდის საარაიონო პარტიულ-სამოქალაქო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თანხლებით გავეშურეთ ზუბოვკაში, სადაც გურამიშვილის სახელობის სკოლის შენობასთან დანიშნული იყო მიტინგი. გურამიშვილის ძეგლის გახსნის ამბები ვრცლად და საინტერესოდ აქვს აღწერილი მაყვალა მრევლიშვილს (დავით გურამიშვილის ძეგლის გახსნა უკრაინაში. გურამიშვილის დღეები. — გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 21.VIII. 49). მე მხოლოდ ქრონიკული ცნობებით დავკმაყოფილდები. გურამიშვილიც ხომ ამბობს: „შევამოკლო, აწ რა მერგო, რაც ვიუბენ ამდენს ხანსა?". შეგვეგებნენ ტრადიციული პურ-მარილით. მიტინგი გახსნა მირგოროდის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შეიკომ. მირგოროდის რაიკომის მდივანმა შულგამ სკოლის კედელს მიაჭედა მარმარილოს მემორიალური დაფა. სიტყვები წარმოთქვეს ზუბოვკის სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ პასკომ, სანდრო შანშიაშვილმა, მაყვალა მრევლიშვილმა, დმიტრო კოსარიკმა. სახალხო არტისტმა იურა-იურსკიმ წაიკითხა გურამიშვილისადმი მიძღვნილი პავლო ტიჩინასა და გიორგი ლეონიძის ლექსები, მიტინგს მოჰყვა სახალხო გართობა-სეირნობა, სიმღერები, ცეკვა-თამაში. ჩვენ გვეჩქარებოდა მირგოროდში, ძეგლის გახსნაზე. მანქანები აგვივსეს

ყვავილებითა და ხილით. გზაში კარგა ხანს გვესმოდა ზუბოვკელი ახალგაზრდების სიმღერის ხმები.

მირგოროდში გაიმართა ნამდვილად დიდი სახალხო სანახობა-ზეიმი, რომელსაც იქაური პრესის ცნობით ესწრებოდა ოცი ათასზე მეტი კაცი როგორც ქალაქიდან, ისე მახლობელი დაბა-სოფლებიდან. ბიტინგი გახსნა პოლტავის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. მარტინენკომ. სიტყვებით გამოვიდნენ პოლტავის საოლქო კომიტეტის მდივანი ვ. ვოლგინი, პ. ტიჩინა, ბ. ჟღენტი, ალ. ბარამიძე, ვ. გოლცევი. კ. კალაძემ წაიკითხა გურამიშვილის „დავითიანის“ ნაწყვეტი ქართულ ენაზე, იმავე ნაწყვეტების თარგმანები რუსულად და უკრაინულად წაიკითხეს ვიქტორ გოლცევმა და მიკოლა ბაჟანმა. სახალხო სეირნობა-ზეიმმა მირგოროდში საღამომდე გასტანა.

9 აგვისტოს კიევის „მწვანე თეატრში“ (დნეპრის ფერდობზე რომ არის აგებული) გაიმართა ლიტერატურული საღამო, რომელიც გურამიშვილს მიეძღვნა.

საღამოს პროგრამა ისე იყო შედგენილი, რომ ერთმანეთს რიგ-რიგობით ენაცვლებოდნენ ქართველი და უკრაინელი მწერლები. მომხსენებელი ორი იყო (მე და კოსარიკი), სიტყვებითა და ლექსების კითხვით გამოვიდნენ სანდრო შანშიაშვილი და პავლო ტიჩინა, ბესო ჟღენტი და მაქსიმე რილსკი, კარლო კალაძე და ვლადიმერ სოსიურა, შაყვალა მრევლიშვილი და ლიუბომირ დმიტერკო. სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე ვიქტორ გოლცევმა. საბოლოო სიტყვა თქვა და გურამიშვილის დღეების ისტორიულ-კულტურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობაზე ყურადღება გაამახვილა ალექსანდრე კორნეიჩუკმა. საღამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

მირგოროდში გურამიშვილის ძეგლის გახსნას მიეძღვნა დიდი სალიტერატურო საღამო თბილისშიც, რომელიც 20 აგვისტოს გაიმართა ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის თეატრში. საღამოში მონაწილეობა მიიღეს და უკრაინაში ყოფნის შთაბეჭდილებებზე მოუთხრეს დამსწრე საზოგადოებას დელეგაციის წევრებმა. საღამოს მონაწილეთა სახელით სამადლობელი დეპეშა გაეგზავნა უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

როგორც უკვე აღვნიშნე, „დავითიანის“ უკრაინულად გადათარგმნა იკისრა მიკოლა ბაჟანმა. იგი იშვიათი გატაცებითა და შთაგონებით მუშაობდა. სახელმძღვანელოდ ჰქონდა პოეტ კოლაუ ნადირაძის

მიერ გაკეთებული პწკარედი. ძირითადად დამთავრებული თარგმანის შესამოწმებლად და საბოლოოდ გასამართავად მიკოლა ბაჟანი 1950 წლის ზაფხულში ჩამოვიდა თბილისში. ორი კვირა გაატარა ჩემთან კიკეთში. ყოველდღე დილიდან საღამომდის ვუსხედით მაგიდას და გულმოდგინედ ვუდარებდით უკრაინულ ტექსტს ქართულ დედანს. პწკარედი საერთოდ კარგად ყოფილიყო შედგენილი, მაგრამ რიგი აზრობრივი შეცდომაც გაპარულიყო. მაგალითად, „ქაცვია მწყემსში“ აღწერილია ქორწილის ამბავი და ნათქვამია: „ფუნდრუკ-ხუნტრუცებით, ქალ-ვაჟნი ხუცებით ი ქ მ ო დ ე ნ ს ა მ ა ს“. ტექსტიდან აშკარაა, რომ ქორწილის მონაწილენი ცეკვავდნენ „სამაიას“ (იქმოდენ სამას). პწკარედის მთარგმნელს კი საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს ქორწილში იყო ს ა მ ა ს ი კაცი. ამას და ამისდაგვარ შეცდომებს მიკოლა ბაჟანი იქვე ასწორებდა, ხოლო საბოლოოდ გამართულ ლექსებს მიკითხავდა, ვაკვირდებოდით მუსიკალურ ჟღერადობას. ასე მომზადდა და გაიჩარხა კიკეთში „დავითიანის“ უბადლო უკრაინული თარგმანი.

ჩემს არქივში დაცულია ფოტოსურათი: კიკეთში, ჩემი სახლის ეზოში, დიდი მუხის ჩრდილქვეშ, მიტო ქიტიაშვილი და პაპუნა წერეთელი თამაშობენ ნარდს, ხოლო მიკოლა ბაჟანი, არჩილ ელიაშვილი (ჩემი ცოლის ძმა), მე, ჩემი მეუღლე ნინო, მიტო ქიტიაშვილის მეუღლე გუგა და ჩემი ბავშვები ვუცქერდით მათ თამაშს. საღამოობით, როცა მუშაობას მოვრჩებოდით, ჩაის შემდეგ, აივნიდან გავცქეროდით ქოროღლის ციხის მიდამოებს და შუაღამემდე ვსაუბრობდით ჩვენი ქვეყნის წარსულსა და აწმყოზე, მეცნიერებასა და პოეზიაზე, სხვადასხვა ცხოვრებისეულ საკითხებზე. საუბრის თემა იყო რუსთველი, გურამიშვილი, შევჩენკო, XIX საუკუნის დიდი რუსული კლასიკური მწერლობა. მიკოლა ბაჟანის თხოვნით, არჩილ ელიაშვილი გვიყვებოდა საფრანგეთში ნანახისა და განცდილის თაობაზე (არჩილს სწავლა მიღებული ჰქონდა გრენობლსა და პარიზში). რაღაც ერთბაშად გაიარა, უკეთ, გაირბინა ბაჟანის სტუმრობის დაუვიწყარმა თხუთმეტმა დღემ. ადრე მიკოლამ მთხოვა დამეწერა და მიმეწოდებინა მისთვის „დავითიანის“ უკრაინული გამოცემისათვის შესავალი წერილი. 1950 წლის 12 მაისის თარიღით იგი მწერდა: «Сердечно благодарю Вас за Ваше милое письмо и за чудесную вступительную статью». მიუხედავად ჩემი კატეგორიული წინააღმდეგობისა, „დავითიანის“ ბაჟანისეული თარგმანის პირველი გამოცემის თანარედაქტორად ვარ გამოცხადებული. უკრაინაში დაბრუნებულ

შიკოლას ბეჯითი ზომები მიუღია თარგმანის დაჩქარებით გამოსაცემად. წლის ბოლოს (1950 წლის ბოლოს) ტექსტი მთლიანად დაიბეჭდა. 1951 წლის 29 იანვარს მიკოლა აღტაცებული მწერდა (რასაკვირველია, უაღრესობამდე აჭარბებდა ჩემი როლის მნიშვნელობას უკრაინული „დავითიანის“ მომზადებაში): «Я выслал Вам первый экземпляр украинского перевода «Гурамишвили». На днях издательство вышлет Вам, дорогой Александр Георгиевич, следуемые авторские экземпляры, а этот примите, как выражение той моей глубокой благодарности Вам, которую даже трудно передать словами. Без Вашей чуткой, любовной, внимательной помощи я, конечно, не смог бы сделать эту работу. Знаю ее недостатки, ее слабость, но, должен признаться, не могу, утаить перед Вами своей радости, что мой перевод, наконец, появился в свет и пойдет к читателю,—мой перевод, очищенный и исправленный Вашими внимательными советами, обласканный (так незаслуженно) Вашим братским отношением, истинным радушием и заботой всей Вашей чудной семьи...» ... არა, ათასჯერ არა, მე არ დამიმსახურებია ეს შეფასება. ეს წერილი იმის გამომხატველია, რაოდენ თავდაბალი, მოყვარული, გრძნობიერი კაცი, ნამდვილი კაცურიკაცი იყო და არის უკრაინის სასიქადულო შვილი, ბრწყინვალე პოეტი-აკადემიკოსი და გამოჩენილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, ქართველობის დიდი მეგობარი ჩვენი ძვირფასი მიკოლა ბაჟანი.

გურამიშვილის ნაკვალევს მესამედ მივყევი 1969 წელს, უკრაინაში ქართული ლიტერატურის დეკადის დღეებში (10—19 მაისი). დეკადაზე საქართველოდან გაემგზავრა დიდი დელეგაცია მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის გრიგოლ აბაშიძის მეთაურობით (ი. აბაშიძე, მ. ბარათაშვილი, ხ. ბერულავა, ო. ბაქანიძე, კ. გამსახურდია, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, ბ. ჟღენტი, კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე, რ. მარგიანი, გ. მარგველაშვილი, ი. ნონეშვილი, ა. სულაკაური, გ. ციციშვილი, ჯ. ჩარკვიანი, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში, ა. ბარამიძე). დელეგაციას ახლდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე დ. ჩხიკვიშვილი და მწერალთა კავშირის აპარატის თანამშრომლები.

კიევში ჩავფრინდით 9 მაისს შუადღისას (ი. აბაშიძე და კ. გამსახურდია მოგვიანებით შემოგვიერთდნენ). დელეგაციის ზოგიერთი წევრი საღამოს თავისთან მიგვიწვია მიკოლა ბაჟანმა. მახსოვს, მიწვე-

ულთა შორის იყვნენ გრიგოლ აბაშიძე, კარლო კალაძე და კონსტანტინე ლორთქიფანიძე მეუღლეებითურთ, დ. ჩხიკვიშვილი, ბ. ჟღენტი, ი. ნონეშვილი, მ. ბარათაშვილი, რ. მარგიანი. ბაჟანთან დაგვხვდნენ უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ოლეს გოხჩარი, მწერალთა კავშირის კიევის საქალაქო ორგანიზაციის მდივანი ვასილ კაზაჩენკო, მწერალი სმოლიჩი და ორიოდე სხვაც. კეთილი ღიმილით კარებში შეგვხვდა ბაჟანის მეუღლე ნინა ვლადიმიროვნა. მდიდრული სუფრა გაშლილი იყო, იგრძნობოდა ოდნავი ვიწროობა. სუფრას მივუსხედით. მიკოლამ აიღო სავსე სასმისი და გვთხოვა ჩვენც შეგვევსო სასმისები. მე ბედნიერი ვარო, რაღაც სევდანარევი კილოთი თქვა მასპინძელმა, რომ ჩემი სახლის ჭერქვეშ ვხედავ ჩემი ოჯახის შეგობარ ქართველ მწერლებს. მაგრამ არ შემიძლია დავფარო, რომ გულზე ღრმა სევდაც მაწევს. ბოლო ხანებში ჩვენგან სამუდამოდ წავიდნენ ჩვენი უგულითადესი და უსაყვარლესი მეგობრები — სიმონ და მარიკა ჩიქოვანები, გიორგი ლეონიძე, შალვა დადიანი, ლევან ასათიანი, ნინა ბარამიძე... ჩვენც, უკრაინელებმა, აუნაზღაურებელი მსხვერპლი გავიღეთ, უკრაინის მწერალთა რიგებს გამოაკლდნენ მისი დიდებული წევრები — პავლო ტიჩინა, მაქსიმე რილსკი. ვლადიმერ სოსიურა, სიმონ სკლიარენკო... ყველას ვთხოვ უხმოდ დასცალოს სასმისი ჩვენგან წასულ მეგობართა მოსაგონარად. მიკოლას, ნინა ვლადიმიროვნას და ბევრ იქ დამსწრეს თვალებზე ცრემლები მოადგა... ასე გაგრძელდა ერთხანს, შემდეგ სევდიანი განწყობილება გაიფანტა და პურობაც ჩვეული რიტმით წარიმართა.

ქართული ლიტერატურის დეკადა უკრაინაში ჩატარდა დიდი წარმატებით და გადაიქცა ქართველი და უკრაინელი ხალხების ძმობის ნამდვილ დემონსტრაციად. უკრაინის მოსახლეობა ყველგან, სოფლად თუ ქალაქად, დიდი თუ პატარა საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული გვეგებებოდა პურმარილით და სასიყვარულოდ გაშლილი გულით, ხვევნა-კოცნით.

განსაკუთრებით აღმებეჭდა მეხსიერებაში ტარას შევჩენკოს ბორცვი კანევში, სადაც განისვენებს უკრაინული პოეზიის დიდება, დიდი კობზარი და სადაც აღმართულია მისი მშვენიერი ძეგლი. კანევში ვიყავით დელეგაციის მთელი შემადგენლობით დეკადის მეორე დღეს, 11 მაისს, თან გვახლდნენ უკრაინის ლიტერატურის მესვეურები. თითოეულმა ჩვენთაგანმა დარგო მუხის ნერგი. იქით და აქეთ (კანევი—კიევი) ვიმგზავრეთ სწრაფმავალი გემით.

შთელი შეძადგენლობით ეწვია დეკადის მონაწილე ჩვენი დელეგაცია დეკადის მესამე დღეს, 12 მაისს, ქალაქ მირგოროდს. ჩვენ გვახლდნენ უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პეტრე ტიმოთეს ძე ტრონკო და უკრაინის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელები ოლეს გონჩარის მეთაურობით. ჩვენს ჩასვლას დაუკავშირდა გურამიშვილის მეორე ძეგლისა და მემორიალური სახლ-მუზეუმის გახსნა მირგოროდში. სახლ-მუზეუმისათვის აგებულია სპეციალური შენობა. მის წინ აღმართულია გურამიშვილის საუცხოო ძეგლი. სახლ-მუზეუმის მუშაკებს დიდძალი მასალა შეუკრებიათ გურამიშვილზე და მის დროზე. შეკრებილი მასალის მხოლოდ ნაწილი (რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესი ნაწილი) ექსპონირებულია საქმის ცოდნითა და გემოვნებით. სხვათა შორის, მასალების შეკრება-შერჩევაში სახლ-მუზეუმის ხელმძღვანელობას დიდი დახმარება აღმოუჩინა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა, ჩვენ საგანგებოდ მივავლინეთ მირგოროდში ინსტიტუტის ორი მეცნიერი თანამშრომელი (რუსუდან კუსრაშვილი და ბონდო არველაძე). არც შემდეგ ვაკლებდით ყურადღებას სახლ-მუზეუმს. მჭიდრო, ცოცხალი და საქმიანი კავშირი გვქონდა და გვაქვს სახლ-მუზეუმის დირექტორებთან (ადრე დირექტორად იყო პოეტი ოლეს იურენკო, ამჟამადაა ენთუზიასტი ქალი ნატალია დავიდენკო).

მირგოროდის გურამიშვილისეულ სახლ-მუზეუმს რომ ვათვალიერებდი, გულში გავიელე, რა იქნებოდა ერთი ამდაგვარი რომ ჩვენც გვქონოდა საქართველოში (თბილისში, საგურამოში ან ლამისყანაში).

ჩვეულებისამებრ თუ ტრადიციისამებრ გურამიშვილის სახლ-მუზეუმი გაიხსნა საყოველთაო-სახალხო ზეიმის ვითარებაში. მე მესამედ ვესწრებოდი იქაურ ზეიმს. ასე მეჩვენა, რომ ახლა ხალხ-მრავლობამ კიდევ უფრო იმატა და დღესასწაულმაც თითქო უფრო მასობრივი და ორგანიზებული ხასიათი მიიღო (მაგრამ რა შეედრებოდა სიყვარულის პირველ, სტიქიურ დემონსტრაციას 1948 წლის ივლისის მიწურულში). უკრაინელ ხალხს თავი მოაქვს, რომ მის მიწა-წყალზე დაემკვიდრა ქართველთა დიდი პოეტი, რომ იქ გაშალა მან შემოქმედებითი ფრთები, იქ იმოღვაწა საზოგადოებრივ სარბიელზე, იქ აღესრულა და იქვე განისვენებს.

გურამიშვილის სახლ-მუზეუმის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს პ. ტრონკომ, პოლტავის ოლქის აღმასკომის თავმჯდომარემ ს. ბოიკომ, მირგოროდის რაიკომის მდივანმა ნ. შევ-

ჩენკომ, ოლეს გონჩარმა, პოლტავის მწერალთა ორგანიზაციის მდივანმა ა. ჩუჩამ, დ. ჩხიკვიშვილმა და ამ სტრიქონების ავტორმა. ლექსები წაიკითხეს მიკოლა ბაჟანმა და იოსებ ნონეშვილმა. სახლ-მუზეუმის ლენტი გაჭრა პოლტავის ოლქის პირველმა მდივანმა ა. მუჟიცკიმ.

როგორც ვიცით, ბედდამწვარი ქართველი პოეტი გულისტკივილით ჩიოდა — „ცოცხალი არვის ვახსოვარ, მკვდარს ვინღა მომიგონებსა“ ან კი რას იფიქრებდა უცხოეთში გადაკარგული კაცი, თუ უკრაინელი თანამოძმენი ასეთი მოწიწებით უკვდავყოფდნენ მის ნათელ ხსოვნას! რას იფიქრებდა, თუ მისი პოეზიის ხმა ჩაღწევდა მის სამშობლოში, თუ შორეული მადლიერი შთამომავლობა უპატრონოდ არ დატოვებდა მის ობოლ საფლავს. გურამიშვილს ანდერძად შეუთხზავს უდიდესი ტრაგიზმის გრძნობით გამსჭვალული საკუთარი „საფლავის ქვაზედ დასაწერი“. პოეტი გოდებდა, რომ მშობლიური მიწა ვერ მიიბარებდა იმის ნეშტს და მკითხველს (მნახველს) უბარებდა:

ვით მე არ მინდო ცრუვმან საწუთრომ,
აგრეთვე, ვგონებ, არცა შენ გინდოს;
შენ მე მიბრძანე ცოდვილს შენდობა,
ღმერთმან შენ შენი ცოდვა შეგინდოს!

მირგოროდიდან დეკადის მონაწილენი სამ ჯგუფად გაიყვნენ. მე მოვხვდი პოლტავა-ხარკოვ-ზაპოროჟიე-კახოვკა-ხერსონის ჯგუფში (ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ ვასილ კაზაჩენკო და იოსებ ნონეშვილი). მე მინახავს ჰიტლერელებისაგან ნანგრევებად ქცეული და მიწასთან გასწორებული პოლტავა. ახლა იგი დაგვხვდა მკვდრეთით აღდგენილი, წელში გამართული, დამშვენებული. იგი მნახველს ხიბლავს და ატყვევებს თავისი ძეგლებით, მუზეუმებით, პარკებით. ხარკოვი უზარმაზარი სამრეწველო ქალაქია და კულტურის დიდი ცენტრი. დავთვალიერეთ ხარკოვის სახელგანთქმული სატრაქტორო ქარხანა, სადაც 32 ათასი მუშა-მოსამსახურეა დასაქმებული. საამქროში ჩვენს თვალწინ დაიბადა ახალი ტრაქტორი, რომელსაც 323620 ნომრით მიეცა სასიცოცხლო საგზური. გაგვაცა ქარხნის დირექტორის, სოციალისტური შრომის გმირის, ხანდაზმულის, მაგრამ ახალგაზრდულად მხნე და ენერგიული ინჟინრის პავლე საბლევის ფართო განსწავლულობამ, ადამიანურმა კეთილშობილებამ და იშვიათმა უბრალოებამ. გულითადად შეგვხვდნენ ხარკოვის მეორე დიდ ქარხანაშიც („სერპ ი მოლოტ“). შთამბეჭდავი იყო შეხვედრა ხარკოვის უნივერსიტეტში.

ვეებერთელა სააქტო დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. გულდასმით უსმენდნენ ჩვენს გამოსვლებს. ხალისიანად წაიკითხეს ქართული ლექსების თარგმანები რუსულსა და უკრაინულ ენებზე ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა გოგონებმა. ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორს, ცნობილ ქიმიკოს ვლადიმერ ეგნატეს ძე ხოდკევიჩს, რომელიც ადრე ალპინისტიც ყოფილა, ფეხით ჰქონია მოვლილი მთელი საქართველო. მე სიამოვნებით შევასრულე გიორგი ახვლედიანის დავალება და ხარკოვის უნივერსიტეტის საზოგადოებრიობას გადავეცი მისი მხურვალე მოკითხვა (გიორგი ახვლედიანმა, ისე როგორც სხვა ბევრმა ქართველმა სწავლულმა, უმაღლესი განათლება ხარკოვის უნივერსიტეტში მიიღო). გიორგი ახვლედიანის მოკითხვა-სალამს მთელი დარბაზი შეხვდა ხანგრძლივი ტაშით.

საქმიანი იყო შეხვედრა შემოქმედებით ინტელიგენციასთან (მწერლებთან, მხატვრებთან, მუსიკოსებთან). 15 მაისს, სალამოს, მიგვიწვიეს რადიო-მაუწყებლობისა და ტელევიზიის სახლში. ჩვენი შთაბეჭდილებანი და მადლიერების გრძნობა გადავეცით ტელევიზიით.

ხარკოვში ორი დღე დავრჩით (14—15 V). შემდეგ განვაგრძეთ გზა დაგეგმილი მარშრუტით. ბევრი საინტერესო ვნახეთ ქალაქ ზაპოროჟიეში, საბჭოთა ინდუსტრიის ამ ახალ, მაგრამ უკვე თვალსაჩინო ცენტრში. გულდასმით დავათვალიერეთ ერთი მხრივ გრანდიოზული დნეპროპეზი, მეორე მხრივ თავისუფლებისმოყვარე ზაპოროჟიელ კაზაკთა ძველი ისტორიული სადგომი — ხორტიცა. დავიმუხლეთ ზაპოროჟიეს ლეგენდური მუხის ჩრდილქვეშ. ნავებით გავისეირნეთ დნეპრზე. დრო აღარ გვყოფნიდა, მაინც შევჩერდით კახოვკაში, თვალი შევავლეთ რომანტიკულ „ტაჩანკას“, კახოვკის კარჩხალს, ახალი სარწყავი არხის მშენებლობას... ჩავუარეთ კარგად მოვლილ ყანებს, ზვრებსა და ხილის ბაღებს. აგერ ხერსონიც. შავი ზღვის სანაპიროდან წამოუბერა მშობლიურმა სიომ. გაგვახარა ზაპოროჟიეს აღმასკომის დადგენილებამ, რომ ქალაქის ერთ-ერთ უმთავრეს ქუჩას ეწოდოს საბჭოთა კავშირის გმირის ლავრენტი ავალიანის სახელი, ავალიანი. გმირულად დაღუპულა ზაპოროჟიეს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ხერსონის საპატიო მოქალაქის წოდება აქვს მინიჭებული საბჭოთა კავშირის გმირ გიორგი შენგელიას. მისი სახელი ოქროს ასოებით არის ამოტვიფრული საქალაქო საბჭოს დარბაზში, ხოლო პორტრეტი აძკობს ფართო დერეფნის კედელს.

ხერსონიდან თვითმფრინავით დაებრუნდით კიევში, სადაც 19 მაისს დილით უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე შეჯამდა ქართული ლიტერატურის დეკადა უკრაინაში. 19 საათზე კი ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა დიდი დასკვნითი საღამო.

უკრაინამ აგვავსო პატივისცემითა და სიყვარულით. რასაკვირველია, ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს პატივისცემა და სიყვარული ეკუთვნის ჩვენს სათაყვანებელ შშობელ ხალხს, ქართველ ხალხს. მირგოროდში წარძოთქმულ სიტყვაში ჩვენ შევახსენეთ კეთილ მასპინძლებს, რომ რუსთველის ქვეყანამ იცის ნამდვილი სიყვარულისა და ძმობის ფასი და მნიშვნელობა.

ვასილ კაზაჩენკოს, რეზო მარგიანის, არჩილ სულაკაურის, ჯუმბერ თითძერიას ძოსწრებულმა სიტყვა-პასუხებმა, უბოროტო ქილიკობამ და ლაღობა-ოხუნჯობამ ხახგრძლივი მგზავრობის ტვირთი შეგვიმსუბუქა. არჩილ სულაკაურმა გამოთქვა ვრცელი „გიობა“, რომლის რამდენიმე სტროფიც აქვე მომყავს:

კიევში ერთად შეყრილნი
მირგოროდს გავიყარენით,
ჩვენ პოლტავისკენ გავწიეთ,
გულითაც გავიხარენით.

ცრემლებით მოვიგონებდით
გურამიშვილის ეზოსა;
ლეოვისკენ თვალი რჩებოდა
მარგიანს, ჩვენსა რეზოსა.

გაზეთში კარლო ვიხილეთ,
აღარსად ჩანდა გულიკო[1],
გიას[2] ხარკოვში ვეძებდით,
ის ლვოვში დაკარგულიყო.

გეგონათ, ლვოვი დაგხვდებათ,
როგორც გეტმანის დარბაზი,—
ხარკოვში ჩამოგვირიგეს
თითოს ორ-ორი საპარსი.

საჩუქრებს გამოაყოლეს
სამართებლების „ზაპასი“,

[1] კარლო კალაძის მეუღლის სახელია.
[2] გია მარგველაშვილი.

შიგ ფუნჯი იდო ხუჭუჭა,
როგორც ქოჩორი თარბასი.

ეს არ გეგონოს, კონსტანტინ[1],
იგავ-არაკი საბასი.

ბევრგან პურ-ღვინო მოგვართვეს
და ბევრგან კიდევ ადრესი.
ჩვენ დაგეყენებოდა ღიმილი
ბატონი ალექსანდრესი.

უკრაინაში სხვა დროსაც ვყოფილვარ. ბარემ ამაზეც ვიტყვი ძალიან მოკლედ.

1951 წელს, ნოემბერში მიწვეული ვიყავი უკრაინის რესპუბლიკურ თათბირზე, რომელიც ძიეძღვნა მხატვრული თარგმანის საკითხებს. გზაში გავცივდი, კიევში გრიპით დაავადებული ჩავედი, დიდი სიცხე მქონდა. სხდომებს ვერ დავესწარი, ოღონდ ჩემი წერილობითი სიტყვა სიმოხ სკლიარენკომ წაიკითხა. სკლიარენკო ჩინებული ადამიანი და კარგი მწერალი იყო (ახლა გარდაცვლილია), ოდნავ ენაჩლიქი. ძისი გაძოსვლა რადიოთი შოვისმინე მწოლარემ, მონოტონურად და ბორძიკით კითხულობდა. ავადმყოფს თავზე მადგა ნინო. სამაგალითო სამსახური გამიწია ბაჟანის ოჯახმა. მმკურნალობდა კიევის »კრეძლის« საუკეთესო ექიმი (ასე წარმომიდგინა იგი მიკოლამ ხუმრობით). საგანგებო წვნიან შეჭამადს მიმზადებდა ნინა ვლადიმიროვნა. დღეში ორჯერ მაინც მნახულობდა. ნინა ვლადიმიროვნა იშვიათად კეთილი გულის პატრონი ქალია, მზრუნველი, დაუზარელი, სტუმართმოყვარე, განათლებული, განსწავლული ბიოლოგი (ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი), ოჯახსაც კარგად უვლის და სამეცნიერო-კვლევითს შუშაობასაც წარმატებით ეწევა.

1954 წელს მთელ საბჭოთა კავშირში ზეიმით აღინიშნა უკრაინისა და რუსეთის გაერთიანების სამასი წლისთავი. ამ თარიღს სპეციალური სამეცნიერო სესიები მიუძღვნეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ და თბილისის უნივერსიტეტმა. აკადემიის სესიას დაესწრნენ უკრაინიდან მოვლინებული უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი გური ნიკოლოზის ძე საავინი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი ივანე კონსტანტინეს ძე ბელოდედი. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, რა-

[1] კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

საკვირველია, საიუბილეო-სამეცნიერო სესიები მიუძღვნეს (აპრილის თვის პირველ ნახევარში) უკრაინისა და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიებმა. ორივე ამ სესიაზე გაიგზავნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია აკადემიის პრეზიდენტის ნიკოლოზ მუსხელიშვილის მეთაურობით. დელეგაციის წევრები ვიყავით მე და გიორგი წერეთელი. აკადემიის დაკვეთით უჩა ჯაფარიძემ შექმნა ლესია უკრაინკას შესანიშნავი ფერწერული პორტრეტი დიდი მოცულობისა. პორტრეტი თან წავიღეთ. როცა ნიკო მუსხელიშვილი ადრესის ტექსტს აქვეყნებდა, მე და გიორგიმ ლესიას პორტრეტი სცენაზე გავიტანეთ. მთელი დარბაზი ამას ტაშის ქუხილით შეხვდა (სხდომა მიმდინარეობდა კიევის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში). ადრესის ტექსტი მე შევადგინე. მახსოვს, სხდომის დღეს, დილით, სასტუმროში ჩემი და გიორგის თანდასწრებით ბ-ნმა ნიკომ ორჯერ ხმამაღლა ჩაიკითხა ეს ტექსტი, სადმე მახვილი არ შემეშალოსო, თუმცა იგი საუცხოო მორუსულე იყო (ასეთი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა პრეზიდენტი თავის ყველა საქმეს).

სხდომის საზეიმო ნაწილის დღის წესრიგი რომ იწურებოდა (შემდეგ უნდა შემდგარიყო კონცერტი), მიკოლამ ჩამიჩურჩულა, კონცერტზე ნუღარ დარჩები, შინ მეწვიე და გიორგი წერეთელიც თან წამოიყვანეო (ბ-ნ ნიკოს ნუ შეაწუხებო). ჩვენი წასვლა რომ არ შეამჩნიონ, ნელ-ნელა, ჩუმად „გავიპაროთო“. უარი არ გაეწყობოდა. გიორგი შევიპირე და თეატრის შენობა დავტოვეთ. სასტუმროში შევიარეთ, „ენისელის“ ერთი ბოთლი წავიღეთ და წავედით. მიკოლა ბაჟანი ახლოს ცხოვრობდა, ჩუდნოვსკის ქუჩაზე №5 (ახლა რეპინის ქუჩა ეწოდება). ბაჟანთან სუფრას უსხდნენ (მასპინძლებს გარდა) აკადემიკოსები ალექსეევი და გუძი, კომპოზიტორი დანკევიჩი (ომის დროს ის თბილისში ცხოვრობდა). ჩვენი მისვლა გაეხარდათ. კონიაკიც მშთაბეჭდილება მოახდინა (მიკოლა „ენისელს“ გენიალურ კონიაკს უწოდებს). საღამო ტკბილ მეგობრულ მუსაიფში გავატარეთ. სასტუმროში გვიან დავბრუნდით. გზაში გიორგიმ გამანდო, ცხრუკვეთის ღვინო მაქვს ჩამოტანილი ტიკჭორათი, მოსკოვში მიკოლა ბაჟანს სამაგიერო პურობა გაეუმართოთ. ასეც მოვიქეცით. ბინად მოგვათავსეს სასტუმრო „მოსკოვში“. საიუბილეო ზეიმის მონაწილეთა განკარგულებაში იყო სასტუმროს რესტორანიც (გარეშეთათვის იმ დღეებში რესტორანი დახურეს). დრო შევარჩიეთ და სტუმრად მოვიპატიჟეთ მიკოლა ბაჟანი, ნ. გუძი, პ. ალექსეევი,

გ. სავინი, ი. ბელოდედი, ნ. მუსხელიშვილი, ი. ვეკუა, გ. ახვლედიანი, ცხრუკვეთის ღვინოს დავუმატეთ მოსკოვის ქართული გასტრონომიდან მოტანილი სასმელები (მაშინ გორკის ქუჩაზე იყო კარგად მომარაგებული ქართული გასტრონომიული მაღაზია). სტუმრებმა ძლიერ მოილხინეს. ნიკო მუსხელიშვილის ოხუნჯობამ და მოსწრებულმა სიტყვებმა ყველა მოხიბლა. ერთმანეთს მივეცით ქართულ-უკრაინული ძმობის ფიცი. აკადემიკოსი გუძი ადრე შეზარხოშდა, მის აღტაცებულ სიტყვებს საზღვარი არ ჰქონდა. ბაჟანმა ჩამილაპარაკა ხუმრობით, გუძი ნამეტნავად გაგვიუკრაინელეთო. საქმე ისაა, რომ ნიკოლოზ კალენიკის ძე გუძი წარმოშობით იყო უკრაინელი, უკრაინის აკადემიის წევრი, მაგრამ არსებითად კი რუსი მეცნიერი. პურობის ყველა მონაწილე აკადემიკოსმა გუძიმ მეორე დღისათვის თავისთან მიიპატიჟა. მართლაც მეორე დღეს დაგვირეკა მე და გიორგის და გვთხოვა ვხლებოდით. ვეახელით, მაგრამ ჩვენს გარდა იქ არავინ ყოფილა. გუძი ცხოვრობდა მოსკოვის უნივერსიტეტის ძველი შენობის გვერდით. იშვიათად მდიდრული ბიბლიოთეკა ჰქონდა და პირველხარისხოვანი ფერწერული ტილოების ნამდვილი გალერეა...

რახან მოგონებების ამ ბოლო ფურცელს ერთგვარად გასტრონომიული განხრა მიეცა, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ კიევსა და მოსკოვში საიუბილეო ბანკეტები გაიმართა. უნდა გულახდილად ვთქვა. არ მომეწონა, ცივი და უფერული მომეჩვენა, არა, პურის, მარილი და სუფრის მადლი ღმერთს ქართველობისათვის გადმოულოცავს. სხვა საქმეა, რომ ბოლო დროს ამ სფეროშიც დაირღვა ძველი, სანაქებო ტრადიციები და პურობამ მავნე ღრეობის ხასიათი მიიღო. იმედია, ამ ჩამომრებ სენსაც მალე დავაღწევთ თავს და ქართულ პურობას დავუბრუნებთ ოდინდელ შნოსა და ლაზათს.

1976

მშობლიური, ტკბილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს „დაბადების“ 50-ე წელი შეუსრულდა. ჩვენი კულტურის ბევრ გულშემატკივარს სერიოზულად უკვირს, ნუთუ მხოლოდ ორმოცდაათ წელს ითვლისო უმაღლესი სას-

წავლებელი საქართველოში. გაკვირვება საშართლიანია. საქმე ისაა, რომ საიუბილეო 50 წელი შეუსრულდა საკუთრივ თბილისის უნივერსიტეტს და არა საზოგადოდ ქართულ უმაღლეს სასწავლებელს. უმაღლესი სასწავლებელი ჩვენ გვქონდა ჯერ კიდევ XI—XII საუკუნეებში (იყალთოსა და გელათის აკადემიები). განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო გელათის აკადემია, რომელიც XII საუკუნის დასაწყისში დააარსა დავით აღმაშენებელმა „ეოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა“.

ორმოცდაათი წლის წინათ განახლდა, აღორძინდა ქართული უმაღლესი განათლების კერა, ახალი დროისა და გარემოების შესაფერისი სახე მიიღო და თბილისის უნივერსიტეტი ეწოდა. ისტორიულმა უკუღმართობამ ძველად ძალზე შეაფერხა ჩვენში სწავლა-განათლების ბუნებრივი განვითარება, მონღოლების კირთების ხანაში გამოიკეტა კულტურის სავანეთა კერები და კულტურული ცხოვრების ცეცხლი თითქო სრულიად ჩაქრა. XVIII საუკუნის მიწურულში მოწინავე ქართველი საზოგადოება პრაქტიკულად აპირებდა საძი უმაღლესი სასწავლებლის გახსნას მარტო აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისსა, გორსა და თელავში). XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი თავიანთი მხრივ ენერგიულად იბრძოდნენ უმაღლესი სასწავლებლის დასაარსებლად, მაგრამ არ იქნა და მეფის მთავრობის ნებართვის მიღება არ მოხერხდა. კიდევ ერთხელ ბეჯითად დაისვა საკითხი უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე რევოლუციური სიტუაციის აღმავლობის პერიოდში, პირველი მსოფლიო ომის წინ. 1912 წლის 26 მაისის ნომერში გაზეთი „პრავდა“ აღნიშნავდა, მეფის მთავრობას ეშინიაო, რომ „უნივერსიტეტის გახსნით კიდევ მეტად დაძკვიდრდება კავკასიაში „კრამოლა“.

საგულისხმოა, რომ იმავე 1912 წელს თბილისში გამოქვეყნდა ძველი ქართული მწერლობის ერთი უნიკალური ძეგლი — „იერუსალიმის განჩინება“. ძეგლი გამოსცა და შესანიშნავი გამოკვლევა დაურთო კორნელი კეკელიძემ. ამ გამოცემამ რუსეთისა და საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეების დიდი ინტერესი გამოიწვია, ბევრი აღტაცებული რეცენზიაც დაიბეჭდა. სპეციალური რეცენზია მიუძღვნა „იერუსალიმის განჩინებას“ გამოჩენილმა ორიენტალისტმა და ქართველოლოგმა ნიკო მარმა. რეცენზიის შესავალში ავტორი შენიშნავდა: „იმ ქალაქში, სადაც უდროოდ ითვლება უნივერსიტეტის დაარსება თითქო ადგილობრივი საზოგადოების მოუმწიფებლობის გამო, გამო-

დის ადგილობრივი მკვიდრის მიერ შედგენილი წიგნი, რომელიც განსაკუთრებული სიცხადით გვაგრძნობინებს იქ უნივერსიტეტის უქონლობის სინანულს".

საჭირო გახდა ოქტომბრის დიდი რევოლუციის გრიგალის ამოქრა, რომ ფრთები შესხმოდა ქართველი ხალხის საუკუნეობრივ ოცნებას და ქართველ მეცნიერთა მცირერიცხოვანი ჯგუფის გმირული თავგადებების შედეგად ჩვენს დედაქალაქში გახსნილიყო ეროვნული უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის დაარსებამ ბევრ ქართველ ახალგაზრდას (და არა მარტო ახალგაზრდას) მისცა საშუალება მიეღო უმაღლესი განათლება მის მშობლიურ ქვეყანაში, მის დედაენაზე, პირადად მე (ისე როგორც ათასი სხვა ჩემნაირივე) უმაღლეს განათლებას ვერ ვეღირსებოდი, თბილისის უნივერსიტეტი რომ არ ყოფილიყო. დიდი ბედნიერება იყო უნივერსიტეტის გახსნა თბილისში. მაგრამ ხელმოკლე პროვინციელი აბიტურიენტისათვის დიდ დაბრკოლებად რჩებოდა თვითონ თბილისში ჩაღწევა, იქ ღამის გასათევი კუთხის მოპოვება და თავის სარჩენი სამსახურის შოვნა. დიდი ვაი-ვაგლახითა და გაჭირვებით ეს დაბრკოლება ვძლიე.

უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სიტყვიერების დარგი დავამთავრე და 1925 წლის გაზაფხულზე საბელმწიფო გამოცდებისათვის ვემზადებოდი, როდ ერთ მშვენიერ დღეს პროფესორმა კ. კეკელიძემ თავისთან მიმიხმო, გამომკითხა ჩემი ცხოვრებისა და ოჯახური მდგომარეობის ამბავი. მომავალში რას აპირებთო. პირველ ორ კითხვაზე ამომწურავი პასუხი გავეცი, მომავლისა არაფერი ვიცი-ძეთქი, ძორიდებით დავძინე. რას იტყოდითო, ცოტა დაყოვნებით მკითხა გამოჩენილმა მეცნიერმა, რომ მოხერხებულიყო თქვენი უნივერსიტეტში დატოვება საპროფესოროდ მოსამზადებლად? მკითხა და თვალები შემომანათა. შევცბი, დავიბენი, კითხვა სრულიად ანაზდეული იყო, თანაც მაცდუნებელი. მალე სულიერი წონასწორობა აღვიდგინე და პასუხის გაცემა დავაპირე. პროფესორმა ღიმილით შემაჩერა. პასუხი ახლა არ მინდაო, მითხრა. ჯერ კიდევ კარგად მოიფიქრეთ, აწონ-დაწონეთ, დაეკითხეთ თქვენ თავსა და მშობლებს, გაითვალისწინეთ მეცნიერული მუშაობის სირთულე და სიმძიმე (აქ ვრცელი საუბარი გამიბა მეცნიერული მუშობისათვის საჭირო თავდადებაზე და თავშეზღუდვაზე), ერთი-ორი კვირის შემდეგ მოდით და პასუხი მაშინ მითხარითო.

ძეტისძეტად ძძიმე აღმოჩნდა ამოცანის გადაჭრა. ბევრი ვეთათბირე თავის თავსაც და მახლობლებსაც. მოვიდა დათქმული ვადა. ვეახელი პროფესორს, ძადლობა მოვახსენე და თანხმობის დასტური მივეცი... იძავე წლის შემოდგომაზე ჩამრიცხეს უნივერსიტეტში დატოვებულ სტიპენდიატად ძველ ქართულ საერო მწერლობაში.

სტიპენდიატად დატოვება მაშინ იშვიათი მოვლენა იყო. თითქმის იმავდროულად უსტიპენდიოდ (ახლა ვიტყოდით წარმოებიდან მოუწყვეტლად) დატოვეს კათედრასთან მიხეილ ზანდუკელი (ახალ ქართულ ლიტერატურაში) და ვახტანგ კოტეტიშვილი (ქართულ ფოლკლორში).

პირველ ყოვლისა, თავი გავანებე სამსახურს (მაშინ კარგი ხელფასიანი ადგილი მქონდა). ახლა კი ვიძღე გული ლექციებზე დასწრებით. გულმოდგინედ ვიწყე ძველი ხელნაწერების ჩხრეკაც. კარგი მასალები დაძიგროვდა. 1927 წლის პირველ ნახევარში გამოქვეყნდა ჩემი პირველი სამეცნიერო ნაშრომი — „შენიშვნები შაჰნამეს ქართული ვერსიების შესახებ“ (საქართველოს არქივი, III). ერთი ნარკვევიც დასაბეჭდად მიიღო უნივერსიტეტის „მოამბემ“.

1927 წელს გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მკვლევარი დავით კარიჭაშვილი, რომელიც უნივერსიტეტში შსახურობდა უფროს ასისტენტად: საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უნივერსიტეტს გადაეცა ყოფილი საეკლესიო კომიტეტისა და წერა-კითხვის გაძავრცელებელი საზოგადოების მდიდარი ხელნაწერი კოლექციები, ამას დაემატა უნივერსიტეტის საკუთარი კოლექციაც და შეიქმნა „უნივერსიტეტის სიძველეთსაცავი“. სწავლულ მცველებად, უფროსი ასისტენტების წოდებით, მიიწვიეს ღვაწლმოსილი მეცნიერები მოსე ჯანაშვილი და დავით კარიჭაშვილი (უნივერსიტეტის სიძველეთსაცავს განაგებდა კ. კეკელიძე). დ. კარიჭაშვილის გარდაცვალების შემდეგ ასისტენტის მოვალეობა მე დამეკისრა, 1927 წლის სექტემბრიდან. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, ერთბაშად აღმოვჩნდი უხუცესი ქართველი მეცნიერის მოსე ჯანაშვილის კოლეგა და ქართული სულიერი კულტურის უმდიდრესი საგანძურის პასუხისმგებელი მცველი. სხვათა შორის, იქვე, ჩვენი სიძველეთსაცავის გვერდით, იყო საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმიც (მუზეუმს განაგებდა სერგი გორგაძე). ჩემს ხელში იყო ბურთიც და მოედანიც, ამაზე მეტს კაცი რას ინატრებდა? შრომას და ენერგიას არ

ვიშურებდი. მამხნევებდა და მახალისებდა ტკბილი მოხუცი მეცნიერის მ. ჯახაშვილის მეგობრობა.

სიძველეთსაცავის ხშირი სტუმრები იყვნენ ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, გ. ჩუბინაშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, იუსტ. აბულაძე, ჰ. ინგოროყვა, ს. ხუნდაძე. აქ დღე და ღამეს ასწორებდნენ უნივერსიტეტთან დატოვებული კოლეგები (ზოგი მათგანნი უკვე ლექტორები იყვნენ) — შ. ამირანაშვილი, ს. ჯანაშია, ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ნ. ბერძენიშვილი, ლ. მუსხელიშვილი, გ. წერეთელი, ი. ცინცაძე. მწერლებიდან, მახსოვს, მოდიოდნენ ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე, კ. ჭიჭინაძე, გ. ქიქოძე.

თბილისის უნივერსიტეტის ფაქტობრივი დამაარსებელი და მისი სულის ჩამდგმელი, ქართული მეცნიერების სინდისი ივანე ჯავახიშვილი არ ყოფილა ჩემი უშუალო მასწავლებელი, მაგრამ მისი შთამაგონებელი ყურადღებით მუდმივ ესარგებლობდი. ქართველოლოგიის საკითხებზე ძაშინ საჯარო ხოხსეხებები იკითხებოდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომებზე, საქართველოს მუზეუმის შენობაში. საზოგადოების თავმჯდომარე იყო ივანე ჯავახიშვილი. დიდი მეცნიერი სმენის ნაკლებობას უჩიოდა და მოხსენებებს ჩვეულებრივ წინასწარ ეცნობოდა. ბევრი საგულისხმო შენიშვნა და ნამდვილად მამობრივი რჩევა-დარიგება მიმიღია ი. ჯავახიშვილისაგან ჩემი მოხსენებების გამო. მომიწონა, რომ სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებს ვიკვლევ-ვიძიებდი, ძაგრამ სპარსულით ძოჭარბებული გატაცებისაგან თაკშეკავების საჭიროებაზე მიმითითებდა, შუდამ მადლიერების გრძნობით ვიგონებ ი. ჯავახიშვილისა და ა. შანიძის გადამწყვეტი ხასიათის წინადადებას სადოქტორო დისერტაციად წარმედგინა გამოკვლევა ქილილა და დამანას ქართულ ვერსიებზე, რომლის შინაარსი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომას მოხსენდა საკმაოდ დაწვრილებით.

ძას შეძდეგ დიდძა დრომ განვლო. ბევრი ცვლილება მოხდა უნივერსიტეტის ცხოვრებაში. ჩვენი ქვეყნის საერთო ზრდასთან ერთად იზრდებოდა და ვაფაცდებოდა მისი პირმშო სამეცნიერო კერაც. იგი საბჭოთა კავშირის მოწინავე უმაღლესი სასწავლებლების პირველ რიგებში ჩადგა. უნივერსიტეტის ზრდა და წინსვლა მკაფიოდ მოჩანს, კერძოდ, ქართული მწერლობის კათედრის მაგალითზეც. თავდაპირველად უნივერსიტეტში იკითხებოდა ქართული საეკლესიო მწერლობის ისტორია (კ. კეკელიძე) და ძველი ქართული საერო ლიტერატურა

(ი. ყიფშიძე). ი. ყიფშიძე ადრე გარდაიცვალა (1919 წელს). ქართული ძველობის კათედრის ორგანიზაციისა და კურსების კითხვის მთელი სიმძიმე კ. კეკელიძეს დააწვა კისერზე. მან თანდათანობით შეკრიბა, აღზარდა, გაწაფა და დამოუკიდებელი მუშაობის გზაზე დააყენა არა ერთი და ორი პედაგოგი და მკვლევარი. განახლებულ უნივერსიტეტში 1933 წელს შესაძლებელი გახდა ახალი ქართული მწერლობის კათედრის ცალკე გამოყოფა. კათედრას სათავეში ჩაუდგა ნიჭიერი მკვლევარი და ენერგიული მეცნიერი-ორგანიზატორი სიმონ ხუნდაძე. სამწუხაროდ, იგი იმავე 1933 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა. ამჟამად, ორმოცდაათი წლისთავზე, უნივერსიტეტში არის ქართული მწერლობისა და ფოლკლორის ხუთი კათედრა (ძველი ქართული მწერლობისა, ახალი ქართული მწერლობისა, ქართული საბჭოთა მწერლობისა, ჟურნალისტიკისა და ფოლკლორისა) და ორი სპეციალური სამეცნიერო-სასწავლო კაბინეტი (რუსთველისა და ვაჟა-ფშაველასი). კათედრებს ძოძსახურეობას უწევს საკუთარი ბიბლიოთეკა. კაბინეტში მოწყობილია საინტერესო ბუდმივი გამოფენები. ქართული მწერლობის კათედრებზე წარმატებით მუშაობენ უნივერსიტეტშივე აღზრდილი სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები. უნივერსიტეტის ქართული მწერლობის კათედრების ბაზაზე შეიქმნა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტი. უნივერსიტეტის კათედრები აწვდიდა და აწვდის მომზადებულ მუშაკებს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, გორისა და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებს.

უნივერსიტეტის ქართული მწერლობის კათედრებზე მომზადდა და გამოქვეყნდა მრავალი ასეული მონოგრაფიული გამოკვლევა, ნარკვევი, სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო წიგნები. საკმარისია, თუ ვიტყვით, რომ 1923/1924 წლებში დაიბეჭდა კ. კეკელიძის ძველი ქართული მწერლობის ისტორიის ორი მონუმენტური ტომი (შევსებულ-შესწორებული სახით ეს ტომები შემდეგ სამჯერ გამოიცა). რასაკვირველია, ქართული მწერლობის ისტორიის საჭირო სიღრმითა და სისრულით შესწავლაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, მაგრამ მაინც საკმარისად ბევრია გაკეთებული ამ მხრივ როგორც უნივერსიტეტში, ისე მის გარეთ.

...1925 წლიდან უწყვეტლივ ვმოღვაწეობ თბილისის უნივერსიტეტში. წლების მახმილზე გახვაგებდი ქუთაისისა და გორის პედინსტიტუტების ქართული მწერლობის ისტორიის კათედრებს. დღიდან

დაარსებისა ვთანამშრომლობ რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტში. მიმუშავია სხვაგანაც. მაგრამ, უნდა გამოვტყდე, ჩემთვის ყოველთვის უნივერსიტეტი იყო და დარჩება განსაკუთრებით საყვარელ, მშობლიურ, ტკბილ, წძიდათაწძიდა სასწავლო-სამეცნიერო ტაძრად, რომელსაც აგერ ოთხათეულ წელზე მეტია გულწრფელად შევხარი, შეძლებისდაგვარად ვემსახურები, მისი წინსვლისა და ზრდის თვითმხილველ მოწმედაც გამოვდგები. უნივერსიტეტის დღესასწაული ჩემ პირად დღესასწაულადაც მეხატება. ეს მახარებს და მახალისებს მომავალი მუშაობისათვის.

1968

სამამულო ომის ფლეგიდან

ა) თოხიანი პროფესორები

(თბილისი)

დიდი სამამულო ომის ყველაზე დიდი განსაცდელი საბჭოთა ხალხებს დაატყდა 1942 წლის ზაფხულში. მტერი მაშინ, ერთი მხრივ, სტალინგრადისაკენ გაიჭრა, ხოლო, მეორე მხრივ, მან კავკასიას შემოუტია, ალყა შეჭოარტყა ქალაქ ორჯონიკიძეს და აქა-იქ მთების გადმოსასვლელებში შეჭოძვრა. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ამ უდიდესი განსაცდელის ჟამს, 1942 წლის აგვისტოში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებით შეიქმნა მრავალსაუკუნოვანი ქართული ბწერლობის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი—რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ახლა ძნელია იმის ნათლად წარმოდგენა, თუ რა სიხარულით შეხვდა ამ ამბავს ჩვენი საზოგადოება. უზომო ხალისითა და გაასკეცებული ენერგიით შეუდგა ინსტიტუტის კოლექტივი თავისი საპატიო ძოვალეობის შესრულებას. საკვლევაძიებო და პედაგოგიურ სარბიელზე ძოღვაწეობასთან ერთად არც საზოგადოებრივ ცხოვრებას ვაკლებდით ყურადღებას. სხვებთან ერთად მეც ლექციებს ვკითხულობდი ჯარის ნაწილებში, ვიყავი უნივერსიტეტის სახალხო მოლაშ-

ქრე („ოპოლჩენეცი“) და საჰაერო თავდაცვის რაზმეულის წევრი. ღამღამობით ვგუშაგობდით ჩვენი სახლ-კარის მიდამოებს. მახსოვს ჩემთან ერთად მორიგეობდა ფრიად სიმპათიური მოქალაქე და ჩინებული მოსაუბრე, ჩემი კარის მეზობელი „მეჯღანე“ სტეფანე ავეტისოვი. რაც შეგვეძლო, ძალ-ღონეს არ ვიზოგავდით, მაგრამ, რა დასამალია, ძლიერ გვეშვირდა, განსაკუთრებით წვრილშვილიანი ოჯახების პატრონებს. ერთგვარი გამოსავალი გამოინახა. წარმოება-დაწესებულებებს მთავრობამ გამოუყო დასამუშავებლად (საყანედ და საბოსტნედ) მიწის ნაკვეთები. მეცნიერებათა აკადემიის სისტემის თანამშრომლებს წილად გვერგო ყარაია (აწინდელი გარდაბანი). იქ ღამის გასათევი კუთხეც გვქონდა — შემინდვრეობის საცდელი სადგურის შენობა. ყოველ შაბათ საღამოს თოხით მხარზე და ხელში მწვრი საგზლით მივეშურებოდი რკინიგზის სადგურისაკენ. ალბათ, სასაცილონი ვიყავით ჰალსტუხიანი თოხოსნები. ეს კია, რომ საზოგადოება ყველგან (კუჩაძი, ტრაძვაიში, ძატარებელში) ყურადღებითა და პატივისცემით გვხვდებოდა. შეგვარქვეს „თოხიანი პროფესორები“ (რასაკვირველია, ყოველგვარი ირონიის ნიშანწყლის გარეშე). მე, მიხეილ ჩიქოვანს, სოლომონ ყუბანეიშვილს, გაიოზ იმედაშვილს, გრიგოლ კიკნაძეს და დავით კობიძეს ერთად გვქონდა სიმინდის ყანები. დავით კობიძის აძოუწურავი იუმორისტული იმპროვიზაციები შრომის სიმძიმეს გვიმსუბუქებდა.

გვარიანი კაი მოსავალი მოვიწიეთ. საფქვავი სიმინდიც გვქონდა და ჭყინტიც (ჭყინტი სიმინდით გაეხარეთ ბავშვები). ჩვენი ბინა აივსო გასახმობად უწესრიგოდ მიმოყრილი სიმინდის ტაროებით, სასიამოვნო სურნელი იდგა. ძნელაძის ქუჩაზე ვცხოვრობდი და მარცვლეულის საფქვავი წყლის წისქვილი ახლო გვქონდა, მტკვარზე, მადათოვის კუნძულის პირდაპირ (ახლა სადღაა ეს კუნძული!). სიმინდის დაფქვის ორგანიზაცია მივანდე ჩემს უფროს შვილს, პირველი საშუალო სკოლის მოწაფეს არჩილს. დაკისრებულ საქმეს იგი კარგად უძღვებოდა.

ოქტომბრის მიწურული იყო, არჩილმა წისქვილიდან ახალი ფქვილი მოიტანა. გადავწყვიტეთ ეს აქტი აღგვენიშნა საოჯახო საზეიმო ვახშმით. ერთი სტუმარიც მოვიპატიჟეთ — ლენინგრადის გარემოცვიდან ევაკუირებული პროფესორი ვარლამ დონდუა. მე და ვარლამი შაშინ რუსულ ენაზე გამოსაცემად ვამზადებდით იოვანე ბატო-

ნიშვილის „ქალმასობას“ (წიგნი გამოქვეყნდა 1945 წელს, მთარგმნელი იყო ვ. დონდუა. მე ვიყავი რედაქტორი).

დიასახლისებმა (ჩემმა მეუღლემ და დებმა) ყველაფერი იღონეს, რომ ვახშამი სანაქებო გამოსულიყო. მოახდინეს „შინაგანი რესურსების სრული მობილიზაცია“. რაც მთავარია, დააცხვეს მჭადის პატარა-პატარა კვერები. ჩვენს სუფრას ამშვენებდა გუდის ყველი, ძმრითა და ხახვით შეკაზმული ქაშაყი, საუცხოო მწნილი. ნატურმორტს აგვირგვინებდა სასოებით შემონახული წითელი კახური ღვინის (N5) ორი ბოთლი. აბა, ამაზე უკეთესს მაშინ რას ინატრებდა კაცი? ნამდვილად „ლუკულუსის“ პურობა გამოგვივიდა.

სანოვაგეს მადიანად შევექცეოდით და გულისყურით ვისმენდით ვ. დონდუას მონათხრობ სევდიან ამბავს ლენინგრადის გარემოცვის ეპიზოდებზე და ლენინგრადელთა ცხოვრების ვითარებაზე.

პირველი სადღეგრძელო მივუძღვენით შრომას და მის მადლს, დიდი შრომითა და ოფლით მოპოვებული მჭადის ნატეხს. მეორე სირჩით დავლოცეთ საბჭოთა მეომრები. მოვიგონეთ ომში მყოფი ჩემი ძმები (ბენო და მიხაკო) და დისწული შოთა სხილაძე, უნივერსიტეტის ფიზკულტურის ასწავლებელი (სწორედ იმის დედამ დაგვიცხო მჭადის კვერები), ვუსურვეთ მათ გამარჯვება და შინ მშვიდობით დაბრუნება. სამწუხაროდ, ნატვრა ნაწილობრივ აგვისრულდა. ძმები დაბრუნდნენ, შოთა კი გმირულად დაიღუპა ბრძოლის ველზე.

პურობა დიდხანს გაგრძელდა, თუმცა რესურსები მალე ამოიწურა. დიასახლისებმა მახვილგონივრული გამოსავალი იპოვეს — შეგვაშველეს ცხელი ჩაი საკვებტი შაქრით (ესეც დიდ სიკეთედ ითვლებოდა მაშინდელ დროში). პურობა დამთავრებული არ გვქონდა, რომ სტეფანე ავეტისოვმა ეზოდან ამომძახა, მორიგეობა არ დაგავიწყდესო...

ბ) ქალბატონ კატოს პანსიონატი

(ქუთაისი)

სახელმწიფო გამოცდები იწურებოდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში (მე საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ვიყავი). 1941 წლის 22 ივნისის საბედისწერო დღე რომ გათენდა, გამოცდები ერთ-

ბაშად შევწყვიტეთ, მოლოტოვის სიტყვა რომ მოგვესმინა. ყველას ძღელვარება და სულიერი აფორიაქება დაეტყო. ინსტიტუტის სამხედრო კათედრის გამგემ მაიორმა აქვსენტი წურწუმიამ გამოგვიცხადა, მობილიზაცია იწყებაო და გვთხოვა, დაგვეჩქარებინა გამოცდების დაძთავრება, პირველ რიგში ისინი გამოსცადეთ, ვისაც ჯარში გაწვევის უწყებები ექნებათო. ასეთები საკმაოდ ბევრნი აღმოჩნდნენ. მათ შორის ჩემ მიერ საასპირანტოდ რეკომენდებული დავით ბრეგაძე (ამჟამად პროფესორია), ნიჭიერი პოეტები გიორგი ნაფეტვარიძე და სეევერიან ისიანი (ომში დაიღუპნენ). გამოცდები მეორე დღეს დავამთავრეთ. მაგრამ სამოქალაქო მატარებლების მიმოსვლა დროებით შეწყდა საყოველთაო მობილიზაციასთან დაკავშირებით. ერთი კვირა ქუთაისში ჩავრჩი. ერთბაშად შეიცვალა ცხოვრების რიტმი.

შეძოდგომიდან განვაახლეთ ქუთაისში ლექციების კითხვა (1936 წლიდან იქ განვაგებდი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას). ძალზე გართულდა მგზავრობა, მოიხსნა პირდაპირი მატარებელი „თბილისი—ქუთაისი“, სხვა მატარებლების რიცხვიც შემცირდა. მგზავრთა მიმოსვლამ კი არაჩვეულებრივად იმატა. ყველა სადღაც ძიებობდა, ყველას რაღაც სამოგზაურო საქმე გასჩენოდა. რიონის სადგურზე ზღვა ხალხი იყრიდა თავს, როდის-როდის ჩამოივლიდა დაგვიანებული მატარებელი, ლოდინით ისედაც გულგაწყალებული და თავმობეზრებული ხალხი აწყდებოდა მგზავრებით გატენილ და კარებდაკეტილი ვაგონების სახელურებს. იყო ერთი ორომტრიალი, წივილ-კივილი, ლანძღვა-გინება. დიდი მამაცობა და მოხერხება იყო საჭირო, რომ როგორმე რომელიმე ვაგონში (უფრო ფანჯრიდან) შემძვრალიყავი, ტანი შეგეთრია. არ ვაზვიადებ, რიონ — თბილისის გზა ბევრჯერ ზეზეულად მთვლემარეს გამიცლია.

თბილისის მატარებელი გზაში ჩვეულებრივ იგვიანებდა და აღგილობრივი რიონ—ქუთაისის მატარებელი სადგურში აღარ გვხვდებოდა. ბევრჯერ შიშიხდა (ხოგჯერ წვიმასა და თოვლში) რიონიდან ქუთაისამდე საღორიის ტყით ფეხით სიარული. ძალზე გართულდა კვების საქმეც. სადღა იყო ჯაჭვის ხიდს მიყუჟული პატარა სასადილოს „ცოცხალი“, ეკალა, კუპატი და ოყურეში! (ჯაჭვის ხიდის სასადილოში ჩემთან პუოობის ძუძიგი შოზიარე იყო გიორგი როგავა, ო, რამდენი კარგი სადღეგრძელო გვითქვამს და რამდენი კარგი კაცი დაგვილოცავს!). ღმერთმა აცხონოს კატო რატიანის ქალი. იმან გამაძლებინა ომის სუსხიანი და მშიერი წლების სიდუხჭირე ქუთაისში. ქ-ნი კა-

ტო იყო ქუთაისის პედინსტიტუტში ჩამსვლელ პროფესორ- მასწავლებელთა საერთო საცხოვრებლის დიასახლისი, ყურადღებიანი, თავაზიანი, დარბაისელი, შუახნის ქალი. კვების საქმე რომ გაჭირდა. ქ-ნმა კატომ შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა, თავისებურად პანსიონატი გახსნა და ჩვენი დაპურება იკისრა. ჩვენთვის, თბილისიდან ჩამსვლელთათვის (ჩასვლის დღეების ცხრილი კედელზე ჰქონდა გაკრული), ყოველთვის ძზად ჰქონდა ქათმის გემრიელი კერძი, ღომი (ან ძვადი) და იძერული ყველი. მეხსიერებიდან არ ამომშლია (და არც არასოდეს ამომეშლება) ქ-ნ კატოს მუდამ მომღიმარი კეთილი სახე. მისი დიდებული „პანსიონატი“ და მისეული კერძების გემო.

ბ) ელიოზიშვილის ოჯახში

(გორი)

საძამულო ომის წლებში (ცოტა ადრეც) გორის პედაგოგიურ ინსტიტუტშიც ვმუშაობდი, იქაც განვაგებდი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას. გორში მგზავრობა არ იყო ისე რთული, როგორც ქუთაისში, ლექციებს გორში კვირეული ცხრილით ვკითხულობდით, ქუთაისში კი თვიური ცხრილი გექონდა. ქუთაისში ყოველთვიურად მთელი კვირით ჩავდიოდით და იმ კვირის განმავლობაში სამუშაოს თვიურ ნორმას ვასრულებდით. გორში ლექციები ორშაბათობით დამინიშნეს. კვირა-საღამოს მივემგზავრებოდი და მეორე დღეს გვიან ღამით ვბრუნდებოდი თბილისში. სამუშაო დღე გადატვირთული მქონდა (ლექციები, სემინარები, კონსულტაციები, სხდომები, კათედრის წევრთა ლექციებზე დასწრება და მათი განხილვა). სადღაც დრო უნდა გამომეძებნა და საკოლმეურნეო ბაზარში შემერბინა. ხილის ჩირს ვიძენდი, იქიდან ხილფაფას ვამზადებდით, იგი შაქრის მაგივრობას გვიწევდა. ბინად გორშიც საერთო საცხოვრებელი გექონდა (ინსტიტუტის შენობაში). ოღონდ გვაკლდა ქ-ნ კატოს პანსიონატი. ძალე საქმის ეს ძხარე საუკეთესოდ მომიგვარა ელიოზიშვილების ოჯახმა.

გორსა და ძთელ შიდა ქართლში ძალიან პოპულარული იყო კონსტანტინე (კოტე) ელიოზიშვილი (მას საკმარისად იცნობდნენ რესპუბლიკის ძასძტაბითაც) — ჩინებული ექიმი, თავდაუზოგავი საზოგა-

დო მოღვაწე, მწიგნობარი[1]. მას მხარს უმშვენებდა და ღირსეულ მეუღლეობას უწევდა ქ-ნი მანია ერისთავი (ქსნის ერისთავთა შთამომავალი). ამათი შვილია კარგი სპეციალისტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი და ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული მოყვარული მხატვარი ვახტანგ ელიოზიშვილი. ელიოზიშვილების ოჯახი დამსახურებისამებრ ითვლებოდა გორის კულტურული ცხოვრების ცენტრად. აქ თავს იყრიდა როგორც ადგილობრივი მოწინავე ინტელიგენცია, ისე თბილისიდან ჩამოსული შრავალრიცხოვანი სტუმარი (მეცნიერი, მწერალი, ხელოვნების მუშაკი). ყველას იზიდავდა კულტურის სფეროს თავგამოდებული ქომაგი, გულუხვი, კეთილი მასპინძელი (სხვათა შორის, ელიოზიშვილების ოჯახში გავიცანი განთქმული დასტაქარი პროფესორი გრიგოლ შუხაძე, ერთხელ იქ შევხვდი ჩემს მეგობარ პოეტ იოსებ გრიშაშვილსაც). კოტე ელიოზიშვილს საქმიანი ურთიერთობა და მიმოწერა ჰქონდა ბევრ სახელოვან ქართველ მოღვაწესთან. ცნობილია, მაგალითად, მისი მიმოწერა აკადემიკოს აკაკი შანიძესთან ნიკოლოზ ელიოზიშვილისეული ვეფხისტყაოსნის თაობაზე[2] (პლატონ იოსელიანის ცნობით, ნ. ელიოზიშვილს უნდა ჰქონოდა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი XV საუკუნისა).

ქ-ნი მანია ერისთავი-ელიოზიშვილი ჩემი მეუღლის ნათესავი იყო დედით (ისიც ქსნის ერისთავთა მოდგმას ეკუთვნოდა). ელიოზიშვილებისა და ელიაშვილების ოჯახებს კარგი ნათესაური ურთიერთობა ჰქონდათ. ელიოზიშვილებმა რომ გაიგეს, გორში დავდიოდი და პედინსტიტუტში ვასწავლიდი, საშველი არ მომცეს, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაიძულეს იმათთან დამედო ბინა. ზოგჯერ ვცადე თავის არიდება, მაგრამ ამაოდ. ჩემი ჩასვლის განრიგი იცოდნენ, სად დავემალებოდი? ომის წლების მრისხანე დროში იქ, ელიოზიშვილების ოჯახში, მხვდებოდა კეთილი გული, მყუდრო ბინა, ალერსი (მე სიძედ მთვლიდნენ ელიოზიშვილები). მძიმე სნეულებასა და სიკვდილს დახსნილი მადლიერი პაციენტები ყურადღებას არ აკლებდნენ მათს საყ-

---

[1] კ. ელიოზიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას საინტერესო ბროშურა მიუძღვნა იოსებ სრესელმა (კოტე ელიოზიშვილი. თბილისი, 1976).

[2] ი. ს რ ე ს ე ლ ი, კოტე ელიოზიშვილი, თბ., 1976, გვ. 30—31.

ვარელ ექიმს, ხელს უმართავდნენ და ჟამთა სიავის სიდუხჭირეს უმსუბუქებდნენ.

დღემდის სიამოვნებით ვიგონებ ელიოზიშვილების მყუდრო ოჯახის სითბოს.

1978

მოგზაურის ჩანაწერები

1960 წლის 22 მარტიდან 18 აპრილამდის ვიმოგზაურეთ ევროპის გარშემო გემით „ფელიქს ძერჟინსკი". ეს იყო შთამბეჭდავი, დაუვიწყარი მგზავრობა. 20 კაცი ვიყავით საქართველოდან. თან მახლდა მეუღლე. ექსკურსიების დროს ჩვენთან შემოერთებული იყო მურმანსკელთა ჯგუფი. პირველი კლასის მშვენიერი კომფორტული კაიუტა გვქონდა. მრავალი ევროპული ქვეყანა და დიდი ქალაქი მოვინახულეთ.

1. დაბადების დღეობა ჩრდილოეთის ზღვაში

პირველი დიდი ქალაქი, რომელსაც ვეწვიეთ, იყო სტოკჰოლმი. იქიდან ჩვენმა გემმა გეზი აიღო კილის არხზე. არხი გავიარეთ 26 მარტს, ღამით. 27 მარტს, დილით პირქუშად შემოგვეგება ჩრდილოეთის ზღვა. წვიმდა, ციოდა, იდგა ბურუსი. გემი ნელა მიცურავდა, გვარყევდა. წინა დღით გემის კაპიტანმა საუბარი ჩაგვიტარა, გაგვაფრთხილა, რომ ჩრდილოეთის ზღვა ჭირვეულია, შეიძლება ძლიერი ღელვაც დაგვხვდესო. ძართალი გითხრათ, უარესს მოველოდით, იქნებ ამიტომაც რყევა შედარებით იოლად ავიტანეთ.

27 მარტი ჩემი დაბადების დღეა. კრუიზის ადმინისტრაციამ ყველა მგზავრის ახკეტური მონაცემები იცოდა, იცოდა ჩემი დაბადების თარიღიც. ამ დღეს დილით, საუზმემდის, გემის კვანძის რადიომ ყველას გასაგონად მომილოცა დაბადების დღე და ბედნიერი მგზავ-

რობა ძისურვა. საუზმის დროს შევამჩნიე, რომ ჩვენი ჯგუფის წევრები დიდ ფაცაფუცში იყვნენ, ჩუმ-ჩუმად (შეთქმულებივით) რაღაცაზე ლაპარაკობდნენ. ჩვენ, მე და ნინოს, ეს არ გამოგვპარვია, ვგრძნობდით, რომ საიდუმლო ჩურჩული ჩემი დაბადების დღეს შეეხებოდა. არაფერი გვითქვამს. დღე ჩვეულებრივი რიტმით მიდიოდა. შეღამებისას რადიომ გაძოაცხადა (ჩვენი კულტხელმძღვანელის ივან ივანიჩის ხმა იყო), რომ გემბანზე აღმოჩენილია საეჭვო თვისების ჭურჭელი, რაღაც უცნობი სითხით სავსე. ადმინისტრაცია მოითხოვს ეს უცნაური ჭურჭელი დაუყოვნებლივ მოაშორონ გემბანს, წინააღძდეგ შეძთხვევაში ძიღებული იქნება მკაცრი ზომებიო. ნინოს ელდა ეცა, შეეშინდა, ვინმემ რაიმე პროვოკაცია ხომ არ მოაწყოო. მე გამეცინა, მივხვდი, ჩვენებს კასრით ღვინო ექნებოდათ გემბანზე გატანილი გასაციებლად. ალბათ ბახკეტისათვის ემზადებიან-მეთქი. მართლაც, ძეზობელ კაიუტაში ხარხარი ატყდა და ერთბაშად ჩვენთან შემოიჭრა ერთი ჩვენი თანამგზავრი ფრიად სიმპათიური, ცოცხალი, მხიარული ეკატერინე ალანია (პროფესორ გრიგოლ ბრეგვაძის მეუღლე) და სიცილით გვეუბნება, გესმით, ივან ივანიჩმა რა ოინი გვიყო (ივან ივახიჩი კულტხელძძღვანელის მოვალეობას ჩინებულად ასრულებდა, ძხიარული კაცი იყო, შომღერალი, მოცეკვავე, მომლხენი, სხვადასხვა კულტურული გართობის მოთავე, დეკლამატორი...). ივან ივანიჩმა, თქვა ალანიამ, სიტყვა გატეხა და საიდუმლო გაგვიმჟღავნა. რაღა დასამალია, ქართველი ტურისტების ჯგუფი დღეს, ვახშმის შემდეგ, რესტორანში აწყობს ალექსანდრე ბარამიძის დღეობას, იმედია გვეწვევითო, დასძინა და წავიდა.

რა გაეწყობოდა, მიწვევა მივიღეთ. დათქმულ დროს რესტორანი გაჩირაღდნებული და სუფრა გაშლილი დაგვხვდა. გემის პატარა ორკესტრმა ივან ივანიჩის დირიჟორობით საზეიმო მარში დაუკრა. დღეობაზე მიპატიჟებული აღმოჩნდნენ კრუიზის ხელმძღვანელები, გემის კაპიტანი და მისი ერთი თანაშემწე (მეორე მორიგეობდა), მურმანსკელები. სუფრა სავსე იყო ხორაგით და სასმელებით. ადმინისტრაციის დაკვეთით სამზარეულოს გამოეცხო ორი დიდი ტორტი, მურმანსკელებს მოეტანათ ვეებერთელა ზურგიელი. სუფრას ჩინებულად გაუძღვა ეკატერინე ალანია. ბევრი თბილი სიტყვა და გულითადი სადღეგრძელო ითქვა. ნამდვილი ძმური, მეგობრული, საბჭოური, ინტერნაციონალური მეჯლისი გამოვიდა. მე ყველას დიდი მადლობა მოვახსენე, ამ ქარბუქიან ღამეს ჩრდილოეთის ცივი ზღვის ტალღების დგრიალში ასეთი შესანიშნავი შეხვედ-

რა რომ მომიწყვეთ, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და შეგახსენოთ ერთი პატარა შემთხვევა-მეთქი, რომლისთვისაც თითქო ყურადღება არავის მიუქცევია. ორი დღის წინათ სტოკჰოლმს რომ ვათვალიერებდით, ჩვენ გადავსერეთ ერთი დიდი არხი. გიდმა გვითხრა, რომ ეს არხი გაიყვანეს 1700 წელს ნარვაში ტყვედ ჩავარდნილმა რუსმა მეომრებმა. ამ ამბის მოსმენამ შემზარა. საქმე ისაა, რომ ნარვაში ტყვედ ჩავარდნილთა შორის იყო ჩვენი თანამემამულე ალექსანდრე არჩილის ძე ბატონიშვილი, რუსეთის სახელმწიფოს გენერალფელდცეხმაისტერი (არტილერიის საქმის უფროსი), პეტრე დიდის სიყრმის მეგობარი, ევროპაში აღზრდილი და განსწავლული სპეციალისტი. ალექსანდრე ბატონიშვილმა ტყვეობაში 10 წელი დაჰყო, ჩრდილოეთის მკაცრმა ჰავამ დასცადა, ხშირად ავადმყოფობდა და ბედს უჩიოდა. გულს მაინც არ იტეხდა, კალამს ხელიდან არ უშვებდა (კარგი ლიტერატორი იყო), ქართული სტამბის შრიფტს ასხმევინებდა... ვერა და ვერა, მისი ტყვეობიდან გამოხსნა ვერ მოხერხდა, თუმცა პეტრე ამას ბეჯითად ცდილობდა. ერთ დროს ცბიერმა კარლოს დიდმა ალექსანდრეს განთავისუფლების საზღაურად 10 კასრი ოქრო მოითხოვა. ომის ხარჯების გამო გამოფიტულ ხაზინას სად შეეძლო ამოდენა სახსრის გაღება? პეტრე მაინც წერილობით დაეკითხა ალექსანდრეს. როგორც ღირსეულ მამულიშვილს, ალექსანდრეს უპასუხია: «на то мы званы: терпеть и умереть за интерес государя и отечества». აი, ეს დიდებული პატრიოტი ალექსანდრე ბატონიშვილი მონაწილეობდა სტოკჰოლმის არხის გაყვანაში. ქართველი ბატონიშვილი დაიღუპა ტყვეობაში. საქართველოდან გადმოხვეწილმა მამულიშვილმა თავის მეორე სამშობლოს, რუსეთს დაუმტკიცა სამაგალითო ერთგულება და თავგამოდება. ალექსანდრე ბაგრატიონი ერთი იმათთაგანია, ვინც თავი გაწირა და მტკიცე საძირკველი დაუდო ჩვენი ხალხების, ქართველებისა და რუსების აწინდელ ურღვევ ძმობა-მეგობრობას. ჩვენი დღევანდელი მეჯლისი ამისი ნაყოფია-მეთქი, ვთქვი და დავცალე ძმობის სადღეგრძელო სასმისი. ყველანი სულგანაბული მისმენდნენ (გარეთ გაძლიერებული ქარი ღმუოდა და აგორებული ტალღები დიდი ხმაურით ეხეთქებოდა გემს). უკვე 12 საათი სრულდებოდა. კაპიტანმა ღამე ნებისა გვისურვა და გამოგვიცხადა, რომ ვუახლოვდებოდით ბელგიის სანაპიროს და განთიადზე ჩვენი გემი ღუზას ჩაუშვებდა ანტვერპენის საერთაშორისო ნავსადგურში. ასე დასრულდა ჩვენი მეჯლისი და ჩემი დღეობა ჩრდილოეთის ზღვაში.

1960 წლის 2 აპრილს ვეწვიეთ ქალაქ მონტრეის. მიგვიწვია ქალაქის მერმა გრიგუარმა. ჯერ პერ-ლაშეზის სასაფლაო ვინახულეთ და გვირგვინით შევამკეთ კომუნარების კედელი. ჩვენთან, ქართველ ტურისტთა ჯგუფთან, შეწყვილებული იყო მურმანსკელთა ჯგუფი, სულ 50 კაცი ვიყავით. მონტრეის ერთად ვეწვიეთ. როგორც ცნობილია, პარიზს გარშემო აკრავს ე. წ. თანამგზავრი პატარა ქალაქების სარტყელი. ამ ქალაქებს კომუნისტები განაგებენ. კერძოდ, კომუნისტებისაგან შედგება მონტრეის მუნიციპალიტეტი. დეპუტატები და დაძსწრე საზოგადოება ტაშით შეგვხვდნენ. მერი მხურვალედ მოგვესალმა. სხვათა შორის, აღნიშნა, რომ მისი მოადგილე საქართველოში ნამყოფია, აღტაცებულია ქართველი ხალხის კულტურით, სტუმართმოყვარეობით, ახალი ცხოვრების მშენებლობით. მას ბედნიერი შემთხვევა ეძლევა თავისი და თავისი მოადგილის სახელით ახლა მადლობა მოახსენოს საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლებს და მურმანსკელ სტუმრებთან ერთად გულითადად მიესალმოს მათ მონტრეის ქალაქის მუნიციპალიტეტის სახელით. ჩვენი გაერთიანებული ჯგუფების მოსკოველმა ხელმძღვანელმა ადრევე გამაფრთხილა, თუ ქალაქის მერი სიტყვით მოგვმართავს, საპასუხოდ თქვენ უნდა იყოთ მზადო. ძეც სიტყვა ავიღე. უწინარეს ყოვლისა, რასაკვირველია, მადლობა მოვახსენე მოპატიჟებისა და თბილი მიღებისათვის. აღვნიშნე, რომ უკვე დავათვალიერეთ დიდი პარიზი და ვერსალი, ლუვრი და იმპრესიონისტების გამოფენა, ინვალიდთა სახლი (ნაპოლეონის აკლდამა), პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, პანთეონი, ოპერის თეატრი, ეიფელის კოშკი, მონმარტრი, სენის სანაპირო, პარიზის განთქმული მოედნები, ქუჩები... ვერსალში ქართველებმა სასოებით მოვავლეთ თვალი იმ დარბაზს, სადაც 1714 წლის აპრილის თვეში ლუი XIV-ს წარუდგა მოხსენებით თავისი ქვეყნის საქმეებზე საქართველოს ელჩი, სახელგანთქმული მწერალი და ბრძენი დიპლომატი სულხან-საბა ორბელიანი. ბევრი რამე, რაც თვალით ვიხილეთ, ჩვენთვის ნაცნობი იყო ჰიუგოს, სტენდალის, ბალზაკის, ფლობერის. ზოლას, ანატოლ ფრანსისა და სხვა გამოჩენილი ფრანგი მწერლების წყალობით. მაგრამ თვალით ნახულს წანაკითხი რას შეედრება? რაღა თქმა უნდა, ჩვენ ძოგვხიბლა და ძოგვაჯადოვა ევროპული კულტურისა და რევოლუციის კერის სიდიადემ. მაგრამ ვერც იმას დავმალავთ, რომ თით-

ქმის ყველგან, სადაც ვიყავით, ერთგვარად ლუი მეთოთხმეტისა და ნაპოლეონის სული ტრიალებდა, უპირატესად მათი სახელები გვესმოდა. აქ კი, თქვენთან, მონტრეიში, თავი შინაურულად ვიგრძენით, ვიგრძენით ძმობის, მეგობრობის, კეთილი გულის ჭეშმარიტი სითბო. ჩვენ აქ ვეცნობით ახალ, ხვალინდელ საფრანგეთს, უზომოდ დიდი მადლობა. ჩვენო კეთილო ძმებო და ამხანაგებო, დიდი საბჭოთა ქვეყნის უკიდურესი სამხრეთისა და უკიდურესი ჩრდილოეთის აქ მყოფი წარმომადგენლების სახელით-მეთქი, დავამთავრე ჩემი სიტყვა და ჩვენს მასპინძელს მივართვი ქართული თამბაქო, ჩაი, ჩურჩხელები და კონიაკი. ტაშის გრიალში მერი გადამეხვია და სახე დამიკოცნა. დიდხანს გაგრძელდა ძმობის ეს სცენა. შემდეგ მერმა გვთხოვა მისი ძოადგილის თახსლებით დაგვეთვალიერებინა მისი „სამფლობელოს“ ღირსშესანიშნაობანიც და დღე კეთილად გაგვეტარებინა. დრო ბევრი არ გვქონდა, მაგრამ მოვინახულეთ ქალაქის მშენებლობა, პატარა ჯგუფებად ვეწვიეთ იქაური მუშა-მოსამსახურეების კოპწიად მოწყობილ ბინებს, გულღიად ვესაუბრეთ მასპინძლებს მათ ყოფა-ცხოვრებაზე. უზომო შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე სასკოლო კომბინატმა. იქ ერთად იყო საბავშვო ბაგა, საბავშვო ბაღი და საშუალო სასწავლებელი. იგრძნობოდა საუცხოო წესრიგი, სისუფთავე, კულტურა. კომბინატში ძოდიან პაწაწინა ბალღები და ტოვებენ მას უკვე მოწიფული, განათლებული ახალგაზრდები. ბავშვები საერთო განათლებასაც ღებულობენ და სხვადასხვა ხელობასაც ეუფლებიან, ვნახეთ სასწავლო ოთახები, კაბინეტები (სახელოსნო-ლაბორატორიები, სამზარეულო (კერძებს მოსწავლეები ამზადებდნენ). მოგვხიბლა ორწლიანი ბალღების მშობლიურ ენაზე ქღურტულმა. სკოლის დირექტორმა გვითხრა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მის კომბინატში ფრანგული ენის სიწმინდეს და დახვეწილობას, თავიდანვე აჩვევენ პატარებს სწორ მეტყველებას, მკაფიო გამოთქმას, ლამაზად წერას.

ბოლოს წაგვიყვანეს რევოლუციის მუზეუმში. იგი ქალაქის ცენტრშია, მშვენიერი პარკის ტერიტორიაზე. საუცხოო ამინდი იყო, თბილი აპრილის დღე. ატმები ყვაოდნენ და დამათრობელ სურნელებას გამოსცემდნენ. მუზეუმს ოთხსართულიანი შენობა უკავია. მდიდარია ექსპონატებით. ახსნა-განმარტებას გვაძლევდა საუკეთესო სპეციალისტი. ჩვენები გულდასმით უსმენდნენ მონათხრობს და ინტერესით ათვალიერებდნენ ექსპონატებს. თანდათანობით ჩვენი კრებუ-

ლი შეთხელდა, მიიფანტ-მოიფანტნენ, ბევრმა შენობა დატოვა და პარკს ძიაძურა. საქმიახი, დარბაისლური საუბრით ჩვენმა მეგზურმა ბოლოს ძეგვიყვანა ერთ ფართო, ნათელ დარბაზში, სადაც მოულოდნელად დაგვხვდა გაშლილი სუფრა. ბლომად იყო ხილი, ნამცხვარი, ტკბილეული და შამპანური (ნამდვილი, ნატურალური ფრანგული შამპანური!) მონტრეის ხელმძღვანელებმა აქ შთამბეჭდავი, კეთილი, ამხანაგური, გემრიელი პურობა გაგვიმართეს, ბევრი კარგი, გულითადი და ამაღელვებელი სიტყვა ითქვა ძმობაზე, მეგობრობაზე, სიყვარულზე, პოეზიაზე... პარკში რომ აღტაცებულნი ჩავედით და ჩვენს სულმოკლე კოლეგებს შამპანურით პურობის ამბავი ვაუწყეთ, ბევრი იხანეს, მაგრამ გვიანღა იყო (ესეც კარგი გაკვეთილია ტურისტული მგზავრობის ზოგიერთი მოყვარულისათვის).

3. პიგალი

პარიზში გიდად გვყავდა რუსი ქალი, რომელიც იქ თავს შინაურად გრძნობდა (საერთოდ პარიზში რუსები ბლომად არიან). გიდმა გვითხრა, რომ საფრანგეთის დედაქალაქს ჩვენ ვეცნობით ტურისტებისათვის ტრადიციულად შემუშავებული პროგრამის მიხედვით. პარიზზე რომ რამდენადმე მაინც სრული წარმოდგენა გქონდეთ, უსათუოდ უნდა ეწვიოთ მის ერთ უბანს, რომელსაც საექსკურსიო ოფიციალური პროგრამა არ ითვალისწინებს, უკეთ, მას გამორიცხავსო. მთელ ჯგუფს იქ ვერ წავიყვან, ამის უფლება არა მაქვს, ოღონდ თუ რამდენიმე კაცი (არა უმეტეს ხუთისა) შეიკრიბებით, დროს გამოვნახავთ და გიწინამძღვრებთო. ჩავეჭიდეთ ამ წინადადებას, შევამხანაგდით ხუთნი (ორი ქალი და სამი კაცი) და 31 მარტს, საღამოს, გიდის მოთავეობით ფეხით შევუდექით გზას მონმარტრისაკენ. მონმარტრი პარიზის უმაღლესი გეოგრაფიული პუნქტია. მის წვერზე აღმართულია დიდებული კათოლიკური ტაძარი „Sacré-coeur“. იგი აუგიათ საფრანგეთის რეაქციულ წრეებს კომუნართა ხელისუფლების დამხობის აღსანიშნავად. ტაძარში მოვისმინეთ მწუხრის მშვენიერი გალობა. შემდეგ მონმარტრის განთქმული მოედნის გავლით, მოედანზე მაშინ თითქმის არავინ იყო, ჩავუყევით ვიწრო შუკით პიგალს. პიგალი, ასე ვთქვათ, გარყვნილების ცენტრია. ამ ცენტრის შუაგულშია სიტყვის „ხელოვანთა მიერ ათასჯერ აღწერილი „წითელი წისქვილი“ (Moulin rouge). ყველა ქუჩაზე (შუკაზე), რომელიც მონმარტრიდან პი-

გალისაკენ ეშვება, პატარა-პატარა დუქნებია წინ წითელი ფანრებით. ეს შენიღბული საროსკიპოებია. პიგალის შედარებით ფართო ქუჩებზე კი განლაგებულია უამრავი ბარი და კაფე-შანტანი, რომელთა მაცთუნებელი რეკლამები გამვლელ-გამომვლელთ იპატიჟებს დროის სასიამოვნოდ გასატარებლად: ესენიც ფაქტობრივ საროსკიპო დაწესებულებებია.

ვერაფერი შვილი თავისუფლებაა ასეთი თავისუფლება და ვერაფერი ცივილიზაცია. პიგალი ზნედაცემულობისა და გარყვნილების ლეგალიზაციაა და სხვა არაფერი.

მეტად მძიმე შთაბეჭდილებით დატვირთული დავბრუნდით სასტუმროში ლაფაიეტის ქუჩაზე „გრან ოპერას" მახლობლად. ღამის 12 საათი იყო. გაოგნებულმა და ბურანში გახვეულმა შევაღე სასტუმროს კარები და ის-ის იყო ვესტიბულში შევდგი ფეხი, რომ უეცრად ჩემკენ გამოეშურა პარიზულ ყაიდაზე მოროუულ-მოკაზმული უცნობი ლამაზმანი. მომესმა ტკბილქართულით წარმოთქმული იმ მანდილოსნის სიტყვები — „ბატონო ალექსანდრე, ვერ მცნობთ?" ამ სიტყვებმა გამომაფხიზლა, გონს მოვეგე, თვალები ფართოდ გავაღე, ვხედავ ჩემს წინაა ჩემი კარგი ნაცნობი თბილისიდან (იმჟამად ცხოვრობდა პარიზში). ახლა კი მომიხდა მობოდიშება, გულით მივესალმე ჩვენს სანახავად მოსულ ამ ქართველ ქალს და მის მეუღლეს. ისინი თურმე სასტუმროში დარჩენილ ამხანაგებს ემუსაიფებოდნენ და ჩვენ გველოდებოდნენ. „შეყრა იყო სასურველი". პიგალის შემდეგ აქ, ჩვენს, შინაურ ქართველურ წრეში არაჩვეულებრივი სიამე და შვება ვიგრძენი. რამდენი რა მოვიგონეთ აქაური და იქაური, თბილისური, მშობლიური. გვიან დავიშალეთ.

4. რომი

რომში ორჯერ ვარ ნამყოფი. რამდენიმე დღით — 1960 წლის აპრილში და 1969 წლის ოქტომბერში. ორივეჯერ მშვენიერი ამინდი დაგვესწრო. პირველად ცოლი მახლდა, ვცხოვრობდით ჭალაქის ცენტრში, პიაცა ვენეციას მახლობლად, მთავარი ქუჩების ვია კორსოს და ვია ტრიტონეს გვერდით, სასტუმრო „ორიენტში". ორი ფეხის ნაბიჯზე იყო ჩვენგან ტრევის განთქმული შადრევანი. დავათვალიერეთ ქალაქის უმთავრესი ღირსშესანიშნაობანი, მათ შორის, რასაკვირველია, რომის ფორუმი, კოლიზეუმი, ძველი პანთეონი, წმ. პეტრეს ტა-

ძარი და ვატიკანი (ვატიკანის მუზეუმი), ბორგეზეს გალერეა, ჯანიკოლოს გორაკი (სადაც აღმართულია გარიბალდის დიდებული ძეგლი), პინჩო (მსოფლიო გენიოსების ბიუსტებით), წმ. პავლეს ეკლესია (იქ დაცულია მიქელანჯელოს „მოსე“). ვნახეთ ახალი რომი. ძველ რომს იტალიელები ხელუხლებლად ტოვებენ და სათუთად იცავენ. ახალი მშენებლობა იქ აკრძალულია, სამაგიეროდ ძველის გვერდით მათ აუგიათ ახალი რომი, რომელიც ფართობით ფლორენციას უდრისო, გვითხრეს. უნდა გამოვტყდე, რომ ჩემს თვალში რომმა პარიზიც დაჩრდილა თავისი დიდებული ვერსალით და ლუვრით. ევროპული ცივილიზაციის ამ ციტადელში არაჩვეულებრივი ჰარმონიულობით ბუნებრივად არის შეხამებულ-შერწყმული ანტიკური სამყარო, რენესანსი და თანამედროვეობა. მნახველს ხიბლავს როგორც ანტიკური და რენესანსული ძეგლები, ისე ახალი რომის დიდებული სანახაობა. ფართო და ნათელი ქუჩები, მოედნები, წარმტაცი ხუროთმოძღვრება (თანამედროვე არქიტექტურის მშვენებაა „ცივილიზაციის სასახლე“. „კონგრესების სახლი“, სტადიონი...). თავისი მონუმენტურობითა და სილამაზით თითქო ეჯიბრება ერთმანეთს ძველი და ახალი შთაგონება.

მე, რა თქმა უნდა, ვერც შევძლებ და არც ვაპირებ ნანახის აღწერას. მინდა მოვიგონო მხოლოდ ერთი კურიოზული შემთხვევა. პეტრეს ტაძარს ვათვალიერებდით, უამრავი ხალხი ირეოდა, ტურისტთა ორ ჯგუფს დიდი გაჭირვებით გამოგვიყვეს ერთი გიდი ქალი. მან გამოგვიცხადა, რომ სახელდახელოდ გვიჩვენებდა იქაურსა და ვატიკანის მუზეუმის უდიადეს ექსპონატებს, მაგრამ დაწვრილებითს ახსნა-განმარტებას ვერ შევუდგებიო. მიგვიყვანა (პეტრეს ტაძარში) მიქელანჯელოს სახელგანთქმულ ქანდაკებასთან „პიეტა“ (ქრისტეს დატირება). გიდმა გვითხრა, რომ ეს არის მსოფლიო ხელოვნების საოცრება, უგენიალურესი (აღმატებითი ხარისხი!) ქმნილება, პეტრეს ტაძრის მშვენება. გიდს სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ჩვენი ჯგუფის ერთი წევრი, საბუნებისმეტყველო დარგის პროფესორი, მოულოდნელად შეეკითხა —ეს რა არისო და მიუთითა პიეტას გვერდით მოთავსებულ რაღაც ქანდაკებაზე. გიდს მრისხანება დაეტყო, აენთო, ერთბაშად სახე აელეწა, თვალები გაუფართოვდა, თითქო სუნთქვა შეეკრა, ზიზღნარევი აღშფოთებით წამოიძახა — მე გესაუბრებით მსოფლიოს უკვდავ ძეგლზე, თქვენ კი ხელს მიშლით, სიტყვას მაწყვეტინებთ, რაღაც უმსგავსობაზე (об ерунде) მეკითხებით, მე

თქვენი მეგზურობა არ შემიძლიაო, დაგვტოვა, გაიქცა (გიდმა გაცხარების გამო და პიეტასთან შედარებით უწოდა მინიშნებულ ექსპონატს უმსგავსო, თორემ პეტრეს ტაძარში, აბა, უმსგავსო რამეს რა უნდა?). შეეწუხდით, მაგრამ ახალ გიდს ვინ გვიშოვიდა, ჩვენს სირცხვილს ვის გავუმხელდით! ყველა მომაჩერდა (მე მეორედ ვიმყოფებოდი მაშინ რომში), იქნებ შენ გვიშველო, გვიმეგზუროო. რაღა გაეწყობოდა, იძულებული გავხდი, მეკისრა ჩემთვის სრულიად შეუფერებელი ეს როლი. ყოველ შემთხვევაში ჩვენებს ავუხსენი პიეტას მნიშვნელობა. განვმარტე, რომ ქანდაკება შექმნილია ბიბლიურ თემაზე, რომ მიქელანჯელოს გამოუხატავს ღვთისმშობელ მარიამის მიერ თავისი ჯვარცმული პირმშოს დატირება, მუხლებზე მიუსვენებია ქრისტე, სასოებით მკერდზე მიუხუტებია, უზომო სევდით შეპყრობილი ეალერსება შვილის გაციებულ გვამს. ერთი სიტყვით, დიდ ხელოვანს ქანდაკების ენით გადმოუცია შვილმკვდარი დედის უსაზღვრო მწუხარება, დედის ტრაგიკული განცდის იდეა. გზადაგზა დამჭირდა ამეხსნა მარიამისა და ქრისტეს ვინაობა, რამ გამოიწვია ქრისტეს ჯვარცმა და სხვა. როდესაც თხრობა დავამთავრე, იმ პროფესორმა უადგილო კითხვით რომ გიდი გაგვიქცია, ახლა მე შემომხედა და ჩაილაპარაკა — ამ ახალგაზრდა ქალს რამხელა ყაზახი შვილი ჰყოლია! ამ უკბილო ხუმრობაზე არავის გასცინებია. მე მაინც განვმარტე: სწორია-მეთქი, რომ მარიამი ახალგაზრდად არის წარმოდგენილი, ქრისტე კი მოწიფულ კაცად. საქმე ისაა, რომ ქრისტიანული ლეგენდებით, ქრისტე რომ ჯვარს აცვეს, ოცდაცამეტი წლისა უნდა ყოფილიყო, მაშასადამე, მაშინ მარიამი შუახნის ქალი იქნებოდა. მაგრამ ქრისტიანული მოძღვრებით, მარიამი უმამაკაცოდ, ღვთაებრივი შთაგონებით იქნა მუცელქმნილი და ქრისტეს შობის შემდეგაც ქალწულად დარჩა. საერთოდ, ღვთისმშობელი მარიამი წარმოიდგინება როგორც მარად უბიწო, მარად უხრწნელი, მარად ქალწული წმინდანი, ამიტომაც მარიამს ყოველთვის და ყველგან, ქრისტიანულ სამყაროში ახალგაზრდა ლამაზ ქალწულ ქალად წარმოსახავენ ხოლმე.

ანალოგიური საუბარი ჩავატარე სხვა დროს, მოსე წინასწარმეტყველის შესახებ (მიქელანჯელოს „მოსეს“ დათვალიერების დროს რომში, წმ. პავლეს ეკლესიაში). ვრცელი განმარტება დამჭირდა კარავაჯოს განთქმული სურათის გამოც „სალომე ანუ იოვანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთა“ (დაცულია მალთაში, ლა ვალეტას დიდებულ კათედრალურ ტაძარში).

ეს ამბავი ორი რამის გამო მოვიგონე. ჯერ-ერთი, რამდენი თავდაჰერა, სიფრთხილე და ტაქტი მოეთხოვება ჩვენს ტურისტს უცხოეთის საგანძურების დათვალიერებისა თუ, საერთოდ, უცხოეთში ყოფნის დროს. მეორეც: ლუვრის, ვატიკანისა და სხვა განძთსაცავების (რასაკვირველია, ასევე ჩვენი, საბჭოეთის განძთსაცავების) დათვალიერებისას ესთეტიკური სიამოვნების მისაღებად საჭიროა ელემენტარული წარმოდგენა მაინც გქონდეს ძველ და შუასაუკუნეთა ისტორიაზე, ბერძნულ-რომაულ მითოლოგიაზე და ბიბლიაზე (ძველსა და ახალ აღთქმაზე). ბერძნულ-რომაული მითოლოგია და ბიბლიური სიუჟეტები ყოველთვის იყო და ერთგვარად ახლაც რჩება დიდი ხელოვნებისა და ლიტერატურის შთამაგონებელ უშრეტ წყაროდ. მე სრულიადაც არ გამკვირვებია, მხოლოდ სინანული ვიგრძენი, როცა დავინახე, რომ ჩვენი ახალგაზრდა დოცენტების ყურადღება თითქმის არ მიიპყრო რომის ფორუმის გრანდიოზულმა ნანგრევებმა, რომის სენატის შენობამ, ცეზარის, ბრუტუსის, კატილინას და მისთანათა სახელებმა. ახალგაზრდებმა ხელმძღვანელს სთხოვეს, ადრე მოეთავებინა ნანგრევებში „ხეტიალი" და ჩქარა წავეყვანეთ რომის ახალი სტადიონის სანახავად. კი, სტადიონი ნამდვილად დიდებული სანახავია, მაგრამ ნუთუ ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერის ინტერესს არ უნდა იწვევდეს ცეზარის დიდი სახელი და ის ადგილი, სადაც წარმოითქვა საქვეყნოდ ცნობილი სიტყვები — „შენც ბრუტუს" და რას ნიშნავს ეს! ტურისტული მოგზაურობა მარტო გართობა და დასვენება არ უნდა იყოს, მოგზაურობამ ახალი ცოდნა უნდა შეგძინოს და გონებრივი ჰორიზონტი გაგიფართოვოს...

5. კონსტანტინოპოლი

კონსტანტინოპოლს ახლა სტამბოლი ჰქვია. ულამაზესი ბოსფორის სრუტის აზიურ და ევროპულ მაღალ სანაპიროებზე გაფენილი ქალაქის დიდებულებაზე რამდენი თქმულა და დაწერილა! კონსტანტინოპოლი საუკუნეების მანძილზე იყო ქრისტიანული სამყაროს, უწინარეს ყოვლისა, ე. წ. მართლმადიდებლური ქრისტიანული სამყაროს სარწმუნოებრივი (და გონებრივი!) ბურჯი. XV საუკუნეში, სახელდობრ 1453 წელს, ხანგრძლივი თავგანწირული თავდაცვის შემდეგ იგი დაეცა. ბოსფორი გადალახეს, ბიზანტიის დედაქალაქი დაიპყრეს,

შემუსრეს და გაავერანეს თურქეთის გაავებულმა ურდოებმა. რა ხალხები, რა მტერმოყვარე არ უნახავს ბოსფორსა და კონსტანტინოპოლს უხსოვარი დროიდან. ისტორიული მოვლენების ანალები ასე თუ ისე, მეტ-ნაკლებად, აურეკლავს კონსტანტინოპოლის მიწის წიაღსა თუ ზედაპირს. მთავარი მაინც ქრისტიანობისა და მუსლიმანობის აღმსარებელი სახელმწიფოების სამკვდრო-სასიცოცხლო პრძოლა აღმოჩნდა ახალი დროის გარიჟრაჟზე. დამარცხდა ბიზანტია, დამარცხდა ქრისტიანობა, გაიმარჯვა თურქეთმა, გაიმარჯვა ისლამმა. ამისი სიმბოლური გამოხატულებაა ქალაქის უმაღლეს ბორცვზე აღმართული ორი გრანდიოზული საკულტო ძეგლი: წმინდა სოფიოს ტაძარი და „ცისფერი მიზგითა“ (მეჩეთი). ხუროთმოძღვრული ხელოვნების ეს ორი საკვირველი ნაგებობა ერთიმეორის გვერდით არის მოთავსებული და გარეგნულად საოცრად ჰგავს ერთმანეთს. უკეთ რომ ვთქვათ, მუსლიმანური მიზგითა ჰგავს ქრისტიანულ ტაძარს, რადგანაც „მსოფლიოს ამ სასწაულის“ (წმ. სოფიოს ტაძრის) აგება დასრულდა მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში (537 წელს), ხოლო მიზგითასი — XVII საუკუნის დასაწყისში. გამარჯვებულმა ისლამმა ჯერ იყო და უმოწყალოდ შებღალა ქრისტიანობის წმინდათაწმინდა. ციტადელი (ჩვენ გვიჩვენეს მუსლიმანთა მხედართმთავრის ცხენის ფლოქვების ნატერფალი სოფიოს ტაძრის მარმარილოს იატაკზე და სამლოცველოში აკუწული მეომრების სისხლის შხეფების ნაკვალევი კედლის ფრესკებზე), შემდეგ მის ნატიფ სხეულს უგემოვნოდ მიუშენა მუეძინის სახმობელი ოთხი წოწოლა მინარეთი და თვითონ ტაძარი კი მიზგითად გამოაცხადა. მიზგითად ქცეულ წმ. სოფიოს გვერდით ააგეს გარეგნულად მისივე მსგავსი ვეებერთელა ახალი მიზგითა („ცისფერი მიზგითა“). მოგეცათ ლხენა, ამ მიზგითის აშენებამ შეიწირა უამრავი მატერიალური სახსარი და ენერგია. მაინც „ცისფერი მიზგითა“ ისე ჰგავს წმ. სოფიოს ტაძარს, როგორც მხატვრული ტილოს პირი ჰგავს ხოლმე პირველქმნილ დედანს. უშნოდ მიშენებული მინარეთები კიდევ უფრო უსვამენ ხაზს წმ. სოფიოს ტაძრის ბრწყინვალებას.

ბიზანტიის იმპერატორების სამკვიდრებელ იმავე ბორცვზე გაშენებულია ოტომანიის სულთნების უზარმაზარი სრა-სასახლე თავისი ცხრაკლიტული ჰარამხანით. ადამიანთა მოდგმის სულისა და ხორცის გამხრწნელი ეს ჯოჯოხეთური საპყრობილე ამაყად გადაჰყურებს „ოქროს რქის“ უმშვენიერეს უბეს. რა ცინიზმია! ჰარამხანაში გამომ-

წყვდეულ ლამაზმანებს შეუზღუდავი უფლებით შეეძლოთ თურმე ეჭვრიტათ შემოგარენი და, თუ მოისურვებდნენ, დამტკბარიყვნენ ბუნების ამ ნამდვილად ზღაპრული სილამაზით. რამდენი ქართველი ქალწული და ბანოვანი დასახიჩრებულა სულიერად თუ ხორციელად ამ წყეულ საქალებოში?! რამდენი ცრემლის ნაკადული შერევია „ოქროს რქის“ უბესს სულთნების სასახლე და ჰარამხანა ახლა მუზეუმად არის ქცეული. ცათვალიერებ სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ხალხის ცივილიზაციის ნირით აღბეჭდილ ექსპონატებს (საკუთრივ თურქულია მხოლოდ ცხენების მდიდრული მოკაზმულობა, სხვადასხვა ჯურის ციცი იარაღი, სულთნების ოქროს გვირგვინები და, წარმოიდგინეთ, ერთ-ერთი მათგანის ოქროს აკვანიც კი!). გულს სევდა ეუფლება, მაგონდება ეკლეზიასტეს „ამაოება ამაოებათა“.

6. ათენი

1960 წლის 14 აპრილს ვიყავით ათენში. რა თქმა უნდა, დავათვალიერეთ აკროპოლი—მსოფლიო კულტურის ეს საოცარი ანსამბლი, მათ შორის ღვთაებრივი პართენონი (აკროპოლი ჰგავს მთასავით აზიდულ უზარმაზარ ყორღანს), რომელიც ათენის ცენტრში მდებარეობს. მაინც სამუდამო მოსაგონებლად ჩამრჩა მეხსიერებაში აკროპოლზე ასასვლელი გზის დასაწყისში პატარა დაფის წარწერა: აკროპოლზე ამ გზით ადიოდნენ პერიკლე, დემოსთენე, თემისტოკლე, ალექსანდრე მაკედონელი... ახლა შენ უნდა შეუყვე მას, წამკითხველო (რა უბრალო, მაგრამ შთამბეჭდავი შეგონებაა, რა გაფრთხილებაა!).

7. მაგდებურგის ტყვე

1963 წლის ივლისის ბოლო და თითქმის მთელი აგვისტო გავატარე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. როგორც საბჭოთა კავშირის საზოგადოება „ცოდნის“ დელეგაციის წევრი, მეუღლით-ურთ ვიყავი გდრ-ის ანალოგიური საზოგადოების სტუმარი. დელეგაციას დავალებული ჰქონდა დაემყარებინა კონტაქტები და განემტკიცებინა კავშირი გდრ-ის სათანადო ორგანიზაციებთან, გასცნობოდა მათ მუშაობას, გაეზიარებინა გამოცდილება. ჩვენ გვქონდა საამისო საქმიანი თათბირები, შეხვედრები, საუბრები ცენტრშიც და

ადგილებზეც. მოვიარეთ ბერლინი, პოტსდამი, კარლ-მარქს-შტადტი, დრეზდენი, ლაიფციგი, იენა, ეიზენახი, ვაიმარი, ერფურტი, ჰალე, მაგდებურგი, შვერინი... ორი დღე დავყავით „საქსონიის შვეიცარიაში“. დიდი ინტერესით დავათვალიერეთ ვარტბურგის განთქმული შუასაუკუნეობრივი ციხე-კოშკი (აგებულია 1070 წელს). აქ საუცხოოდაა დაცული სარაინდო ყოფა-ცხოვრების ამსახველი ნაგებობანი და ექსპონატები. ვიყავით დარბაზებში, სადაც იმართებოდა მინეზინგერთა პოეტური შეჯიბრებანი. ამ ციხე-კოშკში ცხოვრობდნენ შუასაუკუნეთა გერმანიის დიდი პოეტები ვოლფრამ ფონ-ეშენბახელი და ფოგელვაიდე. აქ თარგმნა ლუთერმა გერმანულად „ახალი აღთქმა“ (ამ თარგმანმა მისცა დასაბამი ახალ გერმანულ სალიტერატურო ენას). ვარტბურგში შექმნა გოეთემ რიგი ლირიკული შედევრები. მოწიწებით დავათვალიერეთ ვაიმარის ყოველი კუნჭული: გოეთეს, შილერისა და ლისტის „სამფლობელო“. ლაიფციგში გავეცანით საგამომცემლო საქმეს, მოგვხიბლა დრეზდენის გალერეამ, პოტსდამში თვალი შევავლეთ ცეცილიენჰოფის ისტორიულ დარბაზებს (პოტსდამის კონფერენციის სადგომს, არც ფრიდრიხ მეორის სასახლეები დაგვიტოვებია უყურადღებოდ). ვიყავით ბევრ მუზეუმში, თეატრში, კინოში, მოვისმინეთ სებასტიან ბახის მუსიკა მის სახლ-მუზეუმში. ეიზენახში. გავეცანით ჰალე-მერზებურგის სამრეწველო კომპლექსს და შვერინის რაიონის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს. შევხვდით მუშებსა და კოლმეურნეებს, დავესწარით მათი თვითმოქმედების კონცერტებს. ერთი სიტყვით, რამდენადმე მაინც ვიგრძენით თუ შევეცანით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო და კულტურული ცხოვრების მაჯისცემა.

14 აგვისტოს ჩავედით მაგდებურგში. მშვენიერი ქალაქია. აქაურ ისტორიულ ღირსშესანიშნაობათაგან აღსანიშნავია უზარმაზარი ტაძარი, რომლის მშენებლობა დამთავრებულა 1520 წელს. საერთოდ, რეფორმაციამ უზომოდ წინ წასწია გერმანიის მატერიალური და სულიერი კულტურის ყოველი დარგი. მაგდებურგის ტაძარიც ამის საბუთია. სხვაც ბევრი რამ არის აქ მნიშვნელოვანი. მაგრამ ჩემს საგანგებო ინტერესს იწვევდა გურამიშვილის ნაკვალევი. როგორც ცნობილია, ქართული ჰუსართა პოლკი, რომლის ოფიცერიც ჩვენი უკვდავი პოეტი იყო, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ე. წ. შვიდწლიან ომში (1757 — 1764 წლები). გურამიშვილი მამაცურად იბრძოდა პრუსიელების წინააღმდეგ ბერლინთან და კიუსტრინთან. მისი ფიქრით,

იქ იცავდა ბედუკუღმართი დიდებული პოეტი თავისი დედასამშობლოს, საქართველოს, სასიცოცხლო ინტერესებს. კიუსტრინის მისადგომებში გურამიშვილი მოულოდნელად ტყვედ ჩავარდა (ცხენი ჭაობში ჩაეფლა და სამშვიდობოს ვერ გააღწია). 1758—1759 წლები ტყვეობაში გაატარა, მაგდებურგის ციხეში. მოკლედ და სხარტად გვიამბობს ის თავის თავგადასავალს. ჯერ იყოო და „ორმოც-ჩვიდმეტს ბრუსის კოროლს (—პრუსიის კოროლს, ფრიდრიხ მეორეს, ფრიდრიხ „დიდს") შეურყივეთ ტახტის სვეტი". პირველი წარმატება დროებითი აღმოჩნდა:

ორმოც-თვრამეტს ბრუსმან დაგვკრა,
თავსა დაგვახვია რეტი;
ძე ჩემს ძმებსა დამაშორა,
ღუწისაგან დავრჩი კენტი.
მაღდებურხის ციხეშიგან
დამსვა კარებ-დანაკლეტი.

გეგმის თანახმად, ადგილ-ადგილ ჩვენი დელეგაციის წევრებს უნდა წაეკითხათ ლექციები თავიანთი სპეციალობის მიხედვით. მე, რა თქმა უნდა, მაგდებურგი ავირჩიე — „ქართველი პოეტი მაგდებურგში". თემა დამაინტერესებელი გამოდგა და მან ბევრი მსმენელიც მოიზიდა. უამრავი შეკითხვა მომცეს, ყველას აინტერესებდა გურამიშვილის რუსეთსა და უკრაინაში ცხოვრება-მოღვაწეობის დეტალები, პოეტის ტყვეობის შემდეგდროინდელი თავგადასავალი. რამდენადაც შემეძლო დავაკმაყოფილე მათი ცნობისმოყვარეობა. ლექციის შემდეგ პურობა გამიმართეს ოფიცერთა კლუბში. ისიც მითხრეს, რომ თქვენთან შეხვედრა სურს ერთ თქვენს თანამემამულესო. მომიყვანეს ახალგაზრდა კაცი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, სიმპათიური გარეგნობისა, ძალზე მორცხვი და მორიდებული. გავუღიმე, ხელი ჩამოვართვი, ვინაობა და სადაურობა ვკითხე. ცხინვალელი ვარო, ოსი, გვარად მარგიევი. ქართულად თავისუფლად ლაპარაკობდა (ქართული საშუალო სკოლა დაემთავრებინა). საამაყოდ დამრჩება, რომ ჩვენებურ პროფესორს შევხვდი აქ, გავიცანი, ვესაუბრე, მის ლექციას დავესწარიო, მოკრძალებით მითხრა. ამხანაგებსაც ვუამბობ თქვენ შესახებო. მე ვკითხე, რაიმე ხომ არ აწუხებს, სათხოვარი ხომ არა აქვსრა, არაო, ბეჯითად მითხრა, უბრალოდ თქვენი გაცნობა მინდოდაო, გურამიშვილზე სკოლიდანაც ვიცოდი ცოტა რამ, ახლა თქვენ მოგისმინეთო. გამომშვიდობებისას მარგიევს მაგრად ჩამოვართვი ხელი და

გადავკოცნე, თბილისში რომ იქნები, მინახულე-მეთქი, დავძინე. ძალიან თბილი და გულითადი იყო პურობა. ბევრი რამ საინტერესო და საყურადღებო გავიგე, მშვენიერი რუსული ხალხური სიმღერებიც მოვისმინე. დიდად ნასიამოვნები და თაიგულებით დატვირთული დავბრუნდი სასტუმროში...

8. აუსტერლიცი

1964 წლის 2 სექტემბერს უნდა ვყოფილიყავით ჩეხოსლოვაკიის საკურორტო ქალაქ ბანსკა-ბისტრიცაში. გზა გადიოდა მსოფლიო ისტორიით კარგად ცნობილ აუსტერლიცზე (ახლა ჩეხურად სლავკოვი ჰქვია), სადაც 1805 წლის დეკემბერში ნაპოლეონმა ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა („აუსტერლიცის ბრძოლა") გადაიხადა და სასტიკად დაამარცხა ავსტრია-რუსეთის შეერთებული არმიები. ამ ისტორიული ბრძოლის აღსანიშნავად აუსტერლიცში (სლავკოვში) შექმნილია შესანიშნავი მუზეუმი. აუსტერლიცი პატარა დაბა-ქალაქია. გადავწყვიტეთ, იქ ცოტა ხნით შევჩერებულიყავით და დაგვეთვალიერებინა მუზეუმი (ოფიციალური პროგრამა ამას არ ითვალისწინებდა). რამდენიმე კაცი გადმოვედით ავტობუსიდან, დავწინაურდით და მუზეუმისაკენ გავეშურეთ ადმინისტრაციასთან საკითხის შესათანხმებლად. მუზეუმი დაკეტილი დაგვხვდა. იქვე ახლო კარისკაცი იყო. ზრდილობიანად, მაგრამ ცივად აგვიხსნა, გამოსასვლელი დღეა და მუზეუმი არ შუშაობს, არც ექსკურსიის გამძღოლი გვყავსო. რა გაეწყობოდა, გვეწყინა, ჩვენთვის ნავსი დღე გამოდგა, სინანული ერთმანეთს გავუზიარეთ. კარისკაცი დაკვირვებით გვიგდებდა ყურს, მოგვიბრუნდა და ცნობისმოყვარეობით სავსემ გვკითხა, ვინ ხართ და რა ენაზე ლაპარაკობთო. რაღაც იმედის ნაპერწკალმა დაკვესა, მორიდებულად ვუპასუხეთ, რომ ქართველები ვიყავით და ქართულად ვლაპარაკობდით. კარისკაცს ერთბაშად სახე გაუნათდა და კმაყოფილებით წარმოთქვა: ესე იგი, თქვენ ბაგრატიონისა და სტალინის თანამემამულენი ყოფილხართო! დიახ, დიახო, სიხარულით და ერთგვარი სიამაყის გრძნობით დავუდასტურეთ ჩვენ. კარგიო, გვითხრა, ცოტა დამიცადეთ და ახლავე გეახლებითო. რამდენიმე წუთის შემდეგ მართლაც დაბრუნდა, გასაღები მოიტანა, კარები გაგვიღო და მუზეუმში შეგვიპატიჟა. საიდანღაც გაჩნდა ექსკურსიის გამძღოლიც. მთელი მუზეუმის ფართო და ნა-

თელი დარბაზები ქართველი ტურისტების განკარგულებაში აღმოჩნდა. ექსკურსიის გამძღოლმა საქმის კარგი ცოდნით მოკლედ გვიამბო აუსტერლიცის ბრძოლის ისტორია, შემდეგ დაწვრილებით და დიდი გულისყურით აგვიხსნა მუზეუმში გამოფენილი ყოველი ექსპონატის მნიშვნელობა. დათვალიერებამ კარგა ხანს გასტანა, დიდად ნასიამოვნებმა დავტოვეთ მუზეუმის შენობა. გულითადი მადლობა მოვახსენეთ კარისკაცსა და გიდს, ცოტა-რამ სუვენირიც მივართვით და ჩვენ გზას გავუდექით. აქვე დავსძენ, რომ ქართველობამ და სტალინის სახელმა ბევრჯერ მაგრძნობინა ჩვენი ერის ღირსება ევროპისა და აფრიკის ქვეყნებში (სადაც პირადად ვყოფილვარ).

9. სნაგოვი

1962 წლის ივლისში ვიმოგზაურე რუმინეთში. განსაკუთრებით მაინტერესებდა ქალაქი იასი (სადაც დასაფლავებულია ჩვენი დიდებული პოეტი ბესიკი) და სნაგოვის მონასტერი, სწორედ ამ მონასტერს უკავშირდება უპირატესად (ჩემი წარმოდგენით ძაინც) ანთიმოზ ივერიელის სახელოვანი მოღვაწეობა.

17 ივლისი იყო, მშვენიერი დღე. სნაგოვის მონასტერ-მუზეუმს ბევრი მნახველი ჰყავდა. ჩვენმა გიდმა ქალმა გვიამბო, რომ სნაგოვში ჩაეყარა საფუძველი რუმინული (და არა მარტო რუმინული) წიგნის სტამბური წესით ბეჭდვას, რომ აქ გააწყო თავისი პირველი სტამბა ანთიმ ივერიანუმ. შემდეგ ძალიან მოკლედ მოგვითხრო ივერიანუს მოღვაწეობაზე და მის დამსახურებაზე საერთოდ. საუბარი რომ დაასრულა, გიდს შევეკითხე, როგორ ესმის მას ივერიანუს მნიშვნელობა. ივერიანუ ანთიმის გვარიაო, მიპასუხა. მე ვთხოვე, ნება დაერთო ჩემთვის მეამბნა ჩვენი ტურისტული ჯგუფისათვის ანთიმ ივერიანუს ვინაობაზე და მის თავგადასავალზე. იგი სიამოვნებით დამთანხმდა. მე ჯერ განვმარტე ივერიანუს მნიშვნელობა. მართალია-მეთქი, რომ დღეს ივერიანუ ანთიმის გვარად იხმარება, მაგრამ ნამდვილად იგი ეროვნების (ეროვნული წარმოშობის) გამომხატველი სიტყვაა, ნიშნავს ივერიელს, ქართველს. ანალოგიურია V საუკუნის სახელგანთქმული პალესტინელი მოღვაწის პეტრე იბერის (პეტრე ქართველის) სახელწოდება (ამ პეტრეს ბოლო ხანებში საბუთიანად მიაწერენ დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი წიგნების ავტორობას-მეთქი). სხვათა შორის, თავისი მასწავლებლის ტრადიციას

მიჰყოლია ანთიმოზ ივერიელის მოწაფე მიხაილ (მიხაი) იშტვანოვიჩი, რომელმაც გამართა თბილისის ქართული სტამბა 1708—1709 წელს და თავის თავს გვაცნობს, როგორც მიხაილ უნგროვლახელი. მსმენელებს ვუამბე ანთიმოზ ივერიელის ტრაგიზმით აღსავსე თავგადასავალზე, უფრო დაწვრილებით ვილაპარაკე ანთიმოზის დიდი ისტორიული როლის თაობაზე რუმინული ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში, შევეხე რუმინულ-ქართული კულტურული ურთიერთობის საკითხს ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობის ასპექტით.

ჩვენი თანამგზავრები, განსაკუთრებით რუსები და სომხები, ნაამბობით გაოცებული დარჩნენ, ქართველების აღტაცება ხომ უსაზღვრო იყო. გიდმა მადლობა გადამიხადა და აღმითქვა, რომ ჩემს „ლექციას“ ის ყურად იღებს და პრაქტიკულადაც გამოიყენებს თავის მომავალ საქმიანობაში.

10. უნგრეთში

ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ სამოგზაუროდ, სოციალისტურშიც და კაპიტალისტურშიც, მაგრამ უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მიწვევით იქ, უნგრეთში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა ერთგვარად ყველაფერი დაჩრდილა. ხანმოკლე დროის მიუხედავად (1969 წლის აგვისტო) საკმარისად გავეცანი შრომისმოყვარე, გამრჯე, ნიჭიერი და დიდად ცივილიზებული უნგრელი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. ვინახულე რესპუბლიკის რამდენიმე სამრეწველო, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი. დავათვალიერე ღირსშესანიშნავი მშენებლობანი ქალაქად და სოფლად, ვიყავი მეცნიერებათა აკადემიაში, სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში, სიძველეთსაცავებში, გამოფენებზე. საქმიანი საუბარი მქონდა მეცნიერებთან, მწერლებთან, ჟურნალისტებთან, ხელოვნების მოღვაწეებთან, ინჟინრებთან და ტექნიკოსებთან, ადმინისტრაციული აპარატის ხელმძღვანელ მუშაკებთან. შევხვდი უნგრელ მუშებსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში გაერთიანებულ გლეხკაცებს. ვიგემე მათი გემრიელი პურ-მარილი. უზომოდ გამიხარდა, როცა უნგრეთის უმდიდრესსა და უმშვენიერეს ბოტანიკურ ბაღში (პეშტის ოლქის სოფელ ვაცრატოტში) მიჩვენეს თბილისის ბოტანიკური ბაღის ნერგებისა და მცენარეული თესლების ფაქიზად დაცული კოლექციები. დუნაის ულამაზეს ხეობაში, ვიშეგრადის მახლობლად, მწვანით და-

ფარულ სოფელ ზებეგენში, სახელგანთქმული უნგრელი მხატვრის იშტვან სენის სახლ-მუზეუმად ქცეულ კარ-მიდამოში, ღია ცის ქვეშ, ყოველწლიურად ზაფხულობით თურმე ეწყობა მხატვართა დახელოვნების კურსები. კურსებს უძღვებიან გამოჩენილი უნგრელი და უცხოელი დიდოსტატები. გვთხოვეს ამ კურსებზე ჩვენც მივავლინოთ ხოლმე საიმედო, ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი მხატვრები.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ხანმოკლე სტუმრობამ ნათლად დამიდასტურა, თუ როგორ ძლიერ უყვართ იქ ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი, როგორ აფასებენ ჩვენ დიდ კულტურას, როგორი გულით ცდილობენ დამყარებული მეგობრობისა და ძმობის კიდევ უფრო გაღრმავებასა და განმტკიცებას.

ქართველობამ, რუსთველის შთამომავლობამ, კარგად იცის ძმური სიყვარულის ძალა და ფასი. ქართველობა ახლაც არ არის ვალში, მომავალში კი ცხადზე უცხადესია, ის ასკეცად გადაიხდის უნგრელთა სიყვარულის მადლის საზღაურს.

11. არალეგალური სტამბის სარდაფი

1969 წლის 13—14 აგვისტოს სტუმრად ვიყავით უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ეგერში. თან გვახლდნენ უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის პასუხისმგებელი თანამშრომელი ფერენც მარიანეკი და ქართველოლოგი ლაიოშ ტარდი. ეგერის მხარე მთაგორიანია, განთქმულია განვითარებული სოფლის მეურნეობით, განსაკუთრებით მევენახეობა-მეღვინეობით. ეგერი ცნობილია აგრეთვე დიდების უნიკალური ძეგლით, კარგად დაცული შესანიშნავი ციხე-სიმაგრით. უნგრელი ხალხი დიდხანს გმირულად იგერიებდა ოტომანთა იმპერიის სასტიკ მოწოლას. თავდაცვის მთავარი საყრდენი იყო ეგერის საკვირველი ციხე-სიმაგრე. ხანგრძლივი, უთანასწორო და სისხლისმღვრელი ომების შემდეგ, 1552 წელს ეგერი დაეცა, მაშინ დაიწყო უნგრეთში ოსმალური კირთების საშინელი ხანა...

ეგერში მასპინძლობა გაგვიწია უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების საოლქო გამგეობის თავმჯდომარემ და იმავე ოლქის მმართველობის თავმჯდომარის მოადგილემ ინჟინერმა იშტვან ბერეცმა, რომელსაც სწავლა დონბასში მიეღო და რუსულად თავისუფლად ლაპარაკობდა, ყოფილა საქართველოშიც. ბერეცმა და-

გვატარა ქალაქი და მისი შემოგარენი, დაგვათვალიერებინა ისტორიული ძეგლები, გაგვაცნო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული („საკოლმეურნეო“) ცხოვრება, შეგვახვედრა კოოპერატივში გაერთიანებულ გლეხებთან. შევიცანით უნგრეთის პერიფერიული ქალაქისა და სოფლის ცხოვრების ძალუმი მაჯისცემა.

14 აგვისტოს წაგვიყვანეს ეგერის მახლობლად მდებარე თბოელექტროცენტრალის გრანდიოზულ მშენებლობაზე. ამას მეურვეობდა სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოთა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო. მშენებლობის მთავარმა ინჟინერმა გაგვაცნო მომავალი ელსადგურის პროექტი, აგვიხსნა სადგურის დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა. საქმიანი და მეგობრული საუბრის შემდეგ მთავარმა ინჟინერმა ოდნავ შესამჩნევი ღიმილით შემოგვთავაზა, დაგვეთვალიერებინა ელექტროსადგურის მშენებლობის ტერიტორიაზე მოთავსებული ყოფილი არალეგალური სტამბის სარდაფი. მეგზურობა დაავალა პროფორგანიზაციის წარმომადგენელს. რა თქმა უნდა, ჩვენ კმაყოფილებით შევხვდით ამ წინადადებას, მით უფრო, რომ გვაინტერესებდა მისი შედარება თბილისის (ისნის) არალეგალურ სტამბასთან.

მავთულით შემოღობილი მშენებლობის განაპირას გამოჩნდა პატარა ერთსართულიანი შენობა. ვიწრო კიბით ჩავედით ამ შენობის საკმაო სიღრმის სარდაფში, და... ერთბაშად აღმოვჩნდით ელექტრონით გაჩახჩახებულ დიდ და განიერ დარბაზში. ჩვენი ყურადღება უნებლიეთ მიიპყრო დარბაზის კუთხეებში ჩამწკრივებულმა დიდრონმა კასრებმა (ჩვენს ღვინის ქარხნებში რომ მინახავს). დარბაზის შუა იდგა დიდი მაგიდა, იმაზე დახვავებული იყო სხვადასხვა სანოვაგე და ღვინით სავსე მინის მოზრდილი ჰურჭელი იდგა. მაგიდის ირგვლივ ფუსფუსებდა მზარეულის წინსაფრით მორთული და მოელვარე დანებით შეიარაღებული ორიოდე კაცი. ჩვენს გაოცებაზე მეგზურმა აგვიხსნა, რომ ვიმყოფებოდით ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ღვინის სარდაფში, აქ მასპინძლობას გაგვიწევს კოოპერატივის გამგეობაო. ერთი მზარეული თუ მზარეულად შენიღბული მასპინძელი მოგვესალმა, მან მოიბოდიშა, რომ უბრალოდ, გლეხურად გვხვდება, არც შესაფერისი ავეჯი გვაქვს და არც ჰურჭელი, მაგრამ გულით კი გვინდა პატივი გცეთო და სუფრასთან ძიგვიპატიჟა. „მზარეულებმა“ ჩვენს წინ მაღალი, ფუნთუშა, სურნელოვანი „ბუხანკა“ პურების, შებოლილი საუცხოო ძეხვებისა და შაშხის დი-

და საუოეი დაიდვაეეს. ივეი გლეხეი ვაოთ, ოესტოოხების პიწკი-პიწკი სიფრიფანა ნაჭრებს, ერთ ლუკმად რომ არ გეყოფა, ვერ ვეწყობითო, არც ყავა გვაქვს, არც კოკა-კოლა და ორანჟი, სამაგიეროდ, არ გვაკლიაო უმშვენიერესი „ტოკაი“ და „ეგრი ლეანკა“ (ე. ი. „ეგრის გოგონა“. რა ემოციური სახელწოდებაა!). ჩვენს მოკრძალებულ შეკითხვაზე, თუ სადაა არალეგალური სტამბის ექსპონატები, მეგზურმა სუფრის ხორაგზე მიგვანიშნა... პირველი უხერხულობა მალე გაიფანტა და გულითადი, ძმური, მეგობრული და ამხანაგური ლხინის შესაშური ატმოსფერო დამყარდა.

1979

ჰიქმათის ვიზიტის გამო თბილისში

1953 წლის გაზაფხულზე საბჭოთა კავშირში სტუმრად ჩამოვიდა ირანის ინტელიგენციის საკმაოდ დიდი დელეგაცია ყოფილი პრემიერ-მინისტრის ალიასღარ ჰიქმათის მეთაურობით. დელეგაცია პირველად მოსკოვს ეწვია, შემდეგ ესტუმრა თბილისს. დელეგაციის მეთაურმა თურმე ითხოვა, რომ მას შეხვედროდა სასაუბროდ ქართული და სპარსული მწერლობის ისტორიის საკითხებში გათვითცნობიერებული პირი (ჰიქმათი მაშინ განაგებდა თეირანის უნივერსიტეტის სპარსული მწერლობის კათედრას). საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ ჰიქმათთან შეხვედრა მე დამავალა. გარკვეული ყოყმანის შემდეგ ამ დავალების შესრულება ვიკისრე. წინასწარ გამაფრთხილეს, რომ ჰიქმათი ძველი დიპლომატია, საუბარში ყოველთვის გულწრფელი არ არის და, კერძოდ, კარგად იცის, მაგრამ მალავს რუსულის ცოდნასო. გადაწყდა, რომ საუბრის ოფიციალურ ენად იქნებოდა ფრანგული, თარჯიმნად გამოყვეს საზოგადოების გამგეობის პასუხისმგებელი თანამშრომელი გიორგი ჩიმაკაძე. საუბარი დიდხანს გაგრძელდა, საქმიანი ხასიათი ჰქონდა და სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის სფეროს შეეხებოდა. ჰიქმათის სიტყვით, ის იცნობდა უცხო ენებზე არსებულ შესაფერის ლიტერატურას, აინ-

ტერესებდა ზუსტი ცნობები „ვისრამიანის“, ნიზამი განჯელის პოემების, „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების, „ქილილა და დამანას“ და მისთანათა შესახებ. შეეცადე მაქსიმალურად დამეკმაყოფილებინა ჰიქმათის ცნობისმოყვარეობა. იგი ყურადღებით მისმენდა, იშვიათად მერეოდა საუბარში, ზოგ რამეს ბლოკნოტში ინიშნავდა. ბოლოს, თითქო გულგრილად და სასხვათაშორისოდ ჰიქმათმა სიტყვა ჩამოაგდო ვეფხისტყაოსანზე. მთხოვა გამომეთქვა ჩემი მოსაზრება პოემის სიუჟეტის წყაროს თაობაზე. ამაზეც საკმაოდ დაწვრილებით ვუამბე. ჩემი ნაამბობი რომ მოისმინა, ჰიქმათმა ცალყბად გაიღიმა და თითქო კონფიდენციალურად მითხრა — საბჭოთა კავშირში წამოსასვლელად რომ ვემზადებოდით, შირაზიდან ერთი იქაური მასწავლებლის წერილი მივიღე. მწერდა: მოვიპოვე რაღაც წერილობითი წყარო, რომელიც რუსთველის პოემის შინაარსს მაგონებსო. სამწუხაროდ, წამოსვლამდის შირაზული მასალის მიღება და მისი შემოწმება ვერ მოვასწარიო, განაგრძობდა ჰიქმათი, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებისთანავე ყოველივეს დაწვრილებით გამოვიძიებ და შედეგს დაუყოვნებლივ გაცნობებთო. ეს თქვა და დაკვირვებით გამომცდელად შემომხედა. ალბათ აინტერესებდა, რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მისმა ინფორმაციამ და როგორ აღიბეჭდა ეს ჩემს სახეზე. პირდაპირ ვიტყვი, ჰიქმათის მონათხრობის ნამდვილობა მეეჭვებოდა. ინფორმატორის მეტყველებაში იგრძნობოდა რაღაც ამოსაცნობი, მიფარული ზრახვა, შენიღბული, შემპარავი კილო; ამიტომაც მე აუღელვებლად და გულდამშვიდებით მოვისმინე ჰიქმათის ნაამბობი, დავუდასტურე ინფორმაციის საყურადღებობა და ჩემი მხრითაც ვთხოვე, დაეჩქარებინა შემოწმებული მასალის მოწოდება...

ამ მოგონებას რომ ვწერ, ჰიქმათის ვიზიტიდან სრული 25 წელი გავიდა (მეოთხედი საუკუნე!). რა თქმა უნდა, არავითარი მასალა და არავითარი ცნობა ჰიქმათისაგან არ მიმიღია. ჩემთვის მაშინაც ცხადი იყო, და ახლა ხომ საგანგებოდ უდავოა, რომ ჰიქმათმა თვითონ მოიგონა შირაზელი მასწავლებლის ამბავი. ის რომ ნამდვილი ყოფილიყო და ჰიქმათს რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის მაგვარი რაიმე წყარო ეპოვნა, მთელ მსოფლიოს შესძრავდა. თქმულს ისიც უნდა დავსძინო, რომ 1966 წელს, რუსთველის დაბადების 800 წლისთავს მიეძღვნა თეირანული ჟურნალის „ფაიამე ნოვინ“-ის მე-9 ნომერი. იქ დაბეჭდილია საბჭოთა ავტორების წერილებიც, მათ შორის ჩემი წერილიც (გვ. 11—17). ჩემს წერილში განვითარებულია აღიარებული თვალსაზრი-

სი ვეფხისტყაოსნის საკითხებზე, კერძოდ, პოემის სიუჟეტის თაობაზე. 1970 წელს მეშჰედის უნივერსიტეტის შრომებში გამოქვეყნდა ცნობილი ირანელი მეცნიერის პროფესორ ჰამიდ ზარინქუბის სტატია ვეფხისტყაოსანზე. ეს ირანელი მეცნიერიც თვლის, რომ რუსთველის პოემას ღრმა ეროვნული ფესვები ასაზრდოებს და იგი ასახავს ქართულ სინამდვილეს[1]. რატომ 1970 წლამდე მაინც არ გამოჩნდა შირაზული მითის ნაკვალევი?

ჰიქმათის ბუნების გასაცნობად დამახასიათებელია ასეთი დეტალი. საუბრის დროს მან ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ირანული პროგრესული მოძრაობის მიმდევარია და ბეჯითად იცავს არაბული ალფაბეტის რეფორმის საჭიროებას, თუმცა ახალ შრიფტზე გადასვლა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებულიო. ჰიქმათს შევეკითხე, იცნობს თუ არა იგი ფრიდრიხ ენგელსის აზრს არაბული ალფაბეტის თაობაზე (ენგელსი „წყეულს“ უწოდებს არაბულ ალფაბეტს. ძველად ეს ალფაბეტი იყო მიღებული ყველა მუსლიმანურ ქვეყანაში). კითხვაზე ჰიქმათი გამოცოცხლდა, ძალზე დაინტერესდა, მთხოვა, კონკრეტულად დამესახელებინა წყარო. დავუსახელე და დავუწერე კიდევაც წყაროს რუსული სათაური. ჰიქმათმა პირდაპირ გამომტაცა ხელიდან ნაწერი, ხალისიანად, თავისუფლად და გამომეტყველად ჩაიკითხა ხმამაღლა. ამით უნებლიეთ გაამჟღავნა, რომ ის რუსულს ფლობდა. მოგონების დასაწყისში აღნიშნული მაქვს, რომ ჰიქმათი ამას საგანგებოდ მალავდა...

1978

აუხდენელი ოცნება?

1966 წლის სექტემბრის თვე იწურებოდა, ჩვენი ქვეყანა ზეიმობდა რუსთველის დაბადების 800 წლისთავს. დიდუბეში გაიხსნა სახალხო მეურნეობისა და კულტურის მიღწევათა დიდი გამოფენა. დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი. ერთმანეთში ირეოდნენ შინაურები და სტუმრები, უცხოელები და საბჭოთა მეგობრები. მშვენიერი ამინდი იყო და ნამდვილი სადღესასწაულო განწყობილება სუფევდა.

[1] ჰამიდ ზარინქუბის წერილის შინაარსს მკითხველებს აცნობს ირანისტი ლ. გიუნაშვილი (გაზ. «Вечерний Тбилиси», 16.6.71).

ვინ რას ათვალიერებდა და ვინ რას. რა ენაზე არ გაიგონებდით მაშინ საუბარს.

გამოფენა დავათვალიერეთ და მიღებულ შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით ერთმანეთს ინგლისელი ქართველოლოგი დევიდ ლანგი, შალვა ამირანაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი. ანაზდეულად ჩვენს მახლობლად ჩოჩქოლი და ხმაური ატყდა. ერთბაშად ზღვა ხალხი მიაწყდა პატარა ფარდულს, გაჩნდა უზარმაზარი, უწესრიგო, მრავალმწკრივი რიგი. ყველა ჩქარობდა, რაღაცისათვის თავგამეტებით იბრძოდა. გამარჯვებული სიხარულით იტაცებდა და სიამაყით ეუფლებოდა ნადავლს...

თურმე რუსთველოლოგიური ლიტერატურის სახელდახელო ბაზრობა გამართულიყო.

— ბატონო დევიდ, — ვეუბნები ჩვენს სტუმარს, — გამიგონია, რა ნიშნის მოგებითა და დაუფარავი ღვარძლით აქვეყნებდნენ ძველად თქვენს გაზეთებში ფოტოსურათებს — „საბჭოური რიგები“ პურის წერტებთან თუ ნავთის სარდაფებთან. ურიგო არ იქნებოდა, ახლა დაგებეჭდათ ამისი სურათი, როგორ იტაცებს ჩვენი მკითხველი რუსთველის წიგნებს.

— კარგია, კარგია, ძალიან კარგი, — ღიმილით ჩაილაპარაკა ჩვენმა მოსაუბრემ და თავისი ფოტოაპარატი აამუშავა...

ორიოდე წლის შემდეგ გამსვლელ სამეცნიერო სესიას ატარებდა დაბა გეგეჭკორში ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი. იქაურმა ინტელიგენციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო სესიის მუშაობაში. ბევრი კარგი რამ გვითხრეს და საყვედურიც არ დაგვაკლეს: რად გახდაო დეფიციტური და ხელმიუწვდომელი ვეფხისტყაოსანი! აბა, რა უნდა გვეთქვა, ეს ჩვენ არ გვეხება-თქო. ვის დავაჯერებდით?

XVII საუკუნის პოეტი არჩილი ერთ თავის პოემაში ასე ალაპარაკებს რუსთველს:

„საქართველო სავსე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაჰქუხს!“

ასე ყოფილა შორეულ წარსულში. ჩვენს დროში კი რუსთველის სიტყვამ შორს გადალახა მშობლიური ქვეყნის საზღვრები. ჩვენი სათაყვანებელი პოეტის სიტყვები ახლა მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში გაქუხს.

რად გავუხადეთ აუხდენელ ოცნებად მარტვილელ (და განა მარტო მარტვილელ) მკითხველს ვეფხისტყაოსნის შეძენის ფიქრი?

მწერალთა კავშირმა დიდებული საქმე წამოიწყო — პოეზიისა და რუსთველის ყოველწლიური დღესასწაულის დღეები რომ დააწესა, პოეზიისა და რუსთველის დღეები. ჭეშმარიტად მოსაწონია და მისასალმებელი. ჩვენი ერის შეგნებაში სწორედ განუყოფლად დაუკავშირდა ერთიმეორეს პოეზია და შოთა რუსთველი. მშვენივრად უთქვამს პლატონ იოსელიანს, „რუსთველი პოეტისა კი არა პოეზიის სახელიაო“.

ვულოცავ ჩვენ მწერლობას და მთელ ჩვენს ხალხს ამ დიდებული დღესასწაულის დღეებს. ამ დღეებს ხომ დაამშვენებდა რუსთველის წიგნების ბაზრობა?!

1966

საახალწლო

(რადიო-სიტყვა)

მახსოვს, ბავშვობისას, ჩემს უფროს ძმასთან ერთად ბევრჯერ ვყოფილვარ ახალწლის მეკვლე ჩვენს დიდ ოჯახში.

— მასპინძელო, მასპინძელო! — წამოვიწყებდით ეზოს ჭიშკართან ძახილს.

— მობრძანდით, ვინ ხართ? —მოგვაგებებდა ხმას მამაჩვენი.

— ახალი წელი! — ვუპასუხებდით.

— რა გინდათ?

— მოლოცვა.

— რა მოგაქვთ?

—სიკეთე, სიხარული, ბარაქა, ბევრი პური, ბევრი ღვინო, ბევრი ოქრო.

გაიღებოდა ჩვენი ოდის კარები, გადავკოცნიდით ერთმანეთს, მივუსხდებოდით გაშლილ სუფრას და იწყებოდა ჩვენი საახალწლო საოჯახო ზეიმი.

ეს იყო დიდი ხნის წინათ... დღეს კვლავ ახალგაზრდული სიხალისით მინდა გულმხურვალედ მივულოცო ახალი, 1964 წელი ჩემს სათაყვანებელ ქვეყანას და ჩემს საყვარელ ხალხს. მივულოცო და ვუ-

სურვო სიკეთე და სიხარული, მშვიდობა და ბედნიერება, ბარაქა, დიდი, უხვი სოციალისტური ბარაქა.

მრავალჟამიერ!

1963

პირველი სექტემბერი

(ტელე-სიტყვა)

დაუვიწყარია ჩემთვის ის ბედნიერი დღე, როცა პირველად შევდგი ფეხი ჩვენს საყვარელ უნივერსიტეტში და მისი აუდიტორიის კარი შევაღე. ახლა ნამდვილად სტუდენტი ვარ-მეთქი, ვარწმუნებდი ჩემს თავს. სასწრაფოდ მოვძებნე თავისუფალი ადგილი, ამოვიღე უბის წიგნაკი და ფანქარი მოვიმარჯვე.

დარბაზში შემოვიდა და კათედრას დინჯად მიუახლოვდა კარგად მორგებულ სუფთა კოსტიუმში გამოწყობილი, წარმოსადეგი, ტან-მაღალი, გამხდარი, სანდომიანი სახის პატრონი შუახნის კაცი. დაკვირვებით მოავლო თვალი აუდიტორიას, ოდნავი თავდახრით მოგვესალმა, ბაგეებზე ღიმი უკრთოდა, აუჩქარებლად გახსნა მოზრდილი შავი პორტფელი, რაღაც ქაღალდები ამოალაგა, გადააჯგუფა და კათედრის ორივე მხარეზე გააწყო. წამით კვლავ შეგვათვალიერა და მკაფიო, გამომეტყველი, ხავერდოვანი ხმით შეუდგა საუბარს საქართველოს შორეული წარსულის ისტორიაზე...

ჩვენ წინ იდგა დიდი ისტორიკოსი, დიდი მეცნიერი, უნივერსიტეტის დამაარსებელი და მისი იმჟამინდელი რექტორი, პროფესორი ივანე ჯავახიშვილი.

ეს ამბავი ძველია, რამდენიმე ათეული წლის წინანდელი.

მაშინ სტუდენტები შედარებით ცოტანი ვიყავით. უნივერსიტეტიც ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი იყო რესპუბლიკაში. ცოტანი იყვნენ, თითებზე ჩამოსათვლელი, პროფესორებიც. მაგრამ როგორი პროფესორები! ივანე ჯავახიშვილს მხარს უმშვენებდნენ კორნელი კეკელიძე, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, გიორგი ჩუბინა-

შვილი (ვახსახელებ მხოლოდ ჰუმანიტარული დარგის პროფესორებს. იოსებ ყიფშიძე უკვე გარდაცვლილი იყო).

რაღა თქმა უნდა, მაშინ არც მისალები საკონკურსო გამოცდები ინიშნებოდა. უნივერსიტეტში ჩასარიცხავად სიმწიფის ატესტატი კმაროდა. ჩვენ, ხელმოკლე პროვინციელ აბიტურიენტებს, სხვა გასაჭირი გვქონდა—უბინაობა, თავის სარჩენი ლუკმაპურისათვის ზრუნვა (სად იყო სტიპენდიები და სტუდენტთა საერთო საცხოვრებლები!).

უნივერსიტეტის შენობა (ახლა რომ პირველ კორპუსს ვეძახით) მაშინაც ისეთი იყო — ლამაზი, თეთრი, ქათქათა, ოღონდ ეზო ჰქონდა მოუწყობელი. წინ, წყნეთის ქუჩაზე (ახლანდელი ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე) კოხტად ჩამწკრივებული ჭადრები პატარები ჩანდნენ, ტანაუყრელი. გვერდით, მარცხენა მხარეს, უნივერსიტეტის ეზოს ებჯინებოდა ვარაზისხევი, ჩახერგილი, ჩანაგვიანებული, ოღროჩოღრო, გაუვლელი. ვარაზისხევი ახლა ქალაქის მშვენიერმა ქუჩამ შეცვალა. შემთხვევითი არ არის და ერთგვარად სიმბოლურია, რომ იგი უნივერსიტეტის ერთი დამაარსებელთაგანის სახელოვანი პროფესორის კორნელი კეკელიძის საპატიო სახელს ატარებს.

ჩვენი ქვეყნის საერთო წინსვლასთან ერთად გაიზარდა, დავაჟკაცდა და დაწინაურდა მისი პირმშო სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-სასწავლო კერა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტში უკვე მრავალი ათასი სტუდენტი სწავლობს. პროფესორ-მასწავლებელთა რიცხვმაც ერთ ათასს გადააჭარბა.

ახლა სტუდენტებს ყოველგვარი პირობა აქვთ შექმნილი სწავლისა და თავის გამოჩენისათვის. მხოლოდ ბეჯითობაა საჭირო, გულმოდგინეობა, სისტემური, ყოველდღიური შრომა. სამშობლო თქვენ შემოგცქერით. თქვენი წარმატება მისი წარმატებაა, თქვენი გამარჯვება მისი გამარჯვება. თქვენ ხართ ჩვენი სათაყვანებელი სამშობლო-ქვეყნის დიდი იმედი და სასოება, მისი ხვალინდელი დღე, მისი მომავალი.

სულითა და გულით ვულოცავ ჩემს ახალგაზრდა მეგობრებს, განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლებლებში ახლად ჩარიცხულ ჩვენს შესანიშნავ გოგონებსა და ყმაწვილებს პირველი სექტემბრის ბედნიერ დღეს.

გაგიმარჯოთ! იდღეგრძელეთ!

1978

ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიების მუშაობის შესახებ

კომისიის მიერ ვეფხისტყაოსნის ტექსტის გამოსაცემად მომზადების ტრადიციას საფუძველი დაუდო ვახტანგ მეექვსემ (1675—1737). მცირე კომისიამ მოამზადა და გამოაქვეყნა რუსთველის პოემის მეორე გამოცემაც (პეტერბურგი, 1841). ქართველ მწერალთა და მეცნიერთა დიდი კოლექტივის მუშაობის ნაყოფია ვეფხისტყაოსნის 1888 წლის გამოცემა (ქართველიშვილისეული გამოცემა). ასეთი ტრადიცია გაგრძელდა და განმტკიცდა საბჭოთა პერიოდში. რუსთველოლოგთა სპეციალურმა კომისიამ მოამზადა ვეფხისტყაოსნის პირველი საიუბილეო გამოცემა 1937 წლისა. კომისიაში შედიოდნენ: იუსტინე აბულაძე, ალექსანდრე ბარამიძე, ვუკოლ ბერიძე, პავლე ინგოროყვა, სოლომონ იორდანიშვილი (კომისიის მდივანი), სარგის კაკაბაძე, კორნელი კეკელიძე (კომისიის პირველი თავმჯდომარე), აკაკი შანიძე (კომისიის მეორე თავმჯდომარე), კონსტანტინე ჭიჭინაძე. კომისია შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიაღში ახლად დაარსებულ რუსთველის სახელობის ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან (მაშინ ინსტიტუტის დირექტორი იყო ალექსანდრე დუდუჩავა).

კომისიამ მუშაობა დაიწყო 1935 წლის 15 მაისს და დაამთავრა 1936 წლის 10 მაისს. პ. ინგოროყვას კომისიის მუშაობაში მთელი წლის მანძილზე ფაქტობრივ მონაწილეობა არ მიუღია, იგი მუშაობაში ჩაერთო მხოლოდ პოემის დაბოლოების განხილვის დროს, რამაც კ. ჭიჭინაძის საგანგებო პროტესტიც გამოიწვია. კომისიას ექვემდებარებოდა ქვეკომისია, რომელიც ამზადებდა ვარიანტული წაკითხვების ნუსხას და სხვადასხვა საცნობარო ცხრილებს (ქვეკომისიას ხელმძღვანელობდნენ ილია აბულაძე და გიორგი წერეთელი).

კომისიის განკარგულებაში იყო პოემის ცნობილი ყველა ხელნაწერი და ძირითადი ბეჭდური გამოცემები. ვეფხისტყაოსნის სამი საუკეთესო ხელნაწერი (H 54, H757, H 599) საზღვარგარეთ იყო გატანილი. მათი ზოგიერთი ვარიანტი ამოწერილი აღმოაჩნდა ს. კაკაბაძეს. ხელმიუწვდომელი იყო ოქსფორდისა და პარიზის სამი ხელნაწერიც (w17, w27, P10). უცნობი იყო რამდენიმე სხვა ხელნაწერიც, რომლებიც შემდეგ შეემატა ჩვენს სიძველეთსაცავებს. მუშაობისათვის კომისიას მცირე დრო ჰქონდა, სულ რაღაც ერთი წელიწადი.

მუშაობა რიტმულად და სისტემატურად, დიდი გატაცებით, მაგრამ აჩქარებულად მიმდინარეობდა. რამდენადაც კი შესაძლო იყო, კომისია საფუძვლიანად იხილავდა პოემის როგორც სტროფული შედგენილობის, ისე ტექსტის რედაქციულად დადგენისა თუ რედაქციულად გამართვის საკითხებს. კომისიამ გაასწორა და გამართა ეფხისტყაოსნის არაერთი დამახინჯებული და წარყვნილი წაკითხვა. კლასიკური, მაგალითად, ს ა ხ ი თ ა-ს გასწორება სიტყვით ხ ა ს ი თ ა. იყო (507):

„ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს ს ა ხ ი თ ა ოდენ სამითა“

გასწორდა

„ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს ხ ა ს ი თ ა ოდენ სამითა“

საქმე შეეხება ტარიელის მისვლას თათბირზე, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ნესტანის გათხოვების ბედი. ბევრი ხელნაწერისა და ყველა გამოცემის მიხედვით დარბაზში თითქო ისხდნენ მეფე და დედოფალი „სახითა ოდენ სამითა“. ეს უაზრო წაკითხვა გასწორდა რამდენიმე ხელნაწერის სწორი ვარიანტული მონაცემით — ხ ა ს ი თ ა, რაც ნიშნავს რჩეულს, დიდებულს. მაშასადამე, ტარიელს დარბაზში დახვედრია არა მარტო მეფე-დედოფალი, „სახითა ოდენ სამითა“, არამედ მ ე ფ ე-დ ე დ ო ფ ა ლ ი ს ა მ ი დ ი დ ე ბ უ ლ ი თ უ რ თ. ხ ა ს ი თ ა წარყვნილა და ფორმა ს ა ხ ი თ ა მიუღია გრაფიკულ ნიადაგზე, ს ა ნ ი-ს და ხ ა ნ ი-ს მსგავსების გამო. რომელიღაც გადამწერს ვერ გაუგია ხასის მნიშვნელობა და ეს სიტყვა საშინლად დაუმახინჯებია. ასე შეიქმნა დიდი აზრობრივი შეუსაბამობა.

ტექსტის რედაქციული გამართვა კომისიის წევრთა შორის დიდ შეხლა-შემოხლას არ იწვევდა. მეტისმეტად მწვავე ხასიათს იღებდა პოემის სტროფული შედგენილობის საკითხი. ხელნაწერებსა და ბეჭდურ გამოცემებში ამ მხრივ დიდი სიჯრელეა. მაგალითად, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა შეიცავს 1587 სტროფს, ხელნაწერებით ნაანდერძევი ტექსტი კი 2500 სტროფამდის აღწევს. სხვადასხვა ძველი და სანდო წყაროთი ცნობილია, რომ ვეფხისტყაოსანს საუკუნეების მანძილზე ავრცელებდნენ, ურთავდნენ არათუ ცალკე შაირებს, არამედ მთელ ეპიზოდურ ამბებს. ნიჭიერი ინტერპოლატორის ჩანართისა და დედნისეული შაირების ერთმანეთისაგან გარჩევა ადვილი როდია. ამითაც აიხსნება პოემის ბეჭდური გამოცემების სტროფული შედგენილობის ნაირობა. ცნობილი პოეტი და რუსთველოლოგი კონსტანტინე ჭიჭინაძე პრინციპულად უარყოფდა ვეფხისტყაოსანში ჩანართებისა და დანართების არსებობის შესაძლებლობას. მან 1934

წელს გამოსცა ვეფხისტყაოსანი, რომელიც სტროფული შედგენილობის მხრივ მანამდელი გამოცემებისაგან განსხვავდება სიდიდით. კ. ჭიჭინაძე ძირითადად ემყარებოდა კაკაბაძისეულ 1913 წლის გამოცემას (ეს გამოცემა მოიცავს ხელნაწერულ ტრადიციებზე დამყარებულ უვრცელეს რედაქციას). ჩანართად მიჩნეული ცალკეული სტროფების გარდა, კ. ჭიჭინაძემ თავის გამოცემაში შეიტანა პოემის დაბოლოების მთელი ეპიზოდი, რომელსაც „ინდო-ხატაელთა ამბავი“ ეწოდება (70 სტროფამდე მოცულობისაა). აქ მოთხრობილია ნესტანის გამოხსნის შემდეგ ტარიელის ძმადნაფიცებითურთ ინდოეთში დაბრუნება, ინდოეთის განთავისუფლება ხატაელთაგან და ტარიელის გახელმწიფება. ეს ეპიზოდი არ დაბეჭდილა არც ვახტანგის და არც შემდეგდროინდელ გამოცემებში (ს. კაკაბაძის 1913 წლის გამოცემის გამოკლებით), თუმცა მოიპოვება ჩვენ დრომდის მოღწეულ ყველა ძველ ხელნაწერში[1].

ვეფხისტყაოსნის ჭიჭინაძისეული გამოცემის თაობაზე დიდი აურზაური ატყდა, ბევრი ითქვა და დაიწერა. მოეწყო ორი დისკუსია 1934 წლის შემოდგომაზე, საგანგებოდ განიხილა „ინდო-ხატაელთა ამბის“ საკითხი ტექსტის დამდგენმა კომისიამ. სხდომებს ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი, მათ შორის პ. ინგოროყვაც. თავისი მოსაზრება ყველამ წარმოადგინა წერილობით. კომისიის ცხრა წევრიდან შვიდმა „ინდო-ხატაელთა ამბავი“ მიიჩნია შემდეგდროინდელ დანართად და პოემის ძირითად ტექსტში არ შეიტანა (ვ. ბერიძე და მე ვთვლიდით, რომ „ინდო-ხატაელთა ამბავი“ სიუჟეტურად ესადაგება ვეფხისტყაოსნის შინაარსს, ის უნდა შეიცავდეს აღდგენილ ანუ რესტავრირებულ ტექსტს, რომელიც თავისი წარმოშობით XV—XVI საუკუნეების მიჯნას უნდა ეკუთვნოდეს). „ინდო-ხატაელთა ამბის“ რუსთველურობას, უკეთ, ვეფხისტყაოსნის ძირითად ტექსტში შეტანის საჭიროებას მხარი დაუჭირეს მხოლოდ კ. ჭიჭინაძემ და ს. კაკაბაძემ (ს. კაკაბაძემ კ. ჭიჭინაძის თვალსაზრისს „ინდო-ხატაელთა ამბის“ თაობაზე მხარი დაუჭირა ტაქტიკური მოსაზრებით, რამდენადაც მისი სა-

---

[1] საკვირველია, რომ თავის გამოცემაში კ. ჭიჭინაძემ არ შეიტანა ბევრის მიერ რუსთველისეულად მიჩნეული ცნობილი შაირი:

მოვიდიან შესაკობლად ქვეყნით ყოვლნი სულიერნი:
კლდით ნადირნი, წყალშიგ თევზნი, ზღვით ნიანგნი, ცით მფრინველნი,
ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მაღრიბელნი,
რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგვიპტელნი.

კუთარი შეხედულება ვეფხისტყაოსნის დაბოლოების შესახებ, რაც გა-ტარებულია პოემის მისეული 1927 წლის გამოცემაში, არავინ გაიზია-რა). ამრიგად, ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის წევრთა დიდი უმრავლესობის გადაწყვეტილებით „ინდო-ხატაელთა ამბავი“ ვეფხისტყაოსნის ტექსტში არ შევიდა. ეს გადაწყვეტილება საბოლო-ოდ ვერ განხორციელდა. კ. ჰიჰინაძემ ბრძოლა სხვა სარბიელზე გა-დაიტანა და თავისი მიზნის მისაღწევად მეცნიერებაში მიუღებელი ხერხებიც გამოიყენა.

„ინდო-ხატაელთა ამბის“ საკითხში კ. ჰიჰინაძეს ბეჯითად უჭერ-და მხარს რუსთველის საიუბილეო კომიტეტის გავლენიანი წევრი, რესპუბლიკის საგეგმო კომისიისა და მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე მალაქია ტოროშელიძე. ტოროშელიძემ საქმის ვითა-რება გააცნო იოსებ სტალინს და პოემის საცილობელი „ამბის“ სა-კითხში დაითანხმა. იმ დროს მოსკოვში მზადდებოდა ვეფხისტყაოს-ნის ბალმონტისეული სრული რუსული თარგმანის გამოცემა (ბალმონ-ტისეული სრული თარგმანის ტექსტი პირველად დაიბეჭდა პარიზში 1933 წელს). ამ საქმეს ხელმძღვანელობდა ალექსანდრე სვანიძე. ი. სტალინის მითითების თანახმად პოეტ ქალს ე. ტარლოვსკაიას დაე-ვალა „ინდო-ხატაელთა ამბის“ რუსულად გარდათქმა, ეს დავალება მან კარგად შეასრულა. „ინდო-ხატაელთა ამბავი“ სწორედ ბალმონტის თარგმანის ყაიდაზე გაარუსულა. გამომცემლობა „აკადემიამ“ 1936 წელს გამოაქვეყნა ვეფხისტყაოსნის ბალმონტისეული თარგმანი „ინდო-ხატაელთა“ ეპიზოდის ჩართვით. თუ კანდიდ ჩარკვიანის გამოთქმას ვიხ-მართ, რეალიზებული იქნა „ოფიციალური თვალსაზრისი“ „ინდო-ხატაელთა ამბის“ თაობაზე. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ კ. ჰი-ჰინაძის თვალსაზრისს მიეცა ოფიციალური სანქცია. მართალია, ვეფ-ხისტყაოსნის ქართული საიუბილეო გამოცემის ბეჭდვის დროს მ. ტოროშელიძე ჩამოშორებული იყო საზოგადოებრივ საქმიანობას. მაგრამ, ცხადია, „ოფიციალურმა თვალსაზრისმა“ გამოხატულება იპ-ოვა პოემის ქართულ გამოცემაშიც. მ. ტოროშელიძის შემდეგ ვეფ-ხისტყაოსნის საიუბილეო ღონისძიებათა მეურვეობა დაეკისრა კან-დიდ ჩარკვიანს, მაშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კო-მიტეტის განყოფილების გამგეს და მწერალთა კავშირის გამგეობის ახლად არჩეულ თავმჯდომარეს.

ჩემს ზნეობრივ მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ კ. ჩარ-კვიანი მაშინ ენერგიულად, დიდი მონდომებით, ოპერატიულად და

კონკრეტულად უძღვებოდა დაკისრებულ საქმეს. მახსოვს, ის ბევრს გვეხმარებოდა, კერძოდ, დიდი საიუბილეო გამოფენის მომზადებაში. რაღა თქმა უნდა, კ. ჩარკვიანი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემას. თუ კვლავ მის გამოთქმას დავიმოწმებთ, რუსთველოლოგთა „კომისიამ ბრძოლა წააგო“ და „ოფიციალურმა თვალსაზრისმა“ გაიმარჯვა (კ. ჩარკვიანი. ვეფხისტყაოსნის პირველი იუბილეს გახსენება. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 13. 8. 76). „ოფიციალური თვალსაზრისის“ გატარება სწორედ რომ კ. ჩარკვიანს ევალებოდა. საიუბილეო კომიტეტმა გამოყო ვეფხისტყაოსნის გამოცემის სარედაქციო კოლეგია: იუსტინე აბულაძე, პაველ ინგოროყვა, კორნელი კეკელიძე, ერმილე ბურჭულაძე, გიორგი კიკნაძე, კანდიდ ჩარკვიანი. ტექსტის დამდგენი კომისიიდან სარედაქციო კოლეგიის წევრებად აღმოჩნდნენ ი. აბულაძე, პ. ინგოროყვა და კ. კეკელიძე. სამი დანარჩენი წევრი თანამდებობრივად მოხვდა ამ კოლეგიაში (ე. ბურჭულაძე — განათლების სახალხო კომისარი, გ. კიკნაძე — უნივერსიტეტის რექტორი, კ. ჩარკვიანი — სადირექტივო ორგანოს წარმომადგენელი). კომისიის „მარცხი“ ის იყო, რომ სარედაქციო კოლეგიამ არ მიიღო იმის მიერ შემზადებული ტექსტი, სანაცვლოდ გამოაქვეყნა ახალი ტექსტი, რომელიც ძალიან უახლოვდებოდა ჭიჭინაძისეულ 1934 წლის გამოცემას. ცხადზე უცხადესია, რომ კომისიის „დამარცხება“ და ოფიციალური თვალსაზრისის გამარჯვება შეაპირობა უხეშმა ადმინისტრირებამ. ვეფხისტყაოსანში, უპირველეს ყოვლისა, შეიტანეს „ინდო-ხატაელთა ამბავი“, თუმცა იქიდან თვითნებურად ამოიღეს ვითომცდა ოდიოზური შინაარსის სამი სტროფი, სადაც ავთანდილი და ფრიდონი შედარებული არიან კათალიკოსთან და აწყურის ეპისკოპოსთან (მაწყვერელთან). ამის თაობაზე საუბარი მაქვს ნარკვევში „ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა საკითხისათვის“ (ლიტერატურული ძიებანი, V, 1949, გვ. 133—174) და წერილში „ხმა წარსულიდან“, რომელიც კ. ჩარკვიანის საპასუხოდ დაიბეჭდა („ლიტერატურული საქართველო“, 10. 9. 76). ამაოდ ჩივის კ. ჩარკვიანი, რომ სარედაქციო კოლეგიამ „კათალიკოზისა და მაწყვერელის ოდიოზურ სახელებს რამდენიმე, ჩემი აზრით, კარგი და საჭირო სტროფიც მიაყოლაო“. სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ ვეფხისტყაოსნის საიუბილეოდ გამოსაცემად ტექსტის სტროფული შედგენილობის საკითხებს კოლეგიაში უშუალოდ და ერთპიროვნულად წყვეტდა სარედაქციო კოლეგიის წევრი კ. ჩარ-

კვიანი. ის აგებდა პასუხს „ოფიციალური თვალსაზრისის“ სისწორით გატარებაზე. სარედაქციო კოლეგიის რუსთველოლოგი წევრები (აბულაძე, ინგოროყვა, კეკელიძე) კატეგორიულად უარყოფდნენ „ინდო-ხატაელთა ამბის“ ავთენტურობას, ხოლო ბურჯულაძისა და კიკნაძის კომპეტენტურობა გამორიცხულია. ვიმეორებ, ვეფხისტყაოსნის სტროფული შედგენილობის საკითხების გადაწყვეტაში ჩარკვიანი ხელშეუვალი იყო. რაც შეეხება ტექსტის რედაქციულ გამართულობას, ორთოგრაფიას, პუნქტუაციასა და მისთანებს, ამათ საბოლოოდ აწესრიგებდა პ. ინგოროყვა. ამიტომ გაოცებას იწვევს პ. ინგოროყვას სიტყვები, თითქო ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენმა კომისიამ „განუსჯელად შეიტანა რუსთველის პოემაში ინდო-ხატაელთა ამბავი და ამით „დააზიანა შოთას წმინდა წიგნი“ (პ. ინგოროყვა, თხზულებანი, I, თბილისი, 1963, გვ. II, სქოლიო). როგორც უკვე ვიცით, კომისიამ უარყო „ინდო ხატაელთა ამბის“ რუსთველურობა, იგი პოემაში შეიტანეს „ოფიციალური თვალსაზრისის“ რეალიზაციის შედეგად. ჩემს ხელთაა ერთი დოკუმენტი, რომელიც მკაფიოდ აშუქებს პ. ინგოროყვას როლს ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემების ბეჭდვის საქმეში. 1937—1938 წლებში პოემა რამდენიმეჯერ გამოვიდა. ყველა ისინი იმეორებდნენ საიუბილეო მდიდრულ გამოცემას, რომელიც უნივერსიტეტმა გამოაქვეყნა. სხვათა შორის, იმავე უნივერსიტეტმა 1938 წლის პირველ ნახევარში გამოუშვა პორტატული გამოცემა, რომელიც აგრეთვე პ. ინგოროყვამ გაამზადა. როდესაც ვეფხისტყაოსნის 1951 წლის გამოცემის თაღარიგს შევუდექი (ამაზე საუბარია ქვემოთ), ჩემმა ასპირანტმა გივი მიქაძემ (აწ პროფესორმა) მომიტანა და მისახსოვრა პოემის 1937 წლის საიუბილეო გამოცემის ერთი ცალი, რომელშიც შეტანილია ზოგიერთი ორთოგრაფიული და ნაწილობრივ რედაქციული ცვლილება. ამ ცალის მიხედვით არის აწყობილი და დაბეჭდილი პორტატული გამოცემა. დედან-ტექსტს მიკერებული აქვს ქაღალდის ნაჭერი ინგოროყვას ავტოგრაფული ხელრთვით. აქ წერია: „ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის გადაბეჭდვის დროს შეტანილ იქმნეს მხოლოდ ის ცვლილებანი (—უმთავრესად ორთოგრაფიული ხასიათისა), რომლებიც აღნიშნულია წითელი ფანქრით. ეს ცვლილებანი შეთანხმებულია ჩემსა და კ. კეკელიძის შორის. პ. ინგოროყვა. I.III. 1938 წ“. მართლაც, დედან-ეგზემპლარში ტექსტოლოგიური ცვლილებები შესრულებულია წ ი თ ე ლ ი ფ ა ნ ქ რ ი თ (ფაქსიმილეში გამოთქმას „წითელი ფანქრით“ ორი ხაზი აქვს გასმული). გამოსაცე-

მად გამზადებული (ჩასწორებული) ცალი პ. ინგოროყვას გადაუცია ვარლამ მიქაძისათვის სახელმძღვანელოდ (ვ. მიქაძე იყო უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორი). ამ დოკუმენტიდან ცხადი ხდება, რომ პ. ინგოროყვა უფლებამოსილი ყოფილა ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემებში შეეტანა რედაქციულ-ორთოგრაფიული ცვლილებები, რომლებსაც თურმე უთანხმებდა კ. კეკელიძეს. მაშასადამე, ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემების (მდიდრულისა და პორტატულის) წაკითხვათა რედაქციისა და ორთოგრაფიისათვის პასუხისმგებელია პავლე ინგოროყვა. შემთხვევითი როდია, რომ საიუბილეო მდიდრულ გამოცემას ახლავს პ. ინგოროყვას ვრცელი შესაყალი წერილი, სადაც გატარებულია მისი ცნობილი მოსაზრებანი რუსთველის მანიქეველობის თაობაზე. ამავე დროს გამოცემას არა აქვს ტექსტოლოგიური ხასიათის რაიმე შენიშვნა. არ დაიბეჭდა არც ვარიანტების ნუსხა.

ვეფხისტყაოსნის 1937 წლის საიუბილეო გამოცემა მიჩნეული იქნა კანონიკურად და წლების მანძილზე იმის მიხედვით იბეჭდებოდა ახალი გამოცემები სრულიად უცვლელად. თვითონ კ. ჭიჭინაძე გვიდასტურებს თითქოს მასაც კი ნება არ მისცეს გაეს̆წორებინა საიუბილეო გამოცემის კორექტურული შეცდომა (კ. ჭიჭინაძე, რუსთაველი და მისი პოემა, თბილისი, 1960, გვ. 190). ასე შეიქმნა დოგმატიზმი ვეფხისტყაოსნის საკითხში, რამაც დიდხანს შებორკა აზრის წინსვლა და უკვდავი პოემის ტექსტის შესწავლა.

მოახლოვდა 1951 წელი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30-ე წლისთავი. სადირექტივო ორგანომ, პირადად კ. ჩარკვიანმა (მაშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა) რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს̆ დაავალა მოემზადებინა ვეფხისტყაოსნის მორიგი გამოცემის ტექსტი. ინსტიტუტმა ეს საქმე მე მომანდო. ჩემი ასპირანტების, მამია ებრალიძისა და გივი მიქაძის, დახმარებით შევუდარე ერთმანეთს ნაბეჭდი და კომისიის მიერ თავის დროზე მომზადებული ტექსტები. აღმოჩნდა მნიშვნელოვანი სხვაობანი (რა თქმა უნდა, საუბარია ტექსტის რედაქციულ-ორთოგრაფიულ სხვაობებზე, პოემის სტროფული შედგენილობა ხელშეუხებელი იყო). გამოცემები წლიდან წლამდის იმეორებდა ერთსა და იმავე აშკარა შეცდომებს, მათ შორის მძიმე კორექტურულ შეცდომებს. ჩემი წინადადებით ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ დაადგინა შექმნი-

ლიყო სარედაქციო კოლეგია (ა. შანიძე, კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე), რომელიც გაუძღვებოდა ტექსტის გამოსაცემად მომზადებას. კოლეგიამ შეადგინა აუცილებელ გასწორებათა დასაბუთებული ნუსხა და ნებართვისათვის მიმართა კ. ჩარკვიანს 1950 წლის ივნისის თვეში.

წერილს ხელს აწერდნენ ინსტიტუტის მაშინდელი დირექტორი შ. რადიანი და ამ სტრიქონების ავტორი (როგორც ძველი ქართული მწერლობის განყოფილების ხელმძღვანელი). ჩვენ ვწერდით:

„საქართველოს კპ/ბ/ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების თანახმად, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა მოამზადა გამოსაცემად შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი. პოემის ახალი გამოცემა იმეორებს რუსთველოლოგთა სპეციალური კომისიის მიერ დამუშავებული საიუბილეო გამოცემის ტექსტს, რომლის დედანი, აგრეთვე კომისიის ოქმები, დაცულია რუსთაველის ინსტიტუტში. შედარებამ გამოარკვია, რომ 1937 წლის საიუბილეო გამოცემას ახლავს ბევრი არსებითი ხასიათის ნაკლი, რაც უმეტეს წილად, მექანიკურად გადაჰყოლია პოემის შემდეგდროინდელ გამოცემებს: 1. საიუბილეო გამოცემაში გაპარულია ბევრი კორექტურული შეცდომა. 2. არაერთ ათეულ შემთხვევაში დაბეჭდილი ტექსტი დამახინჯებულად გადმოსცემს კომისიის მიერ მიღებულ წაკითხვებს. ამ ნიადაგზე დაშვებულია რედაქციულ-ორთოგრაფიული ხასიათის მრავალი შეცდომა. 3. თვითონ კომისიის ტექსტიც საბოლოოდ არ ყოფილა გამართული ერთიანი რედაქციულ-ორთოგრაფიული პრინციპის კვალობაზე. საიუბილეო გამოცემას ახასიათებს ორთოგრაფიული სიჭრელე. 4. საიუბილეო გამოცემაში მოუწესრიგებელი დარჩენილა პუნქტუაცია. აღნიშნული მიზეზების გამო საჭირო გახდა ვეფხისტყაოსნის 1937 წლის საიუბილეო გამოცემის ტექსტის სათანადოდ გასწორება. რუსთაველის სახელობის ინსტიტუტმა მოისმინა ინფორმაცია ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის თაობაზე, მოიწონა ჩატარებული მუშაობა და მიზანშეწონილად ცნო ბეჭდვას უხელმძღვანელოს მცირე კომისიამ პროფესორების კ. კეკელიძის, ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის შემადგენლობით“.

წერილს ახლავს საჭირო გასწორებათა ნიმუშები. აქედან დავი-

მოწმებ ერთ მაგალითს. ავთანდილმა ასე გააცნო ფრიდონს თავისი ვინაობა (992):

მე ვარ ყმა როსტან მეფისა, მოყმე არაბეთს ზრდილობით,
დიდი სპასპეტი, სახელად მიხმობენ ავთანდილობით,
მ ე დიდებულთა დიდ-გვართა ზრდილი მეფეთა შვილობით,
საკრძალავი და უკადრი, მყოფი არევისგან ცილობით.

შაირში ორჯერაა ნაცვალსახელი „მე“, რაც ბუნებრივია დაეჭვებას იწვევდა. ამასთან არაბუნებრივია მესამე ტაეპის შესიტყვება „მ ე დიდებულთა დიდ-გვართა ზრდილი“. ზოგ ხელნაწერში ნაცვლად ფორმისა მ ე იკითხება ძ ე. ცხადია, პირველადია და აზრიანია ძ ე: მე ვარო, ამბობს ავთანდილი, დიდებულთა დიდგვართა ძ ე ო. ამით ტექსტი საუცხოოდ გაიმართა. ძ ე-ს მ ე-დ შენაცვლება მომხდარა გრაფიკულ ნიადაგზე.

შიმართვის ბოლოს აღნიშნულია: „გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, რუსთაველის სახელობის ინსტიტუტი გთხოვთ თქვენს მითითებას“.

სიტყვიერი მითითება მოგვცა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა აგიტაცია-პროპაგანდის დარგში როსტომ შადურმა. მან მოგვთხოვა ჩაგვეტარებინა ტექსტის გასწორებათა ფართო საზოგადოებრივი განხილვა და შედეგი გვეცნობებინა მისთვის. 1951 წლის 2 მარტს მოვიწვიეთ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელმაც მოისმინა ჩემი ინფორმაცია პოემის ახალი გამოცემის შესახებ. სხვა ადგილას („ხმა წარსულიდან“) აღნიშნული მაქვს, რომ ინსტიტუტის თანამშრომელთა გარდა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს — აკაკი შანიძემ, სიმონ ყაუხჩიშვილმა, შალვა ნუცუბიძემ, ვუკოლ ბერიძემ, ვარლამ თოფურიამ, პეტრე შარიამ, ივანე გიგინეიშვილმა, გერონტი ქიქოძემ, იოსებ გრიშაშვილმა. სხდომამ ერთსულოვნად მოიწონა გასწორებათა პროექტი. სხდომის ვრცელი ოქმი (თავმჯდომარის შ. რადიანისა და მდივნის ამბ. გაჩეჩილაძის ხელმოწერით) ვაახელით რ. შადურს. ოქმის დედანს შადურმა წააწერა: „ახალ გამოცემაში შეტანილ იქნას მხოლოდ ისეთი შესწორებანი, რომლებიც უდავოდ დასაბუთებულია მეცნიერულად. რაც კი საეჭვო და გასარკვევია, გადაიდოს საკითხის საბოლოოდ გარკვევამდე, ე. ი. ახალ გამოცემაში დარჩეს ძველი რედაქცია. რ. შადური. 8. III. 51. თუმცა რეზოლუცია მთლად მკაფიო არ იყო, ამან მაინც მოგვცა სა-

შუალება პოემის 1951 წლის გამოცემა დაგვებეჭდა მნიშვნელოვანი გასწორებებით[1].

ამრიგად, ყინული გატყდა. შეირყა ვეფხისტყაოსნის 1937 წლის კანონიზებული გამოცემის შეუვალი ავტორიტეტი.

ინსტიტუტის გაფართოებულ სამეცნიერო სხდომაზე, რასაკვირველია, მოწვეული იყო კ. ჭიჭინაძეც. იგი არ გამოცხადდა და განხილვაში მონაწილეობა არ მიიღო, სამაგიეროდ, თავს დაესხა ახალ გამოცემას, როგორც კი იგი წიგნის ბაზარზე გაჩნდა. ვეფხისტყაოსნის საკითხში „ოფიციალური თვალსაზრისის“ ნამდვილმა ავტორმა ჩვენი გამოცემა მკაცრად გააკრიტიკა და არც ერთი გასწორება არ შეიწყნარა. იგი აშკარად გამოვიდა დოგმატიკოსის როლში და არსებითად მოითხოვა ე. წ. კანონიზებული ტექსტის ანუ ფაქტობრივ მისეული რედაქციის ხელუხლებლობა (იხ. კ. ჭიჭინაძე. ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 6. I. 52). შემოტევას ჩვენ შესაფერისად დავუხვდით და იმავე გაზეთში გავეცით პასუხი (ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე. ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 8. 2. 52). კ. ჭიჭინაძე არ დაწყნარდა და ფიცხლავ ახალი განმაჭიქებელი წერილი გამოაქვეყნა (იქვე, 15. 2. 52). ჩვენ მოვამზადეთ მეორე საპასუხო წერილი, მაგრამ გაზეთის რედაქციამ დისკუსია შეწყვიტა. ორივე საპასუხო წერილი ჩვენ ერთად გამოვაქვეყნეთ „ლიტერატურული ძიებანის“ VII ტომში (1953, გვ. 345—360). სხვათა შორის, აღვნიშნავ, რომ პირველი საპასუხო წერილი მე დავწერე, მეორე — ა. შანიძემ.

ჩვენმა პუბლიკაციამ და მის გარშემო ამტყდარმა კამათმა ბზარი გაუჩინა ვეფხისტყაოსნის კანონიკურად მიჩნეულ 1937 წლის გამოცემას. ამით ისარგებლა პ. ინგოროყვამ და 1953 წელს თავის რედაქციითა და შენიშვნებით გამოსცა პოემა, სტროფული შედგენილობა ჯერ კიდევ ხელშეუხებელი რჩებოდა, მაგრამ პ. ინგოროყვამ ის მოახერხა, რომ მისთვის საეჭვოდ მისაჩნევ ტექსტებს ვარსკვლავები დაუსხა (რა თქმა უნდა, ვარსკვლავები აქვს „ინდო-ხატაელთა ამბის“ ყველა სტროფს). პ. ინგოროყვას გამოცემამ ახალი ჰმაური გამოიწვია. დაიწერა ბევრი რეცენზია. მკაცრზე მკაცრად დაუხვდა ამ გამოცემასაც ისევდაისევ კ. ჭიჭინაძე, რომელიც თავის თავს რატომ-

[1] იმავე რედაქციამ (ა. შანიძე, კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე) ზოგიერთი ახალი ცვლილებით გამოსცა ვეფხისტყაოსანი 1957 წელსაც.

ღაც ვეფხისტყაოსნის ერთადერთ ჭირისუფლად თვლიდა, ქომაგად უდგა 1937 წლის გამოცემას და შეურიგებელ ბრძოლას უცხადებდა ტექსტის გასწორების ყოველგვარ ცდას (კ. ჭიჭინაძე, ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის გამო, „ლიტერატურული გაზეთი“, 26.2. 54). ძალზე მკაცრად შეესიტყვა კ. ჭიჭინაძის რეცენზიას პ. ინგოროყვა (ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის გამო, „ლიტერატურული გაზეთი“, 12. III და 19. III. 54). მდგომარეობა გამწვავდა. „ლიტერატურულმა გაზეთმა“ კამათი შეწყვიტა და კ. ჭიჭინაძეს ახალი წერილი არ დაუბეჭდა. ბრძოლამ მწერალთა კავშირში (უფრო მის კულუარებში) გადაინაცვლა. მსჯავრის გამოსატანად ორივე მხარემ მიმართა მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმს. პრეზიდიუმმა გადაწყვიტა, მოწყობილიყო ვეფხისტყაოსნის ინგოროყვასეული გამოცემის საჯარო განხილვა და ანგარიში გამოქვეყნებულიყო პრესაში. პ. ინგოროყვა და კ. ჭიჭინაძე შეთანხმდნენ, რომ მომხსენებლად პრეზიდიუმს ჩემი კანდიდატურა წარმოეყენებინა. მე დავთანხმდი. დოკუმენტური სიზუსტისათვის მომაქვს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის დადგენილების ამონაწერი (1954 წლის 27 ივლისის სხდომისა):

„თავმჯდომარე — ირ. აბაშიძე, მდივანი — ირ. ქავჟარაძე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

პ. ინგოროყვას და კ. ჭიჭინაძეს შორის ამტყდარი დავის გარშემო ვეფხისტყაოსნის ინგოროყვასეული გამოცემის გამო (მომხს. გ. ლეონიძე).

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

ა. წ. ოქტომბრის თვეში კრიტიკისა და ლიტმცოდნეობის სექციამ რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტთან ერთად მოაწყოს დისკუსია პ. ინგოროყვას რედაქციით გამოსული ვეფხისტყაოსნის გარშემო. მომხსენებლად გამოყოფილ იქნას ამხ. ა. ბარამიძე. დისკუსიის ანგარიში გამოქვეყნდეს პრესაში“.

დამოწმებული დადგენილების შესაბამისად მწერალთა კავშირმა მოსწერა ლიტერატურის ინსტიტუტს (7. X. 54. N444):

„ამასთან გეგზავნებათ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის დადგენილება პ. ინგო-

როყვასა და კ. ჭიჭინაძეს შორის ამტყდარი დავის გარშემო ვეფხისტყაოსნის ინგოროყვასეული გამოცემის გაცო და გთხოვთ მწერალთა კავშირის კრიტიკისა და ლიტმცოდნეობის სექციასთან ერთად მოაწყოთ დისკუსია პ. ინგოროყვას რედაქციით გამოცემული ვეფხისტყაოსნის გარშემო. პრეზიდიუმს სასურველად მიაჩნია მომხსენებლად გამოყოფილ იქნას ამხ. ა. ბარამიძე.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანი: ს. ჭილაია.

საქმეთა მმართველი: ირ. ქავჟარაძე".

დაკისრებული მოხსენება მოვამზადე. დაინიშნა დისკუსიის დღე, 1954 წლის 27 ოქტომბერი, დაიბეჭდა და დარიგდა მოსაწვევი ბარათები, მაგრამ დისკუსია არ შემდგარა, პ. ინგოროყვა მძიმე ავად გახდა და ითხოვა დისკუსიის გადადება. გადადებული საქმის ბედი კი ცნობილია. სამაგიეროდ, მოხსენების ტექსტი უცვლელად გამოვაქვეყნე („ლიტერატურული ძიებანი", IX, 1955, გვ. 455—474). ძოხსენებას ვამთავრებ შემდეგი სიტყვებით: „ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემაში ყველაფერი რიგზე არ არის ტექსტის სტროფული შემადგენლობის მხრივ... ჯერჯერობით არ გაგვაჩნია ვეფხისტყაოსნის შესაფერისი აპარატით შემკული მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი. ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ასეთი ტექსტის უმოკლეს დროში მომზადება. ეს საპასუხისმგებლო საქმე უნდა იტვირთოს რუსთველოლოგთა კოლექტივმა... ვეფხისტყაოსნის ახალი, ისე როგორც ამისი წინანდელი (1937 და 1951 წლების) გამოცემანი საჭირო და საყურადღებო მასალად გამოდგება პოემის იმ მონავალი გამოცემისათვის" (დას. წერ., გვ. 474).

ჩემი თაოსნობით (მაშინ ვასრულებდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობას) 1955 წლის 7 ივნისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შედგა თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემისათვის მზადების შესახებ. თათბირზე აღინიშნა (ილ. აბულაძე, ალ. ბარამიძე, ვ. დონდუა, ივ. გიგინეიშვილი, ა. შანიძე და სხვ.), რომ დღემდის არ გვაქვს ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი, რომ მოუწესრიგებელია პოემის სტროფული შედგენილობის საკითხი, რომ საიუბილეო პერიოდში (1935—1936 წლებში) მომზადებული ვარიანტები

(რომლებიც არც გამოქვეყნებულა) ნაჩქარევად იყო შედგენილი და შეცდომებს შეიცავდა, რომ დროა პრაქტიკულად დაისვას საკითხი ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემის მომზდების შესახებ და რომ ეს უნდა იკისროს ლიტერატურის, ენათმეცნიერებისა და ისტორიის ინსტიტუტების კოლექტივებმა.

ამასობაში საერთო პოლიტიკური ამინდიც შეიცვალა. საქართველოს კომპარტიას სათავეში ახალი ხელმძღვანელობა ჩაუდგა, თუმცა ინერციის ძალით ჯერ კიდევ გრძელდებოდა ვეფხისტყაოსნის 1937 წლის გამოცემის კანონიკურობის დაცვა. სადირექტივო ორგანოს მითითების საფუძველზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 1955 წლის 20 ოქტომბრის სხდომაზე (ოქმი N17) აღნიშნა, რომ: „სათანადოდ არ არის მოწესრიგებული ვეფხისტყაოსნის ირგვლივ წარმოებული ტექსტოლოგიური მუშაობის შედეგების გამოქვეყნების საქმე. ლიტერატურის ინსტიტუტი და ლიტერატურათმცოდნე პ. ინგოროყვა მასობრივი ტირაჟებით აქვეყნებენ მნიშვნელოვანი ტექსტუალური გასწორებების შემცველ ტექსტებს ვეფხისტყაოსნისას, მაშინ როდესაც ეს გასწორებანი უპირისპირდება წინათ მთავრობის კომისიის მიერ დადგენილ რედაქციას... პრეზიდიუმი თვლის, რომ ბოლო უნდა მოეღოს არევ-დარევას ვეფხისტყაოსნის ტექსტის დაზუსტების საქმეში. პოემის ტექსტში შესაძლებელი ცვლილებების შეტანის საკითხი უნდა გახდეს შესაფერისი მეცნიერულ საზოგადოებრიობის ფართო მსჯელობის საგნად“. პრეზიდიუმის დადგენილებაში ახალი ის იყო, რომ იგი საჭიროდ თვლიდა რუსთველოლოგიის დარგში საკვლევაძიებო მუშაობის გაძლიერების მიზნით დასმულიყო საკითხი ლიტერატურის ინსტიტუტის ძველი მწერლობის განყოფილებასთან რ უ ს თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი ი ს ს ე ქ ტ ო რ ი ს შექმნის შესახებ.

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის გამოცემის საკითხი საკმაოდ მომწიფდა. ლიტერატურის ინსტიტუტმა რიგი პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა. 1956 წელს გამოვეცით ვეფხისტყაოსნის ერთი უძველესი და უსრულესი ხელნაწერის (H757) ტექსტი და იმას დავურთეთ სხვა ხელნაწერებით შემონახული დანართები და ჩანართები (მოამზადა ს. ყუბანეიშვილმა). ამ გამოცემის მიხედვით შევუდექით და თანდათანობით, 1960—1964 წლების მანძილზე გამოვაქვეყნეთ ყველა ცნობილი ხელნაწერისა და ძირითადი ბეჭდური გამოცემების ვარიანტული წაკითხვები (მოამზადეს ს. ყუბანეიშვილმა, ლ. კეკელი-

ძემ, მ. გუგუშვილმა, ი. ლოლაშვილმა, ვ. ბააკაშვილმა და ბ. დარჩიამ). 1957 წელს გამოვეცით რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფიის ვეებერთელა ტომი 84 თაბახის მოცულობისა (ავტორი გ. ი. იმედაშვილი). იმავე 1957 წელს დავბეჭდეთ ფრიად საპირო საცნობარო ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა“ (შემდგენელი ს. ყუბანეიშვილი). მომზადდა და მოგვიანებით დაიბეჭდა თეიმურაზ ბატონიშვილის „განმარტება პოემა ვეფხისტყოსნისა“ (გამოკვლევითურთ გამოსცა გ. იმედაშვილმა), 1957 წელს გამოქვეყნდა ს. ცაიშვილის გამოკვლევა, „სადაც ახალი ფაქტებია მოყვანილი იმის საბუთად, რომ (ვეფხისტყაოსნის) პირველი გამოცემა არის ხელოვნურად შემოკლებული ტექსტი და არა რომელიმე ხელნაწერის უცვლელი გამეორება“ (ა. შანიძე. დღევანდელი ვითარება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში, „მნათობი“, 1965, 10, გვ. 123). იმავე ცაიშვილმა 1959 წ. გამოაქვეყნა ნარკვევი „ვეფხისტყაოსნის რედაქციები და პოემის ზოგიერთი ტექსტუალური საკითხი“. 1957 წელს გამოვიდა მერი გუგუშვილის „ვეფხისტყაოსნის პროლოგის საკითხისათვის“. დავაარსეთ სერია „რუსთველოლოგიური ძიებანი“ (ჩემთან ერთად მას ხელმძღვანელობდა ი. მეგრელიძე) და შევუდექით უმთავრესად საარქივო გამოუქვეყნებელი მასალების ბეჭდვას (პირველ რიგში დავბეჭდეთ ნ. მარის გამოუქვეყნებელი რუსთველოლოგიური ნაშრომები). ამ მოგონებების ავტორმა 1958 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფიული ნარკვევი „შოთა რუსთველი“. 1956 წლის ბოლოს ლიტერატურის ინსტიტუტში შეიქმნა რუსთველოლოგიის განყოფილება (განყოფილების ხელმძღვანელობა მე დამეკისრა). აკაკი შანიძის ავტორიტეტული შეფასებით, „ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში, რომელიც უებრო პოეტის სახელს ატარებს, შეიქმნა სოლიდური ბაზა ვეფხისტყაოსნის ყოველმხრივ შესასწავლად და მისი ტექსტის გასამართავად მეცნიერულ საფუძველზე“ (დღევანდელი ვითარება..., „მნათობი“, 1965, N11. გვ. 133). თვითონ აკაკი შანიძემ ჯერ კიდევ 1937 წელს მის მიერ აღდგენილი ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის გამოცემისადმი დართულ გამოკვლევაში დოკუმენტურად დაამტკიცა პოემის ვახტანგისეული რედაქციის კრიტიკულობა, რითაც დიდად წასწია წინ ტექსტოლოგიური კვლევა-ძიება ვეფხისტყაოსნის გარშემო. ა. შანიძის ხელმძღვანელობით მომზადდა და დაიბეჭდა უნივერსიტეტში ვეფხისტყაოსნის სიმფონია. ა. შანიძეს, ილ. აბულაძეს, ი. გიგინეიშვილს, ვ. დონდუას,

ა. ჭინჭარაულს, მ. მახათაძეს, რ. ფირცხალაიშვილს და ზოგიერთ სხვას, რომლებსაც აქ ვეღარ ვასახელებ, ეკუთვნით რიგი მნიშვნელოვანი ტექსტოლოგიური ნაშრომები ვეფხისტყაოსანზე.

ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ რუსთველოლოგიური მუშაობის ფართოდ გაშლისათვის დიდ დახმარებას (მორალურს, მატერიალურს და ორგანიზაციულს) გვიწევდნენ სადირექტივო ორგანოები და აკადემიის პრეზიდიუმი.

ზემოთ დამოწმებული წინასწარი სამუშაოების ჩატარების შემდეგ სპეციალური მოხსენებითი ბარათით მივმართეთ საქართველოს კომპარტიის ცკ პირველ მდივანს. მოხსენებითი ბარათის თარიღია 1958 წლის 10 მაისი. ხელს აწერენ კ. კეკელიძე, ა. შანიძე, ა. ბარამიძე. მომაქვს მისი სრული ტექსტი:

„1937 წელს მთელ საბჭოთა კავშირში და ნაწილობრივ საზღვარგარეთაც დიდი ზეიმით აღინიშნა ვეფხისტყაოსნის დაწერის 750 წლისთავი. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით რუსთველოლოგთა სპეციალურ კომისიას დავალებული ჰქონდა მოემზადებინა გამოსაცემად ვეფხისტყაოსნის კრიტიკული ტექსტი. ტექსტი მომზადდა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ისე არ დაიბეჭდა, როგორც კომისიამ გამართა. სრულიად უყურადღებოდ იქნა დატოვებული კომისიის მოსაზრებანი პოემის სტროფული მოცულობის თაობაზე. უხეიროდ და შეცდომებით დაიბეჭდა ტექსტი რედაქციულად. ამ უხეიროდ გამოცემულმა ტექსტმა კანონიკური ხასიათი მიიღო. შემდეგ, წლების მანძილზე უცვლელად მეორდებოდა ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემის აშკარა კორექტურული შეცდომებიც კი. მხოლოდ 1951 წელს მოხერხდა პოემის ახალ გამოცემაში ზოგიერთი აუცილებელი ორთოგრაფიული და რედაქციული ცვლილების შეტანა (ეს გამოცემა მოამზადა ლიტერატურის ინსტიტუტმა ა. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით). აგრეთვე იმავე ხასიათის ოდნავი ახალი ცვლილებებით დაიბეჭდა ვეფხისტყაოსანი 1957 წელს (ამისი ტექსტიც დასახელებულმა პირებმა გამართეს). უფრო მეტი რედაქციული ცვლილებებია (თუმცა სადავო) შეტანილი პოემის ინგოროყვასეულ გამოცემაში (1953 წლისა). სტროფული შემადგენლობის მხრივ ეს უკანასკნელიც საიუბილეო გამოცემას ემეორებს.

ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემის ტექსტი საფუძვლიანად უნდა იქნას გადასინჯული და გასწორებული სტროფული შემადგენლობის მხრივაც და რედაქციული გამართულობის მხრივაც. დროა მომზადდეს და გამოიცეს ვეფხისტყაოსნის ნამდვილად მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი შესაფერისი აპარატით, ამისათვის ნიადაგი საკმაოდ არის მომზადებული: უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესწავლის საქმეში, გამოქვეყნდა პოემის ერთ-ერთი საუკეთესო ხელნაწერის ტექსტი, დაიბეჭდა ვეფხისტყაოსნის სიმფონია, გამოიცა რუსთველოლოგიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფია, იბეჭდება პოემის სტროფული შემადგენლობის სრული შედარებითი ცხრილი ყველა ხელნაწერის მიხედვით. მიმდინარე წელს დასრულდება ვარიანტების ნუსხის შედგენა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უნდა შეიქმნას სპეციალისტთა საგანგებო კომისია, რომელიც დაადგენს, გამართავს და გამოსაცემად მოამზადებს ვეფხისტყაოსნის კრიტიკულ ტექსტს. ამ კრიტიკულ ტექსტთან ერთად უნდა დაიბეჭდოს ვარიანტებიც".

ცენტრალური კომიტეტის მითითების თანახმად, იმავე 1958 წლის 15 ივნისის სხდომაზე (ოქმი №13) აკადემიის პრეზიდიუმმა გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

„ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული შესწავლისა და გამოცემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეიქმნას საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დამდგენი კომისია ილ. აბულაძის, ალ. ბარამიძის, ი. გიგინეიშვილის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის (თავმჯდომარე), გ. წერეთლისა და მ. ებრალიძის (მდივანი) შემადგენლობით.

კომისიის საერთო ხელმძღვანელობა დაეკისროს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას (აკად. გ. წერეთელი).

2. დაევალოს კომისიას (აკად. ა. შანიძე) და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას (აკად. გ. წერეთელი), ორი თვის ვადაში წარმოუდგინონ პრეზიდიუმს თავისი მოსაზრება-

ნი და წინადადებანი კომისიის მუშაობის ორგანიზაციისა და წარმართვის შესახებ“.

ა. შანიძისა და გ. წერეთლის წარდგენის საფუძველზე აკადემიის პრეზიდიუმმა 1959 წლის 12 თებერვლის სხდომაზე (ოქმი № 4) მიიღო ვრცელი დადგენილება ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის მომზადება-გამოცემის საორგანიზაციო ღონისძიებათა შესახებ. ამ დადგენილებით, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი მიჩნეულია ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობის ძირითად ბაზად (მუხლი 5), დადგენილი ტექსტის გამოცემა განხორციელდეს ლიტერატურის ინსტიტუტის სახელით (მუხლი 11), უნდა გაიზარდოს ლიტერატურის ინსტიტუტის დაფინანსება და რუსთველოლოგიის განყოფილების თანამშრომელთა შტატი (მუხლი 4,12). 1957 წლიდან ინსტიტუტში უკვე ჩამოყალიბებული იყო რუსთველოლოგიის განყოფილება. აკადემიის პრეზიდიუმის ამ (1959 წლის 12 თებერვლის) სხდომის დადგენილებით მე დავინიშნე კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ (მუხლი 9).

მეცნიერებათა აკადემიის დამოწმებული დადგენილების შესაბამისად გ. წერეთელმა შეიმუშავა ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული გამოცემის პრინციპები და პოემის ერთი სტროფის მაგალითზე უჩვენა ამ პრინციპების პრაქტიკული განხორციელების გზა. გ. წერეთლის მოხსენება წერილის სახით დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ (1962, № 2, გვ. 125—138). გ. წერეთლის პროექტი სახავდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის პროგრამა-მაქსიმუმს. კომისია შეუდგა მუშაობას, მაგრამ ცხადი გახდა, რომ პროგრამა-მაქსიმუმის განხორციელება ძალიან დიდ დროს მოითხოვდა. 1962 წლის 20 ივნისის სხდომაზე (ოქმი № 9) აკადემიის პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი „ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობის მიმდინარეობისა და შემდგომი წარმართვის შესახებ“. პრეზიდიუმმა მოიწონა და საჭიროდ მიიჩნია ტექსტის დადგენა იმ პრინციპების მიხედვით, რომლებიც წარმოდგენილია გ. წერეთლის წერილში (მუხლი 2). ამასთან პრეზიდიუმმა ისიც აღნიშნა, რომ წერეთლისეული პროექტით ტექსტის დადგენა დიდ დროს მოითხოვდა, მკითხველი საზოგადოების დასაკმაყოფილებლად საჭიროა მოკლე ხანში გამოიცეს ვეფხისტყაოსნის ისეთი ტექსტი, რომელსაც ექნება

მოკლე კომენტარები, ლექსიკონი და. ძირითადი ვარიანტები. ვეფხისტყაოსნის ასეთი გამოცემის მომზადება პრეზიდიუმმა დაავალა ა. შანიძეს (მთ. რედ.) და ა. ბარამიძეს (მუხლი მე-4—5)

მალე მოხდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის რეორგანიზაცია. გ. წერეთლის წინადადების თანახმად, აკადემიის პრეზიდიუმმა 1962 წლის 27 სექტემბრის სხდომაზე (ოქმი N11) გამოიტანა დადგენილება, რომ პრეზიდიუმთან შექმნილიყო უფრო ფართო შემადგენლობის კომისია, რომელსაც ეყოლებოდა მთავარი რედაქცია. პრეზიდიუმმა დაამტკიცა კიდევაც ტექსტის დამდგენი კომისიისა და მისი მთავარი რედაქციის ახალი შემადგენლობა. მთავარ რედაქციაში შევიდნენ: ირ. აბაშიძე, ალ.ბარამიძე, ივ. გიგინეიშვილი, მ. ებრალიძე (მდივანი), ა. შანიძე, გ. წერეთელი (მთავარი რედაქტორი). პრეზიდიუმმა დაავალა ა. შანიძესა და ა. ბარამიძეს, განეგრძოთ და დაეჩქარებინათ ვეფხისტყაოსნის საშუალედო ხასიათის რედაქციის მომზადება გამოსაცემად. ბარემ აქვე აღვნიშნავ, რომ პრეზიდიუმმა თავის 1969 წლის 13 ნოემბრის სხდომაზე გადაახალისა „ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიისა და კომისიის მთავარი რედაქციის შემადგენლობა". ახლა მთავარი რედაქცია ასეთი შემადგენლობით დამტკიცდა: გ. წერეთელი (მთავარი რედაქტორი), ი. აბაშიძე, ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი (სწავლული მდივანი), შ. ძიძიგური. ამ დროისათვის ილ. აბულაძე უკვე გარდაცვლილი იყო. ხოლო ა. შანიძემ არ ისურვა სარედაქციო კოლეგიის წევრობა. ასეთი შემადგენლობით გრძელდებოდა მთავარი რედაქციის მუშაობა გ. წერეთლის ხელმძღვანელობით. 1973 წლის ოქტომბრიდან (გ. წერეთლის გარდაცვალების შემდეგ) კომისიის მთავარ რედაქტორად დაინიშნა ალ. ბარამიძე, მის მოადგილედ ს. ცაიშვილი, მთ. რედაქციის სწავლულ მდივნად გ. კარტოზია. კომისიაში წევრად დამატებით შეიყვანეს ც. კიკვიძე.

ამრიგად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1962 წლის 27 სექტემბრის დადგენილების შემდეგ ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის რეორგანიზაციის შესახებ ტექსტის დადგენა-გამოცემაზე პარალელურად მუშაობდა ორი კომისია, ასე ვთქვათ, დიდი და მცირე კომისია. დიდ კომისიას ხელმძღვანელობდნენ გ. წერეთელი და ი. აბაშიძე, მცირეს—ა. შანიძე და ა. ბარამიძე. დიდი კომისია მუშაობდა აკადემიის პრეზიდიუმთან, მცირე—ლიტერატურის ინსტიტუტთან. მცირე კომისიას მცირე აპარატი ემ-

სახურებოდა. აქ მუშაობა აეწყო და სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ. ა. შანიძე წერს: „მცირე კომისიას ორ-ორი სხდომა ჰქონდა კვირაში და, რადგანაც, ერთი მხრივ, არც ოქმები იწერებოდა და, მაშასადამე, მის მოსმენასა და შესწორებაში დრო არ იხარჯებოდა, მეორე მხრივ, დაუსრულებელ კამათს ადგილი არ ჰქონდა, ბევრად დაწინაურდა საქმე" (დღევანდელი ვითარება, „მნათობი", 1965, XI, გვ. 138). ჩვენ გვეხმარებოდნენ ივანე ლოლაშვილი (მონაწილეობდა ტექსტის დადგენაში, ადგენდა კომენტარებს), ციალა კარბელაშვილი (ვარიანტებს უკეთებდა ძირითადად მიჩნეულ ტექსტებს), ბორის დარჩია (ვარიანტებს უწერდა ჩანართებს), მ. ჩაჩავა (წესრიგში მოჰყავდა განსახილველი შაირების შესახებ სხვადასხვა მკვლევრის მიერ გამოთქმული მოსაზრება). ამასობაში მოახლოვდა რუსთველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო თარიღი. ჩვენ პირობა შევასრულეთ და ამ დროისათვის გამოვაქვეყნეთ ვეფხისტყაოსანი. ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, ტომი I, ვეფხისტყაოსანი. ტექსტი და ვარიანტები. თბილისი, 1966. ტექსტს უძღვის სარედაქციო წინასიტყვაობა (ა. შანიძისა და ა. ბარამიძის ხელმოწერით) და განმარტებითი ბარათი (ტექსტოლოგიური ხასიათის სარედაქციო შენიშვნები ა. შანიძის ხელმოწერით). სამწუხაროდ, ამას არ მოჰყოლია მეორე ტომი (ჩანართები, კომენტარები, ლექსიკონი). ამ გამოცემაში მნიშვნელოვანი რედაქციული ცვლილებებია შეტანილი. გასწორებულია და გამართულია ბევრი დამახინჯებული წაკითხვა, 1937 წლის გამოცემასთან შედარებით ამოღებულია „ინდო-ხატაელთა ამბავი" და რიგი ცალკეული სტროფი, პროლოგს დავუმატეთ ხელნაწერებით შემონახული ერთი შაირი (26):

მას ცოცხალი ნუ ელევის, რაცა პირველ შეუყვარდეს,
ნუცა ლხინსა აუზავდეს, ნუცა ჭირსა შეუზარდეს:
მისთვის დასთმოს ყველაკაი, მისთვის ველთა გამოვარდეს,
ნურა გაჰვა, სოფელცა მისი კერძი გარდაჭარდეს.

1937 წლის გამოცემა 1669 სტროფს შეიცავდა, ჩვენს გამოცემაში 1598 სტროფია. ვეფხისტყაოსნის ეს გამოცემა ჩვენ მივუძღვენით ივანე ჯავახიშვილის ხსოვნას. დიდი მეცნიერი წუხდა, რომ არ მოგვეპოვებოდა პოემის ამ ტიპის გამოცემა. იგი გულისტკივილით ამბობდა თავის მოხსენებაში 1940 წლის 18 ნოემბერს: „დღემდე ჩვენ ვეფხისტყაოსნის არამცთუ სრული კრიტიკული გამოცემა ვერ მოგვიხერ-

ხებია, არამედ ისეთი გამოცემაც კი არ მოგვეპოვება, სადაც ხელნაწერებში დაცული ყველა განსხვავებული წანაკითხები მაინც გვქონდეს აღბეჭდილი". ჩვენი გამოცემა ერთგვარად უპასუხებდა დიდი მეცნიერის ამ მოთხოვნილებას.

რეორგანიზაციის, ე. ი. 1962 წლის სექტემბრის, შემდეგ ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ (ე. წ. დიდმა კომისიამ) ფაქტობრივ დროებით შეწყვიტა უშუალოდ ტექსტის დადგენაზე მუშაობა და თავისი ყურადღება საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაზე გადაიტანა. მთავრობამ და აკადემიის პრეზიდიუმმა დიდი გულუხვობა გამოიჩინეს. კომისიას ბინად მიეცა ორსართულიანი შენობა პლეხანოვის პროსპექტზე, დაუმტკიცდა თანამშრომელთა საკუთარი შტატი, კომისიაზე მიამაგრეს თავიანთი თანამშრომლები ლიტერატურის, ენათმეცნიერების, ხელნაწერთა და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტებმაც. ასე რომ, კომისიის განკარგულებაში აღმოჩნდა სპეციალისტთა საკმაოდ დიდი კოლექტივი და დამხმარე ტექნიკური აპარატი. კომისიას დაუმტკიცდა რიგიანი საგამომცემლო ლიმიტი და გამოეყო სახსარი ხელშეკრულების საფუძველზე დაკვეთით სამუშაოების შესასრულებლად. კომისიამაც კარგად გამოიყენა ეს ხელსაყრელი პირობები. დიდი წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარა, მოახდინა ვეფხისტყაოსნის ყველა ხელნაწერის აღრიცხვა. მეცნიერული აღწერა და კლასიფიკაცია, შეუდგნენ ძველი ქართული წერილობითი ძეგლების სალექსიკონო მასალების ამოწერას ვეფხისტყაოსნის ლექსიკასთან შეპირისპირებით, ზოგ ძეგლს შეუდგინეს სრული სიმფონია. ასე შედგა რამდენიმე მილიონი ერთეულის შემცველი ფრიად საჭირო კართოთეკა, მომზადდა სხვადასხვა ცნობარი და საძიებელი, გაგრძელდა და გაფართოვდა საბიბლიოგრაფიო სამუშაოები. კომისიის მასალების საფუძველზე მისი თანამშრომლების ერთმა ჯგუფმა (გ. წერეთელმა, ს. ცაიშვილმა, გ. კარტოზიამ) გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის რედაქციით მოამზადა და გამოაქვეყნა საიუბილეოდ ვეფხისტყაოსნის ტექსტი, რომელსაც, მართალია, არ ახლავს სამეცნიერო აპარატი (ვარიანტები, კომენტარები, ლექსიკონი), მაგრამ დართული აქვს ბოლოსიტყვა „რედაქციისაგან" (ხელს აწერს გ. წერეთელი), სადაც განმარტებულია გამოცემის ხასიათი და ნაჩვენებია ტექსტოლოგიური გასწორების რიგი ნიმუშები. გამოცემის თავფურცელს აქვს წარწერა: „გამოცემის ტექსტი მოწონებულია რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის საიუბილეო კომიტეტის მიერ".

მოწონებულია ტექსტიო, გულისხმობს პოემის სტროფულ შედგენილობას (ტექსტი აქ შედარებით მოკლეა, შეიცავს 1587 სტროფს. კერძოდ, აძღებულია „ინდო-ხატაელთა ამბავი“. როგორც ჩანს, ეს გადაწყვეტილება მიუღია საიუბილეო კომიტეტის პრეზიდიუმს (კომიტეტის თავმჯდომარეს — გივი ჯავახიშვილს და მის ორ მოადგილეს — დევი სტურუას და ირაკლი აბაშიძეს). იმავე პრეზიდიუმს ნება დაურთავს თავისი რედაქციით გამოეცა ვეფხისტყაოსანი რუსთველოლოგ პავლე ინგოროყვას (ინგოროყვამ ეს განახორციელა 1970 წელს). ამგვარად, 1966 წელს გამოვიდა ვეფხისტყაოსნის ორი ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული ტექსტი, ერთი მხრივ, შანიძე-ბარამიძის, მეორე მხრივ, წერეთელ-აბაშიძის რედაქციით. საიუბილეო კომიტეტმა საჭიროდ ჩათვალა ამის გარდა გამოსულიყო, ასე ვთქვათ, ოფიციალური საიუბილეო გამოცემა, რისთვისაც შექმნა სარედაქციო კოლეგია. კოლეგიაში შევიდა ორივე დასახელებული გამოცემის რედაქცია (ე. ი. ა. შანიძე, ა. ბარამიძე, გ. წერეთელი, ი. აბაშიძე) და დაემატა პ. ინგოროყვა. კოლეგიას დაევალა ტექსტის რედაქტირება წერეთელ-აბაშიძის გამოცემის სტროფული შედგენილობის ფარგლებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიური საკითხის გადაწყვეტაში კვლავ იჩინა თავი ადმინისტრირების რეციდივმა. კოლეგიამ სწრაფად დაამთავრა მუშაობა. არსებითად ხდებოდა დამოწმებული ორი გამოცემის გასწორებათა ურთიერთშეთანხმება, სადავო შემთხვევაში (ე. ი. როდესაც შეთანხმება მიუღწეველი რჩებოდა) ფაქტობრივი არბიტრის როლში გამოდიოდა პ. ინგოროყვა. ასე მომზადდა და დაიბეჭდა ვეფხისტყაოსნის მეორე, 1966 წლის, საიუბილეო გამოცემა. ამ გამოცემას სამეცნიერო აპარატი არ ახლავს, არა აქვს წინასიტყვა ან ბოლოსიტყვა (არ ერთვის ვარიანტები). ვეფხისტყაოსნის ეს საიუბილეო გამოცემა ვერ ჩაითვლება საკუთარი დამოუკიდებელი რედაქციული სახის მქონე გამოცემად.

იუბილეს შემდეგ ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ და მისმა მთავარმა რედაქციამ განაახლეს მუშაობა. გ. წერეთლის ხელმძღვანელობით დადგინდა 258 სტროფი (162 ძირითადი, 96 — ჩანართი). გ. წერეთლის გარდაცვალების შემდეგ (1973 წლის შემოდგომიდან) მთავარი რედაქცია მოქმედებს გადახალისებული შემადგენლობით. დიდი კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ რედაქციაში სუფევს ჯანსაღი, საქმიანი ატმოსფერო. რედაქცია ყოველგვარი აკვიატებული აზრის გარეშე საფუძვლიანად, გულმოდ-

გინედ იხილავს და არკვევს ამა თუ იმ სტროფის ნამდვილობა-ჩანართობის საკითხს, მართავს რედაქციულად და ორთოგრაფიულად, უწერს ვარიანტებს, ურთავს კომენტარებს. რედაქცია სიფრთხილით ეკიდება ტექსტის ყოველგვარ გასწორებას, ერიდება ე. წ. კონიექტურების შემოტანას, მხოლოდ იშვიათ და განსაკუთრებულ შემთხვევაში უხვევს ხელნაწერი მასალის მონაცემს. გასწორების ყველა შემთხვევა ფიქსირებულია და კომენტირებულია. 1974 წლიდან მოკიდებული ჟურნალ „მაცნეში“ (ენისა და ლიტერატურის სერიაში) სისტემატურად ქვეყნდება მთავარი რედაქციის ოქმები და დადგენილი ტექსტები. დაინტერესებული მკითხველი საზოგადოება ინფორმირებულია რედაქციის საქმიანობაზე. ხშირია გამოხმაურებანი. ყველა საქმიან შენიშვნას სარედაქციო კოლეგია მხედველობაში იღებს.

მთავარი რედაქციის შუშაობის პროცესში გაირკვა, რომ ზოგჯერ სერიოზულ აზრთა სხვაობას იწვევს ერთი შეხედვით თითქო გასაგებად მარტივი ტექსტიც კი (რომ არაფერი ვთქვათ რთულ ტექსტზე). არის შემთხვევები, როცა შაირის ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა ცილობას არ იწვევს. კონტექსტის კვალობაზე ნათელი ჩანს პოეტური ნაწყვეტის საერთო შინაარსიც, მაგრამ ძნელდება მისი ზუსტი, სიტყვასიტყვითი გადატანა თანამედროვე სალიტერატურო ქართულზე. საილუსტრაციოდ დავიმოწმებ უმარტივეს მაგალითს: „სიარული დაითმინაო“, ნათქვამია ერთგან (სტროფი 595) გაგულისებულ ფრიდონზე. დათმენა მოთმენაა. „სიარული დაითმინა“ ნიშნავს შეჩერდა, გაჩერდა. თითქო ყველაფერი ნათელია. ვეფხისტყაოსნის ცნობილი კომენტატორი ვუკოლ ბერიძე ამ პატარა ფრაზას სხვაგვარად განმარტავს — „სიარულს უკლო, გაანელა“. სიარულს უკლო სხვაა და გაჩერდა სხვა. ამან შეაპირობა მთავარი რედაქციის გადაწყვეტილება თანამედროვე ქართულზე გადმოიტანოს და ბეჭდურად გამოაქვეყნოს დადგენილი ტექსტი[1].

1979

---

[1] ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის შუშაობის ხასიათის შესახებ საუბარია ჩემს ნარკვევში „ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის გამოსაცემად მომზადების თაობაზე“ (ნარკვევები, VII, 1979, გვ 5—25).

ვეფხისტყაოსნის ერთი რუსული თარგმანის ისტორიიდან

1968 წლის ოქტომბრის მიწურულში რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს ეწვია და ძვირფასი ნობათი გადმოსცა განსვენებულმა აკადემიკოსმა შალვა ნუცუბიძემ. ეს იყო ვეფხისტყაოსნის მისეული რუსული თარგმანის პირველი გამოცემის სასიგნალო ცალი, რომელიც იოსებ სტალინს პირადად გაუსინჯავს, გადაუკითხავს, საკუთარი ხელით შეუსწორებია სატიტულო ფურცლის ტექსტი და აქა-იქ წიგნის აშიებზე დაურთავს შენიშვნები გამოცემის ილუსტრაციების თაობაზე. ვეფხისტყაოსნის ეს უნიკუმი ეგზემპლარი დღემდის ჩემთან ინახებოდაო, დასძინა შ. ნუცუბიძემ. უკვე ძოვხუცდი, ავადმყოფობაც შემომეჩვია, მინდა საიმედოდ დავაბინაო ჩემთვის უზომოდ ძვირფასი სამახსოვრო წიგნი. ამიტომ მოგიტანეთ, შეისწავლეთ, იქნებ გამოსცეთ ამ სახით, მერმე კი რომელიმე მუზეუმს გადაეცითო.

წიგნი ჩასმულია დაშლილ ბუდეში წარწერით: «Шота Руставели. «Витязь в тигровой шкуре». ამას მიწერილი აქვს შ. ნუცუბიძის ხელით: «С автографом Сталина. Если погибну, прошу передать Музею писателей Грузии в Тбилиси. Москва, 21. VII. 41. Ш. Нуцубидзе.»

სასოებითა და მღელვარებით გადავფურცლე დიდი ისტორიული ღირებულების მქონე ეს წიგნი. მადლობა მოვახსენე ბ-ნ შალვას, ვთხოვე მოკლედ მაინც აღეწერა ვეფხისტყაოსნის თარგმანზე გაწეული მუშაობის ისტორია, რომ წერილობითი საბუთი გვქონოდა ხელთ ამ მუშაობის ხასიათის თაობაზე. შ. ნუცუბიძემ ხალისით იკისრა ამის შესრულება. რამდენიმე დღის შემდეგ, სახელდობრ, 1968 წლის 5 ნოემბერს თვითონვე მოიტანა ინსტიტუტში მისი ხელით დაწერილი მონათხრობი ოფიციალური განცხადება. ეს განცხადება წარმოადგენს მისი ავტორის ერთგვარ აღსარება-ანდერძს. შესავალში ნათქვამია: „აქა მინდა ძოვყვე ჩემი ცხოვრების ნაკვეთის შესახებ, რომელიც ჩემს მიერ ნანატრ რუსთაველის თარგმანს უკავშირდება. ეს ისტორია იმდენად ბუნდოვან პირობებში მიმდინარეობდა, რომ ქრონოლოგიური სისწორის გარანტია დღეს ჩემთვის ერთგვარ სიძნელეს შეიცავს, მაგრამ საქმის ისტორიული არსება მაინც გადმოცემულად მიმაჩნია, თუნდაც დაახლოებით“.

შ. ნუცუბიძის გახცხადება დაიწერა იმ დროს, [illegible] საბედისწერო სნეულება უკვე იპყრობდა მეცნიერის სხეულს, განცხადების დაწერიდან რამდენიმე დღის შემდეგ შ. ნუცუბიძე ლოგინად ჩავარდა და ძალე გარდაიცვალა კიდევაც. განცხადების წერის დროს, ეტყობა, კალამი აღარ ემორჩილებოდა. ტექსტი ნაწერია მკრთალად, ზოგი ადგილი ძნელი გასარჩევია, გაპარულია უნებლიე ორთოგრაფიული შეცდომები, დაკლებულია ზოგი სიტყვა, თუ ასოები. შეინიშნება ქრონოლოგიური უზუსტობანი, თუმცა, როგორც ავტორი ამბობს, „საქმის ისტორიული არსება“ სისწორით არის გადმოცემული.

„თარგმანი დავიწყე 1937 წელს, — წერს შ. ნუცუბიძე და განაგრძობს, — და იმდენად წარმატებით მიმდინარეობდა, რომ საკმაოდ დიდ ნაკვეთებს უკითხავდი მსურველთ თავისუფალ აუდიტორიებში“. სხვა დროს კი შ. ნუცუბიძეს უთქვამს: „1936 წელს შეუდექი რუსთაველის ვეფხისტყაოსნის თარგმანს რუსულ ენაზე“[1]. სწორია მეორე ცნობა. თავის დროზე მეც პირადად მომისმენია თბილისის უნივერსიტეტის აუდიტორიაში ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანის ნაწყვეტები, რომლებსაც თვითონ შ. ნუცუბიძე კითხულობდა.

შ. ნუცუბიძეს დიდად აწუხებდა ვეფხისტყაოსნის თარგმანის პრობლემა. არსებულ რუსულ თარგმანთა შორის იგი უკეთესად თვლიდა პეტრენკოს თარგმანს[2], თუმცა საერთოდ არც ის აკმაყოფილებდა. „მე მუდამ მაღელვებდა რუსთაველის გენიალური პოემა და გული მწყდებოდა, რომ რუსულ ენაზე არ გვქონდა მისი ღირსეული თარგმანიო“ (ამბავი რუსთაველისა).

ერთი სიტყვით, ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნა შ. ნუცუბიძემ დაიწყო თბილისში 1936 წელს. „საქმე აეწყო და კარგად მიდიოდაო“, გვიამბობს. მაგრამ მალე მთარგმნელის ცხოვრების ვითარება შეიცვალა. ვეფხისტყაოსნის ტექსტის თარგმანის გაგრძელება და დასრულება ძას ძოუხდა მოსკოვში. ნუცუბიძის თარგმანით დაინტერესდა, ამ საქმიანობის წამახალისებელი და შთამაგონებელი გახდა ი. სტალინი.

ვეფხისტყაოსანი იყო ი. სტალინის ერთი უსაყვარლესი წიგნი

---

[1] ე ლ დ ა რ კ ე რ ძ ე ვ ა ძ ე, შ ე რ ა ბ გ ო დ ე რ ძ ი შ ვ ი ლ ი, ამბავი რუსთაველისა („ახალგაზრდა ჟურნალისტი“, № 5, 1968, გვ. 3; გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“, 17, 1, 79).

[2] გ. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1957, გვ. 570, № 1597.

ძთელი ძ... ...ცხლის მანძილზე. იგი დიდად აფასებდა ქართულ და მსოფლიო პოეტური კულტურის ამ უკვდავ ძეგლს, ხშირად კითხულობდა მას და ბევრი ნაწყვეტი ზეპირად იცოდა. ი. სტალინის თაოსნობით მომზადდა მალაქია ტოროშელიძის ცნობილი მოხსენება, რომელიც მწერალთა კავშირის პირველმა საკავშირო ყრილობამ მოისმინა 1934 წლის აგვისტოში. ი. სტალინის პირადი მითითების საფუძველზე მოეწყო ვეფხისტყაოსნის 750-ე წლისთავის აღსანიშნავი იუბილე, რომელიც 1937 წელს ზეიმით იდღესასწაულა მთელმა საბჭოთა კავშირმა და ნაწილობრივ საზღვარგარეთმაც. ი. სტალინის განკარგულებით დაიბეჭდა მოსკოვში, 1936 წელს, ვეფხისტყაოსნის პირველი სრული რუსული თარგმანი კ. ბალმონტისა ალ. სვანიძის რედაქციით[1], ბალმონტის თარგმანით ი. სტალინი კმაყოფილი არ იყო, მაგრამ, როგორც ამ თარგმანის მოსკოვური გამოცემის სარედაქციო წინასიტყვაობაშია აღნიშნული, მაშინ იგი იყო ე რ თ ა დ ე რ თ ი სრული რუსული თარგმანი[2], ეს გარემოება აპირობებდა მის გამოცემას.

სხვათა შორის უნდა შევნიშნოთ, რომ ი. სტალინის მითითებით კ. ბალმონტის თარგმანში ჩართულია ე. წ. ინდო-ხატაელთა ამბავი, რომელიც საგანგებოდ გადაათარგმნინეს ე. ტარლოვსკაიას. ეს ამბავი („ინდო-ხატაელთა ამბავი") ვეფხისტყაოსნის ტექსტში პირველად შეიტანა კ. ჭიჭინაძემ (პოემის 1934 წლის გამოცემაში). შემდეგ იგი მოხვდა 1937 წლის საიუბილეო გამოცემაშიც.

შალვა ნუცუბიძე ინტენსიურად დიდი მონდომებით და შემოქმედებითი აღტყინებით მუშაობდა ვეფხისტყაოსნის რუსულ თარგმანზე. თარგმანის ცალკეული ნაკვეთები სისტემატურად ეგზავნებოდა ი. სტალინს, რომელიც ტექსტს რედაქციას უწევდა. სტალინს მოსწონდა ნუცუბიძის თარგმანი, აჩქარებდა შრომის დასრულებას, შ. ნუცუბიძე მოგვითხრობს — „როცა 1939 წელი პირველ მაისს მიუახლოვდა, რუსთაველის თარგმანი გავათავე". მუშობის დამთავრების შემდეგ ი. სტალინმა შ. ნუცუბიძე თავის ბინაზე მიიწვია, კრემლში,

---

[1] ბალმონტის თარგმანის მოსკოვური გამოცემა გადმობეჭდილია ამ თარგმანის ბარაზული გამოცემიდან (1933 წ.). 1935 წელს ბალმონტის თარგმანი ხელნაწერის უფლებით ბეჭდურად გამოქვეყნდა თბილისში.

[2] «Перевод Бальмонта, который мы не считаем отвечающим тем требованиям, какие можно было бы предъявить к переводчику этой гениальной поэмы, мы даем постольку, поскольку он является пока единственным» (стр. XIX).

თარგმანი შეუქო და ტექსტის ორი ტაეპის შესწორება, უკეთ, თარგმანის სრულიად ახალი რედაქცია შესთავაზა. ეს არის ნაწყვეტი ქაჯეთის ციხის ბრძოლით აღების ეპიზოდიდან, 1414-ე სტროფის (ნუცუბიძით 1416-ე სტროფის) პირველი ორი სტრიქონი:

ანაზდად ცხენი გაქუსლეს, მათრახმან შექმნა წრიალი.
რა ნახნეს, კარნი გაახენეს, ქალაქით გახდა ზრიალი.

ი. სტალინის რუსული თარგმანით ტექსტი ასე იკითხება:

Вдруг коней вперед рванули, засвистели плети мигом,
Кони врезались, весь город огласился воем, визгом.

საშუხაროდ, არ შენახულა ამ თარგმანის ნუცუბიძისეული ვარიანტი, რომ მოგვეხდინა შედარება. თვითონ ნუცუბიძე გვიამბობს, რომ სტალინმა მითხრა, „თუ მოგეწონებათ, შეიღეთ ჩემგან საჩუქრად“ ამ სტრიქონების ჩემი თარგმანიო. ძლიერ გამახარა მისმა დიდმა ყურადღებამ და გულისხმიერებამ, — განაგრძობს შ. ნუცუბიძე, — და, რა თქმა უნდა, მივიღე მისი საჩუქარი, მით უმეტეს, რომ მისი ეს სტრიქონები უფრო ზუსტი და პოეტური იყო, ვიდრე ჩემი“ (ამბავი რუსთაველისა). აქ აღნიშნულს შ. ნუცუბიძე საგანგებოდ ურთავს: „საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სტალინი ძლიერი პოეტური ბუნების ადამიანი იყო, და, რაც უფრო გასაოცარია, პოეტურობა ერწყმოდა მძლავრ და ნათელ აზროვნებასო“.

ი. სტალინის მიერ თავისუფლად ნათარგმნი სტრიქონები ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს თავისი მხატვრულობით. რუსულში მოხდენილად არის აღბეჭდილი დედნისეული ტექსტის აზროვნული დინამიკა, მწყობრი რიტმი და მდიდარი ალიტერაციები.

თუ ნუცუბიძისეული თარგმანი 1939 წლისათვის დასრულებული იყო, ი. სტალინს თითქმის ერთი წელი ჰქონია ხელთ ამ თარგმანის ტექსტი. შესაძლებელია შ. ნუცუბიძის თარგმანი მთლად ზუსტი არ იყოს. ყოველ შემთხვევაში ვეფხისტყაოსნის თარგმანი სტამბისათვის ასაწყობად 1940 წლის 22 ნოემბერს გადაუციათ. ელვისებური სისწრაფით შედგომიან წიგნის ბეჭდვას. ერთი თვის შემდეგ მზად ყოფილა გამოცემის სასიგნალო ეგზემპლარი. 1940 წლის 21 დეკემბერს (სტალინის დაბადების დღეს) გასავრცელებელი ტექსტის ერთი ცალი საბოლოო დასტურისათვის მიართვეს ი. სტალინს. ამ ცალს გამოცემის თარიღად უზის სწორედ 1940 წელი.

ი. სტალინს, როგორც ვთქვით, ძლიერ მოსწონდა ნუცუბიძის თარგმანი. ერთ გამოუქვეყნებელ დოკუმენტში, რომლის პირის გადაღების უფლება მისცეს შ. ნუცუბიძეს, ი. სტალინი ამბობს: «До последнего времени я считал, что лучший перевод Руставели на русский язык — это перевод Петренко. Ознакомившись с переводом Нуцубидзе, я считаю, что он не только лучше Петренко, но само по себе выдающееся литературное явление».

როგორც ვიცით, ი. სტალინი თავიდანვე თვალყურს ადევნებდა შ. ნუცუბიძის მუშაობას, კითხულობდა და ასწორებდა მისი თარგმანის ტექსტს. მოგვცა ამ ტექსტის საბოლოო რედაქცია, მაგრამ გამომცემლობა საგანგებოდ გააფრთხილა, რომ მისი სახელი არ ყოფილიყო ნახსენები გამოცემული წიგნის წინასიტყვაობაში. ი. სტალინი სწერდა სახელმწიფო-სალიტერატურო გამომცემლობის („გოსლიტიზდატის") დირექტორ პ. ჩაგინს: «Я требую, чтобы мое имя не упоминалось в предисловии к Витязю». ამიტომაც შ. ნუცუბიძე იძულებული გახდა მადლობა გამოეცხადებინა მხოლოდ ს. გოროდეცკისა, ს. ქავთარაძისა და ნ. ტიხონოვისათვის, როგორც რედაქტორებისათვის. წიგნის ოფიციალურ რედაქტორად სატიტულო ფურცლით დასახელებულია პოეტი სერგეი გოროდეცკი.

ი. სტალინს გულდასმით და ბეჯითად გაუსინჯავს ნუცუბიძისეული თარგმანის სასიგნალო ცალი. ამ გამოცემის ტექსტს ის კარგად იცნობდა ხელნაწერით (საფიქრებელია კორექტურაშიც, რასაც პირდაპირ ამბობს შ. ნუცუბიძე), ამიტომაც სასიგნალო წიგნის ტექსტისათვის ხელი აღარ უხლია. სამაგიეროდ შეუმოწმებია გამოცემის გაფორმება — სატიტულო ფურცელი, ყდა, ილუსტრაციები. საკვირველია, რომ გამომცემლობის რედაქციას გამორჩენია ისეთი მნიშვნელოვანი გარემოება თუ რა ენიდან ითარგმნა გამოსაცემი ძეგლი. «Перевод Шалвы Нуцубидзе» იკითხებოდა უბრალოდ. სტალინს საკუთარი ხელით ჩაუწერია (ხაზგასმული სიტყვა) «Перевод с грузинского Шалва Нуцубидзе». ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ ფორმა Шалвы შეცვლილია ფორმით Шалва. ი. სტალინს საჭიროდ დაუნახავს, რომ მინიშნებული ყოფილიყო თხზულების ჟანრიც, ამისათვის დაურთავს «Поэма в стихах». ტექსტი ხელახლა დაულაგებია ძალიან მოხდენილ აბზაცებად, ხაზების საწუალებით მიუთითებია შრიფტების შენაცვლების საჭიროებაზე (სტალინი დიდი მცოდნე იყო სასტამბო საქმისა). ამგვარად, ი. სტალინს არსებითად ახლად შეუდგენია სატიტულო ფურცლის ტექსტი. ეს ტექსტი გადაუტანია

(თავისი ხელით!) ყდაზე, სადაც წარწერა საერთოდ თავიდანვე გათვალისწინებული არ ყოფილა.

გამოცემის სატიტულო ფურცლის გვერდით, წიგნის თავში, ფრონტისპისად ჩართული ყოფილა ზიჩის სურათი — ავთანდილი შორიდან უცქერის ტარიელისა და ასმათის შეყრას გამოქვაბულთან. სტალინს აშიაზე მიუწერია (მინაწერები შესრულებულია ლურჯი ფანქრით, მსხვილი ასოებით, ენერგიული ხელით): «Не подходит». ეს სურათი წიგნის სათავედ მართლაც შეუფერებელია. ფრონტისპისმა უნდა გამთხატოს ნაწარმოების დედააზრი, მისი არსი, მისი სული. სტალინის ამ შესანიშნავი შენიშვნის საფუძველზე გავრცელებულ გამოცემაში ფრონტისპისი შეცვლილია ზიჩისეული აპოთეოზით (ნესტანისა და ტარიელის შეყრა ქაჯეთის ციხის ნანგრევებში). გამოქვაბულთან შეყრა კი გადატანილია თავის ადგილას.

ზიჩის სურათის აშიაზე „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა“. სტალინს მიუწერია «А где иллюстрация расправы с преследователями?» სტალინს გახსენებია ზიჩის მშვენიერი სურათი, ამხედრებული ტარიელი რომ მდევრებს მათრახით უმასპინძლდება. გავრცელებულ გამოცემაში სწორედ ეს სურათია დამატებული.

ს. ჭობულაძის სურათი — ტარიელისა და ავთანდილის პირველი შეხვედრა (გამოქვაბულში) ი. სტალინს გადაუხაზავს ჯვარედინად. ეს სურათი შემდეგ შეუცვლიათ „შეყრის“ ზიჩისეული ილუსტრაციით.

ი. თოიძის სურათის აშიაზე „სამი ძმადნაფიცი გმირი ქაჯეთის ციხესთან“ სტალინს შეუნიშნავს: «Здесь не видно тигровой шкуры». ხათანადო განმარტების შემდეგ სტალინს თვითონვე გადაუხაზავს (მოუხსნია) ამ შენიშვნის ტექსტი. საქმე ისაა, რომ სურათით ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ჩანს, რომ ტარიელს აბჯარზე წამოსხმული აქვს ვეფხის ტყავი.

ეტყობა, ი. სტალინი დიდად აფასებდა მიხაი ზიჩის ილუსტრაციებს. მისი ძითითების საფუძველზე ნუცუბიძისეული რუსული თარგმანის გამოცემა სასიგნალო ცალთან შედარებით შევსებულია ზიჩის სხვა სურათებით, თუმცა ეს გამოცემა საერთოდ (ძირითადად) ისედაც ზიჩის ნამუშევრებით იყო დასურათებული. ი. სტალინს ხელუხლებლად დაუტოვებია ი. თოიძის ილუსტრაციები — „ტარიელისა და ვეფხის შებმა“, „ვაჭრად გადაცმული ავთანდილი გულანშაროში“. დატოვებულია აგრეთვე ს. ჭობულაძის ნახატი — „ნესტანი წერილს წერს ქაჯეთის ციხეში“. ოფიციალურ, გავრცელებულ გამოცემას თარიღად აქვს 1941 წელი (სასიგნალო ცალს კი აწერია 1940 წელი).

ყოველივე აღნიშნული რომ შევაჯამოთ, ი. სტალინი ყოფილა ვეფხისტყაოსნის ნუცუბიძისეული რუსული თარგმანის დიდი მოამაგე, მისი ნამდვილი სულისჩამდგმელი და შთამაგონებელი, მისი პირველი მკითხველი, დამფასებელი და გულისხმიერი რედაქტორი. საზოგადოდ, სტალინი უყურადღებოდ არ ტოვებდა ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმახისა და გამოცემის არც ერთ შემთხვევას. როგორც ვიცით, მისი პირადი განკარგულებით გამოქვეყნდა კ. ბალმონტის თარგმანი. ი. სტალინი გასცნობია 1937 წელს დაბეჭდილ დანარჩენ რუსულ თარგმანებსაც. სხვებთან შედარებით იგი უპირატესობას აძლევდა პეტრენკოს. საბოლოოდ მისი არჩევანი შეჩერდა ნუცუბიძეზე. ი. სტალინმა ყოველთვის შეუწყო ხელი ნუცუბიძისეული თარგმანის მდიდრულად და დაჩქარებით გამოცემას. ი. სტალინის სურვილი იყო, რომ რუსულის მცოდნე მკითხველს მიეღო ვეფხისტყაოსნის მაღალი აზრისა და ნატიფი ფორმის შესატყვისი რუსული ტექსტი, რომ მკითხველს ეგრძნო რუსთველური ლექსის სიდიადე, რა დიდი სიყვარული უნდა ჰქონოდა სტალინს ვეფხისტყაოსნისა, რომ პარტიული, სახელმწიფოებრივი და სამხედრო საქმიანობით უსაზომოდ დატვირთულობის მიუხედავად, იგი დროს პოულობდა დედანში ეკითხა ვეფხისტყაოსანი, ედარებინა იგი თარგმანისათვის და ესწორებინა ამ თარგმანის სტრიქონები. უნდა მოვიგონოთ, რომ ეს იყო დიდი პოლიტიკური დაძაბულობის დრო. შ. ნუცუბიძის სიტყვები რომ ვიხმაროთ, მაშინ „მეორე მსოფლიო ომი უკვე დაწყებული იყო და საბჭოთა კავშირის საზღვრებთან იგრძნობოდა დენთის სუნი“. ასეთ ვითარებაში ვეფხისტყაოსნის კითხვით ი. სტალინი, ალბათ, გულს იამებდა და იმშვიდებდა.

ვეფხისტყაოსნის ნუცუბიძისეული თარგმანის უნიკუმი სასიგნალო ცალი თავისი შესწორებებითა და შენიშვნებით ი. სტალინს გამომცემლობისათვის დაუბრუნებია. ამ შესწორებებითა და შენიშვნების გათვალისწინებით გამოქვეყნდა შემდეგ ოფიციალური გამოცემა. თვითონ ის სასიგნალო ცალი კი იოსებ სტალინმა უსახსოვრა შალვა ნუცუბიძეს. ამჟამად ეს ფასდაუდებელი რელიკვია ინახება რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სეიფში. უახლოეს ხანში იგი გადაეცემა შესაფერის სიძველეთსაცავს.

ვფიქრობთ, უნდა შევიწყნაროთ შალვა ნუცუბიძის თხოვნა და

ხელახლა გამოვცეთ ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანი იმ სახითა და მოცულობით, რომლითაც 1941 წელს დაიბეჭდა იოსებ სტალინის ფაქტობრივი რედაქტორობით.

1969

დავითიანის უკრაინულად და რუსულად თარგმნის ისტორიიდან

გურამიშვილის „დავითიანი" საუცხოოდაა გადათარგმნილი უკრაინულსა და რუსულ ენებზე. ორივე თარგმანი შესრულებულია ნამდვილად მაღალ მხატვრულ დონეზე გამოჩენილი პოეტების მიკოლა ბაჟანისა და ნიკოლოზ ზაბოლოცკის მიერ. ბაჟანისეული თარგმანი პირველად დაიბეჭდა კიევში 1950 წელს (Давид Гурамішвілі. Давитіані. Переклад з грузинськоі Миколи Бажана. Редакція і вступна стаття О. Барамідзе). ზაბოლოცკისეული თარგმანი კი პირველად 1954 წელს გამოქვეყნდა თბილისში (Давид Гурамишвили. Давитиани. Избранные произведения. Перевел с грузинского Н. Заболоцкий).

უკრაინულ თარგმანზე მიკოლა ბაჟანი დიდხანს იშვიათი მონდომებითა და გატაცებით მუშაობდა. მისი მთავარი კონსულტანტი იყო პოეტი სიმონ ჩიქოვანი. შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა ამ სტრიქონების ავტორიც. 1950 წლის ივლისში მიკოლა ბაჟანი ჩამოვიდა თბილისში და ჩამოიტანა თარგმანის სასტამბოდ გამზადებული ტექსტი. ბ-ნ მიკოლას განზრახული ჰქონდა თავისი თარგმანის ქართულ დედანთან საბოლოო შემოწმება. ამ მიზნით იგი მეწვია კიკეთში. მთელი ორი კვირის გახშავლობაში სტრიქონ-სტრიქონ და სიტყვასიტყვით ვუწამებდით ერთმანეთს თარგმანსა და დედანს. საქმე ის იყო, რომ თარგმანი ძირითადად ემყარებოდა რუსულ პწკარედს. როგორც გაირკვა, პწკარედი არ იყო ცუდი, მაგრამ შესამჩნევი გახდა რიგი მნიშვნელოვანი აზრობრივი სხვაობანი, რაც ბაჟანისეულ თარგმანშიც ასახულიყო. სანიმუშოდ მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ ერთ შემთხვევაზე.

პოემა „ქაცვია მწყემსში" ძალიან ორიგინალურად აღწერილია ქაცვიას დედ-მამის ქორწილის ამბავი. ქორწილის აპოთეოზი ასეა განსახოვნებული (სტროფი 265):

გამართეს ლხინი ზმითა, შაირით,
გალობით,მღერით, ჩანგით, დაირით;
ფუნდრუკ-ხუნტრუცებით
ქალ-ვაჟნი ხუცებით
ი ქ მ ო დ ე ნ ს ა მ ა ს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დამოწმებული სტროფის ბოლო ტაეპი. „იქმოდენ სამას“. ჩვენთვის საეჭვო არ უოფილა, რომ აქ ს ა მ ა ნიშნავს ცეკვა ს ა მ ა ი ა ს. ჩვენი რედაქციით გამოცემული „დავითიანის“ ლექსიკონში (ლექსიკონი შეადგინა ივანე გიგინეიშვილმა) საბაზე მითითებით განმარტებულია: ს ა მ ა ცეკვა, „როკვა შუშპარი“. რა თქმა უნდა, დაბრკოლებას ვერ გამოიწვევდა ის გარემოება, რომ საძაია ქალთა (სამი ქალის) ცეკვაა[1], ხოლო პოემით სამაიას („სამას“) ცეკვავდნენ „ქალ-ვაჟნი ხუცებით“. როგორც ცნობილია, „ქაცვია ძწყეძსის“ ქორწილის ამბავს გურამიშვილი ასახავს იუმორისტული, სახუძარო, გროტესკული ფორმით. ქორწილის ამბიდან დიდია ძღვდლების (ხუცების) როლი. პოეტმა მისებური მანერით სასაცილოდ წარმოგვიდგინა ხუცების „ფუნდრუკ-ხუნტრუცი“ და მათი დავლური, სამაიას ცეკვა. ეტყობა, პწკარედით ს ა მ ა-ს („იქმოდენ სამას“) გაგებული უოფილა ს ა მ ა ს ა დ (ქორწილს ესწრებოდა სამასი სულიო). პწკარედის მცდარი გაგება ასახული იყო მიკოლა ბაჟანის თარგმანშიც. შემოწმების შედეგად მან უკრაინულ ტექსტში შეიტანა საჭირო კორექტივი და საანალიზო სტროფის ბოლო სამი ტაეპი ასე გამართა:

И шли танці, гідні свята,—
Разпочали дівчата
«Самайю» танцювать.

ბარემ აქვე იმასაც ვიტყვი, რომ მიკოლა ბაჟანს თავის წიგნში „საქართველოს გზებზე“ (თბილისი, 1979, გამომცემლობა „ხელოვნება“) დაშვებული აქვს უზუსტობა „დავითიანის“ თარგმნის თარიღის თაობაზე. იგი მოგვითხრობს: „გადავწყვიტე ხელი მომეკიდა საქართველოს მეორე დიდი პოეტის—დავით გურამიშვილის ნაწარმოებთა თარგმანისათვის... სიმონმა (ჩიქოვანმა) მხარი დაუჭირა ჩემს იდე-

[1] ეს წერილი პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ (1980, № 4, გვ. 64—58). ჟურნალის რედაქციამ მართებულად შენიშნა, რომ: „ს ა მ ა ი ა ს ყოველთვის სამნი და მარტო ქალები არ ცეკვავდნენ“ (გვ. 65, შენ.).

ას... გამაცნო ძველი ქართული ლიტერატურის მცოდნე... ალექსანდრე ბარამიძე, რომლის გულისხმიერი დახმარების გარეშე ვერ შევძლებდი გურამიშვილის ლექსებსა და პოემებზე მუშაობას..ახლოვდებოდა დიდი პოეტის დაბადების ორასი წლისთავი... სიმონმა იზრუნა, რათა 1952 წლის შემოდგომაზე ხანგრძლივად დავრჩენილიყავი საქართველოში და მხოლოდ დავითის პოემების თარგმანზე ვემუშავა. ბორჯომის ხეობაში, მესხეთის ზეგნის დასავლეთ კალთაზე, მტკვრის პირას, დარაჯის უკაცრიელ ქოხში სიმონმა მომინახა მყუდრო თავშესაფარი" (გვ. 73, 76). ის რომანტიკული მყუდრო ქოხი „დავითიანის" თარგმანზე მუშაობისათვის რომ სიმონ ჩიქოვანს გამოუნახავს, ქვიშხეთში იყო. ოღონდ ეს გაცილებით ადრინდელი ამბავია, ვიდრე 1952 წლის შემოდგომა. მე უკვე აღვნიშნე, რომ „დავითიანის" ბაჟანისეული უკრაინული თარგმანი მზად იყო დასაბეჭდად 1950 წლის ივლისში. იმავე 1950 წლის ბოლოს, დეკემბერში, წიგნი სტამბიდან გამოვიდა. 1951 წლის დასაწყისში „დავითიანის" ერთი ცალი მიკოლა ბაჟანის ამაღელვებელი სამახსოვრო წარწერით თბილისში მივიღე:. ისიც უზუსტობაა, თითქო „დავითიანის" თარგმანი დაჩქარა გურამიშვილის დაბადების ორასი წლისთავის მოახლოებამ. ნამდვილად ახლოვდებოდა პოეტის დაბადების ორასორმოცდაათი წლისთავი, რომელიც ზეიმით აღინიშნა ჩვენშიც, უკრაინაშიც, მოსკოვშიც და ზოგან სხვაგანაც 1955 წლის ადრეულ შემოდგომაზე.

1950 წლის ზაფხულს საქართველოში იმყოფებოდა პოეტი ნიკოლოზ ზაბოლოცკი. იმასაც განზრახული ჰქონდა „დავითიანის" თარგმნა რუსულ ენაზე. სიმონ ჩიქოვანი ზაბოლოცკის ახლო მეგობარი იყო და მისთვის უამბია ბაჟანისეული უკრაინული თარგმანის მზადების თაობაზე. ზაბოლოცკის უთხოვია სიმონისათვის ჩემთან შეხვედრის მოწყობა. აგვისტო იწურებოდა, ერთ საღამოს კიკეთში მეწვივნენ მარიკა და სიმონ ჩიქოვანები, მათ ახლდა ნიკოლოზ ზაბოლოცკი. სიმონმა მითხრა, რომ პოეტ ზაბოლოცკის სურს ისე გაუწიო კონსულტაციები „დავითიანის" თარგმანზე, როგორც მიკოლა ბაჟანსო. რასაკვირველია, მე სიამოვნებით ვიკისრე ამ თხოვნის შესრულება.. შევთანხმდით, რომ თბილისში შევადგენდით მუშაობის კონკრეტულ გეგმას და საქმესაც პრაქტიკულად შევუდგებოდით. სამწუხაროდ, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ეს თანამშრომლობა ვერ განხორციელდა. სანამ ნ. ზაბოლოცკი „დავითიანის" რუსულ თარგმანს დაასრულებდა, გამოქვეყნდა ბაჟანისეული უკრაინული თარგმანი. ზაბოლოცკიმ უკ-

რაინული თარგმანი კარგად გამოიყენა თავისი მიზნისათვის. „დავითიანის“ რუსულ რედაქციაში ასე თუ ისე გარკვევით აისახა უკრაინული თარგმანის თავისებურებანი, რომლებითაც იგი პწკარედისაგან განსხვავდება. საილუსტრაციოდ აქაც შევეხები ქაცვია მწყემსის მშობლების ქორწილის უკვე გაანალიზებულ ეპიზოდს. 65-ე სტროფი ნ. ზაბოლოცკის უთარგმნია:

В стихах там состязались, как умели,
Играли там на чанги и свирели,
Плясали там самайю,
И было, полагаю,
Там сотни три гостей.

მაშასადამე, ნიკოლოზ ზაბოლოცკის გაგებით, ქაცვია მწყემსის მშობლების ქორწილს დასწრებია სამასიოდე კაცი («и было, полагаю, там сотни три гостей»), დიდად მოულხენიათ და სამაიაც უცეკვავთ («плясали там самайю»)

თუმცა ხუცებისა და სხვა თანამეინახეთა სასაცილო „ფუნდრუკხუნტრუცებაზე“ არაფერია თქმული. პოემის დამოწმებული რუსული ლექსი ძნელებიერია, მსუბუქია, მკაფიოდ გამომეტყველია, ოღონდ დედნის სპეციფიკური იუმორისტული კილო მთლად ვერ აქვს შენარჩუნებული. რაც მთავარია, მთარგმნელი ნაკლები წინააღმდეგობის გზით წასულა და თავისებურად მოურიგებია ტექსტის სადავოდ ქცეული აზრობრივი მხარე, ქორწილში სამასიოდე კაციც იყო და სამაიასაც ცეკვავდნენ, ე. ი. ზაბოლოცკის დაუტოვებია რუსული პწკარედის შინაარსიც და ბაჟანისეული უკრაინული თარგმანის გააზრებაც... მე გამიჭირდებოდა გამოჩენილი პოეტის ასეთი ნაბიჯის მოწონება.

1980

კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიიდან

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში თავის დროზე დიდი აურზაური ატყდა კოსმოპოლიტიზმის, ანტიპატრიოტიზმის, უცხოეთის კულტურის წინაშე ქედის მოხრისა და ლიტერატურული გავლენების

გაზვიადების წიხააღმდეგ. ერთხანს, 1948 წლის განმავლობაში, საამისო დისკუსია შედარებით მშვიდ ხასიათს ატარებდა და პრინციპული, ლიტერატურული კრიტიკის ფარგლებს არ სცილდებოდა. კრიტიკის ძთავარი ობიექტები იყვნენ იუსტინე აბულაძე, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, სერგი დანელია, კონსტანტინე კაპანელი. დისკუსიები ბიმდიხარეობდა როგორც პრესაში, ისე სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. განსაკუთრებით გახმაურდა ცნობილი კრიტიკოსის გიორგი ნატროშვილის წერილი „კრიტიკული შენიშვნები", რომლებიც კ. კეკელიძის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს მიეძღვნა (გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 21. III. 48).

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ 1948 წლის მაისის დამდეგს თავის პლენუმზე საგანგებოდ განიხილა კოსმოპოლიტიზმის საკითხი ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. მოხსენებით გამოვიდა გაგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე პოეტი სიმონ ჩიქოვანი. მან, სხვათა შორის, აღნიშნა: „კრიტიკოსების დროულმა და ობიექტურმა სტატიებმა გამოამჟღავნეს ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ნაკლოვანი მხარეები. გაზეთმა „ლიტერატურა და ხელოვნებამ" მრავალი კრიტიკული წერილი დაბეჭდა, რითაც გარკვეული დახმარება გაუწია მწერლებს. მაგრამ ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ცალკეულ გადაჭარბებებს. გ. ნატროშვილის კრიტიკული წერილი ჩვენი ცნობილი მეცნიერის პროფესორ კ. კეკელიძის ნაშრომის გამო მრავალ სამართლიან შენიშვნას შეიცავს, მაგრამ წერილში დავიწყებულია ამ ღვაწლმოსილი მეცნიერის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე" (გაზ. „კომუნისტი", 8 მაისი, 1948 წელი). კამათში მეც მივიღე მონაწილეობა. ამავე გაზეთში ვკითხულობთ: „პროფესორმა ა. ბარამიძემ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ჩვენში წინათ დამკვიდრებული იყო მავნე აზრი ქართულ კულტურაზე სპარსულისა და თურქულის გადაჭარბებული გავლენის შესახებ. ყველა მკვლევარს, რომლებსაც კი უმუშავნია ამ საკითხზე, აქვს შეცდომები. ამ მხრივ გამონაკლისს არც პროფესორი კ. კეკელიძე წარმოადგენს. მაგრამ არ შეიძლება მხოლოდ შეცდომებზე ვილაპარაკოთ და უგულებელვყოთ მკვლევარის დამსახურება. ამ მხრივ უსათუოდ აქვს ნაკლი გ. ნატროშვილის კრიტიკულ წერილს პროფესორ კ. კეკელიძის ნაშრომის გამო".

მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმის მუშაობაზე ვრცელი ანგარიში მოათავსა გაზეთმა „ლიტერატურა და ხელოვნებამ", ვიმოწ-

შებ ჩემი გამოსვლის შინაარსს ამ ანგარიშის მიხედვით (ლიტერატურა და ხელოვნება, 18. VII. 48): „პროფ. ალ. ბარამიძე თავის სიტყვაში ამბობს: უპირველესად ყოვლისა, სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ამხ. სიმონ ჩიქოვანის მოხსენება, კერძოდ, რამდენადაც ეს შეეხებოდა ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებს, იყო სერიოზული და ფრიად საქმიანი გამოსვლა. მომხსენებელმა სრულიად სამართლიანად დააყენა საკითხი ქართულ მწერლობაზე უცხოური კულტურის გავლენის, განსაკუთრებით სპარსული კულტურის გავლენის გაზვიადების შესახებ. ჩვენი (მეცნიერული) საზოგადოების ერთი ნაწილი მეტისმეტად აზვიადებდა სპარსული კულტურის მნიშვნელობას, სპარსული ჩელოვნების, გემოვნების, სპარსული ადათისა და ჩვეულებების მნიშვნელობას. ორატორი აცხადებს, რომ იგი სავსებით უერთდება და ეთანხმება იმ შეფასებას, რომელიც ს. ჩიქოვანმა მისცა აკად. კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიას“. ეხება რა გ. ნატროშვილის წერილს კ. კეკელიძის ხსენებულ წიგნზე ორატორი ამბობს: ამხ. გ. ნატროშვილის გამოსვლის საერთო მიმართულება სწორია, მაგრამ ამხ. ნატროშვილის წერილი უსათუოდ ცალმხრივია და ცალმხრივია იმიტომ, რომ ავტორი ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა სპარსული კულტურის წინაშე ქედის მოხრის ისტორიული ვითარება. კარგი იქნებოდა, მას ისიც ეთქვა, რომ თვითონაც ამ წრეში არის მოქცეული. და ბოლოს ორატორი დაასკვნის: ამის მიუხედავად, ამხ. გ. ნატროშვილის გამოსვლა საზოგადოდ მე მაინც მიმაჩნია დადებით მოვლენად იმ მხრივ, რომ მან გაამახვილა ყურადღება საჭირბოროტო საკითხებზე. სხვამ არავინ არ აღიმაღლა ხმა. თუმცა უნდა ისიც დავუმატოთ, რომ, ბართალია, არა პრესაში, მაგრამ საჯარო სხდომებით და საჯარო გამოსვლებით უცხოური კულტურის წინაშე ქედის მოხრის წინააღმდეგ სპეციალური მუშაობა ჩაატარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა“.

ჩემი ბოლო განცხადება იმითაც იყო გამოწვეული, რომ მაშინ ვიყავი უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში და, მაშასადამე, პასუხს ვაგებდი უნივერსიტეტში იდეოლოგიური მუშაობის ვითარებაზე.

საჭიროდ ვთვლით აქ მოვიტანო გ. ჯიბლაძის სიტყვის ის ადგილი, რომელიც შეეხება ჩემს გამოსვლას პლენუმის სხდომაზე: „ძალიან მომეწონა ამხ. ბარამიძის სიტყვა. მე მას ვუსმენდი ყურადღებით. პროფ. ბარამიძემ ზომიერების გრძნობა დაიცვა: ერთი მხრივ, იგი შე-

0ცადა კ. კეკელიძის — ამ ერთ-ერთი უდავოდ სახელოვანი მეცნიერის — შრომის ღირსება გამოეჩინა, მეორე მხრივ, აღენიშნა ის ცალკეული შეცდომები, რომლებიც ამ წიგნში გვხვდება“ (იქვე).

1948 წლის დეკემბერში მკაცრი სარედაქციო წერილები გამოქვეყნდა „პრავდასა“ და „კულტურა ი ჟიზნში“ ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმის თაობაზე. მომდევნო 1949 წელს დისკუსიები ამ საკითხზე უფრო გამძაფრდა.

გახურებული დისკუსია რომ მიმდინარეობდა, ერთ დღეს (ეს იყო 1949 წლის ადრე გაზაფხული) შოთა ძიძიგურმა დამირეკა (იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი და აკადემიის სისტემის გაერთიანებული პარტორგანიზაციის ბიუროს მდივნის მოადგილე) და გადმომცა საქართველოს კომპარტიის ცკ მდივნის როსტომ შადურის დავალება, დამეწერა „კომუნისტისათვის“ წერილი კ. კეკელიძის კოსმოპოლიტური ხასიათის შეცდომების შესახებ. მე უარით ვუპასუხე. რამდენიმე დღის შემდეგ შოთამ ისევ დამირეკა. შენს პასუხზე შადური გაჯავრდა, დავალება პირადად კანდიდ ჩარკვიანისა არისო. ბარამიძემ იცოდეს რომ დავალების შეუსრულებლობით თავს ხიფათში იგდებს (რუსულად ეთქვა—«он рискует своим общественным и служебным положением»). მიუხედავად ასეთი გაფრთხილებისა, მე კვლავ მტკიცე უარით ვუპასუხე. გაგულისებულმა შადურმა ჩარკვიანს მოახსენა ყოველივე. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, კ. ჩარკვიანს ჩემზე საყვედური არ უთქვამს.

თითქო ხიფათმა გაიარა, მაგრამ მალე გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა ვრცელი სარედაქციო წერილი „ლიტერატურის ისტორიის გაყალბებისა და ანტიპატრიოტიზმის წინააღმდეგ“ (II. V. 49). აქ ძალიან მკაცრად არიან გაკრიტიკებული იუსტინე აბულაძე, კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, ს. დანელია, კ. კაპანელი, დ. კობიძე, გრ. კიკნაძე. ცკ-ის დადგენილებით „კომუნისტის“ სარედაქციო წერილი უნდა განხილულიყო ყველა უმაღლეს სასწავლებელში და ჰუმანიტარული დარგის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებში. უნივერსიტეტის რექტორმა ნიკო კეცხოველმა გადმომცა, რომ კ. ჩარკვიანის მითითების თანახმად, „კომუნისტის“ წერილი უნდა იქნას განხილული უნივერსიტეტის დიდ საბჭოზე. მომხსენებლად გამოყავით ალ. ბარამიძე. იგი ზომიერების გრძნობას გამოიჩენსო. რექტორის ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შრო-

შების შესწავლა და მოხსენების თეზისების შემუშავება (ჩემს გარდა კომისიაში შედიოდნენ: ილ. აბულაძე, შალვა რადიანი, ივ. გიგინეიშვილი, ვანო მადური, სერგი ჟღენტი, სერგი ჭილაია). დრო ცოტა გვქონდა, მაგრამ დიდძალი მასალა დაგვიგროვდა. მოვამზადეთ თეზისები, უკეთ — მოხსენების სქემა-რეზიუმე, რომელსაც კომისიის ყველა წევრმა მოაწერა ხელი. მე მოვითხოვე, რომ მოხსენებაში აღნიშნული ყოფილიყო ჩემი ზოგიერთი შეცდომის თაობაზედაც. კომისიამ ჩემი თხოვნა არ შეიწუნარა. უნივერსიტეტის საბჭომ მთელი ორი დღე (6 და 7 ივნისი) მოანდომა მოხსენების მოსმენასა და განხილვას[1]. კამათში მონაწილეობა მიიღო საბჭოს ბევრმა წევრმა. სრულიად ბუნებრივად მოხსენებაში, ისე როგორც „კომუნისტის“ სარედაქციო წერილში, ადგილი ჰქონდა დათმობილი კ. კეკელიძის შრომებს, კერძოდ, მის დიდ ორტომეულს. შესაფერისად გაკრიტიკებული იყვნენ წერილში დასახელებული თუ დაუსახელებელი ის პირები, რომლებიც უნივერსიტეტში ძოღვაწეობდნენ. მოხსენებაში საგანგებოდ გავუსვი ხაზი კ. კეკელიძის დიდ დამსახურებას ძველი ქართული მწერლობის შესწავლისა და მწერლობის მეცნიერული კურსის შექმნის საქმეში. დავსძინე, რომ კ. კეკელიძის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, როგორც ერთადერთი სახელმძღვანელო ამ დარგში, უახლოეს ხანში უნდა გამოიცეს შევსებული და სათანადოდ შესწორებული სახით.

მოხსენებას ჯერ შეკითხვები მოჰყვა, შეკითხვისათვის სიტყვა აიღო კ. კეკელიძემ. მან აღნიშნა, რომ მოხსენებაში გაკრიტიკებული იყო უნივერსიტეტის საკმაოდ ბევრი მუშაკი, მაგრამ ნუთუ მომხსენებელმა ამოწურა გასაკრიტიკებელ პირთა სია და აღარავინ გამორჩაო. თავძჯდომარის, ნ. კეცხოველის, რეპლიკაზე — დაგვეხმარეთ, გამოვამჟღავნოთ მოუხსენებელი პირებიო, ბ-ნმა კორნელიმ უპასუხა: ამისათვის მოძზადებული არ ვარ, ზეპირად ვერაფერს ვიტყვიო (ასეა სტენოგრამაშიც). შეკითხვის აზრი და ხასიათი ყველას ზუსტად ენიშნა. ბ-ნ კორნელის შეკითხვის საპასუხოდ მე განვაცხადე: შეკითხვა სრულიად კანონზომიერია და სამართლიანია. ბატონი კორნელი მარ-

---

[1] საბჭოს სხდომების გაუსწორებელი სტენოგრამა დაცულია საქართველოს ცენტრალურ არქივში (ფონდი №1. ანაწერი №1, შეს. ერთეულის № 1098). სამწუხაროდ საქმეში არ აღმოჩნდა თვითონ მოხსენების ტექსტი, თუმცა სტენოგრამაში შენიშნულია: „მოხსენების ტექსტი თან ერთვის“.

თალი ბრძანდება, მე ვერ ამოვწურე გასაკრიტიკებელ პირთა სია. ყოველ შემთხვევაში, გაძოძრჩა ერთი პირი — ესაა ალექსანდრე ბარამიძე. საბჭოს სხდომას ესწრებიან მოხსენების მომზადებისათვის გამოყოფილი კომისიის წევრები. ის საკითხი, რაც ბატონ კორნელის აწუხებს, მე თვითონ დავსვი კომისიის წინაშე, მაგრამ კომისიამ შეუძლებლად ცნო ამის თაობაზე მოხსენებაში სიტყვის ჩამოგდება. ახლა ვსარგებლობ შემთხვევით და საბჭოს ვთხოვ, დაურთოს თავის სხდომის ოქმს ჩემი დღევანდელი განცხადება: ჩემს ნაშრომებში, განსაკუთრებით ადრინდელი პერიოდის ნაშრომებში, ნამდვილად მოიპოვება სპარსული ლიტერატურის მნიშვნელობის ერთგვარად გაზვიადებული შეფასება. ოღონდ, სპარსულ-ქართულსა და ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობებს სხვა მკვლევართაგან განსხვავებით მე ვიხილავ არა ცალმხრივი, არამედ ორმხრივი ურთიერთობის ასპექტით. სხვადასხვა ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობისა და ლიტერატურული გავლენის საკითხში მე გავიზიარე ცნობილი რუსი მარქსისტის გიორგი პლეხანოვის გამოთქმული თეორია. პლეხანოვის სიტყვით, „ერთი ქვეყნის ლიტერატურის გავლენა სხვა ქვეყნის ლიტერატურაზე ამ ქვეყნების საზოგადოებრივ ურთიერთობათა მსგავსების პირდაპირ პროპორციულია". გავლენა ზოგჯერ ნულს უდრის, ზოგჯერ გავლენა ცალმხრივია, ხოლო მესამე შემთხვევაში „გავლენა საურთიერთოა". სპარსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის დარგში ჩვენ საქმე გვაქვს სწორედ მესამე შემთხვევასთან, ე. ი. საურთიერთო გავლენასთან, ვწერდი 1945 წელს და განვაგრძობდი: „მართალია, ჯერჯერობით უფრო შესწავლილია და გაძოვლენილია სპარსული ლიტერატურის ქართულზე გავლენის დამახასიათებელი ფაქტობრივი მასალები, მაგრამ თანდათანობით მჟღავნდება ქართული ტრადიციების სპარსულზე გავლენის მაგალითებიც"[1]. მე მაშინვე დავიმოწმე და მართებულად მივიჩნიე ივანე ჯავახიშვილის დებულება: „თუ პოლიტიკურს ცხოვრებაში საქართველო სხვადასხვა მაჰმადიანთა სამთავროებს და სპარსეთს ებრძოდა, პოეზიადაკულტურა ქართველ-სპარსთა სულიერ ერთობასა ჰქმნიდა და მტრობის მაგიერ სიყვარულს სთესავდა. ქართველობისათვის სპარსულ-მაჰმადიანური კულტურა უცხო რამე

[1] ალ. ბარამიძე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1945, გვ. 8.

არა ყოფილა და თავისი პოლიტიკური მტრების მწერლობას, მეცნიერებასა და ხელოვნებას ისინი დიდ პატივს სცემდნენ"[1].

კ. კეკელიძის შეკითხვამ და ჩემმა პასუხმა მდგომარეობა ძალზე დაძაბა. მოკამათეებმა ბატონ კორნელის გამოსვლა არ მოიწონეს და სავსებით დაუშვირეს მხარი როგორც მოხსენებას, ისე ჩემს განმარტებას. ცხარე და ხანგრძლივი კამათის შემდეგ საბჭომ ერთსულოვნად დაამტკიცა კომისიის მოხსენება და ღონისძიებათა პროექტი. საბჭოს ბევრი წევრის ფიქრით, ბატონ კორნელისა და ჩემს, მასწავლებლისა და მოწაფის, ურთიერთობაში თითქო გაჩნდა ბზარი.

რამდენიმე დღის შემდეგ ამავე საკითხს მიეძღვნა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ღია პარტიული კრება. ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა ბატონი კორნელი, მე განვაგებდი ძველი ქართული მწერლობის განყოფილებას. ამ კრების მსვლელობა ფართოდ გააშუქა გაზეთმა „კომუნისტმა" (29. V. 49). ჩემი სიტყვის შინაარსი მომაწვს გაზეთის კორესპონდენტის რეპორტაჟის მიხედვით (სიტყვის შიხაარსი საერთოდ სწორადაა გადმოცემული): „პროფესორმა ა. ბარამიძემ აღნიშნა, რომ გაზეთ „კომუნისტის" სარედაქციო წერილი მწვავედ, მაგრამ სამართლიანად აკრიტიკებს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დაშვებულ იმ სერიოზულ შეცდომებსა და დამახინჯებებს, რომლებიც ჩვენი ეროვნული ღირსებისა და თავმოყვარეობის შეურაცხმყოფელ ხასიათს ატარებენ. აღნიშნული წერილი, თქვა ამხ. ბარამიძემ, შეეხება არა მარტო იმ პირებს, რომლებიც ნახსენები არიან მასში. წერილი ყველას შეგვეხება, ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს და, მათ შორის, ცხადია, მეც. მე მეკისრება ერთგვარი პასუხისმგებლობა იმ შეცდომებისათვის, რაც დაშვებული აქვთ რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ძველი მწერლობის განყოფილების მუშაკებს. ზოგიერთი ჩემი მოსაზრება ძველი ქართული საერო მწერლობის წარმოშობაზე და ე. წ. ქართული აღორძინების პერიოდის შემოქმედებითი ძალების შესახებ არ არის სწორი და მოითხოვს გადასინჯვას... შემდეგ ა. ბარამიძე აკრიტიკებს კორნელი კეკელიძის ნაშრომებში დაშვებულ შეცდომებს". კამათში მონაწილეობა მიიღო კ. კეკელიძემაც. საგაზეთო ხელმოუწერელი რეპორტაჟის ავტორის დასკვნით, „მართალია, პროფესორმა კეკელიძემ

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1914, გვ.654 (დაყოფა ავტორისაა—ა. ბ.).

აღიარა თავისი შეცდომები, მაგრამ, ამავე დროს, შეეცადა თავი გაემართლებინა იმით, რომ, თითქოს მას აქამდე არ ჰქონია „ასეთი მითითება“.

კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიამ ჩემზე მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. მე გულით შევეცადე, რამდენადაც კი შეიძლებოდა, ეს ბრძოლა საერთოდ არ გამემწვავებინა, კერძოდ, ასატანი გამეხადა იგი კ. კეკელიძისათვის. სამწუხაროდ, ბატონი კორნელი ჩემს შენიშვნებს მეტისმეტად მტკივნეულად განიცდიდა, ეჭვიანობდა, ნერვიულობდა. როგორც ზემოთ ვთქვი, მე ავიცდინე პრესაში მის წინააღმდეგ გამოსვლა, მაგრამ ჩემი მდგომარეობა არ მაძლევდა უფლებას განზე გავმდგარიყავი ან დემონსტრაციულად დამეცვა მისი ლიტერატურული პოზიციები. ჯერ ერთი, ეს იქნებოდა უტაქტობა, მეორეც, არსებითად ბატონი კორნელის პოზიცია არ იყო მთლად სწორი, მას ჰქონდა გარკვეული შეცდომები ლიტერატურული გავლენების საკითხში. ყველა გამოსვლაში ვცდილობდი, ბატონი კორნელის დიდი მეცნიერული ღვაწლის მომიზეზებით შემერბილებინა მის წინააღმდეგ გამართული ლაშქრობის სიმწვავე. კ. კეკელიძის ჯიქური დაცვა საზიანო იქნებოდა საერთო საქმისათვის და პირადად მისთვისაც, მისი ნაშრომებისათვის. ისიც სათქმელია, რომ ზოგიერთი „კეთილისმყოფელი“ ბატონ კორნელის აღიზიანებდა, უკუღმართად უხსნიდა ჩემი გამოსვლის შინაარსს. ჩემს თავს კი ნება არ მივეცი, საგანგებოდ შევსიტყვებოდი ბ-ნ კორნელის და, ასე ვთქვათ, თავი მემართლებინა; დარწმუნებული ვიყავი რომ ბ-ნი კორნელი ბოლოსა და ბოლოს თვითონ გაერკვეოდა სიტუაციაში. ასეც მოხდა. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ დაადგინა ხელახლა გამოცემულიყო საფუძვლიანად გადასინჯული და შესწორებული ბ-ნ კორნელის ორტომეული. რექტორის, ნ. კეცხოველის, ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა მოემზადებინა ახალი გამოცემის ტექსტი (საქმე შეეხებოდა უმთავრესად მეორე ტომს). კომისიაში შედიოდნენ გიორგი ჯიბლაძე (თავმჯდომარე), სიმონ ყაუხჩიშვილი, შალვა რადიანი და ამ სტრიქონების ავტორი. კომისიის მუშაობაში მე არსებითად მონაწილეობა არ მიმიღია. ტექსტი ძირითადად შეამზადეს გ. ჯიბლაძემ და შ. რადიანმა. გ. ჯიბლაძე იყო საქართველოს კომპარტიის ცკ პასუხისმგებელი თანამშრომელი, ხოლო შ. რადიანმა კ. კეკელიძე შეცვალა ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის პოსტზე.

კ. ჩარკვიანმა მოიწონა რექტორის ნაბიჯი, ოღონდ მან მოითხოვა, რომ ორტომეულს ჰყოლოდა გაპიროვნებული ერთი რედაქტორი, რომელიც პირადად აგებდა პასუხს წიგნების გამოცემაზე. მისივე მითითების თანახმად, რედაქტორობა მე დამეკისრა. ამან შეაპირობა ის გარემოება, რომ კ. კეკელიძის შრომას სატიტულო ფურცელზე აწერია „რედაქტორი ალ. ბარამიძე“, თუმცა ბოლოსიტყვის სახით დართული აქვს განცხადება: „ეს შრომა, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, განხილულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მიერ გამოყოფილ კომისიაში, რომელშიაც შედიოდნენ: გ. ჯიბლაძე (თავმჯდომარე), ს. ყაუჩხიშვილი, ალ. ბარამიძე, შ. რადიანი“.

მე გულმოდგინედ ვიმუშავე ორივე ტომზე, განსაკუთრებით მეორეზე. ხშირად ვხვდებოდი ბ-ნ კორნელის და ვუთანხმებდი მას ტექსტის ყველა მნიშვნელოვან შესწორებას. ბ-ნი კორნელი კმაყოფილი იყო ჩემი მუშაობით. სამახსოვროდ მოძღვნილ მეორე ტომზე ასეთი წარწერა გააკეთა: „ღრმად პატივცემულ პროფესორს ალექსანდრე ბარამიძეს ნიშნად უაღრესი მადლობისა. ავტორისაგან. 1952, IX, 4“. მეც, ჩემი მხრივ, დიდად კმაყოფილი დავრჩი, რომ იმედმა ვამიმართლა და დავიმსახურე ბატონ კორნელის მადლობა. ბ-ნი კორნელი დარწმუნდა, რომ მე სიკეთე მსურდა მისთვის და მისი შრომებისათვის. საგულისხმო ისიც არის, რომ უკვე პირველი ტომის წინასიტყვას ბატონი კორნელი ასე იწყებს: „ახალი — მესამე — გამოცემა ჩვენი ძველი ქართული მწერლობის ისტორიის კურსისა გამოწვეულია არ მარტო იმით, რომ წინანდელი გამოცემა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს, არამედ იმითაც, და უფრო იმითაც, რომ როგორც დაგვანახა უკანასკნელ წლებში ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაშლილმა დისკუსიამ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის საკითხების გარშემო, განსაკუთრებით კი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიულმა დადგენილებებმა იდეოლოგიურ საკითხებზე, საჭირო აღმოჩნდა ამ კურსშიც სათანადო შესწორებების შეტანა“.

ასე დამთავრდა კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეპოპეა. კოსმოპოლიტიზმთან ერთად მწვავე ბრძოლა იყო გაჩაღებული იმათ წინააღმდეგ, ვინც არ ცნობდა (და მარქსისტულად არ აღიარებდა) აკადემიკოს ნიკო მარის ახალ მოძღვრებას ენის შესახებ. თვითონ მარმა, ნამეტნავად კი მისმა მოწაფეებმა, შექმნეს მეცნიერებისათვის სრულიად შეუფერებელი ე. წ. არაკჩეევშჩინის ატმოსფერო. არაკჩეევ-

შჩინის რისხვა ჩვენში ყველაზედ მწვავედ დაატყდა არნოლდ ჩიქობავას. ამასთან დაკავშირებით უნდა მოვიგონო ერთი შემთხვევა. სწორედ 1949 წელს უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაციას იცავდა ვლადიმერ ფანჩვიძე. დისერტაციის თემა იყო „უდური ენა". მე ვუძღვებოდი სამეცნიერო საბჭოს სხდომას. ოფიციალური ოპონენტების გამოსვლის შემდეგ ითხოვა სიტყვა ი. გ.—შვილმა. მან უშვერი სიტყვებით მოიხსენია არნ. ჩიქობავა და დისერტანტი, უწოდა მათ ანტიმარქსისტები, რეაქციონერები, ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამტარებელნი ენათმეცნიერებაში და ა. შ. არაოფიციალურ ოპონენტს სიტყვა შევაწყვეტინე და ვთხოვე, თავი შეეკავებინა შეუფერებელი გამოთქმებისაგან, უსაგნო და განყენებული მსჯელობისაგან, შეხებოდა საკუთრივ სადისერტაციო ნაშრომს. მან კვლავ განაგრძო ზოგადი „კრიტიკა" და ნამდვილი ლანძღვა-გინება. მაშინ იძულებული გავხდი, მისთვის სიტყვა ჩამომერთმია. ოპონენტი დაგვემუქრა, რომ ვითომც დავარღვიე სადისერტაციო შრომის დაცვის პროცედურა და არ ვალაპარაკე მარქსისტული ენათმეცნიერების წარმომადგენელი. მან დიდი ხმაურით დემონსტრაციულად დატოვა დარბაზი. ორი დღის შემდეგ რექტორმა მიიღო გ—შვილის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელზე დაპეშით გაგზავნილი საჩივრის პირი. საჩივრის პირი მას გაეგზავნა აგრეთვე უმაღლესი სკოლების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის კაფტანოვისა და საქართველოს კომპარტიის ცკ პირველი მდივნის კ. ჩარკვიანის სახელზე. დეპეშაში აღნიშნული იყო, რომ ანტიმარქსისტ ჩიქობავას დამცავმა უპარტიო პროფესორმა ბარამიძემ, რომელიც სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობდა ანტიმარქსისტი ფანჩვიძის დისერტაციის დაცვის დროს დაარღვია პროცედურის წესი, სიტყვა არ მისცა მარქსისტული ენათმეცნიერების წარმომადგენელს, პარტიის წევრს, სამამულო ომის მონაწილე გადამდგარ ოფიცერს, ყოფილ სამხედრო მზვერავს... სასწრაფოდ მომთხოვეს პასუხი. ახსნა-განმარტებითი ხასიათის პასუხი გაეგზავნა ყველა ინსტანციას, მაგრამ დისერტანტმა თავისი შრომის საატესტაციო კომისიაში გაგზავნა აღარ მოისურვა, სულ ერთია, უარს მეტყვიანო. ამ ამბავმა, სხვათა შორის, ვლ. ფანჩვიძეს გვიან დიდი სამსახური გაუწია. ცნობილი საენათმეცნიერო დისკუსიის შემდეგ ფანჩვიძეს შრომის დაცვის სტენოგრაფიული ანგარიშის საფუძველზე ერთსულოვნად მიანიშეს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი (არაოფიციალური ოპონენტის ლანძღვა-გინება და საჩივარი მას ლოცვა-კურთხევად ჩაეთვალა).

1978

სადირექტივო ორგანოს დადგენილებით, 1954 წლის გაზაფხულზე უნდა გამართულიყო საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიების საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებების გაერთიანებული სამეცნიერო სესია ქ. ბაქოში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მონაწილეობით. შეიქმნა საორგანიზაციო კომისია, რომელსაც დაევალა სესიის პროგრამის შედგენა, მომხსენებელთა შერჩევა და სხვა საჭირო სამზადისის ჩატარება. საორგანიზაციო კომისიაში შედიოდნენ აბგარ იოანისიანი (სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი), ჰუსეინოვი (აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის საზ. მეცნ. განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი) და ალ. ბარამიძე (საქართველოს მეცნ. აკადემიის საზოგ. მეცნ. განყ. აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი). კომისიამ შეიმუშავა სერიის გეგმა და თემატიკა, გამოყო მომხსენებლები და დასახა შესაფერისი ღონისძიებები. სესიის პროგრამა განიხილეს და დაამტკიცეს აკადემიების პრეზიდიუმებმა (რასაკვირველია, ეს პროგრამა შეთანხმებული იყო სამივე რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოებთან). რამდენადაც გაერთიანებული სამეცნიერო სესია რესპუბლიკათაშორისო ხასიათს ატარებდა, საჭირო გახდა მისი პროგრამის მოსკოვში განხილვა-დამტკიცება. საორგანიზაციო კომისიის სამივე წევრი გეგმით წარუდგა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიას 1953 წლის 13 თუ 14 დეკემბერს. გეგმა მოიწონეს და დაამტკიცეს. სხვათა შორის, აკადემიკოსმა ვ. ვინოგრადოვმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი არნოლდ ჩიქობავას მოხსენების დიდ სამეცნიერო-თეორეტიკულსა და პრაქტიკულ-გამოყენებითს მნიშვნელობას. არნ. ჩიქობავას თემა იყო: „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენის პრინციპები“. აკად. ვინოგრადოვმა აღნიშნა, რომ მაშინ თითქმის ყველა რესპუბლიკა იწყებდა ენის განმარტებითი ლექსიკონების შედგენის სამზადისს და რომ ძალზე საინტერესო იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცდილების გაზიარება და აზრთა ფართო გაცვლა-გამოცვლა. მეორე დღეს ჩვენი გეგმის განხილვა დანიშნული იყო ცენტრალურ სადირექტივო ორგანოში. გარდა ჩვენი კომისიის წევრებისა, თათბირს ესწრებოდნენ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელი და სადირექტივო ორგანოს

აპარატის რიგი პასუხისმგებელი მუშაკები. სხდომა გახსნა და მას უჭ-
ელმძღვანელა მეცნიერებისა და უმაღლესი სკოლის განყოფილების
გამგის მოადგილემ ხრუსტოვმა.

ამხ. ხრუსტოვმა თათბირს მოახსენა, რომ ის გაეცნო მომავალი
გაერთიანებული სამეცნიერო სესიის პროგრამას, ძირითადად იწონ-
ებს მას, მაგრამ აქვს შენიშვნები პროგრამის ქართული განყოფილე-
ბის მიმართ. კერძოდ, ხრუსტოვმა განაცხადა, რომ იგი ვიწრო მნიშ-
ვნელობის უინტერესო, ლოკალურ და წვრილმან თემად თვლის არ-
ჩიქობავას მოხსენების თემას და მოითხოვს გეგმიდან მის ამოღებას.
სიტუაცია დაიძაბა. ყველამ მე შემომხედა. მე საკმაოდ დამშვიდებით,
თუმცა შინაგანი მღელვარებით, აღვნიშნე, რომ წინა დღით ჩვენი პროგ-
რამა საგანგებოდ განიხილა და მოიწონა საკავშირო მეცნიერებათა აკა-
დემიამ, სიტყვასიტყვით მოვიყვანე აკადემიკოს ვინოგრადოვის მოსაზ-
ბანი ამის თაობაზე (აკადემიის წარმომადგენელმა დამიდასტურა ინ-
ფორმაციის სისწორე). ხრუსტოვი ერთხანს დაფიქრდა და შემდეგ
პირდაპირ მომმართა: კარგი, თემა დავტოვოთ, ოღონდ ხომ არ შეიძლება
მომხსენებლის შეცვლაო. ვიგრძენი, რომ ბრძოლის პირველი ეტაპი
მოვიგე. ამან გამამხნევა და გამათამამა. მომხსენებლის შეცვლა შე-
იძლება-მეთქი, ვუპასუხე, ოღონდ საკითხავია, რამდენად მიზანშეწო-
ნილი იქნება ეს და სამართლიანი. განმარტებითი ლექსიკონის შედგენის
პრინციპების თაობაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარ-
და დისკუსია-მეთქი, განვაგრძე ჩემი სათქმელი, აკადემიამ და სადი-
რექტივო ორგანომ მხარი დაუჭირეს არნ. ჩიქობავას მიერ შემოთავა-
ზებულ პრინციპებს. ეს პრინციპი დაედო საფუძვლად „ქართული ენ-
ის განმარტებით ლექსიკონს", რომლის პირველი ორი ტომი უკვე და-
იბეჭდა კიდევაც არნ. ჩიქობავას მთავარი რედაქტორობით. ასეთი ვითა-
რების გამო, ჩემი ღრმა რწმენით, უსამართლობა იქნებოდა და საქმი-
სათვის მიზანშეუწონელი არნოლდ ჩიქობავას გვერდის ავლა და სხვა
მომხსენებლის გამოძებნა. ეტყობა, განმარტებამ გაჭრა. ყოველ შემ-
თხვევაში, მცირე ყოყმანის შემდეგ თავმჯდომარემ დაასკვნა: დამ-
ტკიცდეს წარმოდგენილი თემა და მოხსენება დაეკისროს არნ. ჩიქო-
ბავას. ამ გადაწყვეტილებას თაობირი კმაყოფილებით შეხვდა, დაძა-
ბულობა შენელდა, შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ წამიერი პაუზის
შემდეგ ხრუსტოვი კვლავ მომიბრუნდა და ნამდვილად გამომწვევი
კილოთი შემეკითხა — სესიის მუშაობაში რატომ არ იღებს მონაწი-
ლეობას პროფესორი ნუცუბიძეო.

შეკითხვის კილომ მაგრძნობინა, რომ ხრუსტოვს ნაკლებ აწუხებდა ნუცუბიძის მონაწილეობის საკითხი სესიის მუშაობაში. ვუპასუხე, რომ სესიას ატარებს მეცნიერებათა აკადემია, ხოლო პროფესორი ნუცუბიძე აღარ მოღვაწეობს აკადემიის სისტემაში. აბა, სად მუშაობს და რას აკეთებსო, ჩამაცივდა. შ. ნუცუბიძე ახლა თბილისის უნივერსიტეტშია პროფესორად, ლექციებს კითხულობს დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიაში და, თანაც, მთარგმნელობითს საქმიანობას ეწევა-მეთქი, განვუმარტე. რას თარგმნის და რა ფასი აქვს მის თარგმანებსო, არ მომეშვა თათბირის თავმჯდომარე (შევნიშნავ, რომ მთელი სხდომის განმავლობაში ხრუსტოვს ჩემი კოლეგებისათვის სრულიად არაფერი უკითხავს, იმათ ხმა არ ამოუღიათ, მხოლოდ ჩვენი დიალოგის ჩუმი მოწმენი იყვნენ). შ. ნუცუბიძე ქართულიდან რუსულად თარგმნის ქართული კლასიკური პოეზიის ძეგლებს-მეთქი, შევეცადე დამეკმაყოფილებინა შემომკითხველის ცნობისმოყვარეობა. სანიმუშოდ დავუსახელე ვეფხისტყაოსნის თარგმანი. ჩემი დაკვირვებით, ნუცუბიძისეული თარგმანი ერთ საუკეთესო თარგმანად უნდა ჩაითვალოს, განსაკუთრებით დედანთან სიახლოვის მხრივ-მეთქი, დავსძინე. ხრუსტოვი თითქო დაკმაყოფილდა ჩემი ახსნა-განმარტებით. ყოველ შემთხვევაში, საუბარი ამაზე შეწყდა და დასკვნის სახით გვაუწყა, რომ აკადემიების გაერთიანებული სამეცნიერო სესიის გეგმას შეთანხმებულად თვლის, გვისურვა წარმატებანი და სხდომა დახურა. ქუჩაში რომ გამოვედით, ჩემმა კოლეგებმა ხმა მაშინ ამოიღეს და გაკვირვება გამოთქვეს, რომ ხრუსტოვს თამამად შევეკამათე. მართალი გითხრათ, მე სწორედ ჩემი ამხანაგების ამ შენიშვნამ გამაკვირვა. ჩვენ თათბირზე გვიხმეს, თათბირს უნდა განეხილა და დაემტკიცებინა ჩვენი გეგმა. ვის, თუ არა ჩვენ მოგვეთხოვებოდა ჩვენივე გეგმის დაცვა და საჭირო ახსნა-განმარტების წარმოდგენა. თქვენ საზრუნავი არაფერი გქონდათ, სეირის მომსწრეთა როლში აღმოჩნდით, ხრუსტოვმა ნიშანში ამოიღო გეგმის მხოლოდ ქართული ნაწილი, მოპასუხეც მე აღმოვჩნდი, თუმცა საჭირო კი იყო თქვენც გამოსარჩლებოდით ამ გეგმას, ის ხომ ჩვენ საერთოდ შევიმუშავეთ-მეთქი, ცოტა ვუსაყვედურე ამხანაგებს...

ერთი თუ ორი დღის შემდეგ, სახელდობრ, 1953 წლის 17 დეკემბერს, ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნდა ერთი დიდად მნიშვნელოვა-

ნი დოკუმენტი, რომელმაც რამდენადმე შუქი მოჰფინა ჩვენი გეგმის განხილვის გარშემო გამართულ იმ თავისებურ კამათს.

1978

სიმპოზიუმი პუშკინის სახლში

1976 წლის 28—30 იანვარს ლენინგრადში, რუსული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში (პუშკინის სახლში) ჩატარდა სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა ძველი ქართული მწერლობის შესწავლის საკითხებს «Три дня древнегрузинской литературы в Пушкинском Доме». სიმპოზიუმი მოაწყო პუშკინის სახლის ძველი რუსული ლიტერატურის სექტორმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული მწერლობის კათედრამ. თაოსნობა ეკუთვნოდა გამოჩენილ რუს მეცნიერს, პუშკინის სახლის ძველი რუსული მწერლობის სექტორის ხელმძღვანელს აკადემიკოს დიმიტრი სერგის ძე ლიხაჩოვს. სიმპოზიუმის საუცხოოდ გაფორმებულ მოსაწვევ ბარათს ამკობდა წარწერა „მედიევისტი-ლიტერატურათმცოდნეები ერთმანეთს უზიარებენ გამოკვლევათა გამოცდილებას“

სიმპოზიუმმა მოისმინა შემდეგი მოხსენებები:

1. ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის ძირითადი პრობლემები (ლევან მენაბდე),

2. ქართული ჰიმნოგრაფიის შესწავლა (ლაურა გრიგოლაშვილი)

3. რუსთველოლოგია მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე (ალექსანდრე ბარამიძე).

4. ძველრუსული ტექსტების ქართულ ენაზე თარგმნის ზოგიერთი საკითხი (თენგიზ ბუაჩიძე),

5. ძველი საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობანი:

ა) ბიზანტიურ-ქართული ურთიერთობანი (ელგუჯა ხინთიბიძე).

ბ)სპარსულ-ქართული ურთიერთობანი (ალექსანდრე გვახარია),

გ) რუსულ-ქართული ურთიერთობანი (ოთარ ბაქანიძე).

6. ძველ-ქართული ლიტერატურულ-ესთეტიკური აზრის შესწავლის პრობლემები (რევაზ სირაძე),

7. ძველ-ქართული ლიტერატურის პოეტიკის შესწავლა (გრიგერ ფარულავა)[1].

სიმპოზიუმი შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიკოსმა დ. ლიხაჩოვმა. მან აღნიშნა, რომ პუშკინის სახლს განზრახული აქვს გამოცდილებათა ურთიერთგაზიარების მიზნით ჩაატაროს სიმპოზიუმები, რომლებიც მიეძღვნება ძველი ლიტერატურების შესწავლის თანამედროვე ვითარებას. ამ წამოწყების პირველი გამოხატულებაა ძველი ქართული მწერლობის სამდღიანი სიმპოზიუმიო. დ. ლიხაჩოვი გულთბილად მიესალმა ქართველ მეცნიერებს პუშკინის სახლის კოლექტივის სახელით და უსურვა წარმატებანი საფუძველჩაყრილ ამ ჩინებულ საქმეს.

პირველი დღის მოხსენებების შემდეგ, საღამოს, არქიტექტორთა სახლში ვაჩვენეთ დოკუმენტური ფილმები — ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერები და ქართული საგალობლები. ფილმებმა წარუხოცელი შთაბეჭდილება დატოვა.

სიმპოზიუმზე წაკითხულმა მოხსენებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია და სამართლიანად დაინსახურა მაღალი შეფასება. სასიამოვნო ისიც იყო, რომ კარგი მოხსენებით გამოვიდნენ ახალგაზრდები (გრიგოლაშვილი, სირაძე, ფარულავა). მოხსენებათა გარშემო იმართებოდა საქმიანი პროფესიული სჯა-ბაასი და ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა (იყო ბევრი შეკითხვა). კამათში მონაწილეობა მიიღეს აკად. დ. ლიხაჩოვმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებმა ლევ ალექსანდრეს ძე დმიტრიევმა, ალექსანდრე მიხეილის ძე პანჩენკომ, ოლეგ ვიქტორის ძე ტვოროგოვმა, იაკობ სოლომონის ძე ლურიემ, კამსარ ნერსესის ძე გრიგორიანმა, ნატალია სერგის ასულმა დემკოვამ (ლენინგრადის უნივერსიტეტი), ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე როზოვმა (ლენინგრადის სჯარო ბიბლიოთეკა), თევდორე იაკობის ძე შალომმა (კიევის უნივერსიტეტი), აზიზ შარიფმა (მოსკოვის უნივერსიტეტი), მეცნიერებათა კანდიდატებმა ოლღა ანდრიას ასულმა ბელობროვამ, ნადეჟდა თეოკტისთეს ასულმა დრობლენკოვამ, ვერა დიმიტრის ასულმა ლიხაჩოვამ, გელიან მიხეილის ძე პროხოროვმა და სხვ.

სიმპოზიუმის მუშაობის შეჯამება მე დამევალა. ბოლო სხდომამ მიიღო დადგენილება, მორიგი სიმპოზიუმი გამართულიყო თბილისში,

---

[1] საპატიო მიზეზის გამო არ შედგა ელენე მაჭავარიანის დაგეგმილი მოხსენება „ძველ-ქართული ხელნაწერი წიგნის დეკორატიული გაფორმების პრინციპების შესწავლისათვის".

1977 წლის გაზაფხულზე, თემა „ძველრუსული ლიტერატურის შესწავლის თანამედროვე ვითარება". მომზადდეს და გამოქვეყნდეს ორივე სიმპოზიუმზე წაკითხული მოხსენებების კრებული.

ჩვენმა კეთილმა მასპინძლებმა ორგზის მოგვიწყვეს შეხვედრა — 28 იანვარს არქიტექტორთა სახლში და 30 იანვარს მეცნიერთა სახლში. გამოიჩინეს ჩვენდამი არაჩვეულებრივი სტუმართმოყვარეობა, მოგვიალერსეს და ბევრი გულწრფელი თბილი სიტყვა გვითხრეს. პირველ შეხვედრაზე დ. ლიხაჩოვმა აღტაცება გამოთქვა ეკრანიდან მოსმენილი საკალობლების გამო, ეს ზღაპრული ხმები იყო, რომლებიც ნათლად გვაგრძნობინებდა ძველი ქართული კულტურის სიდიადესო. მე ვიცოდიო, თქვა დიმიტრი სერგის ძემ, ძველი საქართველო განთქმულია შესანიშნავი ლიტერატურით, ხელოვნებით (ფრესკული ფერწერით, წიგნის რაფინირებული მინიატურებით, ჰედუროობით...), მაგრამ არ ვიცოდი, რომ ბრწყინვალე ძველი მუსიკის მფლობელებიც ყოფილხართო, მან შენიშნა, რომ ფილმები მოსმენილი მოხსენებების ბუნებრივ ილუსტრაციებს წარმოადგენდა. შეხვედრა მხიარულად და, ამავე დროს, საქმიანად ჩატარდა (შეხვედრას ხელმძღვანელობდა, თამადობდა თვითონ დ. ლიხაჩოვი, მე ვიყავი მისი თანაშემწე-კონსულტანტი). ბელობროვამ და დემკოვამ მითხრეს, რომ ეს საღამო მათთვის (და, საერთოდ, ყველა დამსწრეთათვის) იქნება დაუვიწყარი, რომ საღამო იყო მხიარული, ემოციური. უფრო მრავალრიცხოვანი იყო მეორე შეხვედრა, რომელსაც, სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო დ. ლიხაჩოვი ვერ დაესწრო, შეხვედრას გაუძღვა პროფესორი დმიტრიევი, დახმარებას უწევდა თენგიზ ბუაჩიძე (თენგიზის მახვილგონიერებამ ბევრი სიამოვნება მოგვანიჭა). საღამოზე მშვენიერი სიტყვები წარმოთქვეს პუშკინის სახლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა თევდორე იაკობის ძე პრიიმამ, პარტორგანიზაციის მდივანმა და პროფორგანიზაციის თავმჯდომარემ, მოხდენილი სიტყვა თქვა რისმაგ გორდეზიანმა, რომელიც ლენინგრადში იმყოფებოდა და ჩვენს სხდომებს სისტემურად ესწრებოდა. ქართულად წარმოთქვა სიტყვა და აკაკის ლექსები წაიკითხა პროფესორმა გრიგორიანმა. ქართულად, რუსულად და სპარსულად წარმოთქვა ომარ ხაიამის ლექსები ალ. გვახარიამ.

საზოგადოდ, ლენინგრადელმა მასპინძლებმა საარაკო სტუმართმოყვარეობა გაგვიწიეს. სიმპოზიუმი საუცხოოდ იყო ორგანიზებული, დაგვაბინავეს საუკეთესო სადგომებში, აგვავსეს პატივისცემითა და ყურადღებით, მოგვიწყვეს ექსკურსია ერმიტაჟში, საგანგებოდ დაგვათვა-

ლიერებინეს „ბიზანტიური ხელოვნების“ გამოფენა (გამოფენაზე ექსპონირებული იყო სანიმუშო მასალები ჩვენი საცავებიდანაც). დაგვასწრეს სპექტაკლს ოპერის თეატრში, გაგვიღეს პუშკინის სახლის ხელნაწერი საგანძურების კარები, გვიჩვენეს პუშკინისა და პროტოპოპ აბაკუმის უძვირფასესი ავტოგრაფები (რა სასოებით შევსცქეროდით საკუთარი ჩანახატებით ილუსტრირებულსა და ავტოპორტრეტებით შემკულ „ევგენი ონეგინის“ ავტორისეულ დავთრებს). სამწუხაროდ დრო ძალიან ცოტა გვქონდა, მეტი ვერ მოვასწარით, მაგრამ დავტკბით ლენინგრადის მეფური ზამთრის სილამაზით.

გამოსათხოვებლად ბინაზე ვეწვიეთ აკად. ლიხაჩოვს (ჩემთან იყვნენ თ. ბუაჩიძე და ლ. მენაბდე). ტკბილი მუსაიფი გაგვიმართა და მსუბუქი პურმარილით გაგვიმასპინძლდა. დავაზუსტეთ მომავალი გეგმები, მოვიპატიჟეთ ივანე ჯავახიშვილის იუბილეზე (მოპატიჟებით ძალიან კმაყოფილი დარჩა), გრძნობიერად გამოვემშვიდობეთ და პირდაპირ გავუდექით გზას აეროდრომისაკენ (ეს იყო პირველ თებერვალს).

წარუშლელ სამახსოვროდ მრჩება ის ამაღელვებელი ყურადღება და პატივისცემა რაც პირადად ჩემს მიმართ გამოიჩინა დ. ლიხაჩოვმა და მასთან ერთად ჩვენი მასპინძლების მთელმა კრებულმა.

1977

ქართული მწერლობის სათავეების თაობაზე

(ჟურნალ „განთიადის“ რედაქციას)

თქვენს შეკითხვებზე მოგახსენებთ შემდეგს:

ლიტერატურის ისტორიკოსი გვერდს ვერ აუვლის ქართული დამწერლობის წარმოშობის საკითხს, თუმცა ანბანის შემოღებას საგანგებოდ სწავლობს ის სამეცნიერო დისციპლინა, რომელსაც ეწოდება დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია.

ქართული მწერლობის წარმოშობის საკითხისადმი ჩემმა დამოკიდებულებამ მომაგონა ერთი შემთხვევა, რომელიც სპეციალისტებისთვისაც კი უცნობია, და ვფიქრობ, უინტერესო არ იქნება ჟურნალის მკითხველებისათვის.

1941 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა პროფესორ კორნელი კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომის მეორე გამოცემა. მე ვიყავი მისი რედაქტორი. როცა წიგნის პირველი ორი თაბახი დაიბეჭდა (1940 წლის გვიან შემოდგომაზე). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორ ვარლამ მიქაძესთან ერთად მიხმეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. მიგვიღო ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ილია თავაძემ. მასთან კაბინეტში იმყოფებოდა პროფესორი სიმონ ჯანაშია (იგი ფაქტობრივ უკვე მეთაურობდა ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების ფრონტს). ილია თავაძემ საწერი მაგიდის უჯრიდან ამოიღო ბ-ნ კორნელის წიგნის მეორე თაბახის ანაბეჭდი, მოძებნა თავი „ქართული ლიტერატურული ენა და დასაწყისი ქართული მწერლობისა“, ჩაათვალიერა და საყვედური გამოთქვა ქართული მწერლობის წარმოშობის თაობაზე იქ გატარებული ცნობილი თვალსაზრისის გამო. სიტყვა აიღო და კრიტიკული მოსაზრება განავითარა სიმონ ჯანაშიამაც. როგორც რედაქტორს, მომთხოვეს განმარტება. მე აღვნიშნე, რომ გულდაგულ წავიკითხე წიგნი ხელნაწერში. შევასწორე ზოგიერთი ნებსითი თუ უნებლიე უზუსტობა, ტექსტს გავკარი ოდნავი ჩალხი, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ შევხებივარ ნაშრომის კონცეფციურ მხარეს. კონცეფციის შესწორებაა არ შეიძლება, კონცეფციისათვის პასუხს აგებს ავტორი მეთქი. თქვენ მართალი ხართო, მითხრა ილია თავაძემ, პროფესორ კეკელიძეს სრული უფლება აქვს, რომ ჰქონდეს საკუთარი შეხედულება ქართული მწერლობის ყველა საკითხზე. მაგრამ მისი „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის არის განკუთვნილი და, რაც მთავარია, ის ასრულებს სახელმძღვანელოს როლს სტუდენტებისათვის. ქართული მწერლობის წარმოშობის შესახებ პრინციპულად მიუღებელი თვალსაზრისის პროპაგანდას სახელმძღვანელოს მეშვეობით ჩვენ ვერ დავუშვებთო, დასძინა და მთხოვა მოვლაპარაკებოდი ამის თაობაზე პროფესორ კეკელიძეს, ხოლო ვ. მიქაძეს დაავალა მეორე თაბახის გადასინჯულ ტექსტის ხელახალი აწყობა. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული გავხდებით შევაჩეროთ წიგნის გამოშვებაო.

იმ დღესვე ვინახულე ბ-ნი კორნელი და გავაცანი საქმის ვითარება. რასაკვირველია, თქმული არ ეჭაშნიკა. ვიფიქრებო, მითხრა უკმაყოფილო კილოთი. მეორე დღეს ბატონმა კორნელიმ მომიტანა ანაბეჭდის გადახაზულ-ჩასწორებული ტექსტი. მთლიანად ამოეღო ყველაფერი, რაც ეხებოდა ანბანის შექმნასა და მწერლობის წარმოშობას, ამის სანა-

ცვლოდ ჩაეწერა: „რა დროიდან შეიძლება დაწყებულ იქნეს ქართული მწერლობის ნამდვილი, ფაქტებით გამართლებული ისტორია? ამ შემთხვევაში ჩვენ არ შევჩერდებით სადისკუსიო საკითხზე ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ რადგანაც ეს უფრო დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის, პალეოგრაფიის, საგანია, ვიდრე ლიტერატურის ისტორიისა“. მოტანილი ამონაწერის გამო სქოლიოში შენიშნულია: ამის შესახებ (ე. ი „სადისკუსიო“ საკითხის შესახებ, — ა. ბ.) იხ. ივ. ჯავახიშვილის „ქართული პალეოგრაფია“, გვ. 188—230 და კ. კეკელიძის „ქართული კულტურის ორი დღესასწაული“. მ ნ ა თ ო ბ ი. 1929, № 5—6, გვ. 151—167; № 7, გვ. 135—150). ძირითად ტექსტში კი საუბარია ქართული დამწერლობის (ხ უ ც უ რ ი ს ა და მ ხ ე დ რ უ ლ ი ს) შესახებ და გამოტანილია საბოლოო დასკვნა: „რამდენადაც არც ერთი ლიტერატურული ძეგლი, არც ერთი უტყუარი და ეჭვმიუტანელი ლიტერატურული ფაქტი მეხუთე საუკუნემდე ჩვენ არ მოგვეპოვება, მწერლობის ნამდვილი, მეცნიერული ისტორია მხოლოდ ამ საუკუნიდან შეგვიძლია დავიწყოთ“.

მოვითათბირეთ და შევთანხმდით, რომ ტექსტი დაიბეჭდებოდა ახლად შემოთავაზებული რედაქციის მიხედვით. მე შევინახე ძველი რედაქციის ერთი ანაბეჭდი და ჩავაკარი ავტორისაგან ნაჩუქარ წიგნში (წიგნის ეს უნიკალური ცალი ამჟამად ინახება ჩემს ბიბლიოთეკაში). ნაჩირნახულევი წიგნი ბ-ნმა კორნელიმ მომიძღვნა გულისხმიერი წარწერით: „ჩემს ძვირფას მოწაფეს მადლობის ნიშნად იმ დიდი შრომისათვის, რომელიც მან გასწია ამ წიგნის კარგად გამოცემისათვის ავტორი, 1941, III. 4“.

ჩემი თვალსაზრისი ქართული მწერლობის წარმოშობის თაობაზე გამოთქმულია რუსულად გამოქვეყნებულ კოლექტიურ ნაშრომში „ქართული ლიტერატურის ისტორია“ (თბილისი, 1958), რომლის პირველი ნაწილი (ძველი მწერლობა) ჩემი დაწერილია. „ნარკვევის“ პირველივე აბზაცი ასე იკითხება (დოკუმენტური სიზუსტისათვის ტექსტები მომაქვს რუსულად): «Вопрос об истоках грузинской письменности не вызывает в настоящее время серьезных споров: Академик И. А. Джавахишвили убедительно обосновал тезис об ее дохристианском происхождении. Более того, он предполагал, что грузинская книжная письменность существовала за несколько веков до нашей эры“ (გვ. 7). შემდეგ ვამბობ, რომ ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებანი გაამაგრა არმაზულმა ბილინგვამ, რომლის რაობა გიორგი წერე-

თელმა გაარკვია. დასასრულ ვასკვნი: «Полностью соглашаясь с доводами И. А. Джавахишвили и Г. В. Церетели, мы можем уверенно сказать, что у картвельских (грузинских) племен существовала задолго до нашей эры, наряду с богатой народной поэзией, развитая книжная письменность" (с. 8).

ჩვენს ნარკვევში აღნიშნულია, რომ, თუმცა წარმართობის დროინდელ ლიტერატურას ჩვენ დრომდის არ მოუღწევია, მისი ნაკვალევი მკაფიოდ აღბეჭდილია უძველესი ქართული მწერლობის როგორც ნათარგმნ (ბიბლიური ტექსტები), ისე ორიგინალურ (მაგალითად, „შუშანიკის წამება") ძეგლებში. ამით აიხსნება ამ ძეგლების ენობრივ-სტილებრივი სრულყოფილება.

1975

ქართული მწერლობის კათედრის ისტორიიდან

უნივერსიტეტის დაარსებისთანავე, 1918 წლის პირველი სემესტრიდან, დაინიშნა ლექციები ქართული მწერლობის ისტორიაში. ძველი მხატვრული მწერლობის ისტორიას კითხულობდა პროფესორი იოსებ ყიფშიძე, საეკლესიო ისტორიასა და მწერლობას — პროფესორი კორნელი კეკელიძე, იოსებ ყიფშიძე მალე (1919 წელს) იმსხვერპლა. მაშინ ჩვენში მძვინვარე პარტახტიანმა ტიფმა. ძველი ქართული მწერლობის ორივე კურსის (საეროსი და სასულიეროსი) ხელმძღვანელობის ტვირთი ხანგრძლივად დააწვა კ. კეკელიძეს. 1920 წლიდან XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსის კითხვა მიენდო მხცოვან მეცნიერს, პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის კათედრის ყოფილ გამგეს ალექსანდრე ცაგარელს (1844-1929), რომელსაც სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტმა მიანიჭა დამსახურებული პროფესორის ახლადშემოღებული წოდება. ალ. ცაგარელი ღრმად მოხუცი იყო, უოჯახო, მარტოხელა კაცი, ცხოვრობდა ზუბალაშვილის სახელობის ინვალიდთა თავშესაფარში სასამართლოს ქუჩაზე (იმ შენობაში ახლა ბავშვთა საავადმყოფოა). ცაგარელს სისტემური კურსის გაძღოლა აღარ

შეეძლო, დროდადრო იგი გვიტარებდა ლექცია-საუბრებს ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ილია ჭავჭავაძეზე და აკაკი წერეთელზე. ალ. ცაგარელს განსაკუთრებით უყვარდა საუბარი იტალიური ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ე. წ. რისორჯიმენტოს გამოჩენილი პოეტის ლეოპარდის (1798—1837) შესახებ (ერთმანეთს ამსგავსებდა ლეოპარდისა და ჩვენს ბარათაშვილს). მახსოვს სიკო დოლიძესა და იასე ცინცაძესთან ერთად ალ. ცაგარელს გამოცდა ჩავაბარეთ ინვალიდთა სახლში.

ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია უნივერსიტეტში არსებითად არ ისწავლებოდა, ოღონდ უნივერსიტეტის შენობაში, უნივერსიტეტის ჩვეულებრივ აუდიტორიაში XIX ს. ქართული მწერლობის კურსს კითხულობდა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის ლექტორი, ცნობილი ისტორიკოსი და ფილოლოგი სერგი გორგაძე (1876-1929). საერთოდ, სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომელსაც პროფ. დიმიტრი უზნაძე განაგებდა, უნივერსიტეტში იყო შემოხიზნული. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტები ჩვენივე თაოსნობით ვისმენდით სერგი გორგაძის ლექციებს, ვესწრებოდით მის სემინარებსაც. 1923 წელს სიტყვიერების დარგის სტუდენტებმა მოვიწვიეთ კრება და დავადგინეთ, გვეთხოვა უნივერსიტეტისათვის ფაქტობრივი მდგომარეობის დადასტურება, ე. ი. ს. გორგაძის მოწვევა უნივერსიტეტის ლექტორად ან, ყოველ შემთხვევაში, ნება დაგვრთოდა, მოგვესმინა ს. გორგაძის კურსი და შესაფერისადვე ამ საგანში მისთვის ჩაგვებარებინა გამოცდები. ვეახელით ფაკულტეტის დეკანს პროფ. კ. კეკელიძეს. ბ-ნმა კორნელიმ თავაზიანად მიგვიღო, გულდასმით მოისმინა ჩვენი თხოვნა, გაეცნო სტუდენტთა კრების დადგენილების ოქმს (ეს ოქმი ახლა დაცულია კ. კეკელიძის კაბინეტში, მისი სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში)[1]. ს. გორგაძის უნივერსიტეტში ლექტორად მოწვევა ვერ მოხერხდებაო, გვითხრა ბ-ნმა კორნელიმ, უკვე შერჩეული გვყავსო საპროფესოროდ მოსამზადებლად ერთი ახალგაზრდა პედაგოგი და მკვლევარი, რომელსაც ახლო მომავალში დაეკისრება XIX ს. ქართული ლიტერატურის კურსის გაძღოლაო (ბ-ნ-კორნელის მხედველობაში ჰყავდა მიხეილ ზანდუკელი). მაგრამ ბ-ნმა კორნელიმ ნება დაგვრთო ფაკულტატური წესით

[1] კორნელი კეკელიძის პირადი არქივის აღწერილობა, შეადგინა რ. კავილაძემ, თბილისი, .1979, გვ. 48 (№ 866).

მოგვესმინა ს. გორგაძის ლექციები, სურვილისამებრ შეგვეტანა ეს კურსი და სემინარიც მატრიკულში, და ჩაგვებარებინა მისთვის გამოცდები (აგრეთვე სემინარული მუშაობის ჩათვლებიც ჩაგვეტარებინა). ამრიგად, უნივერსიტეტში დაშვებული იქნა ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის ფაკულტატური კურსის კითხვა და სემინარული მუშაობა ლექტორ სერგი გორგაძის ხელმძღვანელობით. ბ-ნ სერგი გორგაძის სემინარში პირადად მე წავიკითხე მოხსენება „ბატონყმობა საქართველოში დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ მიხედვით“. მოხსენებამ ცხოველი კამათი გამოიწვია. საერთოდ, ს. გორგაძის სემინარის მუშაობა საინტერესოდ და ცოცხლად მიმდინარეობდა.

1979

დიალოგი

(გურამ შარაძე და მოგონებათა ავტორი)

გ. შ ა რ ა ძ ე: ბატონო ალექსანდრე, როგორც ვიცით, თქვენ შეგისრულდათ დაბადების 75-ე წელი. თუ შეიძლება, მოკლედ გაგვაცანით თქვენი ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის მთავარი მომენტები.

პ ა ს უ ხ ი: სტუდენტობის პერიოდში (1920-1925 წლებში) ხელმოკლეობის გამო ერთდროულად მიხდებოდა სამსახურიც და სწავლაც. ფაქტობრივ უნივერსიტეტი დავამთავრე დაუსწრებლად. მონაწილეობას ვიღებდი მხოლოდ ძველი ქართული მწერლობის სემინარის მუშაობაში. ეს მუშაობა, საბედნიეროდ, საღამოობით ტარდებოდა. სემინარის ხელმძღვანელმა პროფესორმა კორნელი კეკელიძემ მოიწონა ჩემი სასემინარო ორი მოხსენება და სახელმწიფო გამოცდების დამთავრების შემდეგ შემომთავაზა დავრჩენილიყავი მასთან საპროფესოროდ მოსამზადებლად (ახლა ვიტყოდით — ასპირანტად) ძველ ქართულ საერო მწერლობაში. ეს მაცთუნებელი წინადადება, რასაკვირველია, მადლობით მივიღე და 1925 წლის ოქტომბრიდან დავინიშნე უნივერსიტეტთან დატოვებულად. უკვე 1927 წელს გამოვაქვეყნე პირველი ნაშრომი „შენიშვნები შაჰნამეს ქართული ვერსიების შესახებ“, რომელსაც, ვფიქ-

რობ, დღემდის არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ახლა სრულდება 50 წელიწადი ამ ნაშრომის გამოქვეყნებიდან.

1927 წლის სექტემბრიდან დამეკისრა უნივერსიტეტის სიძველეთსაცავის მცველის მოვალეობის შესრულება. 11 წლის განმავლობაში ბეჯითად ვსწავლობდი აქ საგანძურის უძვირფასეს ხელნაწერ კოლექციებს. დიდძალი მასალა დამიგროვდა. გამოვავლინე რიგი მანამდის უცნობი ლიტერატურული ძეგლი, მოვამზადე და დავბეჭდე არა ერთი და ორი სამეცნიერო ნარკვევი. კვლევა-ძიების პარალელურად ვეწეოდი პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1936 წელს დავიცავი სადოქტორო დისერტაცია („ანვარი სოჰაილის ანუ ქილილა და დამანას ქართული ვერსიები"). არ დარჩენილა ძველი ქართული საერო მწერლობის მნიშვნელოვანი საკითხი, რომლისთვისაც არ მიმეძღვნა სპეციალური ნაშრომი. იმთავითვე მაინტერესებდა ძველი ქართული საერო მხატვრული მწერლობის აღმოცენება-განვითარება და მისი კავშირი სპარსულენოვან კულტურულ სამყაროსთან (შაჰნამეს ქართული ვერსიები, „ვისრამიანი", „ქილილა და დამანა", „ხოსროვშირინიანი", „ბახთიარნამე"). მონოგრაფიულად შევისწავლე XV-XVIII საუკუნეების ქართული მწერლობის მთავარი წარმომადგენელნი (თეიმურაზ პირველი, ბესიკი, ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ბესიკი...). ჩემს განსაკუთრებულ ყურადღებას ყოველთვის იპყრობდა XII საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობა და ამ მწერლობის გვირგვინი შოთა რუსთველი. რიგ გამოკვლევებში გაშუქებული მაქვს „ამირანდარეჯანიანის", „ვისრამიანის", „აბდულმესიანისა" და „თამარიანის" ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები. ვრცელი ნაშრომით შეძლებისდაგვარად გავარკვიე რუსთველამდელი და რუსთველის დროინდელი ქართული საერო ძეგლების ჟანრობრივი და იდეურ-მხატვრული რაობა. რუსთველოლოგიურ პრობლემატიკას მივუძღვენი სამ ათეულამდე ნაშრომი. ვაქვეყნებ წერილების ციკლს — „ახალი რუსთველოლოგიური ლიტერატურა". ამ ციკლის წერილებში კრიტიკულად მაქვს განხილული ბოლო დროის თითქმის ყველა ანგარიშგასაწევი რუსთველოლოგიური გამოკვლევა და პუბლიკაცია. როგორც ცნობილია, რუსთველოლოგიური ლიტერატურა საერთოდ მდიდარია, ოღონდ ჩვეულებრივ ავტორები იკვლევენ უპირატესად რუსთველოლოგიის ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცალკეულ პრობლემებს, იგრძნობოდა და იგრძნობა განმაზოგადებელ-შემაჯამებელი ნაშრომების ნაკლებობა. ამ ხარვეზის ერთგვარად ამოვსებას ისახავს მიზნად ჩემი მონოგრაფიული ნარკვევი—„შო-

თა რუსთველი“, რომლის სამი გამოცემა არსებობს (1958, 1966, 1975). მე შევეცადე მოკლედ, სისტემურად და თანმიმდევრულად დამელაგებინა და გამეშუქებინა რუსთველოლოგიის ძირითადი საკითხები (როგორც ისტორიულ-ლიტერატურული, ისე ლიტერატურულ-მხატვრული). ამ ნაშრომზე ბევრი წამახალისებელი რეცენზია დაიბეჭდა, ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია ის მაღალი შეფასება, რომელიც მას მისცეს კორნელი კეკელიძემ და გიორგი ლეონიძემ.[1]

მე საკმაოდ მიწერია ლიტერატურულ ურთიერთობათა პრობლემატიკაზე, რაც შეჯამებული მაქვს რუსულად დაწერილ ნაშრომში „ლიტერატურული ურთიერთობანი ძველ საქართველოში“. რეალიზმის პრობლემისადმი მიძღვნილ საკავშირო კონფერენციაზე წავიკითხე და შემდეგ დავბეჭდე მოსკოვში (აგრეთვე თბილისში) ნაშრომი „რეალიზმის ნაკადი ძველ ქართულ მწერლობაში“. ცალკეული საკითხების კვლევა-ძიებასთან ერთად მიხდებოდა განმაზოგადებელი ხასიათის ნაშრომების მომზადება. 1954 წელს გამოქვეყნდა ძველი ქართული მწერლობის ვრცელი ისტორია. მისი პირველი ნაწილის (V—XI სს) ავტორია კ. კეკელიძე. მეორე ნაწილი (XII—XVIII სს) ჩემი დაწერილია. ამის საფუძველზე მოვამზადეთ და 1969 წელს გამოვეცით ძველი ქართული მწერლობის ისტორიის სახელმძღვანელო უმაღლესი სკოლებისათვის. უმაღლესი სკოლების სახელმძღვანელოდ იხმარება აგრეთვე რუსულად გამოქვეყნებული ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე კურსი (30 თაბახიანი), რომელიც მომზადდა ბ. ჟღენტთან და შ. რადიანთან ერთად (აქ მე მეკუთვნის ძველი მწერლობის ნაწილი). რუსული კურსი საჯაროდ იქნა განხილული მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე 1958 წელს და მან დიდი მოწონება დაიმსახურა.

ჩემი მუშაობის მნიშვნელოვანი უბანია ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტების მომზადება-პუბლიკაცია. დამოუკიდებლად ჩემ მიერ ან ჩემი თაოსნობით გამოქვეყნებულია თხზულებანი თეიმურაზ პირველისა (გ. ჯაკობიასთან ერთად), არჩილისა—ორ ტომად (ნ. ბერძენიშვილთან ერთად), ვახტანგ მეექვსისა, დავით გურამიშვილისა, ბესიკისა (ვ. თოფურიასთან ერთად), აგრეთვე „ვისრამიანი“ (ვ. ინგოროყვასა და კ. კეკელიძესთან ერთად), „შაჰნა-

---

[1] 1978 წელს ამ ნაშრომის მესამე გამოცემას მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის რესპუბლიკური პრემია (მაშინ დაიბეჭდა ჰაინც ფენრიხის მეტად დადებითი რეცენზიაც).

შეს“ ქართული პროზაული ვერსია, „ქილილა და დამანა“ (პ. ინგოროყვასთან და ე. მეტრეველთან ერთად), „კალმასობა“ ორ ტომად (ქ. კეკელიძესთან ერთად), „ნარგიზოვანი“, „ხოსროვ-შირინიანისა“ და „ბახთიარ-ნამეს“ ქართული ვერსიები. მე ვიყავი ვეფხისტყაოსნის 1937 წლის საიუბილეოდ გამოცემული ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი. ქ. კეკელიძესთან და აკ. შანიძესთან ერთად მოვამზადეთ პოემის 1951 და 1957 წლების გამოცემები, განსაკუთრებით აღსანიშნავია ვეფხისტყაოსნის ვარიანტებიანი ტექსტის პუბლიკაცია (1966 წლისა), რომელიც აკაკი შანიძის მოთავეობით და ჩემი თანარედაქტორობით მომზადდა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებობს ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი საგანგებო კომისია, რომლის მთავარი რედაქტორი გარდაცვალებამდე იყო აკადემიკოსი გიორგი წერეთელი. 1973 წლის შემოდგომიდან ეს საპატიო, მაგრამ ფრიად საპასუხისმგებლო, მოვალეობა მე დამეკისრა. ვეფხისტყაოსნის ყველა ხელნაწერისა და ყველა ბეჭდური გამოცემის ვარიანტების შეჯერების საფუძველზე უკვე დადგენილია პოემის რვაასამდე სტროფი. ფართო მკითხველი საზოგადოების ინფორმირების მიზნით ჟურნალ „მაცნეში“ იბეჭდება მთავარი რედაქციის სხდომათა ოქმები და დადგენილი ტექსტები, საერთოდ, კარგად ვეწყობოდი და ვეწყობი კოლექტიურსა და კოლეგიურ მუშაობას უფროსებთანაც, ტოლებთანაც და უმცროსებთანაც. რიგი ნარკვევი მაქვს გამოქვეყნებული ჩემს უმცროს კოლეგებთან და მოწაფეებთან ერთად.

კ ი თ ხ ვ ა: თქვენი ნაშრომებიდან რომელს გამოყოფდით და უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევდით?

პ ა ს უ ხ ი: მონოგრაფიულ გამოკვლევებს—„ანვარი სოჰაილის ანუ ქილილა და დამანას ქართული ვერსიები“, „შოთა რუსთველი და მისი პოემა“, „სულხან-საბა ორბელიანი“. გამოკვლევა ქილილა და დამანაზე ჩემი პირველი დიდი მონოგრაფიაა, მან მომპოვებინა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ქილილა და დამანას გამოკვლევა და მისი ქართული ვერსიების სპარსულ დედანთან შეჯერება დავისახე მიზნად „ჟამსა ჭაბუკობისასა“ (1928-1930 წლებში). დიდი შრომა და რუდუნება შევალიე, მაგრამ თითქო თავი გავართვი და შედეგიც თვალსაჩინო მივიღე, გამოვავლინე „ქილილა და დამანას“ უცნობი ვერსია, რომელიც პწკარედად ეთარგმნა ვახტანგ მეექვსეს, ხოლო „გაეჩალხა“, ლიტერატურულად დაემუშავებინა სულხან-საბა ორბელიანს. დაზუსტდა და გაირკვა მთელი რიგი რთული და სადავო საკითხები.

კ ი თ ხ ვ ა: როგორია თქვენი მოღვაწეობა პედაგოგიურ სარბიელზე?

პ ა ს უ ხ ი: პედაგოგიურ მოღვაწეობას ვეწევი ძირითადად თბილისის უნივერსიტეტში უწყვეტლად 50 წლის მანძილზე. 1927 წლიდან (როგორც ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგე) ვკითხულობდი და ვკითხულობ ძველი ქართული მწერლობის ისტორიას და რუსთველოლოგიის სპეციალურ კურსს. სხვადასხვა დროს ლექციებს ვკითხულობდი და ქართული მწერლობის ისტორიის კათედრებს განვაგებდი თბილისის, ქუთაისისა და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.

კ ი თ ხ ვ ა: მოკლედ გვიამბეთ თქვენს სამეცნიერო-ადმინისტრაციულ საქმიანობაზე.

პ ა ს უ ხ ი: ერთი წელი ვიყავი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი; ხუთი წელი — პრორექტორი სამეცნიერო დარგში. დღიდან დაარსებისა, ე. ი. 1942 წლიდან, 1966 წლამდე ვხელმძღვანელობდი რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილებას, ზოგჯერ ერთდროულად ორ განყოფილებას (ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის განყოფილებებს). 1966 წლის სექტემბრიდან ვარ ამ ინსტიტუტის დირექტორი. 1952-1955 წლებში ვასრულებდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობას.

კ ი თ ხ ვ ა: რას გვეტყოდით სამეცნიერო კადრების აღზრდის თაობაზე.

პ ა ს უ ხ ი: მე მოვამზადე ოცდაათამდე მეცნიერი მუშაკი, მათ შორის ათზე მეტი დოქტორია, რომლებიც წარმატებით ეწევიან სამეცნიერო-კვლევითსა თუ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. ესენია: ელენე მეტრეველი (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი), ივანე ლოლაშვილი და სარგის ცაიშვილი (ლიტერატურის ინსტიტუტის განყოფილებათა ხელმძღვანელები), რევაზ ბარამიძე, მერი გუგუშვილი, ნინო მახათაძე, გივი მიქაძე (პუშკინის ინსტიტუტის კათედრის გამგე), დავით ბრეგაძე (ქუთაისის პედინსტიტუტის კათედრის გამგე), ელგუჯა ხინთიბიძე (უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი), რევაზ სირაძე (უნივერსიტეტის პროფესორი) (ე. ხინთიბიძე და რ. სირაძე კ. კეკელიძემ დაიტოვა კათედრასთან. კ. კეკელიძის გარდაცვალე-

ბის შემდეგ მათი მომზადების ხელმძღვანელობა მე დამეკისრა), გურამ შარაძე. არსებითად ჩემი მოწაფეები არიან პროფესორები ლევან მენაბდე (უნივერსიტეტის ძველი მწერლობის კათედრის გამგე), ალექსანდრე გვახარია და მიხეილ მახათაძე (გორის პედინსტიტუტის პროფესორი). ჩემი მოწაფეები არიან აზერბაიჯანელი მკვლევარი დილარა ალიევა და უდროოდ გარდაცვლილი სომეხი რუსთველოლოგი მ. ბაბურიანი. საიმედო მკვლევრები არიან ჩემი მოწაფეები — მეცნიერებათა კანდიდატები გრიგერ ფარულავა, რიმა ფირცხალაიშვილი, მანანა გიგინეიშვილი, ლიანა კეკელიძე, ლალი ძოწენიძე, ბორის დარჩია, ქეთევან სანიკიძე, მიხეილ ქავთარია, ციალა კარბელაშვილი და სხვ. სწავლის პერიოდში (და შემდეგაც) ჩემს მოწაფეებს მზრუნველობას არ ვაკლებდი, მაგრამ საზიანოდ მიმაჩნდა ზედმეტი მეურვეობა ანუ ეგრეთ წოდებული „ძიძაობა“, „ძიძაობა“ მოზარდს უდუნებს პასუხისმგებლობის გრძნობას და უჩლუნგებს თაოსნობის, დამოუკიდებელი კვლევის და აზროვნების უნარს. სწორი დავალება, დავალების შესრულებათა მიმდინარეობის დროული და ფრთხილი კონტროლი, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მომთხოვნელობა უნდა დაედოს საფუძვლად მომავალი მეცნიერი მუშაკის წრთობის საქმეს. ასე მზრდიდა ჩემი მასწავლებელი. ასეთ მეთოდს ვიყენებდი ჩემი მოწაფეების მიმართაც.

რასაკვირველია, გარდა უშუალოდ ჩემი მოწაფეებისა, კონსულტაციებს სხვებსაც ვუწევდი. მაგალითად. პროფ. კ. გრიგოლია იგონებს, რომ სპარსულ ენაში მოსამზადებლად იგი ივანე ჯავახიშვილმა ჩემთან გამოგზავნა (დიდი მოძღვარი, „მნათობი“, 1976, №8, გვ. 178), რაც დიდად მეამაყება. ვსარგებლობ შემთხვევით და აღვნიშნავ, რომ თუმცა ივანე ჯავახიშვილი ფორმალურად არ ყოფილა ჩემი უშუალო ხელმძღვანელი, ნამდვილად იგი იყო ჩემი სათაყვანებელი მოძღვართმოძღვარი, რომელიც მუდმივად თვალყურს ადევნებდა ჩემს მუშაობას. ჩემი ადრინდელი სამეცნიერო მოხსენებები (1931 წლამდის) იკითხებოდა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებაში, რომლის თავმჯდომარე ივანე ჯავახიშვილი ბრძანდებოდა. ჩემი მოხსენებების პირველი წამახალისებელი და დამფასებელიც სწორედ ივანე ჯავახიშვილი გახლდათ.

კ ი თ ხ ვ ა: სიტყვა ბუნებრივად ჩამოვარდა მასწავლებლისა და მოწაფის შესახებ. რას გვეტყოდით, ბატონო ალექსანდრე, თქვენს მასწავლებლებზე?

პ ა ს უ ხ ი: უნივერსიტეტში დატოვების შემდეგ ჩემი უშუალო, მაპროფილებელი სპეციალობის მასწავლებელი იყო პროფესორი კორნელი კეკელიძე, ძველ ქართულსა და არაბულ ენას მასწავლიდა პროფესორი აკაკი შანიძე, სპარსულ ენასა და ლიტერატურას — პროფესორი იუსტინე აბულაძე.

კ. კეკელიძეს მალე უსრულდება დაბადების მე-100 წელი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ უკვე შეიმუშავა რიგი ღონისძიებებისა, რაც უნდა განხორციელდეს ამ თარიღთან დაკავშირებით, გამოიცემა კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორიის ცნობილი ორტომეული, დამთავრდება მისი „ეტიუდების“ ბეჭდვა. გამოქვეყნდება კ. კეკელიძის პირადი არქივის მეცნიერული აღწერილობა (კ. კეკელიძის არქივი და ბიბლიოთეკა დაცულია მისივე სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში). მომზადდება და დაიბეჭდება ნარკვევი კ. კეკელიძის ცხოვრებასა და სამეცნიერო მოღვაწეობაზე, მისი ბიბლიოგრაფია. 1978 წლის შემოდგომაზე ჩვენი ქვეყანა ღირსებისამებრ აღნიშნავს კ. კეკელიძის უსაყვარლესი თხზულების, ქართული მწერლობის ჩვენ დრომდე მოღწეული პირველი ბრწყინვალე ძეგლის „შუშანიკის წამების“ 1500 წლისთავს. საიუბილეოდ გამოიცემა „შუშანიკის წამების“ კეკელიძისეული რუსული თარგმანი, აგრეთვე მისივე გამოკვლევა ამ ძეგლის შესახებ. კ. კეკელიძე ალბათ ვერც წარმოიდგენდა, რომ ჩვენს დროში შესაძლებელი გახდებოდა აგიოგრაფიული ჟანრის ამ ნაწარმოების მიმართ ასეთი დიდი ყურადღება და დაფასება. კ. კეკელიძის ხსოვნის უკვდავყოფისა და მისი საქმიანობისადმი დიდი პატივისცემის საბუთია, მაგალითად, მეცნიერული პუბლიკაცია ძველი ქართული მწერლობის იმ უძვირფასესი, ვეებერთელა ძეგლისა, როგორიცაა „დიდი სჯულისკანონი“ (თბილისი, 1975; ცოტათი ადრე დაიბეჭდა „მცირე სჯულისკანონი“). კ. კეკელიძემ სიცოცხლეშივე გარკვეული შრომა გასწია ამის გამოსაცემად, მაგრამ განზრახვა განუხორციელებელი დარჩა. ახლა ფრთები შეესხა მის სანუკვარ ოცნებას. კ. კეკელიძეს გაახარებდა ელენე მეტრეველის შესანიშნავი პუბლიკაცია შესაფერისი გამოკვლევითურთ „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ (თბილისი, 1971). საერთოდ, ჩვენს დროში დიდი წარმატებით ვითარდება ის კეთილი საქმე, რასაც საფუძველი დაუდო სახელოვანმა ქართველმა მეცნიერმა.

კ ი თ ხ ვ ა: რაზე მუშაობთ ახლა, როგორია თქვენი უახლოესი გეგმები?

პ ა ს უ ხ ი: ძალიან დიდი დრო მიაქვს მიმდინარე საქმიანობას..

ჰადრაკის ენით რომ ვთქვათ, „ცაიტნოტში“ ვიმყოფები. მაინც წარმოებას გადავეცი ორი წიგნი: „ნარკვევები ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან“ VII და „ძველი ქართული მწერლობის პრობლემები“, ლენინგრადში დაიბეჭდა ჩემი ვრცელი შესავალი წერილით, შენიშვნებითა და რედაქციით ვეფხისტყაოსნის ზაბოლოცკისეული რუსული თარგმანი, ჩემივე შესავალი წერილითა და რედაქციით გამოვიდა თბილისში რუსთველის პოემის ნუცუბიძისეული თარგმანი. ამ დღეებში მივიღეთ ვეფხისტყაოსნის ახალი ინგლისური თარგმანი, რომელიც გამოსცა „იუნესკომ“ ამერიკაში. მთარგმნელია ცნობილი ქართველოლოგი რობერტ სტივენსონი. „იუნესკოს“ გამოცემას ახლავს ჩემი ნარკვევი რუსთველის ცხოვრება-შემოქმედებაზე და ვეფხისტყაოსნის მსოფლიო მნიშვნელობაზე. ჩემივე მოკლე წინასიტყვით გამოქვეყნდა წელს ლონდონში ქეთრინ ვივიანის ახალი პროზაული თარგმანი ვეფხისტყაოსნისა ინგლისურ ენაზე. ვოცნებობ, დავამთავრო და გამოვაქვეყნო მოგონებების წიგნი. რამდენიმე ფრაგმენტი ამ წიგნიდან უკვე დაიბეჭდა ჩვენს პრესაში. განზრახვები და წამოწყებები ბევრი მაქვს თუ ასაკმა დამინდო და ჯანმრთელობამ არ მიღალატა.

კ ი თ ხ ვ ა: რას გვეტყოდით თქვენს საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.

პ ა ს უ ხ ი: საზოგადოებრივი ხასიათის საქმიანობას ორი მხარე აქვს. ერთია, ასე ვთქვათ, საზოგადოებრივ საწყისზე მუშაობა იმავე სამეცნიერო სფეროში, მეორეა საკუთრივ საზოგადოებრივ სარბიელზე მოღვაწეობა. ვარ ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის სერიის „მაცნეს“ რედაქტორი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი (აგრეთვე ქართული ლიტერატურის სექციის თავმჯდომარე), თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრი, წევრი სხვადასხვა აკადემიური კომისიებისა და სამეცნიერო საბჭოებისა, ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული დოქტორის ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარე და სხვა.

საზოგადოებრივი მოღვაწეობის უმთავრესი სარბიელია ჩემთვის საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოება და საზოგადოება „ცოდნა“. ვარ დასახელებული პირველი საზოგადოების გამგეობის წევრი, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის

საზოგადოების გამგეობის წევრი და საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური განყოფილების თავმჯდომარე. ასევე წევრი ვარ „ცოდნის“ რესპუბლიკური საზოგადოების გამგეობისა და ამ საზოგადოების თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე. წევრი ვარ აგრეთვე საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობისა.

კ ი თ ხ ვ ა: როგორ ართმევთ თავს სამეცნიერო-ადმინისტრაციულ, სამეცნიერო-კვლევითს, სამეცნიერო-პედაგოგიურსა და საზოგადოებრივ მუშაობას?

პ ა ს უ ხ ი: რა თქმა უნდა, ეს ძნელია, მაგრამ დიდად მიწყობს ხელს შრომის რაციონალური ორგანიზაციის რეჟიმი და მკაცრი შინაგანი დისციპლინა, რასაც შემაჩვია ჩემმა მასწავლებელმა კ. კეკელიძემ.

კ ი თ ხ ვ ა: თქვენი ჰობი?

პ ა ს უ ხ ი: ფეხბურთი, ახალგაზრდობაში მეც გატაცებით ვთამაშობდი ფეხბურთს, თბილისის „დინამოს“ გულწრფელა და ერთგული გულშემატკივარი ვარ. მახარებს მისი ყველა წარმატება.

1977

ქართული მწერლობის საკვლევაძიებო ცენტრი

პირველი ქართული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ჰუმანიტარული მეცნიერების დარგში იყო „ელხი“ (ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების ინსტიტუტი), რომელიც შეიქმნა თბილისის უნივერსიტეტის წიაღში 1933 წლის სექტემბრიდან პროფესორების ლევან აღნიაშვილისა და სიმონ ხუნდაძის თაოსნობით. „ელხში“ მუშაობა მიმდინარეობდა სექციების მიხედვით. მისი პირველი საზრუნავი გახდა დიდი სპარსელი პოეტის ფირდოუსის დაბადების ათასი წლის იუბილეს ჩატარება 1934 წლის ადრეულ შემოდგომაზე. ამას დაერთო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გენიალური ქართული პოემის „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის 750 წლისთავის აღნიშვნის თაობაზე. საქმე დიდი იყო. დიდი

იყო ენთუზიაზმიც. მალე მოხდა „ელხის“ რეორგანიზაცია. ენის, ისტორიისა და ხელოვნების სექციები გადავიდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სისტემაში და საფუძველი ჩაეყარა „ენიმკის“ (ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტს). ლიტერატურის სექცია დარჩა უნივერსიტეტთან ლიტერატურის ინსტიტუტის სახით. მისი მუშაობა საგრძნობლად შეიზღუდა „ვეფხისტყაოსნის“ იუბილეს ჩატარების, ე. ი. 1937 წლის შემდეგ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსებამ 1941 წლის თებერვალში (საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-20 წლისთავზე) მძლავრი სტიმული მისცა ჩვენი ეროვნული მეცნიერების წინსვლას, თუმცა რამდენიმე თვის შემდეგ საბჭოთა კავშირს ვერაგულად თავს დაესხა ფაშისტური გერმანია და ქვეყანა უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ჩვენ მუდამ საამაყოდ და სასიქადულოდ გვრჩება ის გასაოცარი ფაქტი, რომ სწორედ საბჭოთა ქვეყნის უკიდურესი განსაცდელის ჟამს, 1942 წლის აგვისტოში დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის შემსწავლელი ეს მნიშვნელოვანი ცენტრი. რაღა თქმა უნდა, რუსთაველის სახელობის ინსტიტუტი მაშინ ძალიან პატარა იყო, სულ 13 მეცნიერ თანამშრომელს ითვლიდა. მით უფრო დიდი იყო ჩვენი სიხარული, მით უფრო უზომო იყო ჩვენი სურვილი, ღირსეულად გვეპასუხა საბჭოთა ხელისუფლების ამ ფასდაუდებელი ამაგისათვის. ინსტიტუტს სათავეში ედგა და მისი სულისჩამდგმელი იყო გამოჩენილი ქართველი მეცნიერი კორნელი სამსონის ძე კეკელიძე.

დაარსებისას ლიტერატურის ინსტიტუტში შეიქმნა სამი განყოფილება—ძველი მწერლობისა (ხელმძღვანელი კ. კეკელიძე), ახალი მწერლობისა (ხელმძღვანელი ალ. ბარამიძე), ფოლკლორისა (ხელმძღვანელი კ. დონდუა). შემდეგ ინსტიტუტი თანდათან გაიზარდა და გაფართოვდა. მისი დაკომპლექტება ხდებოდა უპირველესად ინსტიტუტისავე წიაღში მომზადებული ახალგაზრდა ძალებით. ჩვენ ვუმზადებდით და ვუმზადებთ სამეცნიერო კადრებს საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებს (აფხაზეთს, აჭარას და სამხრეთ ოსეთს), კავკასიის მთიანეთის ხალხებს, ნაწილობრივ აგრეთვე სომხეთსა და აზერბაიჯანს.

ამჟამად ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა რიცხვმა ასსამოცს გადააჭარბა. თავიდანვე ინსტიტუტის ყოველწლიური ბეჭდვი-

თი ორგანო იყო „ლიტერატურული ძიებანი“. გამოქვეყნებულია „ძიებათა“ ჩვიდმეტი მოზრდილი ტომი. შემდეგ ინსტიტუტი გადავიდა თემატიკური სერიების და თემატიკური კრებულების გამოცემაზე. რა თქმა უნდა, იბეჭდებოდა ცალკეული წიგნების სახით მონოგრაფიული გამოკვლევებიც.

რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის ამოცანა იმთავითვე მკაფიოდ იყო განსაზღვრული: ქართული მწერლობის ნაკლებ შესწავლილი საკითხების კვლევა-ძიება, ტრადიციული პრობლემების მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის თვალსაზრისით გაშუქება, მიმდინარე ლიტერატურული პროცესის ანალიზი და კრიტიკული განხილვა ახალი ლიტერატურული პროდუქციისა, კლასიკური მემკვიდრეობის მეცნიერული პუბლიკაცია, მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ისტორიის სრულფასოვანი მეცნიერული კურსის შედგენა.

ინსტიტუტმა სხვადასხვა დროს მოამზადა და გამოაქვეყნა ქართველ კლასიკოსთა მრავალი თხზულება თუ თხზულებათა კრებულები. სანიმუშოდ დავასახელებ მხოლოდ ზოგიერთს: სულხან-საბა ორბელიანის თხზულებანი ოთხ ტომად, გურამიშვილის „დავითიანი“, ნ. ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას თხზულებათა მრავალტომეულები, თანამედროვე საბჭოთა მწერლების თხზულებათა სრული ან რჩეული კრებულები (ვასილ ბარნოვისა, ნიკო ლორთქიფანიძისა, მიხეილ ჯავახიშვილისა, გალაკტიონ ტაბიძისა, ალიო მირცხულავასი...). გადაცემულია გამოსაცემად ი. გრიშაშვილის თხზულებათა სრული კრებულის პირველი ტომები. მომზადებულია და სტამბას ელოდება სხვა ავტორთა ნაწერებიც. რა თქმა უნდა, ინსტიტუტის ყველა პუბლიკაცია შესაფერისი მეცნიერული დონისა არ არის (მაგალითად, შეცდომები გაჰყვა გ. ტაბიძის თორმეტტომეულს), მაგრამ საერთოდ ქართული მხატვრული მწერლობის ძეგლთა პუბლიკაციის მხრივ ლიტერატურის ინსტიტუტს დიდად სასარგებლო საქმე აქვს გაკეთებული. 1957 წლიდან XIX—XX საუკუნეთა კლასიკოსების თხზულებათა გამოცემას მოთავეობს ამ წელს დაარსებული ტექსტოლოგიის განყოფილება.

ჯერ კიდევ „ელხის“ პერიოდში მომზადდა ვეფხისტყაოსნის პირველი საიუბილეო გამოცემა 1937 წლისა. სამწუხაროდ, სპეციალისტთა კომისიის მიერ გამზადებული ამ გამოცემის ტექსტი ისე ვერ დაიბეჭდა, როგორც თავიდანვე იყო განზრახული. ამისდა მიუხედავად, 1937 წ. გამოცემა თავის დროზე კანონიკურად იქნა მიჩნეული, ნამ-

დვილად კი მას ბევრი ნაკლი ახასიათებდა. ლიტერატურის ინსტიტუტმა ორჯერ გამოუშვა (1951 და 1957 წლებში) საიუბილეო გამოცემის რედაქციულად რამდენადმე გაუმჯობესებული ტექსტი. პარალელურად ინტენსიურად მიმდინარეობდა პოემის მომავალი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემის სამზადისი. ამ მიზნით ინსტიტუტმა 1956 წელს დაბეჭდა ვეფხისტყაოსნის სრული ტექსტი ჩანართ-დანართებითურთ და მას შეუდგინა ვარიანტები ყველა ძირითადი ხელნაწერისა და ბეჭდური გამოცემის მიხედვით. ვარიანტები დაიბეჭდა ხუთ ცალკე წიგნად. გამოვეცით პოემის სტროფული შედგენილობის სრული ინდექსი, გამოვაქვეყნეთ რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფიის ვეებერთელა ტომი (80 თაბახის მოცულობისა, ავტორი გ. იმედაშვილი). შევადგინეთ ვეფხისტყაოსნის ჩვენ დრომდის მოღწეული ყველა ხელნაწერისა და ფრაგმენტის მეცნიერული აღწერილობა (ს. ცაიშვილი), გადავაღებინეთ ვეფხისტყაოსნის როგორც საქართველოს ფონდებში არსებული, ისე მის გარეთ დაცული ხელნაწერების ფოტოპირები (მივიღეთ პარიზისა და ოქსფორდის ხელნაწერების მიკროფილმები). ერთი სიტყვით, როგორც აკაკი შანიძე ამბობს, ლიტერატურის ინსტიტუტში შეიქმნა ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემის შემზადებისათვის საჭირო სოლიდური ბაზა. შედეგმაც არ დააყოვნა. 1966 წელს გამოვიდა ვეფხისტყაოსნის ე. წ. ვარიანტებიანი კრიტიკული ტექსტი (ა. შანიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით). მართალია რუსთაველის პოემის ამომწურავი სისრულის ვარიანტების, კომენტარებისა და ლექსიკონის მქონე აკადემიური გამოცემა მომავლის საქმედ რჩება. ასეთ გამოცემას ამზადებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბებული სპეციალური კომისია, რომლის აქტიური მონაწილეა ლიტერატურის ინსტიტუტი.

რუსთველოლოგიური საქმიანობის გაფართოებამ შეაპირობა რუსთველოლოგიის დამოუკიდებელი სამეცნიერო განყოფილების შექმნა 1957 წელს. იგი გამოეყო ძველი მწერლობის განყოფილებას, რომელსაც ინსტიტუტის დაარსების დღიდან 1960 წლამდის ხელმძღვანელობდა კ. კეკელიძე (1974 წლიდან ძველი მწერლობის განყოფილებას ხელმძღვანელობს ი. ლოლაშვილი). რუსთველოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად დაინიშნა ამ სტრიქონების ავტორი. 1967 წლიდან განყოფილების ხელმძღვანელობა დაეკისრა ს. ცაიშვილს. ინსტიტუტში შეიქმნა საგანგებო სერია „რუსთველოლოგიური ძიებანი“ (ამ სერიით

დაიბეჭდა 12 წიგნი). კვლევა-ძიება გაიშალა რუსთველოლოგიის ყველა სფეროში, გამოქვეყნდა არა ერთი და ორი წიგნი და მრავალრიცხოვანი ნარკვევი რუსთველოლოგიის ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორიცაა ტექსტოლოგია და სხვა ისტორიულ-ლიტერატურული პრობლემატიკა, ვეფხისტყაოსნის ავტორის მხატვრული ენა და პოემის სტრუქტურა, მხატვრულ სახეთა სისტემა, მსოფლმხედველობა, პოემის ეროვნულ-ხალხური საფუძვლები, ბრძოლა რუსთველის პოეტური მემკვიდრეობის გარშემო, ვეფხისტყაოსანი და შუა საუკუნეთა ეპიკური პოეზია, რუსთველი და რენესანსის პრობლემა, ვეფხისტყაოსნის თარგმანები, ვეფხისტყაოსანის ადგილი ქართულსა და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში...

ამ სტრიქონების ავტორმა გამოაქვეყნა ვრცელი მონოგრაფია „შოთა რუსთველი და მისი პოემა“ (1958, 1966, 1975), სადაც შეჯამებულად და განზოგადებულად განხილულია რუსთველოლოგიის ყველა ძირითადი საკითხი. ლიტერატურის ინსტიტუტის კონსულტაციით მომზადდა ვეფხისტყაოსნის რამდენიმე თარგმანი, მათ შორის ორი ახალი თარგმანი უცხოურ ენებზე—ჰერმან ბუდენზიგისა (გერმანულ ენაზე) და ქეთრინ ვივიანისა (ინგლისურ ენაზე). ჩვენთან თანამშრომლობით ახლა პოემას თარგმნიან ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ლუის სოლანო და ბასკეთის აკადემიის წევრი პროფესორი შაბიერ კინტანა. საერთოდ, რუსთველის სახელობის ინსტიტუტს საქმიანი კონტაქტები აქვს დამყარებული საზღვარგარეთელ ქართველოლოგებთან, კერძოდ, რუსთველოლოგებთან. ინსტიტუტის მუშაკები აქტიურად თანამშრომლობენ ნინო და კალისტრატე სალიების სერიოზულ ქართველოლოგიურ ორგანოში „რევიუ დე ქართველოლოჟი“ (გამოდის პარიზში).

იმასაც აღვნიშნავ, რომ ლიტერატურის ინსტიტუტის ათმა თანამშრომელმა სადისერტაციო შრომა დაიცვა რუსთველოლოგიურ თემატიკაზე (ოთხმა სადოქტორო და ექვსმა საკანდიდატო).

ნიმუშისათვის ჩვენ შედარებით ვრცლად მიმოვიხილეთ ინსტიტუტის მუშაობა რუსთველოლოგიის დარგში. დაახლოებით ასეთივე ინტენსიური მუშაობაა გაშლილი სხვა დარგებშიც, მაგრამ, სამწუხაროდ, იმათ აქ ვეღარ ვეხები. ვიტყვი მხოლოდ, რომ ინსტიტუტში წარმატებით მუშავდება ისეთი თემები, როგორიცაა ქართული საერო-მხატვრული მწერლობის აღმოცენება-განვითარება, ქართული კლასიკური და გვიანფეოდალური მწერლობა, შემოქმედებითი მიმართულებანი (მი-

მდინარეობანი) ქართულ მწერლობაში — მათი ხასიათი და განვითარების კანონზომიერებანი, ეროვნულ-პატრიოტული და რევოლუციურ-დემოკრატიული ნაკადი ქართულ მწერლობაში, ქართული საზოგადოებრივი აზრი და კრიტიკა, ქართული პრესა ... ინსტიტუტის ერთ-ერთი წამყვანი საკვლევაძიებო პრობლემაა ლიტერატურული ურთიერთობანი ძველად და ახლა. განსაკუთრებით ფართოდ შეისწავლება რუსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი დიდ ისტორიულ მანძილზე კიევის რუსეთიდან დღემდე. ინსტიტუტის თემატიკაში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი მოძმე საბჭოთა ხალხებთან კულტურული ურთიერთობის, ურთიერთთან დაახლოების, ურთიერთზე კეთილისმყოფელი ზემოქმედების, ურთიერთის სულიერად გამდიდრების პროცესის თანამედროვე ვითარების გაშუქებას. ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისათვის ტრადიციული იყო ქართულ-ბერძნულ, ქართულ-სომხურ, ქართულ-სპარსულ (სპარსულენოვან სამყაროსთან) კულტურულ ურთიერთობათა კვლევა-ძიება. ეს ტრადიცია გრძელდება ლიტერატურის ინსტიტუტის სინამდვილეშიც.

ბოლო დროს ინსტიტუტი საკმაო წარმატებით იკვლევს ქართულ-დასავლეთევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხებსაც. ლიტერატურულ ურთიერთობათა პრობლემატიკის გაღრმავებული დამუშავებისა და კოორდინირების ორგანიზაციის მიზნით ინსტიტუტში შეიქმნა ორი სპეციალური განყოფილება. დიდსა და ფრიად ნაყოფიერ კვლევაძიებით მუშაობას ეწევა ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიის განყოფილება. ამ განყოფილებამ მოამზადა და გამოაქვეყნა პირველად ქართულ ენაზე ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლების ორიგინალური კურსი და აგრეთვე ლიტერატურულ ტერმინთა ლექსიკონი. ინსტიტუტისათვის ყოველთვის ტონის მიმცემი იყო საბჭოთა ლიტერატურის განყოფილების საქმიანობა. დიდი და საინტერესო ამოცანების გადაწყვეტა უხდება ინსტიტუტში ახლად დაარსებულ ჟურნალისტიკის განყოფილებას. XIX საუკუნის დიდი ქართული მწერლობის საკითხებს სიღრმისეულად სწავლობს ახალი ქართული მწერლობის განყოფილება. ბოლოს ორიოდე სიტყვა ფოლკლორის განყოფილებაზე. ქართული ხალხური სიტყვიერების მასალები ჩვენში წინათაც ქვეყნდებოდა. ფოლკლორის განყოფილება ორგანიზებულად და გეგმაშეწონილად აწყობს ექსპედიციებს საქართველოს ყველა კუთხეში ხალხური სიტყვიერების მასალების შესაგროვებლად. ამჟამად ინსტიტუტს აქვს ფოლკლორული ტექსტების დიდი საკუთარი ფონდი, ფოლკლორული

მასალების შეგროვება, კლასიფიკაცია, შესწავლა და მეცნიერული პუბლიკაცია არის განყოფილების საპატიო მოვალეობა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ფოლკლორისტიკა, როგორც სამეცნიერო დისციპლინა შეიქმნა საბჭოთა პერიოდში. ლიტერატურის ინსტიტუტმა მოამზადა ქართული ხალხური პოეზიის სრული კორპუსი, რომელიც ჭეყნდება კიდევაც. მომზადდა ფოლკლორისტთა კვალიფიციური კადრები. გამოქვეყნდა ბევრი მნიშვნელოვანი ნაშრომი. მრავალთაგან დავასახელებ მხოლოდ უდროოდ გარდაცვლილი ნიჭიერი ქართველი ფოლკლორისტი ქალების ქსენია სიხარულიძისა და ელენე ვირსალაძის წიგნებს — „ქართული ფოლკლორის ისტორიისა და თეორიის საკითხები“ (ქს. სიხარულიძისა, თბილისი. 1976) და „ქართული სამონადირეო მითი და პოეზია“ (ე. ვირსალაძისა რუსულ ენაზე. მოსკოვი, 1976).

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარი საზრუნავი იყო მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ისტორიის სრულფასოვანი კურსის შედგენა. ეს უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანა რამდენადმე მაინც შეიძლება გადაჭრილად ჩაითვალოს. ინსტიტუტმა დროულად გამოყო კვალიფიციურ ავტორთა კოლექტივი (კოორდინაციის წესით თანამშრომლებად მოწვეული იყვნენ გარეშე პირებიც), რომელმაც კურსის შედგენა დაგეგმა ექვს დიდ ტომად (თითოეული ტომის მოცულობაა დაახლოებით 50 თაბახი). ამ კურსის პირველი ოთხი ტომი უკვე გამოსულია, იბეჭდება მეხუთე ტომი, მალე წარმოებას გადაეცემა მეექვსე ტომი, რომელიც მოიცავს საბჭოთა მწერლობის პერიოდს. მეექვსე ტომის უჭონლობას ერთგვარად ავსებს ქართული საბჭოთა მწერლობის ისტორიის ის მოზრდილი ნარკვევი, რომელიც წელს გამოქვეყნდა მოსკოვში რუსულ ენაზე. ნარკვევი მომზადდა რუსთაველის სახელობის ინსტიტუტისა და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის გორკის სახელობის ინსტიტუტის საერთო ძალ-ღონით. ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის ეს რუსული კურსი ჩვენ ვუძღვენით ოქტომბრის დიდი რევოლუციის მე-60 წლისთავს. რუსულ ენაზე გამოქვეყნდა 1958 წელს ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე კურსი უძველესი დროიდან დღემდის, რომელიც მკითხველმა საზოგადოებამ კარგად შეაფასა. ლიტერატურის ინსტიტუტში მომზადდა ძველი ქართული მწერლობის ისტორიის საუნივერსიტეტო კურსიც (ავტორები — კ. კეკელიძე და ალ. ბარამიძე). ამჟამად ინსტიტუტი მუშაობს ქართული ლიტერატურის ისტორიის რუსული სამტომეუ-

ლის მომზადებაზე. რუსთაველის სახელობის ინსტიტუტი აქტიურ მონაწილეობას იღებს მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურისა და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიების შედგენაში, რომელთაც სცემს გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი.

ლიტერატურის ინსტიტუტი ახლო მონაწილეობას იღებს ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემაში.

ასეთია ერთი თვალის გადავლებით ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის საქმიანობა ამ ინსტიტუტის არსებობის 35 წლის მანძილზე. მიღწევები უდავოა, მაგრამ, რასაკვირველია მიღწეული და მოპოვებული სრულიად არ არის საკმარისი, მდიდარი ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის ყოველმხრივი და ღრმა-მეცნიერული შესწავლა რჩება მომავლის საქმედ.

1977

ახმეტაში

(რაფიელ ერისთავის საიუბილეო დღეებიდან)

ამ ზაფხულს, ივლისის დასაწყისში, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ახმეტის რაიონულმა კომიტეტმა ახმეტაში ჩაატარეს სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა რაფიელ ერისთავის დაბადების ას ორმოცდამეათე წლისთავს. სესიის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა პოეტმა იოსებ ნონეშვილმა (რაფიელ ერისთავის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ).

თბილისიდან დილით გავემგზავრეთ. ქისტაურში სახელდახელოდ დავათვალიერეთ რაფიელ ერისთავის ყოფილი კარ-მიდამო, გავეცანით მემორიალური სახლმუზეუმის სარესტავრაციო სამუშაოებს. ვესაუბრეთ სამუშაოთა მწარმოებელს და ხელოსნებს. შემდეგ, რაფიელ ერისთავის სიტყვებით რომ ვთქვათ, ცოტათი „ყელი ჩავიახმეტურეთ“ და გზას გავუდექით. ახმეტაში მაინც ადრე ჩავედით. სესიის სხდომის დაწყებამდის საკმარისი დრო გვქონდა. ჩვენმა კეთილმა მასპინძელმა და სე-

სიის მონაწილემ, რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ვაჟა ბატიაშვილმა შემოგვთავაზა, დაგვეთვალიერებინა მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა. მეურნეობამ ყველა ჩვენგანზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ყველა მოგვხიბლა მიწის დიდ ნაკვეთებზე უბანუბან კოხტად ჩამწკრივებულმა და საუცხოოდ მოვლილმა ნარგავებმა. თვალს ახარებდა კარგად მსხმოიარე ზვრების თვალუწვდენელი მასივები. სანახაობრივად (და არა მარტო სანახაობრივად)' განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ბლების უბანმა. მწიფე ნაყოფით დახუნძლულ დიდროვან ხეებს ტოტები ასკდებოდა. რა ჯიშის და რა ფერის ბალს ინატრებდი, სულო და გულო, იქ არ ყოფილიყო!..

მზე ძლიერ აცხუნებდა და თავი ხეების ჩრდილს შევაფარეთ. ვმუსაიფობდით, ტკბილ ნაყოფს შეეექცეოდით და თანაც ყურს ვუგდებდით ადგილობრივი სიმპათიური აგრონომის საქმიან სჯა-ბაასს, მაგრამ სიცხისაგან ვიხუთებოდით. იდგა ნამდვილი ბუღი. ცხელოდა, ცხელოდა უსაშველოდ. სწორედ ისე, როგორც რაფიელ ერისთავის ერთ ცნობილ ლექსშია აღწერილი:

ცხელა და ცხელა, პაპანებაა...

უნებლიეთ მომაგონდა ამ მშვენიერი ლექსის ეს ტაეპი და მისი გაგრძელება, დიდოსტატის მადლიანი კალმით დახატულ დიდებულ ფერწერულ სურათს რომ წარმოგვიდგენს:

ცხელა და ცხელა, პაპანებაა,
ჭოხის წინა ზის ყმაწვილი დედა,
პაწია ბიჭი, ჩვილი, ფუნთუშა
ხელს უცაცუნებს ძუძუებზედა...

ახმეტაში, ქისტაურში, იყალთოში თუ სხვაგან ყველგან ყმაწვილი დედები და მათი ჩვილი ბალღები, ალბათ, ახლაც მოუთმენლად ელოდებიან თავიანთ დამაშვრალ ქმრებსა და ძვირფას მამილოებს, მაგრამ სადღაა ის ძველი, რომანტიკული ჭოხი? პოეტის კალმით დახატულ ჭოხმახს ახლა მხოლოდ თბილისის ვაკის პარკის ეთნოგრაფიული მუზეუმის მიდამოებში თუ იპოვის თურმე ცნობისმოყვარე კაცი.

დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ტეტიას მოთქმაც, ბერუას მწარე ჩივილი, უმწეო დედაბრის კვნესა. სიხარულის დღე გაუთენდა „ქვრივ-ოხერ ბეჩავ თინიას", ულუკმაპუროდ დარჩენილ ობლებს ღმერთი კი არა, პატრონობს მთელი სოფელი. სესიებსა და თანდილებს აღარ კლავს სოციალური უკუღმართობის დარდი და ბოღმა, შიმშილის საფ-

რთხემ და ველური გაროზგვის შიშმა გადაუარა, „თან გადაიტანა მათი ნაღველი“. სოციალისტური ცხოვრების ფერხულში ჩაბმულმა კახელმა. მშრომელებმა წელს სამაგალითოდ უხვი, ბარაქიანი მოსავალი მოიწიეს და წარმატებით შეასრულეს აღებული ვალდებულებანი. ტეტიების აწინდელ მემკვიდრეებს ბეჯითი შრომის შედეგად ბეღლები და მარნები სავსე აქვთ პურით და ღვინით.

რაფიელ ერისთავის როგორც შთამაგონებელი პოეტის და მოაზროვნის ღირსებათა ღირსება ისაა, რომ მან არა მარტო ფაქიზი სიტყვით ასახა მისი მშრომელი ხალხის მაშინდელი გულის ვარამი და მკაფიოდ გამოხატა თავისი დროის მოწინავე ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები, არამედ საოცარი მხატვრული ძალით აღბეჭდა ისიც, რაც უკვდავია და წარუვალი, მარადიული, რაც დროისა და ჟამის ფარგალში ვერ მოთავსდება: ესაა მამულის უსაზღვრო სიყვარული და ნამუსიანი შრომის დიდება.

ახალი ცხოვრების მშენებელი ქართველი კაცი დღესაც ხომ გატაცებით იმეორებს ვაზის საგალობლად თქმულ რაფიელის ლექსს („მევენახის სიმღერა“):

ვაზის ჭირიმე, ვაზისა....
ვაზო, შვილივით ნაზარდო,
ულვაშებ გადგოგრეხია,
ჩაკონებიხარ ჭიგოსა,
შუაზედ გადგიტეხია....

რომელი დრო დააბერებს პოეტის ლირიკულ შედევრს?

ენით ცოცხალვარ, მით მიყვარს ლხენა,
მიყვარს სამშობლოს მე დედაენა.

და, ბოლოს, ერთხელ კიდევ მოვიგონოთ, მოვიგონოთ და ათასმეერთეჯერ გავიმეოროთ სულში ჩამწვდომი დიადი ჰიმნი, ყველა ქართველმა რომ ზეპირად იცის:

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ, და მისროლია ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი,
სადაც სიყრმითვე ჩვეულვარ,—ჩემი სამშობლო ის არი.
არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,
არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა.

ჩვენი ხალხი, ჩვენი ერი ვერ დაივიწყებს რაფიელ ერისთავის ლექსს, ვერ დაივიწყებს, ვიდრე კახეთში იხარებს ვაზი და დედაენის

ტკბილ ხმებს არ ჩაკლავს ყოვლის შემმუსვრელი ქარიშხალი ისტორიისა. არა მგონია, რომ ეს როდისმე მოხდეს.

1974

მცირე მოგონება დიდ მეცნიერზე

(ივანე ჯავახიშვილი)

პირველი შეხვედრა ივანე ჯავახიშვილთან ჩემთვის ერთობ მოულოდნელი შედეგით დამთავრდა. ეს იყო 1922 წელს. მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი. ბ-ნ ივანეს ვაბარებდი გამოცდას საქართველოს ისტორიაში. ვიცოდი, რომ მკაცრი და მომთხოვნი იყო, მაგრამ სამართლიანი შემფასებელი. ერთად ვმეცადინეობდით მე, სიკო დოლიძე და სტრატილატე ჭანტურია (სიკო დოლიძე აწ ცნობილი კინორეჟისორი, სტრატილატე ჭანტურია—შესანიშნავი ადამიანი და ბეჯითი სტუდენტი იყო, ადრე დაიღუპა). მე, ასე ვთქვათ, ჩვენი პატარა ჯგუფის ბრიგადირი ვიყავი. ბევრს ვკითხულობდი და გულმოდგინედ ვამოწმებდით ერთმანეთის ცოდნას, ივანე ჯავახიშვილმა თავაზიანად მიგვიღო თავის კაბინეტში, საწერ მაგიდასთან მიგვიწვია, გამოგვკითხა, რა წყაროებით ვაპირებდით გამოცდის ჩაბარებას. შემდეგ სამ-სამი კითხვა დაგვისვა: თითო ნარატიული (თხრობითი) ხასიათის პასუხისათვის, ორ-ორი ქრონოლოგიიდან და ისტორიული გეოგრაფიიდან. გულდასმითა და მოთმინებით გვისმენდა (გამოცდამ დიდხანს გასტანა). პირველად მე გამომკითხა, შეფასება აღინიშნებოდა ორი ნიშნით: „დამაკმაყოფილებელი“ და „ფრიადი“ („ფრიად დამაკმაყოფილებელი“). კაცმა რომ თქვას, მაშინდელი დამაკმაყოფილებელი ნიშანი აწინდელ ფრიადს თუ აჭარბებს, თორემ არ ჩამოუვარდება. პირველ ორ კითხვაზე მარჯვე პასუხი გავეცი. მესამეზე წავიბორძიკე (თემად მქონდა შავშეთისა და ტაოკლარჯეთის ისტორიული საზღვრები). გამომცდელმა თანაგრძნობიანი თვალებით შემომხედა, გამიღიმა და მითხრა: „თქვენ, ყმაწვილო, გეტყობათ, ბეჯითი სტუდენტი ხართ. დამაკმაყოფილებელი ნიშანი დამსახურებულად გეკუთვნით. თუ მაინცდამაინც ფრიადი გინდათ, მოდით ორიოდე დღის შემდეგ, ისტორიულ გეოგრაფიაში იმეცადინეთ, იმაში გამოგცდით დამატებით“. მაცდუნებელი წინადადებით ვერ ვისარგებ-

ლე, ამის საშუალებას არ მაძლევდა ჩემი მაშინდელი სამსახურებრივი მდგომარეობა (მეორედ გამოცდისათვის თავს ვერ გავითავისუფლებდი), დაეყაბულდი დამაკმაყოფილებელ ნიშანს (ეს დარჩა ერთადერთ დამაკმაყოფილებელ ნიშნად ჩემს მატრიკულში). გულდაწყვეტილი გამოვედი რექტორის კაბინეტიდან..

1925 წლის ოქტომბრიდან პროფესორ კორნელი კეკელიძის წარდგინებით უნივერსიტეტის საბჭომ დაადგინა ჩემი დატოვება საპროფესოროდ მოსამზადებლად ძველ ქართულ საერო მწერლობაში. ივანე ჯავახიშვილმა, როგორც რექტორმა, თავისთან მიმიხმო და ბევრი მესაუბრა ჩემი მომავალი მუშაობის თაობაზე. მირჩია, კარგად შემესწავლა სპარსული ენა და ლიტერატურა, სპარსულ ლიტერატურას ქართულ საერო მწერლობასთან დიდი კავშირი აქვსო, დასძინა. თანაც გამაფრთხილა, სპარსულმა გატაცება იცისო. ამთავითვე საჭიროა თავდაჭერა და წინდახედულობა. ამაში დარწმუნდებით, როდესაც სპარსულში გაიწაფებით და ნიკო მარის შრომებს საფუძვლიანად გაეცნობითო. ბ-ნმა ივანემ სპარსულის პრაქტიკოსი მასწავლებელიც დამისახელა.

მე გულმოდგინედ შევუდექი ძველი ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის გაცნობას და სპარსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხების შესწავლას. ხელნაწერებზე მუშაობა განსაკუთრებით მას შემდეგ გამიადვილდა, რაც ამ ხელნაწერების მცველად დამნიშნეს უნივერსიტეტის სიძველეთსაცავში. რევოლუციამდე ხელნაწერთა სამი დიდი ფონდი არსებობდა საქართველოში—წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, საეკლესიო კომიტეტისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა. ოციანი წლების დასაწყისში სამივე ამ ფონდმა თავი მოიყარა უნივერსიტეტის შენობაში. წერა-კითხვის საზოგადოებისა და საეკლესიო კომიტეტის ფონდები მთლიანად უნივერსიტეტს გადაეცა. ასე შეიქმნა ხელნაწერთა საუნივერსიტეტო სიძველეთსაცავი, რომელიც თანდათანობით ივსებოდა ახალი კოლექციებით. უნივერსიტეტის სიძველეთსაცავს განაგებდა ქართული მწერლობის კათედრის ხელმძღვანელი პროფ. კ. კეკელიძე. კათედრის წევრებად ირიცხებოდნენ ასისტენტების წოდებით მოსე ჯანაშვილი და დავით კარიჭაშვილი, რომლებიც აგრეთვე იყვნენ ხელნაწერი ფონდების სწავლული მცველები (მოსე ჯანაშვილი საეკლესიო კომიტეტის ფონდისა, დავით კარიჭაშვილი—წ.-კ. საზოგადოების ფონდისა). 1927 წელს გარდაიცვალა დავით კარიჭაშვილი და იმავე წლის სექტემბრიდან მე დამეკისრა სიძველეთა სწავლული მცველის მოვალეობის შესრულება. ამ დრო-

იდან ჩემს განკარგულებაში აღმოჩნდა ქართულ ხელნაწერთა უმდიდრესი მეშკვიდრეობა (საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმიც ჩვენს გვერდით იყო მოთავსებული, უნივერსიტეტის შენობის შესამე სართულზე. ამ მუზეუმს, ხელნაწერი კოლექციითურთ, განაგებდა სერგი გორგაძე, მისი მოადგილე იყო ჩინებული სპეციალისტი და სამაგალითო მოქალაქე იროდიონ სონღულაშვილი).

უნივერსიტეტის სიძველეთსაცავის არაიშვიათი სტუმარი იყო ივანე ჯავახიშვილი. ეს კი ბედნიერ შემთხვევას მაძლევდა მასთან შეხვედრისა და საუბრისათვის. ყველაფერთან ერთად, ბ-ნი ივანე იყო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე. სამეცნიერო ხასიათის მოხსენებები ჰუმანიტარულ დარგში მაშინ იკითხებოდა ამ საზოგადოების საჯარო სხდომებზე საქართველოს მუზეუმის შენობაში. ბ-ნი ივანე სმენის ნაკლებობას უჩიოდა და მოხსენებათა ტექსტებს (განსაკუთრებით ახალგაზრდებისას) წინასწარ ეცნობოდა ხელნაწერებში. მე არა ერთგზის მომისმენია ბ-ნ ივანეს მშობლიური დარიგება და შენიშვნები ჩემი მოხსენებების გამო მის ბინაზე.

ივანე ჯავახიშვილმა დიდი ინტერესი გამოიჩინა იმ ჩემი მოხსენებების მიმართ, რომლებიც სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებს შეეხებოდა. ასეთი იყო მოხსენებები ამირანდარეჯანიანის, ვისრამიანის, როსტომიანის და ქილილა და დამანას გარშემო. ბ-ნი ივანე თვითონ სპეციალურად სწავლობდა ძველი ქართული საერო ლიტერატურის პრობლემებს და განმაზოგადებელი ხასიათის პრინციპული დასკვნები გამოჰქონდა ქართული ფილოლოგიის პრაქტიკული ამოცანების თაობაზე. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობისაა მისი შეძაჯამებელი გამოკვლევა „ქართული ფილოლოგიისა და ძველი ქართული მხატვრული ეპოსის ისტორიის ამოცანები“, რომლის მოხსენებად კითხვის დროს დიდი მეცნიერი გარდაიცვალა. მოხსენებაც და ნაშრომიც ერთგვარად დაუმთავრებელი დარჩა. ნაშრომის დასრულებული ნაწილი ამჟამად გამოქვეყნებულია [1]. ადრე, მოხსენებად კითხვის დროს, და შემდეგაც თავის დაბეჭდილ გამოკვლევაში ბ-ნმა ივანემ, საერთოდ, მოიწონა ჩემი დაკვირვებანი ამირანდარეჯანიანის საკითხებზე, მაგრამ მკაცრად გამაკრიტიკა ამირანდარეჯანიანისა და „ყისაი ჰამ-

[1] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1956. გამოსაცემად მოამზადა აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის კაბინეტმა ე. ა ბ უ ლ ა ძ ი ს ა და ა. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედაქციით, გვ. 58—75.

ზას“ ურთიერთობის შესახებ გამოტანილი დასკვნების გამო. როგორც ცნობილია, აკადემიკოს ნიკო მარის გამოკვლევის თანახმად, ამირანდარეჯანიანი უნდა ყოფილიყო სპარსულ საგმირო მოთხრობათა კრებულის „ყისაი ჰამზას“ თარგმანი. საამისო არგუმენტები იმდენად დამარწმუნებელი ჩანდა, რომ მარისეული მოსაზრება ყველამ გაიზიარა (მათ შორის ივანე ჯავახიშვილმაც), თუმცა მარს სპარსული ძეგლი არ შეუსწავლია და იგი ამირანდარეჯანიანისათვის არ შეუდარებია. არსებული ხარვეზის ამოვსება მე მერგო წილად. ივანე ჯავახიშვილი წერს: „თვით მარს ამირანდარეჯანიანი სპარსულ თხზულებისათვის არ შეუდარებია და თავისი წინანდელი აზრის სისწორის შემოწმება არ უცდია. „ყისაი ჰაზას“ თხზულება, დასტან ამირ ჰამზას და ამირანდარეჯანიანის ერთმანეთთან შედარება ალ. ბარამიძემ დაისახა ამოცანად და სწორედ ალ. ბარამიძის ღვაწლია და მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ქართულ ამირანდარეჯანიანისა და XVI ს. მწერლის ბაგრატ მუხრანბატონის მიერ მის სპარსულ დედნად დასახელებულს შორის დამოკიდებულების ნამდვილი ვითარება გამოარკვია“ (დასახ. შრომა, გვ. 64). ივ. ჯავახიშვილი იმოწმებს იმ საბუთებს, რომელთა მიხედვითაც მე ვამტკიცებდი ამ ორი თხზულების ამირანდარეჯანიანისა და ყისაი ჰამზას იდეურ და შინაარსობრივ სხვადასხვაობას. შენიშნული სხვადასხვაობის მიუხედავად, ამირანდარეჯანიანი მე არ ჩამითვლია ორიგინალურ ქართულ ნაწარმოებად. იგი მივიჩნიე რომელიღაც ჯერ ჩვენთვის უცნობი სპარსული ტექსტიდან გადმოკეთებულ-გადმოქართულებულ ნაწარმოებად, ხოლო თვითონ ის საგულვებელი დედანი კი „ყისაი ჰამზას“ წაბაძვით უნდა ყოფილიყო შექმნილი-მეთქი. ეს დასკვნა ივ. ჯავახიშვილმა არ შეიწყნარა და მას „მოულოდნელი“ უწოდა (იქვე გვ. 65). თუმცა ბ-ნმა ივანემ ჩემი საბოლოო დასკვნა არ გაიზიარა, მან საერთოდ, მაინც მაღალი შეფასება მისცა ჩემს ნაშრომს, რამაც გამამხნევა და ძლიერ წამახალისა მომავალი მუშაობისათვის.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ჩემთვის ის ყურადღება, რაც ივანე ჯავახიშვილმა გამოიჩინა ჩემი გამოკვლევების მიმართ ქილილა და დამანას ქართულ ვერსიებზე. ამ ვერსიებზე მე შედარებით დიდხანს ვმუშაობდი და 1929 წლის მიწურულში ვრცელი მოხსენებით გამოვედი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე. სამწუხაროდ სხდომას არ დასწრებია ჩემი უშუალო მეცნიერი ხელმძღვანელი კორნელი კეკელიძე. მოხსენებამ კარგად ჩაიარა და კარგი შეფასება მიიღო, სხდომის შემდეგ აკაკი შანიძემ თავისთან წამიყვანა და მთელი გზის

მანძილზე საქართველოს მუზეუმის შენობიდან თავის ბინამდე (უნივერსიტეტის მახლობლად, გუნიბის ქუჩაზე) მესაუბრებოდა ქართული მწერლობის შესწავლის ვითარებაზე და, კერძოდ, ქილილა და დამანას შესახებ წაკითხულ მოხსენებაზე. აკაკი შანიძემ შემიქო მოხსენება, დამავალა, გამეკეთებინა ვრცელი რეზიუმე ფრანგულ ენაზე (ელისაბედ ორბელიანს ათარგმნინეო რეზიუმეს ქართული ან რუსული ტექსტი), დამპირდა, რომ მას გამოაქვეყნებდა პარიზის ორიენტალისტურ ჟურნალში. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ ბ-ხმა აკაკიმ მირჩია გაშოკვლევის ერთხელ კიდევ ბეჯითად გადახედული ტექსტი წარმედგინა სადისერტაციოდ (უნივერსიტეტის ძველი წესდების მიხედვით, მაშინ დაშვებული იყო მხოლოდ დოქტორის სამეცნიერო ხარისხი). მისმა შეფასებამ და რჩევამ ფრთები შემასხა. ჩემ განცვიფრებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მოხსენების მეორე დღეს უნივერსიტეტის სიძველეთსაცავში მობრძანდა ბ-ნი ივანე და მანაც ისეთივე რჩევითა და წინადადებით მომმართა, როგორითაც აკაკი შანიძემ (გამოკვლევა სადისერტაციოდ წარადგინეო). ივანე ჯავახიშვილს, კერძოდ, ფრიად მნიშვნელოვან გარემოებად მიაჩნდა ვახტანგის როლის გარკვევა ქილილა და დამანას ქართული ვერსიების ჩამოყალიბების საქმეში. ეს დაგვეხმარება ვახტანგის მუშაობის ხასიათის გარკვევაში ქართლის ცხოვრებისა და ვეფხისტყაოსნის გამოცემის შესახებო (ამაზე ივ. ჯავახიშვილი წერს კიდევაც თავის გამოკვლევაში „ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის ირგვლივ“) [1].

ყველაფერმა ამან, როგორც ვთქვი, დამწყებ მკვლევარს ფრთები შემასხა, მაგრამ დიდ საგონებელშიც ჩამაგდო, გასარკვევი იყო კორნელი კეკელიძის პოზიცია (ამის შესახებ სხვა დროს და სხვა ადგილას მაქვს საუბარი).

1930 წლის პირველი სემესტრის მიწურულში გამოვიდა დადგენილება უნივერსიტეტის საფუძველზე სპეციალური ინსტიტუტების შექმნის შესახებ. იმავე წლის სექტემბრიდან უნივერსიტეტის შენობაში მოთავსდა ორი ინსტიტუტი: ეკონომიკისა (პირველ სართულზე) და პედაგოგიური (მეორე და მესამე სართულებზე). უნივერსიტეტის სიძველეთსაცავი და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს. ჩვენ სასწრაფოდ მო-

[1] ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, გვ. 24.

გვიხდა ახალ შენობაში გადაბარგება. 1931 წლიდან ივანე ჯავახიშვილი ჩვენთან აღმოჩნდა საქართველოს მუზეუმში. ხელნაწერთა განყოფილებას მაშინ განაგებდა პავლე ინგოროყვა, თანამშრომლებად ჩემთან ერთად იყვნენ ნიკო ბერძენიშვილი და გიორგი წერეთელი, შემდეგ შემოგვემატნენ ილია აბულაძე, გიორგი ბოჭორიძე, გიორგი ჯაკობია, კონსტანტინე გრიგოლია.

წლების მანძილზე (1931-1938) ბ-ნ ივანეს თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი. შესვენების დროს ჩვეულებრივ მუზეუმის ეზოში სეირნობდა, უყვარდა საქმიანი მუსაიფი. ცნობილია ივანე ჯავახიშვილის საარაკო აკურატობა, გასაოცარი შინაგანი დისციპლინა, დიდი შრომისმოყვარეობა და შრომის მკაცრი რეჟიმის მიმდევრობა. ალბათ ამანაც შეაპირობა ის არაჩვეულებრივი ნაყოფიერება, რომლითაც ხასიათდება ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო-შემოქმედებითი მოღვაწეობა.

სამეცნიერო-კვლევითს საქმიანობასთან ერთად ივანე ჯავახიშვილი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მარტო ის რად ღირს, რომ მისი პირადი თაოსნობისა და თავგამოდების შედეგად დაარსდა ჩვენი ეროვნული კულტურის ის დიდებული კერა, რომელსაც თბილისის უნივერსიტეტი ეწოდება და რომლის ნიადაგზედაც აღმოცენდა ყველა უმაღლესი სასწავლებელი ჩვენს რესპუბლიკაში. უნივერსიტეტის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაც. ამ აკადემიის გახსნას ი. ჯავახიშვილი ვერ მოესწრო.

1934 წლის აგვისტოში გამოქვეყნდა პარტიისა და მთავრობის დადგენილება ვეფხისტყაოსნის შექმნის 750 წლისთავის აღნიშვნის თაობაზე. მთავრობის საიუბილეო კომიტეტის წევრად დაინიშნა ივ. ჯავახიშვილიც. გადაწყდა იუბილესთან დაკავშირებით მოწყობილიყო დიდი გამოფენა, რომელიც ასახავდა XII საუკუნის საქართველოს მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიას. გამოფენის მატერიალური კულტურის განყოფილების ხელმძღვანელობა დაეკისრა ივ. ჯავახიშვილს.

შოთა რუსთველის იუბილემ ივანე ჯავახიშვილი აღაფრთოვანა. იგი ჰაბუკური ენერგიით შეუდგა სამზადისს. დაწერა და გამოაქვეყნა ზოგადი ხასიათის შესანიშნავი ნარკვევი „შოთა რუსთაველის დაბადე-

ბის 750 წლისთავის ზეიმის გამო"[1], მოამზადა და მოხსენების სახით წაიკითხა საბჭოთა მწერლების კავშირის პლენუმზე 1937 წლის დეკემბერში გამოკვლევა „რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა ვეფხისტყაოსანი",[2] შეიმუშავა შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენის დაწვრილებითი გეგმა[3], დიდი ენთუზიაზმით შეუდგა ამ გამოფენისათვის საჭირო მასალების ფართო მასშტაბით შეგროვებას. საგამოფენო მასალების მოპოვების მიზნით წამოიწყო ორი არქეოლოგიური გათხრა (ბოლნისში და სხალტბაში, მცხეთის მახლობლად). იმ ხანებში ივანე ჯავახიშვილს არ ჰქონდა მოსვენება არც დღისით, არც ღამით. ერთიმეორეს ენაცვლებოდა, თუ ერთიმეორის პარალელურად მიმდინარეობდა კონსულტაციები, ლექციები, სავლე სამუშაოები, დაძაბული კვლევა-ძიება. პრაქტიკული მითითებანი სჭირდებოდათ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს — მხატვრებს, ხელოსნებს. აღსრულდა ივანე ჯავახიშვილის ოცნება — ქართველი ხალხი ემზადებოდა მისი სათაყვანებელი პოეტ-მოაზროვნის ხსოვნის აღსანიშნავად. თვითონ ბ-ნი ივანე ბრძანდებოდა მოსამზადებელი საქმიანობის ერთი პრაქტიკული ხელმძღვანელთაგანი. მას დაავიწყდა ავადმყოფობა, ხანდაზმულობა, დაღლა. უზომოდ შრომობდა და ახალგაზრდებს შრომით გატაცების სანიმუშო გაკვეთილებს აძლევდა. საკვირველი ის იყო, რომ უკიდურესად რთული და საპასუხისმგებლო მუშაობის დროსაც სახეზე ღიმი არ შორდებოდა. განკარგულებებს დაბალი ხმით იძლეოდა, არავის სმენია მისგან სასაყვედურო სიტყვა, მხოლოდ ბრძნული შეგონება და მშობლიური დარიგება იყო მისი სამოქმედო იარაღი. მკლავწაკაპიწებული, ოფლში გაწურული ივანე ჯავახიშვილი ყველას გვხიბლავდა თავისი ზრდილობით, თავმდაბლობით, თავაზიანობით, სიდარბაისლით, მაღალი რანგის ჯენტლმენობით. განცვიფრებას იწვევდა ამ ავადმყოფი, ჯანგატეხილი, გამხდარი და ნაადრევად მოხუცებული კაცის ესოდენი ენერგია და შრომის უნარის მოზღვავება. იგი შთაგონების ცეცხლით იწვოდა და შთაგონების ამ მომადლებული ცეცხლის ნაპერწკლებს სხვებსაც უხვად აფრქვევდა. ვისაც ივანე ჯავახიშვილი იმ დღეებში უნახავს, არასოდეს დაავიწყდება მისი ანთებული თვალები, ბაგეებზე მომდგარი ღიმი და ფართო, ნათელი შუბლის ელვარება.

---

[1] ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, გვ. 5—12.

[2] იქვე, გვ. 16—19.

[3] იქვე, გვ. 46—56.

იუბილე დამთავრდა. ვნებათაღელვა დაცხრა. ცხოვრება ისევ ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. ისე მოხდა, რომ გადაწყდა ჩემი განთავისუფლება საქართველოს მუზეუმში მუშაობიდან და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელად გაგზავნა (თუმცა ძირითად მუშაკად უნივერსიტეტში ვრჩებოდი). ეს ამბავი რომ ივანე ჯავახიშვილმა გაიგო, იწყინა. მისი აზრით, მე უფრო საჭირო ვიყავი მუზეუმისათვის. საქართველოს მუზეუმის მაშინდელი დირექტორის გიორგი ხარატიშვილის აქტიური მხარდაჭერით ივანე ჯავახიშვილმა ბევრი იბრძოლა ჩემი გადაყვანის წინააღმდეგ. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერს გახდა. 1938 წლის მარტიდან მე დავტოვე საქართველოს მუზეუმი (უკეთ, ამ მუზეუმის ხელნაწერთა საცავი) და გამოვეთხოვე ჩემს საყვარელ საქმეს. ამ დროიდან შეწყდა ჩემი ყოველდღიური კონტაქტები ივანე ჯავახიშვილთან, თუმცა რასაკვირველია, შემდეგაც ხშირად ვხვდებოდი და მასთან საქმიან ურთიერთობას განვაგრძობდი.

ივ. ჯავახიშვილს ბევრი უამბია ჩემთვის ნიკო მარის შესახებ. ნიკო შარისა და ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობის საკითხები კარგად არის ცნობილი და ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ. ცოტა რამ ალექსანდრე ცაგარელზე. პროფესორმა ცაგარელმა თავის დროზე მარი არ დატოვა თავის კათედრასთან. მარი შეიფარა არმენოლოგიის კათედრამ, თითქმის ანალოგიური ვითარება შეიქმნა ჯავახიშვილის გარშემოც. ნ. მარი ივანე ჯავახიშვილს თვლიდა თავის საუკეთესო მოწაფედ და გადაწყვეტილი ჰქონდა, დაეტოვებინა იგი საპროფესოროდ მოსამზადებლად ქართულ ფილოლოგიაში (საკუთრივ საქართველოს ისტორიაში), მაგრამ, როგორც არმენოლოგიის კათედრის გამგეს, ფორმალური თვალსაზრისით ეს არ შეეძლო. ქართული ფილოლოგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი ალ. ცაგარელი (1844-1929) კი კატეგორიულად წინ აღუდგა მარის განზრახვას. შექმნილი ვითარების გამო ნ. მარი იძულებული გახდა ი. ჯავახიშვილი დაეტოვებინა არმენოლოგიის კათედრასთან, თუმცა სპეციალურად ამზადებდა ქართულ ფილოლოგიაში. მაშინდელი წესის თანახმად, უნივერსიტეტთან დატოვებული პირი სამაგისტრო გამოცდებს აბარებდა შესაფერისი ფაკულტეტის სხდომაზე. მდგომარეობა გამწვავდა. ქართულ ფილოლოგიის მთავარი ეგზამენატორი იყო პროფ. ცაგარელი. იგი ჯავახიშვილს არმენისტად თვლიდა და უარს ამბობდა დაეშვა გამოსაცდელად ქართულ ფილოლოგიაში. არა და არა, ცაგარლის დაყოლიება არ მოხერხდა. ერთი სიტყვით, ივანე

ჯავახიშვილი, ასე ვთქვათ, არალეგალურად მომზადდა ქართულ ფილოლოგიაში, ხოლო ოფიციალურად გახდა არმენისტიკის მაგისტრანტი. გავიდა დრო. უკვე ღრმად მოხუცი ალ. ცაგარელი დაბრუნდა სამშობლოში. მაშინ თბილისში უკვე მოქმედებდა ივ. ჯავახიშვილის მესვეურობით დაარსებული უნივერსიტეტი. თუმცა ცაგარელს ლექციების კითხვა აღარ შეეძლო, ივანე ჯავახიშვილმა იგი მიიწვია ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის ლექტორად პროფესორის თანამდებობაზე. მეტიც, ბ-ნ ივანეს წარდგინებით ალ. ცაგარელს პირველად უნივერსიტეტის სინამდვილეში მიენიჭა დამსახურებული პროფესორის საპატიო წოდება და 1922 წლის 29 ოქტომბერს უნივერსიტეტის საპროფესორო საბჭოს საგანგებო სხდომაზე საზეიმო ვითარებაში აღინიშნა მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50-ე წლისთავი. ალექსანდრე ცაგარლის სამეცნიერო ღვაწლს ივანე ჯავახიშვილმა უწოდა ეპოქალური დამსახურება ქაროველი ერის წინაშე. ასე ორიგინალურად გადაუხადა ივანე ჯავახიშვილმა სამაგიერო პროფესორ ალექსანდრე ცაგარელს. ამით ერთხელ კიდევ გამოამჟღავნა მან თავისი გასაოცარი ადამიანური კეთილშობილება და დიდბუნებოვნება (ალ. ცაგარელი გარდაიცვალა 1929 წლის 12 ნოემბერს, 15 ნოემბერს მისი ნეშტი მიაბარეს მთაწმინდის მიწას).

1938 წლის ზაფხულში ივანე ჯავახიშვილი კიკეთში ისვენებდა. აგარაკი ფოსტის მახლობლად ჰქონდა. ხშირად მინახავს იგი პატარა ხალიჩაზე წამოწოლილი ჩრდილოვანი ცაცხვის ქვეშ, ხელში წიგნით. ერთხელ თვალი შემასწრო და შორიდან სალამი მომცა. მეხათრებოდა შეწუხება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. მისკენ გავეშურე, წამოდგა და წინ შემომეგება, დაბალი სკამი შემომთავაზა. დავსხედით. ცნობისმოყვარეობით შევავლე თვალი იმ წიგნს, რომელსაც კითხულობდა. ფრანგული ლიტერატურის ისტორია იყო, ფრანგულ ენაზე წიგნით დაინტერესება რომ შემნიშნა, ბ-ნმა ივანემ საუბარი გამიბა ფრანგულ ლიტერატურაზე, დიდ აღტაცებას გამოთქვამდა. შემდეგ ძალიან შეაქო რუსული ლიტერატურა. მახსოვს განსაკუთრებული სიამოვნებით ლაპარაკობდა გოგოლზე, ტურგენევზე, ტოლსტოიზე, დოსტოევსკიზე, საერთოდ დიდ რუს პროზაიკოსებზე...

1939 წელს გაზაფხულზე ივანე ჯავახიშვილი აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. ამასთან დაკავშირებით თბილისის უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა გადაწყვიტეს, მოეწყოთ შეხვედრა

ბ-ნ ივანესთან. შეხვედრა-ბანკეტი დანიშნული იყო სასტუმრო „ორიანტის“ (შემდეგში „ინტურისტის“) დარბაზში. მოწვეული საზოგადოება უკვე შეკრებილი იყო, როდესაც გამოირკვა, რომ ივანე ჯავახიშვილი უგუნებობის გამო ვერ ახერხებდა ბანკეტზე მოსვლას. შეიქნა უხერხული მდგომარეობა, შეხვედრა უნდა შემდგარიყო შესახვედრი საპატიო პირის დაუსწრებლად. გადაწყდა, ერთხელ კიდევ ეთხოვათ ბ-ნ ივანესათვის ცოტახნით მაინც მობრძანება. ამ დავალების შესრულება მე მომენდო. დავალება ვიკისრე, გეგმაც შემუშავებული მქონდა. როდესაც ბ-ნ ივანეს ბინას მივადექი და ზარი დავრეკე, კარი თვითონ ბ-ნმა ივანემ გამიღო. ჩვეულებისამებრ ღიმილით მომეგება და კაბინეტისაკენ გამიძღვა (კაბინეტი იქვე იყო, ერთსართულიანი შენობის სადარბაზო შესასვლელიდან ხელმარცხნივ), მაგრამ ჩემი საკმაოდ ნაგვიანევი და მოულოდნელი სტუმრობა ბ-ნმა ივანემ გაიკვირვა. მიზეზი გამომკითხა. მართალი რომ ვთქვა, ცოტათი დავიბენი, აწყობილი გეგმა დამეშალა, მაინც მოვახერხე დაახლოებით შემდეგი მეთქვა: „ბ-ნო ივანე, სათხოვარი საქმე მაქვს, ნუ გამაწბილებთ“... ვხვდებიო, მითხრა, თუ რისთვის შეწუხებულხართ, ბანკეტზე მიპატიჟებთო. მე უკვე ვთქვი უარი. ჭოგეხსენებათ, ავად ვარ, კუჭის წყლულის მწვავე გაღიზიანება მაქვს, არაფრის ჭამა და სმა არ შემიძლია. ასეთ ვითარებაში სხვებსაც დავუკარგავდი მოლხენის გუნებასო“. ეს თქვა და შეჩერდა, ფართოდ გახელილი თვალებით შემომხედა. ალბათ, საცოდავი გამომეტყველება ძქონდა. საბოლოოდ ვრწმუნდებოდი, რომ ჩემი მისია უშედეგოდ დასრულდა. ეტყობა, ეს კარგად იგრძნო ბ-ნმა ივანემ. ისევე გამიღიმა (ამით ერთგვარად გამამხნევა) და ბოლოს დაურთო: „ახლავე მოვდივარ“. პიჯაკი გადაიცვა (კოსტიუმის ჟილეტი ეცვა და ჰალსტუხი ეკეთა). ერთი წუთით დაგტოვებთ, შინაურებს გავაფრთხილებო, მითხრა. მართლაც, იმწამსვე დაბრუნდა, ხელში პაწაწა ქაღალდის შეკვრა ეჭირა, ნამცხვარია გახვეული, ეს არის ჩემი ვახშმის არჩევიო. გარეთ ეტლი გველოდებოდა. მალე ორიანტში გავჩნდით, ივანე ჯავახიშვილის გამოჩენამ უზომო სიხარული და გულწრფელი აღტაცება გამოიწვია. ბევრი სადღეგრძელო და თბილი სიტყვა ითქვა იმ ბანკეტზე. მეც მომიხდა სიტყვის წარმოთქმა. ბ-ნ ივანეს მაშინ ვუწოდე ქართული მეცნიერების სინდისი. ეს ფორმულა ძალიან გავრცელდა.

მოწოდებით და კვლევა-ძიებითი ხასიათის ძირითადი საქმიანობით ივანე ჯავახიშვილი იყო პროფესიონალი ისტორიკოსი, მაგრამ იგი ოდ-

ნავ არ იზღუდებოდა მარტოოდენ ვიწროდ გაგებული საისტორიო დისციპლინების ფარგლებით. ი. ჯავახიშვილის მეცნიერული ინტერესები ვრცელდებოდა ქართველოლოგიის ყველა სფეროზე. ქართველი ხალხის წარსულის ყოველმხრივი შესწავლა, ი. ჯავახიშვილის თვალსაზრისით, შეუძლებელი იყო ანტიკური ქვეყნებისა და წინააზიის ხალხთა ისტორიული ცხოვრების უცოდინრად. განსაკუთრებული გულისხმიერებით სწავლობდა მეცნიერი მეზობელი სომეხი ხალხის წარსულს, რამდენადაც ამ ხალხის ისტორია მჭიდროდაა გადაჯაჭვული საქართველოს ისტორიასთან. ი. ჯავახიშვილი უახლოესი თანამშრომელი იყო მარისეული სამეცნიერო სერიებისა: «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии», «Христианский Восток». მართან ერთად, ი. ჯავახიშვილმა საფუძველი დაუდო ქართული ფილოლოგიური მეცნიერების განვითარების ახალ, მაღალ საფეხურს. მიუხედავად ქრონიკული ავადმყოფობისა, იგი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გმირული შემართებით იკვლევ-იძიებდა ქართველი ხალხის ძველი კულტურის ყოველ დარგს.

მისთვის ჩვეული გულმოდგინებით იკვლევდა ი. ჯა ახიშვილი ძველი ქართული მწერლობის სასიცოცხლო საკითხებს. იგი, ასე ვთქვათ, დამწყები მკვლევარი იყო, როდესაც იმგზავრა ნ. მართან ერთად სინას მთაზე და საუცხოოდ აღწერა იქაური ქართულ ხელნაწერთა კოლექციის მნიშვნელოვანი ნაწილი. როგორც ცნობილია, სინას მთისა და იერუსალიმის ექსპედიციის წინასწარი ანგარიშის გამოქვეყნებამ («Предварительный отчет о работах на Синае, веденных в сотрудничестве с И. А. Джаваховым, и в Иерусалиме в поездке 1902»).[1] საერთაშორისო სენსაცია გამოიწვია. სინას მთის ხელნაწერთა თვითონ ჯავახიშვილისეული აღწერილობა მხოლოდ ავტორის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა, 1947 წელს[2]. ხელნაწერებზე მუშაობას, ხელნაწერთა აღწერილობის შედგენას ი. ჯავახიშვილი ყოველი ფილოლოგის სავალდებულო მოვალეობად თვლიდა. იგი აქებდა ყველა ამგვარ წამოწყებას. მაგალითად, ი. ჯავახიშვილი აღტაცებული, მაგრამ საქმიანი რეცენზიით შეხვდა ექვთიმე თაყაიშვილის ცნობილ აღწერილობებს („Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения»). რეცენზენტი წერდა: «Описание (Е. Такаишвили)

[1] Сообщения Палестинского общества, т. XIV, ч. 2, 1903, პეტერბურგი.

[2] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947.

составлено прекрасно: тщательно, подробно и дает массу совершенно новых сведений... В описании мы имеем много ценных данных, дающих неопровержимые выводы в области исторических и историко-литературных интересов»[1].

პირადად ი. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი ინსტრუქციის მიხედვით წარმოებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდების სისტემური აღწერილობა.

ქართული სულიერი კულტურის ისტორიისათვის ეპოქალური მნიშვნელობისაა ი. ჯავახიშვილის მიერ 1922 წელს აღმოჩენილი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლები ქართული მწერლობისა, ე. წ. პალიმფსესტური ტექსტები VI—VII საუკუნეებისა[2]. ამ აღმოჩენით ი. ჯავახიშვილმა მოიპოვა ნამდვილი გასაღები უძველესი ქართული კულტურის წყვდიადით მოცული საკითხების ამოსაცნობად და გასაშუქებლად. ეპიგრაფიკული ძეგლებისა და ქართული მწერლობის უძველესი ნიმუშების ყოველმხრივმა სკრუპულოზურმა შესწავლამ ი. ჯავახიშვილი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ქართული დამწერლობა უნდა აღმოცენებულიყო წარმართობის პერიოდში, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე გაცილებით ადრე და არა ქართველი ტომების ქრისტიანულ აღმსარებლობაზე გადასვლის შემდეგ. ეს თვალსაზრისი თანმიმდევრულად განვითარებულია და დასაბუთებული ი. ჯავახიშვილის ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართული პალეოგრაფია“, რომლის პირველი გამოცემა 1926 წელს დაიბეჭდა. თავის თეორიას ქართული დამწერლობის წარმოშობაზე ი. ჯავახიშვილი მეცნიერული სიფრთხილის გამო უწოდებდა ჰიპოთეზას, თუმცა გადაჭრით აცხადებდა: „ვფიქრობ მხოლოდ, რომ ეხლა მაინც სამუდამოდ უკუგდებული უნდა იყოს აზრი ქართული ანბანის V ს-ში გამოგონების შესახებ ქ. შ. და უნდა განმტკიცდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ“[3].

---

[1] Византийский временник, т. XI, СПб, 1904, с. 347.

[2] ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის (თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, 2, 1922—1923).

[3] ი. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია. მეორე გამოცემა, თბილისი, 1949, გვ. 236; შდრ. ს. ჯორბენაძე. ივანე ჯავახიშვილის უცნობი სიტყვა, „მნათობი“, 1947, № 3, გვ. 187.

ძველი ქართული ე. წ. სასულიერო მწერლობის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით ფასდაუდებელია ივანე ჯავახიშვილის დიდი მონოგრაფიული ნაშრომი „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ (I, თბილისი, 1916). ეს დიდტანიანი წიგნი მკვლევარმა შემდეგ კიდევ უფრო გააფართოვა და დაკვირვებანი გააღრმავა. გაყო ორ ნაწილად. წიგნის შესწორებულ-შევსებული და საფუძვლიანად გადამუშავებული პირველი ნაწილი დაიბეჭდა 1921 წელს. სამწუხაროდ მეორე ნაწილის გამოქვეყნება ავტორს აღარ დასცალდა. „ქართულ საისტორიო მწერლობაში“ ვრცლად არის განხილული უძველესი პერიოდის მთელი ქართული მწერლობა, საისტორიოც და მხატვრულიც. ი. ჯავახიშვილი იკვლევდა თითოეული წერილობითი ძეგლის როგორც საკუთრივ საისტორიო მხარეს, ისე მის ლიტერატურულ-მხატვრულ ღირსებას. ისტორიკოსი-მკვლევარი იხილავდა თხზულებათა კომპოზიციას, ენას, სტილს, ავტორთა მხატვრული აზროვნების სისტემას, ლიტერატურული გავლენების პირობებს, სტილებრივი ევოლუციის ბუნებას და მისთანებს. ერთი სიტყვით, ი. ჯავახიშვილი იძლევა ძეგლთა სრულყოფილ ლიტერატურულ დახასიათებას. თუმცა მკვლევრის გულისყური უმთავრესად ამ ძეგლების ისტორიულ-ლიტერატურული მხარეებისაკენ იყო მიპყრობილი. მკვლევარი საგანგებო ყურადღებას უთმობდა ავტორთა იდეურ მიზანდასახულობას, მათს სოციალურ-პოლიტიკურ გუნება-განწყობილებას, მათს მსოფლმხედველობას, მათს მეთოდოლოგიას.

ურთულესი პრობლემების დეტალების ძიებაშიც შეუპოვარი და სამაგალითოდ ზუსტი, ივანე ჯავახიშვილი იყო მგზნებარე პოლემისტი, მკვეთრი, უკომპრომისო, ღრმა ანალიტიკოსი და ფრთხილი სინთეტიკოსი, ყოველივე ამასთან ერთად დახვეწილი ლიტერატურული გემოვნების პატრონი. მშვენიერი გამოკვლევები დაგვიტოვა ივანე ჯავახიშვილმა მთელ რიგ გამოჩენილ ქართველ მწერლებზე—იაკობ ცურტაველზე (V ს.), იოანე საბანისძეზე (VIII ს.), სტეფანე მტბევარზე (X ს.), გიორგი მერჩულეზე (X ს.), ექვთიმე და გიორგი ათონელებზე (X—XI ს.), გიორგი შავთელზე (XI ს.), ეფრემ მცირეზე (XI ს.), ნიკოლოზ გულაბერიძეზე (XII ს.), აგრეთვე ძველ ქართულ საერო ძეგლებზე — ამირანდარეჯანიანსა და ვეფხისტყაოსანზე. მახვილი შენიშვნები აქვს ი. ჯავახიშვილს ძველ ქართულ სახოტბო პოემებზე, ვისრამიანზე, შაჰნამეს ქართულ ვერსიებზე, თეიმურაზ პირველზე, არჩილზე, ვახტანგ VI-ზე, „სიბრძნე სიცრუეზე“. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით დიდი პრინციპული მნიშვნელობისაა ივანე ჯავახიშვილის დაუმთავრებელი ნა-

შრომი „ქართული ფილოლოგიისა და ძველი ქართული მხატვრული ეპოსის ისტორიის ამოცანები“ [1].

ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ ყველა ტომს ახლავს შესაფერისი ისტორიული მონაკვეთის როგორც საერთო კულტურული ფონის, ისე საკუთრივ ქართული მწერლობის ვითარების ღრმაშინაარსიანი მიმოხილვა. 1913 წელს რუსული ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის „გრანატის“ ენციკლოპედიურ ლექსიკონში ივ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა ძველი ქართული ლიტერატურის განმაზოგადებელი საერთო მიმოხილვა. 1899 წელს დაიბეჭდა ი. ჯავახიშვილის მიერ დიდი გულმოდგინებით შესრულებული რუსული თარგმანი ცნობილი სულთმარგებელი რომანისა „სიბრძნე ბალაჰვარისი“ (ЗВОРАО, IX). ეს იყო ი. ჯავახიშვილის წვლილი იმ გაშლილ კვლევა-ძიებით მუშაობაში, რაც გამოიწვია რუსული აღმოსავლეთმცოდნეობის ე. წ. ვარლაამის (ბალავარიანის) პერიოდმა, თუ ვიხმართ აკადემიკოს ეგნატე კრაჩკოვსკის მოსწრებულ გამოთქმას.

საესებით სწორი მოსაზრება აქვს ი. ჯავახიშვილს გამოთქმული ლიტერატურული ურთიერთობის პრინციპულ საკითხებზე. მაგალითად, „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნში ვკითხულობთ (თბილისი, 1914, გვ. 654): „თუ პოლიტიკურს ცხოვრებაში საქართველო სხვადასხვა მაჰმადიანთა სამთავროებს და სპარსეთს ებრძოდა, პოეზია და კულტურა ქართველ-სპარსთა სულიერს ერთობასა ჰქმნიდა და მტრობის მაგიერ სიყვარულს სთესავდა. ქართველებისათვის სპარსულ-მაჰმადიანური კულტურა უცხო რამე არ ყოფილა და თავისი პოლიტიკური მტრების მწერლობას, მეცნიერებასა და ხელოვნებას ისინი დიდ პატივს სცემდნენ“ (კურსივი ავტორი[ა]ა—ა. ბ).

ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო-კვლევითმა მოღვაწეობამ პოხიერი ნიადაგი ჰპოვა და შედეგადაც მადლიანი ნაყოფი გამოიღო დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, განახლებულ საქართველოში. სწორედ მისი მოთავეობით დაარსებულ თბილისის ეროვნულ უნივერსიტეტში შეიქმნა ქართულთმცოდნეობის ახალი მძლავრი კერა. ი. ჯავახიშვილს გვერდში ამოუდგა მის მიერვე აღზრდილ-გაწაფულ ახალგაზრდა ენთუზიასტ მეცნიერთა მთელი თაობა. ფრთები გაშალა თვითონ მეთაურის მეცნიერულ-შემოქმედებითმა ნიჭმა.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 58—75.

დიდი კმაყოფილებით შეხვდა ივანე ჯავახიშვილი პარტიისა და მთავრობის დადგენილებას ჩვენი ეროვნული დიდების ვეფხისტყაოსნის იუბილეს აღსანიშნავად. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო გამოფენა — შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა. თითქმის ერთდროულად დაწერა და გამოაქვეყნა რამდენიმე რუსთველოლოგიური ნაშრომი; 1. შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის ზეიმის გამო[1], 2. Личность и мировоззрение[2], 3. რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა ვეფხისტყაოსანი[3], 4. ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის ირგვლივ[4], 5. ამავე დროს უნდა ეკუთვნოდეს საბოლოო რედაქცია ნარკვევისა „ვეფხისტყაოსანი“[5]. ვეფხისტყაოსნის საკითხებს, რა თქმა უნდა, ი. ჯავახიშვილი ადრეც ეხებოდა და შემდეგ არაერთხელ დაბრუნებია მას. ივ. ჯავახიშვილი იყო შესანიშნავი მკვლევარი-რუსთველოლოგი. ჯავახიშვილი-რუსთველოლოგი სპეციალური თემაა. ჩვენ აქ შევეხებით ივანე ჯავახიშვილის რუსთველოლოგიური ნააზრევის მხოლოდ ზოგიერთ მხარეს.

ვეფხისტყაოსნის შექმნის 750 წლისთავის გამო დაწერილ ნარკვევში ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „შოთა რუსთაველის დიდებული ქმნილების შესწავლა წარსულთან შედარებით გაცხოველდა, ძალიან დაწინაურდა“, მაგრამ იქვე მიუთითებს რუსთველოლოგიის ჩამორჩენილობას ტექსტოლოგიის დარგში. მკვლევრის სიტყვით, სხვადასხვა მოსაზრებანი უკვდავი პოემის თაობაზე მაინც „პოემის აღუდგენელ ტექსტზეა დამყარებული“. სწორედ გასაოცარიაო, განაგრძობდა, რომ „ამ გაცხოველებულმა მუშაობამაც ვეფხისტყაოსნის ტექსტის კრიტიკულ აღდგენასა და გამოცემას მაინც ვერაფერი უშველა“[6]. ივ. ჯავახიშვილი გულისტკივილით შენიშნავდა, რომ: „დღემდე ჩვენ ვეფხისტყაოსნის არამცთუ სრული კრიტიკული გამოცემა ვერ მოგვიხერხებია, არამედ ისეთი გამოცემაც კი არ მოგვეპოვება, სადაც ხელნაწერებში დაცული ყველა განსხვავებული წანაკითხები მაინც

---

[1] ივანე ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 5—12.

[2] იქვე, გვ. 13—15.

[3] იქვე, გვ. 16—19.

[4] იქვე, გვ. 20—30.

[5] იქვე, გვ. 31—47.

[6] ივანე ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 5—12.

გექონდეს აღბეჭდილი“ (გვ. 74). მკვლევარი განსაკუთრებით წუხდა ვეფხისტყაოსნის ვარიანტებიანი გამოცემის უქონლობის გამო. დიდი მეცნიერის მოთხოვნის ეს მინიმუმი ამჟამად ერთგვარად შესრულებულია: 1960—1963 წლებში რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ ოთხი წიგნი, ხოლო 1966 წელს გამოვიდა ვეფხისტყაოსნის ვარიანტებიანი ტექსტი (ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით), რომელიც ივანე ჯავახიშვილის ხსოვნას მიეძღვნა.

ივ. ჯავახიშვილის მოთხოვნის თანახმად, „ვეფხისტყაოსნის გამოცემა შეუძლებელია მხოლოდ კარგი გამოცემა იყოს: ის უნდა უეჭველად სამაგალითო, უზადო გამოცემა იქნეს“. სანამ ასეთი გამოცემა არ განხორციელდება, ქართული მეცნიერება ვერ მოიხდის ზნეობრივ მოვალეობას „თავისი გენიოსი მგოსნის წინაშე“. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიას მიზნად აქვს დასახული მოამზადოს და გამოსცეს რუსთაველის პოემის სწორედ ისეთი ტექსტი, რომელზედაც ოცნებობდა ივ. ჯავახიშვილი. მიზანი ნათელია. სხვა საქმეა, რამდენად მოხერხდება მისი სრულყოფა.

ივ. ჯავახიშვილმა სპეციალური წერილით განიხილა ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის საკითხი. მისი ფიქრით, ეს „გამოცემა ძველს ხელნაწერულს ტრადიციებზე უნდა იყოს დამყარებული“, ვახტანგს უნდა შეეგროვებინა „პოემის ყველა საუკეთესო ცნობილი ხელნაწერი“ და აქედან უნდა შეერჩია „უკეთესი და უძველესი რედაქციის ნუსხა, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა მის გამოცემას. ვეფხისტყაოსნის ტექსტის „თვითნებური აღდგენა“ ვახტანგს არ უცდიაო, ამბობს მეცნიერი. მართალია, ვახტანგს „უყოყმანოდ მოუციებია პოემის ბოლო თავები“, ე. ი. ინდო-ხატაელთა ამბავი, მაგრამ ამისათვის სარწმუნო ცნობები უნდა ჰქონოდაო. დიდი მეცნიერის ეს ვარაუდი ვაამართლა ვეფხისტყაოსნის ეგრეთ წოდებული ზაზასეული ნუსხის აღმოჩენამ.

ივანე ჯავახიშვილი იმთავითვე იმ თვალსაზრისს ადგა, რომ ვეფხისტყაოსანი ასახავს XII საუკუნის საქართველოს კონკრეტულ-ისტორიულ სინამდვილეს, რომ თინათინის გამეფების გარემოება პირდაპირ ხვდებოდა „ყოველი ქართველის გულს“, რომ არაკად თქმული „სხვა ძე არ ესვა მეფესა მართ ოდენ მარტო ასული“ და „ლეკვი

ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ სახელდებით საქართველოს ამბებზე მიუნიშნებსო.[1] ეს თვალსაზრისი მან შემდეგ უფრო გაალრმავა და განავითარა. ივანე ჯავახიშვილის დაკვირვების თანახმად: „შოთა რუსთაველის გმირებში ქართველის გული ძგერს, მის გმირებს მაშინდელი საქართველოს საკითხები აღელვებს“ (გვ. 19). ქალის ღირსებათა წინ წამოწევას და ქალის გამეფების შესაძლებლობის პრობლემას ი. ჯავახიშვილი თვლიდა თამარის დროინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ქვაკუთხედად. გიორგი მესამის გაბედული ნაბიჯის შემდეგაც „ბრძოლა არ ჩამქრალა“, მან მხოლოდ განსხვავებული ფორმა მიიღო. შოთა რუსთველი, ამბობს ივანე ჯავახიშვილი, „ქალ-უფლისწულის მამაკაც-უფლისწულთან თანასწორუფლებიანობის მქადაგებელია“. ჯერ კიდევ ფარსადან გორგიჯანიძემ შენიშნაო, განაგრძობს მკვლევარი, რომ რუსთველის „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ თამარის გამეფებაზე არის თქმული. ივანე ჯავახიშვილი უფრო შორს მიდიოდა. მისი მოსაზრებით, ეს დიდებული აფორიზმი მარტო კერძო შემთხვევას კი არ გულისხმობს, არამედ საზოგადოდ ქალისა და კაცის პოლიტიკურ სფეროში თანასწორობის იდეის გამოხატვას წარმოადგენსო.

ივანე ჯავახიშვილი იზიარებდა ნიკო მარის თეორიას ვეფხისტყაოსნის რაინდობასა და ამაღლებულ, რაინდულ სიყვარულზე, რომელიც წამოყენებულია ნ. მარის მონოგრაფიაში «Культ женщины и рыцарство в поэме».[2] ივანე ჯავახიშვილი ასე აფასებს მარის ამ ნაშრომს: „ვეფხისტყაოსნის გენიოსი ავტორის მოუღვაწეობაზე. მიზნისა და პოეტური მრწამსის შესახებ პირველი მშვენივრად დაწერილი მონოგრაფია აკად. ნ. მარის კალამს ეკუთვნის. მისმა ამ გამოკვლევამ ვეფხისტყაოსნის შესწავლის ახალი ხანა შექმნა“[3].

ივ. ჯავახიშვილი თვლის, რომ ვეფხისტყაოსნის ძირითადი იდეა არის იდეა ძმობისა და მეგობრობისა, რომელიც ხალხთა ძმობის სახეს ღებულობს.

შოთა რუსთველის რელიგიური მსოფლმხედველობა, ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, თავისუფალი აღმსარებლობის ბუნებისაა. ეს აღმსარებლობა შორსაა ოფიციალური ქრისტიანული ეკლესიი-

[1] ქართველი ერის ისტორია, II, 1914, გვ. 660.

[2] Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии (XII, СПб, 1910)

[3] შდრ. ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1914, გვ. 569—660.

ის დოგმატიზმისა და საღვთისმსახურო ფორმებისაგანო. ამით ხსნის მკვლევარი ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლას კლერიკალური წრეების მხრივ. ივ. ჯავახიშვილს სადავოდ არ მიაჩნდა გადმოცემა ანტონ კათალიკოზისაგან ვეფხისტყაოსნის დევნის თაობაზე.

ძალიან საინტერესოა, თუმცა, ჩემი აზრით სადავო მოსაზრებანი აქვს განვითარებული ივ. ჯავახიშვილს ვეფხისტყაოსნის პერსონაჟების თაობაზე. მაშინაც, როცა ივ. ჯავახიშვილის შეხედულებას არ იზიარებთ, გზიბლავთ მისი ლიტერატურული ინტერესების დიაპაზონი მსჯელობის მეცნიერული წესი და განზოგადოების სიღრმე.

ივანე ჯავახიშვილმა საგანგებო ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ რუსთველის პოემა „სპარსელებისადმი ცხადი პოლიტიკური სიძულვილით არის გამსჭვალული და ამიტომაც, საეჭვო და შეუძლებელიც-კია, რომ იქ მოთხრობილი ამბავი სპარსული იყოს“. ანტისპარსული განწყობილების გამომხატველი ნაწარმოების ერთი უმთავრესი იდეალური პერსონაჟი ფრიდონი, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელია სპარსელი ყოფილიყო როგორადაც მას თვლიდა ნ. მარიო.

ივანე ჯავახიშვილი შთაგონებით წერდა: „მანამდე, სანამ ადამიანის ორგანიზმში ადამიანის კეთილშობილი გული ძგერს, მანამდე, სანამ კეთილშობილურ გრძნობებსა და სიყვარულს მიმზიდველი ძალა ექნება, არასოდეს არ მოკვდება რუსთაველი, არასოდეს არ მოკვდება ეს დიადი პოემა ვეფხისტყაოსანი“. საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, XII საუკუნის საქართველოში დაიწყო ის გონებრივი მოძრაობა, რომელმაც წარმოშვა „ეგრეთ წოდებული რენესანსი“, „მაგრამ მისი დასრულება მონღოლთა შემოსევამ შეაფერხაო“.[1]

ძველი ქართული სულიერი კულტურის დაუცხრომელი მკვლევარი არც ახალი ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზრის საკითხებს აკლებდა თავის გულისხმიერ ყურადღებას. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ივ. ჯავახიშვილის ორი ნარკვევი: 1. Политическое и социальное движение в Грузии в XIX в[2]. 2. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია[3].

[1] ქართველი ერის ისტორია, II, 1914, გვ. 648; სარ. ცაიშვილი, ლიტერატურული წერილები, 1977. გვ. 225.

[2] სანკტ-პეტერბურგი, 1906 წელი. გადაბეჭდილია ივ. ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორიის V წიგნში (თბილისი, 1953. ჩვენი ციტატები აქედანაა მოტანილი).

[3] პირველად დაიბეჭდა 1938 წელს (ენიმკის მოამბე, 1938, № 2). ტექსტი

პირველი ნაშრომი ჩინებული გამოკვლევაა XIX ს. ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის თვალსაზრისით. აქ იმას გავუსვამთ ხაზს, რომ ივ. ჯავახიშვილი სრული თანაგრძნობით იხილავს გლეხთა ანტიფეოდალური და ანტიცარისტული მოძრაობის ისტორიას. მკვლევარი საგანგებოდ შენიშნავს, რომ XIX საუკუნეში გლეხთა აგრარულ მოძრაობას ჰქონდა სტიქიური ხასიათი, მაგრამ აკლდაო საჭირო ორგანიზებულობა. XX ს. დასაწყისიდან კი მუშათა კლასმა ამ მოძრაობას შთაბერაო „ორგანიზატორული სული“ (организаторский дух). ამასთან აგრარულ მოძრაობას თანდათანობით პოლიტიკური მოძრაობის ხასიათი მიეცაო. ეს შესანიშნავი ნაშრომი მეფის ცენზურამ აკრძალა, ხოლო მისი ავტორი ადმინისტრატიული წესით დასაჯა.

ივანე ჯავახიშვილი საკადრისი ღირსებისამებრ აფასებდა „ახალი ქართული მწერლობისა და ქართველთა საზოგადოებრივი აზრის უცილობელი ბელადის“ ილია ჭავჭავაძის ღვაწლს ერის წინაშე. ოღონდ, მისი სიტყვით, „ილია ჭავჭავაძე დიდებული იყო მარტო პოეზიასა და პუბლიცისტიკაში კი არა, ... არამედ საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც მას ისეთი ღვაწლი ჰქონია, რომლის დავიწყების უფლება არც ერთს ქართველს არა აქვსო“ (გვ. 88). დიდი მეცნიერ-მკვლევარი ღრმა გულისტკივილით შენიშნავდა, რომ ერთ დროს გამოჩნდნენ ჩვენში ადამიანები, რომლებიც შეეცადნენ ილია ჭავჭავაძის დაუფასებელი ღვაწლის „მთლიანად გაქარწყლებას“ და „მიწასთან გასწორებას“ მაგრამ, დიდი კმაყოფილებით დასძენდა: „საბედნიეროდ, იმ უმაგალითო უმადურობას უკვე საბოლოოდ ბოლო მოეღო და, უეჭველია, მთელი საქართველო გულწრფელ მადლობას უძღვნის იმას, ვისი წყალობითაც ეს საშინელი უმადურობა მოსპობილია და ილია ჭავჭავაძის დიდი ღვაწლიც საქართველოს წინაშე ღირსეულად შეფასებულია“.

ფიზიკურად უკვე მოტეხილი, მაგრამ სულიერად მხნე და შრომისწყურვილმოუკლავი მხცოვანი მეცნიერი ბოლო ხანებში დაძაბული ენერგიით მუშაობდა ძველი ქართული მხატვრული მწერლობის საჭირბოროტო საკითხებზე. საკითხთა ამ წრეს ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილის დაუმთავრებელი გამოკვლევა „ქართული ფილოლოგიისა და ძველი ქართული მხატვრული ეპოსის ისტორიის ამოცანები“. საუბედუროდ, ამ გამოკვლევის მოხსენების სახით კითხვის დროს, როცა დიდი მეც-

---

ციტირებულია ივ. ჯავახიშვილის ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხების მიხედვით (თბილისი, 1956).

ნიერი ამირანდარეჯანიანის საკითხებს აშუქებდა, სამუდამოდ დადუმდა მისი ტკბილმოუბარი ენა.

1976

ექვთიმე თაყაიშვილი

დიდი ქართველი მეცნიერი და მამულიშვილი პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი პირადად მას შემდეგ გავიცანი, რაც იგი ევროპიდან დაბრუნდა. განსაკუთრებით დაუვიწყარია ჩემთვის მასთან ორი შეხვედრა.

ექვთიმე თაყაიშვილი უცხოეთიდან ღრმად მოხუცი და სნეული დაბრუნდა. ერთხანს სასტუმროში ცხოვრობდა. ბინა რომ მიიღო (ვაშლოვანის ქუჩაზე), თავისი ძველი თანამოღვაწენი მიიპატიჟა და პურობა გაუმართა. ამ პურობა-დარბაზობას მეცნიერთა ახალი თაობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მახსოვს, იქ იყვნენ კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, გიორგი ჩუბინაშვილი, იროდიონ სონღულაშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, ნიკო კეცხოველი, შალვა ამირანაშვილი, სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი წერეთელი, შინაურებიდან ოცდაათიოდე კაცი იქნებოდა.

სუფრას მივუსხედით. მასპინძელმა სუფრის თავში დაიკავა ადგილი, ჭიქა აიღო და თვალი შეავლო თავყრილობას. ინსტიქტურად ყველა ფეხზე წამოდგა. ჩვენ წინ იდგა ხორცშესხმული ცოცხალი ბიბლიური პატრიარქი. მას დიდი მღელვარება ეტყობოდა, ბაგეები უთრთოდა, ხელები უკანკალებდა, ანთებული თვალებიდან ნაპერწკლები და ცრემლების მარგალიტები სცვიოდა.

დიდი პატივი დამდეთ, ძვირფასო სტუმრებო, მეწვიეთ, — დაიწყო ექვთიმე თაყაიშვილმა და მტკიცედ განაგრძო, — ბედნიერი ვარ, უზომოდ ბედნიერი, რომ ჩემს საყვარელ სამშობლოში ვიმყოფები, ძვირფას ადამიანთა შორის. სიტყვები არ მეყოფა, რომ მოზღვავებული გრძნობები გამოვხატო. სულმნათი აკაკის ლექსი გადმოგცემთ ჩემს ახლანდელ განცდებსო, თქვა და მკაფიოდ, გამომეტყველად ოღონდ ზოგჯერ ზლუქუნით ზეპირ წარმოთქვა:

ცა—ფირუზ, ხმელეთ—ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!
ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო;
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.
დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ.
შენ მიწას მიმბარეო!
ცა—ფირუზ, ხმელეთ—ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!

ლექსის კითხვის დროს ტანში ჟრუანტელი მივლიდა. ექვთიმემ დაასრულა კითხვა, ღრმად ამოისუნთქა და ნეტარების ღიმილი გადმოაფრქვია. რიგრიგობით მივუახლოვდით და მოწიწებით ვეამბორეთ მის სპეტაკ სახეს...

ექვთიმე თაყაიშვილის უახლოესი თანამშრომელი და გულითადი მეგობარი იყო მწერალი, საზოგადო მოღვაწე და სამუზეუმო საქმის დიდი მცოდნე იროდიონ სონღულაშვილი. ერთხელ იროდიონმა მითხრა, ექვთიმე გკითხულობსო. დაუყოვნებლივ ვეახელი. იროდიონიც წამყვა. ექვთიმე დიდხანს მესაუბრა. გამომკითხა უნივერსიტეტის ამბები, არც ჩემი პირადი ამბები დაივიწყა. აინტერესებდა ჩემი მუშაობა...მოიგონა ჩემი სიმამრი, მისი ძველი მეგობარი ექიმი და მწერალი ივანე ელიაშვილი.

მომხიბლა კეთილი მოხუცის სათნოებამ, გულისხმიერებამ, სიდარბაისლემ, დიდკაცურმა უბრალოებამ.

— იცი რა გითხრა, ყმარწვილო,—გურულად შეუქცია და თითქო სხვათა შორის ჩაილაპარაკა ექვთიმე თაყაიშვილმა საუბრის ბოლოს, — ჯერ მე გადმომხედა და შემდეგ იროდიონ სონღულაშვილს მიუბრუნდა: — კაცო, ერთხელ უცნაური შეცდომა მომივიდა, ნამდვილად დიდი შეცდომა. ამ ყმაწვილმა გამისწორა. ამაზე ჩემს მოგონებებში ვიტყვიო, დასძინა. შემრცხვა. დავიბენი. ხმა ვერ ამოვიღე. ვერ შევუბედე შეკითხვა. არ ვიცოდი, რას ეხებოდა მისი სიტყვები. გაოგნებული დავემშვიდობე და საჩქაროდ წამოვედი. საქმის ვითარება მაშინ გაირკვა, როცა 1958 წელს „მნათობში“ გამოქვეყნდა ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებები. ამ მოგონებებში დიდი მეცნიერი ერთგან ეხება ჩემს სადებიუტო ნაშრომს (1927 წელს რომ დაიბეჭდა): იქ საკმაოდ

კრიტიკულად მაქვს განხილული შაჰნამეს ქართული ვერსიის ერთი საყურადღებო ხელნაწერის თაყაიშვილისეული აღწერილობა. ავტორი განმაცვიფრებელი გულახდილობით აღნიშნავს მოგონებებში, რომ მას „მარცხი“ მოუვიდა, განმარტავს ამ მარცხის მიზეზს და ურჩევს: „ამ ბოლო დროს ალ. ბარამიძემ შეამჩნია ეს ჩემი შეცდომა. ძალიან მეუხერხულებაო“ (მნათობი, 1958, № 11, გვ. 168).

ასე აფასებდა ექვთიმე თაყაიშვილი მეცნიერულ ჭეშმარიტებას, ექვთიმე თაყაიშვილი გარდაიცვალა 1953 წლის 21 თებერვალს. მე წილად მერგო მისი დაკრძალვის ორგანიზება, პატარა სიტყვაც ვუთხარი გაჭრილ საფლავთან. მოგონების ამ ფურცელს მაშინდელი სიტყვის დასასრულით ვხურავ: ექვთიმე თაყაიშვილმა პირნათლად მოიხადა თავისი ვალი ქვეყნის წინაშე. მადლიერი ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს ღვაწლმოსილი დიდი მეცნიერის საშვილიშვილო ამაგს.

ექვთიმე თაყაიშვილი იყო ძველი ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლების დაუცხრომელი შემკრები და მკვლევარი. უწინარეს ყოვლისა, შემკრები, წესრიგში მომყვანი და აღმწერელი. ის თვითონ შესანიშნავად გვიამბობს თავის მიზან-დასახულობასა და ფანატიკურ გატაცებაზე: „სულ იმას ვშიშობდი ყოველ ნაბიჯზე, აი, ეს არ დაიკარგოს, აი, ის არ წახდეს მეთქი! ვცდილობდი ყველაფერი ამეწერა, გადმომეღო, ჩამეხეტა; რაც შეიძლებოდა, მეტი გამომეცა, შემეძინა, შემომეწირვებინა და, საბოლოოდ, მუზეუმი შემექმნა, რომ ის ყოველივე საიმედოდ ყოფილიყო შიგ შენახული. ასე მიმდინარეობდა ჩემი მუშაობა ათეული წლების მანძილზე“[1]

დიდი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და დაუცხრომელი შ ე მ კ რ ე ბ ლ ო ბ ი თ ი მუშაობის გამო ე. თაყაიშვილს დრო აღარ რჩებოდა მოპოვებული ძვირფასი მასალების დაწვრილებით შესასწავლად, მონოგრაფიული გამოკვლევების მოსამზადებლად და განმაზოგადებელი დასკვნების გამოსატანად. თვითონ მშვენივრად განმარტავს საქმის ამ მხარეს: „ძალ-ღონის ასეთი დაძაბებისა და ამგვარ მუშაობაში თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში დღე-ღამე ჩაფლულობის გამო, რა თქმა უნდა, აღარც საშუალება აღარა მრჩებოდა იმისათვის,

---

[1] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაშრომები, I, თბ., 1968, გვ. 380 (შდრ. იგრეთვე, გვ. 310).

რომ ჩავჯდომოდი მოზღვავებულ მასალას და დინჯად მეწერა ნამდვილი გამოკვლევები. ჩემი, როგორც მკვლევრის, ნააზრევი მხოლოდ ამა თუ იმ ძეგლის გამოცემისას დართულ შესავალსა და კომენტარში მჟღავნდებოდა უმთავრესად"[1].

ამ განმარტების შემდეგ ავტორი დიდი თავმდაბლობით განაგრძობს: „ნამდვილი თეორიული ნაშრომი თითქმის არც ერთი არ დამიწერია: ვეღარ ვიცლიდი საამისოდ!". გატაცებულ მამულიშვილს ის აიმედებდა, რომ „მერე გამოგვიჩნდებოდნენ მკვლევარები, რომლებიც დარგობლივ, გულდაგულ დაადგებოდნენ მათ და გამართული შევსებული ისტორიისა თუ მონოგრაფიული გამოკვლევების შესაქმნელად გამოიყენებდნენ"[2] — „ბოლოს ხომ ეს მოლოდინიც გამიმართლდაო", სიხარულით ასკვნის სახელოვანი მეცნიერი.

ხანგრძლივი საზოგადოებრივ-მეცნიერული მოღვაწეობის თაყაიშვილისეული თვითდახასიათება საერთოდ სწორია, თუმცა მკვლევარი მეტისმეტ მოკრძალებას იჩენს. მართალია, თავისი დროის უმეტესი ნაწილი ე. თაყაიშვილმა უძვირფასესი ეროვნული განძის შეკრება-თავმოყრას, დაცვასა და მოვლა-პატრონობას მოანდომა, მან მაინც მოახერხა რიგი მნიშვნელოვანი ძეგლის გამოცემა და არა ერთი გამოკვლევის გამოქვეყნება. ე. თაყაიშვილის ნაფიქრ-ნააზრევი ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან გაბნეულია მის „აღწერილობებში", თუ სხვა ნაშრომებში. მას მოეპოვება რიგი საყურადღებო დამოუკიდებელი გამოკვლევაც, რომლებიც დართული აქვს ტექსტების მისეულ პუბლიკაციებს ანდა გამოქვეყნებულია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში. ჩვენი შეძლებისდაგვარად თავი მოვუყარეთ ე. თაყაიშვილის ასე თუ ისე განმაზოგადებელი ხასიათის ნარკვევებს თუ ცალკეულ შენიშვნებს ძველი ქართული მწერლობის საკითხებზე და „მასალების" სახით შევიტანეთ მისი რჩეული ნაშრომების პირველ ტომში.

როგორც ვთქვით, დაუფასებელია ე. თაყაიშვილის ღვაწლი ქართული სულიერი კულტურის ძეგლების შეკრების, დაცვისა და მეცნიერულად აღწერის მხრივ. საყოველთაოდ ცნობილია მისი მონუმენტური ოთხტომიანი «Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения» (т. I, 1902—1904; т. II, 1906—1912). აღმწერელი სამართლიანად ამბობდა, რომ ქართველთა

---

[1] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, რჩეული ნაშრომები, I, თბ., 1968, გვ. 380.

[2] იქვე, გვ. 381.

შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდს მაშინ პირველი ადგილი ეჭირა ქართულ ხელნაწერთა ფონდებს შორის. ე. თაყაიშვილი თავდაპირველად აპირებდა ხელნაწერების სისტემატურ აღწერას კატალოგური ჩანაწერი რიგის მიხედვით. ასეა აღწერილი პირველი ოცდაათი ხელნაწერი. ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის მითითებათა კვალობაზე ოცდამეთერთმეტე ნომრიდან ე. თაყაიშვილი შეუდგა თემატიკური პრინციპით შერჩეული ხელნაწერთა ჯგუფების აღწერას. ამით ავტორს საშუალება ეძლეოდა ცალკეული ხელნაწერების აღწერასთან ერთად მოეცა ხელნაწერთა ჯგუფების საერთო დახასიათება, გამოეყო საუკეთესო ნუსხები და იქიდან ამოეღო მისთვის საჭირო ტექსტები. აღწერილობათა შედგენა ე. თაყაიშვილმა პირველად ქართულად დაიწყო, საბოლოოდ კი რუსულზე გადავიდა, მასალები რომ „აღმოსავლეთმცოდნეთა უფრო მეტი წრეებისათვის ყოფილიყო ხელმისაწვდომიო“[1]. აღწერილობათა რუსულად შედგენას, ალბათ, იმანაც შეუწყო ხელი, რომ მათი პუბლიკაცია იკისრა ცნობილმა ორგანომ СМОМПК.

აღწერილობათა უქონლობის გამო ძველი ქართული მწერლობის ძეგლები ჩვეულებრივ იბეჭდებოდა შემთხვევითი და უვარგისი დედნების მიხედვით, მაშინ როდესაც იმავე ტექსტების შემცველი საუკეთესო ნუსხები უყურადღებოდ იდო სიძველეთსაცავებში. ასეთ პირობებში გასაკვირი არ იყო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის გაუგებრობანი და კურიოზული შეცდომები[2]. ე. თაყაიშვილის წამოწყებას ბოლო უნდა მოეღო ყოველივე ამისათვის. სამწუხაროდ ე. თაყაიშვილმა ვერ შეძლო წ.-კ. საზოგადოების ხელნაწერთა მთელი ფონდის აღწერა. აღწერილობა მეორე ტომზე შეწყდა[3].

ე. თაყაიშვილის აღწერილობათა ორტომეული სანიმუშო იყო თავის დროისათვის და შესანიშნავია დღევანდელი პირობებისათვისაც კი. ე. თაყაიშვილის ნაშრომი არ არის აღწერილობა ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით. აღმწერელი ითვალისწინებდა აღსაწერი მასალის როგორც გარეგნულ მხარეს, ისე, და განსაკუთრებით, მის შინაარსს. აღწერილობებში საერთოდ მთლიანად არის მოყვანილი ხელნაწერთა ყველა

---

[1] Вместо предисловия, Описание, I, გვ. II.

[2] იქვე, გვ. III—IV.

[3] ე. თაყაიშვილის „აღწერილობას“ ა.კ. შანიძესთან ერთად შეეუდგინეთ საძიებელი (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი, 2, თბილისი, 1939).

ანდერძი, მინაწერ-ჩანაწერი, შენიშვნები, ვრცელი ამონაწერები ტექსტების შესავლიდან და დასასრულიდან, უხვი ცნობები, რასაც კი მნიშვნელობა აქვს ძეგლის ავტორის, გადამწერის, ხელნაწერის თარიღის, ამკინძავის, შემკვეთელის, რესტავრატორის და მისთანათა შესახებ. აღმწერელი ხშირ შემთხვევაში გვაძლევს თხზულების შინაარსს, კარების დასათაურებას, ილუსტრაციების ნუსხას (როცა ხელნაწერი დასურათებულია). «Словом, — შენიშნავს აღმწერელი, — мы старались исчерпать весь историко-литературный материал, который может дать описываемая рукопись без полного издания ее текста» (Вместо предисловия). „ჩვენს პროგრამაში, რასაკვირველია, არ შედიოდა ყოველი აღსაწერი ძეგლის ყოველმხრივი გამოკვლევაო“, განაგრძობს ე. თაყაიშვილი, მაგრამ ხელნაწერთა ახლოს გაცნობა ცვლიდა ამა თუ იმ საკითხზე მანამდის არსებულ შეხედულებას და ჩვენ საჭიროდ ვთვლიდით მათ აღნიშვნასო. „ამრიგად, — ასკვნიდა აღმწერელი, — თუ ჩვენი აღწერილობა წინ წასწევს ქართული მწერლობის ძეგლების შესწავლის საქმეს და საკმაო მასალას მისცემს სპეციალისტებს, ჩვენი მიზანი სავსებით მიღწეული იქნება“.

ე. თაყაიშვილის აღწერილობამ თავისი მიზანი შეასრულა და შეასრულა დიდი წარმატებით. აღფრთოვანებით შეხვდნენ აღწერილობათა პირველი ნაკვეთების გამოქვეყნებას ნ. მარი და ი. ჯავახიშვილი. პირველი ნაკვეთის გამოსვლის გამო ნ. მარი წერდა: «Большую, давно желанную, новость представляет настоящий труд. Пока описаны 24 номера, но о содержательности работы достоточно говорят посвященные им 202 страницы. Автор описания главное внимание обращает на содержание, а не на установившийся в последнее время шаблон внешнего описания... Что касается выполнения, то имя Е. С. Таканшвили, автора Описания, представляет достаточную гарантию тщательности воспроизведения текстов и вообще аккуратности работы»[1]. ი. ჯავახიშვილის სიტყვით, ე. თაყაიშვილის «Описание составлено прекрасно; тщательно, подробно и дает массу совершенно новых сведений. В описании мы имеем много ценных данных, дающих неопровержимые выводы в области исторических и историко-литературных инте-

[1] ЗВОРАО, т. XV, 1904, გვ. 161.

ресов»[1]. თვითონ ე. თაყაიშვილი იგონებს ნ. მარის განცხადებას მისი „აღწერილობის“ გამო: «Какое же это описание, настоящее исследование»[2].

როგორც თავისი, ისე ი. ჯავახიშვილის რეცენზიის საფუძველზე ნ. მარმა შეადგინა ვრცელი «Отзыв о сочинении Е. С. Таканшвили «Описание рукописей...» და დასაჯილდოებლად წარუდგინა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას. აქ ხაზგასმულია „აღწერილობის“ დიდი მეცნიერული მნიშვნელობა, ამასთან ერთად დაწვრილებით არის აღნუსხული შრომის ნაკლოვანი მხარეებიც. საერთოდ და მთლიანად ნ. მარის აზრით, ე. თაყაიშვილის „აღწერილობა“ დიდი მოვლენაა (крупное явление) ქართველოლოგიის დარგში, იგი არისო «первый по времени и прекрасный по выполнению опыт подробного описания грузинских рукописей большого собрания». შეუძლებელია შრომა არ მივიჩნიოთ, როგორც «редкий и ценный вклад в русскую ориенталистическую науку[3]». რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ ე. თაყაიშვილის „აღწერილობა“ დააჯილდოვა ოქროს მედლით.

ე. თაყაიშვილის „აღწერილობა“ ნამდვილად სცილდება აღწერილობათა ჩვეულებრივ ფარგლებს. ზოგიერთი აღწერილობა სწორედ რომ დამოუკიდებელ სამეცნიერო გამოკვლევას წარმოადგენს, მთლიანად კი იგი ნამდვილი მეგზური და წინამძღვარია ძველი ქართული მწერლობით დაინტერესებული ყველა პირისათვის, ე. თაყაიშვილის „აღწერილობის“ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ძველი ქართული მწერლობის სამეცნიერო კურსის შექმნა, რასაც აღნიშნავს კიდევაც ქ. კეკელიძე[4].

ჩვენ აქ შევეხებით ე. თაყაიშვილის ზოგიერთ აღწერილობა-გამოკვლევას, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა ძველი ქართული საერო ლიტერატურის ისტორიის სპეციალური საკითხების გასარკვევად.

კლასიკური პერიოდის მწერლობიდან ე. თაყაიშვილს აღწერილი და მიმოხილული აქვს ვეფხისტყაოსანი, აბდულმესიანი, თამარიანი და ამირანდარეჯანიანი. მკვლევარმა შეისწავლა ვეფხისტყაოსნის

---

[1] Византийский временник, т. XI, СПб, 1904, с. 347.

[2] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი („მნათობი“, 1959, № 2, გვ. 172).

[3] Санктпетербург, 1908, გვ. 29 (ცალკე ამონაბეჭდი).

[4] ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბილისი, 1924, გვ. 27.

მაშინ ცნობილი ყველა ხელნაწერი, მათ შორის სხვა ფონდებში დაცული თუ კერძო პირთა მფლობელობაში მყოფი (II, 554—592; პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი. პარიზი, 1933, გვ. 43—45; ელენე თარხან-მოურავისეული ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი, „მნათობი", 1962, 3, გვ. 139—142).

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობის დასკვნით ნაწილში (II. 580—582) მოცემულია ხელნაწერთა კლასიფიკაცია თარიღებისა და რედაქციების მიხედვით. ე. თაყაიშვილმა პირველად დაადგინა, რომ ვეფხისტყაოსნის ჩვენ დრომდის მოღწეული არც ერთი ხელნაწერი არ არის მე-17 საუკუნის პირველ ნახევარზე უფრო ძველი და რომ ყველა ძველ ხელნაწერს აქვს ჩანართები და დანართები (II, 57), რომ ინტერპოლაციების ჩართვა რუსთაველის პოემაში ადრე დაწყებულა, შემდეგ კი იგი განუგრძია მე-17 საუკუნეში ვიღაც ნანუჩა ციციშვილს (იქვე). ე. თაყაიშვილი იმოწმებს პოემის ძირითად გამოცემებს და არკვევს იმათ ურთიერთ მიმართებას, საგანგებოდ ჩერდება პირველ ბეჭდურ გამოცემასა და ვახტანგ VI-ის ღვაწლზე. დიდძალი მასალის შეჯერების საფუძველზე ე. თაყაიშვილი საბუთიანად ამტკიცებს, რომ ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია კრიტიკული გამოცემაა, რომ „ქართული მეცნიერებისა და კულტურის სარბიელზე ამ შესანიშნავმა მოღვაწემ შესძლო გაეწმინდა ვეფხისტყაოსანი იმ დანართებისაგან, რომლებიც შეიქმნა მე-17 საუკუნეში". მკვლევარი იმასაც თვლის, რომ თვითონ ვახტანგის გამოცემაშიც ჩარჩენილია ინტერპოლაციები, ოღონდ ისინი „არც თუ მრავალრიცხოვანია და, საფიქრებელია, მე-17 საუკუნეზე უფრო ძველია", ე. თაყაიშვილის ვარაუდით, ვეფხისტყაოსნის შეთავებაზე, რასაკვირველია, მუშაობდა არა მარტო ნანუჩა ციციშვილი. შემთავებელნი იყვნენ ბევრნიო. დასასრულ მკვლევარი იუწყება, რომ ის აპირებს განხილული ხელნაწერების მიხედვით ვეფხისტყაოსნის გამოცემას ივანე ეგნატეს ძე პოლტორაცკის რუსული თარგმანითურთ, სამწუხაროდ, ეს განზრახვა მან ვერ განახორციელა.

1917 წელს ე. თაყაიშვილმა გაზეთ „საქართველოში" (№ 22) დაბეჭდა წერილი[1] სათაურით „ერთი ყალბი დოკუმენტის გამო." ამ წერილით მკვლევარი ამხილებს თანამედროვე უცნობ ყალბისმქმნელს,

[1] წერილი გამოქვეყნდა პ. ინგოროყვას თანაავტორობით.

რომელსაც გერგეტის სამების „სულთა მატიანეში“ ჩაურთავს ვითომცდა შოთა რუსთველის საბიოგრაფიო ცნობები.

ე. თაყაიშვილმა აღწერა ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა გაგრძელება, პოემა „ომაინიანი“ I, 563—580). გადმოსცა მისი დაწვრილებითი შინაარსი (574—580) და გამოთქვა მოსაზრებანი ავტორის ვინაობის თაობაზე (563—564).

მე-12 საუკუნის ქართველ მეხოტბეთა ტექსტები მართლაც ძალზე შერყვნილი. «Путаницы в текстах, пропуски, переставки слов и поздние вставки делали эти произведения малопонятными», ამბობს ე. თაყაიშვილი (II, 57). ბევრი რამ გაირკვა ნ. მარის ცნობილი შრომის შედეგად, თუმცა „ბევრი რამ (კვლავ) გაურკვეველი რჩებოდა“ (იქვე). აღმწერელს უკომენტაროდ მოჰყავს ნ. მარის ძირითადი დებულებანი თამარიანის თაობაზე (ე, 530 — 531). რაც შეეხება აბდულმესიანს ნ. მარის გამოკვლევის თანახმად, ამ ძეგლის ქების საგნად დავით აღმაშენებელი უნდა იქნეს მიჩნეულიო (II, 163). თავის მოგონებებში ე. თაყაიშვილი ნ. მარის წიგნს მეხოტბეებზე (Древнегрузинские одописцы, ТР, IV, 1902) უწოდებს „მშვენიერ“ ნაშრომს („მნათობი“, 1958 № 4, გვ. 186).

ჯერ კიდევ 1900 წელს გამოქვეყნდა ე. თაყაიშვილის საყურადღებო ნარკვევი „მართლა მოაღწია ჩვენამდის ძველი დილარიანის ნაწყვეტმა თუ არა?“ („მოამბე“, № 2. გვ. 41—56). ამირანდარეჯანიანის ხელნაწერების განხილვის საფუძველზე ე. თაყაიშვილმა დაამტკიცა, რომ ე. წ. დილარიანს არაფერი საერთო არა აქვს კლასიკური პერიოდიდან ჩვენ დრომდის არმოღწეულ დილარიანთან, რომ ის წარმოადგენს ამირანდარეჯანიანის გაგრძელებას, შეთხზულია არაუადრეს მე-17 საუკუნისა, ვიღაც უცნობი ქრცხინვალელი კაცის მიერ. ახალი დილარიანი კი პეტრე ლარაძის ლაღი ფანტაზიის ნაყოფია თავიდან ბოლომდის და ძველ დილარიანს მხოლოდ სახელით უკავშირდება. პეტრე ლარაძის დილარიანი დაიბეჭდა თბილისში 1903 წელს ხალხოსანი მწერლის ზაქარია გულისაშვილის თაოსნობით. „მე მოვუწყე ეს საქმე“, შენიშნავს ე. თაყაიშვილი მოგონებებში („მნათობი“ 1959, №9, გვ. 172). სამართლიანი ჩანს ე. თაყაიშვილის გულისწყრომა პეტრე ლარაძის განცხადების გამო, თითქოს მისი დილარიანის თავდაპირველი რედაქცია იოვანე ბატონიშვილმა მიითვისა, პეტრე ლარაძე ტყუისრ (იქვე). თავის წერილში, „საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი“, დავით

ლამბაშიძის პუბლიკაციის გამო („ივერია", 1899, № 12, 13), ე. თაყაიშვილი არკვევს, რომ გამოქვეყნებული ტექსტი ნაწილია პეტრე ლარაძის საისტორიო პოემისა. წერილში გადმოცემულია პეტრე ლარაძის ცხოვრების საკმაოდ დაწვრილებითი ისტორია. ამ წერილსაც დღემდის არ დაუკარგავს თავისი სამეცნიერო მნიშვნელობა.

დიდად საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ე. თაყაიშვილს მე-13—15 საუკუნეების ლიტერატურულ-შემოქმედებითს ცხოვრებაზე ჩვენს ქვეყანაში (II, 54—57). ეს მოსაზრებები მიღებულია საისტორიო წყაროებისა და ხელნაწერი მემკვიდრეობის საფუძვლიანი შესწავლისა და გაანალიზების შედეგად.

ე. თაყაიშვილმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო თავის აღწერილობაში როსტომიანსა და მისი ციკლის ტექსტებს (I, 347—390; II, 544—545). „აღწერილობაში" ამომწურავი სისრულითაა მოყვანილი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ყველა ცნობა, რაც კი როსტომიანის შესახებ მოიპოვება, როგორც ამ ძეგლის შემცველ ხელნაწერებში. აგრეთვე სხვა თხზულებებში (შაჰნავაზიანი, ომაინიანი, არჩილიანი), თუმცა ავტორი მოკრძალებით შენიშნავს ნ. მარის წერილის შემდეგ („ივერია", 1891, №№ 132, 133, 135) როსტომიანის ქართული ვერსიების თაობაზე «ничего нового не прибавлено» (1. 350. შენ. I). მან მოიპოვა და გამოაქვეყნა რიგი სრულიად ახალი ცნობები, რომლებიც ამდიდრებენ ჩვენს წარმოდგენას როსტომიანის თაობაზე. ე. თაყაიშვილმა პირველად გაგვაცნო ზაქიანისა და საამიანის ტექსტები, მანვე სცადა გაერკვია ამ ძეგლების გამლექსავების — მამუკა მდივნისა და ბარძიმ ვაჩნაძის ვინაობა (365—367).

ე. თაყაიშვილმა გამოავლინა ე. წ. აღორძინების პერიოდის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ნათარგმნი ძეგლი „იოსებ-ზილიხანიანი", მან აღწერა ამ ძეგლის შემცველი უნიკალური ხელნაწერი—S—1283 (II. 267—274). დაასაბუთა, რომ ხელნაწერი ეკუთვნის მე-16 საუკუნეს და პოემის ტექსტი არსებითად განსხვავდება თეიმურაზ პირველის სახელით ცნობილი ანალოგიური პოემისაგან. ერთი სიტყვით, ე. თაყაიშვილმა მოიპოვა იოსებ-ზილიხანიანის ახალი რედაქციის ტექსტი და საფუძვლიანად დამარწმუნებლად გაარკვია მისი ადრინდელობა თეიმურაზისეულ ვერსიასთან შედარებით.

რუსუდანიანის ხელნაწერებისა და შესაფერისი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ (1,400—418) ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ „ქართული ლიტერატურის ეს დიდად მნიშვნელოვა-

ნი ძეგლი ღირსია უფრო დაწვრილებითი და ყოველმხრივი შესწავლისა“ (1, 405). ე. თაყაიშვილს სწორად აქვს გაგებული რუსუდანიანის იდეური ტენდენციები, ახალი აზრი აქვს გამოთქმული ძეგლის თარიღის თაობაზე. მისი სიტყვით „არაფერი გვიშლის ხელს ძეგლი მივაკუთვნოთ მე-16 საუკუნეს, ე. ი. ქართული ლიტერატურის აღორძინების ეპოქის დასაწყისს“ (1, 405).

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ე. თაყაიშვილს ქილილა და დამანას ქართული ვერსიების შესწავლის საქმეში. როგორც ცნობილია, ქილილა და დამანას აქვს მეტისმეტად რთული და დახლართული ლიტერატურული ისტორია. ამ რთული და დახლართული საკითხების გარკვევისათვის ე. თაყაიშვილმა შეასრულა საპატიო როლი. ქილილა და დამანას საკითხს „აღწერილობაში“ დათმობილია აქვს რამდენიმე ათეული გვერდი (I,285—347). ნ. მარის სიტყვით, ესაა «сжатая, но содержательная монография о грузинских переводах Калилы и Димны» (Отзыв, გვ. 182).

ე. თაყაიშვილმა მოიპოვა და საუცხოოდ აღწერა ქილილა და დამანას ქართული თარგმანის ერთი უცნობი ვერსია — S-3177. მან ეჭვმიუტანლად დაამტკიცა, რომ ამ ვერსიის ტექსტის პირველი ნაწილი გადმოუთარგმნია კახეთის მეფე დავითს (გარდაიცვალა 1602 წელს) თეიმურაზ პირველის მამას, ხოლო თარგმნა გაუსრულებია ვახტანგ VI-ის დავალებით ორ უცნობ პირს. თვითონ ვახტანგს ტექსტი ნაწილობრივ შეუსწორებია, შეუვსია და გაულექსავს. ე. თაყაიშვილმა ადვილად გაარკვია, რომ ა. ხახანაშვილის მიერ ადრე გამოქვეყნებული ფრაგმენტი სწორედ ახლადმოპოვებული ვერსიის ტექსტს შეიცავდა და კლასიკური ეპოქისა მას არაფერი ეცხო (ა. ხახანაშვილმა შეცდომაში შეიყვანა სახელმოხვეჭილი ორიენტალისტი—ა. კრიმსკი). სხვა არა იყოს რა ხახანაშვილისეული ტექსტი (როგორც ახლადმოპოვებული ვერსიის ფრაგმენტი) ქილილა და დამანას ანვარი სოჰაილის რედაქციიდან ყოფილა წარმომდინარე, ხოლო ანვარი სოჰაილის რედაქცია შეიქმნა მე-15 საუკუნის მიწურულში (მისი ავტორი, ვაიზ ჭაშიფი, გარდაიცვალა 1505 წელს). მართალია, აწინდელი კვლევა-ძიებით არ დადასტურდა ე. თაყაიშვილის თამამი დებულება, თითქო ქილილა და დამანას ბეჭდური გზით გავრცელებული ვერსია სულხან-საბა ორბელიანის დამოუკიდებელი თარგმანის ტექსტს წარმოგვიდგენს, მაგრამ ქილილა და დამანას შემდგომი ლიტე-

რატურული ისტორიის გახსნა შესაძლებელი გახადა სწორედ ე. თაყაიშვილის შესანიშნავმა გამოკვლევამ[1].

ე. თაყაიშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა და განიხილა ბარამიანის ქართული ვერსიები (I, 521—562; II, 524—548; პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები, 45—47). მან დაადგინა, რომ ქართულ ენაზე მოიპოვება ბარამიანის ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი სამი ვერსია. პირველია უფრო ძველი და უფრო საყურადღებოც თავისი ლიტერატურული მნიშვნელობით გალექსილი ბარამგურიანი, მეორეა პროზაული ბარამიანი ანუ ბარამგულანდამიანი, მესამე — გალექსილი ბარამგულიჯანიანი. ე. თაყაიშვილს შეუკრებია ყველაფერი რაც კი სხვადასხვა წყაროში მოიპოვება ბარამგურიანის ქართული ვერსიის ავტორის ნოდარ ფარსადანის ძე ციციშვილის შესახებ. მკვლევარი მკითხველებს აწვდის საჭირო ცნობებს ბარამგურიანის უცხოელი ავტორების, კერძოდ, ნიზამი განჯელის თაობაზე (II, 528—531).

ე. თაყაიშვილს ერთმანეთისათვის შეუდარებია ბარამგულანდამიანი და ბარამგულიჯანიანი. მისი სამართლიანი დასკვნით, პროზაული ბარამიანი (ბარამგულანდამიანი) და გალექსილი ბარამგულიჯანიანი სულ სხვადასხვა ნაწარმოებებია და ტყუილად ურევენ მათ ერთმანეთში (1,552). ბარამგულიჯანიანის გამლექსავს ონანა მდივანს ხელთ ჰქონდა არა ჩვენი გულანდამიანი, არამედ დღემდის უცნობი სხვა წყარო (1, 558). ე. თაყაიშვილი ონანა მდივანს არ თვლის დიდი ღირსების მქონე პოეტად, „მის ლექსებს პოეტური ცეცხლი აკლიაო". ონანა უხეშად ბაძავსო რუსთველსა და თეიმურაზს, განსაკუთრებით რუსთველსაო. „რუსთველის უკვდავი პოემის მიმბაძველობა საერთოდ დამახასიათებელი ნიშანია ქართული ლიტერატურის აღორძინების ეპოქისაო". ამბობს მკვლევარი, მაგრამ მიმბაძველობას უკიდურესი ფორმა აქვს მიღებული ონანა მდივნის მიერ გალექსილ თხზულებაშიო.

დიდი გულმოდგინებით, სისრულით და სიზუსტით აქვს ე. თაყაიშვილს აღწერილი არჩილიანის ხელნაწერები (II, 133—173),

[1] დაწვრილებით ამის თაობაზე იხ. ალ. ბარამიძე, ანვარი სოჰაილის ანუ ქილილა და დამანას ქართული ვერსიები (ნარკვევები, 1, 1945, გვ. 237—372).

ვახტანგ მეექვსის თხზულებანი (II, 106 — 410) და ბევრი სხვა. ის საგანგებო ყურადღებას აქცევდა ისეთ ავტორებს და ისეთ ძეგლებს, რომლებიც უფრო ნაკლებ იყო ცნობილი და შესწავლილი. ამიტომაც ე. თაყაიშვილი სპეციალურად აღარ შეჩერებულა დავით გურამიშვილზე და მის ნაწერებზე (II, 471). აქ საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის წიგნს“ ე. თაყაიშვილი რუსულად უწოდებს «Книга мудрости и лжи» (II, 549).

დაუფასებელია ის ცნობები, რომლებიც ე. თაყაიშვილის „აღწერილობაში“ შოიპოვება მრავალრიცხოვან პოეტ მელექსეთა, მწიგნობართა და მწერლობის გულშემატკივართა, აგრეთვე ნაკლებ ცნობილ (თუ უცნობ) ძეგლთა, ფრაგმენტთა, ჩანაწერ-მინაწერთა შესახებ. ამ მხრივ „აღწერილობა“ ამოუწურავ წყაროსა და დიდებულ საუნჯეს წარმოადგენს.

მის მიერვე გამოვლენილი და აღწერილი საუკეთესო ნუსხების მიხედვით ე. თაყაიშვილმა გამოსცა ქართული მწერლობის რიგი მნიშვნელოვანი ძეგლი. ასეთებია სიბრძნე ბალავარისა (თბილისი, 1895), კათალიკოზ-ბაქარიანი (თბილისი, 1895), მელის წიგნი (თბილისი, 1899), თიმსარიანი (თბილისი, 1903). მართალია, ეს გამოცემები არ არის მეცნიერულ-კრიტიკული, მაგრამ, როგორც ვთქვით, ისინი ემყარება საუკეთესო ხელნაწერებს, შესრულებულია დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით და თავისი დროისათვის სანიმუშონია.

თავისი გამოცემებით ე. თაყაიშვილი უპასუხებდა დროის მოთხოვნილებებს, მეცნიერებაში აღძრულ საჭირბოროტო საკითხებს. ცნობილია, მაგალითად, რა დიდი რეზონანსი ჰქონდა რუსულ აღმოსავლეთმცოდნეობაში ბალავარიანის პრობლემას. აკადემიკოსმა ე. კრაჩკოვსკიმ შეიმოიღო სპეციალური ტერმინიც კი — «варлаамовский период русского востоковедения[1]». „ბალავარიანის“ გამოქვეყნებით ე. თაყაიშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აღნიშნული პრობლემის შესწავლაში (ე. თაყაიშვილის პუბლიკაციის მიხედვით სიბრძნე ბალავარისი რუსულად გადათარგმნა ივანე ჯავახიშვილმა). მელის წიგნის გამოცემა ეხმაურებოდა ნ. მარის განთქმულ სამაგისტრო შრომას «Сборники притч Вардана». თიმსარიანისადმი ინტერესი ე. თაყაიშვილს გაუ-

[1] Повесть о Варлааме и Иоасафе. Перевод с арабского академика В. Р. Розена, под редакцией и с введением И. Ю. Крачковского, М. Л., 1947, с. 16, прим. 12.

შახვილა აკადემიკოს ს. ოლდენბურგის ნარკვევმა «О персидской прозаической версии книги Синдбада»[1]. კათალიკოზ-ბაქარიანი კი ე. თაყაიშვილის ყურადღებას იქცევდა, უწინარეს ყოვლისა, როგორც საისტორიო წყარო.

მელიქ წიგნის, თიმსარიანისა და კათალიკოზ-ბაქარიანის პუბლიკაციებს უძღვის (ან ერთვის) ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის მოკლე, საქმიანი მიმოხილვანი. ე. თაყაიშვილმა პირველად გაარკვია კათალიკოზ-ბაქარიანის ავტორის, იესე ტლაშაძის ვინაობა და ძეგლის რაობა. თიმსარიანის წყაროდ ე. თაყაიშვილმა საბუთიანად მიიჩნია სპარსული სინდბადის წიგნი, მთარგმნელის საკითხის გამო მკვლევარი ერთგვარად ყოყმანობდა („ნამდვილად არ ვიცით, რომელ თეიმურაზ მეფეს ეკუთვნის თარგმანი, პირველს თუ მეორესო"), მაგრამ უფრო თეიმურაზ მეორის სასარგებლოდ იხრებოდა.

ამას წინათ ელენე ქელენჯერიძემ გამოაქვეყნა „უორდროპისეული ქართული ხელნაწერის აღწერილობა" შესრულებული ე. თაყაიშვილის მიერ (Рукописи Оксфордской библиотеки, приобретенные в Тифлисе Оливером Вардропом, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, 1961, გვ. 189—216). ამ აღწერილობაში, სხვათა შორის, გვაქვს ზუსტი ცნობები ყისაი ჰამზას გვიანდელ ქართულ თარგმანზე (ისტორია ანუ მოთხრობა სააბყარანაამარამზასი და ბაბაა ამარისა, გვ. 199—201)[2].

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ე. თაყაიშვილის მიერ აღმოჩენილი და გამოცემული „ხელმწიფის კარის გარიგებით" ცნობილი გახდა, რომ არსენ იყალთოელს ჰკუთვნებია ძველი შაირი „ვინ ნაპარმაგევს მეფენი". ესაა რუსთველამდელი შაირის პირველი სრულყოფილი ნიმუში. მას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც შაირის ლექსის ისტორიისათვის საერთოდ, ისე, და განსაკუთრებით, არსენ იყალთოელის ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, კერძოდ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომებს ძველი ქართული საერო ლიტერატურის საკითხებზე არ დაუკარგავთ თავიანთი მეცნიერულ-შემეცნებითი მნიშვნელობა არც ზოგად ისტო-

---

Сборник статей учеников профессора Виктора Романовича Розена, СПб, 1897.

[2] შდრ. აღ. ბარამიძე, ამირან-დარეჯანიანის გარშემო (საქ. მეცნ. აკადემიის სმგ მოამბე, 1960, № 1, 263—268).

რიულ-კულტურული და არც პრაქტიკულ-გამოყენებითი თვალსაზრისით.

1974

მოსე ჯანაშვილი

მოსე ჯანაშვილის შესახებ ცოტა რამ გაგონილი მქონდა მოწაფეობის დროსაც. ჩვენზე წარუხოცელი შთაბეჭდილება მოახდინა და აღტაცებაში მოგვიყვანა მოსე ჯანაშვილის შთამაგონებელმა საგაზეთო წერილმა („საქართველო", 1918, № 10), რომელიც მიეძღვნა ეროვნული უნივერსიტეტის გახსნას თბილისში.

1918 წლის სექტემბრიდან ხასწავლოდ ხაშურის გიმნაზიაში გადავედი. გიმნაზიის ინსპექტორად იყო გიორგი მოსეს ძე ჯანაშვილი, რომელიც ერთხანს დირექტორის მოვალეობასაც ასრულებდა. გიორგი ჯანაშვილი გეოგრაფიას გვასწავლიდა, გაკვეთილების დროს და ცალკეც ბევრს გვიამბობდა მამამისის, მოსე გიორგის ძე ჯანაშვილის მოღვაწეობის თაობაზე. ამაყობდა რომ წარმოშობით იყო ინგილო, რომ პაპამისი (მოსეს მამა) გიორგი ქრისტიანულ რჯულზე მოინათლა, შექმნა შესანიშნავი ქართული ოჯახი და ქვეყნის მოამაგე შვილები გამოზარდა. ერთხელ გიორგი ჯანაშვილმა მოიტანა მოსე ჯანაშვილის პატარა წიგნი „შოთა რუსთაველი" და იქიდან ზოგიერთი ადგილი წაგვიკითხა.

სტუდენტი რომ გავხდი, სამუშაოდ (სასემინარო თემის მოსამზადებლად) გამიშვეს საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის შენობაში იყო მოთავსებული, მესამე სართულზე. იქვე, მეზობლად, იყო უნივერსიტეტის სიძველეთსაცავიც. ერთხელ დერეფანში შეგვხვდა მე და ჩემს ამხანაგს თეთრი, მოკლე წვერ- ულვაშით დამშვენებული სანდომიანი სახის უცნობი მოხუცი, გაგვიღიმა და სალამი მოგვცა, დამლაგებელმა ქალმა (ვერა მარიამულმა) აგვიხსნა, რომ ის მუზეუმის ასისტენტი მოსე ჯანაშვილია... ასპირანტობის პირველ ორ წელს დღე-ღამეს უნივერსიტეტის სიძველეთსაცავში ვატარებდი და ხელნაწერებს ვუკირკიტებდი. ჩვენი კეთილი მასპინძლები იყვნენ მოსე ჯანაშვილი და დავით კარიჭაშვილი (მოსე ჯანაშვილი იყო ყოფილი

საეკლესიო კომიტეტის ხელნაწერთა კოლექციის მეცნიერი მცველი, დავით კარიჭაშვილი ასევე მეცნიერი მცველი ყოფილი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდისა). დ. კარიჭაშვილი 1927 წელს გარდაიცვალა. იმავე წლის სექტემბრიდან მე დამნიშნეს მცველი-ასისტენტის თანამდებობაზე. ამ დროიდან გავხდი ბატონ მოსე ჯანაშვილის უმცროსი კოლეგა. ჩვენი თანამშრომლობა ფაქტობრივ გაგრძელდა სამი წელიწადი. 1930 წლის შემოდგომიდან უნივერსიტეტის სიძველეთსაცავი და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს. მაშინ ჩამოყალიბდა საქართველოს მუზეუმის პალეოგრაფიული განყოფილება, სადაც თავი მოუყარეს ქართული ხელნაწერების ყველა ძირითად ფონდს. მოსე ჯანაშვილი დაინიშნა საქართველოს მუზეუმის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. ამ დროისათვის მას მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული პროფესორისა და შრომის გმირის წოდებანი. ბატონი მოსე კვლავინდებური მონდომებით განაგრძობდა მუშაობას, შეუდგა წერა-კითხვის საზოგადოების ფონდის ხელნაწერების აღწერას, მაგრამ ხშირად ავადმყოფობდა, პენსიაზე გავიდა და მალე გარდაიცვალა (1934 წლის 19 აპრილს). დაასაფლავეს მთაწმინდის პანთეონში.

მოსე ჯანაშვილის დიდ დამსახურებაზე ქართული კულტურის წინაშე აქ არაფერს ვამბობ. დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევ საამისოდ გაეცნოს სპეციალურ კრებულს „მოსე ჯანაშვილი“, თბილისი, 1956 (კრებული მიეძღვნა მოსე ჯანაშვილის დაბადების მე-100 წლისთავს). აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ბატონი მოსე იყო, უწინარეს ყოვლისა, ისტორიკოსი, ამასთან ერთად ქართული ენისა და მწერლობის დაუცხრომელი მკვლევარი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი, ჟურნალისტი, კ. კეკელიძის მახვილგონივრული შენიშვნით კი „მუზეუმი იყო ნამდვილი მისი შვილი, მისი სისხლი და ხორცი“ (კრ. მოსე ჯანაშვილი, გვ. 43). სამართლიანად ასკვნის ვარლამ თოფურია: „შეიძლება დღეს ბევრი რამ არ გავიზიაროთ მ. ჯანაშვილის დებულებებიდან და კონცეფციიდანაც, მაგრამ იგი უთუოდ მაშინდელი ცოდნისა და კვლევის სიმაღლეზე იდგა და, თუ ყველა საკითხს სწორად ვერ წყვეტდა, თავისი ალღოთი და მიხვედრით სწორ გზას მაინც ადგა“ (იქვე, გვ. 8).

მოსე ჯანაშვილი დაიბადა 1855 წლის 19 მარტს. მასთან თანამშრომლობა რომ დავიწყე, 25 წლისა ვიყავი. ბატონი მოსე კი 70 წელს

იყო გადაცილებული. ჩვენ მაინც კარგად შევეგუეთ ერთმანეთს და ჩვენ შორის მტკიცე მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. მე (და განა მარტო მე?) მხიბლავდა ბატონ მოსეს განმაცვიფრებელი უბრალოება, თავმდაბლობა, გულითადობა, სათნო ადამიანური ხასიათი. მიკვირდა კიდევაც, როგორ ახერხებდა ეს წყნარი და მშვიდი კაცი თავის დროზე მრისხანე პოლემიკური წერილების გამოქვეყნებას (მაგალითად, ნ. მარის წინააღმდეგ). ბატონი მოსე საკუთარ შვილსავით მეპყრობოდა და მამობრივ მზრუნველობას მიწევდა, მარიგებდა, მფარველობდა, მასწავლიდა სამუზეუმო საქმიანობის ხელოვნებას. მეც შეძლებისდაგვარად სამაგიერო პატივისცემით ვუხდიდი ჩემს კეთილისმყოფელ ტკბილ მოხუც კოლეგას, ხანდაზმულობის მიუხედავად, ბატონი მოსე იშვიათად პუნქტუალური იყო, თვითკონტროლისა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოებული. მოსე ჯანაშვილი შინიდან (კუკიიდან) აწინდელ რუსთაველის მოედნამდე („ზემელამდე") ტრამვაით მგზავრობდა. მოედნიდან კი ჩვეულებრივ ფეხით მოდიოდა. მოდიოდა დინჯად, აუჩქარებლად, ჩვეულებრივ რომელიმე ნაცნობი თანამგზავრის მკლავს დაყრდნობილი. „ა, მაინც მომასწარიო", მეტყოდა ხოლმე, ადრე მოსულს რომ დამინახავდა. რაიმე განსაკუთრებული მიზეზის უქონლად სამსახურს არ ვაცდენდა. აქვე მომყავს მოსე ჯანაშვილის ერთი ბარათი, რომელიც ნათელყოფს მის სამაგალითო შინაგან დისციპლინას:

„ძმაო ალექსანდრე,

გუშინ უნივერსიტეტში ვიყავი, ისეც სურდო მორეულს ქარმა დამიბერა და უვარესად გავხდი: მარცხენა ძუძუსთან ჭვალი მადგა და სუნთქვას მიშლის. ამიტომ დღეს ვერ გამოვდივარ.

შენი მ. ჯანაშვილი".

11 ოქტ., 1927.

1928 წლის მარტში მოსე ჯანაშვილი დიდი შეშფოთებით მწერდა:

„ალექსანდრე,

გუშინ გავცივდი. ღამე გამაცია და ავათ ვარ. დაკარგულიN-რი გუშინაც ვეძებე. ამაოდ. მის გამო საჭიროა, ვფიქრობ, შევადგინოთ ოქმი აღნიშვნით, როდის და როგორ დაიკარგა და წა-

რუდგინოთ მუზეუმის გამგეს (ე. ი. კორნელი კეკელიძეს. ა. ბ.). თუ მოიცალო და შენც საჭიროდ დაინახო, შეადგინე ასეთი ოქმი. ხელი მოვაწეროთ. არქივში მაინც დარჩება კვალი ასეთი სამწუხარო მოვლენისა თუ შემთხვევისა.

16 მარტი. მ. ჯანაშვილი“.

საქმე ის იყო, რომ დავით კარიჭაშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა. სიძველეთსაცავის გამგის პროფესორ კ. კეკელიძის განკარგულებით შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა გადმოებარებინა ჩემთვის ყოფ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და უნივერსიტეტის საკუთარი ხელნაწერი კოლექციები. კომისიაში შედიოდნენ მოსე ჯანაშვილი, შალვა ამირანაშვილი და ვარლამ თოფურია. კომისიამ შეამოწმა კატალოგების მიხედვით ხელნაწერი ფონდების მდგომარეობა და სათანადო ოქმით გადმომაბარა ეს ფონდები. 1928 წლის დასაწყისში ბატონმა მოსემ მთხოვა, შეგვემოწმებინა მის განკარგულებაში მყოფი საეკლესიო კომიტეტის კოლექციაც. რა თქმა უნდა, ბატონი მოსე არ შემიწუხებია, მე თვითონ ჩავატარე ეს შემოწმება. ადგილზე არ აღმოჩნდა ერთი ხელნაწერი. ბატონი მოსე ძლიერ ღელავდა. საბედნიეროდ, მალე ის ხელნაწერი გამოჩნდა (უადგილო ალაგას ყოფილიყო მოთავსებული), ბატონ მოსეს სიხარულის ცრემლები მოერია.

ღრმად მოხუცმა და ჯანმრთელობაშერყეულმა მოსე ჯანაშვილმა მაინც განაგრძო მაშინ უკვე საქართველოს მუზეუმში გადატანილი ხელნაწერების, კერძოდ, წ.- კ. კოლექციის ხელნაწერების აღწერა. გარდაცვალებამდე სამი თვით ადრე (1934 წლის 19 იანვარს) ბატონმა მოსემ მომწერა:

„ძმაო ალექსანდრე

მე შენი ნახვა ძრიელ (sic) მინდა. გთხოვ, ერთი ჩვენსა შემოიარე, როცა მოიცლი. მე ვეღარ დავდივარ, თორემ არ შეგაწუხებდი და მე თვითონ გნახავდი. თუ იცი, როგორ გადაწყდა ჩემი კატალოგების კითხვა? მოგელი, გვნახე, გთხოვ.

მარად შენი პატივისმცემელი მ. ჯანაშვილი“,

19 იანვ. 1934 წ.

რასაკვირველია, ბარათის მიღებისთანავე ვეახელი. ბატონი მოსე სავარძელში იჯდა, ჩვეულებრივზე უფრო გამხდარი იყო, გაფითრებული. რომ დამინახა, აღელდა, წამოდგომა მოინდომა, დავსვი, ვეამბორე, შევეცადე დამემშვიდებინა. ცოტათი რომ დაწყნარდა, მუზეუმის ამბები გამომკითხა და თავისი ხელნაწერი კატალოგის თაობაზე ჩამომიგდო სიტყვა. დავაიმედე, რომ ჩემგან შესაძლებელ ყველა ღონეს ვიხმარდი მისი აღწერილობის („კატალოგის“) გამოსაცემად. საუბარმა დიდხანს გასტანა. რომ დავეთხოვე, ცრემლები მოადგა. ბატონ მოსეს საამქვეყნო პირი აღარ უჩანდა...

სამწუხაროდ, მოსე ჯანაშვილის „აღწერილობის“ გამოქვეყნება ვერ მოხერხდა. საქართველოს მუზეუმს განზრახული ჰქონდა მის განკარგულებაში მყოფი ყველა ხელნაწერი ფონდის ერთიანი პრინციპის კვალობაზე აღწერა. შესაფერისი ინსტრუქციის შედგენა იკისრა საქართველოს მუზეუმის კონსულტანტად დანიშნულმა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა. ამ მოგონებას რომ ვწერ, ხელნაწერთა აღწერილობის ეს დიდი წამოწყება ხორცშესხმულია. ბატონ მოსეს „აღწერილობის“ ბოლო წიგნი კი ძვირფას ხელნაწერ რელიკვიად დარჩა.

ბატონმა მოსემ პირობა ჩამომართვა, რომ ჩვენი მეგობრობის აღსანიშნავად ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სახელით ჯიტყვას ვეტყოდი დასაფლავების დღეს. პირობა და სამწუხარო მოვალეობა შევასრულე, მაგრამ, ვაგლახ, მე როგორ შევძლებდი მისი უზარმაზარი ღვაწლის ღირსებისამებრ შეფასებას!

მე სათუთად ვინახავ ავტორისეული თბილი სამახსოვრო წარწერების მქონე სამ პატარა წიგნს. ესენია: 1. მოსე ხონელი და მისი ამირანდარეჯანიანი, ტფილისი, 1895 („ჩემს მეგობარს ალექსანდრე ბარამიძეს სახსოვრად, 30 ოკ. 1929. მ. ჯანაშვილი“), 2. ნაშრომი, 3, ტფილისი, 1913 („ძვირფას მეგობარს ალ. ბარამიძეს. ავტორისაგან. 1930, I იანვ.“); 3. პოეტთა აკადემია საქართველოში. შოთა რუსთაველი და ნიზამი განჯელი. ტფილისი, 1932 („ჩემს მეგობარს ალექსანდრე გიორგის ძე ბარამიძეს. ავტორისაგან, 1933, 18 იანვ.“).

1980

კორნელი კეკელიძე

(ნაწყვეტი მონოგრაფიიდან — „ჩვენი დიდი მეცნიერი“)

კ. კეკელიძის ნაშრომების მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, რომ იგი იყო იშვიათად ნაყოფიერი მკვლევარი, დაუცხრომელი მაძიებელი მეცნიერული ჭეშმარიტებისა. მეცნიერული კვლევა-ძიება, ბეჯითი შრომა შეადგენდა კ. კეკელიძის ცხოვრების მაჯულდგმულებელ წყაროს. კ. კეკელიძე გვიმოწმებს, რომ მისი შრომების დიდი ნაწილი „მოფიქრებული და საბოლოოდ გაფორმებულია“ ქართლის მშვენიერ სოფელ ქემერტში (ადმინისტრაციულად მდებარეობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში). ქემერტი იყო ბ-ნ კორნელის ერთგული მეუღლის, ქალბატონ მინადორა კასრაძის სოფელი. ამ სოფლის თაობაზე კ. კეკელიძე წერს: „უნებლიეთ გხიბლავთ ლამაზი, მოხდენილი მდებარეობა სოფლისა, რომელიც გაშენებულია ლიახვისაკენ დაშვებულ გორაკებზე და სამი მხრიდან მაღალი, ხშირფოთლიანი ტყიანი მთებითაა შემორტყმული. რბილი, კეთილშეზავებული ჰაერი და მთებიდან მოვარდნილი მაცოცხლებელი სიოს ნაკადი, რომელსაც უერთდება „გიჟი ლიახვის“ შეუწყვეტელი მოძახილი, ამ სოფელს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილის იერს ანიჭებს. ბუნების სილამაზესა და სიუხვეს შეერთებია აქ გამრჯელობა ადამიანისა. უზარმაზარი კაკლის ხეებით დაჩრდილული უხვმოსავლიანი ყანებითა და ვენახებით აბიბინებული, ზურმუხტოვანი ბაღებითა და ხილნარით ამწვანებული, ეს სოფელი თავისთავად გეუბნებათ, თუ რა შეუძლია ადამიანის შრომას, განსაკუთრებით ჩვენს, საბჭოთა ეპოქაში“. სოფლის სიკეთით აღტაცებული მკვლევარი ბოლოს დასძენს: „უნდა შევნიშნო, რომ მეცნიერული მუშაობისათვის ერთგვარ სტიმულს იძლევა, სხვათა შორის, ის კულტურულ-ისტორიული გარემოც, რომელშიაც აქ იმყოფება ადამიანი“[1].

ვსარგებლობ შემთხვევით და აქვე ვაქვეყნებ კ. კეკელიძის ერთ პირად წერილს, რომელიც ნათლად გვითვალისწინებს ამ დიდი მეცნიერის პასუხისმგებლობის გრძნობის სიმახვილეს და სამაგალითო ადამიანურ ბუნებას. ნიშანდობლივი ისაა, რომ წერილი გამოგზავნილია ქემერტიდან:

---

[1] ხმა ქემერტიდან (კაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1948, № 168; ეტიუდები, XIII, გვ. 288—289).

„ბატონო ალექსანდრე!

სალამი და კეთილი სურვილები სამხრეთ-ოსეთიდან. ამოვედი აქ 10 ივლისს, ძალიან კარგად მოვეწყვე, შესაფერისი რეჟიმი შევქმენი დასვენებისათვის, მეცნიერების არსებობა დავივიწყე, ვერთობოდი გაზეთებითა და მხატვრული ლიტერატურით. ვიყავი ჯავაში, სადაც ისვენებენ ამჟამად ჩვენები: ა. შანიძე და ა. ჩიქობავა. ძალიან მოვიკეთე. ერთი სიტყვით, საბოლოოდ გამოკეთებულად ვგრძნობდი თავს. სამწუხაროდ, უკანასკნელ დროს მდგომარეობა შეიცვალა: აგვისტოს პირველ რიცხვებში მეწვია სტუმრად ერთი ჩემი მეგობარი, კიეველი პროფესორი ცოლით, მოვინდომე შემექმნა მისთვის ისეთი პირობები, რომ აო მოსწყენოდა. ამისთვის ხშირად ვსეირნობდით, ახლო-მახლო ექსკურსიებსაც ვაწყობდით. ასეთი მოციონი აქაურ ზღაგორიან ადგილებში, ჩანს, ჩემმა გულმა ვერ აიტანა: დამეწყო სასტიკი შეტევები გულისა. ამას თან მოჰყვა ჩვეულებრივი დაცდილი ტკივილები თავისა, ასე რომ საბოლოოდ დასვენებისა და გამოკეთების მაგიერ მდგომარეობა გამიუარესდა, ახლა ვატარებ ორ პროცედურას...როგორც კი დავასრულებ ამას, ამ თვის ბოლოსათვის მაინც მანდა ვარ, რომ უფრო რადიკალურ საშუალებას მივმართო რამეს. ერთი სიტყვით, ამ მდგომარეობაში ალბათ ლექციების დაწყებას ვერ შევსძლებ, დანარჩენი თქვენ იცით.

ბაქოდან ნიზამის საიუბილეო კომიტეტის დეპეშა მივიღე —ალმანახისათვის წერილი გამოგვიგზავნეო. აქედან, აბა, რა უნდა გაეუგზავნო! წარმოდგენილი მაქვს — რა გაწა-გაწიაში იქნებით ახლა მანდ. ალბათ საკმარისად ვერც თქვენ დაისვენეთ. იყავით კარგად, მოგიკითხათ მინადორამ, სალამი ჩვენგან ქ-ტონ ნინოს.

სულ მალე ნახვამდის.

მარად თქვენი კ. კეკელიძე.

ს. ქემერტი. 1947. VIII, 18“.

ჩვენი მწერლობის დიდი მკვლევარი ყოველთვის სერიოზულ ანგარიშს უწევდა მისი ნაწერების მიმართ საქმიან კრიტიკულ შენიშვნებს, თვითკრიტიკულად ეპყრობოდა საკუთარ ნარკვევებსა და ნაფიქრ-ნააზრევს, არაერთხელ გადაუსინჯავს და შეუცვლია თავისი ესა თუ ის

ცალკეული მოსაზრება ახალი მასალების აღმოჩენასთან თუ სხვა რაიმე მნიშვნელოვან გარემოებასთან დაკავშირებით. კ. კეკელიძე პატივისცემით უგდებდა ყურს საქმიან კრიტიკას („პატიოსან კრიტიკას"), მაგრამ მთელი არსებით კიცხავდა უპრინციპო კრიტიკას, სუბიექტურობას, პასკვილიანტობას და კრიტიკანობის სხვა მავნე სახეებს. კ. კეკელიძე ერთგვარი გულისტკივილით ჩიენის: „უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მოვლენა, რომელიც დამახასიათებელია უფრო ახალი დროისა, მაგრამ არც ძველად ყოფილა უცნობი. ეს არის დიფამაცია, პასკვილიანტობა, ღვაძრლიანი კრიტიკანობა, შურიანობა და მტრობა. თუ ჯანსაღი პოლემიკა, პატიოსანი კრიტიკა ყოველთვის იყო და არის სტიმული აზროვნებისა და ლიტერატურის ზრდა-განვითარებისა, აღნიშნულ მოვლენას არაერთი მოღვაწისთვის გაუგრილებია გული და კლამი ხელიდან გაუგდებინებია."[1]

კორნელი კეკელიძე იყო თავმდაბალი მეცნიერი, თავაზიანი, დარბაისელი, ფრთხილი, ზოგჯერ რამდენადმე სკეპტიკოსიც კი. მან უდიდესი შრომა მოახმარა ქართული აგიოგრაფიული მწერლობის შესწავლას, მაგრამ ერთ თავის შემაჯამებელი ხასიათის წერილში მეტად მოკრძალებულად შენიშნავს, თითქო „ქართული ჰაგიოგრაფიის შესწავლა ჯერ ხეირიანად არც კი დაწყებულა"[2]. კ. კეკელიძე გმობდა მეცნიერის მხრივ თვითკმაყოფილებას, თავმომწონეობასა და ყოყოჩობას. იბრძოდა პრეტენზიულობისა და სენსაციურობის წინააღმდეგ. იგი მკვლევარისაგან მოითხოვდა საკელევი საგნისადმი ფრთხილ, ფხიზელ, კრიტიკულ დამოკიდებულებას. ამ მხრივ სამაგალითოა განმაზოგადებელი ხასიათის მისი ერთი სახელმძღვანელო მითითება: „ძველი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობა ჯერ არც აღმოჩენილია სავსებით და არც გამოყენებული. კიდევ მოსალოდნელია ახალი მასალების და წყაროების აღმოჩენა, რაც ჩვენს წარმოდგენას ამა თუ იმ საგანზე არა მარტო შეავსებს, შესაძლოა, შესცვლის კიდევაც ზოგ შემთხვევაში. საჭიროა ძიება, ძიება და კიდევ ძიება ამ მასალებისა და წყაროებისა. ამასთან დაკავშირებით, ყოველგვარი დასკვნებისას საჭიროა სიფრთხილე, ყოველ შემთხვევაში თავშეკავება კატეგორიული და უპელაციო ტონისაგან"[3].

---

[1] ეტიუდები, II, გვ. 213; შდრ. ეტიუდები, VI, გვ. 119.

[2] თსუ შრომები, XIX, გვ. 150.

[3] ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისათვის (ეტიუდები, I, გვ. 299).

განთქმულია კორნელი კეკელიძის აკურატობა, მკაცრი შინაგანი დისციპლინა. გარეგნულად თითქო კუშტი და მიუკარებელი, ნამდვილად მიმზიდველი იყო, იშვიათად კეთილი გულის პატრონი, მოყვარული, მგრძნობიარე, ზოგჯერ გულჩვილი, ხალისიანი და ტკბილი მოსაუბრე. შინაურობაში უყვარდა ხუმრობა, ოხუნჯობა, მხიარულობა, გულით სიცილი. ჩვეულებრივ მხოლოდ თვალი უცინოდა და ძვირად დაეტყობოდა ბაგეებზე ღიმილი.

სტუდენტობის დამოკიდებულება თავისი საყვარელი მასწავლებლისადმი კარგად გამოხატა ე. ტატიშვილმა კ. კეკელიძის დაბადების 75 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ სხდომაზე წარმოთქმული სიტყვით. მოგვყავს ამ სიტყვის ნაწყვეტი: „ძვირფასო მასწავლებელო, დღევანდელ თარიღს თქვენი სტუდენტები აღფრთოვანებით ვეგებებით. დღეს საშუალება გვეძლევა სახალხოდ გადაგიხადოთ მადლობა იმ უდიდესი ღვაწლისათვის, რაც მოახმარეთ ჩვენი სწორად აღზრდისა და სწავლების საქმეს... თქვენ მაგალითზე ვხედავთ, როგორი უნდა იყოს ნამდვილი პატრიოტი-მამულიშვილი, თავისი ხალხისა და ქვეყნისათვის, მშობლიური კულტურის წინსვლისათვის მებრძოლი ადამიანი“[1].

კ. კეკელიძის საუნივერსიტეტო ლექციები ყოველთვის იყო შთამაგონებელი. არნოლდ ჩიქობავა იგონებს: „კორნელი კეკელიძის პირველი საუნივერსიტეტო ლექციების ერთ-ერთ მსმენელთაგანს მე არ შემიძლია მადლობით არ მოვიგონო წარუხოცელი შთაბეჭდილება, რასაც მსმენელზე ტოვებდა ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტების, თითქოს შემთხვევითი ხასიათის ჩვენებათა ამეტყველება კულტურის ისტორიის რთული და ბუნდოვანი საკითხების გარკვევისას კ. კეკელიძის ლექციებზე. კორნელი კეკელიძის ლექციები ახალგაზრდობას უნერგავდა პირველწყაროებზე მუშაობის, ფაქტების ანალიზისა, კლდოვან ბილიკებზე სვლის ძნელი და მიუცილებელი საქმის პატივისცემასა და სიყვარულს“[2].

თავისი გამოკვლევებით კორნელი კეკელიძემ ახახელა თავისი თავიც და თავისი მშობელი ქვეყანაც. მან აამაღლა და განამტკიცა ქართული მეცნიერული ფილოლოგიის პრესტიჟი მთელ მსოფლიოში,

---

[1] ლიტერატურული ძიებანი, IX, გვ. 450.

[2] იქვე, IX, გვ. 447.

დიდი მეცნიერის სახელი მოიხვეჭა, თავისი ქვეყნისა და თავისი ხალხის ღრმა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ჩვენმა საზოგადოებრიობამ სამგზის (1945, 1954, 1959 წლებში) აღნიშნა კორნელი კეკელიძის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. განსაკუთრებით თბილად ჩატარდა მისი დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა რუსთაველის სახელობის თეატრში 1959 წლის 8 ივნისს. დიდი კმაყოფილებით მოისმინა მრავალრიცხოვანმა აუდიტორიამ კ. კეკელიძის მშობლიური სოფლის ტობანიერის კოლმეურნეობის დადგენილება მხცოვანი მეცნიერის თავის საპატიო წევრად არჩევის შესახებ.

ბოლო ხანებში კ.კეკელიძე თავს უგუნებოდ გრძნობდა და ხშირად ავადმყოფობდა, დროს შინ ატარებდა, თავის საწერ მაგიდასთან მაგ შენარჩუნებული ჰქონდა განმაცვიფრებელი სულიერი მხნეობა, მკვლევარი-მეცნიერის ნათელი და ფხიზელი გონება, შრომის უნარი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის საზეიმო დღეებში (1961 წლის მაისში) ლოგინად იწვა. მაინც შეძლო პატარა მშვენიერი წერილით („განახლებული საქართველო“) გამოხმაურებოდა ქართველი ხალხის ამ ეროვნულ დღესასწაულს. წერილში მოკლედ მიმოხილულია ქართველი ხალხის მიერ გამოვლილი მძიმე ისტორიული წარსული, აღნიშნულია, რომ განახლებული სამშობლო ახლა მოძმე რესპუბლიკებთან ერთად ხალისით ეწევა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ტვირთს, რომ ორმოცი წლის მანძილზე ჩვენში გაკეთდა იმდენი, „რასაც საუკუნეები დასჭირდებოდა“. წერილი მთავრდება ახალგაზრდობისადმი მიმართული მხურვალე მოწოდებით: „გიხაროდეთ და იამაყეთ, ჰაბუკებო! მაგრამ გახსოვდეთ, რომ იმ პირობებს, რომლებშიაც ჩვენ დღეს ვცხოვრობთ, შენახვა და შენარჩუნება უნდა: და თქვენ, ახალგაზრდებო, რომელთაც მომავალში უნდა შესცვალოთ დღევანდელი ცხოვრების მესვეურები, ეცადეთ წმინდად, უმწიკვლოდ და ადამიანთა საკეთილდღეოდ დაიცვათ სოციალისტური ცხოვრების პირობები, რათა გული არ გაუტეხოთ ხალხს, რომელმაც ნდობა და სიყვარული გამოუცხადა ამ ცხოვრებას და არ გაახაროთ მისი მოძულენი.

გაუმარჯოს განახლებულ, 40 წლის საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს მის წარმატებას და წინსვლას“.

1961 წლის ზაფხული კორნელი კეკელიძემ სოფელ ახალქალაქში გაატარა, საგრძნობლად მომჯობინდა. შემოდგომაზე განაგრძო ინტე-

ნსიური მუშაობა. ოთხშაბათობით მას ნახავდით უნივერსიტეტში, მისი სახელობის კაბინეტში, ხან კათედრის სხდომას ხელმძღვანელობდა, ხან სტუდენტებთან საუბრობდა, იშვიათად დააკლდებოდა სამეცნიერო საბჭოს სხდომებს. ახალ წელს მხიარული შეხვდა. იანვრის მეორე ნახევარში გრიპი შეეყარა, წნევამ უმატა, შაქრის ავადმყოფობამ გაუხსენა. გულმაც შეუტია. ყველაფერი თითქო დაძლია. 7 მარტს ოფიციალურ ოპონენტად გამოვიდა გაიოზ იმედაშვილის სადოქტორო დისერტაციაზე. 12 აპრილს თავის უახლოეს მოწაფეებს შეხვდა პუროგაზე, თავს მშვენივრად გრძნობდა, ძლიერ მოილხინა, შესანიშნავი, ნამდვილად საპროგრამო სიტყვა წარმოთქვა (ეს სიტყვა ანდერძი გამოდგა). ამ დღის შემდეგ გარეთ აღარ გამოსულა. 19 აპრილიდან ავადმყოფობამ უძალა, ლოგინს მიაკრა, ლოგინს კი არა — სავარძელს. სავარძელს მიჯაჭვული შრომას არ ანელებდა. მკაცრი აკრძალვის მიუხედავად, დროს იპარავდა, კალამს არ ელეოდა, ჩაკირკიტებდა წიგნებს, ასწორებდა ეტიუდების მერვე ტომის საკორექტურო ფურცლებს, ამოწმებდა და აზუსტებდა შემდეგი ტომის მასალებს, სამერმისო საკვლევაძიებო და საგამომცემლო გეგმებს ადგენდა. თანაც წუხდა. ღელავდა, შფოთავდა. შფოთავდა, რომ მოუძლურებული სხეული ბორკავდა და გასაქანს არ აძლევდა, ფრთებს აკვეცავდა მის სამეცნიერო-შემოქმედებითს ალმაფრენას. წუხდა, უზომოდ წუხდა, რომ განუხორციელებელი რჩებოდა ბევრი ნაფიქრ-ნააზრევი, ბევრი ნაოცნებარი. მისთვის ჩვეული ენერგიითა და შემართებით ავადმყოფი მკვლევარი გულდაგულ ებრძოდა მისი სადგომის კარებზე მომდგარი სიკვდილის აჩრდილს.

17 მაისს კორნელი კეკელიძის ბინაზე მოვაწყვეთ ასპირანტების გამოცდები: გახალისდა, შეკითხვებს თვითონ იძლეოდა. გულდასმით უგდებდა ყურს პასუხებს. 26—30 მაისს სომხეთში ვიყავი, მესროპ მაშტოცის იუბილეზე. რომ დავბრუნდი, 31 მაისს, ხუთშაბათს, ვეწვიე ლევან მენაბდესთან ერთად. ძალზე გამოცვლილიყო, ფერდაკარგული მეჩვენა, დასუსტებული. მაინც ვრცლად გამომკითხა და დიდი ინტერესით მოისმინა სომხეთის ამბები. შაბათს, 2 ივნისს, კიდევ უფრო სუსტად გამოიყურებოდა. საზაფხულოდ კრწანისში გადასვლაზე ოცნებობდა, იმედოვნებდა, რომ მოუხდებოდა ჰაერის გამოცვლა. მეორე დღეს, სამ ივნისს, უარესობა დაეტყო. გამოუღეს სისხლი და წყალი. იგრძნო ერთგვარი შვება და კრწანისში გადასვლის სამზადისს შეუდგა. სამშაბათს, ხუთ ივნისს, საღამოს, ვინახულე ალაკი შანიძესა და

გიორგი ახვლედიანთან ერთად. მაგრამ ვაი ამ ნახვას! ავადმყოფს სასიცოცხლო პირი აღარ უჩანდა. ბორგავდა, სიტყვის დაძვრა უჭირდა, საწყალობელად გადმოგვხედა. სცადა გაღიმება, ამაოდ. აშკარა იყო, რომ დიდი მეცნიერი ხელიდან გვეცლებოდა. ოთხშაბათს, 6 ივნისს, ისევე მომჯობინდა, მაგრამ 7 ივნისს, გამთენიისას, სამ საათზე, დამბლა მოუვიდა და გრძნობა დაკარგა. იმავე დღის 10 საათსა და 25 წუთზე კორნელი კეკელიძე გარდაიცვალა.

12 ივნისს მივაბარეთ მიწას ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის გვერდით, მისი სათაყვანებელი თბილისის უნივერსიტეტის ეზოში. სწორედ ამ ეზოს გამო მიმართავდა განსვენებული მეცნიერი ქართველ ახალგაზრდობას: „ამ ეზოს რომ უახლოვდებით, გაიფერთხეთ ფეხები, რომ არ შემოიტანოთ ამ წმინდა ადგილას მტვერი ქუჩური განწყობილებისა“.[1]

სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გიორგი ძოწენიძემ, უნივერსიტეტის რექტორმა ევგენი ხარაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ი. დოლიძემ, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გურგენ სევაკმა, მწერალთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ, ამ მოგონების ავტორმა, განსვენებულის მშობლიური რაიონის, ვანის, მშრომელთა წარმომადგენელმა პედაგოგმა ა. ნადირაძემ, სტუდენტმა გურამ შარაძემ, წაიკითხეს სამძიმრის დეპეშების ერთი ნაწილი.

კ. კეკელიძის გარდაცვალებას ფართოდ გამოეხმაურა რესპუბლიკური პრესა.

1965 წლის 24 დეკემბერს კ. კეკელიძის საფლავზე გაიხსნა ძეგლი (მოქანდაკე გ. ოჩიაური).

კ. კეკელიძის გარდაცვალებიდან უკვე გავიდა 18 წელი—მძიმე, აუნაზღაურებელი დანაკლისის სიმწვავე თანდათანობით უფრო საგრძნობი ხდება. საიმედოდ ის დაგვრჩენია, რომ ცოცხლობს, ვითარდება და წარმატებებს აღწევს ის კეთილშობილური საქმე, რასაც შესაშური ერთგულებითა და ფანატიკური გატაცებით ემსახურებოდა განსვენებული დიდი მეცნიერი.

1979.

---

[1] ეტიუდები, XIII, გვ. 235.

აკაკი შანიძე გავიცანი 1920 წლის აგვისტოში. უკვე სტუდენტად ვიყავი ჩარიცხული უნივერსიტეტში, თავის სარჩენი სამსახურიც მქონდა. თბილისში ვიცნობდი მხოლოდ ალექსანდრე წერეთლის ოჯახს. ერთ საღამოს ვეწვიე (ალექსანდრე წერეთელი იყო ქალთა გიმნაზიის დირექტორი და უნივერსიტეტის ლექტორი, ცხოვრობდა თავისივე გიმნაზიის შენობაში, შიო ჩიტაძის ქუჩაზე). იქ დამხვდნენ ალექსანდრეს დები შურა და თამარი და ორიოდე მათი ამხანაგი ყმაწვილი, ქალი. მათ შორის ჟურნალისტი ნუცა დგებუაძე. ქალიშვილები მთაწმინდაზე წასვლას აპირებდნენ, აკაკი შანიძეს უნდა შევხვედით, „რანდევუ" გვაქვს დანიშნულიო, მეც ამიყოლიეს და წამიყვანეს. მართლაც, ბატონი აკაკი ფუნიკულიორის ზედა სადგურში დაგვხვდა. გამაცნეს, თქვენი მომავალი მსმენელიაო. ძალიან კარგიო, ღიმილით თქვა ბ-ნმა აკაკიმ, ოღონდ ამთავითვე უნდა გავაფრთხილო, ნაცნობებისაგან ყოველთვის მეტს მოვითხოვ გამოცდებზეო. ტანში დამცხელა, ხმა არ ამომიღია.

ა. შანიძე მაშინ 33 წლისა იყო, უცოლო; სახელმოხვეჭილი პროფესორი. გარეგნულად შუა ტანისა მოჩანდა, მწითური იყო, სქელი ხუჭუჭი თმა უმკობდა თავს. მომრგვალო, სუფთად გაპარსულ სახეს უხდებოდა კოხტად შეკრეჭილი ულვაშები. ცოცხალ, კეთილად გამომზირალ თაფლისფერ თვალებს ხშირი წამწამები ბურავდა. ჩემ წინ იდგა ჩემი საოცნებო უნივერსიტეტის ცოცხალი პროფესორი... ბ-ნ აკაკის ქალიშვილებთან თავი შინაურულად ეჭირა. ბევრს მღეროდნენ, ოხუნჯობდნენ, ვიღაც-ვიღაცებს აჯავრებდნენ, სხვადასხვა თამაშობა წამოიწყეს; თავისებური გაშაირებაც გაიმართა, ერთი წამოიწყებდა ლექსს, მეორეს უნდა გაეგრძელებინა, იყო სიცილ-კისკისი. მე მორცხვად ვიყავი, ვერა და ვერ ჩავერთე თამაშში, როგორღაც განზე ვიდექი და უფრო მაყურებლის როლში გამოვდიოდი. მომწონდა, მაგრამ რამდენადმე მაკვირვებდა ბ-ნ აკაკის უბრალოება, უშუალობა, ჩემი წარმოდგენით პროფესორი უნდა ყოფილიყო უფრო დინჯი, უფრო დარბაისელი („მაღალი და მაღლად მხედი"), რამდენადმე მკაცრიც და ცივიც..

ფუნიკულიორის ქვედა სადგურთან ქალიშვილებმა დაგვტოვეს. ბ-ნ აკაკის მარტო მე შევრჩი. უხერხულად ვიგრძენი თავი, მაგრამ პროფესორის ყურადღებამ, გულისხმიერებამ და კეთილგანწყობილმა

საუბარმა სულიერი წონასწორობა აღმიდგინა. სად ცხოვრობთო, მკითხა. მატინოვის (ახლანდელი კალანდაძის) ქუჩა რომ დავუსახელე, ჩემი თანამგზავრი ყოფილხართო, მეც ვერელი ვარ, გუნიბის (ბარნოვის) ქუჩის ბოლოში მაქვს ბინაო. გზას ფეხით გავუდექით. ბ-ნი აკაკი თითქო ერთბაშად გამოიცვალა, ისეთი გახდა, მე რომ წარმომედგინა—დარბაისელი, სოლიდური, ოღონდ არა მკაცრი და ცივი, კეთილშობილური უბრალოებით დამშვენებული, მახლობელი, შინაური, ტკბილი მოსაუბრე. გზა საკმაოდ გრძელი გვქონდა. დაწვრილებით გამომკითხა, ვინა ვარ, სადაური, ვისი შვილი, სად მისწავლია, ვისთან (ზოგი ჩემი მასწავლებელი მისი ნაცნობი აღმოჩნდა), რა მიზნები მაქვს ცხოვრებაში დასახული. მიამბო უნივერსიტეტის დაარსებაზე, მის საქმიანობაზე. რომ არ მოველოდით, იმდენი სტუდენტი მოგვაწყდა, ბევრ მათგანს უცხოეთისა და რუსეთის უმაღლესი სასწავლებლებიც აქვს დამთავრებული, მაგრმ ეროვნულმა უნივერსიტეტმა მოიზიდაო. ბევრი საიმედო, ჩინებული სტუდენტი გვყავსო. მე სულგანაბული ვუსმენდი, ვუსმენდი და არ მჯეროდა, რომ ჩემი მოსაუბრე იყო ჩემი სათაყვანებელი უნივერსიტეტის ერთი გამოჩენილი თავკაცი.

გზაც მიიწურა. ბ-ნი აკაკი თბილად გამომემშვიდობა. ეს ღამე თითქმის თეთრად გავათენე. სხვადასხვა კუთხით ათასჯერ ვაანალიზებდი ნანახსა და განცდილს. მომხიბლა ბატონმა აკაკიმ. მაოცებდა, როგორ ბუნებრივად იყო შერწყმული ამ ადამიანში საკვირველი უბრალოება და ნამდვილი დიდი კაცობა.

აკაკი შანიძე ლექციებს კითხულობდა დღის პირველ ნახევარში. სამსახურის გამო მთელი სტუდენტური პერიოდი ისე ჩავიარე, რომ მისი ლექცია არ მომისმენია, უნივერსიტეტის შენობაში თუ ქუჩაში რომ მხვდებოდა, მიღიმოდა და მესალმებოდა.

მეოთხე კურსის სტუდენტი ვიყავი, ყველა საგანი ჩაბარებული მქონდა, გარდა ძველი ქართული ენისა. ეს საგანი თავისთავად ძალიან ძნელი იყო, ცოტა იყო სპეციალური ლიტერატურაც, რომ არაფერი ვთქვა სახელმძღვანელოზე. ჩემი ამხანაგები გამოცდებს ძირითადად კონსპექტებით და ლექციების საკუთარი ჩანაწერებით აბარებდნენ, პალეოგრაფიაში კი საგანგებო პრაქტიკუმს გადიოდნენ (ძველი ქართული ენა და პალეოგრაფია ერთ საგნად ითვლებოდა). მე კარგად მახსოვდა ბ-ნ აკაკის გაფრთხილება და ჩემი ცოდნით გამოცდაზე გასვლას ვერ ვბედავდი. დარჩენილი „კუდი“ მაწუხებდა და მადარდებდა.

დიდი ყოყმანის შემდეგ გავტეხე ნავსი და ერთ საღამოს მივადექი ბ-ნი აკაკის ბინას, დავრეკე ზარი. კარი თვითონ ბ-ნ აკაკიმ გამიღო. სახეზე ერთგვარი გაკვირვება დაეტყო, თავის კაბინეტში მიმიწვია და „ვიზიტის“ მიზეზი მკითხა. დარცხვენით მოვახსენე ჩემი ამბავი და რჩევა ვთხოვე. ძალიან კარგიო, მითხრა, დაგეხმარებიო. გამომკითხა, რა ცოდნის პატრონი ვიყავი, რა მქონდა წაკითხული, რა წყაროების შეძენა შემეძლო (მახსოვს, დავუსახელე მისი ცნობილი წიგნი „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“), მაჩუქა თავისი ნარკვევების ანაბეჭდები ხანმეტობა-ჰაეიძეტობაზე, მათხოვა ექვთიმე თაყაიშვილის პალეოგრაფიული ალბომები, ჟორდანიასეული მათი „გასაღები“, ცაგარლის მიერ გამოცემული „ხუცურის“ ნიმუშები... (კარიჭაშვილის „ხუცური“ ტექსტები მქონდა). ეს მასალები დაამუშავეთ, როცა თავი მომზადებულად იგრძნოთ, აქ, ჩემთან მოდითო. გარკვეული დროის შემდეგ ვეახელი. ბ-ნმა აკაკიმ შეამოწმა პალეოგრაფიაში ჩემი განსწავლულობა, რამდენიმე საკონტროლო კითხვაც მომცა ძველი ქართულის სფეროდან და ახალი დავალებებით გამომისტუმრა. სამჯერ მომიხდა ბ-ნ აკაკისაგან „კონსულტაციების“ მიღება. მესამე „ვიზიტისა“ და გასაუბრების შემდეგ მატრიკული მომთხოვა, ფრიადი—ნიშანი ჩამიწერა, ხელი მაგრად ჩამომართვა და გახარებული გამომიშვა. მე მხოლოდ შიშველი ფაქტები მოვიყვანე, ამ ფაქტების შეფასებასა და კომენტირებას არ ვაპირებ, ვიტყვი მხოლოდ, რომ ახალგაზრდობის აღზრდისათვის აკაკი შანიძე არც დროს ზოგავდა, არც შრომას და ენერგიას. იგი იყო და არის არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ სანიმუშო პედაგოგი, ჭეშმარიტი აღმზრდელ-მასწავლებელი.

უნივერსიტეტში რომ საპროფესოროდ მოსამზადებლად დამტოვეს (X, 1925), საპროფილო საგნებად ჩამიწერეს — ძველი ქართული მწერლობა, ძველი ქართული ენა, სპარსული ენა და ლიტერატურა. ძველ ქართულში ხელმძღვანელად, რა თქმა უნდა, აკაკი შანიძე დამინიშნეს. ქართულს როგორმე მოვუელითო, მითხრა ბ-ნმა აკაკიმ და განაგრძო: რამდენადაც თქვენ ვიწრო სპეციალობად ძველი ქართული **საერო მწერლობა** გაქვთ არჩეული, დაგჭირდებათ სპარსულის შესწავლა, სპარსულისთვის კი აუცილებელია არაბულის საფუძვლების ცოდნაო. არაბულის ხელმძღვანელობა თვითონ იკისრა. ორი წლის განმავლობაში აკაკი შანიძე სისტემატურად და ზუსტი გრაფიკით მიწვევდა ხელმძღვანელობას როგორც ქართულის, ისე არაბულის შეს-

წავლაში (ზოგჯერ სპარსულის ცოდნასაც ამოწმებდა), ვერ მოვიგონებ ერთ შემთხვევასაც კი, მეცადინეობისა და კონსულტაციის განრიგის ცხრილი რომ დარღვეულიყო. ბატონი აკაკი ყოველთვის იყო არაჩვეულებრივად აკურატული, ყურადღებიანი და მომთხოვნი, თანაც ხალისიანი, ამხანაგური. ბ-ნი აკაკი უხვად არის დაჯილდოებული იუმორის მახვილი გრძნობით.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგაც აკაკი შანიძე არ მაკლებდა მზრუნველ ყურადღებას, აინტერესებდა ჩემი საქმიანობის ყოველი წვრილმანი, მეხმარებოდა ჩჩევა-დარიგებით, მამარაგებდა ლიტერატურით, მამხნევებდა, მაქეზებდა. მან ფასდაუდებელი ამაგი დამდო სადისერტაციო შრომის მომზადებისა და დაცვის დროს. ამის თაობაზე საგანგებო საუბარი მაქვს ამავე წიგნში („ქილილა და დამანა").

...ისტორიამ ისე ინება, რომ ბევრ სარბიელზე მომიხდა აკაკი შანიძესთან თანამშრომლობა. განსაკუთრებით გვაახლოებდა ჩვენ ვეფხისტყაოსანი, ვეფხისტყაოსნის კრიტიკული ტექსტის დადგენის საქმე. ერთი თავისი რუსთველოლოგიური ნაშრომი ბატონმა აკაკიმ დიდად სამახსოვრო წარწერით მომიძღვნა: „ძვირფას ალექსანდრე ბარამიძეს, ერთ დროს მოწაფეს, ამჟამად კოლეგას .ავტორისაგან. 25, I. 1966". მთელი ჩემი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე მეამაყებოდა და მეამაყება, რომ ვიყავი და ბოლომდე ვრჩები აკაკი შანიძის მოწაფედ, ისე როგორც ჩემს საყვარელ მასწავლებლებად ვთვლიდი და ვთვლი ივანე ჯავახიშვილსა და კორნელი კეკელიძეს...

აკაკი შანიძე ფართო პროფილის მეცნიერი-ფილოლოგია, უწინარეს ყოვლისა, ენათმეცნიერი, ქართული და ქართველური ენების დიდი მკვლევარი, ამავე დროს შესანიშნავი ლიტერატურათმცოდნე — ქართული მწერლობის ისტორიკოსი, რუსთველოლოგი, ფოლკლორისტი.

აქ ჩვენ ძალიან მოკლედ შევეხებით აკაკი შანიძის ღვაწლს მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობის დარგში. შემთხვევითი როდია, რომ ა. შანიძე ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, 1912—1913 წლებში, თანამშრომლობდა რუსულ ენციკლოპედიაში, ბეჭდავდა წერილებს ქართული ენისა და მწერლობის საკითხებზე. სტუდენტობის პერიოდშივე ა. შანიძე აქტიურად მონაწილეობდა ქართული ბიბლიოგრაფიის შედგენაში და საბიბლიოგრაფიო მიმოხილვებს აქვეყნებდა ისეთ სერიოზულ სამეცნიერო ორგანოში, როგორიც იყო მარისეული «Христианский Восток». შანიძე არასოდეს თაკილობდა ე. წ. შავ სამუშაოს, სტუდენ-

ტობისა და ასპირანტობის დროიდანვე ადგენდა ქართული ხელნაწერების კატალოგებს, აღწერილობებს და სხვადასხვა საძიებლებს (მაგალითად, 1916 წელს შეუდგენია ე. თაყაიშვილის ცნობილ „აღწერილობათა“ პირველი ტომის ვრცელი საძიებელი, რომელიც დაიბეჭდა 1939 წელს). ა. შანიძე ადრითგანვე სისტემატურად აგროვებდა ლექსიკოლოგიურ მასალებს და ქართული ხალხური სიტყვიერების ძვირფას მარგალიტებს.

ა. შანიძე გამოჩენილზე გამოჩენილი ლექსიკოგრაფია და სწორუპოვარი ფოლკლორისტი. ა. შანიძემ განაგრძო, გააფართოვა და გააღრმავა ქართული მწერლობის ძეგლთა მეცნიერული გამოცემის ის ტრადიცია, რაც დანერგა მისმა მასწავლებელმა აკადემიკოსმა ნიკო მარრმა. ა. შანიძე ბრწყინვალე ტექსტოლოგია. თბილისის უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ა. შანიძემ შექმნა სპეციალური სერიები — „ძველი ქართული ენის ძეგლები“. ამ სერიებში იბეჭდებოდა პირადად აკაკი შანიძისა თუ მისი მოწაფეების მიერ გამოსაცემად მომზადებული პირველხარისხოვანი ძეგლები ქართული მწერლობისა. ა. შანიძე სისტემურად აქვეყნებს ქართული ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმის) ტექსტებს, ქართული სალიტერატურო ენის ამ უძველესსა და უმდიდრეს საუნჯეს. საგანგებოდ აღსანიშნავია შანიძისეული პუბლიკაცია „ხანმეტი ლექციონარი“ (1929), რომელიც ფოტოტიპიურადაც გამოვიდა 1944 წელს. ადრინდელი პერიოდის ქართული მწერლობის ე. წ. ხანმეტური ტექსტების პირველი ნიმუშები 1923 წელს აღმოაჩინა ივანე ჯავახიშვილმა. ხანმეტობის ნამდვილი რაობა გაარკვია ა. შანიძემ. მანვე გამოავლინა ჰაემეტობის ნიშნები და ცხადყო ჰაემეტობის ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა.

აკაკი შანიძის თაოსნობით, მისი რედაქციით, წინასიტყვითა და გამოკვლევით გამოქვეყნდა ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი — სინური მრავალთავი (1959). სინური მრავალთავის ხელნაწერი დედანი ქართული მწერლობის უძველესი თარიღიანი ხელნაწერია, იგი გადანუსხულია 864 წელს და ამჟამად დაცულია სინას მთაზე (მეწამული ზღვის სანაპიროზე, ეგვიპტეში). სინური მრავალთავი მეტად მდიდარია შინაარსით და ფრიად საყურადღებოა ენობრივი თვალსაზრისით.

ბოლო დროს ა. შანიძემ სანიმუშოდ გამოსცა ქართული სულიერი კულტურის ორი უნიკალური ძეგლი — 1. პეტრიწონის მონასტრის ტი-

პიკონი (ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბილისი, 1971), 2. ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის (თბილისი, 1975). პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის (წესდების) კრიტიკული ტექსტი დაბეჭდილია ქართულსა და რუსულ ენებზე. გამოცემას ამკობს ჩინებული გამოკვლევა (აგრეთვე ქართულსა და რუსულ ენებზე) და სპეციალური ლექსიკონი. პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლია და მით უფრო იყო საჭირო მისი რუსულ ენაზე გამოქვეყნება. ა. შანიძის გამოკვლევაში ნათლად გარკვეულია პეტრიწონის მონასტრის როლი და ადგილი ქართული კულტურის ისტორიაში. აქ დაწვრილებით განხილულია და სრული უეჭველობით დადგენილი მონასტრის დამფუძნებლის, საბერძნეთის დიდი დომესტიკოსის, ტაოელი ქართველი ერისთავის ბაკურიანის შვილის, გრიგოლ ბაკურიანის ძის უძვირფასესი ბიოგრაფიული ფაქტები. ცოტა ადრე, სახელდობრ 1970 წელს, ა. შანიძემ რუსულ ენაზე გამოსცა ცალკე წიგნად მონოგრაფიული გამოკვლევა ამ გრიგოლ ბაკურიანის ძის შესახებ («Великий Доместник Запада Григории Бакурианис-дзе и грузинский монастырь, основанный им в Болгарии»). ყველაფერთან ერთად ა. შანიძის გამოკვლევა გრიგოლ ბაკურიანის-ძეზე შეიცავს მრავალ ძვირფას ცნობას ქართულ-ბერძნულ და ქართულ-ბულგარულ კულტურულ ურთიერთობათა საკითხებზე იმ შორეულ ხანაში.

„ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“, გარდა თავისი თავისთავადი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობისა, საყურადღებო წყაროა ვეფხისტყაოსნის ასტრონომიული მხარეების გასაშუქებლად.

ა. შანიძე ყოველთვის დიდი ინტერესით ეპყრობოდა და ეპყრობა ძველი ქართული საერო ლიტერატურის ძეგლებს. მისი ყურადღების გარეთ არ დარჩენილა არც გვიანფეოდალური ხანის და არც ახალი პერიოდის ქართული მწერლობა. 1934 წელს ა. შანიძემ მონაწილეობა მიიღო „შაჰნამეს ქართული ვერსიების“ ანუ „როსტომიანის“ ვეებერთელა ტომის გამოცემაში. საუცხოო ნარკვევი მიუძღვნა მან სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ მეექვსის სამეცნიერო-მწიგნობრულ მოღვაწეობას. ჯერ კიდევ სტუდენტმა თამამად და მართებულად გააკრიტიკა მოსე ჯანაშვილის მოსაზრებანი ქილილა და დამანას ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებზე[1]. ა. შანიძემ შთამბეჭდავი როლი შეასრულა სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფული ნაწე-

[1] ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, 1945, გვ. 245—246.

რების აღმოჩენაში[1]. ქართული მწერლობის ისტორიის დიდი შენაძენია ა. შანიძის მონოგრაფია „ანტონ პირველის გავლენა სალიტერატურო ქართულზე" (თბილისი, 1962). საგანგებო წერილებით განიხილა აკაკი შანიძემ ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ენის საკითხები. დიდად აფასებდა იგი გიორგი ლეონიძეს, როგორც პოეტს და მკვლევარს. სიტყვით გამოვიდა ლეონიძის საიუბილეო საღამოზე ოპერის თეატრში 1970 წლის 1 ივნისს. ა. შანიძემ მგრძნობიარე გამოსათხოვარი სიტყვები წარმოთქვა ალექსანდრე აბაშელისა და გალაკტიონ ტაბიძის დასაფლავებაზე.

ალ. აბაშელთან ერთად ა. შანიძემ გამოსცა ვაჟა-ფშაველას თხზულებათა პირველი ორი ტომი (1946—1950), სანიმუშოა მისეული პუბლიკაცია ე. ნინოშვილის მოთხრობისა —„პარტახი" (1935). საინტერესო ტექსტოლოგიური და ისტორიულ-ლიტერატურული საკითხებია აღძრული ა. შანიძის ნარკვევებში გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაზე, გიორგი მთაწმიდელზე, იოვანე პეტრიწონელზე.

ა. შანიძე პიონერია ფოლკლორული ტექსტების მეცნიერული პუბლიკაციის დარგში. საეტაპო მნიშვნელობისაა მისი მონუმენტური „ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული (1931)". ამ გამოცემას უძღვის ღრმაშინაარსიანი, სხარტი გამოკვლევა, ბოლოში დართული აქვს ვრცელი შენიშვნები, ვარიანტები და საძიებლები. სამწუხაროდ, პირველ ტომზე შეწყდა შანიძისეული პუბლიკაცია ფოლკლორული პოეზიის ძეგლებისა, განზრახვა კი ჰქონია, ყოველ შემთხვევაში, ოთხი ტომი მაინც დაებეჭდა. 1939 წელს ვ. თოფურიასა და ა. გუჯეჯიანთან ერთად ა. შანიძემ გამოსცა „სვანური პოეზია" (ტომი I).

„ქართული ხალხური პოეზიის" წინასიტყვაში ა. შანიძე აყენებს და მართებულად წყვეტს რიგ პრინციპულ საკითხებს. ერთი ასეთი საკითხთაგანია ფოლკლორისა და მწერლობის ურთიერთდამოკიდებულება. ა. შანიძე შენიშნავს, რომ ფოლკლორი ძლიერ ხშირად ზემოქმედებას ახდენს მწერლობაზე და მას ანაყოფიერებს. მკვლევრის მოსაზრებით, განსაკუთრებით დიდ ანგარიშს უწევდნენ ხალხურ პოეზიას ალ. ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა. „ერთი მათგანი მაინც, ვაჟა, ამ პოეზიაზე ჩანს სკოლა-გავლილიო", ამბობს ა. შანიძე და განაგრძობს: „ვაჟა ძლიერია, სადაც ხალხურ თქმულებას და ხალხურ ამბებს (რა თქმა უნდა, თავისებურად გადაკეთებულსა და გადამუშავებულს)"

---

[1] ალ. ბარამიძე, ნარკვევები. I, 1945, გვ. 258, 269—270.

ხალხური ლექსების ფორმითვე გვაძლევს და სუსტია, სადაც ამ ნიადაგს ჰშორდება“ (გვ. 023). „ცნობილია, თუ რამდენად მჭიდრო ურთიერთობა არსებობს ლიტერატურასა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებას შორის. ხალხური ზეპირსიტყვაობა დაუშრეტელ მასალას აძლევს კაზმულ სიტყვიერებას, მაგრამ, ამასთანავე, თვითონაც სარგებლობს ლიტერატურული ძეგლებით, რომელთაც თავისებურად აკეთებს და ასხვაფერებსო“, წერს ა. შანიძე ნარკვევში „შაჰნამეს ერთი ეპიზოდი ქართულ ფოლკლორში“[1]. ფოლკლორზე ლიტერატურის გავლენის თვალსაჩინო მაგალითად თვლის იგი ხალხურ „როსტომიანს“, რომელსაც მიუძღვნა კიდევაც დასახელებული ნარკვევი (გვ. 177, 195); „ტარიელიანიც“ ა. შანიძეს ვეფხისტყაოსნიდან მომდინარედ მიაჩნია.

ა. შანიძის დაკვირვების თანახმად, ისე როგორც ერთი მწერალი ახდენს გავლენას მეორე მწერალზე, ფოლკლორული ნაწარმოების ერთი ავტორიც, მათქვამიც, ახდენს გავლენას მეორე სახალხო მოლექსეზე. „ეს საკითხი ქართული ხალხური პოეზიისათვის ახალია, როგორც ახალი ამბავია ამ პოეზიის მეცნიერული შეკრება და დამუშავება“.[2] ა. შანიძემ საგანგებო ყურადღება მიაქცია კლასობრივი ბრძოლის, ანტიფეოდალური განწყობილების ასახვას ხალხურ პოეზიაში და გამოაქვეყნა კიდევაც საამისო ჩინებული ტექსტები (ლექსები ზურაბ ერისთავზე და შიოლა ღუდუშაურზე)[3].

ა. შანიძის ფიქრით, ხალხურ ზეპირსიტყვიერებას შემონახული უნდა ჰქონდეს ქართული ლექსის უძველესი ნიმუშები. ამისათვის მკვლევარი ასახელებს ე. წ. მთიბლურ ლექსებს. მთიბლური ლექსების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვსო საზოგადოდ „ქართული მეტრიკის ისტორიისათვის“, ასკვნის მეცნიერი[4]. ქართული ლექსის პრობლემას ეხება ა. შანიძის სპეციალური გამოკვლევა „ფისტიკაურის ისტორიისათვის“[5]. ფისტიკაურის რაობისა და მისი ისტორიის გარკვევასთან ერთად ა. შანიძემ ქართულ პოეზიას შესძინა უცნობი, საუცხოო ფისტიკაური ლექსი, რომელიც ერთი

---

[1] ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935, გვ. 117.
[2] ქართული ხალხური პოეზია, I, გვ. 024, შენ. I.
[3] იქვე, გვ. 06—07 14—15.
[4] იქვე, გვ. 022.
[5] ლიტერატურული ძიებანი, II, 1944, გვ. 5—14.

ძველი ხელნაწერის აშიაზე მიუწერია დაახლოებით XV საუკუნის მხედრულით ვინმე დიასამიძის ასულ შუენიერს. მინაწერი XV საუკუნეს ვერ გამოსცილდებაო, შენიშნავს ა. შანიძე, „შეიძლება უფრო ადრინდელიც იყოსო“, მეტიც, მკვლევრის ვარაუდით „შესაძლებელია, რომ ის (შუენიერის მიერ ჩაწერილი ლექსი. ა. ბ.) XII საუკუნემდისაც ადიოდეს“. ერთი სიტყვით ა. შანიძემ ძველი ქართული პოეზია გაამდიდრა ერთი მშვენიერი ლექსით, რომლის თუ შემთხვეველი არა, ყოველ შემთხვევაში, ჩამწერი არის XV საუკუნის მწიგნობარი ქალი შუენიერი დიასამიძე.

აკაკი შანიძე გამოჩენილი რუსთველოლოგია, ვეფხისტყაოსნის დიდებული მკვლევარი, ბ-ნი აკაკი თვითონ მეტად თავმდაბლურად აფასებს თავის ღვაწლს რუსთველოლოგიის სფეროში. ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული შესწავლის საქმეში „თუ ვისმე უძევს წილი... ერთი მათგანი შეიძლება ამ სტრიქონების ავტორიც იყოსო“, წერს მკვლევარი თავისი რუსთველოლოგიური ნაშრომების კრებულის („ვეფხისტყაოსნის საკითხები“, I, თბილისი, 1966) წინასიტყვაობაში (გვ. 05). ასევე ამბობს სხვაგანაც, ვეფხისტყაოსნის საკითხების გარშემო კვლევაძიებითს „საერთო ფერხულში მეც ვიყავი ჩაბმულიო“ (იქვე, 225)[1].

ა. შანიძის სიტყვით, „შოთა რუსთველის უკვდავი ქმნილება ქართული ლიტერატურის მშვენებაა“ (გვ. 05). „რუსთველის გენიალური ქმნილება მზესავით ბრწყინავს საუკუნეთა განმავლობაში. იგი ხელისხელ საგოგმანები გახდა ქართველი ხალხისათვის და ამავე დროს ერთი პირველი ადგილთაგანი დაიჭირა მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს შორის“ (გვ. 3).

ა. შანიძე უწინარეს ყოვლისა სწავლობდა და სწავლობს ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხებს. ამ მხრივ მისი დამსახურება განსაკუთრებული და ფასდაუდებელია. საუკუნეების მანძილზე, ამბობს ა. შანიძე, „ხავსივით მოედო რუსთველის პოემას მრავალი უცხო მასალა, რომელმაც საგრძნობლად დაჩრდილა მისი პირვანდელი ბრწყინვალება“ (გვ. 246). ამიტომაც ვეფხისტყაოსანი უნდა გაიწმინდოს შემდეგდროინდელი მინარევისაგან და შეძლებისდაგვარად აღდგესო მისი ტექსტის პირვანდელი სახე. „საჭიროა სპეციალისტების დაძაბული და

---

[1] აქაც და ყველგან ქვემოთაც ციტატებიმოგვაქვს ა. შანიძის დასახელებული წიგნიდან.

ხანგრძლივი მუშაობა, რომ (ვეფხისტყაოსნის) ტექსტი გაიცხრილოს, გასწორდეს და წარმოდგეს იმ სახით, როგორც პოეტს დაუწერია" (265). ა. შანიძის მოსაზრებათა თანახმად, „ვეფხისტყაოსნის ტექსტი დადგენა მეტად რთული საქმეა" (283), ამისათვის „დიდი ცოდნა, შრომა და გამჭრიახი გონებაა საჭირო" (215). ჩვენდა საბედნიეროდ, ეს თვისებები აკაკი შანიძეს უხვად ამკობს. ვეფხისტყაოსნის კრიტიკული ტექსტის დადგენის მკვიდრ ნიადაგზე დასაფუძნებლად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პოემის პირველი, ვახტანგისეული გამოცემის რაობის გარკვევას. ამის თაობაზე კი რუსთველოლოგიაში აზრთა პრინციპული სხვადასხვაობა სუფევდა. აკაკი შანიძის უპირველესი ღვაწლი რუსთველოლოგიაში სწორედ ისაა, რომ მან საბოლოოდ და ეჭვმიუტანლად გადაწყვიტა ეს თავსამტვრევი პრობლემა. 1937 წელს ა. შანიძემ უნაკლოდ აღადგინა და ოდინდელი ბრწყინვალება დაუბრუნა ვეფხისტყაოსნის 1712 წლის განთქმულ ბეჭდურ გამოცემას (პოემის ვახტანგისეულ რედაქციას). ვახტანგისეული გამოცემის ჩვენ დრომდის მოღწეული ყველა ცალის ბეჯითი, სკრუპულოზური შესწავლის გზით ა. შანიძემ ურყევად დაასაბუთა, რომ ვახტანგისეული რედაქცია ვეფხისტყაოსნისა არის კრიტიკული რედაქცია და რომ „საბოლოოდ უნდა უკუვაგდოთ მტკიცება, თითქო ვახტანგს რომელიღაც ძველი, ჩვენს დრომდე არმოღწეული ვერსია დაებეჭდოს" (გვ. 218). ა. შანიძის ამ უცილობელმა დებულებამ მტკიცე საყრდენი შეუქმნა ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიური პრობლემატიკის შემდგომ გაღრმავებულ კვლევა-ძიებას. თვითონ აკაკი შანიძე დაუცხრომლად განაგრძობდა და განაგრძობს ასეთ ძიებას. ა. შანიძეს ეკუთვნის არა ერთი და ორი შესანიშნავი ნაშრომი, რომლებიც ეძღვნება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენას, გაგებასა და ფაქიზ ენობრივ ანალიზს. გიტაცებს და გხიბლავს შანიძისეული ტექსტობრივი მახვილგონივრული ანალიზის სიღრმე იმ შემთხვევაშიც, როდესაც შესაძლებელია მის მოსაზრებას არც იზიარებდე რომელიმე კონკრეტული ფაქტის შესახებ. კ. კეკელიძესთან ერთად ა. შანიძე თავმჯდომარეობდა იმ კომისიას, რომელმაც მოამზადა 1937 წლის საიუბილეო გამოცემის ტექსტი. ა. შანიძის აქტიური მონაწილეობით მომზადდა პოემის 1951 და 1957 წლების გამოცემები.

აკაკი შანიძის მოთავეობითა და ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოქვეყნდა 1966 წელს ვეფხისტყაოსნის კრიტიკული ტექსტი, რომელიც დადგინდა პოემის ყველა ძირითადი ხელნაწერისა და ბეჭ-

დური გამოცემის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად. ამ გამოცემის განსაკუთრებული ღირსება ისაა, რომ ძირითად ტექსტს სქოლიოში ახლავს უმთავრესი ნაირწაკითხვანი ანუ ვარიანტები. ეს იყო დიდი სიახლე ვეფხისტყაოსნის პუბლიკაციის საშვილიშვილო საქმეში, რომელზედაც ოცნებობდა ივანე ჯავახიშვილი. ამიტომ გამოცემა მიეძღვნა კიდევაც დიდი ივანეს ხსოვნას. მეამაყება, რომ მეც მიმიძღვის წვლილი ამ გამოცემის მომზადებაში. ა. შანიძის ხელმძღვანელობით მომზადდა და დაიბეჭდა 1956 წელს ვეფხისტყაოსნის სრული სიმფონია.

ი. აბაშიძესა და გ. წერეთელთან ერთად აკაკი შანიძე იყო წევრი იმ სამეცნიერო ექსპედიციისა, რომელიც 1960 წლის შემოდგომაზე მოეწყო იერუსალიმში. ამ ექსპედიციამ მოგვიპოვა და ჩამოგვიტანა თითქოს დაკარგული ფრესკული პორტრეტი შოთა რუსთველისა იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტრის კედლიდან. იერუსალიმური ექსპედიციის მასალებმა გაგვირკვია ჩვენი უკვდავი მგოსანთ-მგოსნის რიგი პირველხარისხოვანი საბიოგრაფიო საკითხი. იერუსალიმური ექსპედიციის შედეგებს მიუძღვნა ა. შანიძემ (გარდა ექსპედიციის წევრთა კოლექტიური წერილისა) ორი სპეციალური ნარკვევი რუსულ ენაზე: 1. В поисках исчезнувшего портрета («Вечерний Тбилиси», 22. XI. 60), 2. Из поездки в Иерусалим (К вопросу о портрете Ш. Руставели, «Вестник АН СССР», 1961, № 8, стр. 92—94). სხვა საკითხების განხილვასთან ერთად ამ ნარკვევებში ა. შანიძე იმ აზრს ავითარებს, რომ შოთა მეჭურჭლეთუხუცესის სააღაპო მოსახსენებელი დაწერილია XII—XIII საუკუნეთა ხელით და რომ საფიქრებელი ხდება ამ შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და პოეტ შოთა რუსთველის იდენტიფიკაცია.

ჰეშმარიტად, აკაკი შანიძე ვეფხისტყაოსნის დიდი მკვლევარია, ვეფხისტყაოსნის ენის მესაიდუმლე და პოემის ტექსტის დამდგენი.

1979

გიორგი ახვლედიანი

გიორგი ახვლედიანი ერთი იმათთაგანია, ვინც პროფესორთაგან განსაკუთრებით ახლო იყო სტუდენტობასთან (საზოგადოდ ახალგაზრდობასთან). ახოვანი, წარმოსადეგი, თავმდაბალი, კეთილი, მოალერსე,

მოსიყვარულე... ასეთი წარმოდგენა შემექმნა გ. ახვლედიანზე უკვე პირველი კურსის სტუდენტს. შემდეგ და შემდეგ ეს წარმოდგენა უფრო და უფრო განმიმტკიცდა. გ. ახვლედიანი ჩემთვის ყოველთვის დიდად პატივსაცემი და საყვარელი ადამიანი იყო. აქ მინდა გავიხსენო მხოლოდ ერთი ეპიზოდი ჩვენი ხანგრძლივი ურთიერთობის ისტორიიდან.

1963 წელს გამოქვეყნდა პავლე ინგოროყვას თხზულებათა პირველი ტომი, რომელშიც შედის მისი ორი დიდი მონოგრაფია „რუსთველიანა“ და „რუსთველიანას ეპილოგი“. ამ შრომას მე მივუძღვენი მოზრდილი რეცენზია (დაიბეჭდა ჩემი „ნარკვევების“ მეოთხე წიგნში, თბილისი, 1964, გვ. 369—437). მე შევეცადე ობიექტურად შემეფასებინა პ. ინგოროყვას გამოკვლევები, აღვნიშნე მათი დადებითი მნიშვნელობა და გავაკრიტიკე, ჩემი აზრით, სადავო თუ მიუღებელი მხარეები. წიგნი ჩვეულებისამებრ მივართვი ბ-ნ გიორგის. გაეცნო და მომიწონა. მითხრა, თქვენი რეცენზია უთუოდ გამოირჩევა თავისი აკადემიური კილოთი და საქმიანი განსჯითო. არ გასულა დიდი დრო და გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ დაიბეჭდა პ. ინგოროყვას კრებულის რუსთველოლოგიურ ნაწილზე სახოტბო შინაარსის დიდი წერილი: «Наука раскрывает тайну биографии великого Руставели» (Заря Востока, 6—2—65). როგორც ცნობილია, პავლე ინგოროყვა ამტკიცებს, რომ შოთა რუსთველი იყო ბაგრატიონთა ოჯახის წევრი, ჰერეთის ერისთავი, რომელსაც თვალი ეჭირა სამეფო ტახტზე და თამარისადმი უზომო სიყვარულის გრძნობით იყო გამსჭვალული. შოთა რუსთველის ცხოვრების ეს ამბავი თითქო დაშიფრულად აღბეჭდილა ვეფხისტყაოსანში: „ვეფხისტყაოსანში ტარიელის საგვარეულო ისტორიის სახით მოთხრობილია შოთას საგვარეულო ისტორიაო“ (პ. ინგოროყვა, თხზულებანი, I, გვ. 207). მკვლევრის სიტყვით, ტარიელის თავგადასავალი არათუ ემთხვევა, არამედ სავსებით „იდენტურია“ შოთა ბაგრატიონ-ერისთავის თავგადასავლისა, რაც კარგად არის ცნობილი საისტორიო წყაროებითო (იქვე, 1, 530). პ. ინგოროყვას უმთავრესი დებულება ისაა, თითქო ვეფხისტყაოსანი წარმოადგენს ისტორიული „შიფრის“ შემცველ მხატვრულ ნაწარმოებს, „ამოცნობა ვეფხისტყაოსნის შიფრისა — ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა პოემის სხვა საკითხთა შორისო“ ამბობს მკვლევარი და ახსნის, რომ მან ამოიცნო ეს შიფრი, რაც „იძლევა თვით ვეფხისტყაოსნის გასაღებს“ (იქვე, გვ. 200 — 201). რაღა თქმა უნდა, პ. ინგოროყვას მოსაზრებანი უაღრესად საყუ-

რადღებონია, მაგრამ გარკვეულ დაეჭვებასა და ცილობას იწვევენ. ეს გარემოება ხაზგასმულია ჩემს რეცენზიაში. „ზარია ვოსტოკაში“ დაბეჭდილ წერილში კი ის აზრია გატარებული, რომ პ. ინგოროყვამ „მათემატიკური სიზუსტით“ ამოიცნო ვეფხისტყაოსნის შიფრი, საბოლოოდ გადაწყვიტა პოემის ურთულესი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები და შეუმცდარად დაადგინა პოეტის ბიოგრაფია. პ. ინგოროყვას გამოკვლევის თანახმად, მხატვრული გამონაგონისა და ისტორიული სინამდვილის დამთხვევა პირდაპირ „ზღაპრულ სიზუსტეს“ აღწევსო («прямо со сказочной точностью совпадает»). ვეფხისტყაოსნის ისტორიული შიფრის ამოცნობა, ნათქვამია წერილში, «относится к числу самых значительных научных достижений и, хочется сказать, самых удивительных научных откровений автора Руставелианы». სარეცენზიო წერილი თვლის, რომ ინგოროყვამ რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების სფეროში უმაღლეს მიჯნას, უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. რეცენზიას ხელს აწერენ გიორგი ახვლედიანი და გიორგი მარგველაშვილი.

იმ ხანებში, „ზარია ვოსტოკაში“ რომ წერილი გამოქვეყნდა, შედგა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელიც მიეძღვნა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა წინა, 1964 წლის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებს და, კერძოდ, სამეცნიერო შრომების რეცენზირების საკითხს. მოხსენება გააკეთა პროფ. ივანე იმნაიშვილმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ, მართალია, ზოგიერთი ავტორის რეცენზია ვრცელია, საბუთიანი და საქმიანია, ნაშრომები ობიექტურად არის შეფასებული, მაგრამ რეცენზიების მნიშვნელოვანი ნაწილი იწერება ნაჩქარევად, ფორმალურად, ზერელედ და კომპლიმენტურადო. მომხსენებელმა მოითხოვა, რომ მეცნიერული შრომების რეცენზირების საქმეში დამყარდეს საჭირო წესრიგი, ეს არისო საუნივერსიტეტო მუშაობის ერთი ფრიად საპასუხისმგებლო უბანი. მოხსენების გარშემო გაიმართა ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა. სიტყვით მეც გამოვედი. საგანგებოდ შევჩერდი „ზარია ვოსტოკაში“ დაბეჭდილ წერილზე. აღვნიშნე, რომ გ. ახვლედიანისადმი დიდი პატივისცემა და სიყვარული უფლებას მაძლევს გულახდილად ვაღიარო, რომ არ მომეწონა მისი ხელმოწერით გამოქვეყნებული წერილის საერთო ხასიათი. ნუთუ პ. ინგოროყვას უთუოდ მნიშვნელოვანი დიდი გამოკვლევა არავითარ შენიშვნას არ იწვევს. ნუთუ აღარაფერი რჩება სადაო, საჩოთირო ან დამატებით

გამოსარკვევი რამ! ნუთუ გამოკვლევაში ყველაფერი მართლა მათემატიკური და ზღაპრული სიზუსტითაა გადაწყვეტილი, მიღწეულია თუ გადალახული კვლევა-ძიების საბოლოო მიჯნა? ჩემი აზრით, ვთქვი, წერილი ვერ იძლევა მეცნიერული ნაშრომის განხილვისა და შეფასების სანიმუშო მაგალითს. ისიც მაკვირვებს-მეთქი, დავძინე, როგორ შეძლო გ. ახვლედიანმა ჩემი სარეცენზიო წერილის მოწონებაც და „ზარია ვოსტოკას“ წერილზე ხელის მოწერაც.

ჩემი სიტყვა გ. ახვლედიანმა თითქო დამშვიდებით მოისმინა. ყოველ შემთხვევაში არც ყვსტით, არც რეპლიკით რეაგირება არ მოუხდენია. ჩემს შემდეგ გამოვიდა ვარლამ თოფურია, მე სავსებით ვეთანხმები ალ. ბარამიძის მხრივ გაზ. „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნებული წერილის შეფასებასო, თქვა ვ. თოფურიამ. ამ სიტყვებზე ბ-ნი გიორგი აღელვებული წამოიჭრა ადგილიდან, ეს რას ჰგავსო, მიმართა სხდომის თავმჯდომარეს, ფაკულტეტის დეკანს პროფ. აკაკი ურუშაძეს, აქ ჩემი განქიქებაა, თუ ფაკულტეტის შარშანდელი შრომების რეცენზიების განხილვაო. მე მაოცებსო, თქვა ბ-ნმა გიორგიმ, საერთოდ თავდაჭერილი და ტაქტიანი ალექსანდრე ბარამიძის დღევანდელი, უტაქტო გამოსვლა, მაგრამ კიდევ უფრო მაშფოთებს ვარლამ თოფურიას გამოსვლაო. მე მოვითხოვო, განაცხადა გ. ახვლედიანმა, დაუყოვნებლივ შეწყდეს უადგილო გამოსვლები და სამეცნიერო საბჭო დაუბრუნდეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვასო. შეიქმნა მეტისმეტად უხერხული მდგომარეობა. თავმჯდომარემ, რასაკვირველია, საკითხის გაუმწვავებლად მოგვარება ირჩია, ბ-ნ ვარლამს სთხოვა თავი შეეკავებინა „ზარია ვოსტოკაში“ დაბეჭდილი წერილის განხილვისაგან. თუ მოისურვებთ, ამისათვის სამეცნიერო საბჭოს საგანგებო სხდომას მოვიწვევთო. ვარლამმა სიტყვა შეწყვიტა. სხვებსაც დაეკარგათ კამათში მონაწილეობის ხალისი. სხდომა მალე დამთავრდა. ჩემს გვერდით იჯდა აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი ძალიან გააცხარეთო, სიცილით მითხრა. ამ დროს ჩვენთან მოვიდა თვითონ ბ-ნი გიორგი, მოულოდნელად გამიღიმა, სახეზე ხელი მომითათუნა, ცოტა გაგაცხარე, არ გეწყინოსო, ვარლამ თოფურია რომ უადგილოდ საქმეში არ ჩარეულიყო, არაფერს ვიტყოდიო. ამით დამთავრდა იმ დღის ამბავი. რამდენიმე წლის შემდეგ გიორგი ახვლედიანი ძმიმე ავად გახდა, შოთა ძიძიგურს ენახა. ავადმყოფს ეთქვა, მგონი იმ ქვეყნად მივემგზავრები, ჯავრად მიმყვება, რომ ალექსანდრე ბარამიძეს უსაფუძვლოდ თავს დავესხი და ვაწყე-

წინეო, ის ცამდე მართალი იყო ჩვენი რეცენზიის შეფასებაშიო გთხოვთ, ჩემი სიტყვები ალექსანდრეს გადასცეთო. შოთა ძიძიგურმა დავალება პირნათლად შეასრულა.

ასეთი იყო გიორგი ახვლედიანი როგორც კაცი, როგორც ადამიანი.

1978

ᲘᲣᲡᲢᲘᲜᲔ ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔ

პროფესორი იუსტინე აბულაძე პირველად მაშინ გავიცანი, როდესაც საკურსო გამოცდას ვაბარებდი სპარსული მწერლობის ისტორიაში. სამსახურის გამო მის ლექციებს ვერ ვესწრებოდი ვერც სპარსული მწერლობის ისტორიაში და ვერც სპარსულ ენაში. ამხანაგები ბევრს მიამბობდნენ სპარსულის ლექტორის უცნაურობაზე, ლექციების ცხრილს არ ემორჩილება, წასაკითხ თემას უხვევს, უფრო ვეფხისტყაოსანზე საუბრობს, ზოგჯერ უნივერსიტეტის ამა თუ იმ პროფესორს კენწლავსო. სპარსული ენა და ლიტერატურა ძლიერ მაინტერესებდა, მაგრამ გარემოება ხელს მიშლიდა. ფილოლოგიის ფაკულტეტზე სავალდებულო იყო ერთი ახალი ევროპული ენა და ერთიც აღმოსავლური. გამონაკლისის სახით აღმოსავლურის შეცვლა შეიძლებოდა კლასიკურით (ბერძნულით ან ლათინურით). ვისარგებლე ამ უფლებით და ლათინური ავირჩიე (ლათინურის ცოტაოდენი ცოდნა გიმნაზიიდან გამომყვა). თანაკურსელებმა გამაფრთხილეს, სპარსულ ლიტერატურაში გამოცდისას ლექტორს შაჰნამეს გამოკითხვა უყ არსო. დავეწაფე იუსტ. აბულაძის გამოცემულ „შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიების“ ვეებერთელა წიგნს, ვიკითხე შესავალიც და ტექსტიც, თავი ვიმტვრიე, მაინცდამაინც საჩემო ცოტა გამოვიტანე. უფრო გასაგები აღმოჩნდა ალ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია“ (ქართულსა და რუსულ ენებზე), სადაც საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი შაჰნამეს (როსტომიანის) საკითხებს. ხელთ მქონდა ა. კრიმსკის „სპარსეთის ისტორიისა და მისი ლიტერატურის“ წინასწარი გამოშვება (предварительное издание). საბედნიეროდ ბ-ნმა იუსტინემ მართლაც შაჰნამე გამომკითხა, სხაპასხუპით ვუპასუხე. მომიწონა. პასუხის დასრულება არ დამაცალა, მატრიკული მომთხოვა და ფრიადი ჩამიწერა.

უნივერსიტეტი რომ დავამთავრე, იქვე დამტოვეს ძველ ქართულ საერო მწერლობაში საპროფესოროდ მოსამზადებლად. ჩემმა ხელმძღვანელმა პროფ. კ. კეკელიძემ და უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ივანე ჯავახიშვილმა საგანგებოდ გამაფრთხილეს, სერიოზულად მოვპყრობოდი სპარსული ენისა და მწერლობის შესწავლას. თითქო წინასწარ შეთანხმებით, ორივე დიდმა მეცნიერმა მირჩია სპარსულ ენაში კერძო მასწავლებელი ამეყვანა (დამისახელეს კიდევაც ერთი აზერბაიჯანელი სპეციალისტი, სპარსულის კარგი მცოდნე). ოფიციალურ ხელმძღვანელად, რა თქმა უნდა, ბ-ნი იუსტინე აბულაძე გეყოლებაო.

უნივერსიტეტში ჩემი დატოვების საკითხი 1925 წლის სექტემბრის ბოლოს გადაწყდა. კ. კეკელიძემ მიხმო, მომთხოვა, მიმეტოვებინა სამსახური და სტიპენდიაზე გადავსულიყავი, შევდგომოდი მეცადინეობას. პირველი ოქტომბრიდან სამსახურს თავი გავანებე, ხელმძღვანელებს შევუთანხმდი კონსულტაციების დღეებზე (ძველ ქართულ მწერლობაში ხელმძღვანელობას თვითონ კ. კეკელიძე მიწევდა, ძველ ქართულ ენასა და არაბულში — ა. შანიძე). სპარსულშიც შევუდექი მეცადინეობას კერძო მასწავლებელთან. ბ-ნ იუსტინესთან შეხვედრა რამდენიმე დღით დამიგვიანდა, შინ შეწუხება დამეხათრა, შორს ცხოვრობდა, ავლაბარში, კრენკელის (ყოფ. კაბგეროვის) ქუჩაზე. უნივერსიტეტში დავუდარაჯე. ლექციაზე მოდიოდა (დიდი დაგვიანებით), შევეგებე ეზოში, მოკრძალებით თავი დავუკარი, შეხვედრის მიზეზი გავაცანი. ჩემი გვარი რომ გაიგო, ბ-ნი იუსტინე ერთბაშად აღშფოთდა, დამემუქრა, ახლავე წავალ რექტორთან, შენ თავს მოვახსნევინებ! როგორ შეიძლება, ძველ ქართულ საერო მწერლობაში ისეთი პირის დატოვება, რომელმაც სპარსულის ინჩიბინჩი არ იცის და სასტუდენტო კურსიც არ გაუვლიაო. საუბრის გაგრძელება არ ისურვა და აღელვებული დამშორდა. გავშრი, გავშეშდი, ასეთ შეხვედრას არ მოველოდი. ორი დღის შემდეგ პროფ. გიგო ნათაძე შემხვდა, კარგად ვიცნობდი, განათლების მუშაკთა კავშირის მეცნიერების სექციის მდივანი იყო (მე, იმ კავშირში ვმსახურობდი), მითხრა, იუსტინე აბულაძემ უნივერსიტეტის გამგეობაში იჩივლა, აცილება მოგცა, ნუ აჩქარდები, ჯერ სამსახურს თავს ნუ გაანებებო. რა გაეწყობოდა, ბ-ნი კორნელი ვინახულე, ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე, საჩივრის თაობაზე იმანაც იცოდა. არაფერიაო, მითხრა, დამამშვიდა, იუსტინე აბულაძე ცოტა ახირებული კაცია, აპილპილება იცის, გაცხარება, მისი ხასიათი ცნობილია, შეჩვეული ვართო. შენ შენი საქმე აკეთე, ნაწყენობა გულთან

არ მიიტანო, იუსტინეს ლექციებს დაესწარი, კარგად მოეპყარი, გულნაკლულობა არ აგრძნობინო, გაცხარება გაივლის, დაავიწყდებაო. დარიგებისამებრ მოვიქეცი. ბ-ნი იუსტინეს საკურსო ლექციებზე დავიწყე დასწრება, მაგრამ ვხედავდი, რომ აქ საქმე წინ არ მიდიოდა, მთელი თვის განმავლობაში ყოველ ლექციას თავიდან იწყებდა, არაბულ-სპარსული ალფაბეტის ახსნას უნდებოდა, ცარცით შეიარაღებული დაფაზე ასო-ნიშნებს ხაზავდა, წერდა და შლიდა, ბევრს წვალობდა. სტუდენტები გულგრილად შეჰყურებდნენ, ზედმეტი კითხვებით აწუხებდნენ, თითქო ვერ ერკვეოდნენ ასო-ნიშნების სხვადასხვავარ დაწერილობაში. ცნობილია არაბული შრიფტის დაწერილობისა და წაკითხვის სირთულე. ისიც ნიშანდობლივია, რომ არაბულში მოკლე ხმოვანს ასო-ნიშანი არა აქვს. სხვათა შორის, ენგელსი სწერდა მარქსს, სპარსულს ვსწავლობ, ამ ენას ადვილად დავძლევდი, ეს „წყეული არაბული ალფაბეტი“ რომ არ მაბრკოლებდესო[1]. ამიტომაა, რომ მუსლიმანური სამყაროს პროგრესული საზოგადოებრიობა ყოველთვის იბრძოდა და იბრძვის არაბული შრიფტის რეფორმისათვის. ბ-ნი იუსტინე რომ სტუდენტებს არაბული შრიფტის თავისებურებას აცნობდა, მე საკმაოდ თავისუფლად ვწერდი და ვკითხულობდი ამ შრიფტით დაწერილ ტექსტებს (ბ-ნმა აკაკიმ და აზერბაიჯანელმა მასწავლებელმა შემასწავლეს). ერთხელ ლექტორს შევეშველე, დაფაზე მთელი არაბული ალფაბეტი დავულაგე ქართული შესატყვისებით (ასოების განსხვავებული კონფიგურაციებიც გამოვხატე, რასაკვირველია). ბ-ნი იუსტინე აღტაცებაში მოვიდა, შემაქო, სტუდენტებს მიუბრუნდა, ხომ ხედავთ, თუ გულმოდგინებასა და ბეჯითობას გამოიჩენთ ადვილად ისწავლით სპარსულ წერა-კითხვასო. ერთ ლექციაზე „თუთი ნამე“ მივიტანე, ერთი არაკი გაბმულად და თავისუფლად წავიკითხე, ქართულად გადმოვთარგმნე. ბ-ნი იუსტინე გახარებული იყო, ხედავდა, რომ მის შრომას ნაყოფი მოჰქონდა მეც მოხარული ვიყავი, რომ ლექტორის ნდობა და მოწონება დავიმსახურე. დიდი მონდომებით დავიწყე სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხების შესწავლა. პირველად ხელი მოვკიდე ფირდოუსის შაჰნამეს. უნი-

[1] «Если бы не этот проклятый арабский алфавит... то я бы взялся изучить всю грамматику (персидского языка) в течение 48 часов... Я для изучения персидского языка положил себе срок максимум в три недели» (К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, 28, М., 1962, с. 223).

ვერსიტეტის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა შაჰნამეს ვულერსისეული გამოცემის სამივე ტომი, მოლის სპარსულ-ფრანგული პუბლიკაციის ორი წიგნი და მისივე ფრანგული თარგმანის მთელი კომპლექტი. ხელთ მჭონდა იუსტ. აბულაძის „შაჰნამეს ქართული ვერსიები". გავისრიკე უნივერსიტეტის სიძველეთსაცავისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელნაწერი ფონდები, გამოვავლინე ზოგიერთი ისეთი ნუსხა, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურით არ იყო ცნობილი. ქართულ ტექსტებს ვუდარებდი სპარსულ დედანს (საკონტროლოდ ვიყენებდი მოლის ფრანგულსა და რიუკერტის გერმანულ თარგმანებს). ცალკე ვიწერდი დამთხვევებისა და სხვაობათა ყველა მნიშვნელოვან მაგალითს. საინტერესო მასალა დამიგროვდა. უნივერსიტეტში დატოვებიდან ერთი წლისა და ორი თვის შემდეგ, 1926 წლის 26 ნოემბერს, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე წავიკითხე მოხსენება „შენიშვნები შაჰნამეს ქართული ვერსიების შესახებ" (მოხსენების ტექსტი დაიბეჭდა კიდევაც „საქართველოს არქივში", III, 1927, გვ. 62—96). მოხსენებამ მსმენელებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. კამათში მონაწილეობა მიიღო ბ-ნმა იუსტინე აბულაძემაც, დიდი კმაყოფილება გამოთქვა, სხდომას თავმჯდომარეობდა დავით კარიჭაშვილი. მან აზრთა გაცვლა-გამოცვლა შეაჯამა, მოხსენებას ძველი ქართული მწერლობის ისტორიის ერთი საყურადღებო საკითხის გარკვევის „შესანიშნავი ცდა" უწოდა.. მე შემდეგაც განვაგრძობდი სისტემატურ კვლევაძიებას შაჰნამეს ქართულ ვერსიებზე. მოვიპოვე ამ ძეგლის მანამდე სრულიად უცნობი ქართული პროზაული თარგმანის მოზრდილი ფრაგმენტები XV—XVI საუკუნისა.

1934 წელს მთელ მსოფლიოში და, კერძოდ, ჩვენშიც (საბჭოთა კავშირში, საქართველოში) ფართოდ აღინიშნა შაჰნამეს ავტორის, გენიოსი სპარსელი პოეტის ფირდოუსის დაბადების 1000 წლისთავი. იმ დროისათვის მომზადდა და გამოიცა შაჰნამეს ქართული ვერსიების მეორე დიდი ტომი. სარედაქციო კოლეგიაში მეც მიმიწვიეს იუსტინე აბულაძესა, კ. კეკელიძესა, ა. შანიძესა და პ. ინგოროყვესთან ერთად. მევე დამევალა მონოგრაფიული ნარკვევის დაწერა. ეს დიდი პატივი იყო. იუსტ. აბულაძე თვალყურს ადევნებდა ჩემს მუშაობას და თავისი მოწაფის წარმატებით თითქო კმაყოფილი იყო.

მეორე თემა სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, რომლის დამუშავებასაც განსაკუთრებული პასუ-

ხისმგებლობით შევუდექი, იყო „ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიები. შრომა სადისერტაციოდ მქონდა გამიზნული, დავიცავი კიდევაც 1936 წლის 5 მარტს. ოფიციალურ რეცენზენტ-ოპონენტებად შეყვანდნენ კ. კეკელიძე და იუსტ. აბულაძე. კ. კეკელიძემ თუმცა საერთოდ დადებითად შეაფასა ჩემი შრომა, მეტისმეტად მკაცრად გააკრიტიკა იგი. ძალიან დაძაბული ვითარება იყო დაცვის წინაც და დაცვის დროსაც. პირველ ოპონენტად გამოვიდა იუსტ. აბულაძე. მან განმაცვიფრებლად შთამბეჭდავი, ამაღელვებელი, მამობრივი სიყვარულით გამსჭვალული შესავალი სიტყვა წარმოთქვა, სანამ საკუთრივ სადისერტაციო შრომის განხილვას შეუდგებოდა. მე ვერასოდეს ვერ დავივიწყებ იმ დღეს და ბატონ იუსტინე აბულაძის გამამხნევებელ სიტყვას..

1927 წელს გამოვიდა იუსტ. აბულაძის რედაქციით მომზადებული ვეფხისტყაოსანი. გამოცემის ერთი ცალი ავტორ-რედაქტორმა მისახსოვრა თბილი წარწერით: „ღრმად პატივცემულ ალექსანდრეს სიამოვნებით ვუძღვნი. ი. აბულაძე. 30. V. 28. ქ. ტფილისი“. თითქო ჩვენ შორის კარგი ურთიერთობა დამყარდა, მაგრამ მოულოდნელად 1935—1936 წლების მანძილზე ბ-ნმა იუსტინე აბულაძემ ზედიზედ გამოაქვეყნა ოთხი ნარკვევი, რომლებიც გამომწვევი და მწვავე პოლემიკური კილოთი იყო დაწერილი. ეს ნარკვევებია:

I. ვისრამიანის ტექსტისათვის („ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I. 1935, გვ. 270—297),

2. ვისრამიანის შესახებ („საბჭოთა ხელოვნება“, 1936, №1—2, გვ. 71—82),

3. ამირანდარეჯანიანის წარმოშობის საკითხისათვის („საბჭოთა ხელოვნება“, 1936, №3, გვ. 31—35).

4. ვისრამიანის ახალი ირანული გამოცემა („საბჭოთა ხელოვნება“, 1936, № 11—12, გვ. 42—45).

დასახელებულ წერილთაგან მეორე და მესამე საგანგებოდ ჩემს წინააღმდეგ არის მომართული, ამათ ქვესათაურად აქვთ „დოც. ა. ბარამიძის „ნარკვევების“ გამო“[1]. პირველი და მეოთხე წერილიც ძირითადად ჩემ გამოა დაწერილი. ამათ უნდა დაემატოს „წერილი რედაქციის მიმართ“ („საბჭოთა ხელოვნება“, 1936, № 4—5, გვ. 56). აქ იუსტ. აბულაძე უმთავრესად კორექტურულ შეცდომებად აცხადებს „ვისრამიანის“ პრინციპული ხასიათის იმ გასწორებათ, რომელთა გა-

[1] იგულისხმება ჩემი ნარკვევები: ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1932.

მო მე თავს მესხმოდა წინა წერილებში. მეც იძულებული გავხდი პოლემიკური წერილითვე მეპასუხა მოპაექრისათვის (ვისრამიანის საკითხისათვის. პასუხად პროფ. იუსტ. აბულაძეს, „საბჭოთა ხელოვნება“, 1937, № 2, გვ. 75—81). გულწრფელად ვაღიარებ, რომ გადავაჭარბე და ზედმეტი პოლემიკური სიცხარე შევიტანე საპასუხო წერილში, თუმცა ყველა ჩემს დებულებას არსებითად ახლაც ვიზიარებ. იმ სხვადასხვა სადავო საკითხთაგან, რომელთა გარშემოა ჩვენ შორის კამათი, სანიმუშოდ მოვიტან ერთ მაგალითს. ვისრამიანის ქართულ ვერსიაში ერთგან იკითხება (1884 წლ. გამოცემა, გვ. 138):

1. რამინის გული მაშინ ელევის ვისსა, რა ეშმა ავის ქმნასა ელიოს.

2. ოდესცა კურდღელი გალომდეს, რამინის გული ვისისაგან მაშინღა გაძღეს.

3. **ოდესცა ჩიტი ქორად შეიქმნების, მაშინ რამინ ავსა ზნესა დაანგდებს.**

სპარსული „ვის-ო-რამინისა“ და ქართული ვისრამიანის შედარებითი შესწავლისას ჩემი ყურადღება მიიპყრო ამ ნაწყვეტმაც. მაშინ (ოცდაათიანი წლების დასაწყისში) მოიპოვებოდა სპარსული დედნის ერთადერთი კალკუტური გამოცემა. დამოწმებული ნაწყვეტის მესამე, გახაზული მრჩობლედი ამ გამოცემაში არ არის, მაგრამ ნაწყვეტის სამივე ნაწილი ერთსა და იმავე აზრს ავითარებს და ამტკიცებს. ისინი ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, მკვრივადაა შეკრული და ერთ შინაარსობრივ მთლიანობას ქმნის. ამის გამო მე ვფიქრობდი, რომ ქართველ მთარგმნელს ხელთ უნდა ჰქონოდა კალკუტური გამოცემისაგან განსხვავებული ტექსტის მქონე ხელნაწერი ვარიანტი (ნარკვევები, I, 1932, გვ. 119). ბ-ნმა იუსტინემ ჩემი ეს მოსაზრება კატეგორიულად უარყო და ძალიან შორს გამწვდომი დასკვნები წარმოადგინა. საქმე ისაა, რომ ვისრამიანის ტექსტს ანალოგია მოეძებნა ვეფხისტყაოსანში: ავთანდილმა ვაზირს სთხოვა, ეშუამდგომლა მეფე როსტევანის წინაშე ტარიელის დასახმარებლად წასვლის ნებართვის მისაღებად. ვაზირმა უპასუხა:

> თუ მეფეცა გაგიშვებდეს, თვით ლაშქარნი რად მოღორდენ?
> რად გაგიშვან, რად დაღონდენ, ანუ მზესა რად მოჰშორდენ?
> შენ წახვიდე, მტერნი ჩვენნი დაგვთამამდენ, გაგვისწორდენ,
> ეგე ასრე არ იქმნების, ვითა ჩიტნი არ გაჰქორდენ (745).

ვისრამიანისა და ვეფხისტყაოსნის ტექსტების დამთხვევაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია:

ოდესცა ჩიტი ქორად შეიქმნების, რამინ მაშინ ავსა ზნესა დააგდებს
(ვისრამიანი).
ეგე ასრე არ იქმნების, ვითა ჩიტნი არ გაქორდენ
(ვეფხისტყაოსანი).

საკითხი იმას შეეხება, რომელი რომელზე ადრეა შექმნილი და რომელი რომლისგანაა დამოკიდებული (თუკი საზოგადოდ დაისმის საკითხი ტექსტების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ). იუსტ. აბულაძემ თავის დროზე წამოაყენა მოსაზრება, თითქოს ჩვენ დრომდე მოღწეული სახით ვისრამიანი ჩამოყალიბდა სადღაც XIII—XIV საუკუნე'ში, რომ ვისრამიანის ნაანდერძევი ტექსტი რესტავრირებულია უცნობი პირის მიერ და ამ რესტავრირებულ ტექსტს დასტყობიაო ვეფხისტყაოსნის „ენის გავლენის კვალი". საბუთად მოხმობილია სწორედ საანალიზო მაგალითი. მკვლევარი წერს: „ეს ფრაზა (ე. ი. ოდესცა ჩიტი ქორად შეიქმნების ... ა. ბ.), რომელიც სპარსულ დედანში არ არის, **ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ უნდა იყოს ნასესხები ჩვენს ძეგლში ვეფხისტყაოსნიდან**" (ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935, გვ. 293; ხაზი და დაყოფა ჩემია აქაც და ქვემოთაც. ა. ბ.) მეტიც, იუსტინე აბულაძის ვარაუდით, საცილობელი „ფრაზა" უადგილოდ არის ვისრამიანში „ჩაჩხირული" (იქვე). საპასუხო წერილში მე შევედავე ბ-ნ იუსტინეს და ჩემი ადრინდელი მოსაზრება დავიცავი. მე ვასკვნიდი: „სწორედ „ყოველ ეჭვს გარეშეა" პროფ. ი. აბულაძის მოსაზრების სრული უსაფუძვლობა. კვლავ ვიმეორებ, —განვაგრძობდი, — პროფ. ი. აბულაძე სწორ გზას აცდინა და გაუგებრობათა ხლართში გააბა ყალბად გაგებულმა კრიტიციზმის ჟინმა" (საბჭოთა ხელოვნება, 1937, №2, გვ. 78). ამასობაში, ჩვენამდის მოაღწია „ვის-ო-რამინის" ახალმა გამოცემამ მინოვის რედაქციით (თეირანი, 1936). ამ გამოცემამ ჩემი ვარაუდი სავსებით გაამართლა, საცილობელი „ფრაზა" იქ თავის ბუნებრივად კუთვნილ ადგილას აღმოჩნდა. მაშასადამე, ჩიტის ქორად ქცევის შეუძლებლობის მოტივი სრულიად არ ყოფილა ვისრამიანში „ჩაჩხირული", როგორც ბ-ნი იუსტინე აბულაძე ამტკიცებდა, როდესაც ეს ამბავი მან გაიგო, არც აცივა, არც აცხელა და უბრალოდ აუწყა მკითხველს: „ირკვევა, რომ ეს არაკიც („ოდესცა ჩიტი") ვისრამიანის ირანული დედნიდან მომდინარეობს და არა ვეფხისტყაოსნიდან არის შემდეგში შეტანილი რესტავრატორის მიერ, როგორც ამას პირველი გამოცემის (ე. ი. კალკუტური გამოცემის, ა. ბ.) ტექსტი მე მაფიქრებინებდა" („საბჭოთა ხელოვნება", 1936,

№11—12, გვ. 44). შეცდომის აღიარება მეცნიერული კეთილსინდისიერების ნიშანია (თუმცა, „ვის-ო-რამინის“ თეირანული გამოცემის ფაქტს სად გაექცეოდა კაცი?). ოღონდ ბ-ნმა იუსტ. აბულაძემ დაივიწყა, როგორი ცხარე კამათი ამიტეხა ამის თაობაზე და როგორ შეეცადა ავტორიტეტული მეცნიერი ახალგაზრდა მკვლევრის მოსაზრების გაბიაბრუებას. საოცარზე საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ყოველივე ამის შემდეგ ბ-ნი იუსტინე აქეთ შემომედავა და მე მომაწერა მისი აზრის მითვისება განხილული საკითხის თაობაზე. იგი წერს: „მეცნიერი (ე. ი. ა.ბარამიძე. ა. ბ.) წაეტანა ჩემსავე აზრს ჩიტის ქორად ქცევის შეუძლებლობის შესახებო“ (ვისრამიანის საკითხისათვის, „საბჭოთა ხელოვნება“, 1939, №3, გვ. 75). სამი წელიწადი დასჭირდა ბ-ნ იუსტინეს პასუხის ამ ახალი, ცოტა არ იყოს, უცნაური ვერსიის შესამუშავებლად. თავდაცვის მიზნით მე იძულებული ვხდები აქ დავიმოწმო პროფ. ვ. ბერიძის ერთი მეტისმეტად მძაფრი წერილი საგულისხმო სათაურით: „პროფ. იუსტინე აბულაძის მეცნიერული მუშაობის ბუნებისა და თვისების შესახებ“ (საბჭოთა ხელოვნება, 1937, №2, გვ. 72—74).

ამ უსიამოვნო პაექრობის ისტორიას რომ წერტილი დავუსვა, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ იუსტ. აბულაძემ ერთხელ კიდევ დიდი გამძაფრებით სცადა პასუხი გაეცა ჩემი წერილისათვის ვისრამიანის თაობაზე და ერთგვარად შეეჯამებინა მის ადრინდელ წერილებში განვითარებული მოსაზრებანი (ვისრამიანის საკითხისათვის, „საბჭოთა ხელოვნება“, 1939, №3, გვ. 70—77). ამ ნაშრომის განხილვას არ შევუდგები (პრინციპულად რაიმე ახალი იქ არ მოიპოვება), დავიმოწმებ მხოლოდ წერილის პირველი აბზაცის ტექსტს: „ყველაზე უწინ საჭიროდ ვრაცხ გავაცხადო, რომ მე არა მსურს დავკარგო დრო იმის განმარტებისათვის, თუ რამდენად მართებულია პროფ. ბარამიძის საყვედური, რომლითაც იგი იწყებს ჩემთან თავის წმინდა მეცნიერულ საუბარს,—სახელდობრ,—რომ ვითომც მისთვის «გაუგებარი მიზეზების გამო, პროფ. ი. აბულაძის წერილების კილოს, ცოტა არ იყოს, რაღაც გულნაწყენობა და პოლემიკური სიცხარე ახასიათებს»,—ვიტყვი მხოლოდ, რომ პოლემიკური სიცხარისა რა მოგახსენოთ, და გულნაწყენობის მიზეზი კი ადვილი გასაგები უნდა იყოს პატივცემული ა. ბარამიძისათვის. მაგრამ ამ საკითხს ამჟამად არ გამოვეკიდები, რადგან დრო და ადგილი ამის ნებას არ მაძლევს, და ამას მაშინ შევეხები, როცა ვისრამიანის მეორე გამოცემა გამოვა“.

ეს წერილი რომ დაიბეჭდა, ვისრამიანის მეორე გამოცემა უკვე გამოსული იყო (ვისრამიანი, ალ. ბარამიძისა, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით, ტფილისი, 1938, XX+420 გვ.). ბ-ნმა იუსტინემ ამ გამოცემას რეცენზია მოგვიანებით მიუძღვნა, 1946 წელს (თუშ. XXVIIb, გვ. 87—100). რეცენზიის ტონი აქ საერთოდ მშვიდია, საუბარი — უფრო საქმიანი, მაგრამ დათქმულ საკითხზე სიტყვა არ არის ჩამოგდებული. ციტირებული ტექსტით კი ბ-ნი იუსტინე ადასტურებს განაწყენების ფაქტს, რამაც შეაპირობა მისი წერილების კილო. ბ-ნი იუსტინე მართალი ბრძანდება, როდესაც წერს — „გულნაწყენობის მიზეზი ადვილი გასაგები უნდა იყოს ა. ბარამიძისათვისო“. საქმე ისაა, რომ გაცხარებული პაექრობის დროს დაისვა საკითხი ვისრამიანის ახალი გამოცემის საჭიროების თაობაზე. შედგა სარედაქციო კოლეგია. კ. კეკელიძემ და პ. ინგოროყვამ არ ისურვეს ვისრამიანის სარედაქციო კოლეგიაში იუსტ. აბულაძის მოწვევა. ან კი როგორ ისურვებდნენ, როდესაც კ. კეკელიძის შესახებ იუსტ. აბულაძე იმ ხანებში წერდა: „კორნ. კეკელიძე თავის კვლევა-ძიებაში მეტისმეტად დიდ წინააღმდეგობას იჩენს... კორნ. კეკელიძის კვლევა-ძიებითი ფილოლოგიური მხარე აშკარა გაუგებრობამდის აღწევს“ (ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის საკითხთა კვლევის ისტორია, „შოთა რუსთაველი სკოლაში“, 1937, გვ. 218). ასევე ამკობდა იუსტ. აბულაძე პ. ინგოროყვასაც, ამისი რ უ ს თ ვ ე ლ ი ა ნ ა „ერთ მთლიან გაუგებრობაზეა აგებულიო“ (იქვე, გვ. 216)[1]. სარედაქციო კოლეგიაზე განაწყენებულმა იუსტ. აბულაძემ ჯავრი ჩემზე იყარა და უკვე განხილული წერილებით გამიმასპინძლდა.

ზემოთქმული შეეხებოდა ვისრამიანის საკითხებს. ბ-ნმა იუსტინემ წყალში ჩამიყარა ამირანდარეჯანიანზე გაწეული შრომაც. ერთ უაღრესად საჭირბოროტო პრობლემას წარმოადგენდა (და ახლაც წარმოადგენს) ამ შესანიშნავი ძეგლის წარმომავლობა, კერძოდ, გამოსაძიებელი და გასარკვევი იყო ამირანდარეჯანიანისა და სპარსულ საგმირო-საფალავნო თხრობათა უზარმაზარი კრებულის „ყისაი ჰამზას“ ურთიერთობა (ერთი ლიტერატურული ცნობით, ამირანდარეჯანიანი უნდა ყოფილიყო „ყისაი ჰამზას“ ნაწილის თარგმანი). ამ საქმის გარკვევა მე ვიტვირთე და კვლევა-ძიების შედეგები გამოვაქვეყნე „ნარკვევების“

---

1 ამისდა მიუხედავად, იუსტ. აბულაძემ იკისრა ვისრამიანის ახალი გამოცემის ლექსიკონის შედგენა.

პირველ წიგნში (თბილისი, 1932). ივანე ჯავახიშვილმა გამოკვლევა ასე შემოიფასა: „ყისაი ჰამზას“ თხზულება „დასტან ამირ ჰამზას“ და ამირანდარეჯანიანის ერთმანეთთან შედარება ალ. ბარამიძემ დაისახა ამოცანად და სწორედ ალ. ბარამიძის ღვაწლია და მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ქართულ ამირანდარეჯანიანისა და XVI ს. მწერლის ბაგრატ მუხრანბატონის მიერ მის სპარსულ დედნად დასახელებულს შორის დაშოკიდებულების ნამდვილი ვითარება გამოარკვია“ (ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხები, 1956, გვ. 64). ასევე აფასებს ამ შრომას კ. კეკელიძე: „პროფ. ა. ბარამიძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ამ ცნობის შემოწმება ამირანდარეჯანიანის ყისაი ჰამზასთან უშუალო შედარების გზით; ამ შედარებამ ნათელყო, რომ ამ თხზულებათა შორის არ არსებობს არავითარი ნათესაობა, არც შინაარსობრივი, არც იდეური, არც კომპოზიციური. ეს ორი სხვადასხვა სადევგმირო ხასიათის თხზულებაა“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1941, გვ. 77). როგორ დისონანსად ჟღერს დამოწმებულ დახასიათებებთან შედარებით იუსტ. აბულაძის სიტყვები: „დოც. ა. ბარამიძის დასკვნები (ამირანდარეჯანიანის შესახებ), მეტი რომ არა ვთქვათ, ამხელს მკვლევარს, რომელსაც ნათელი წარმოდგენა არა აქვს მის მიერ შესწავლილ ძეგლებზე (ე. ი. ამირანდარეჯანიანზე და ყისაი ჰამზაზე, — ა. ბ. იუსტ. აბულაძე, ამირანდარეჯანიანის წარმოშობის საკითხისათვის, „საბჭოთა ხელოვნება“, 1936, № 11—12, გვ. 31).

საინტერესო ისაა, რომ მძაფრი პოლემიკისა და დაძაბული ვითარების მიუხედავად, ჩვენი პირადული ურთიერთობა თითქოს არ შერყეულა. 1937 წლის დასაწყისში გამოვიდა იუსტ. აბულაძის „ირანული ენის გრამატიკა“. ავტორმა ეს წიგნი მისახსოვრა შინაურულად შეხუმრებული შინაარსის მქონე მრჩობლედი ლექსით: „პატივცემულ პროფესორს ალექსანდრე ბარამიძეს

ამ მე და შენსა ძმობასა
გეწვევი კალმასობასა. -

სულით და გულით ი. აბულაძე. 11. IV. 37“.

კალმასობაზე მოარაკებით იმის გამოა თქმული, რომ 1936 წელს ჩემი და ბ-ნ კორნელის რედაქციით დაიბეჭდა იოვანე ბატონიშვილის „კალმასობის“ პირველი ტომი. რასაკვირველია, წიგნი მივართვი ბ-ნ იუსტინეს.

იუსტინე აბულაძე წინააღმდეგობრივი ბუნების მქონე კაცი იყო

ცხოვრებაში და მეცნიერული კვლევის სფეროშიც. როგორც ადამიანს, სამწუხაროდ, მას უჭირდა საქმიანი კონტაქტების დამყარება თავის კოლეგებთანაც და, წარმოიდგინეთ, თავის მოწაფეებთანაც კი. ძალიან ხშირად წინააღმდეგობრივ მოსაზრებებს შეიცავს მისი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები. იუსტინე აბულაძე ნამდვილად ფრიად დამსახურებული, ნაყოფიერი მკვლევარია რუსთველოლოგიის დარგში. ვეფხისტყაოსნის ორივე მისეული გამოცემა (1914 და 1926 წლებისა) თავის დროისათვის იყო სანიმუშო. მან პირველმა შეადარებით ფართოდ გამოიყენა ხელნაწერთა ვარიანტული მონაცემები ვეფხისტყაოსნის კრიტიკული ტექსტის დასადგენად. იგი რუსთველის პოემის ენისა და სტილის კარგ ცოდნას იჩენდა, შესანიშნავი იყო როგორც ლექსიკოლოგი და ეტიმოლოგიურ ძიებათა ავტორი. იუსტ. აბულაძეს ბევრი მარჯვე და მახვილგონივრული მოსაზრება აქვს გამოთქმული ვეფხისტყაოსნის ტექსტსა და ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებზე. მან სწორი პოზიციიდან გააკრიტიკა მისი მასწავლებლის აკადემიკოს ნიკო მარის მცდარი მოსაზრებანი რუსთველის სარწმუნოებრივ-აღმსარებლობითი მრწამსის შესახებ და ა. შ. მაგრამ ამავე დროს სრულიად შეუწყნარებელია მთელი რიგი მისი საკუთარი შეხედულებანი ვეფხისტყაოსნის სიუჟეტზე, რუსთველის მსოფლმხედველობის ცალკეულ საკითხებზე, პოემის მხატვრულ სახეთა სისტემაზე, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულ გამოცემაზე და სხვ. უცნაური და სათავეშივე მცდარი მოსაზრება წამოაყენა იუსტ. აბულაძემ თავის ბოლო წერილში ვისრამიანის რედაქციური რაობისა და ქართული ტექსტის ჩამოყალიბების თაობაზე (თუშ, 1946, XXVIIb). ჩვენი მხატვრული პროზის ეს უბრწყინვალესი ძეგლი თითქო ქართულად უნდა გადმოეღო ვიღაც უცნობ სპარსელს, რომელსაც „შეიძლება არც კი სცოდნოდა კარგად ქართული“. უნდილი თარგმანის ეს ძველი ტექსტი ვითომ შემდეგ, XIII—XIV საუკუნე'ში, გადაუმუშავებია არაბულ-სპარსული წერაკითხვის მცოდნე პირის დახმარებით ჩვენთვის აგრეთვე უცნობ „ღრმად გაბრძნობილ მწიგნობარს“ (გვ. 98). მაინც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იუსტინე აბულაძის ამ და ზოგიერთ სხვა მცდარ მოსაზრებას, საერთოდ, იუსტინე აბულაძე ყოველი ცილობის გარეშე შესანიშნავი ქართველი ფილოლოგი მკვლევარია, რომელმაც ჯერ კიდევ 1916 წელს გამოსცა დიდებული ნაშრომი „შაჰნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები“. დიდი ღირსებისაა მისი ცნობილი მონოგრაფია „XII საუკუნის ქართული საერო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი“ (თბილისი,

1922). ამ მონოგრაფიის პირველი ნაწილი გამოქვეყნდა „ძველი საქართველოს“ პირველ ტომში 1908 წელს. იუსტინე აბულაძე სპარსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა პირველხარისხოვანი, დაუცხრომელი მკვლევარია ნიკო მარიჩ შემდეგ. ამავე დროს მას სამეცნიერო ხარისხი არ ჰქონდა. ამიტომაც სრულიად ბუნებრივად დაისვა საკითხი იუსტ. აბულაძეს დისერტაციის დაუცველად, „ჰონორის კაუზას“ წესით მინიჭებოდა ქართული ფილოლოგიის დოქტორის ხარისხი. 1938 წლის 22 აპრილის ბრძანებით (№ 372) უნივერსიტეტის რექტორმა დანიშნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა განეხილა და შეეფასებინა იუსტ. აბულაძის სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მოღვაწეობა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების მიზნით. კომისიაში შედიოდნენ: პროფ. შ. ნუცუბიძე (თავმჯდომარე), პროფ. ა. ბარამიძე, დოცენტები მ. ხუბუა და ს. იორდანიშვილი. მე დამევალა მოხსენებითი ბარათის შედგენა. რა თქმა უნდა, არ დავაყოვნე და მოვამზადე საჭირო დოკუმენტი. კომისიამ აღძრა შესაფერისი შუამდგომლობა ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე. სამეცნიერო საბჭომაც, თავის მხრივ, აგრეთვე ერთსულოვნად მიანიჭა იუსტინე აბულაძეს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი დისერტაციის დაუცველად. საჭიროდ ვთვლი აღვნიშნო, ნამდვილად გარკვეულ უხერხულობას ვგრძნობდი, რომ მე მიხდებოდა ჩემი მასწავლებლის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება და ამისათვის სარეკომენდაციო მსჯავრის გამოტანა. ისტორიამ ასე ინება. მე წილად მერგო იმ პირის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება, ვინც თავის დროზე ჩემი სამეცნიერო მუშაობისათვის მოსამზადებლად დატოვების წინააღმდეგ გაილაშქრა.

შემდეგ და შემდეგ ჩემი და ბ-ნ იუსტინეს ურთიერთობა პირადულ სფეროშიც და სამეცნიერო სარბიელზეც კეთილად წარიმართა. 1944—1949 წლების მანძილზე უნივერსიტეტში ადმინისტრაციული თანამდებობა მეჭირა (დეკანი, პრორექტორი). ამასთან დაკავშირებითაც გამიხშირდა ბ-ნ იუსტინესთან, როგორც ირანოლოგიის კათედრის გამგესთან, საქმიანი კონტაქტები. აქ დავიმოწმებ ბ-ნ იუსტინეს ერთ პატარა ღია ბარათს, რომელიც მან ფოსტით გამომიგზავნა (ჩემს არქივში ინახება იუსტ. აბულაძის მოწერილი არა ერთი წერილი სხვადასხვა შინაარსისა):

„ჩემო სასიქადულო ნამოწაფარო, ფრიად პატივცემულო ალექსანდრე!

იმედი მაქვს, ჩვენი ჰარმონიული თანხმობა ჩვენში მეცნიერებისათვის საჭირო ფრიად სასარგებლო საქმის კეთილად მოგვარებაში იმდენად მტკიცეა, რომ მას ძირი არ გამოეთხრება. ჩვენ კი ვეცდებით, რომ იოტის ოდენადაც კი ჯაფა არ მოგაყენოთ ჩვენგან ზედმეტი დატვირთვის მხრივ. გულითადი პატივისცემით ი. აბულაძე. 1. III. 52. კრენკელის ქ. № 29".

ამ წერილს რომ წერდა, იუსტინე აბულაძე იყო 78 წლისა. ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ 1906 წელს პოლიციელებმა რომ ქართული გიმნაზია დაარბიეს და მისი დირექტორი შიო ჩიტაძე მოკლეს, მძიმედ დაჭრეს ამ გიმნაზიის მასწავლებელი იუსტინე აბულაძე. ძველი იარები უკვალოდ არ გამქრალა. ამან ბ-ნ იუსტინეს ჯანმრთელობას წარუხოცელი დაღი დააჩნია. 75 წელს რომ გადააბიჯა, იუსტ. აბულაძემ გადაწყვიტა ლექციების კითხვისათვის თავი დაენებებინა (კათედრის ხელმძღვანელობა თავის მოწაფეს დავით კობიძეს გადააბარა) და ცხოვრების დარჩენილი დრო მოენდომებინა იმ საქმის დასაგვირგვინებლად, რომელსაც ათეული წლების სიცოცხლე შეწირა: იუსტინე აბულაძე შეუდგა სპარსული ენისა და სპარსული ლიტერატურის ისტორიის საუნივერსიტეტო კურსების გამოცემისათვის მზადებას. უნდა გამოვტყდე, რომ დიდად მესიამოვნა, როცა ღვაწლმოსილმა მეცნიერმა ამ შრომების რედაქტორობა მთხოვა[1]. 1953 წელს გამოვიდა კიდევაც სტამბური წესით დაბეჭდილი იუსტინე აბულაძის „სპარსული ენის სახელმძღვანელო" (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი). ამ ჩინებულ წიგნს დღემდის არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული და პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობა. წინასიტყვაში ავტორი მადლობას უცხადებს წიგნის რედაქტორს — ალ. ბარამიძეს. ბევრს ფიქრობდა და ბევრს მუშაობდა ბ-ნი იუსტინე სპარსული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნაზე. მას ადრითგანვე ჰქონდა შედგენილი თავისი ლექციების კონსპექტები, დაუგროვდა სპარსული კლასიკური მწერლობის საკუთარი თარგმანების ნიმუშები (ზოგი მათგანი სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ბეჭდურად), კარგად იცნობდა საგნის სპეციალურ ლიტერატურას. ბევრჯერ მეთათბირა მომავალი სახელმძღვანელოს ხასიათის თაობაზე. ბ-ნ იუსტინეს ფიქრით, ამ სახელმძღვანელოს მკაფიოდ უნდა აესახა სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხები (კერ-

[1] ამაზეა გადაკვრით მინიშნებული დამოწმებულ ღია ბარათშიც.

ძოდ, ამ ურთიერთობის ორმხრივი ხასიათი—როგორც სპარსული ზემოქმედება ქართულზე, ისე ქართულის კვალი ირანის სულიერი კულტურის ისტორიაში). სამწუხაროდ, ამ დიდებული წამოწყების სრულყოფა მკვლევარს არ დასცალდა. რამდენადაც ვიცი, მის არქივში უნდა მოიპოვებოდეს სახელმძღვანელოს ყოველ შემთხვევაში შავად დაწერილი ვარიანტი. ურიგო არ იქნებოდა ამ წიგნის თუგინდ დაუმთავრებელი სახით გამოშვება.

1937 წლიდან 1957 წლამდის ვეფხისტყაოსნის ყველა გამოცემას ახლავს იუსტ აბულაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი. 1957 წლის გამოცემას კი (ა. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით რომ დაიბეჭდა) დართული აქვს ა. შანიძის ლექსიკონი. ეტყობა, ბ-ნმა იუსტინემ ეს იწყინა. ჩემთან მოსულიყო ბინაზე (ცხოვრობდი ძნელაძის ქუჩაზე, №11), შინ არ ვიყავი. ჩემი უმცროსი შვილი შეხვედროდა, გიორგი. ბ-ნმა იუსტინემ თურმე გაიკვირვა, გადავიდნენო?— უკითხავს. ჩემი შვილი ალექსანდრე გვახარია ჰგონებია (მართლაც ჰგვანან ერთმანეთს), დაუბარებია, ალექსანდრესთან საქმე მაქვს, სიარული მიჭირს, შორს ვცხოვრობო, ჩემი ტელეფონის ნომერი ჩაუწერია. მეორე დღეს, საღამოს, მართლაც დამირეკა. შევესიტყვე. გაბზარული ხმა ჰქონდა, ღელავდა, დამარცვლით მითხრა: „ალექსანდრე ჩემო, რასაც გეტყვი, კარგად მომისმინე, ბოლო დროს სმენა დამაკლდა, რაც არ უნდა მიპასუხო, სულერთია, მე ვერ გავიგებ, ამიტომ არ მოვითხოვ პასუხს". შემდეგ განაგრძო: „გავეცანი ვეფხისტყაოსნის ახალ გამოცემას (1957 წლის გამოცემას), უნდა გამოვთქვა ჩემი დიდი გულისწყრომა. შენგან ამას არ მოველოდი, რატომ ამოაგდეთ ჩემი ლექსიკონი, ცოტა დაგეცადათ, ჯერ ცოცხალი ვარ, ცოცხალია ჩემი ლექსიკონიც. იმიტომ დაგირეკე, რომ ჩემი გულისწყრომის ამბავი გადასცე შენს კოლეგებს (ე. ი. კ. კეკელიძესა და ა. შანიძეს, ა. ბ.) დასამალი არაფერი მაქვს" ბოლო სიტყვა დაამთავრა თუ არა, მაშინვე მილი ჩამოკიდა. სახტად დავრჩი... ამის შემდეგ ბ-ნმა იუსტინემ კიდევ რამდენიმე წელიწადი იცოცხლა, მაგრამ ავადმყოფობდა, შინიდან ვერ გამოდიოდა. 1962 წლის 2 ივნისს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ იუსტინე აბულაძე გარდაიცვალა. მივაბარეთ დიდუბის პანთეონის შშობლიურ მიწას, მისი ძველი მეგობრის ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით (1916—1919 წლებში, როდესაც საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობას ე. თაყაიშვილი თავმჯდომარეობდა, ი. აბულაძე განაგებდა ამ საზოგადოების მუზე-

უმს). გათხრილ სამარესთან სამგლოვიარო სიტყვაც წარმოვთქვი. დაკრძალვების შემდეგ გ. ახვლედიანთან და ა. შანიძესთან ერთად ვეწვიეთ ბ-ნ კ. კეკელიძეს. ის ავად იყო. ნეტავი არ გვენახა. ბ-ნ კორნელის სასიცოცხლო პირი აღარ უჩანდა. რამდენიმე დღის შემდეგ ისიც გარდაიცვალა. თითქმის ერთდროულად სამუდამოდ წავიდა ამ ქვეყნიდან სხვადასხვა ბუნების, სხვადასხვა სტილის, მაგრამ ქართული მეცნიერების წინაშე ორივე დიდად ღვაწლმოსილი მუშაკი. ივანე ლოლაშვილსა და იოსებ მეგრელიძესთან ერთად იუსტინე აბულაძის ხსოვნას შაშინ ნეკროლოგიც მივუძღვენით (ლიტერატურული გაზეთი, 8. VI. 62).

1978

ვუკოლ ბერიძე

ვუკოლ ბერიძემ ქართული მეცნიერების ისტორიაში მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა, უწინარეს ყოვლისა, როგორც ლექსიკოგრაფმა და ეროვნული ტერმინოლოგიის დადგენის საქმის დაუცხრომელმა მოთავემ, თუმცა მას დამსახურებულად აქვს მოხვეჭილი განსწავლული რუსთველოლოგის საპატიო სახელი. ვ. ბერიძის რუსთველოლოგიური ნაშრომები ორ მოზრდილ წიგნად არის გამოქვეყნებული: 1. რუსთველოლოგიური ეტიუდები[1]. 2. ვეფხისტყაოსნის კომენტარი[2]. თავისი პირველი რუსთველოლოგიური ნაშრომი ვ. ბერიძემ დაბეჭდა ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, 1911 წელს: „ახალი ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა“ (ქუთაისის გაზეთი „კოლხიდა“, №11; გადაბეჭდილია „რუსთველოლოგიურ ეტიუდებში“, გვ. 1—6). ესაა რუსთველის პოემის ერთი საყურადღებო ხელნაწერის მეცნიერული აღწერილობა (ამჟამად ხელნაწერი დაცულია ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, K 205). ახალგაზრდა მკვლევარმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მის ხელში მყოფი ხელნაწერი შეიცავდა ვეფხისტყაოსნის გაგრ-

[1] თბილისი, 1961, 320 გვ. (კრებული შეადგინა იოსებ მეგრელიძემ, რედაქტორი სიმონ ყაუხჩიშვილი).

[2] თბილისი, 1974 (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს სარგის ცაიშვილმა და გურამ შარაძემ, სარგის ცაიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით).

ძეელებათა ტექსტებს და სხვადასხვა ხასიათის ვარიანტულ წაკითხვებს. მაშინ დამწყები მკვლევარი ნატრობდა, იქნებ როდესმე „ერთს კრიტიკულად გამოცემულ ტექსტს ვეღირსოთო“. სტუდენტი ვ. ბერიძე საბუთიანად ფიქრობდა, რომ მხოლოდ მეცნიერულად შესწავლილი და კრიტიკულად დადგენილი ტექსტის საფუძველზე შეიძლებოდა იმის გარკვევა, „თუ რა არის (რუსთველის) პოემაში ქართული ცხოვრების ანარეკლი და რა არის შიგ უცხოთაგან მონაბერი“. წერილი იხურება შესანიშნავი მოწოდებით: „დროა გამოვიღვიძოთ! ნუ ვკარგავთ ეროვნულ სიმდიდრეს. შევაგროვოთ ქართული სიტყვიერების შესახები ყოველგვარი მასალა, გამოვსცეთ, რაც შეიძლება ვრცელი აღწერა ხელნაწერთა, შევადგინოთ სრული ბიბლიოგრაფია და სხვ. და სხვ. ამით დიდ დახმარებას გავუწევთ მომავალ მეცნიერთ—მკვლევართ ქართული მწერლობის ნაშთთა კრიტიკულად გამოკვლევასა და გამოცემაში“

ვ. ბერიძემ შესანიშნავი განათლება მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. მას დიდ მზრუნველობას უწევდა აკადემიკოსი ნიკო მარი. ვ. ბერიძემ უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე (1912 წელს) გამოაქვეყნა მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი „სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“ ნ. მარის რედაქტორობით. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი დიდხანს ეწეოდა მასწავლებლობასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ინტენსიურ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას შეუდგა ვ. ბერიძე მოგვიანებით, ფაქტობრივ მას შემდეგ, რაც ის მიიწვიეს ვეფხისტყაოსნის საიუბილეო კრიტიკული ტექსტის დამდგენი კომისიის წევრად (1935—1936 წლები). ამ დროიდან ვ. ბერიძე, გარდა იმისა, რომ აქტიურ მონაწილეობას იღებს პოემის ტექსტის დადგენაში, ფართოდ ეწევა კვლევითს მუშაობას. უკვე 1936 წელს გამოაქვეყნა მან რამდენიმე საყურადღებო ნაშრომი, რომელთაგან დავასახელებთ ორს: „1. „დავით რეჭტორი — ლექსიკოგრაფის საბა ორბელიანის გამგრძელებელი“. 2. „ვეფხისტყაოსნის გარშემო“.

პირველი წერილი საუცხოო ლექსიკოგრაფიული გამოკვლევაა. მეორე ნარკვევში („ვეფხისტყაოსნის გარშემო“) კრიტიკულადაა განხილული ვეფხისტყაოსნის თავის დროზე გახმაურებული კ. ჭიჭინაძისეული გამოცემა 1934 წლისა. ვ. ბერიძე საქმის კარგი ცოდნით და საბუთიანად ამხილებს ამ გამოცემის სუსტ მხარეებს. მისი აზრით, რუსთველის პოემის აკადემიური გამოცემის მომზადება უნდა იკისროს

სპეციალისტთა კოლექტივმა. ამის შემდეგაც ვ. ბერიძე ბევრჯერ დაუბრუნდა ვეფხისტყაოსნის საჭირბოროტო ტექსტოლოგიურ საკითხებს („ვეფხისტყაოსნის დაბოლოების შესახებ", „ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი", „ზოგი რამ ვეფხისტყაოსნის ტექსტისათვის" და სხვ.). არა ერთი და ორი ნარკვევი მიუძღვნა მან ვეფხისტყაოსნის დამახინჯებული ადგილების გასწორებასა და ბუნდოვანი ტექსტის გაგებას („საგან — სიტყვის ეტიმოლოგიისათვის", „შერისა და მიშერის" გაგებისათვის ვეფხისტყაოსანში" „ამხანაგთა სათრეველად", „საყენ—სიტყვისათვის ვეფხისტყაოსანში" და სხვა). ვეფხისტყაოსნის ტექსტების ბერიძისეული გასწორებანი და ინტერპრეტაციები გამოირჩევა სიღრმითა და მახვილგონიერებით იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს გასწორებანი და ინტერპრეტაციები სადავოდ გეჩვენებათ.

მრავალ საინტერესო წერილში ვ. ბერიძე აშუქებს რუსთველის მხატვრული ენისა და პოეტიკის პრობლემატიკას („ვეფხისტყაოსნის ენის თავისებურება", „შოთას პოეტიკისათვის", „რუსთველის შაირისათვის" და სხვა). ორიგინალურად წყვეტს იგი ვეფხისტყაოსნის ხალხურობის საკითხს („ვეფხისტყაოსნის ხალხურობისათვის)". დაკვირვებული კვლევა-ძიების ნაყოფია ვ. ბერიძის წერილები რუსთველის მსოფლმხედველობის თაობაზე („К вопросу о мировоззрении Руставели», „სიკვდილისა და თვითმკვლელობის საკითხისათვის ვეფხისტყაოსანში", „ტირილი და მისი აზრი ვეფხისტყაოსანში" და სხვ.). ვ. ბერიძის რამდენიმე წერილი შეეხება ვეფხისტყაოსნის შესწავლის ისტორიას (ნიკო მარი, დავით ჩუბინაშვილი...[1]).

ვეფხისტყაოსნის დიდი ცოდნისა და გამოცდილი მკვლევარის ბეჭედი აზის ვ. ბერიძის ვრცელ ნაშრომს „ვეფხისტყაოსნის კომენტარი". ეს ნაშრომი მომზადდა ვეფხისტყაოსნის 1937 წლის გამოცემაზე მუშაობის პერიოდში. ვ. ბერიძე აგრძელებს პოემის ტექსტის კომენტირების იმ ტრადიციებს, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ვახტანგ მეექვსემ და თეიმურაზ ბატონიშვილმა. მკვლევარი თანამიმდევრულად განიხილავს, ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის განმარტებებს ურთავს და თანამედროვე ქართულზე გადმოაქვს ყოველი სტროფის შინაარსი, მისი ბევრი ახსნა-განმარტება უდავოა. რა თქმა უნდა, ზოგი სადავოდ რჩება, მაგრამ მაშინაც კი ბერიძისეული

[1] ვ. ბერიძის ყველა დამოწმებული ნარკვევი შესულია მის წიგნში „რუსთველოლოგიური ეტიუდები".

განმარტებანი მნიშვნელოვანია და ანგარიშგასაწევი. სოლომონ იორდანიშვილის რუსულ პწკარედ თარგმანთან ერთად ვ. ბერიძის კომენტარები სამაგიდო წიგნია ყველა იმათთვის, ვისაც კი ვეფხისტყაოსნის ტექსტის შინაარსი და მისი იდეურ-მხატვრული გააზრიანება აინტერესებს. ყოველ შემთხვევაში, ვახტანგ მეექვსის, თეიმურაზ ბაგრატიონისა და სოლომონ იორდანიშვილის ნაშრომებთან ერთად ვუკოლ ბერიძის „ვეფხისტყაოსნის კომენტარი" რუსთველის პოემის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი სარედაქციო კოლეგიისათვის მუდმივ საჭირო საცნობარო წიგნს წარმოადგენს. დასანანი მხოლოდ ის არის, რომ ავტორს ნაშრომი დაუმთავრებელი დარჩენია. ბერიძისეული კომენტარები წყდება პოემის 1937 წლის გამოცემის 1212 სტროფზე (ამ გამოცემაში სულ 1669 სტროფია).

ჩემს არქივში დაცულია ვ. ბერიძის რამდენიმე წერილი. ერთი მათგანი აქ მთლიანად მომყავს უცვლელად:

ამხანაგო ალექსანდრე,

სულხან-საბა ორბელიანის იუბილესთან დაკავშირებით მინდოდა დაბეჭდილიყო ჩემი «დავით რექტორი—საბას გამგრძელებელი». თავის დროს ამ შრომამ სათანადო გამოხმაურება ჰპოვა არა ჩვენში, არამედ... მინდოდა დაბეჭდილიყო, მაგრამ ახლა არვის ვუნდივარ, არვის ვახსოვარ.

შეიძლება თქვან: დაბეჭდილს ხელმეორედ აღარ ვბეჭდავთო. ბ ე ჭ დ ა ვ ე ნ. (ხაზი აქაც და ქვემოთაც ავტორისაა. ა. ბ.) ამის მაგალითი უამრავია... დავასახელო?!.. საზოგადოდ ჩემი ნაწერები ცოტაა, მაგრამ არც ისე უმნიშვნელო (მაგ. დავით რექტორი და სხვ.). ჩემი ამხანაგები კი ასე... ნ ი ს ი ა დ და ნ არ დ ა დ სესხულობენ ამ ნაწერებიდან ზოგ რასმე, რასაკვირველია, ჩ ე მ ი ს ა ხ ე ლ ი ს უ მ ი ს ო დ.

ამ მხრივ გამონაკლისს თქვენ წარმოადგენთ და ამიტომ მოვმართავთ დავით რექტორის შესახებ.

მარად [თქვენი] ვუკ. ბერიძე.
9.IX.59.

წერილი ფოსტითაა გამოგზავნილი. ფოსტის შტამპზე აღნიშნულია 10. 9. 59. ვ. ბერიძის ეს წერილი მრავალმხრივაა საყურადღე-

ბო. იგი დაწერილია ავტორისეული სხარტი, ლაკონიური სტილით. წერილიდან გამოსჭვივის საზოგადოებისადმი (უკეთ მისი კოლეგებისა და ამხანაგებისადმი) უკმაყოფილებით მონაბერი ნაღვლიანი კილო („ახლა არავის ვუნდივარ, არავის ვახსოვარ"). უნდა ვიცოდეთ, რომ იმ ხანებში ვ. ბერიძე ავადმყოფობდა და, ეტყობა, ერთგვარი სულიერი დეპრესიის ვითარებაში იმყოფებოდა. ავტორი პირდაპირ ამბობს, რომ მისი ამხანაგები (ამას დედანში მრავალწერტილი მოსდევს) „ნ ი ს ი ა დ დ ა ნ ა რ დ ა დ (ეს სიტყვები დედანში ხაზგასმულია) სესხულობენ" მისი ნაწერებიდან „რასაკვირველია, ჩ ე მ ი ს ა ხ ე ლ ი უ მ ი ს ო დ ო" (ესეც ხაზგასმულია). ვ. ბერიძე შენიშნავს „საზოგადოდ ჩემი ნაწერები ცოტააო", მაგრამ, დასძენს, „არც ისე უმნიშვნელოო". ფრჩხილებში „სანიმუშოდ" დამოწმებულია ნარკვევი დავით რექტორზე და სხვ." (დედანში ორი ხაზია). წერილის უშუალო საბაბი მაინც „დავით რექტორია". საკითხი შეეხება იმ წერილს „დავით რექტორი — საბას გამგრძელებელი", რომელიც პირველად დაბეჭდა 1936 წელს თბილისის უნივერსიტეტის შრომებში (I, გვ. 310—312). წერილი ნამდვილად ჩინებულია. ვ. ბერიძის სურვილი ყოფილა, იგი შეტანილი ყოფილიყო სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავისადმი მიძღვნილ სააკადემიო საიუბილეო კრებულში. ეს კრებული მართლაც მოამზადა კოლეგიამ ილ. აბულაძის, ალ. ბარამიძის, ვ. დონდუას, გ. ლეონიძის, ა. შანიძის და არნ. ჩიქობავას შემადგენლობით. მე ვიყავი კრებულის რედაქტორი. ვ. ბერიძის წერილი, ალბათ, ამიტომაც ჩემს სახელზეა გამოგზავნილი. უნდა ვაღიარო, რომ კრებულს უთუოდ დაამშვენებდა ვ. ბერიძის ნარკვევი. სამწუხაროდ, შეხსენება ძალზე დაგვიანებული აღმოჩნდა. ვ. ბერიძის წერილის მიღების დროს (10. 9. 59) კრებული უკვე დაბეჭდილი იყო მთლიანად (როგორც სტამბის ცნობიდან ჩანს, კრებულის ტექსტი წარმოებას გადაეცა 18. 3. 59, ხოლო ხელმოწერილია დასაბეჭდად 16. 6. 59). მე იძულებული გავხდი, ვხლებოდი ბინაზე ბ-ნ ვუკოლს და მისთვის ბოდიში მომეხადა.

ბ-ნი ვუკოლი ამის შემდეგ ველარ გამოჯანმრთელდა, გარდაიცვალა 1963 წლის 11 მაისს.

1979

ფოთის გიმნაზიაში რომ ვსწავლობდი, ორი მეცნიერის სახელთ შევიცანი შორიდან. ორივემ ჩემი უზომო ყურადღება მიიპყრო, თუმცა მათ საქმიანობაზე მაშინ არავითარი წარმოდგენა არ მქონია. ერთი იყო ნიკო მარი, მეორე — პავლე ინგოროყვა. ნიკო მარის შესახებ გატაცებით მიამბობდა მისი ძმისწული, ჩემი სკოლის ამხანაგი კაკო მარი, შემდგომ განთქმული ალპინისტი. პავლე ინგოროყვა, ასე ვთქვათ, დაუსწრებლად გამაცნო მისმა უმცროსმა ძმამ სამსონმა (შინაურობაში შუკუნამ), რომელსაც ქალაქის ცენტრში პატარა სავაჭრო ფარდული ჰქონდა, ძირითადად ჰყიდდა ხილსა და მზესუმზირას. სამსონ ინგოროყვა ბევრ გიმნაზიელს მეგობრობდა და ძმურად მეპყრობოდა, ყოველთვის უხვად მამარაგებდა (რასაკვირველია, უსასყიდლოდ) მოხალული მზესუმზირით. სამსონის ფარდული გიმნაზიელების თავისებური თავშესაყარი სადგური იყო საღამოობით და კვირაუქმე დღეებში. გიმნაზიელებს სასტიკად აკრძალული გვქონდა საღამოს 8 საათის შემდეგ შინიდან ქუჩაში გასვლა. დირექტორი იაგულოვი სწორედ 8 საათის შემდეგ გამოდიოდა სასეირნოდ და „მოხეტიალე" მოწაფეებზე „სანადიროდ". ვაი იმას, ვინც ხელში ჩაუვარდებოდა. იგი რომ ქუჩის თავში გამოჩნდებოდა, ხმა დაირხეოდა, „მოხეტიალე" მოწაფეც თავშესაფარში გარბოდა. ერთი ასეთი საიმედო თავშესაფარი იყო სამსონ ინგოროყვას ფარდული. სამსონი აღტაცებული სიყვარულით მოგვითხრობდა თავის ძმაზე, პავლეზე. მისი მოთაყვანე იყო, მასზე ლოცულობდა. მესამე კლასში ვიყავი, როდესაც სამსონმა დიდი სასოებით მაჩვენა პ. ინგოროყვას მიერ 1913 წელს გამოცემული მოზრდილი წიგნი „ძველ-ქართული სასულიერო პოეზია", რამდენიმე დღით მათხოვა კიდევაც. ბევრი ვუკირკიტე, მაგრამ რას გავიგებდი?! დარცხვენილმა წიგნი პატრონს მადლობით უკან დავუბრუნე, გავეცანი-მეთქი, ვუთხარი. ბევრს, ძალიან ბევრს ვფიქრობდი, რაღაც დიდებული რომ უნდა ყოფილიყო. ვოცნებობდი ჩემი თვალით შენახა იგი.

თბილისში რომ გადმოვედი და სტუდენტი გავხდი, მწერალთა სასახლეში სიარულს მოვუხშირე იქ წასაკითხად დანიშნული მოხსენებების მოსასმენად. ოცნება ამიხდა და პავლე ინგოროყვას ორი მოხსენება მოვისმინე „რუსთველიანას" ციკლიდან. მოხსენებებმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ასპირანტურის პერიოდში გატაცებით

დავეწაფე პ. ინგოროყვას შრომებს. უკვე გამოცემული იყო „რუსთველიანას“ პირველი წიგნი. ჩემი ერთ-ერთი პირველი შრომათაგანი „რუსთველიანას“ მიერ წამოჭრილი საკითხის განხილვას მივუძღვენი— „ვეფხისტყაოსნის პლასტების დათარიღებისათვის“ (თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, IX, 1929; წერილის ანაბეჭდი 1928 წელს გამოქვეყნდა).

პავლე ინგოროყვა პირადად გავიცანი 1930 წლის სექტემბერში. როგორც სხვა ადგილას უფრო დაწვრილებით მოთხრობილი მაქვს, დამოწმებული წლის ზაფხულში უნივერსიტეტი გაუქმდა და მის ბაზაზე შეიქმნა რამდენიმე სპეციალური ინსტიტუტი. უნივერსიტეტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით იქ დაცული სამუზეუმო ფონდები გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს. ამგვარად, 1930 წლის სექტემბრიდან საქართველოს მუზეუმში ჩამოყალიბდა ხელნაწერთა განყოფილება (თავდაპირველად ეწოდებოდა პალეოგრაფიული განყოფილება). განყოფილების გამგედ დაინიშნა პ. ინგოროყვა. მეცნიერი მცველების თანამდებობაზე უნივერსიტეტიდან გადაგვიყვანეს მოსე ჯანაშვილი და მე. ხელნაწერთა განყოფილებაში თავმოყრილი იყო ხელნაწერი კოლექციები ყოფილი წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოებისა (S), საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა (H), საეკლესიო კომიტეტისა (A), უნივერსიტეტის სიძველეთსაცავისა (Z). ამათ დაემატა საქართველოს მუზეუმის პატარა საკუთარი კოლექციაც. მოსე ჯანაშვილი, რომელსაც მაშინ 75 წელი შეუსრულდა დაბადებიდან, პენსიაზე გავიდა. განყოფილების მეცნიერ თანამშრომლად მოიწვიეს გიორგი წერეთელი და ნიკო ბერძენიშვილი. შემდეგ მათ მიემატათ გიორგი ბოჭორიძე, გიორგი ჯაკობია, ილია აბულაძე, კოტე გრიგოლია. მალე საქართველოს მუზეუმში სწავლულ კონსულტანტებად გადმოიყვანეს ივანე ჯავახიშვილი და გრიგოლ წერეთელი. სამუშაოდ მათ მისცეს სანახევროდ ბნელი სარდაფი ჩვენი განყოფილების გვერდით.

ჩემსა და პავლე ინგოროყვას შორის იმთავითვე კარგი ურთიერთობა დამყარდა. გულითადად დავმეგობრდით. მოგვიხდა რიგი საერთო, ფრიად საპასუხისმგებლო სამუშაოების შესრულება. 1934 წელს მთელ მსოფლიოში აღინიშნა დიდი სპარსელ-ტაჯიკი პოეტის ფირდოუსის დაბადების მე-1000 წლისთავი. დიდი საიუბილეო ზეიმი მოეწყო საქართველოში. სხვა ღონისძიებათა შორის გათვალისწინებული იყო გამოფენის მოწყობა. ეს საქმე დაგვევალა პ. ინგოროყვას

და მე. გამოფენა კარგი გამოვიდა. სხვათა შორის, იგი დაათვალიერა განათლების სახალხო კომისარმა ბუბნოვმა. მისი მოთხოვნით გამოფენა გადატანილ იქნა მოსკოვში. სასწრაფოდ მოგვიხდა გამოფენის კატალოგის შედგენა ქართულ და რუსულ ენებზე და ბეჭდურად გამოქვეყნება („გამოფენა ფირდოუსი და ქართულ-ირანული ურთიერთობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში", თბილისი 1934—1935). წინასიტყვაში ნათქვამია: „გამოფენა მოწყობილ იქმნა საქართველოს მუზეუმის პალეოგრაფიული განყოფილების გამგის პავლე ინგოროყვას ხელმძღვანელობით. გამოსაფენი მასალების შერჩევა და მეცნიერული დამუშავება შეასრულეს პავლე ინგოროყვამ და პალეოგრაფიული განყოფილების თანამშრომელმა ალექსანდრე ბარამიძემ (მათვე ეკუთვნის წინამდებარე მეგზურის შედგენა). გამოფენის მხატვრულ გაფორმებაში მონაწილეობას იღებდნენ მეტეხის მუზეუმის დირექტორი დიმიტრი შევარდნაძე და იმავე მუზეუმის თანამშრომლები შალვა აბრამიშვილი და გიორგი ერისთავი". კიდევ უფრო დიდი მასშტაბის გამოფენის მოწყობა მოგვიხდა 1937 წელს. იგი მიეძღვნა ვეფხისტყაოსნის დაწერის 750-ე წლისთავს (გამოფენის ლიტერატურულ ნაწილს ხელმძღვანელობდა პ. ინგოროყვა, მე ვიყავი მისი მოადგილე. გამოფენა მხატვრულად გააფორმა დავით კაკაბაძემ). სამწუხაროდ, ამ შესანიშნავი გამოფენის ნაკვალევი სრულიად წარიხოცა. ომებილეს დამთავრებისთანავე გამოფენა დაიხურა, დიდი შრომითა და რუდუნებით მოპოვებული ექსპონატები მიიფანტა-მოიფანტა (ზოგი რამ დაიკარგა კიდეც). გამოფენის ხელნაწერი კატალოგიც არ ჩანს (სტამბურად არ დაბეჭდილა).

საქართველოს მუზეუმში მუშაობის პერიოდში პ. ინგოროყვასთან ერთად მოვამზადეთ და გამოვეცით ძველი ქართული მხატვრული მწერლობის ორი დიდად მნიშვნელოვანი ძეგლი: 1. ქილილა და დამანა, 2. ვისრამიანი.

ქილილა და დამანაზე მე დაწერილი და გამოქვეყნებული მქონდა ვრცელი მონოგრაფია. პ. ინგოროყვა იზიარებდა ჩემს მოსაზრებებს ქილილა და დამანას ქართული ვერსიების სადავო საკითხებზე. მისი წინადადებით ჩვენ მოვამზადეთ გამოსაცემად ქილილა და დამანას კრიტიკული ტექსტი (დაიბეჭდა მოგვიანებით, 1949 წელს: ქილილა და დამანა. იგავ-არაკები, ალ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით, 648 გვ., გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი"). მინდა დავსძინო, რომ ამ ვეებერთელა თხზულების მთელი ტექსტი ავტოგრაფუ-

ლი ნუსხიდან მთლიანად გადმოწერა პოეტმა ქალმა მაყვალა მრევლიშვილმა (მაშინ საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომელმა). ვისრამიანის ტექსტი მომზადდა და დაიბეჭდა 1938 წელს ჩემი, პ. ინგოროყვასა და კ. კეკელიძის რედაქციით (გამოცემას ახლავს იუსტინე აბულაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი). ადრე, 1934 წელს, სამიეემ (ე. ი. კ. კეკელიძემ, პ. ინგოროყვამ და მე) მონაწილეობა მივიღეთ შაჰნამეს ქართული ვერსიების მეორე ტომის მომზადებასა და გამოცემაში (აკაკი შანიძესა და იუსტინე აბულაძესთან ერთად).

ბატონი პავლე, როგორც ცნობილია, შეპყრობილი იყო მძიმე სნეულებით. ამის გამო მას ხშირად უხდებოდა შინ წოლა თუ აბასთუმანში ყოფნა. თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას იგი ყოველთვის მე მანდობდა. ჩვენი მაშინდელი ძმური ურთიერთობისა და კეთილი თანამშრომლობის საილუსტრაციოდ მოვიყვან პ. ინგოროყვას ერთ წერილს, რომელიც 1936 წლის 8 ოქტომბრის თარიღით არის გამოგზავნილი აბასთუმნიდან:

„აბასთუმანი, 8. X. 1936

ძვირფასო ძმაო საშა! გულითადი სალამი!

როგორ გიკითხო, როგორ ხარ, რა არის ახალი ჩვენ მსოფლიოში?...ჩემი რა მოგწერო. მე შედარებით უკეთ ვარ, მაგრამ მაინც არის არა სასიამოვნო რეციდივები. ასე, უკანასკნელი 9 დღე, 29 სექტემბრიდან 7 ოქტომბრამდე ვიწევი, ---სისხლიანი ხველა მქონდა (ეს არ იყო სისხლის დენა, არამედ სისხლი იყო შერეული ნახველში). მაინც ამ ხნის განმავლობაში, ცხრა დღის მანძილზე დამაწვინეს, განძრევა-გადაბრუნება აკრძალული მქონდა, მიშხაპუნებდნენ კალცის ყოველდღე, და საერთოდ სასტიკ რეჟიმზე ვიყავი.

ძალზე მუხანათური ავადმყოფობა ყოფილა ეს ჭლექი. მე თავი მოკეთებული მეგონა და ასე მოულოდნელად და მუხთლად კი შემომიტია.

მაინც, მიუხედავად ამ რეციდივისა, ექიმების დასკვნით მდგომარეობა უკეთესია, შედარებით იმასთან, რაც ამ ორი თვის წინათ იყო. ასე რომ, გულს არ ვიტეხ.

სხვა, რა ამბებია მანდ?

შენი იმედი მაქვს, ჩემო ალექსანდრე, ყველაფერში. ცხადია, საერთო საქმეს უჩემობას არ დაამჩნევ. ალბათ მეც არ ვიქნები ყოველთვის ასე უძლურად და შეეცდები სამაგიერო აგინაზღაურო. ამას გარდა, ალბად გამოჩნდებიან ისეთებიც, რომლებიც ჩემი ავადმყოფობისა და მუშაობის ასპარეზიდან დროებით ჩამოშორების გამოყენებას მოინდომებენ, — იმედი მაქვს დამიცავ და ღირსეულ პასუხს გასცემ. შენ განდობ ჩემს სრულუფლებიან წარმომადგენლობას აკადემიურ ფრონტზე.

მომიკითხე დიდის პატივისცემით თქვენი ოჯახობა.

გადაეცი გულითადი სალამი გოგი წერეთელს.

გადაეცი ჩემი მოკითხვა ჩვენს ძვირფას ივანე ჯავახიშვილს და გრიგოლ წერეთელს..

შენი პავლე ინგოროყვა.

ჩემი მისამართი:

კურორტი აბასთუმანი, პროფსაპჭოს სანატორიუმი, პ. ი.“

ჩემი და პავლე ინგოროყვას ასეთი კეთილი ურთიერთობა გაგრძელდა 1938 წლის მარტამდის. სადირექტივო ორგანოს დადგენილებით, ამ დროიდან მე დამჭკისრა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანელობა (დამტოვეს პროფესორად უნივერსიტეტში, მაგრამ გამათავისუფლეს საქართველოს მუზეუმში მუშაობიდან). მუზეუმის დატოვება ძალიან მეძნელებოდა. თერთმეტი წლის განმავლობაში ხელნაწერ ფონდებზე მუშაობამ ბევრი შემძინა, ბევრი მასალა დამიგროვდა. სწორედ იმ პერიოდში ვეწეოდი ყველაზე ინტენსიურ კვლევა-ძიებას, მაშინ მოვამზადე და გამოვეცი (ზოგჯერ სხვებთან ერთად) ქართული მწერლობის რიგი პირველხარისხოვანი ძეგლი. ივანე ჯავახიშვილი და პავლე ინგოროყვა ბეჯითად, მაგრამ ამაოდ შეეცადნენ ჩემს „დახსნას“ და მუზეუმში დატოვებას. 1938 წლის ადრე გაზაფხულიდან გამოვეთხოვე საქართველოს მუზეუმს და ოფიციალურად მაინც მთლიანად პედაგოგიურ სამუშაოზე გადავედი. ავადმყოფობის გამო მალე პავლე ინგოროყვამაც მიანება თავი სამსახურს. ჩვენი გზები ერთგვარად გაიყარა, თუმცა კარგი ურთიერთობა და მეგობრობა არ შეგვიწყვეტია.

მართალია, მე მომიხდა პ. ინგოროყვას რუსთველოლოგიური ნა-

შრომების კრიტიკულად განხილვა (კვლევაძიებითს პროცესში ჩემი საყვარელი მასწავლებლების ივანე ჯავახიშვილისა და კორნელი კეკელიძის შეხედულებათა კრიტიკაც კი მიხდებოდა), ღრმად ყოველთვის პატივისცემით ვაფასებდი და ვაფასებ პ. ინგოროყვას დიდ ღვაწლს ჩვენი სულიერი კულტურის ფანატიკური თავგამოდებით შესწავლის საქმეში.

P. S. დღეს, 1979 წლის 1 ნოემბერს, პავლე ინგოროყვას უსრულდება დაბადების 86-ე წელი. ვუსურვებ ღვაწლმოსილ მეცნიერს, მწერალს და საზოგადო მოღვაწეს, ჩემ ძველ მეგობარს ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ წარმატებებს მის საყვარელ საქმეში.

1979

სიმონ ხუნდაძე

ამ ცოტა ხნის წინათ დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა სიმონ ხუნდაძეს—გამოჩენილ ქართველ მეცნიერ-ლიტერატურათმცოდნეს, კრიტიკოსს, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიკოსს, ჟურნალისტს, პუბლიცისტს, პედაგოგსა და დიდად ღვაწლმოსილ საზოგადო მოღვაწეს.

სიმონ ხუნდაძე დაიბადა 1894 წლის 15 ნოემბერს. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, უმაღლესი — მოსკოვის უნივერსიტეტში. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში (1921—1923 წლებში) რედაქტორობდა გაზეთ „ტრიბუნას“, 1928—1930 წლებში იყო საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანოს ჟურნალ „ქართული მწერლობის“ რედაქტორი, შემდეგ კარგა ხანს მეთაუროპდა საგამომცემლო საქმეს: იყო დირექტორი გამომცემლობა „ქართული წიგნისა“ (1930—1931), „ფედერაციისა“ (1932) და „სახელგამისა“—სახელმწიფო გამომცემლობისა (1932—1933).

აღნიშნულთან ერთად სიმონ ხუნდაძე წარმატებით ეწეოდა სამეცნიერო-ორგანიზაციულ, სამეცნიერო-პედაგოგიურსა და სალიტერატურო მოღვაწეობას. 1928—1932 წლების მანძილზე განაგებდა საქართველოს ისტორიის კათედრას. 1933 წლიდან ს. ხუნდაძის ძირითადი სამუშაო ასპარეზი გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დაინიშნა ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად და

ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგედ. სწორედ 1933 წელს თბილისის უნივერსიტეტის წიაღში შეიქმნა ე. წ. „ელხი“ ანუ ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ეს იყო პირველი ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი საქართველოში. „ელხმა“ გააერთიანა ძველი და ახალი თაობის ყველა მეცნიერული ძალა, ვინც კი კვლევა-ძიებითს მუშაობას მისდევდა ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების დარგში.

„ელხის“ წესდების დამუშავება დაევალა სიმონ ხუნდაძეს. იგი დიდი გატაცებით შეუდგა საქმეს, მცირე დროის განმავლობაში მოამზადა წესდების პროექტი და მომავალი მუშაობის ფართო გეგმები მოხაზა. მაგრამ, საუბედუროდ, სწორედ ამ დაძაბული მუშაობის დროს, უღალატა დიდი შრომით გადაღლილმა გულმა. „ელხის“ გახსნის დღეს სიმონ ხუხდაძე ვეღარ მოესწრო. ის მოულოდნელად გარდაიცვალა 1933 წლის 21 აგვისტოს.

სიმონ ხუნდაძის მრავალრიცხოვანი ნაშრომებიდან აღსანიშნავია „ქართული ინტელიგენციის პროფილი მეცხრამეტე საუკუნეში“ (1927), ორტომიანი „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში“ (1927), „ნარკვევები“ და „მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის“. ორი, ბოლოს დასახელებული, ნაშრომი გამოქვეყნდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ (1941 და 1949 წელს). აქ თავმოყრილია ს. ხუნდაძის მონოგრაფიული გამოკვლევები, ნარკვევები და წერილები გრიგოლ ორბელიანზე, ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, ივანე მაჩაბელზე, სერგეი მესხზე, ვაჟა-ფშაველაზე, გალაკტიონ ტაბიძეზე, სანდრო შანშიაშვილზე და სხვებზე.

სიმონ ხუნდაძე განსაკუთრებული გულისხმიერებითა და სიყვარულით იკვლევდა XIX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურის ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მანამდის მეცნიერულად შეუსწავლელ რთულ საკითხებს. მისი ღვაწლი ამ მხრივ ფასდაუდებელია.

დიდია სიმონ ხუნდაძის ღვაწლი ქართველი კლასიკოსების თხზულებათა მეცნიერულ-კრიტიკული თვალსაზრისით შესწავლისა და პუბლიკაციის საქმეში. 1930 წელს ს. ხუნდაძემ გამოაქვეყნა დიმიტრი ყიფიანის მემუარები, 1931 წელს წამოიწყო გიორგი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა, აქედან მზის სინათლე

იხილა მარტოოდენ პირველმა ტომმა, 1931—1932 წლებში გამოვიდა ს. ხუნდაძის რედაქციით მომზადებული ნიკო ნიკოლაძის რჩეული ნაწერების პირველი და მეორე ტომები. მკვლევარმა შეძლო სრულად დაებეჭდა დიდი შრომისა და რუდუნების შედეგად მომზადებული ეგნატე ნინოშვილის ნაწერების სამტომეული (1925—1935 წლები), თუმცა მესამე ტომი ფაქტობრივ მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა. ქართველ კლასიკოსთა თხზულებების ხუნდაძისეული პუბლიკაციები სანიმუშონია თავისი დროისათვის. ხუნდაძის ყველა გამოცემას ახლავს დიდი საფუძვლიანობით შედგენილი შესავალი წერილები, კომენტარები და ტექსტოლოგიური ხასიათის შენიშვნები.

სიმონ ხუნდაძე არა მარტო თვითონ აქვეყნებდა კლასიკოსების ნაწერებს, არამედ ამ კეთილშობილური საქმიანობისათვის სხვებს აქეზებდა.

ჩემს ზნეობრივ მოვალეობად მიმაჩნია განვაცხადო, რომ სიმონ ხუნდაძის თაოსნობით მოვამზადეთ და გამოვეცით 1931—1932 წლებში სოლომონ იორდანიშვილსა და ვარლამ თოფურიასთან ერთად გურამიშვილისა და ბესარიონ გაბაშვილის თხზულებანი.

სიმონ ხუნდაძე გამოირჩეოდა თავისი არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებებით, ის იყო სათნო ბუნების კაცი, კეთილი, ყურადღებიანი, თავმდაბალი, თავაზიანი. სიმონ ხუნდაძე ყველას ხიბლავდა თავისი პრინციპულობით, დიდბუნებოვანი კაიკაცობით, საარაკო ენერგიით, შრომისმოყვარეობით, მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და მაღალი რანგის ნამუსიანობით.

სიმონ ხუნდაძე ადრე წავიდა ჩვენგან. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ასე მოულოდნელად, ასე უღვთოდ ჩაქრებოდა მისი ანთებული, ბობოქარი, დაუდგრომელი, მართალი გული. სიმონ ხუნდაძის სახელი უკვდავია როგორც ახალი ქართული კულტურის ერთ-ერთი გამოჩენილი მშენებელისა. მისი ხსოვნა აროდეს ამოიხოცება იმათ გულიდან, ვინც მას ახლოს იცნობდა და საქმიანი ურთიერთობით იყო მასთან დაკავშირებული.

1974

მოწაფეობისას ძლიერ ვიყავი გატაცებული იოსებ გრიშაშვილის ლექსებით, რომლებსაც ვეცნობოდი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებით“ და გაზეთების „სახალხო ფურცლისა“ და „სახალხო საქმის“ სურათებიანი დამატებებით. 1918 წელს ორჯერ მოვისმინე გრიშაშვილის გახმაურებული მოხსენება „საიათნოვა — ერეკლე მეფის კარის მგოსანი“ ჯერ ფოთში (გაზაფხულზე), შემდეგ ლანჩხუთში (ზაფხულში). მოხსენებებმა და პოეტის მიერ ლექსების კითხვამ მომაჯადოვა. საიათნოვას სახელი პირველად მესმოდა. სტუდენტობის წლებშიც გულდასმით ვადევნებდი თვალყურს გრიშაშვილის ლექსებისა და ნარკვევების პუბლიკაციებს, არ ვტოვებდი შემთხვევებს, მომესმინა მისი გამოსვლები ლიტერატურულ საღამოებზე. უშუალოდ გავიცანი პოეტი ჩემი სიმამრის ივანე ელიაშვილის ოჯახში. მალე დავუახლოვდი. ჩვენი მეგობრობა გაღრმავდა და განმტკიცდა მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდების მცველი გავხდი. გრიშაშვილი ხშირად მოდიოდა მუზეუმში. აგროვებდა მასალებს ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულის გამოსაცემად და მონოგრაფიისათვის „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“. აპირებდა „საიათნოვას“ მეორე გამოცემასაც. მისი მასალები ცალკე მქონდა გადადებული და საგანგებოდ ვუნახავდი ხოლმე. შემომრჩა მისი ერთი დაკვეთის ბარათი: ალექსანდრე-ჯან! მე წყალტუბოს მივალ — ცუდათა ვარ —, და ის მასალა — (ქვემოთ რომ აწყვია) არ შეინახო ყუთებში. ჩამოვალ და შევუდგები მუშაკობას. შენი ი. გრიშაშვილი. 1933. 28. X“ (უნივერსიტეტის ხელნაწერთა ფონდები იმ დროს საქართველოს მუზეუმში იყო გადატანილი).

თავის მხრივ ი. გრიშაშვილი დიდ დახმარებას მიწევდა ბიბლიოგრაფიული ცნობების მოწოდებით და წიგნებით. ახლაც ცოტა როდი მაქვს ქაღალდის პატარ-პატარა ნაჭრებზე, უმთავრესად კი კალენდრის ფურცლებზე მისი ხელით ჟურნალ-გაზეთებიდან ამოწერილი საბიბლიოგრაფიო ხასიათის მასალები გურამიშვილზე, ბესიკზე, თეიმურაზ პირველზე... ცნობილია, რომ გრიშაშვილი თავისი იშვიათად მდიდარი ბიბლიოთეკიდან წიგნებს შინ არავის ატანდა, მაგრამ ყველას აძლევდა საშუალებას იქვე, ხარფუხშივე ესარგებლა მისი საბიბლიოთეკო ფონდით. კანონის სიმკაცრე გამონაკლისს არ გამორიცხავს. გრიშაშვილიც უშვებდა გამონაკლისებს მისი წიგნებით სარგებლობის წესში. მე

ვეკუთვნოდი პრივილეგირებულ პირთა იმ მცირერიცხოვან წრეს, რომელსაც გრიშაშვილი წიგნებს შინაც ატანდა. ჩემი მადლიერება იმითაც გამოვხატე, რომ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა შევავსე რამდენიმე იშვიათი წიგნით, კერძოდ, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნით და ვეფხისტყაოსნის ერთი ებრაული თარგმანით.

წიგნის ტრფიალი ვინ არ ყოფილა და ვინ არ არის, მაგრამ გრიშაშვილს ამ მხრივ ძნელად თუ ვინმე შეედრებოდა. ჩემი თაობის (და არა მარტო ჩემი თაობის) ბევრ თბილისელს ახსოვს, ალბათ, რუსთველის პროსპექტზე ნება-ნება მიმავალი იოსებ გრიშაშვილი დიდ დასტად შეკრული თუ სათუთად შეფუთული წიგნებით ხელში. ბუკინისტების მაღაზიებში წიგნების ქექვა იყო გრიშაშვილის უდიდესი ჰობი. მახსოვს, ერთხელ, მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დღეებში, 1958 წელს, გრიშაშვილმა მთხოვა, წავყოლოდი ბუკინისტების მაღაზიაში, მარქსის პროსპექტისა და კომინტერნის ქუჩის კუთხეში რომ მდებარეობდა. იქ უკვე იცნობდნენ ბიბლიოფილ-პოეტს და ხალისით მიიწვიეს წიგნების შესარჩევად. უნდა გენახათ როგორი მოწიწებით, სიყვარულით და სიფაქიზით ფურცლავდა იგი და აცლიდა მტვერს უკვე შელანძღულ ძველ ჟურნალებსა და წიგნებს. წიგნის შესაძენად ი. გრიშაშვილი არ ზოგავდა ძალ-ღონეს და ნივთიერ სახსარს. მშიერი დარჩებოდა და ხელიდან არ გაუშვებდა მისთვის სასურველ წიგნს. ასე შექმნა მან უნიკალური ბიბლიოთეკა, რომელიც საბოლოოდ თავის მშობლიურ ხალხს უანდერძა.

ი. გრიშაშვილს გულს უკლავდა ის გარემოება, რომ ძველად ზოგჯერ შესაფუთავ ქაღალდად იყიდებოდა ბაზრებზე ძვირფასი ქართული ხელნაწერები. ამ თემას მიუძღვნა პოეტმა მისი ერთი მშვენიერი ლექსი „გენიოსების ბედი თბილისის ბაზარზე“.

ქვეით, ბაზარზე, კვირადღით, ვანქთან,
მტვრიან ქუჩებში, დამპალ ჰავაზე,
წონით ვიყიდე ექვსი გირვანქა:
შოთა, აკაკი და ჭავჭავაძე.

აი სად ჰყრია ჩვენი დიდება!
ლმის სირცხვილით ამეწვას ღოყა!
აი ქართლის ხმა სად იყიდება,
ჯავახიშვილო და ინგოროყვა!

ვინ იცის, რამდენი წიგნი გადაარჩინა დაღუპვისაგან და შემოუნახა შთამომავლობას იოსებ გრიშაშვილის მადლიანმა ხელმა და უშურველმა გულმა!

1928—1929 წლების განმავლობაში ინტენსიურად ვმუშაობდი „ქილილა და დამანას“ ქართულსა და სპარსულ ვერსიებზე. ერთი შესანიშნავი ხელნაწერი ლენინგრადის ყოფილი სააზიო მუზეუმის ფონდიდან თბილისში იყო ჩემთვის გადმოგზავნილი (მაშინ ხელნაწერის გამოგზავნა უფრო ადვილი იყო, ვიდრე სამეცნიერო მივლინება). ზოგიერთი ცნობა მჭირდებოდა ლენინგრადის მეორე ხელნაწერის შესახებ. 1929 წლის ივლისში ლენინგრადში მიემგზავრებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ხელნაწერების გასაცნობად იოსებ გრიშაშვილი. როგორც ვთქვი, იგი აპირებდა ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულის გამოცემას. პოეტს ვთხოვე, გადმოეწერა ჩემთვის ხელნაწერიდან „ქილილა და დამანას“ იგავ-არაკი „დედაბრის კატა“. მან დიდად დამავალა და იგავ-არაკის გადმოწერასთან ერთად შემიდგინა ხელნაწერის აღწერილობა, რისთვისაც მას თავის დროზე დიდი მადლობა გამოვუცხადე წერილობით[1]. ლენინგრადიდან ი. გრიშაშვილი დასასვენებლად და სამკურნალოდ გაემგზავრა ყირიმში (ევპატორიაში) და იქ დაყო აგვისტო და სექტემბრის პირველი დეკადა. ჩვენ შორის გაიმართა ძიმოწერა, რომელიც გვითვალისწინებს იოსებ გრიშაშვილის იმდროინდელ ჯანმრთელობას, გუნება-განწყობილებას, მომავალი მუშაობის განზრახვებსა და გეგმებს. ი. გრიშაშვილის წერილებს, რომლებსაც აქ ვაქვეყნებ, დიდი მნიშვნელობა აქვს პოეტის შემოქმედებითი ცხოვრების გასაშუქებლად. წერილების ტექსტებს ვურთავ მოკლე კომენტარებს.

„ქილილა და დამანას“ გრიშაშვილისეული აღწერილობა და იგავ-არაკ „დედაბრის კატის“ ტექსტი შეკრულია რვეულად. თავფურცელზე აწერია: „ქილილა და დამანა“-დან. ალექსანდრე ბარამიძისათვის (იხ. ლენინგრადის სააზიო მუზეუმის ხელნაწ. № 68, 61—64). მუზეუმის გამგე: ანატოლ პეტრეს ძე გენკო. ტელ. 222—07. ლენინგრადი. 9 ივლისი. 1929 წ. ი. გრიშაშვილი“. აღწერილობას უძღვის შენიშვნა: „ალექსანდრე! თხოვნა შეგისრულე... დაწვრილებით პირისპირ!“ შენიშვნაა აღწერილობის ბოლოშიც: „ალექსანდრე-ბეგ! ეხლა ისმინე, ის არაკი, რომლის გადმოწერაც მთხოვე“ (მოტანილია საკმაოდ მოზრდილი იგავ-არაკის სრული ტექსტი—ა. ბ.). დასასრულ მიწერილია: „ალექსანდრე! გარდა ამისა, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა კატალოგში ასე წავიკითხე: Калила и Дамана (Ан-

[1] ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I. 1945, გვ. 343.

вари Сохеили), перев. с персид. царя Вахтанга, исправл. Сулханом Орбелиани. Рукопись без начала и конца», № 113. მოვითხოვე, რადგან № 68 ხელნაწერიდან გადმოწერა პირველ ხანებში ვერ ხერხდებოდა, მინდოდა აქედან გადმომეწერა მაინც და გამომეგზავნა, მაგრამ ხელნაწერი ტფილისში ყოფილა (ალბათ ნახული გექნება). გარდა ამისა ლენ. საჯარო ბიბლიოთეკაში ვნახე საბას სიბრძნე-სიცრუე (ხელთ. № 13). აქ საბას ახალგაზრდობის სურათია მოთავსებული (ეს იმისთვის გითხარი, სურათი თუ გინდა). ალექსანდრე! მომწერე ღია ბარათი, რომ მიიღე და დავმშვიდდები. შენი სოსო. ჩემი მისამართი: Евпатория. Санаторская № 36. Гришашвили. აქ ვიქნები 5 სექტემბრამდე. ი. გრიშაშვილი".

„ქილილა და დამანას" აღწერილობის პირი ამას წინათ გადავეცი გრიშაშვილის თხზულებათა სრული კრებულის რედაქციას. კრებულის გამოცემა დაგეგმილი აქვს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს. როგორც აღწერილობაში ჩართული შენიშვნებიდან ჩანს, ი. გრიშაშვილს პირველ ხანებში დაბრკოლება გადაღობებია, ხელნაწერი სარგებლობისათვის ვერ მიუღია, მიზეზს მომდევნო წერილში ასახელებს. დრო რომ მოეგო და ჩემთვის საჯიკეთო რამე გაეკეთებინა, კატალოგით გამოუძიებია „ქილილა და დამანას" სხვა ხელნაწერი, მაგრამ იგი ადგილზე არ აღმოჩენილა, თბილისში ყოფილაო. ეს არის ბროსეს კოლექციის ყოფილი საზიო მუზეუმის (და არა საჯარო ბიბლიოთეკის) ის ხელნაწერი №16/47, რომელიც მაშინ მართლაც თბილისში იყო გადმოგზავნილი და ჩემს განკარგულებაში იმყოფებოდა. თავისი კეთილი გულის წყალობით ი. გრიშაშვილს მოუნდომებია ყველაფრის გამოძიება, რაც კი „ქილილა და დამანასთან" იყო დაკავშირებული და მიღებული შედეგის თაობაზე ჩემთვის ეცნობებინა. საჯარო ბიბლიოთეკაში პოეტს უნახავს სულხან-საბა ორბელიანის ჭაბუკობის დროინდელი პორტრეტი და დამეკითხა ხომ არ იქნებოდა საჭირო მისი ფოტო-პირის გადაღება. სხვათა შორის ,ეს სურათი გამოქვეყნებული აქვს გიორგი ლეონიძეს[1].

აქ ვაქვეყნებთ იოსებ გრიშაშვილის იმჟამინდელ ოთხ წერილს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

---

[1] სიბრძნე სიცრუისა, გიორგი ლეონიძის წინასიტყვაობით და სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით, თბილისი, 1938.

წერილი პირველი

Грузия. Ланчхути. ჯუნჯუათში ალექსანდრე ბარამიძეს.

ძვირფასო ალექსანდრე!

ძალიან ბოდიშს ვიხდი, რომ საქმე დაიხლართა და ბედი არა გქონია... ამას წინათ აქ ყოფილა გ. ლეონიძე და თავის ძმისთვის დაუვალებია — დახარჯე რამდენიც გინდა და „ქილილა და დამანა“ გადააღებინე ფოტოგრაფიულადო. სააზიო მუზეუმის გამგემ გენკომ მითხრა: ეგ ხელთნაწერი სამწუხაროდ აქ არა მაქვს, წაღებულია გადასაღებად და ერთ თვეს ადრე არ დაბრუნდებაო(?). კ. დონდუაც გაჯავრდა. რა გიყო ახლა? მერე როგორ მინდოდა ამ დავალების შესრულება! გამოსადეგი კაცი ხარ: პასუხის გრძნობით სავსე და საიმედო მუშაკი. ბოდიში! ნახვამდის.

შენი ი. გრიშაშვილი

ლენინგრადი. 1929. წ. 10. VII.

როგორც შემდეგ ი. გრიშაშვილმა მიამბო, გენკოს გამოუთხოვია ხელნაწერი ფოტოლაბორატორიიდან და რამდენიმე დღით სამუშაოდ მისთვის დაუთმია. გრიშაშვილი სასწრაფოდ შესდგომია მის შესწავლას. აღნიშნულ გარემოებას გამოუწვევია აღწერილობისა და წერილის თარიღების მოჩვენებითი შეუთანხმებლობა, 10 ივლისს იწერება— „საქმე დაიხლართაო“, ხოლო აღწერილობის გარეკანს (ტიტულს) აწერია 9 ივლისი. ეტყობა, აღწერილობის რვეული გრიშაშვილმა ადრე დაამზადა და თარიღიც მაშინ დაუსვა.

მოტანილი წერილი ნათლად გვიჩვენებს იოსებ გრიშაშვილის ჭშვიათ გულმოდგინებას, მეცნიერულ კეთილსინდისიერებასა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას. ყველა ეს სანაქებო ადამიანური თვისება მან მთლიანად ჩააქსოვა მის მიერ გულით შემოთავაზებული საქმის შესრულებას.

წერილი მეორე

С. С. С. Грузия. Тифлис.

ლანჩხუთში ახალგაზრდა მეცნიერს ალექსანდრე ბარამიძეს.

სალამი! ლენინგრადიდან პირდაპირ ევპატორიაში მოვხვდი. ერთი ესეც ვნახო, რა ხილია! აქ, წარმოიდგინე, წაღვერზე იაფი მიჯდება ცხოვრება (ოთახში 35 მანეთს ვაძლევ) და გზა ხომ ლენინგრადის ანგარიშში შედის. ჰო, ეხლა როგორა გსურს? მომწერე ყოველივე: სად გამოგიგზავნო? მანდ თუ ტფილისში. რა ვიცი, დავაგვიანე და იქნება აღარც კი იყო მანდ! ყოველ შემთხვევაში მინდა ვიცოდე, რომ ჩემი გამოგზავნილი წერილი არ დაიკარგება. აი, ჩემი მისამართი:

Евпатория (ყირიმი). Санаторская ул. 36, для Гришашвили. 23. 1929 (ეს თარიღი ფოსტისაა, ბარათს თარიღი არ უზის).

კეთილი ამბის მაუწყებელი ეს ღია ბარათი სოფელში (ჯუნჯუათში) მივიღე. პასუხი დაუყოვნებლივ ვაცნობე: ვთხოვე, რომ მასალები პირდაპირ სოფელშივე გამოეგზავნა. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ გრიშაშვილის მიერ რუსეთიდან გამოგზავნილი ყველა წერილის მისამართი ქართულადაა შესრულებული. რუსულად აწერია მხოლოდ დედაქალაქის სახელწოდება.

მალე მივიღე გრიშაშვილისაგან ძვირფასი ამანათი და ღია ბარათი. პოეტი მწერდა:

წ ე რ ი ლ ი მ ე ს ა მ ე

სალამი, ძმაო ალექსანდრე! შენი ბარათი მივიღე. შენს პასუხს აღარ დავუცადე და „ამონაწერები“ უკვე გაახელი ამ რამდენიმე დღის წინათ. როგორც მითხარი, იმ პლანიროვკით გადმოგიწერე, ოღონდ არ ვიცი, გამოდგება თუ არა! თუ ის ამოვწერე, რაც მთხოვე, მაშინ კმაყოფილი ვიქნები მეტად! მომწერე, როგორ გამოიყენებ და ხომ ეგ არის შენი ნათქვამი? გიგზავნი რუსულ „გაზულისტანს“, მინდოდა მეც მეთარგმნა მთლიანად (რასაკვირველია, სპარსული ენის მცოდნის დახმარებით), მაგრამ ეს შრომა ჩემს მომავალ გეგმებში შედის. შენ ბედნიერი ხარ: ენები იცი, ახალგაზრდა ხარ და ცხოვრებაც (ოჯახური, სამსახური) ხელს გიწყობს. მე კი გულწრფელად ვწუხვარ, რომ ლექსებს ვეღარ ვწერ და ვეღარ ვბეჭდავ. ეს წიგნები ბერლინშია დაბეჭდილი. ამ ბ ე რ ტ ე ლ ს(ს) კიდევ აქვს სპარსულ თეატრებზე წიგნი. რა ვიცი, იქნებ გამოგად-

გეს... საღათნოვას მეორე გამოცემა დიდი ხანია მინდა, მაგრამ ჯერ ალ. ჭავჭავაძე სდგას წყებაში... ჩამოვალ და უფრო დაწვრილებით მოგელაპარაკები. მე აქ დავრჩები 10-მდე. გულის ფრიალი დამჩემდა, ვმკურნალობ. სალამი ვანოს და მის ნარნარა ქალიშვილს თავის „ბადიშით“. შენი ი. გრიშაშვილი. ევპატორია. 1929 წ. 8 აგვისტო“.

რასაკვირველია, მე სასწრაფოდ ვაცნობე ამანათის ამბავი, დიდი შადლობა შევუთვალე, რომ ასე საუცხოოდ შემისრულა თხოვნა. მივიღე გოლესტანიც. პოეტის განზრახვა მომეწონა და გადაკვრით გამოთქმულ გულისპასუხსაც მივუხვდი, იოსებს უნდოდა, რომ მე მომემზადებინა თარგმანის პწკარედი. რა თქმა უნდა, თანხმობა განვუცხადე. თბილისში რომ დავბრუნდი, შევუდექი თადარიგს, სპარსული დედანი ხელთ მქონდა, მაგრამ საქმე ისე აეწყო, რომ ეს შესანიშნავი წამოწყება განუხორციელებელი დაგვრჩა. არ ვიცი ვინ იყო დამნაშავე, მე თუ გრიშაშვილი. ალბათ, ორივე, უფრო მე. მეტი მონდომება რომ გამომეჩინა, საქმეს ბოლომდე მივიტანდით. მართალია, რიგი გაუთვალისწინებელი დაბრკოლება გადამეღობა წინ, მაგრამ, ქართული ანდაზისა არ იყოს („თუ გული გულობსო“..), დაბრკოლებათა გადალახვაც მოხერხდებოდა. სულო ცოდვილო, არც გრიშაშვილს დაუტანებია მაინცდამაინც ძალა. საქმე მორჩა, გადაიდო, გადადებული საქმე კი განწირულია.

. სამწუხარო ის იყო, რომ იოსებ გრიშაშვილის წერილიდან სევდის ჰანგი ისმოდა. ლექსებს ვეღარ ვწერ და ვეღარ ვბეჭდავო. წერილი იმითაცაა საინტერესო, რომ გვიმჟღავნებს პოეტის მაშინდელ გეგმებს, პირველ საზრუნავ საქმედ მიჩნეული ჰქონია ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებების გამოცემა, თუმცა საიათნოვას ახალ გამოცემაზედაც ფიქრობდა თურმე. პირველი წარმატებით შეასრულა, 1940 წელს გამოქვეყნდა ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა გრიშაშვილისეული მშვენიერი გამოცემა (ტექსტი, გამოკვლევა, შენიშვნები, ლექსიკონი).

წერილი მეოთხე

Тифлис. (С. С. Р. Грузии) საპიორის (აწ ძნელაძის) ქ. № 11. ექიმ. ივ. ელიაშვილს ალექსანდრე ბარამიძისათვის.

ძვირფასო ალექსანდრე! შენი წინადადება ყოველმხრივ მოსაწონია. მიიღე ორივე ხელი... შენი ერუდიცია, შენი ენის ცოდნა და ჩემი პოეტური ინტუიცია (აქ, რაც უმთავრესია, ჩვენ შევაერთებთ ქ ა რ თ უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ი ს ლერწმებს და ჩანჩქერივით ჩავაქსოვთ საადის ბრძნულ ლექსებს) შევადუღოთ და, მე მგონია, ამით ქართული საზოგადოებრივი აზრი მადლობით მოგვიხსენიებს და ჰონორარიც დასაკარგი საქმე არ არის! მაგას ვინ არ დაბეჭდავს?! ჩემს ჩამოსვლამდე შენ დაიგეგმე რამდენ ხანში გავათავებთ, ან როგორი იქნება ჩვენი მუშაობა! მე თუ აქაურ(მა) ექიმებმა ბორჯომის ვანები არ დამინიშნეს გულისთვის, 15 სექტემბერს მანდ გავჩნდები... ნახვამდის—შენი სოსო. ევპატორია. 1929. 27. VIII".

გოლისტანის თარგმანის განზრახვა, როგორც აღვნიშნე, განუზორციელებელი დაგვრჩა. მოგეცათ ლხენა, გრიშაშვილის ლენინგრადული მასალები კარგად გამოვიყენე ჩემი სადისერტაციო შრომის საბოლოო რედაქციის მოსამზადებლად. სხვათა შორის, ი. გრიშაშვილმა მომაწოდა ჩემი თემისათვის საჭირო მისი ლექსის ნაწყვეტი „მარიჯანს წალვერში"

„და არ ვიცი რა პასუხი მიუგო,
დამცინიან, საიდუმლო დამალა.
წაგიღია წიგნი ვიქტორ ჰიუგო.,
წ ა გ ი ღ ი ა „ქ ი ლ ი ლ ა და დ ა მ ა ნ ა".

ამ სტროფის ბოლო ტაეპი („წაგიღია ქილილა და დამანა") ეპიგრაფად წარვუმძღვარე ჩემს მონოგრაფიას „ქილილა და დამანაზე".

1932 წელს ჩემი და ვარლამ თოფურიას რედაქციით გამოვიდა ბესიკის თხზულებათა სრული კრებული გამოკვლევით, შენიშვნებითა და ლექსიკონით. თითო-ოროლა ლიტერატორი ამ გამოცემას მტრულად შეხვდა (მის თაობაზე საუბარი მაქვს სხვაგან). ბევრი კი მას დიდად აფასებდა, ბესიკის ახალი გამოცემის დამფასებელთა ბანაკს ეკუთვნოდა იოსებ გრიშაშვილი, 1932 წლის 7 ოქტომბრის თარიღით იგი მწერდა კისლოვოდსკიდან

სალამი ალექსანდრე!

კისლოვოდსკიდან გწერ (ალბათ, შემნატრი და გონებაში გამოხაზე გაკვირვება: „ვა!“). მაგრამ ნეტავი არ მოვსულიყავი. საშინელი ამინდებია. წვიმა, ქარი. არ ვიცი დავრჩე, კვლავ მივიღო აბაზანები თუ გამოვიპარო? გული საშინლად დამიმძიმდა და ღამეები არ მძინავს. ალექსანდრე, შემინახე „ბესიკი“. ჩემს წიგნებთან დასდე. ეხლა მთელი ზამთარი შენს ფრთებქვეშ უნდა შემივრდომო, ბესიკზე პირისპირ მოგელაპარაკები: ერთ პროლ. კრიტიკოსს სახელგამში ბურთი ჩავჩარე. სხვა? მორიგი გამარჯვება რა იქნება?...იმუშავე და „დუშმანთა ლაყბობას“ განზე გაუარე.

ი. გრიშაშვილი. 1932. 7. XI. კისლოვ(ოდსკი).

ჩვეულებრივ ორიგინალურადაა დაწერილი ჩემი მისამართიც. საქართველოს მუზეუმში (რუსთაველის გამზირი №I, სასახლის პირდაპირ). მიერთვას ალექსანდრე ბარამიძეს.

„ეხლა მთელი ზამთარი შენს ფრთებქვეშ უნდა შემივრდომოო“, რომ მწერს, ამას ნიშნავს: მთელი ზამთრის განმავლობაში მუზეუმში ხელნაწერებზე მომიხდება მუშაობაო. „ბესიკი“ შემინახე, ჩემს წიგნებთან დაადე“. ბესიკი 1932 წლის სექტემბერში გამოვიდა. მე მაშინ მძიმე ავად ვიყავი და გრიშაშვილს წიგნი დროზე ვერ ვუსახსოვრე. ი. გრიშაშვილი ალ. ჭავჭავაძის გამოცემაზე მუშაობდა და მუზეუმში სხვადასხვა საჭირო ლიტერატურა ჰქონდა მოტანილი, რასაც ხელნაწერებთან ერთად ვუნახავდი. კისლოვოდსკიდან გრიშაშვილი არ „გამოპარულა“ და განაგრძო მკურნალობა. ვგონებ, ნოემბრის ბოლოს დაბრუნდა თბილისში.

1934 წელს გამოქვეყნდა ვეფხისტყაოსანი კონსტანტინე ჭიჭინაძის რედაქციით და ვრცელი გამოკვლევით. ეს გამოცემა რედაქციულად, განსაკუთრებით სტროფული შემადგენლობით, განსხვავდებოდა წინანდელი ყველა გამოცემისაგან (უახლოვდებოდა მხოლოდ ს. კაკაბაძისეულ 1913 წლის გამოცემას). ტექსტი აქ ძალზე ვრცელია და ხელნაწერულ ტრადიციებს ემყარება. კერძოდ, კ. ჭიჭინაძემ თავის გამოცემაში შეიტანა ინდო-ხატაელთა ამბავი. კ. ჭიჭინაძის გამოცემამ აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია. ბევრი ითქვა და დაიწერა ამის შესახებ. 1934 წლის ბოლოს ორჯერ მოეწყო მისი საჯარო გან-

ხილვა. დისკუსიებს მე არ დავსწრებივარ, 1934 წლის ნოემბერ-დეკემბერში სამეცნიერო მივლინებით ვიმყოფებოდი ლენინგრადსა და მოსკოვში. უნივერსიტეტში ჩატარებული დისკუსიის თაობაზე წერილი მომწერა მოსკოვში ი. გრიშაშვილმა, მისი წერილი დაწერილია დისკუსიის უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ და მკაფიოდ გამოხატავს მაშინდელ ვითარებას. წერილი წარმოადგენს ღია ბარათს. გარდა ძირითადი თემისა, მინაწერების სახით ეხება ზოგიერთ სხვა საკითხსაც, ბარათი საძწუხაროდ დეფექტურია, ბოლო კუთხე მოხეული აქვს (არ ვიცი, ჩემი ბრალია, თუ ფოსტისა). წერილი, რომელსაც ავტორი „აჯაჯულს“ უწოდებს, ფრიად დამახასიათებელია იოსებ გრიშაშვილისათვის. ცნობილია, რომ მას უყვარდა წერა ღია ბარათებზე (ამ წერილში ახსნილია ამისი მიზეზი), გარკვეული ,მაგრამ წვრილი ხელით, ბარათებზე ჩვეულებრივ თავისუფალ ადგილს არ ტოვებდა და სხვადასხვა მინაწერებით ავსებდა. ამ მხრივ ტიპიურია ი. გრიშაშვილის ეს წერილი, რომელიც 1934 წლის 11 დეკემბრით არის დათარიღებული, გამოგზავნილია მოსკოვში, ბარათზე მიწერილია ავტორის ადრესი:

«Тифлис, Харпухи, Алгетск. № I. Сосо».

წერილში მოხსენებული ზოგიერთი გვარი შემოკლებითაა (მაგ. ვ. თ-იამ“, ნიშნავს ვარლამ თოფურიამ). ჩემს პუბლიკაციაში გვარები სრულადაა მოყვანილი. ნაკლული ტექსტი შეძლებისდაგვარად აღდგენილია. ჩამატებულია აქა-იქ დაკლებული სასვენი ნიშნები. ბარათის ძირითადი ნაწილი მწვანე მელნითაა ნაწერი. ორი მინაწერი შესრულებულია ქიმიური ფანქრით.

სალამი ძვირფასო ალექსანდრე! მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც მივიღე შენი წერილი. მე ვიცოდი, რომ პირადად ვერ ნახავდი ჩემს ადრესატებს, მაგრამ თ უ მ ი ი ღ ე ს—მაგითაც მადლობელი დავრჩები. ტფილისში კარგი დარებია, ჯერ ზამთრის სიმშვენიერე არ დაწყებულა. სალამი შენს ძვირფას მეუღლეს — ნინოს. მართლა! ეს ოთხი დღეა, რაც კ. ჭიჭინაძის გარშემო დიდი ხათქახუთქია. ვანო ჯავახიშვილმა წერილობითი აზრიც გამოთქვა (ვ. თ-იამ წაიკითხა), იქ შენც მოგიხსენია, გაქო, კამათში პაექრეს მიემხრო. საკითხი ეხებოდა ვეფხისტყაოსნის ჩანართებს. ჰ. ინგოროყვას კარგად ემუშავა. ხომ იცი, მის ყოველ მოხსენებას სენსაცია ახასიათებს და კ. ჭიჭინაძე მას ჰბაძავს. ჭიჭინაძის გამოსვლები აუტანელი იყო მეცნიერულ თვალსაზრისით: ყველას (პასუხად) აძლევდა: „რა გესმით!“,

„ჯერ ისწავლეთ ტექსტი და მერე გ(ამოდით)“. უხამსათ მოიხსენია: პავლე, აკ. შანიძე, შ. ნუცუბიძე და ჯან(აშია). დიდი ამბავია და როცა მოხვალ, დაწვრილებით გეტყვი. გამომც(ემ-ლობამდე) (?) მიაღწია: ოთხი დღე მისი სახელი ისმოდა უნი-ვერსიტეტის კლუბში (....).

იქნებ, ახალი, აკადემიის, გამოცემა მიყიდო, რომელიც აქ უნიკუმია, შენ შეარჩიე: ფულს გადავიხდი აქ. ხომ იცი, რა დამაინტერესებს. მაგ. მაკლია: 1. ტ. დონკიხოტისა აკად. გამოკ., „ლაზარილიო ტორმასელის ცხოვრება“, „Опасные связи“ (დელაკლოსი), „Сказки попугая“, „Моя жизнь“. (ჩელინისა). ამას ისე გწერ. ძალიან არ შესწუხდე! შენი ი. გრი-შაშვილი[1]..

P. S. ღია ბარათს იმიტომ გწერ, რომ ალალბედზე გიგ-ზავნი ამ პასუხს: არ ვიცი, მიიღებ თუ არა! 1934. II. XII.

იქნება ჟურნალი „Строим“-ი იშოვო, რომელიც ფირდო-უს(ის) ეძღვნა (რედაქციაში ექნებათ)!

ბოდიში ამისთანა აჯაჯული ბარათისათვის.

იოსებ გრიშაშვილი რამდენიმეჯერ იყო ჩვენსას ნინოობაზე. 14 იანვარს. განსაკუთრებით სამახსოვროდ დამრჩა 1934 წლის ნინოობა. ამ დღეს ი. გრიშაშვილმა ჩემს მეუღლეს, ნინოს, უძღვნა საუცხოო ექსპრომტი, რომელიც მისებური ოსტატობით წაიკითხა კიდევაც. ეს ლექსი ოდნავ გადამუშავებული სახით დაბეჭდილია გრიშაშვილის თხზულებათა კრებულში[2]. ჩემს არქივშია ლექსის სამი ავტოგრაფული ვარიანტი. ორს თარიღად უზის 1934 წლის 14 იანვარი (თუმცა გა-დაწერილი უნდა იყოს ოდნავ მოგვიანებით). მესამეს თარიღად აქვს 1934 წლის 29 იანვარი. იგი საგანგებო კონვერტშია მოთავსებული, კონვერტს ი. გრიშაშვილის ხელით აწერია: „ექსპრომტი. ნინო ელი-აშვილის ასულ ბარამიძეს. ი გრიშაშვილი.“ მეორე ავტოგრაფული ვარიანტი გადაწერილია ძალიან ფაქიზად, მელნით და წარმოგვიდგენს

---

[1] აქ ჩამოთვლილი წიგნებიდან ზოგი რამე ვიშოვე, ზოგი სხვაც ჩამოვუტანე.

[2] იოსებ გრიშაშვილი. თხზულებათა კრებული ხუთ ტომად. ტომი II, თბილისი, 1962, გვ. 179. აქ ლექსს სათაურად აქვს: „ბავშვო და დედავ“! (ნ. ელია-შვილ-ბარამიძეს).

გადათეთრებულ ტექსტს, რომელსაც მიწერილი აქვს „მუნასიბად“. აქ ვაქვეყნებ ლექსის ამ გადათეთრებული ვარიანტის ტექსტს:

ნინო ელიაშვილს
(ბარამიძისას)

I

ეს რა ყვავილი ყელყელობს,
სადაურია, ვინ არი,—
თეიმურაზის სტრიქონი,
ბარათაშვილის ჩინარი.
შევცქერ და, თითქოს, მის თვალებს
ამშვენებს აზრი მეფეთა,
ალბად, ეს იყო ის შველი,
ყაზბეგს რომ შემოეფეთა.
ფუტკარი ეძებს მის ტუჩებს,
რომ შექმნას თაფლი ღეთიანი,—
—ტკბილი ხარ, როგორც სიცოცხლე
და ღიმილ-ნაღებიანი.

2

ბაგშვო და დედავ, ჯერ კიდევ
როცა იყავი პატარა,—
ჩვენმა უებრო აკაკიმ
თავის მუხლებზე გატარა.
მე აკაკობას არ ვნატრობ,
იგი დროც გადასულია,
მან ერთხელ განახა და მერე
გადაგვიწყა სრულიად.
მე კი მსურს მარად ვემზირო
მაგ ქართულ სახის ძველ ჯავარს
და გრიშაშვილის ხმით გითხრა:
„ან და იყავი, ან ძმა ვარ!“

ი. გრიშაშვილი.
1934. 14 დანეარს, მუნასიბად.

1934 წლის ნინოობას ესწრებოდა ჩვენი კარის მეზობელი და ელიაშვილების ოჯახის დიდი მეგობარი, სახელგანთქმული იურისტი, პროფესორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. გრიშაშვილის სადღეგრძელო რომ დაილია, ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა წარმოთქვა სიტყვა. სიტყვა თქმული იყო რუსულად იმ საბაბით, რომ იგი გასაგები ყოფილიყო უფროსი დიასახლისისათვის (ნინოს დედისათვის), რომელიც მამით იყო კაბენინა და რუსული უფრო ეხერხებოდა. უფრო ეხერხებოდა

რუსული თვითონ ლ. ანდრონიკაშვილსაც, თუმცა ქართულად თავისუფლად ლაპარაკობდა და უნივერსიტეტში ლექციებს ქართულად კითხულობდა. ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვა შინაარსითაც და ფორმითაც იყო ბრწყინვალე. მისთვის დამახასიათებელი ორატორული მჭევრმეტყველებით, მგზნებარებით, ლაღად და თავისუფლად, არტისტული ჟესტებით, სახის გამომეტყველი მოძრაობითა და ანთებული თვალებით ლ. ანდრონიკაშვილი ლაპარაკობდა პოეზიის ღვთაებრივ მადლზე და ამ მადლით მირონცხებულ ი. გრიშაშვილზე, რომლის საუცხოო ექსპრომტი ლექსად ეს-ეს არის არაჩვეულებრივი გრაციით წაიკითხა მისმა ავტორმაო. ლ. ანდრონიკაშვილმა ხაზი გაუსვა მსოფლიო პოეზიის იმ მარად ძველი და მარად ახალი, ოღონდ მაინც დაუძლეველი და ამოუწურავი გრძნობის სიცხოველეს, რომელსაც სიყვარული ეწოდება. ამ გრძნობის სწორუპოვარი ტრუბადურია იოსებ გრიშაშვილიო, დაასრულა სიტყვა ანდრონიკაშვილმა. ჩვენ ყველანი კარგა ხანს მონუსხულივით შევცქეროდით მას და გაოგნებისაგან თავი ვერ დაგვეღწია. ერთბაშად ი. გრიშაშვილი მოწყდა ადგილიდან, მიიჭრა ორატორთან და მხურვალედ გადაკოცნა... შემდეგ, წლების მანძილზე, ბევრჯერ ბეჯითად მთხოვდა გრიშაშვილი აღმედგინა მეხსიერებაში და წერილობით გადმომეცა ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვის შინაარსი. ვერ შევძელი იმიტომ, რომ ანდრონიკაშვილის სიტყვა იყო უწინარეს ყოვლისა ორატორული ხელოვნების სრულქმნილი ნიმუში, მე ვიტყოდი — ორატორული სიმფონია. ჩვენ მოგვხიბლა ამ სიმფონიის სიტყვიერი ფორმის უზადობამ, შინაარსს უკვე ყურადღებას აღარ ვაქცევდით, თუმცა სიტყვის ძირითადი იდეა სრულიად ნათლად და მკაფიოდ იყო გამოხატული. ეს არის და ეს. მე ბოდიშს ვიხდი იოსებ გრიშაშვილის ხსოვნის წინაშე, მაგრამ თქმულს ვეღარაფერს დავუმატებ. ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვის დაწვრილებითი შინაარსი არც მაშინ აღბეჭდვია ჩემს გონებას და, მით უფრო, არც შემდგომ შემორჩენია მეხსიერებას.

იოსებ გრიშაშვილს ყოველთვის ცოცხალი კონტაქტი ჰქონდა სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებთან და აქტიურად მონაწილეობდა მათს საქმიანობაში. პირველი სამეცნიერო-კვლევითი კერა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში შეიქმნა თბილისის უნივერსიტეტის განახლების შემდეგ, 1933 წლის სექტემბრიდან. ეს იყო „ელხი“. მუშაობა აქ მიმდინარეობდა სექციების მიხედვით. ისე მოხდა, რომ ლიტერატურის სექციაში პირველი მოხსენების წაკითხვა მე

მერგო წილად. მაშინ გ. ჯაკობიასთან ერთად ვამზადებდი გამოსაცემად თეიმურაზ პირველის თხზულებათა კრებულს. საბიბლიოგრაფიო მასალების მოწოდებით დიდი დახმარება გამიწია ი. გრიშაშვილმა. 1933 წლის 5 ნოემბერს ელხში წავიკითხე მოხსენება — „თეიმურაზ პირველი როგორც ლირიკოსი". მოხსენებას დაესწრო ი. გრიშაშვილი. დასწრება და მოხსენების განხილვაში მისი მონაწილეობა გრიშაშვილმა იმით გამოხატა, რომ იქვე სამაგიდო კალენდრის ფურცელზე ლამაზი ხელით დამიწერა თავისი განთქმული „ტრიოლეტები შეითანბაზარში", სადაც საგანგებოდ გახაზა ტაეპი „მომწონს მაჯამის ამირბარი თეიმურაზი". „ტრიოლეტების" დამოწმებული ტაეპი ამკობს ჩემს ნარკვევს თეიმურაზის შესახებ (თბილისი, 1934).

ელხში თავიდან თანამშრომლობა საზოგადოებრივ საწყისზე იყო დამყარებული, უსასყიდლოდ. აქტიურად თანამშრომლობდა ელხში გიორგი ლეონიძე. მოვიწვიეთ იოსებ გრიშაშვილიც, გავუგზავნეთ უწყება. პასუხად მომივიდა პატარა ბარათი: „ძვირფასო ალექსანდრე!

უწყება გვიან მივიღე, ვერ მომისწრო სახლში...არაფერი არ ვიცი — როგორ უნდა მოვიქცე. შენ ფრთებქვეშ ვიქნები და, რასაც მეტყვი, თუ შესაძლებელია ეს ჩემი ჯანმრთელობისათვის, გაგიგონებ. კვლავ გინახულებ...შენი ი. გრიშაშვილი. 1933. 21. X".

იმ ხანებში გრიშაშვილი ჯანმრთელობას უჩიოდა. შტატის თანამშრომლობაზე უარი თქვა, მაგრამ მოხსენებებს სისტემატურად ესწრებოდა და ჩვენს საქმიანობაში უშუალოდ მონაწილეობდა. რასაკვირველია, ი. გრიშაშვილი განაგრძობდა თანამშრომლობას მას შემდეგაც, რაც ელხი დაიშალა ცალკე ინსტიტუტებად და მის ბაზაზე, კერძოდ, 1942 წელს შეიქმნა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი. 1943 წლის 25 დეკემბრის თარიღით ი. გრიშაშვილი მწერდა: „ალექსანდრე! მე შემიძლიან შემდეგ პარასკევისათვის (31 დეკემბერს) წავიკითხო 20-წუთიანი მოხსენება „ალექსანდრე ყაზბეგი როგორც პოეტი, დრამატურგი და მსახიობი..." ეს იქნება ჩემი ულუფის გამომზეცება თქვენს ინსტიტუტში 1943 წლის ფარგლებში. ი. გრიშაშვილი. 1943. 25. XII."

1945 წლის სექტემბერში სომხეთში გადაიხადეს საიათნოვას გარდაცვალების 150 წლისთავი. ზეიმში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან გაიგზავნა დელეგაცია სამი კაცის შემადგენლობით (იოსებ გრიშაშვილი, ლეონ მელიქსეთბეგი და ამ სტრიქონების

ავტორი). მე მონაწილეობა მივიღე სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესიის მუშაობაში. წავიკითხე მოხსენება „საიათნოვა ქართული წყაროების მიხედვით“[1]. ი. გრიშაშვილმა სიტყვა წარმოთქვა საზეიმო სხდომაზე ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. გრიშაშვილმა სიტყვა ქართულად წარმოთქვა. ყველასათვის, უფრო სწორად რომ ვთქვათ, თითქმის ყველასათვის გასაგები იყო, სომხურად ან რუსულად არ უთარგმნიათ. საერთოდ, იმ დროს ერევნის განათლებული მოსახლეობის, პირველ რიგში ინტელიგენციის, დიდი ნაწილი თბილისიდან იყო ჩასული. ქართული ბევრმა იცოდა. თეატრში, ქუჩებში, მაღაზიებში ყველგან ისმოდა ქართული ლაპარაკი. სხვათა შორის, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გახლდათ გრიგოლ არუთინიანი (არუთინოვი), რომლის საშინაო სალაპარაკო ენა იყო ქართული. არუთინოვს ბევრი თბილისელი სომეხი ჰყავდა თანამშრომლად პარტიულ თუ სახელმწიფო აპარატში. მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქო ქართულად მეტყველება თავისებური ბონტონის ნიშანი იყო. ასეა თუ ისე, იოსებ გრიშაშვილმა, როგორც აღვნიშნე, ქართულად წარმოთქვა სიტყვა. მთელი დარბაზი მხურვალე ოვაციებით შეხვდა, სწორედ ისე, როგორც მას ჩვეულებრივ ხვდებოდნენ ხოლმე „გრიშაშვილის საღამოებზე“ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. ოვაცია დიდხანს გაგრძელდა. არ წყდებოდა ტაშის გრიალი. გრიშაშვილს ყველგან განსაკუთრებული პატივისცემით ხვდებოდნენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ იგი იყო საიათნოვას ჩინებული მკვლევარი და მან ქართულად დიდებულად გადმოთარგმნა სომხური პოეზიის ბევრი ნიმუში. კერძოდ, უბადლოა გრიშაშვილისეული თარგმანები ოვანეს თუმანიანის თხზულებებისა. გრიშაშვილი პირადად კარგად იცნობდა და მეგობრობდა ახალი სომხური პოეზიის ამ საყოველთაოდ აღიარებულ დიდოსტატს. გრიშაშვილმა მიამბო, რომ მან პრაქტიკულად იცოდა სალაპარაკო სომხური, სომხურ წერა-კითხვას კი დაუფლებული არა ვარო. ჩემს შეკითხვაზე, თუ როგორ თარგმნის იგი სომხურ ძეგლებს, მიპასუხა — ტექსტებს მიკითხავენ ხოლმე და სმენით ვაქართულებო.

---

[1] დაბეჭდილია სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბეში (ერევანი, 1946, № 1, გვ. 37—43).

ცნობილია, რომ გრიშაშვილის დედა იყო სოლოლაკელი სომხის ქალი. სოსომ მთხოვა, აქ, ერევანში, დეიდა მყავს, მინდა ვინახულო და წამყევიო. სიამოვნებით წავყევი. სახლის აივანზე შემოგვეგება ტანმორჩილი, თბილისური ჩიხტიკოპით, სიმპათიური ხანდაზმული მანდილოსანი. სოსოს გადაეხვია და მაგრად ჩაკოცნა, „სოსოჯან, — უთხრა, — ძალიან მომენატრეთ შენ და ქალაქური ქართულიო“. ეს სიტყვები დიდი გრძნობით იყო თქმული. გრიშაშვილის დედაც კარგი მოქართულე ყოფილა. სოსოს დეიდა თბილისიდან წასულა ერევანში. მისმა შვილმა ქართული გვარიანად იცოდა, შვილიშვილები კი მხოლოდ სომხურად ლაპარაკობდნენ.

საიათნოვასადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა ბანკეტი, რომელსაც ესწრებოდა სომხეთის მოწინავე ინტელიგენციის სამოცდაათამდე წარმომადგენელი. საქართველოს დელეგაციის სადღეგრძელოს მოჰყვა ქართული სიმღერები. ბანკეტის მონაწილე ყველა წევრმა საჭიროდ ჩათვალა, მოსულიყო ჩვენ ჯგუფთან და მოგვესალმებოდა ქართულად. მხოლოდ რამდენიმე პირი აღმოჩნდა ისეთი, რომლებმაც ქართული არ იცოდნენ. მახსოვს, მათ შორის იყვნენ მხატვარი მარტიროს სარიანი და სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე პოეტი აეტიქ ისააკიანი.

მეორე დღეს პრესაში გამოქვეყნდა სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება საიათნოვას იუბილესთან დაკავშირებით მეცნიერთა და მწერალთა ჯგუფის დაჯილდოების შესახებ. დაჯილდოებულთა შორის ერთი პირველთაგანი იყო იოსებ გრიშაშვილი, რომელსაც მიენიჭა სომხეთის სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება. მე დამაჯილდოვეს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. დაჯილდოებულთა შორის არ იყო ლეონ შელიქსეთბეგი. ლეონმა არ შეიმჩნია, მაგრამ, ეტყობოდა, ძალიან ნაწყენი დარჩა. ჩვენ, გრიშაშვილი და მე, აღმოვჩნდით უხერხულ მდგომარეობაში. გრიშაშვილს, მართლაც, დიდი დამსახურება მიუძღოდა საიათნოვას შესწავლის დარგში, მე—თითქმის არაფერი მქონია გაკეთებული ამ მხრივ. ლეონ შელიქსეთბეგი კი ნამდვილად იყო საიათნოვას ღვაწლმოსილი მკვლევარი და მისი სომხური ლექსების ქართულად მთარგმნელი. ჩვენი გულისწუხილი მოვახსენეთ ჯერ საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეს „პროფესორ გიორგი აბოვს და შემდეგ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს აგიტაცია-პროპაგანდის დარგში გრიგორიანს. ორივემ ერთი

და იგივე გვიპასუხა: თქვენ სტუმრები ბრძანდებით. ლეონ მელიქსეთბეგი ჩვენებური კაცია, შინაური, მას სხვარიგ ვცემთ პატივსო. რა თქმა უნდა, ეს განმარტება სრულებით არ იყო დამაკმაყოფილებელი, მაგრამ რა გვექნა? მე სხვა დროსაც ვყოფილვარ სომხეთში ლეონ მელიქსეთბეგთან ერთად და ვამჩნევდი, რომ მისადმი ერთგვარ გულგრილობას იჩენდნენ. მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ ამ გამოჩენილმა სომეხმა მეცნიერმა, შესანიშნავმა ქართველოლოგმა მკვლევარმა და პედაგოგმა, თბილისის უნივერსიტეტის არმენოლოგიის კათედრის გამგემ არ ისურვა ერევანში გადასვლა სამოღვაწეოდ. მადლიერი ქართველობა ვერ დაივიწყებს, რომ ლეონ მელიქსეთბეგმა მთელი თავისი ცოდნა და კოლოსალური ენერგია მოახმარა ქართული მეცნიერების წინსვლის საქმეს. იგი იყო თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი უნაყოფიერესი მუშაკი და სიკვდილის წინ უნივერსიტეტს უანდერძა თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა. იოსებ გრიშაშვილი დიდად აფასებდა ლეონ მელიქსეთბეგის ღვაწლს ქართულ-სომხური კულტურული, ლიტერატურულ-მეცნიერული ურთიერთობის დარგში, თუმცა თვლიდა, რომ მისი თარგმანები სომხური ლიტერატურიდან (საიათნოვა, ოვანეს თუმანიანი..) პწკარედი თარგმანის ზევით არ ამაღლებულა.

სტუმრები წაგვიყვანეს ეჩმიაძინში. მაშინ იქ მოღვაწეობდა თბილისის სომეხთა ეპარქიის ეპისკოპოსი, მგონი სახელად დავითი. რომელმაც ძალიან თბილად მიგვიღო (ქართული მშვენივრად იცოდა) და ეჩმიაძინის ყველა სიძველე, ყველა კუნჭული გულმოდგინედ დაგვათვალიერებინა.

მგზავრობაში კარგად მეღავნდება კაცის ხასიათი. მთელი ათი დღის განმავლობაში ერთად ვიყავი ი. გრიშაშვილთან. ჩემთვის კიდევ უფრო აშკარა გახდა, როგორი კეთილი, გულისხმიერი, თავმდაბალი და უპრეტენზიო იყო ეს სახელმოხვეჭილი ქართველი პოეტი. ის თავს მასპინძლად გრძნობდა, ზრუნვასა და ყურადღებას არ მაკლებდა. 1945 წლის სექტემბერში გრიშაშვილთან ერთად გატარებული დღეები ჩემთვის დაუვიწყარია.

მე ბევრჯერ ვყოფილვარ თბილისის უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე. მომხდარა ხოლმე, რომ მავანი აბიტურიენტისათვის დახმარების აღმოჩენა უთხოვიათ ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლებს. მე წესად მქონდა, გამეფრთხილებინა მთხოვნელი, რომ აბიტურიენტს უსათუ-

ოდ ყურადღებით მოვეპყრობოდი, პირადად გამოვცდიდი, პირადად გავასწორებდი მის ნაწერს და ცოდნას არ დაეუკარგავდი. ასეთი პრინციპით ვხელმძღვანელობდი ჩემს ხანგრძლივ პრაქტიკულ მოღვაწეობაში. მახსოვს, ერთხელ უცნობმა ახალგაზრდამ იოსებ გრიშაშვილის წერილი მომიტანა. პოეტი მწერდა:

„ძმაო ალექსანდრე! ჩვენუბნელი გოგონა გიული შათირიშვილი შვილისშვილია იმ გიორგი შათირიშვილისა, რომელმაც მამაჩემი აიძულა, რომ მე მესწავლა სკოლაში...სამი წელია ეს გოგონა იტანჯება. ეხლა უკვე მომზადებულია და, გთხოვთ, თუ ეს შესაძლებელია, ყურადღება მიაქციო!

პატივისცემით ი. გრიშაშვილი. 1959 წ. 9. VIII. ბორჯომი.
წერილს ვატან მის ძმას“.

გიორგი შათირიშვილის ამბავი ჩემთვის კარგად იყო ცნობილი. დამოუკიდებლად ამისა, რა თქმა უნდა, გულდასმით მივადევნე თვალყური გიული შათირიშვილის გამოცდებს. იგი კონკურსში ვერ გავიდა, თუმცა გამოცდები რიგიანად ჩააბარა. კონკურსი დიდი იყო. მაშინდელი წესების თანახმად, მსგავს შემთხვევაში შეიძლებოდა გამოცდა ჩაბარებული პირი დაეშვათ ლექციების მოსასმენად. თუ ექსტერნი პირველი სემესტრის საგნებს წარმატებით ჩააბარებდა, მეორე სემესტრიდან მას ჩარიცხავდნენ სტაციონარ სტუდენტად. ასეთი ბედი ეწია გიული შათირიშვილსაც. მეორე სემესტრიდან იგი უნივერსიტეტის სტუდენტად ჩაირიცხა. ბეჯითად სწავლობდა და უნივერსიტეტი დაამთავრა, მასწავლებლად გამწესდა, დაოჯახდა. გავიდა კარგა ხანი და ერთ მშვენიერ დღეს, საღამო ჟამს შინ ვმუშაობდი, რომ ვიღაც ახალგაზრდა მოსულიყო ღვინის ხელკასრით და მე ვეკითხე. შინაურებს აკრძალული ჰქონდათ უცნობის დაუკითხავად მიღება, მით უფრო, თუ იმას რაიმე მოსაკითხი ექნებოდა თან. უცნობს კარები მე თვითონ გავუღე, ვინაობა და მოსვლის მიზეზი ვკითხე. მითხრა, ჯერ შინ შემომიშვით, ეს კასრი მეოთხე სართულზე ამოვიტანე, დავიღალე, ამოვისუნთქავ და ყველაფერს აგიხსნითო. მორიდებით შემოვიდა კაბინეტში. საწერ მაგიდასთან მივიწვიე. დაჯდა, გაიღიმა. ნუ გაიკვირვებთო, თქვა, ამ უცნაურ სტუმრობას — მე თქვენი პატივისმცემელი ვარო, გაზეთებით გავიგე, რომ სამოცი წლისა გამხდარხართ. მე პროფესიით მეღვინე

ვარ, იყალთოს ღვინის ქარხნის მთავარი ტექნოლოგი. ეს კასრი ათ ლიტრა ღვინოს იტევს, ჩემი დაყენებული ღვინო მოგართვით, მინდა თქვენს ოჯახში დაგლოცოთ. თანაც პატარა სათხოვარი მაქვსო. დასძინა და განაგრძო. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ერთად საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ვეწევი, იყალთოში სახალხო უნივერსიტეტი დავაარსეთ, შოთაობის დღესასწაული დავაწესეთ; მე უნივერსიტეტის რექტორი ვარო. მთხოვა, შოთაობას დავსწრებოდი და უნივერსიტეტის გახსნის დღეს ლექცია წამეკითხა რუსთველის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. უცნობი შეჩერდა, თითქოს პასუხს ელოდებოდა. მე გაკვირვებული შევცქეროდი, პასუხს არ ვჩქარობდი. უცნობმა ისევ წამოიწყო: ბატონო ალექსანდრე, უნდა გამოვტყდე მე გიორგი შათირიშვილი ვარ, იოსებ გრიშაშვილის წერილი რომ მოგიტანეთ. დიდი ხანია მინდოდა მადლობა გადამეხადა, საბაბს ვეძებდი. ახლა მშვენიერი საბაბი ვიპოვე და ბინაში შემოგეპერითო. შათირიშვილს ხელი მაგრად ჩამოვართვი და გადავეხვიე, მადლობა მოვახსენე უურადღებისათვის. სახელდახელო სუფრა გავშალეთ („ყველი და პური, კეთილი გული“). იყალთოს ღვინით დავილოცეთ. გიორგიმ ახლა ოფიციალურად და თამამად მადღეგრძელა. მუსაიფს შევყევით და ტკბილად დავიშალეთ. რა თქმა უნდა, დანაპირები შევასრულე, პირველ შოთაობას დავესწარი და ლექცია წავიკითხე. უნდა აღვნიშნო, რომ იყალთოს სახალხო უნივერსიტეტი მართლაც კარგად მუშაობს, რამდენიმეჯერ საკავშირო ჯილდოც დაიმსახურა. იყალთოს შოთაობა ტრადიციული და პოპულარული გახდა, დიდძალ ხალხს იზიდავს და ნამდვილი სახალხო დღესასწაულის სახით ტარდება ყოველწლიურად ოქტომბრის თვის ბოლო კვირა დღეს.

ქართველმა საზოგადოებრიობამ დიდი პატივისცემით ორჯერ აღნიშნა იოსებ გრიშაშვილის საიუბილეო თარიღი, 1944-სა და 1959 წლებში. ორჯერვე აქტიური მონაწილეობა მივიღე ამ თარიღების აღნიშვნაში.

იოსებ გრიშაშვილი ხშირად უჩიოდა ჯანმრთელობას. მაგრამ იგი თავს უვლიდა. მკურნალობდა, ღვინოსა და თამბაქოს არ ეკარებოდა, ავადმყოფობამ მაინც თავისი გაიტანა. ბოლო ხანებში სკლეროზი დაეტყო. მახსოვს, 1962 წლის 22 ნოემბერს ვეწვიეთ მე და ნინო ახალ ბინაზე (ლენინის ქუჩაზე). გრიშაშვილი უკვე მწოლიარე ავადმყოფი იყო, თავზე ადგა მისი მეუღლე, სახელგანთქმული მომღერალი ქალი ქეთო ჯაფარიძე. ჩვენი მისვლა რომ გაიგო, პოეტი ფეხზე

წამოდგა და მეუღლის დახმარებით ძლივძლიობით სასტუმრო ოთახში გაბოვიდა, ძალიან სევდიანად გამოიყურებოდა, გაგვიღიმა და გულით მოგვესალმა, მაგრამ სასიცოცხლო იერი დაჰკარგოდა. როგორღაც საუბარი გავაბით, აქეთური ითქვა, იქითური. გრიშაშვილს მეტყველება უჭირდა, წამოიწყებდა რასმე და უმალ შეჩერდებოდა, სიტყვის მარაგი არ ჰყოფნიდა, სათქმელს ქეთო აგრძელებდა. დიდხანს არ დავრჩენილვართ. წამოსვლისას გრიშაშვილმა ქეთოს ხელით ანიშნა, წიგნი მოიტანეო. ახალი გამოცემული იყო მისი ხუთტომეულის მეორე ტომი. წიგნი ხელში აიღო, გადაფურცლა (ქეთომ ავტომატური კალმისტარი მიაშველა), ძალ-ღონე მოიკრიბა და აკანკალებული ხელით მოკლედ წააწერა (სხვა დროს ვრცელი წარწერა იცოდა): „ალექსანდრე ბარამიძეს, სიყვარულით და პატივისცემით. ი. გრიშაშვილი. 22 ნოემბერი (1962 წ.)“. ეს მხოლოდ შორეულად ჰგავდა გრიშაშვილის ნაწერს. სადღა იყო მისი მოქნეული, ათასგვარად დახლართულ-დაგრეხილი პოეტური ხელრთვა! რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ ვინახულეთ. ავადმყოფობა უარესად მორეოდა, ლოგინიდან ვეღარ დგებოდა, საშინლად იტანჯებოდა...

1965 წლის 29 აგვისტოს იოსებ გრიშაშვილი გარდაიცვალა.

მ ი ნ ა წ ე რ ი. მოგონებანი გრიშაშვილზე დაწერილი მქონდა, როცა სოფიო მარმა მომაწოდა მისი განსვენებული მეუღლის, ირანისტის, იური ნიკოლოზის ძე მარის გრიშაშვილისადმი მიძღვნილი სპარსული რუბაის ჩემ მიერ შესრულებული ქართული თარგმანის ხელნაწერი. ტექსტი გადაწერილია ი. გრიშაშვილის ხელით (ავტოგრაფია). სათაურად აქვს: „იური მარრის რუბაია გრიშაშვილს“. ბოლოში მიწერილია: „თარგმანი (სპარსულიდან) ალ. ბარამიძისა. 1930. 15 აპრილი“. ქართულ ტექსტს ახლავს სპარსული დედანი და რუსული პწკარედი თარგმანი (შესრულებულია ვლადიმერ ფუთურიძის მიერ). აქ ვაქვეყნებ რუბაის ქართულ ტექსტს. მისი შინაარსის გაგებისათვის მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ მარი ერთიმეორეს უპირისპირებს ორ იოსებს—იოსებ გრიშაშვილსა და ეგვიპტელ (მეგვიპტელ) ანუ მისრელ იოსებს, იოსებ მშვენიერს. ეგვიპტელი იოსების ამბავი მოთხრობილია ბიბლიასა და ყურანში. იგი იყო იაკობის უსაყვარლესი შვილი, რომელიც ძმებმა გაყიდეს. შეისყიდა ეგვიპტის მეფის დიდმა კარისკაცმა. ამ ამბავზეა აგებული მთელ აღმოსავლეთში, კერძოდ კი სპარსულენოვან სამყაროში, გავრცელებული რომანი „იოსებ

ზილიხახიანი". ქართულ ენაზე მოიპოვება „იოსებ ზილიხანიანის" ორი ძველი ვერსია, XVI და XVII საუკუნეებისა. რომანის მიხედვით, იოსებს გაუმიჯნურდნენ ზილიხა და ბაზიყა, მაგრამ მან სიყვარული უარყო. ამ მოკლე ცნობის შემდეგ მომაქვს რუბაის ჩემეული თარგმანის ტექსტი:

„ამბობენ, რომე მისი სახელი იყო იოსებ,
მისი სახისგან გაწბილდებოდა მისრის იოსებ.
ის იოსები მეგვიპტელია, ეს კი ტფილელი.
მაგრამ ქალებს კი არ გაურბის ეს იოსები".

1977

გიორგი ლეონიძის გარდაცვალება

გიორგი ლეონიძე გარდაიცვალა 1966 წლის 9 აგვისტოს, შედარებით ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ. ბ-ნი გიორგი ჩვენთვის იყო არა მარტო დიდი პოეტი და შესანიშნავი მკვლევარი, არამედ ახლო მეგობარი და ჩვენი ინსტიტუტის ხელმძღვანელი. მისმა სიკვდილმა ჩვენ ორმაგად დაგვამწუხრა და საგონებელში ჩაგვაგდო. გარდაცვალების მეორე დღეს, საღამოს, წყნეთში, განსვენებულის აგარაკზე, გაიმართა პირველი სამოქალაქო პანაშვიდი. პანაშვიდის დაწყებამდე ირაკლი აბაშიძე შემხვდა, როგორც იცის ხოლმე, მომეალერსა და მითხრა: ალექსანდრე ჩემო, ჯერ გიორგი ლეონიძე არ გაციებულა და უკვე მითქმა-მოთქმა შეიქნა იმის თაობაზე, თუ ვინ შეცვლის მას ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე; წინ რუსთველის იუბილე გვაქვს, დიდძალ სტუმრებს მოველით, საქმე უამრავია გასაკეთებელი; უნდა გამოინახოს კაცი, ვინც დროებით მაინც გაუძღვება რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტს; ჩვენ ვითათბირეთ და ერთსულოვნად გადავწყვიტეთ, რომ ეს საქმე შენ დაგაკისროთ; სამწუხაროდ, უდროობის გამო შენთან კონტაქტის დამყარება ვერ მოვახერხეთ, დღეს დილით ყველა ინსტანციაში შევთანხმდით, ახლა ყოყმანისა და, მით უმეტეს უარის თქმის დრო არ არის; დავამთავროთ რუსთველის იუბილე (რუს-

თველის დაბადების 800 წლისთავის იუბილე იწყებოდა სექტემბრის 25-იდან) და მერმე დამშვიდებით განვსაჯოთ ყველაფერიო. ირაკლი აბაშიძის წინადადება, რა თქმა უნდა, საპატიო იყო, მაგრამ ჩემთვის მოულოდნელიც და მიუღებელიც. ადმინისტრაციული საქმე საერთოდ არ მიზიდავდა, მობეზრებულიც მქონდა. ბ-ნმა ირაკლიმ მოფიქრების საშუალება არ მომცა, პანაშვიდის შემდეგ დევი სტურუა განახავს (სტურუა მაშინ იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი) და თანხმობის პასუხი უნდა მისცეო, აკადემიის პრეზიდენტის ბ-ნ ნიკო მუსხელიშვილის დასტური გვაქვსო. გაოგნებისაგან რაიმეს თქმა ვერ მოვახერხე. საზოგადოებაც შექუჩდა ჩვენს გარშემო. პანაშვიდი დაიწყო. პანაშვიდი რომ დამთავრდა, დევი სტურუამ მართლა გამიხმო, ირაკლი აბაშიძემ თუ გნახაო, მკითხა. დასტურის ნიშნად თავი რომ დავხარე, მაშასადამე, ყველაფერი გარკვეულიაო, თავისთვის დაასკვნა. დაკრძალვის დღეს ბ-ნ გიორგის გამოსათხოვარი სიტყვა უნდა უთხრათ ინსტიტუტის კოლექტივის სახელით, ეცადეთ, თქვენ გამოსვლას ერთგვარად „სეფე-სიტყვის“ ხასიათი მისცეთო, თითქო იუმორული შეგონებით დასძინა მან. პასუხს არ დაელოდა, ხელი მაგრად ჩამომართვა და გამშორდა.

გაოგნებული და შეცბუნებული აივნის სვეტს მივეყრდენი, ძალა რომ მომეკრიბა და გონების თვალით განმეჭვრიტა სიტუაცია. ამ დროს ჩემთან მოვიდა უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი აკადემიკოსი ილია ვეკუა, რაღაც შეშფოთებული ჩანხარ, შინ არ წავიდეთო? მკითხა (პანაშვიდზე ქალაქიდან მან ამომიყვანა თავისი მანქანით). გავყევი, არაფერი მითქვამს. შინ აფორიაქებული დავბრუნდი. იქ ცუდი ამბავი დამხვდა. ნინო (ჩემი მეუღლე) მწვავე ფორმის ინფარქტით იყო ავად (გადაყვა კიდევაც ამ ავადმყოფობას), კრიზი დაწყებოდა, ექიმები თავს ადგნენ. მას ვერც იმ ღამეს, ვერც მეორე დღეს ვერაფერი ვუთხარი. ცოტა რომ წამოიხედა, სამგლოვიარო სიტყვის მომზადება დავიწყე. ეს სიტყვა წარმოვთქვი 14 აგვისტოს მწერალთა სასახლეში. საიდანაც გაასვენეს გიორგი ლეონიძის ცხედარი. არ ვიცი, რამდენად შეეფერებოდა ჩემი სიტყვა „სეფე-სიტყვის“ ხასიათს, მაგრამ ჩემი (და ინსტიტუტის კოლექტივის) გულისთქმის გამოხატვა კი ნამდვილად მოვინდომე.

აი, ამ სიტყვის ტექსტი:

სამგლოვიარო მწუხრი ჩამოწვა საქართველოში.

მშობლიური ქვეყანა დღეს ეთხოვება და დიდების ნავთსაყუდლისკენ ისტუმრებს დიდ მამულიშვილს, ახალი ქართული პოეზიის ბრწყინვალე ვარსკვლავს, საქართველოს სახალხო პოეტს — გიორგი ლეონიძეს.

ჩვენი ერის, ჩვენი ხალხის საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა უჩინებულეს სარბიელს ამშვენებდა მისი სახელი.

გ. ლეონიძე იყო დიდი მწიგნობარი, ბელეტრისტი, მკვლევარი-ხელოვანი: კაცი მხნე და გამრჯელი, დაუღლელი, დაუზარელი, ჰეშმარიტად კაცური-კაცი.

ქართული მწერლობის ისტორიის უძვირფასეს განძად დარჩება გ. ლეონიძის ჩინებული გამოკვლევები. გ. ლეონიძემ გაამდიდრა ჩვენი ცოდნა და გააფართოვა ჩვენი წარმოდგენა XVII—XVIII საუკუნეების ქართულ მწერლობაზე. გ. ლეონიძემ წინ წასწია ჩვენი კულტურის მეცნიერულად შესწავლის საქმე.

გ. ლეონიძის საარსებო სულიერი ცხოვრების წყარო. მისი სულიერი ცხოვრების პური მაინც იყო პოეზია.

იდეების სიღრმით და უნივერსალიზმით, ინტერნაციონალური სულისკვეთებით, მგზნებარებით, პათოსით, გამომსახველობით საშუალებათა საოცარი იშვიათობით, სიტყვის ბარაქის მადლით გ. ლეონიძის ლექსები უტოლოა და უამხანაგო, როგორც იტყოდა დიდი ილია,— უაღრესად თავისთავადი, ძირმაგარი, ეროვნული და კიდევ ეროვნული, უწინარეს ყოვლისა.

გ. ლეონიძის პოეზია შორს გაცდა სამშობლოს საზღვრებს და დამსახურებულად მოიპოვა საერთაშორისო აღიარება:

თითქო მასზეა თქმული:

მთების სიბრტყენი გადასჭერ,
სამშობლოს გარეთ გახვედი.

გ. ლეონიძის ნათელი პოეზია ამოიზარდა, გაიშალა და გაიფურჩქნა ქართული ეროვნული კულტურის მკვიდრ ნიადაგზე. თვითონაც აღიარებს, რომ იკვებებოდა შოთა რუსთველის, გურამიშვილის, ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას ფიქრთა ფესვებით. გ. ლეონიძემ წარმტაცი ჰიმნი უმღერა ჩვენი ხალხის დიდებულ წარსულს, მის გმირულ ბრძოლას, მის ისტორიას. მაგრამ ლეონიძემ ერთმა პირველთაგანმა უკუაგდო წარსულის დრომოჭმული ტრადიციები პოეზიაში, გადაჭრით

დაგმო წარსულით ბაქიობის ცრუპატრიოტული უნიათობა და ომახიანი ხმით დაიქუხა:

აღარ გვინდა საქართველო
ვარდ-ბულბულის ქვეყნად!
გვეყო მარტო გორგასალის
ნანგრევებით კვეხნა,—
აღარ გვინდა საქართველო
საფლავების ქვეყნად!

გ. ლეონიძის პოეზიის შთაგონებაა, მისი ნამდვილი ხილვა და სუნთქვა ახალი ქართლი („მსოფლიოს დიდი ვენახი"), აღორძინებული, სვე-ბედნიერი, ახალი სოციალისტური საქართველო.

ქართული ლექსის დიდი მეხანძრე გამოტეხილად გაეუბნა თავის წინაპრებს:

მე, ლეონიძე, ახალ ქართლს ვუმღერ,
მივყიივი ზღვათა სანაპირომდი
მე იქ ბრწყინვალე დიდებას ვუმზერ,
სისხლის ცრემლებით სადაც სტიროდი.
და თუ ლექსში სჩქეფს მარად შვენებით
სიცოცხლის ძალთა ტკბილი ჟღერანი,
მისთვის რომ მიკრის შეუსვენებლივ
ფაფარგაშლილი ქართლის მერანი!
რომ სამშობლოს გულს შემოადუღა
ახალი ცეცხლი ქართლის გენიამ.
მორჩა, რაც თქვენმა ცრემლმა დამდუღრა
და, წინაპრებო, რაც თქვენ გტკენიათ!

ჩვენ მშვენიერ ქვეყანას, მის ლამაზ ბუნებას, მის ნიჭიერ, თავისუფლებისმოყვარე ხალხს, მის ტკბილ დედებს, მის უკვდავ დედაენას, ბევრი ჰყოლია და ჰყავს აღტაცებული მომღერალი. სხვაა ლეონიძე. ვისი ხსოვნიდან ამოიშლება საგალობელი ნინოწმინდისა? ვის არ მოხიბლავს ივრის დიადი ქებათა ქება? ვინ დაივიწყებს: „არ დაიდარდო დედაო!" დიდმა და პატარამ ზეპირად იცის „ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა, ჩვენი ენა ქართული".

ქსანზე, არაგვზე კვლავ აყვავდება ხოდაბუნები თავთუხებისა, ბევრი ხოხობი შეიფრთხიალებს ალაზნის ველზე, ბევრი ბადაგი დადუღდება ქართლის მარანში, ბდღვრიალა კალმახებიც ინავარდებენ მთის ჩანჩქერებში, რუსთავის ქარხნის ფოლადის ცეცხლი ისევ იდინებს ოქროს წვიმების ნაკადულებად, მაგრამ, ვაგლახ, რომ არ გვეყო-

ლება მათი მეხოტბე ჩვენი გიორგი.

მალე დადგება სექტემბერი. მოგვიახლოვდა ჩვენი კულტურის რთველი, ჩვენი სახალხო ეროვნული დღესასწაული (—შოთა რუსთველის იუბილე).

როგორ ელოდა ამ დროს ლეონიძე, როგორ შეხაროდა, როგორ ნატრობდა! რა გატაცებით ემზადებოდა და გვაქეზებდა ჩვენც, მის თანამშრომლებს!

ვაი, რომ მოლოდინი არ გაუმართლდა!

ჩვენ სიტყვას ვაძლევთ ბატონ გიორგის, რომ სათუთი გრძნობით შევინახავთ მის ნათელ ხსოვნას. მადლიერი ქართველი ერი კი ვერ დაივიწყებს მოჭირნახულე დიდებულ პოეტს.

მშვიდობით, ძმაო გიორგი, წინ გელოდება უკვდავების მარადისობა.

„თქვენ აღარა ხართ, მშვიდობა თქვენდა!“

გინდა არ გინდა 1966 წლის აგვისტოს შუა რიცხვებიდან შევუდექი ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის დროებით შესრულებას. საქმე მართლაც ბევრი იყო და საშური. რუსთველის იუბილე კარს მოგვადგა. დიდი კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ ინსტიტუტის კოლექტივი მხარში ამომიდგა და ახალი ვითარების შესაბამისად სამუშაოდ განეწყო.

ის-ის იყო საქმე კალაპოტში ჩადგა, რომ უაღრესად საპასუხისმგებლო, თუმცა დიდად მაცთუნებელი დავალება მივიღე: უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ფართო გეგმით უნდა ჩატარებულიყო ქართული კულტურის დღეები. როგორც საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური განყოფილების თავმჯდომარე, უნდა გავმძღოლოდი უნგრეთში მიმავალ დელეგაციას. ქართული კულტურის დღეები ემთხვეოდა რუსთველის დღეებს. ამან და ოჯახურმა მდგომარეობამ მაიძულა, უარი მეთქვა უნგრეთში გამგზავრებაზე. ეს მით უფრო იყო ჩემთვის დასანანი, რომ სულ ცოტა ხნით ადრე ასევე ჩამეშალა საზღვარგარეთ გამგზავრების მეორე საუკეთესო შემთხვევა. ივლისის მიწურულში უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ილია ვეკუამ შემდეგი შინაარსის სასწრაფო დეპეშა მიიღო: «31 августа [—] 6 сентября в Тегеране состоится конференция иранистов. Посольство Ирана передало АН СССР приглашение профессора Барамидзе принять участие [в] конференции. [В] случае согласия просим телегра-

фировать [и] срочно выслать выездные документы, решение инстанции. ИНО АН СССР. Корнеев».

არ ვმალავ, დეპეშამ მასიამოვნა და გამახარა. სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემატიკა იმთავითვე მიზიდავდა, არა ერთი და ორი ნაშრომი მივუძღვენი ამ საკითხებს. ახალგაზრდობის პერიოდშიც და შემდეგაც ბევრი მინატრია მენახა ფირდოუსის სამშობლო-ქვეყანა. თითქოს ჩემი ოცნება ახდა, ირანის მთავრობა თვითონ მიწვევდა სტუმრად თეირანის სამეცნიერო საერთაშორისო კონფერენციაზე დასასწრებად (სხვათა შორის, მიპატიჟების პატივი საქართველოდან მხოლოდ მე მერგო წილად). ვაი, რომ ეს შეუძლებელი გახდა ცოლის მძიმე ავადმყოფობის გამო (თორემ „უველა ინსტანციაში“ ჩემს მიპატიჟებას კმაყოფილებით შეხვდნენ). ჩემი თხოვნით რექტორმა ასეთი საპასუხო დეპეშა გაგზავნა: «Москва. В-71. Наука. Иностранный отдел. Корнееву Степану Гавриловичу, Профессор Барамидзе искренне благодарит за приглашение принять участие[в] конференции иранистов, но не может выехать [в] Тегеран [в] связи серьезной болезнью жены. Ректор Тбилисского университета академик Векуа».

ეტყობა, კონფერენციის თადარიგს ირანში ადრე შეუდგნენ, მიპატიჟებული სტუმრები (ასეთები ბევრნი იყვნენ) სექციების მიხედვით გაენაწილებინათ და სხდომათა გრაფიკი წინასწარ შეედგინათ. კონფერენციის შემდეგ ირანიდან მივიღე ცნობილი ჟურნალის بررسی تاریخی აქ ჩამოთვლილია კონფერენციის მონაწილე უველა წევრი, მათ შორის მეც ორჯერ ვარ დამოწმებული, როგორც პლენუმის და სექციის წევრი (იხ. გვ. 199, 214). თეირანის კონფერენციის შემდეგ თბილისს ეწვია ამ კონფერენციის მონაწილე პოლონელი მეცნიერი ანანიაშ ზაიანჩკოვსკი (თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი). მან ბევრი რამ საინტერესო მიამბო კონფერენციის თაობაზე. ბევრი გეძებეთო თეირანში, მიკვირდა, რომ ვერ შეგხვდით, რომ მცოდნოდა, იქ არ იყავით, კონფერენციის სათქვენო მასალებს და სუვენირებს წამოგიღებდითო.

...ახლა, მოგონებას რომ ვწერ, მეთოთხმეტე წელი დაიწყო, რაც ლიტერატურის ინსტიტუტს ვხელმძღვანელობ. დ რ ო ე ბ ი თ ი დირე-

ქტორობა ძალიან გახანგრძლივდა. რამდენიმეჯერ მონდომებით ვცადე თავი დამეხსნა ამ საპატიო უღლისაგან, მაგრამ ამაოდ...

1979

გუდიაშვილის „გურამიშვილი"

1955 წლის ოქტომბერში ჩვენმა ქვეყანამ დიდი ზეიმით აღნიშნა დავით გურამიშვილის დაბადების 250-ე წლისთავი. მრავალ ღონისძიებასთან ერთად გათვალისწინებული იყო დიდი გამოფენის მოწყობა — „დავით გურამიშვილი და მისი დრო". მთავრობამ უხვად გაიღო ამისათვის საჭირო თანხა. გამოფენას დაეთმო საქართველოს მუზეუმის ორი ფართო დარბაზი. კარგი ექსპონატები მივიღეთ მოსკოვიდან და უკრაინიდან. ისტორიის ინსტიტუტმა დროებითი სარგებლობისათვის დაგვითმო ის მასალები, რაც ადრე გამოფენილი იყო დონის მონასტერში თემაზე: „რუსულ-ქართული ურთიერთობანი XVII—XVIII საუკუნეებში".

ჩვენს გამოფენას მომსახურებას უწევდნენ საქართველოს მუზეუმი, ივანე ჯავახიშვილისა და შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ლიტერატურის მუზეუმი (აწინდელი ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები მაშინ იმყოფებოდა საქართველოს მუზეუმში). გამოფენის მოწყობის საერთო ხელმძღვანელობა მე მჭონდა დაკისრებული. გვერდში მედგნენ ელენე მეტრეველი, სოლომონ ყუბანეიშვილი, კოტე გრიგოლია, სიმონ ბოლქვაძე, რევაზ ბარამიძე, გივი მიქაძე, კოტე ჩოლოყაშვილი. დიდი დახმარება გაგვიწია რჩევითა და მასალების მოწოდებით გიორგი ლეონიძემ. გამოფენის გაფორმებისათვის საჭირო იყო მხატვრის მოწვევა. თხოვნით მივმართეთ ლადო გუდიაშვილს. ბ-ნი ლადო მაშინ ერთგვარად „შერისხული" იყო (სხვადასხვა ჯურის ვულგარიზატორებმა იგი უიდეო ფორმალისტად მონათლეს), არსად მსახურობდა, შემოქმედებითად შინ მოღვაწეობდა, კეცხოველის ქუჩაზე. ლადო გუდიაშვილმა სიამოვნებითა და ხალისით იკისრა შეთავაზებული საქმე, შთამაგონებელი გატაცებით შეუდგა მუშაობას. მთელი სამი თვის განმავლობაში ბ-ნ ლადოს ყოველდღე ვხვდებოდი. გან მაცვიფრებელი იყო მისი

აკურატობა და შინაგანი დისციპლინა, თავგამოდება, შრომის უნარი, პასუხისმგებლობის გრძნობა. მოგვაჯადოვა ბ-ნ ლადოს იშვიათმა ადამიანურმა თვისებებმა—უბრალოებამ, თავმდაბლობამ, თავაზიანობამ და სათნოებამ, მაღალი რანგის ინტელიგენტობამ. ბ-ნი ლადო ჩინებული მცოდნე იყო ძველი ქართული სულიერი კულტურისა და, კერძოდ, დავით გურამიშვილის შემოქმედებისა. მას კონსულტაციები არ სჭირდებოდა.

გამოფენა დიდებული გამოვიდა. მდიდარი მასალები გუდიაშვილისეული გემოვნებით იყო შერჩეული და ლამაზად ექსპონირებული ნათელ დარბაზებში. სექტემბრის ბოლოს გამოფენა დაათვალიერა რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, აღტაცება ვერ დაფარეს, განკარგულებაც გასცეს, რომ იუბილეს შემდეგ გამოფენა არ დაშლილიყო და საფუძვლად დასდებოდა გურამიშვილის მომავალ მემორიალურ სახლ-მუზეუმს. სამწუხაროდ, ეს განკარგულება დარჩა მხოლოდ ხმად მღაღადებლად. იუბილეს დამთავრების უმალვე ეს გამოფენაც დაიხურა და მისი ნაკვალევი აღარსად ჩანს (ისტორიის ინსტიტუტს კი დროულად დაუბრუნდა მისი მასალები).

ლადო გუდიაშვილის რეკომენდაციით რამდენიმე მხატვარს შევუკვეთეთ სურათები გამოფენისათვის. ბ-ნ ლადოსაც ვთხოვეთ, შეექმნა თავისი შეხედულებისამებრ ერთი ფერწერული სურათი დავით გურამიშვილის ცხოვრებიდან. ერთის ნაცვლად მან ორი მოზრდილი სურათი მოიტანა: „სიკვდილი გურამიშვილისა“ და „სიზმარი გურამიშვილისა“. რა თქმა უნდა, ორივე ჩინებულად იყო შესრულებული. ბ-ნმა ლადომ გამიხმო და მითხრა, რომ მის მხატვრულ გულისთქმას გამოხატავს „სიზმარი გურამიშვილისა“, ოღონდ მეორე სურათი („სიკვდილი გურამიშვილისა“) უფრო რეალისტურია და უფრო შეეფერება გამოფენის საერთო ხასიათსო. „სიზმარი გურამიშვილისა“. სიუჟეტურად იმას ემყარებოდა, რაც მოთხრობილია თვითონ „დავითიანში“—„სიზმარი დავით გურამიშვილისა ტყვეობასა შინა“. ლეკთა შემზარავ ტყვეობაში მყოფ პოეტს სიზმრად გამოცხადებია დიდწვერა ღრმა მოხუცის სახით კეთილი სული. გრძელი ჯოხის წვერით იგი აფხიზლებს მძინარე ტყვეს და თავდახსნისათვის აქეზებს:

ხმა მესმა ძილსა შინაო:
„რას ხვრინავ, რასა ფშვინაო!

აქ რას უწევხარ საძილოდ,
რატომ არ წახვალ შინაო!“
ფეხი წამომკრა წუნარადა,
ჯოხითა დამიშინაო:
„რატომ ვერ ბედავ წასვლასა,
აგრე რამ შეგაშინაო“

ამ ორი სურათიდან, განაგრძო ბ-ნმა ლადომ, ერთი ჩავთვალოთ შეკვეთით შესრულებულად და გამოვფინოთ, მეორე კი — „სიზმარი გურამიშვილისა“ — [თქვენთვის მომირთმევია სამახსოვროდო (სურათს უკვე ამკობდა ავტორისეული სამახსოვრო წარწერა). რომ ვთქვა, დიდი მადლობა მოვახსენე-მეთქი ბ-ნ ლადოს, ეს იქნებოდა უჩვეულო ემოციური ფაქტის მშრალი კონსტატაცია. ლადო გუდიაშვილის მხრივ ასეთმა ყურადღებამ უხერხულობა მაგრძნობინა და საგონებელში ჩამაგდო. ჩემი განცვიფრება და აღტაცება უბრალოდ ძმური ამბორით გამოვხატე. იმასაც აღვნიშნავ, რომ ბ-ნმა ლადომ თავისი პატარ-პატარა ესკიზებით დაასაჩუქრა ელენე მეტრეველი, რეზო ბარამიძე და გივი მიქაძე.

...დავით გურამიშვილის გამოფენა მნიშვნელოვან საფეხურად იქცა ლადო გუდიაშვილის შემოქმედებითს ცხოვრებაში. ამის შემდეგ სულ მალე მოუწყვეს მას სამხატვრო გალერეაში დიდი პერსონალური გამოფენა. ავტორის სურვილის თანახმად, გამოფენაზე ექსპონირებული იყო „სიზმარი გურამიშვილისა“ (გამოფენის ნაბეჭდ კატალოგში აღნიშნულია, რომ ის ჩემი საკუთრებაა). ეს ძვირფასი ფერწერული ტილო ამჟამად ამშვენებს ჩემს ბინას.

1979

სახელოვანი აფხაზი პოეტი

სახელოვან აფხაზ პოეტსა და მამულიშვილს დიმიტრი გულიას პირადად ვიცნობდი. იგი გამაცნო 1925 წლის შემოდგომაზე შესანიშნავმა ქართველმა ლინგვისტმა ვარლამ თოფურიამ. დიმიტრი გულია მაშინ აფხაზური ენის კურსს კითხულობდა თბილისის უნივერსიტეტში. სახელმოხვეჭილი აფხაზი პოეტი ტანმორჩილი მეჩვენა, მხცეშერეული, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა მის ნათელ სახეს. ტკბილმოუბარი იყო, დარბაისელი, ყურადღებიანი, მოალერსე. ძველი

ქართული მწერლობის სპეციალისტიაო, წარმადგინა ვარლამ თოფურიამ. ეს მეტისმეტი იყო. შევცბი, გავწითლდი. მეცნიერული ცოდნის ანაბანასაც კი არ ვიყავი სინამდვილეში ჯერ კარგად დაუფლებული. სიტყვის დაძვრა ვერ მოვახერხე. ზრდილმა აფხაზმა თითქოს გამიგო, გამიღიმა, სასიამოვნოაო ჩაილაპარაკა, წამათამამა. „გეთაყვა ვეფხისტყაოსნის რომელ გამოცემას მირჩევდითო სახელმძღვანელოდ თარგმანისათვის“. ამან აღმიდგინა სულიერი წონასწორობა. საუბარიც ნორმალურ კალაპოტში ჩადგა.

დიმიტრი გულიამ თითქმის სამი წელი დაყო თბილისში (1924—1926). გარდა სტუდენტობისა, აფხაზურის კურსს მისგან ისმენდნენ აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია. შესავალ ლექციას დაესწრო ივანე ჯავახიშვილიც, რომელიც საზოგადოდ დიდ მზრუნველობას უწევდა მის მიერვე ლექტორად მოწვეულ სტუმარს. დიმიტრი გულია იმ წლებში ქართველი ინტელიგენციის, მწერლებისა და მეცნიერების წრეში ტრიალებდა. იღრმავებდა ქართულის ცოდნას. ეცნობოდა გადასათარგმნად გამიზნულ ტექსტებს. ბევრს მუშაობდა, დაძაბული შემოქმედებითი ცხოვრების რიტმს მიჰყვებოდა. მაშინ, 1925 წელს, გამოაქვეყნა მან აფხაზეთის ისტორია. ადრე, ჯერ კიდევ 1912 წელს აქვე, თბილისში, დაიბეჭდა მისი ლექსების პირველი წიგნი. ეს იყო აფხაზური ლიტერატურის დღესასწაული. იშვა და მსოფლიო ლიტერატურის დიდ ოკეანეს შეუერთდა ერთი ახალი ნაკადული. თბილისმა განსაკუთრებული როლი შეასრულა დიმიტრი გულიას შემოქმედებითი ცხოვრების ისტორიაში. წარუშლელი კვალი დატოვა აფხაზი პოეტის ცხოვრებაში ქალაქმა გორმაც, დიმიტრი გულია ერთ დროს გორში სწავლობდა:

ამ კარგ ქალაქში მე ვსწავლობდი დიდი ხნის წინათ,
აქვე გამეხსნა სანუკვარი ცოდნის კარები;
იქნებ იმიტომ
სიმღერების ცეცხლით რომ ბრწყინავს,
სცემს ჩემი გული ამ ქალაქში მეტ მგზნებარებით.

გაოცებს და გხიბლავს კულტურის ამ უანგარო მშენებლის, განმანათლებლის, მოქალაქის, მწერლის, პედაგოგისა და მეცნიერი-მკვლევრის საარაკო ღვაწლი მისი მშობლიური ხალხის წინაშე. აფხაზთა სახალხო საქმის ვერც ერთ წამოწყებას ვერ დაიმოწმებთ, რომ დიმიტრი გულია არ ყოფილიყო მისი სული და გული, მისი მო-

თავე, მოამაგე, ბურჯი და მტკიცე კედელი, დიმიტრი გულიამ შეუქმნა თავის ხალხს ეროვნული ანბანი, ეროვნული მწიგნობრობა, ეროვნული თეატრი, ეროვნული პრესა, ეროვნული მეცნიერება და ეროვნული მხატვრული ლიტერატურა. დიმიტრი გულიამ შეადგინა მისი ხალხის მეცნიერული ისტორია, გააშუქა მისი ენის საკითხები, შეკრიბა, შეისწავლა და მზის სინათლეზე გამოიტანა მისი მდიდარი ზეპირი სიტყვიერება.

მთავარზე მთავარი მაინც ისაა, რომ დიმიტრი გულია იყო აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი და მისი ცოცხალი კლასიკოსი. როგორც პოეტმა და პროზაიკოსმა, დრამატურგმა და პუბლიცისტმა დიმიტრი გულიამ მშვენივრად გამოხატა მშობლიური ხალხის სატკივარი და სიხარული, მისი გულისთქმა, მისი სანუკვარი იდეალები. დიმიტრი გულია იყო წამომწყები და დამაგვირგვინებელი აფხაზური აღორძინებისა.

დიმიტრი გულია, რასაკვირველია, დიდი აფხაზი ეროვნული მოღვაწეა, უწინარეს ყოვლისა, მაგრამ მისთვის ვიწროა მშობლიური მხარის ფარგლები. იგი თვალსაჩინო საბჭოთა პოეტია საზოგადოდ. საბჭოთა სოციალისტური კულტურის დაუღლელი მშენებელი, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, ხალხთა ძმობის მომღერალი. ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეულია, რომ დიმიტრი გულია თავისი საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში გულმხურვალედ ემსახურებოდა აფხაზთა და ქართველთა ისტორიული ძმობის და მეგობრობის საშვილიშვილო საქმეს. დიმიტრი გულია დაუფარავად აღიარებდა, რომ დიდ რუსულ მწერლობასთან ერთად, იგი ჩააგონა, მისი შემოქმედებითი ცხოვრების გეზი განუსაზღვრა ქართულმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ და მისმა ლიტერატურამ. დიმიტრი გულია ვალში არ დარჩა. მან აფხაზურად აამეტყველა რუსთველი და ბარათაშვილი, ჭავჭავაძე და წერეთელი, ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა, შანშიაშვილი და ლეონიძე. ადრე, რევოლუციამდე, დიმიტრი გულია ილიასებურად შესჩიოდა თავის სატრფო-სამშობლოს:

ნეტაე არ მოგეხურა
შენ ღრუბლების ჩადრი!
სთქვი, სამშობლოვ, რას ჰგოდებ?
გულს რად გაწევს დარდი.

აკაკი წერეთლის მსგავსად კი გულიამ შექმნა ჩვენი ამირანის ღვიძლი ძმის აბრსკილის წარმტაცი ჰეროიკული საგალობელი.

ჭართველობამ თავისი თანამედროვე უპირველესი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექსის სახით („დიმიტრი გულიას“) ხელთუქმნელი ძეგლი დაუდგა აფხაზი ხალხის მგოსანთა მგოსანს.

1974

მოსე გოგიბერიძე

მოსე გოგიბერიძეს კარგად ვიცნობდი. თავისებური კაცი იყო, დიდად განათლებული, მეცნიერი-მკვლევარი, ფილოსოფოსი-მოაზროვნე, საზოგადო მოღვაწე. სწავლა ევროპაში ჰქონდა მიღებული, იცოდა უცხო ენები, საუბარში და ლექციების კითხვის დროსაც გურულად უქცევდა, თუმცა წერდა გამართული ლიტერატურული ენით. სამეცნიერო-კვლევითსა და პედაგოგიურ მოღვაწეობას საუცხოოდ უთავსებდა ფიზიკურ შრომას. მშვენიერი ბაღი ჰქონდა საბურთალოზე. ყველაფერს საკუთარი ხელით აკეთებდა. საოჯახო ხილი მოსდიოდა და საუკეთესო ღვინოს აყენებდა. თავი მოჰქონდა, რომ, როგორც მოყვარულმა მებაღემ, საზოგადოებრივი ყურადღება და ჯილდოც კი დაიმსახურა. თავის გამოცდილებას სხვებსაც უშურველად უზიარებდა და აქეზებდა. მებაღეობის თაობაზე ლექციებითაც გამოსულა რადიოთი. მზრუნველი და მოსიყვარულე მეოჯახე იყო. ყველაფერს დროულად ასწრებდა. აკურატული იყო და დისციპლინიანი. ლექციას უმიზეზოდ არ გააცდენდა, არც დააგვიანებდა. მისი ლექციები, უნივერსიტეტში თუ საჯაროდ წაკითხული, ღრმა შინაარსით გამოირჩეოდა, მსმენელს იზიდავდა თავისი სისადავით და კითხვის დამაინტერესებელი მანერით, რთულ ფილოსოფიურ პრობლემებსაც ყველასათვის გასაგები ენით გადმოსცემდა. ერუდიტი იყო, განსწავლული ლექტორი და ტკბილი მოსაუბრე. უხვად იყო დაჯილდოებული იუმორის გრძნობით. მოსე გოგიბერიძის ლექციებს დიდ ხალისს მატებდა მის მიერ პირადად ნანახისა და განცდილის მოზომილად ჩართვა რთულ საკითხებზე მსჯელობის დროს. სადა და უბრალო იყო ადამიანებთან, კოლეგებთან, სტუდენტებთან ურთიერთობაში. თავმდაბალი, თავაზიანი, კეთილი, სტუმართმოყვარე. მის ბინაზე ხშირად შეხვდებოდით

ქართველი ინტელიგენციის ყველა ფრთის წარმომადგენელს—მეცნიერს, მწერალს, მხატვარს, მუსიკოსს. მხიარული და გულუხვი მასპინძელი იყო. ჩვეულებრივ სტუმრებს უმასპინძლდებოდა ხოლმე მისი ნახელავი ღვინით და მის მიერვე მოწეული ხილით. მასთან სუფრაზე კაცი ვერ მოიწყენდა. შემომრჩა მისი ერთი უთარიღო ბარათი: „ძმაო ალექსანდრე! უმორჩილესად გთხოვ მობრძანდეთ დღეს ჩემსას დღის 5 საათზე და მონაწილეობა მიიღოთ ერთ-ერთი უძვირფასესი ღვინის ჭაშნიკში. იქნება ხუთიოდე კაცი (მხოლოდ მამაკაცები), რომელთა ნახვა, იცოდე, გასიამოვნებს.

თქვენი მოსე გოგიბერიძე. კობის ქ. №11, მესამე სართული“. რა თქმა უნდა, ვეახელი. ამ „ჭაშნიკს“ დაესწრნენ გერონტი ქიქოძე, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი (სხვები არ მახსოვს).

მოსე გოგიბერიძეს ყველანი ვიცნობდით როგორც დასავლური ფილოსოფიისა და საზოგადოებრივი აზროვნების ჩინებულ ისტორიკოსს. მაგრამ მოულოდნელად მან დაგვარწმუნა, რომ პროფესიული სიღრმით ერკვეოდა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაშიც. როგორც გამოცდილმა, დაუნჯებულმა სპეციალისტმა, ისე მოჰკიდა ხელი, მაგალითად, იოვანე პეტრიწის ნააზრევის მეცნიერულ ინტერპრეტაციას და ამ საკითხზე ფრიად საყურადღებო ნაშრომიც გამოაქვეყნა 1940 წელს (ეს ნაშრომი შესავალი წერილის სახით წამძღვარებული აქვს პეტრიწის შრომების I ტომს). მოსე გოგიბერიძე პირველხარისხოვანი მეცნიერი-რუსთველოლოგია, რომელმაც ღრმად და საინტერესოდ გააშუქა რუსთველის ფილოსოფიურ-ესთეტიკური ნააზრევის მრავალი მხარე. სამწუხაროდ, მისი რუსთველოლოგიური შტუდიები ფრაგმენტულად არის მოღწეული. კარგად არც ვიცით, დასცალდა თუ არა მას ერთი მთლიანი ნაშრომის შექმნა რუსთველოლოგიურ პრობლემატიკაზე. მოღწეული კი ახლა თავმოყრილია მის შესანიშნავ წიგნში „რუსთაველი. პეტრიწი. პრელუდიები“ (მასალები შეკრიბა და გამოსაცემად მოამზადა იოსებ მეგრელიძემ, თბილისი, 1961). ეს წიგნი დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს ყველა მკითხველზე. რა დასანანია, რომ მისი ავტორი ასე უღვთოდ და უდროოდ დაიღუპა.

მოსე გოგიბერიძის დასახელებულ კრებულს ამშვენებს მესამე განყოფილება, რომელსაც პრელუდიები აქვს შერქმეული და იხილავს პოეზიისა და მუსიკის რიგ პრინციპულ საკითხებს (ბარათაშვილის „მერანი“, ზაქარია ფალიაშვილის მუსიკა, იაკობ ნიკოლაძის „ჩახრუხაძე“ და სხვა). კრებულში არ შესულა მოსე გოგიბერიძის მშვენიერი

წერილი „ქართული სახლის ფილოსოფია“. ესაა მშობლიური კერის სიყვარულის ჰიმნი[1].

მოსე გოგიბერიძემ აჩემება იცოდა და ზოგი რამის მოჭარბებული შეფასება-შექება, რაც ზოგჯერ ანეგდოტური ხასიათის შემთხვევის მიზეზი ხდებოდა. ორ მაგალითს დავიმოწმებ.

თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ერთ დროს ლექციებს კითხულობდნენ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ბ-ნმა კორნელი კეკელიძემ მიამბო: ერთდროულად ქუთაისში ყოფნა გვიხდებოდა მე, დიმიტრი უზნაძეს, მიხეილ ზანდუკელს და მოსე გოგიბერიძესო. შაბათი დღე იყო, ლექციები გვითავდებოდა და თბილისში ვბრუნდებოდით. მოსემ პატარა კასრით ღვინო მოიტანა და ყური წაიღო მისი ქება-დიდებით, ასეთია და ასეთი, ოყურეშული, თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ მის სიკეთესო. ჩვენ ვუსმინეთ და არაფერი გვითქვამს. მოსეს კიდევ ჰქონდა ორსაათიანი ლექცია წასაკითხავი. ის რომ ლექციაზე წავიდა, ჩვენ გადავწყვიტეთ, მოსეს ნაქები ღვინის ჭაშნიკი გაგვესინჯა (სხვათა შორის, ბ-ნ კორნელის ღვინო ძლიერ უყვარდა). ღვინო მართლაც მშვენიერი აღმოჩნდა. ცოუნებისაგან თავი ვერ შევიკავეთ და ცოტ-ცოტა კიდეც შევსვით. დანაკლისი წყლით შევავსეთ. მოსეს თურმე ლუარსაბ ანდრონიკაშვილი ჰყავდა დაპატიჟებული და ოყურეშული ღვინო მისთვის ჰქონოდა შერჩეული. გაწბილებული დარჩა. ოინს მიგვიხვდა და გაგვებუტა. მისეული ღვინის ქება მოსესაგან შემდეგ აღარ მომისმენიაო, დასძინა ბ-ნმა კორნელიმ. ჩვენ კი ქუთაისის პედინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში რომ შევიკრიბებოდით, ვიგონებდით ამ ამბავს და ბევრს ვიცინოდითო.

1936 წლის შემოდგომიდან ბ-ნი კორნელი მე შევცვალე ქუთაისის პედინსტიტუტში. შემოდგომა იწურებოდა. ინსტიტუტის ლექტორს, ჩემი კათედრის წევრს, დათუნა ჩხეიძეს ქორწილი ჰქონდა დიმში. ინსტიტუტის დირექციამ ისარგებლა შემთხვევით, მე და მოსეს გვთხოვა, დღისით კონსულტაციები ჩაგვეტარებინა დაუსწრებელი სტუდენტებისათვის სოფელ ბაღდადში (აწინდელ მაიაკოვსკში). ბაღდადი და დიმი ერთმანეთზეა გადაბმული, დეიდასაც ნახავთ და კვიც-

[1] ეს წერილი შევიდა მოსე გოგიბერიძის რჩეულ ფილოსოფიურ ნაშრომთა IV ტომში, რომელიც 1978 წელს დაიბეჭდა (ტომი შეადგინა და განმარტებანი დაურთო ოსებ მეგრელიძემ პროფ. გ. თევზაძის რედაქციით), გვ. 217—237.

საც გახედნითო. ჩვენც ასე მოვიქეცით. ბაღდადში კონსულტაციების შემდეგ მასპინძლობა გაგვიწია ერთმა ჩვენმა ნაცნობმა მასწავლებელმა ქალმა. მოსეს ძალიან მოეწონა მისი ჩურჩხელები და ეს არც დაუფარავს. სამაგიეროდ ჩვენს ჩანთებში ექვს-ექვსი ცალი იშვიათი ჩურჩხელა აღმოჩნდა ჩაწყობილი. დათუნა ჩხეიძემ დიდებული ქორწილი გადაიხადა. მოსემ დიდად მოილხინა, ყველაფერს აქებდა. მოგვართვეს ჩურჩხელებიც. მოსე აღტაცებული იყო, მაგრამ ბაღდადურ ჩურჩხელებს მაინც ვერ შეედრებაო, ამბობდა. სუფრაზე დაგვათენდა. მატარებელზე გვეჩქარებოდა სადგურ რიონში, თბილისში ვბრუნდებოდით, კეთილ მასპინძლებს გამოვეთხოვეთ და ჩვენი ჩანთები მოვიკითხეთ. იქ ჩურჩხელები აღარ აღმოჩნდა. თურმე სუფრაზე სწორედ მოსეს ნაქები ბაღდადური ჩურჩხელებით გაგვიმასპინძლდნენ...

მოსე გოგიბერიძე შესანიშნავი მეცნიერი იყო, შესანიშნავი ადამიანი. მისი კეთილშობილური სახე არასოდეს ამოიშლება მის ნაცნობთა და მეგობართა ხსოვნიდან ისე, როგორც მის მეცნიერულ საქმეს ვერ დაივიწყებს ქართული კულტურის ისტორია.

1976

გიორგი ჯაკობია

1944 წლის 21 თებერვალს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გიორგი ჯაკობია. განსვენებული ასახიერებდა უპრეტენზიო, ჩუმი, მაგრამ ბეჯითი, ნიჭიერი, გულმოდგინე და ნაყოფიერი საბჭოთა მეცნიერი მუშაკის საუკეთესო თვისებებს.

გ. ჯაკობიას კალამს ეკუთვნის მთელი რიგი ნარკვევები და მეცნიერულ-კრიტიკული წერილები ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან. მეცნიერული საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია გ. ჯაკობიას მიერ ჯერ კიდევ 1925 წელს კრებულ „არილში“ გამოქ-

ვეყნებულმა გამოკვლევამ „ლეილ-მეჯნუნიანის ქართული ვერსიისათვის“. შემდეგ გ. ჯაკობია სისტემატურად იღრმავებდა ცოდნას და იფართოებდა კვლევა-ძიების ასპარეზს. მან საფუძვლიანად შეისწავლა სპარსული ენა და მწერლობა, სამეცნიერო მიზნით იმოგზაურა შუა აზიაში. გ. ჯაკობიამ წარმატებით განაგრძო მუშაობა სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებზე. ამის შედეგია მისი პუბლიკაცია და გამოკვლევა „იოსებ-ზილიხანიანის ქართული ვერსიები“ (თბილისი, 1927).

1934 წელს გ. ჯაკობიას თანარედაქტორობით გამოქვეყნდა თეიმურაზ პირველის თხზულებათა სრული კრებული. კრებულში შესულია მისი სპეციალური გამოკვლევა „თეიმურაზის თარგმანები“, ამ გამოკვლევის ავტორმა გამოამჟღავნა საგნის სერიოზული ცოდნა და მახვილი მეცნიერულ-კრიტიკული ალღო.

გ. ჯაკობიას რედაქციითა და გამოკვლევით დაიბეჭდა 1937 წელს პოემა „ომაინიანი“, ხოლო 1938 წელს თეიმურაზ მეორის თხზულებანი. 1941 წ. გ. ჯაკობიამ გამოსცა გალექსილი „ამირან-დარეჯანიანის“ კრიტიკული ტექსტი. ავადმყოფობის პერიოდში განსვენებული მეცნიერი დიდი მონდომებით მუშაობდა საშუალო სკოლის სახელმძღვანელოს შედგენაზე. მან მოასწრო კიდევაც მოემზადებინა გამოსაცემად VIII კლასის სახელმძღვანელო ქართულ ლიტერატურაში (გრიგოლ ბარამიძესთან ერთად).

გ. ჯაკობიას მნიშვნელოვანი ღვაწლი აქვს გაწეული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი ფონდების დაცვის, გამდიდრების, შესწავლისა და მეცნიერულ აღწერილობათა შედგენის საქმეში. ბოლო დროს გ. ჯაკობია მეთაურობდა პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სექტორს. წლების მანძილზე იგი კითხულობდა ლექციებს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

გ. ჯაკობიას სახით ჩვენმა მეცნიერებამ დაკარგა ქართული მწერლობის ისტორიის საიმედო მკვლევარი. ეს დანაკლისი მით უფრო საგრძნობია, რომ გ. ჯაკობია გარდაიცვალა მეცნიერული მოწიფულობისა და შემოქმედებითი ენერგიის მომძლავრების პერიოდში.

1944

ვარლამ თოფურია ჩემზე მხოლოდ ერთი წლით იყო უფროსი, გიმნაზია ადრე დაამთავრა და ჩვენი უნივერსიტეტის დაარსებისთანავე მისი მსმენელი გახდა. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა პირველი თაობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად (ასეთები იყვნენ სიმონ ჯანაშია, თამარ ლომოური, შალვა ამირანაშვილი, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ჯაკობია) ვარლამი საპროფესოროდ მოსამზადებლად დატოვეს.

ვარლამ თოფურია 1925 წლის შემოდგომაზე გავიცანი, როცა მეც დამტოვეს უნივერსიტეტის სტიპენდიატად. 1927 წლიდან ვარლამს თითქმის ყოველდღე ვნახულობდი. მან მონაწილეობა მიიღო იმ კომისიის მუშაობაში, რომელმაც სიძველეთსაცავის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი გადმომაბარა (მაშინ ამ ფონდში ითვლებოდა ილია ჭავჭავაძის კაბინეტი და მწერლის პირადი ნივთები). ჩემსა და ვარლამს შორის გულითადი მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. ვარლამი ხშირად მოდიოდა ხელნაწერებზე სამუშაოდ. ზოგჯერ თავისი საცოლე ქ-ნი თამარიც მოჰყავდა. თამარი ეხმარებოდა ტექსტების შეჯერებასა და გადმოწერაში, ამისათვის საგანგებოდ შეასწავლა „ხუცურის“ კითხვა.

როგორც ცნობილია, 1930 წლის სექტემბრიდან უნივერსიტეტის სიძველეთსაცავი და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი მთელი თავისი შტატით გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს. ვარლამი, რა თქმა უნდა, საქართველოს მუზეუმის ხშირი სტუმარი იყო. ჩვენი მეგობრობაც კვლავინდებურად გრძელდებოდა. უნივერსიტეტის დაშლის შემდეგ ჩვენ პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორებად დავრჩით, თუმცა მცირე პედაგოგიური დატვირთვა გვქონდა და ფაქტობრივ საათობრივ ანაზღაურებაზე ვიყავით გადაყვანილი. ვარლამმა მასწავლებლობა დაიწყო პირველ საშუალო საცდელ-საჩვენებელ სკოლაში, მე ვასწავლიდი საშუალო სკოლის სალამოს კურსებზე (დღისით მუზეუმში ვმსახურობდი).

იმ დროს, 1930 წლის ბოლოს, გამომცემლობა „ფედერაციის“ დირექტორმა სიმონ ხუნდაძემ შემომთავაზა ბესიკის გამოცემა. შევიამხანაგე ვარლამი და საქმეს გატაცებით შევუდექით. ბესიკის თხზულებების თავმოყრა და კრიტიკულად დადგენა ძალიან რთული გამოდგა.

ამ უპოპულარესი პოეტის ლექსები გაფანტული იყო სხვადასხვა ხელნაწერ კრებულებში, ანთოლოგია-ქრესტომათიებში და ალბომებში ხშირად ავტორწარუწერელად ან სხვა ავტორების ნაწერებში არეულად, დამახინჯებულად და წარყვნილად. დიდი მონდომებისა და ბეჯითი შრომის შედეგად ასე თუ ისე გადავლახეთ ეს სიძნელეები და 1932 წელს გამოვაქვეყნეთ ბესიკის თხზულებათა კრებული საჭირო მეცნიერული აპარატით (შევსებულ-შესწორებული სახით იგი მეორედ დაიბეჭდა 1962 წელს). სწორედ ბესიკზე მუშაობისას გამომჟღავნდა, რასაკვირველია ჩემთვის, ვარლამ თოფურიას საუცხოო ფილოლოგიური განსწავლულობა, დიდი ნიჭი, შრომისმოყვარეობა და აკურატობა. ბესიკის თხზულებათა მეორე გამოცემას ახლავს ვარლამ თოფურიას მიერ სანიმუშოდ შედგენილი ვრცელი ლექსიკონი და საძიებლები.

მე არ ვაპირებ ვარლამ თოფურიას სამეცნიერო მოღვაწეობის დახასიათებას (ვერც შევძლებ). ვიტყვი მხოლოდ, რომ ქართული ენისა და მისი კილოების ჩინებული მკვლევარი ყურადღებას არ აკლებდა ქართულ მწერლობას. მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშნო, რომ ვარლამ თოფურიამ ბევრი მასალა დამიძებნა და მომაწოდა ჩემთვის საინტერესო სხვადასხვა საკითხებზე.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი აკურატული და პუნქტუალური იყო ვარლამ თოფურია, კეთილსინდისიერი, დაუზარელი, თავაზიანი და საიმედო, დავიმოწმებ მის ერთ კერძო წერილს, რომელიც თბილისიდან გამომიგზავნა ლენინგრადში 1934 წლის ნოემბერში (ვიმყოფებოდი სამეცნიერო მივლინებაში). ყურადღება მისაქცევია წერილის ლაკონიური სტილი და საქმიანი ხასიათი.

ძმაო ალექსანდრე!

წერილს გწერ ალალბედზე. საეჭვოა, რომ მიიღო. წერილი მომივიდა დაგვიანებით და პასუხიც ეგების დაგვიანდეს. უღრმესი მოკითხვა ქალბატონ ნინოს. ვუსურვებ წარმატებებს ქალაქთა დათვალიერებაში, შენთვის კი მისურვებია ნაყოფიერი მუშაობა. სასიამოვნოა, რომ მოახერხე წესიერი მუშაობა. მოკლედ:

1. „ქილილა და დამანას“ ფოტოგრაფირებას შევიტანთ ხარჯთაღრიცხვაში და, ვფიქრობ, მალეც შევუკვეთავთ.

2. ალ. კობახიძემ საკმაო წყალობა გაიღო (ორჯერ გამოგვიგზავნა ფოტოპირები) და კიდევ ვსთხოვთ წყალობათა არ მოკლებას. ჩემი ცალკე და ინსტიტუტისა ცალკე — დიდი მადლობა მოახსენე. წერილითაც მოვიგონებთ მოკლე ხანში.

3. შენი წერილი იბეჭდება „მემკვიდრეობაში“. ნაწილის კორექტურა გავაკეთე. თუ ჩემი ქუთაისში წასვლამდის მომცეს (მეორე ნაწილი), ვუკორექტორებ, თუ არადა, ვინმეს დავუტოვებ სანდოს.

4. ინსტიტუტში მუშაობა გაიშალა. კორნელიმ მშვენიერი მოხსენება წაიკითხა „აბოზე“. ძვ. ლიტ. სექცია ცალკე მუშაობს. შენც აქა ხარ.

5. რომ ჩამოხვალ, რამდენიმე მოხსენება იქარაუდე, საანგარიშოც და სხვაც.

6. „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოებაზე დისკუსია იყო მწერალთა კავშირში. ერთხელ დავესწარი. ვუკოლი გამოვიდა ჩინებულად. სხვა ვარჯიშობა და ზოგადობა იყოო—ამბობენ.

7. უნივერსიტეტში ცვლილებები მოხდა. ბევრი მოხსნეს. თუ ვინ, ამას გაიგებ.

8. ლიტ. ფაკ. დეკანია ბ. ბუაჩიძე.

სხვა ახალი არაა საინტერესო.

იყავ კარგად.

შენი ვ. თოფურია.

22. XI. 34.

დღეს საბჭოების არჩევნებია!

ამ წერილს სჭირდება ზოგიერთი განმარტება, შევეხები მუხლობრივ:

1—2. ლაპარაკია ლენინგრადის ყოფილი სააზიო მუზეუმის (აწ — აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების) ორ ქართულ ხელნაწერზე. მე ვმუშაობდი „ქილილა და დამა-

ნას“ ვერსიებზე და მჭირდებოდა ამ ვერსიების ლენინგრადული ხელნაწერების ფოტოპირები. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას განაგებდა დოცენტი ალექსანდრე კობახიძე, რომელმაც დიდი დახმარება გამიწია მუშაობაში, კობახიძემ მირჩია შესაფერისი ტექსტების ფოტოპირების გადაღება. ოფიციალურად დაეკვეთა მაშინ თბილისის უნივერსიტეტთან ახლად დაარსებულ პირველ ქართულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს — „ელხს“ (ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების ინსტიტუტს). იმხანად „ელხის“ სწავლული მდივნის მოვალეობას საზოგადოებრივ საწყისზე ასრულებდა ვარლამ თოფურია.

3. იგულისხმება „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, რომლის პირველი (და უკანასკნელი) ნომერი გამოვიდა 1935 წელს. იქ იბეჭდებოდა ჩემი ნარკვევი „შაჰნამეს ქართული თარგმანის ახლადაღმოჩენილი პროზაული ვერსია“. ვარლამმა იკისრა ამ ნარკვევის კორექტურის გაკეთება. იგი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტშიც კითხულობდა ლექციებს.

4. „აბოზე“ — აბო ტფილელის მარტვილობაზე, იოვანე საბანისძის ბრწყინვალე ლიტერატურულ ძეგლზე.

5. თბილისში დაბრუნებისას, უწინარეს ყოვლისა, წავიკითხე სამეცნიერო მივლინების ანგარიში

6. დისკუსია, რომელიც მწერალთა კავშირში გაიმართა, მიეძღვნა ვეფხისტყაოსნის ჰიჭინაძისეული გამოცემის განხილვას. ასეთივე ხასიათის მეორე დისკუსია იმავე წელს მოეწყო თბილისის უნივერსიტეტში. იმის თაობაზე საუბარია იოსებ გრიშაშვილის წერილში (დაბეჭდილია აქვე, მოგონებათა ამ წიგნში). მეორე დისკუსიაში მონაწილეობა მიუღია ივანე ჯავახიშვილს. იგი პირადად სხდომას არ დასწრებია. ივ. ჯავახიშვილის მოხსენებითი ბარათის ტექსტი წაუკითხავს ვარლამ თოფურიას. ეს ტექსტი გამოქვეყნებულია (ივ. ჯავახიშვილი. ქართული ენისა და მწერლობის საკითხები, თბ. 1956 გვ. 20—30).

მინაწერი — „დღეს საბჭოების არჩევნებია“ იმას გამოუწვევია, რომ საბჭოთა არჩევნები მაშინ ახალი იყო და პატრიოტ მეცნიერს ამაზე გაუმახვილებია ყურადღება

განცვიფრებას იწვევდა ვარლამ თოფურიას ენერგია. იგი თავდაუზოგავი იყო, მოსვენება არ იცოდა, პრინციპული, მომთხოვნი

თავის თავისა და სხვების მიმართ, დასკვნების გამოტანისას დინჯი, აუჩქარებელი, შრომაშიც და ცხოვრებაშიც მშვიდი, ჩუმი, უპრეტენზიო. ხშირად უჩიოდა დროის უქონლობას. ყოველ შემთხვევას მაქსიმალურად იყენებდა მეცნიერული დაკვირვებისა და განსჯისათვის. ერთხელ მე და ვარლამი ბათუმში ვიყავით, დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტების შეკრებაზე ლექცია-კონსულტაციების ჩასატარებლად. ერთი დღით ჩემს სოფელში გამოვიარეთ. ნოემბრის დამდეგი იყო, მშვენიერი ამინდი შეგვესწრო. ვარლამმა გაიხარა, იგი მოხიბლა სოფლის სილამაზემ და მყუდროებამ. დედაჩემი მარტო ცხოვრობდა (მამა გარდაცვლილი იყო). დედა საუზმის მზადებას შეუდგა. ჩვენ ეზო დავათვალიერეთ. ერთ მაღალ ხეზე დედას „ადესის“ ყურძენი დაეტოვებინა მოუკრეფავი, ვარლამი მკვირცხლად ავიდა ხეზე და ერთი დიდი გიდელი გაავსო დამტკბარი მტევნებით. დედაჩემი ხელმარჯვე დიასახლისი იყო და, სანამ ჩვენ საუზმეს შევექცეოდით, ვარლამის დაკრეფილი ყურძნის ბადაგიდან ფელამუშიც მოადუღა. მეორე დღეს დილით თბილისში უნდა გავმგზავრებულიყავით მატარებლით. რკინიგზის სადგური საკმაოდ შორს იყო და ამიტომ გადავწყვიტეთ, ღამე ბაბუაჩემთან (დედის მამასთან) გაგვეთია სოფელ გვიმბალაურში. ბევრის მომსწრე და ბევრის მნახველ, სიტყვაუხვ გურულ გლეხს, ბაბუაჩემს (მიხეილ იმნაძეს) ვარლამმა უამრავი შეკითხვა დაუყარა, განსაკუთრებით აინტერესებდა სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნივთების სახელწოდებანი. პასუხებს ვარლამი ინიშნავდა უბის წიგნაკში. მახსოვს, სიტყვა ჩამოვარდა სოფლის სახელწოდებაზე — გვიმბალაური. ვარლამმა ბაბუაჩემს ჰკითხა. გვიმრა თუ იცისო თქვენს სოფელში. ბაბუაჩემმაც პასუხი არ დააყოვნა, გვიმრაზე რა მოგახსენო და გვიმბრა კი ძველად მოდებული იყო ყველგან, სერებზე და მინდვრებშიო, ნაგვიმბრალში ახლა ჩაი ხარობსო. ვარლამი ოდნავ დაფიქრდა და შემდეგ სწრაფად დაასკვნა, თქვენ სოფელს, ალბათ გვიმბრალაური ერქვაო, რაც გვიმბრიან (გვიმრიან) ადგილს ნიშნავსო. გვიან ნაშუაღამემდე გაგრძელდა ვარლამისა და ბაბუაჩემის „დიალექტოლოგიური“ საუბრები. ბაბუაჩემიც კმაყოფილი დარჩა და ვარლამიც. სოფელში რომ ჩავდიოდი, ბაბუაჩემი ყოველთვის კეთილი გულით მოიკითხავდა ხოლმე იმ ჩემს „ნასტავლ“ ამხანაგს, მეხვეწებოდა, კიდევ მოიყვანე, საინტერესო რამეებს ვუამბობო.

ვარლამ თოფურია პედაგოგად იყო დაბადებული. ალმზრდელ მასწავლებლად, დამრიგებლად. სტუდენტებთან ყოველთვის უშუალო, ცოცხალი, საქმიანი კონტაქტები ჰქონდა. მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა საშუალო სკოლის მასწავლებლებთანაც (უმეტეს წილად ისინი მისივე მოწაფეები იყვნენ). მე ბევრჯერ მინახავს კვირაუქმე დღეებში ვარლამი თავის კაბინეტში გარშემორტყმული მასწავლებლებითა და სტუდენტებით (რა თქმა უნდა, ასევე ასპირანტებით) ზოგს თავისი ნაწერი მოეტანა და სთხოვდა წაეკითხა, მისი ავტორიტეტული აზრი გამოეთქვა ნაშრომზე. ვის რა საკითხი აწუხებდა და ვის რა. ვარლამი ყველას გულუხვად უნაწილებდა თავისი ცოდნისა და გამოცდილების მადლს. მე მაკვირვებდა, რომ დროის ნაკლებობაზე მოჩივარი ჩემი მეგობარი სხვებისათვის დროს არ იშურებდა. ი'შვიათად შეშხეედრია სხვა ვინმე, ვარლამისებურად გულმოდგინე მზრუნველი და მომთმენი რომ ყოფილიყო მოსწავლე ახალგაზრდობის მიმართ. გამოცდებისას ზომიერად მკაცრი ' იყო და უ'შეღავათო, მაგრამ სტუდენტები კმაყოფილი ხვდებოდნენ მის განაჩენს.

ვარლამ თოფურიას არც მძიმე ფიზიკური შრომა ეუცხოებოდა. დაოჯახდა და დაწვრილშვილდა. ბინა ცუდი ჰქონდა, პატარა, ბნელი, ბავშვები ხშირად ავადმყოფობდნენ, განსაკუთრებით ვაჟიშვილი — გურამი (ახლა შესანიშნავი ენათმეცნიერი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში). სხვა გამოსავალი რომ არ ჩანდა, წამოიწყო სახლის მშენებლობა თითქმის სრულიად უდაბურ ადგილზე (ახლა ბარნოვის ქ. № 148). ბევრს ეხმარებოდა უკვე მოხუცი და დაინვალიდებული, თუმცა საერთოდ მხნე და გამრჯე მამამისი, ტრიფონი, პროფესიით დურგალი. ვარლამს მამისაგან თვითონაც ესწავლა ეს ხელობა. და აი მამა და შვილმა, ბოლოსდაბოლოს, დიდი შრომის შედეგად ააშენეს და გააწყვეს რიგიანი ფართო ბინა. რაღა თქმა უნდა, ეს მოხდა ვარლამისათვის ეგოდენ საჭირო დაზოგილი დროის ხარჯზე...

ვარლამი ყოველთვის გამოირჩეოდა როგორც მეოჯახე, მზრუნველი, მოყვარული მეუღლე და მამა. იგი იყო უაღრესობამდე უბრალო, კეთილი, ხათრიანი, ნამუსიანი კაცი, მოქალაქე, მამულიშვილი.

ვარლამ თოფურია ადრე გარდაიცვალა, შემოქმედებითი ენერგიის მოზღვავების დროს. ქართულმა მეცნიერებამ ვარლამის სახით

დაკარგა სახელოვანი მოღვაწე, მე კი ჩემდა თავად სიყრმის გულითადი მეგობარი.

1901

დიმიტრი შევარდნაძე

დიმიტრი შევარდნაძეს ახლოს არ ვიცნობდი, თუმცა არა ერთხელ შევხვედრივარ სხვადასხვა საკრებულოში. იგი ხანდისხან საქართველოს მუზეუმში მოდიოდა თავის ძმასთან, მიხეილთან, რომელიც ამ მუზეუმის სამეცნიერო ბიბლიოთეკას განაგებდა. დიმიტრი შევარდნაძე გარეგნული წარმოსადეგობით არ გამოირჩეოდა, ტანმორჩილი და ტანმოხრილი კაცი იყო. სახეს უმშვენებდა ფართო შუბლი, ცეცხლოვანი თვალები და აშლილი, უკან გადავარცხნილი ხშირი თმა. იგი გხიბლავდა თავისი კეთილშობილური შინაგანი ბუნებით, ფაქიზი ზნეობით, მახვილი ჭკუით, ნათელი გონებით, ღრმა განსწავლულობით, დახვეწილი გემოვნებით, ზრდილობით, დარბაისლობით, მაღალი რანგის ინტელიგენტობით (საუკეთესო ადამიანური თვისებები ამკობდა განათლებულ ბიბლიოთეკარ მიხეილ შევარდნაძესაც).

დ. შევარდნაძე თავდაუზოგავი საზოგადო მოღვაწე იყო, ნამუსიანი მამული შვილი, ცოცხალი, მოძრავი, ენერგიული, საქმიანი, მაძიებელი სულის პატრონი. მუდმივ ახალ გეგმებზე და ახალ პროექტებზე ფიქრობდა. ხალისიანი მოსაუბრე იყო, იუმორის გრძნობით უხვად დაჯილდოებული, ექვთიმე თაყაიშვილივით გურულად უქცევდა. დ. შევარდნაძის თაოსნობისა და ორგანიზატორული ნიჭის შედეგია თბილისის სამხატვრო გალერეის დაარსება. თვითონვე უნარიანად უძღვებოდა ამ გალერეიას, როგორც დირექტორი.

დ. შევარდნაძის სახელს უკავშირდება შოთა რუსთველის ერთხანს დაკარგულად მიჩნეული განთქმული ძველი ხელნაწერული პორტრეტის მოპოვება[1].

---

[1] პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, I. 1926, გვ. 350; გ. შარაძე. არჭეოგრაფიული ძიებანი, თბილისი, 1973, გვ. 9—10.

იგი ავტორია პირველი უმაღლესი სასწავლებლის (თბილისის უნივერსიტეტის) მშვენიერი ემბლემისა — შვლის ნუკრი ძუძუს რომ სწოვს დედას. ემბლემა ალეგორიული შინაარსისაა: შვლის ნუკრი სტუდენტია, რომელიც სიბრძნის ტაძრიდან იღებს ცოდნას. რამდენადაც ვიცი, ემბლემის იდეა ეკუთვნის ივანე ჯავახიშვილს. მისი ჩანაფიქრი კი მხატვარმა საუცხოოდ განასახიერა.

1979

ლევან ასათიანის ხსოვნას

ლევან ასათიანი ახლა უკვე ისტორიას ეკუთვნის. ჩვენი კულტურის მატიანეში იგი შევიდა როგორც დახვეწილი გემოვნების მწერალი კრიტიკოსი, ნიჭიერი მეცნიერი-მკვლევარი, გამოცდილი ტექსტოლოგი, დახელოვნებული ჟურნალისტი (ჟურნალისტიკის ისტორიკოსი), ერუდიტი რედაქტორი, ანთებული გულის პატრონი, მოქალაქე მამულიშვილი, უანგარო, მაღალზნეობრივი საზოგადო მოღვაწე.

ლევან ასათიანს ამკობდა უწყინარი, უპრეტენზიო, თავმდაბალი, თავაზიანი, დინჯი და დარბაისელი მშრომელი ქართველი ინტელიგენტის საუკეთესო თვისებები.

მახვილგონიერი, ფაქიზი იუმორის გრძნობით უხვად დაჯილდოებული, ხალისიანი, სიცოცხლის უზომოდ მოყვარული, გულღია, გულთბილი და გულკეთილი. იგი იყო უაღრესად პრინციპული და უკომპრომისო საზოგადოებრივ, სამეცნიერო და სალიტერატურო სარბიელზე. ლევან ასათიანის შემოქმედი, მაძიებელი სული ვერ ეგუებოდა ძველს, დახავსებულს, დრომოჭმულსა და ბანალურს.

ამას წინათ გამოქვეყნდა ლევან ასათიანის რჩეული მეცნიერულ-კრიტიკული ნაწერების პირველი ეეებერთელა ტომი. ეს ტომი ქართული ლიტერატურათმცოდნეობის დიდი შენაძენია, თუმცა ეს ტომი ოდნავაც ვერ ამოწურავს მისი ავტორის შემოქმედებითს მემკვიდრეობას. შესანიშნავია ლევან ასათიანის ნაშრომი „ცხოვრე-

ბა აკაკი წერეთლისა". იგი წარმოადგენს სპეციალურ გამოკვლევასაც და სახალხოდ საკითხავ წიგნსაც. ამ წიგნით ლევან ასათიანმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ახალ, ორიგინალურ ჟანრს. წარმატებით განაგრძობდა მუშაობას ამ დარგში, ბედმა უმუხთლა. დაუმთავრებელი დარჩა „ცხოვრება ილია ჭავჭავაძისა" (მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი შექმნა).

სათუთი გულისყურით იკვლევდა ლევან ასათიანი ძველი ქართული მწერლობის მივიწყებულ საკითხებს და მრავალი ჩინებული ნარკვევი დაგვიტოვა: „ვოლტერიანობა საქართველოში", „ძველი საქართველოს პოეტი ქალები", „ქართული პოეზიის დიდი ტრადიცია", „გურამიშვილის საფლავთან".

ლევან ასათიანი სწავლობდა და აფასებდა ქართული კულტურის როგორც გოლიათებს, ისე ღვაწლმოსილ რიგითს მუშაკებს. ამ მხრივ სანიმუშოა მისი მშვენიერი ნარკვევი „ქართველი მწიგნობარი" (იგივე „ქართველი შოველი"—ზაქარია ჭიჭინაძე).

ლევან ასათიანი საგანგებო ყურადღებას აქცევდა ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემატიკას. გულმოდგინედ იკვლევ-იძიებდა იგი მეზობელ ხალხებთან ქართველობის ძმობა-მეგობრობისა და კულტურული თანამშრომლობის ისტორიულ ფესვებს. შთამბეჭდავია მისი ნარკვევები ტარას შევჩენკოზე, ივან ფრანკოზე, ლესია უკრაინკაზე, გაბრიელ სუნდუკიანზე, ოვანეს თუმანიანზე, მირზა-ფატალი ახუნდოვზე, პავლო ტიჩინაზე, მიკოლა ბაჟანზე...სერიოზული ნაშრომები მიუძღვნა მან ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებს და რიგი გამოჩენილი რუსი კლასიკოსების შემოქმედებას.

საბჭოთა ხალხების ძმობა-მეგობრობის კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდა ლევან ასათიანი როგორც მახვილი კალმით, ისე მგზნებარე სიტყვით. ჩვენ ბევრჯერ მოგვისმენია მისი ღრმად შინაარსიანი სიტყვა თუ მოხსენება შინაც და გარეთაც. განსაკუთრებით დაუვიწყარია ჩვენთვის 1948 წელი. გურამიშვილის ნაკვალევზე მოგზაურობა უკრაინაში შალვა დადიანთან და ძვირფას ლევან ასათიანთან ერთად, ლევანის აღტაცებული გამოსვლები პოლტავასა, მირგოროდისა და ზუბოვკის ხალხმრავალ მიტინგებზე.

ლევან ასათიანი ჩვენგან წავიდა მისი მეცნიერულ-შემოქმედებითი ძალების სრული მოწიფულობის დროს. მას დარჩა ბევრი დაუმთავრებელი წამოწყება, ბევრი ნაფიქრ-ნააზრევი. ბევრი ნაოცნე-

ბარი ჩაჰყვა სამარეში. მით უფრო მძიმეა მისი დანაკლისი, მით უფრო მტკივნეულია მისი მოგონება.

ამხანაგების, მეგობრების, მახლობლებისა და ნაცნობების გულიდან ვერ ამოიშლება ლევან ასათიანის ნათელი ხსოვნა, მის საქმესა და სახელს კი ვერ დაივიწყებს ქართული კულტურის ვერც აწინდელი და ვერც მერმინდელი მემატიანე.

1960

ბორის გაპონოვის გახსენება

შვეიცარიულ გაზეთში «Basler Nachrichten» (18. 9. 69. № 389) დაიბეჭდა ვ. არნოლდის წერილი „ქართული ეროვნული ეპოსი ისრაელში“ (შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის ებრაული თარგმანისათვის)[1]. წერილის ავტორი ამბობს, რომ „ვეფხისტყაოსნის [ებრაული] თარგმანი ნამდვილ სენსაციას წარმოადგენს“. ამ ამბავსო, წერს არნოლდი, „ორი გმირი ჰყავს, პირველია თვითონ შოთა რუსთველი, XII საუკუნის დიდი ქართველი პოეტი-ჰუმანისტი, რომელმაც შექმნა სრულიად განსაკუთრებული საკუთარი პოეტური სამყარო, მეორე გმირიაო ახალგაზრდა ბორის გაპონოვი, რომელმაც ბრწყინვალედ გადათარგმნა შოთა რუსთველის ვეფხისტყაოსანი კლასიკურ ებრაულ ენაზე. „ძნელი დასაჯერებელია, შენიშნავს ვ. არნოლდი, როგორ მიაღწია ბორის გაპონოვმა ასეთ ვირტუოზულობას ებრაული ენის ცოდნაში“. ამ თარგმანის მთელი ისტორია „სასწაულსა ჰგავს, არა“?—კითხულობს შვეიცარიელი რეცენზენტი.

მაინც ვინ არის მანამდის უცნობი ეს ბორის გაპონოვი, რომელმაც ასე ერთბაშად მოხიბლა და გააოცა ებრაულის მცოდნე სპეციალისტი?

გაპონოვის სახელი პირველად გავიგონე ბესო ჟღენტისაგან. ერთხელ, 1968 წლის ადრე გაზაფხულზე, ბესომ მითხრა, რომ ქუთაისში ცხოვრობს ასეთი კაცი, ნიჭიერი მთარგმნელია რუსულიდან და

[1] ვ. არნოლდის წერილის ქართული თარგმანი გამოქვეყნებულია ჟურნალ „მაცნეში“ (1969, № 6).

ქართულიდან ებრაულ ენაზე, რომ ახლა იგი გატაცებით მუშაობს ვეფხისტყაოსანზე, რომ კიდევაც აღუთქვეს ისრაელში ვეფხისტყაოსნის მისეული თარგმანის გამოქვეყნება და გთხოვა ამ გამოცემისთვის დაუწერო შესავალი წერილიო. ნარკვევი მოვამზადე და ბესოს ხელით გავგზავნე ქუთაისში, რამდენიმე ხნის შემდეგ გაპონოვისაგან მივიღე წერილი, რომლის ტექსტიც აქ მთლიანად უცვლელად მომყავს:

„პატივცემულო ბატონო ალექსანდრე!

ბესარიონ ჟღენტის მეშვეობით მივიღე თქვენი ფოტო-სურათი გამომცემელ შლიონსკისათვის. ბოლო წერილებში ის დაჟინებით მთხოვს გავუგზავნო თქვენს შესახებ ბიოგრაფიული ცნობები, რომლებიც მას სურს გააცნოს ვეფხისტყაოსნის თარგმანის მომავალ მკითხველს (ძალიან ახლო მომავლის!). შეწუხებად ხომ არ ჩამომართმევთ, ვინმეს დაავალოთ ამ ცნობების გამოგზავნა?

რაც შეეხება თვით თარგმანს, ის უკვე აწყობილია და პირველი კორექტურაც ჰქონიათ წაკითხული. შლიონსკი ვარაუდობს, რომ წლის ბოლომდე წიგნი ხელთ მექნება. მაშინ ვაპირებ თბილისში ჩამოსვლას. რათა მოგართვათ ეგზემპლარი თარგმანისა, რომელსაც თქვენი წინასიტყვაობა ამშვენებს.

მე განზრახული მაქვს დავწერო წიგნი „რუსთაველი და ბიბლია". შეგროვილი მაქვს სათანადო მასალები და ძალიან მადლობელი ვიქნები თქვენი, თუ თბილისში ჩემი ჩამოსვლისას რჩევა-დარიგებასა და კონსულტაციას გამიწევთ. ვფიქრობ, რომ ასეთი წიგნის გამოსვლა (რა თქმა უნდა, თუ გავართვი თავი) სასარგებლო იქნება და ვიცი რომ საქართველოში მისი დასტამბვის შემდეგ ჩემი ლენინგრადელი მასპინძლები (პროფესორი ამუსინი და დოცენტი ორბელი აზიის ხალხთა ინსტიტუტიდან, პროფესორი ვინიკოვი—უნივერსიტეტის სემიტოლოგიის კათედრის დეკანი და სხვა) სათანადო დახმარებას გამიწევენ ლენინგრადში ან მოსკოვში ამ ნაშრომის დასაბეჭდად.

გთვალისწინებული მაქვს აგრეთვე ებრაელ მკითხველს გავაცნო ქართული ლიტერატურის ნიმუშები — ჩვენი თანამედროვე გამოჩენილი პოეტების ლექსები, ბესარიონ ჟღენტის სტატია გერცელ ბააზოვზე და სხვა.

დიდ ბოდიშს გიხდით შეწუხებისათვის.
ღრმა პატივისცემით ბ. გაპონოვი. 2. IX. 68 წ.

ქუთაისი, ჯაფარიძის ქ. №135".

მე გამაკვირვა ბ. გაპონოვის წერილის გამართულმა ქართულმა, მთარგმნელის იშვიათმა ოპერატიულობამ და წიგნის ბეჭდვის ელვისებურმა სისწრაფემ. მომეწონა წერილის საქმიანი კილო, ავტორის მოკრძალება, მისი გეგმები.

ვეფხისტყაოსნის ებრაული თარგმანი მართლაც დათქმულ ვადაში გამოვიდა. 1969 წლის დასაწყისში (იანვარსა თუ თებერვალში) გაპონოვი თბილისში მეწვია ბინაზე და ვეფხისტყაოსნის ებრაული

თარგმანის ერთი ცალი აბრამ შლიონსკის მოძღვნითი წარწერით გადმომცა (აბრამ შლიონსკი არის ცნობილი ებრაელი პოეტი, გაპონოვისეული თარგმანის რედაქტორი და წინასიტყვის ავტორი). გარეგნულად წიგნი საუცხოოა. დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე, აქვს სუპერი, ჩასმულია მშვენიერ ყდაში, ამკობს მამუკა თავაქარაშვილის ილუსტრაციები. გაოცება და სიხარული ვერ დავფარე, გაპონოვს გადავეხვიე და წიგნის გამოსვლა მივულოცე. ეტყობოდა, კმაყოფილი დარჩა, თუმცა ცდილობდა, არ დაემჩნია, თვალები გაუბრწყინდა და ბაგეებზე ღიმი მოადგა.

ბორის გაპონოვი ტანმორჩილი, გამხდარი იყო, ძალზე შავგვრემანი სახის მუქი კანით, უკან გადავარცხნილი შავი ხშირი თმით. უბრალოდ, ღარიბულად, მაგრამ სუფთად ეცვა. ბევრი ვისაუბრეთ, ქართულად სრულიად თავისუფლად ლაპარაკობდა, დაწვრილებით გამოვკითხე მისი ცხოვრების ამბავი. ბორის გაპონოვმა ჩემზე დატოვა ზრდილი, ინტელიგენტი, თავმდაბალი, განათლებული და განსწავლული კაცის შთაბეჭდილება.

იგი დაიბადა ყირიმში, ქ. ევპატორიაში 1934 წლის 20 თებერვალს. მამამისი იყო რუსი ოფიცერი, დედა ებრაელი, დიასახლისი, პაპა (დედით) მწიგნობარი, კლასიკური ებრაულის ჩინებული მცოდნე. სწორედ პაპამ შეასწავლა და შეაყვარა თავის შვილიშვილს ივრითი. ბორისის მამა სამამულო ომში დაიღუპა. 1946 წელს გაპონოვების ოჯახი საქართველოში გადმოვიდა და ქუთაისში დაესახლა. ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. ბორისმა ქუთაისში დაამთავრა საშუალო სკოლა. უკვე ბავშვობაში შეისწავლა ივრითი და გერმანული ენა. დაეუფლა ქართულს. უმაღლესი განათლება მიიღო მოსკოვში (სწავლობდა აღმოსავლური ენების ინსტიტუტში), კარგა ხანს მსახურობდა ქუთაისში საუწყებო გაზეთის კორექტორად. თავისუფალ დროს ანდომებდა ლიტერატურულ საქმიანობას, ძირითადად მთარგმნელობას, გაიწაფა და დახელოვნდა. რუსულიდან გადათარგმნა ლერმონტოვის თხზულებანი, შეუდგა ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის ცალკეული ნაწარმოებების თარგმნას. ვეფხისტყაოსანზე მუშაობის წარმატებამ ძლიერ წაახალისა და ფრთები შეასხა.

თბილისიდან ქუთაისში ძლიერ კმაყოფილი დაბრუნდა. გიორგი წერეთელი დაჰპირდა, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში გადმოიყვანდა მეცნიერ თანამშრომლად.

ვეფხისტყაოსნის გაპონოვისეული თარგმანის ღირსებაზე ცხადად მეტყველებს აბრამ შლიონსკის სიტყვები: „ამ კლასიკური ქართული თხზულების ებრაული თარგმანის კითხვისას ხანდახან გგონია, რომ წინ გიდევს ებრაული ხელნაწერი, რომელიც თითქოსდა რომელიმე განძთსაცავში აღმოუჩინოთ“, ამ თარგმანის დიდ მნიშვნელობაზე ჩვენშიც, — თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადში, — საკმაოდ ითქვა და დაიწერა. უნდა ცალკე გამოვყო ზურაბ კიკნაძის სპეციალური ნარკვევი „ვეფხისტყაოსნის ებრაული თარგმანი“ (მაცნე, 1978, №1). ზ. კიკნაძემ თავიდან ბოლომდე დაწვრილებით შეუდარა თარგმანი დედანს და აღტაცებული დასკვნები გამოიტანა მის სინატიფეზე. დავიმოწმებ ნარკვევის მხოლოდ ერთ ნაწყვეტს: „ეს თარგმანი ორიგინალურ მოვლენად არის შერაცხილი, ისეთ ნაწარმოებად, რომელიც თავისთავად არსებობასა და მნიშვნელობას იპოვებს, ვითარცა დიდი სიახლე თანადროულ ებრაულ პოეზიაში. იგი მართლაც საკვირველი ენობრივი მოვლენაა“.

1969 წლის ნოემბერში გაპონოვი ლენინგრადში ჩავიდა და მოხსენება წაიკითხა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში — „ვეფხისტყაოსნის ბიბლიური მოტივები“. სპეციალისტები უკვე იცნობდნენ მის თარგმანს და მოხიბლული იყვნენ, მოხსენებასაც დიდი წარმატება ხვდა წილად. ლენინგრადში წაკითხული მოხსენების სტატიად გადამუშავებული ტექსტი ბ. გაპონოვმა ქუთაისიდან გამომიგზავნა და მომწერა (მომაქვს წერილის მთელი ტექსტი).

„დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრე!

24 ნოემბერს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში წავიკითხე მოხსენება თემაზე: „ბიბლიური მოტივები რუსთველის შემოქმედებაში“, რომელმაც დამსწრე მეცნიერთა დიდი ინტერესი გამოიწვია. დამნაშავედაც ვგრძნობ თავს თქვენს წინაშე, რადგან პირველად თქვენთვის უნდა მომემართა ამ საკითხზე, როგორც რუსთველის შემოქმედების გამოჩენილი მკვლევარის და ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელისათვის; მაგრამ ეს გამოსვლა უკვე ჩემი ინიციატივა აღარ იყო, რადგან ლენინგრადში ჩასვლისთანავე ზემოხსენებული ინსტიტუტის თანამშრომლებმა, კერძოდ, რუსუდან ორბელმა

(რომელიც ორი წლის წინ ამავე ინსტიტუტში ჩემი გამოსვლის მომწყობი იყო), მთხოვეს გამოვსულიყავი და უარით ვერ გავისტუმრე.

ახლა ვასრულებ ჩემ სასიამოვნო მოვალეობას თქვენს მიმართ და გიგზავნით ჩემი მოხსენების ტექსტს, რომელიც სტატიად გადავამუშავე, და მისი მსვლელობის ანგარიშს, დაწერილს ლენინგრადელი ჰებრაისტი მწერლის ა. ბელოვის მიერ, რომელიც ამ სხდომას ესწრებოდა.

იმედი მაქვს, ბატონო ალექსანდრე, ჩემ ნაშრომს წაიკითხავთ და თქვენს კომპეტენტურ აზრსაც გამოთქვამთ, რის შემდეგ,—რა თქმა უნდა, თუ ღირსეულად სცნობთ მას,—თქვენი შენიშვნებით გამოაქვეყნებთ სადაც ჯერ არს. სასურველია სტატია დაიბეჭდოს რუსულად, რადგან მან დიდი ინტერესი გამოიწვია ლენინგრადელ მეცნიერებში და სურვილებიც გამოთქვეს უცხო ენებზე გადაითარგმნოს.

გისურვებთ ჯანმრთელობას და ყოველივე კეთილს.

თქვენი პატივისმცემელი ბორის გაპონოვი.

12. 12. 69".

მე არ დავაყოვნე და შემდეგი პასუხი ვაახელი ბ. გაპონოვს:

„დიდად პატივცემულო ბატონო ბორის,

მე გულდასმით წავიკითხე თქვენი ნარკვევი «Библейские мотивы в творчестве Руставели». სტატია საინტერესოა, ოღონდ სრულიად არ ითვალისწინებს საკითხის ისტორიას. არ არის სწორი, თითქო «как известно, тема библейских мотивов в творчестве Руставели еще не ставилась». ეგევე უთქვამს რუსუდან ორბელს — «Тема, которую разрабатывает Б. Гапонов, совершенно новая и не исследованная в руставелологии».

უნდა მოგახსენოთ, რომ აღნიშნულ თემაზე ბევრი უწერიათ. აკად. ნ. მარს, კ. კეკელიძეს, შ. ნუცუბიძეს და სხვებს. განსაკუთრებით ვრცლად არის ეს საკითხი განხილული წიგნში „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება", სადაც ბიბლიურ მოტივებზე საგანგებო საუბარია ჩამოგდებული. ცოტა რამე მეც მაქვს ჩემს მონოგრაფიაში. ყოველივე ეს უნდა იქნას გათვალისწინებული. სხვა მხრივ ნარკვევს არ შეიძლება ჰქონდეს მეცნიერული

მნიშვნელობა და მისი გამოქვეყნებაც ჩვენი თანხმობით შეუძლებელი გახდებოდა.

კეთილი სურვილებით ალექსანდრე ბარამიძე.

22. 12. 69".

ახლა რომ ჩემი პასუხის ტექსტი გადავიკითხე, ცოტა მკაცრი მეჩვენა, თუმცა შენიშვნებიც და დასკვნაც სამართლიანია. ნარკვევში ბ. გაპონოვი ემყარება თავის ბუნებრივ ალღოს და ბიბლიის ტექსტში კარგ განსწავლულობას. რიგ შემთხვევაში მისი დაკვირვებები ემთხვევა სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულსა და დასაბუთებულ მოსაზრებებს. რასაკვირველია, ყოველი ახალი მკვლევარი უნდა იცნობდეს მისი წინამორბედისა თუ წინამორბედების ნაღვაწს, ამას მოვითხოვდი გაპონოვისაგან. ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ იგი ადვილად შეძლებდა ხარვეზის შევსებას და უფრო სრულყოფილი სახით მომაწვდიდა ტექსტს გამოსაქვეყნებლად. ჩემი ვარაუდი გამართლდა, გაპონოვმა მიპასუხა, რომ მთლიანად იღებს შენიშვნებს, რომ მალე ჩამოვა თბილისში, პირადად შემხვდება და მომეცაბრება, შთხოვდა, დავხმარებოდი ლიტერატურით, ჩემთვის სრულად ხელმიუწვდომელი „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება". სამწუხაროდ, ბ. გაპონოვის ეს წერილი ველარ ვიპოვე. სამაგიეროდ, შემომრჩა მისი კიდევ ერთი წერილობითი სათხოვარი:

დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრე!

მწერალთა კავშირში ჩემ შესვლასთან დაკავშირებით ნებას მივცემ ჩემ თავს სათხოვრით მოგმართოთ, რომლის შინაარსიც უკვე გასაგებია თქვენთვის (მხოლოდ ადამიანთა შორის კავშირგაბმულობის—მეტყველების —ნაკლოვანების გამო იძულებული ვარ სიტყვები ვიხმარო...). ვინაიდან თქვენ ჩემი თარგმანის თანამოზიარე ბრძანდებით, სასურველი და მოსაწონია რეკომენდაცია მომცეთ მწერალთა კავშირში შესასვლელად.

მადლობას მოგახსენებთ იმ წვლილისათვის, რაც მიგიძღვით და კვლავაც გასწევთ ქართული კულტურის დაწინაურებაში.

დიდი პატივისცემით ბორის გაპონოვი.

ქუთაისი, ჯაფარიძის ქ. №135.

ან—ქუთაისის მწერალთა კავშირის მისამართით.

24. 4. 69".

4 მაისის თარიღით პასუხად გავუგზავნე მას საჭირო დახასიათება-რეკომენდაცია (დოკუმენტური სიზუსტით მომაქვს სრული ტექსტი):

„როგორც ცნობილია, ქალაქ ქუთაისის მკვიდრმა ჟურნალისტმა ბორის გაპონოვმა მთლიანად გადათარგმნა კლასიკურ ებრაულ ენაზე (იერითზე) შოთა რუსთველის ვეფხისტყაოსანი. ბ. გაპონოვის თარგმანი ახლახან გამოქვეყნდა ისრაელის დედაქალაქ თელ-ავივში. თარგმანს ახლავს მთარგმნელის შესავალი წერილი და კომენტარები, აგრეთვე წიგნის რედაქტორის, ცნობილი ებრაელი პოეტის აბრამ შლიონსკის წინასიტყვაობა. ვეფხისტყაოსნის ებრაული თარგმანი საუცხოოდაა გამოცემული. მთავარი ისაა, რომ, როგორც შლიონსკის, ისე სხვა სპეციალისტების შეფასებით, ბორის გაპონოვის თარგმანი ყოველმხრივ სრულფასოვანია, შესრულებულია დიდი პოეტური ნიჭიერებით. თარგმანს შენარჩუნებული აქვს დედნისეული ტექსტის შინაარსობრივ-აზრობრივი და მხატვრულ-გამომსახველობითი სიდიადე.

ამრიგად, ახლა ვეფხისტყაოსანი ამეტყველდა კიდევ ერთ მსოფლიო ენაზე. ესაა ბორის გაპონოვის დიდი დამსახურება. იგი მომავალშიც აპირებს განაგრძოს ასე წარმატებით დაწყებული კეთილშობილური საქმე და ებრაულ ენაზე გადათარგმნოს სხვა ქართველ კლასიკოსთა რჩეული ნაწერები.

ბორის გაპონოვმა დაამტკიცა, რომ იგი დახელოვნებული მწერალია, ნიჭიერი პოეტი-მთარგმნელი. ვშუამდგომლობ, რათა ბორის გაპონოვი მიღებულ იქნას მწერალთა კავშირის წევრად.

ალექსანდრე ბარამიძე

საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი

თბილისი, 4. 5. 69".

რამდენადაც ვიცი, ანალოგიური დახასიათება-რეკომენდაცია ბ. გაპონოვს მისცა ბესარიონ ჟღენტიმ. მე არ ვიცი, რა შედეგი გამოიღო ჩვენმა რეკომენდაციამ. სამწუხაროდ მწერალთა კავშირის ქუთაისის ორგანიზაციაში ვერავითარი ნაკვალევი ვერ ვიპოვეთ.

იმ ხანებში ცნობილი გახდა, რომ ვეფხისტყაოსნის გაპონოვისეულ თარგმანს მიენიჭა ისრაელის სახელმწიფო პრემია. ამის თაობაზე დეპეშით მივიღე ოფიციალური ცნობა და მიწვევა (ასეთივე ცნობა და მიწვევა მიიღო, რა თქმა უნდა, ბორის გაპონოვმაც): „ალექსანდრე გიორგის ძე ბარამიძეს, ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი. ლენინის ქუჩა, №5, თბილისი, თელ-ავივიდან. მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ პოეტ ჩერნიხოვსკის სახელობის ლიტერატურული პრემიის ეროვნულმა კომიტეტმა მიანიჭა პრემია ვეფხისტყაოსნის ივრითზე თარგმანს, რომელიც შეასრულა თქვენმა თანამემამულემ, ქუთაისში მცხოვრებმა ახალგაზრდა პოეტმა ბორის გაპონოვმა. კომიტეტი გთხოვთ დაესწროთ პრემიის გადაცემის საზეიმო აქტს, რომელიც ჩატარდება ივნისის თვეში. მოიმედე ვართ დადებითი პასუხისა. გამომცემლობა „სიფრიათ პოალიმის“ სახელით აბრამ შლიონსკი“.

ბორის გაპონოვის დაჯილდოება ისრაელის სახელმწიფოს ეროვნული პრემიით ვეფხისტყაოსნის მისეული თარგმანის დიდი აღიარება იყო. შაულ ჩერნიხოვსკი, რომლის სახელობის პრემიაც მიენიჭა გაპონოვს, გამოჩენილი ისრაელი პოეტია, რომელსაც თავის დროზე თვითონ ჰქონდა განზრახული ვეფხისტყაოსნის გადათარგმნა თავის ენაზე, მაგრამ განზრახვა ვერ შეასრულა, სიკვდილმა უსწრო. გადათარგმნილი დარჩა პოემის მხოლოდ 36 სტროფი. ოჯახური ხასიათის სხვადასხვა მიზეზის გამო ისრაელში გამგზავრების მაცთუნებელი მიწვევით ვერ ვისარგებლე (მაშინ ისრაელში არ გამგზავრებულა არც ბორის გაპონოვი).

ბორისს მე თბილისში ველოდებოდი მისი ნაშრომის თაობაზე საკონსულტაციოდ. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, გადაწყდა მისი მიღება აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომლად. ვაგლახ, რომ თბილისში ჩამოსვლა მან ველარ შეძლო. ბესომ მაცნობა, ბორის გაპონოვი მძიმე ავად გახდაო, რაღაც უკურნებელი სენი აღმოჩენია — ავთვისებიანი სიმსივნე თავის ტვინში. ვერავითარმა ექიმობამ ვერ უშველა, მალე დაკარგა მოძრაობისა და აზროვნების უნარი. შეძრწუნებულმა დედამ შვილი ისრაელში წაიყვანა. თარგმანის ჰონორარი გადაუხადეს, მისცეს პრემიის საზღაურიც, ბევრიც უმკურნალეს იქაური ძალებით. ყველაფერი ამაო გამოდგა. ბორის გაპონოვი გარდაიცვალა რამათ-განში, თელ-ავივის მახლობლად 1972 წლის 25 ივლისს.

ბორის გაპონოვი იყო დიდი პოეტი, რომელმაც მხოლოდ ნაწილობრივ თქვა თავისი პოეტური სათქმელი, ერთბაშად გაიელვა დიდი პოეზიის ცაზე და ანაზდეულად ჩაქრა. გარდაცვლილი პოეტის ხსოვნის უკვდავსაყოფად ისრაელში 1972 წლიდანვე დაარსდა მისი სახელობის ქართველოლოგიური კაბინეტი.

ბორის გაპონოვის ნაშრომს („ვეფხისტყაოსნის ბიბლიური მოტივები") უცვლელად ვაქვეყნებ ჟურნალ „მაცნეში".

1977

ჩვენი პრეზიდენტი

(ნიკოლოზ მუსხელიშვილი)

აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილს დიდი ხანია ვიცნობ. წლების მანძილზე ვთანამშრომლობდი მასთან. ბევრჯერ ვყოფილვარ მის ოჯახში. ჩემს ოჯახში მოსვლითაც არა ერთხელ გავუხარებივარ. ერთად გვიმოგზაურია ჩვენს ქვეყანაშიც და ჩვენი ქვეყნის გარეთაც.

ნიკო მუსხელიშვილი თავისთავადია ოჯახშიც, სამუშაო კაბინეტშიც და საზოგადოებრივ საკრებულოშიც: უბრალო, თავმდაბალი, ყურადღებიანი, მხიარული, მახვილგონიერი, ტკბილი მოსაუბრე, იუმორი მისი სტიქიაა. ერთი სიტყვით, იგი ყველა საუკეთესო ადამიანური თვისებით არის უხვად დაჯილდოებული, შინ ხელგაშლილი და პურადი მასპინძელია.

აბა, მე რა მეთქმის ნიკო მუსხელიშვილზე როგორც მათემატიკოსზე. მეცნიერების ამ დარგში ის ხომ საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტია მთელ მსოფლიოში. მხოლოდ ის მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი საყვარელი პრეზიდენტი ფართოდ განათლებული და ფართო ინტერესების მქონე მეცნიერია, რომელიც არ იკეტება თავისი სპეციალობის ვიწრო ნაჭუჭში.

ნ. მუსხელიშვილს ყოველთვის იზიდავდა ლიტერატურა და ხელოვნება. სწავლული მათემატიკოსი საუცხოოდ ერკვევა ხელოვნების უფაქიზეს ნიუანსებშიც კი. მას ძლიერ უყვარს მუსიკა, ბევრს კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე. ზეპირად იცის რიგი ჩვენი თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსები. საგულისხმოა ისიც, რომ თავის მახლობლებსა

და მოწაფეებს ბეჯითად უნერგავს ლიტერატურისა და ხელოვნების სიყვარულს.

ნ. მუსხელიშვილი უაღრესად სიმპათიური, მომხიბლავი, დიდბუნებოვანი ადამიანია. საქმიან ურთიერთობაში საკმარისად მკაცრია, მაგრამ სამართლიანი, პრინციპული, პირდაპირი, პირუთვნელი, თუ რამე სასაყვედურო აქვს, არ დაგიმალავს, პირში მოგახლის, შემდეგ დაგიყვავებს, მოგიალერსებს, უბრალოდ არ გაწყენინებს. სძულს პირმოთნეობა და მლიქვნელობა, ერიდება წვრილმან მეურვეობას (ე. წ. პროტექცია მასთან არ ჭრის). აფასებს ადამიანის ცოდნასა და ღირსებას. ვერ იტანს ცრუპატრიოტებს, ბაქიებსა და კუდაბზიკებს. გატაცებით უყვარს საქმე, შრომა, გარჯა. ახლოს არ იკარებს საქმოსნებს, უქნელთ, ზარმაცებს. კარგად იცის მომადლებული ნიჭის მნიშვნელობა, მაგრამ მასზე არ ამყარებს გადამეტებულ იმედებს. წარმატების საწინდრად თვლის უპირატესად შრომასა და გულმოდგინებას. იმდენად კეთილია, რომ თხოვნაზე უარის თქმა არ ეხერხება, უკიდურეს შემთხვევაში სხვას ათქმევინებს უარს.

იშვიათად მოიძებნება კაცი, რომელიც შემოქმედებითი კვლევა-ძიებით იყოს გატაცებული და დიდი მეცნიერულ-ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის უნარიც შესწევდეს იმავდროულად. ასეთ იშვიათ პირთა რიცხვს ეკუთვნის ნიკო მუსხელიშვილი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი სამაგალითოა და მისაბაძი თავისი ტაქტით, თავაზიანობით. შემთხვევითი როდია, რომ იგი განსაკუთრებულ მზრუნველობას უწევს და პატივით ეპყრობა თავის უმცროს თანამშრომლებს, სალამს ვერ მოასწრებ.

ნ. მუსხელიშვილი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეა, შესანიშნავი მოქალაქე, თავდაუზოგველი მოჭირნახულე თავისი ქვეყნისა და თავისი ხალხისა, გულწრფელი მამულიშვილი, მას ახარებს ჩვენი ქვეყნის წარმატებანი, გულს უკლავს ყოველგვარი უკეთურება. წლებით ერთგვარად დამძიმდა, მაგრამ შენარჩუნებული აქვს ახალგაზრდული ენერგია, ჰაბუკური შემართება და სულიკვეთება. ხანდაზმულობაშიც დაუღლელია და მოუსვენარი. მაინც იცავს შრომისა და დასვენების მკაცრ რეგლამენტირებულ რეჟიმს (უკეთ, იძულებულია დაემორჩილოს თავისი მოყვარული და მზრუნველი მეუღლის განჩინებას).

ნიკო მუსხელიშვილი დიდი ქართველი ინტელიგენტია. მეცნიერების ნამდვილი რაინდი, სოციალისტური შრომის ჰეშმარიტი გმირი.

ვუსურვებთ ბატონ ნიკოს, ჩვენი სასიქადულო აკადემიის სახელო-

ვან პრეზიდენტს, ხანგრძლივ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ჩვენი ხალხისა და ჩვენი მშობლიური მეცნიერების საკეთილდღეოდ.

1971

მწერლობის დიდი მეგობარი

(ილია ვეკუა)

ილია ვეკუას ათეული წლის მანძილზე ვმეგობრობდი პირადულადაც და ოჯახურადაც. ახლო ურთიერთობა გვქონდა სამსახურებრივი და საზოგადოებრივი საქმიანობის სარბიელზე. იშვიათად მოიძებნება ისეთი უნივერსალური ბუნების ადამიანი, საკვირველი ნებისყოფისა და ენერგიის პატრონი, უმაგალითოდ შრომისმოყვარე, კრისტალისებრ სუფთა, თავაზიანი და თავდაუზოგავი, როგორიც იყო ილია ვეკუა. საყოველთაოდ ცნობილია, რა დიდი მასშტაბის მეცნიერი და მეცნიერი-ორგანიზატორი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელოვანი პრეზიდენტი. მე აქ ის მინდა აღვნიშნო, რომ ილია ვეკუა გულით იღვწოდა ჰუმანიტარული მეცნიერების ყველა დარგის, კერძოდ და განსაკუთრებით ქართველოლოგიის განვითარებისათვის. ილია ვეკუა გატაცებული ტრფიალი იყო მწერლობისა, პოეზიისა. ის ყველას ხიბლავდა ამ ფართო განსწავლულობით, ღრმა ცოდნით, ფაქიზი გემოვნებით. ილია ვეკუას ვერ მოასწრებდით ჩვენი ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების წაკითხვას. ზოგჯერ უხერხულობაც კი მიგრძვნია, როცა ჩემი აზრი უკითხავს ახლადგამოქვეყნებულ ისეთ ნაშრომზე, რომელიც ჯერ გაცნობილი არ მქონდა. ბევრს კითხულობდა მხატვრულ ლიტერატურას ავადმყოფობის პერიოდშიც. ბატონ ილიას ცხოვრების კეთილშობილმა თანამგზავრმა, ქალბატონმა თამარმა, მეუღლის გარდაცვალების მეორე დღეს მიამბო: ბოლო დროს ილიას მეტისმეტად მოეძალა უკურნებელი სენი, შეარყია მისი საარაკო ნებისყოფა, ხალისი დაეკარგა, უგუნებო გახდა, კითხვისა და წერის თავი აღარა ჰქონდა. ვუჯექ ლოგინთან და მე თვითონ ვუკითხავდი შერჩეულ ლიტერატურას, მაგრამ ვატყობდი, რომ ინტერესს ვერ იჩენდა, უჭირდა მოსმენილის აღქმა. უკანასკნელად წავუკითხე „ლიტერატურული საქართველოს“ 25 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი წერილი „კეთილი გრძნობის პოეტი“. ჩვეულე-

ბრივი კილოთი წავუკითხე ის ადგილიც, იტალიელი ავტორის შეკითხვაზე საბჭოთა მწერალი რომ ამბობს: „ჩვენი დროის ყველაზე დიდ პოეტად მე ვთვლი გალაკტიონ ტაბიძეს“. ამ სიტყვებზე ავადმყოფი ერთბაშად შეიძრა, თითქო გონს მოეგო, გამოფხიზლდა, ჩემკენ შემობრუნდა, თვალები გააბიწა, სახე გაუნათდა, ცრემლი მოერია, ბალიშზე ორი კურცხალი დაგორდა. ეს იყო სიხარულის ცრემლი. სასიკვდილოდ განწირული ავადმყოფი გაახარა იმის მოსმენამ, რომ ავტორიტეტულ იტალიურ გაზეთში ჩვენი დროის ყველაზე დიდ პოეტად დაასახელეს გალაკტიონ ტაბიძე, ქართველი პოეტი. ეს იყო ილიას უკანასკნელი სიხარულიო, დასძინა ქალბატონმა თამარმა.

წავიდა ჩვენგან დიდი კაცი, დიდი მეცნიერი, მწერლობის დიდი მეგობარი.

1977

●

სიყვარულის მეგობარი

(ბესარიონ ჟღენტი)

ბესო ჟღენტი თითქმის ჩემი კბილა იყო (ის ერთი წლით იყო ჩემზე უმცროსი). გავიცანი 1922 წლის შემოდგომაზე, თბილისში რომ ჩამოვიდა და უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. ჩემთან ერთად განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობაში მსახურობდა ბესოს და ქეთო. მან გამაცნო ბესო და სიმონ ჩიქოვანი. მალე დავმეგობრდით. მართალია, ბესო იურიდიულ განყოფილებაზე სწავლობდა, მე კი ფილოლოგიურზე, მაგრამ საერთო ლექციებიც გვექითხებოდა, გვაკავშირებდა მეცნიერულ-ლიტერატურული ინტერესებიც. ხშირად ვიკრიბებოდით ჩემს მინიატურულ ბინაზე (მატინოვის, აწ კალანდაძის ქ. 5) უნივერსიტეტის მახლობლად. ჩემს ათმეტრიან ოთახს ბინას იმიტომ ვუწოდებ, რომ საკუთარი შესასვლელიც ჰქონდა და პაწაწინა ჰოლიც. ჩვენი თავყრილობის ჩვეულებრივი მონაწილენი იყვნენ ზაქარია კიკნაძე, სიკო დოლიძე, გიორგი თავზიშვილი, იასე ცინცაძე, ალექსანდრე მაღულარია, გრიგოლ ებრალიძე, სტრატილატე ჭანტურია, ჩემი უფროსი ძმა ბენო. ზოგჯერ გვეწვეოდნენ ხოლმე ლევან ასათიანი, დემნა შენგელაია, სიმონ ჩიქოვანი. ხან ერთმანეთის საგამოცდოდ მზადყოფნას ვამო-

წმებდით, ხან სხვადასხვა თემაზე ვბაასობდით, ვდაობდით. ბევრს, ძალიან ბევრს ვკამათობდით ლიტერატურის საკითხებზე. მე ვიყავი სტუდენტთა სამეცნიერო-ლიტერატურული წრის აქტიური წევრი (ჯერ მდივანი, მერმე თავმჯდომარე), მოხსენებებს ვკითხულობდი ძველი ქართული მწერლობის საკითხებზე. ბესო მწერალთა ფუტურისტული ჯგუფის ერთი მეთაურთაგანი იყო, ჩვენი სამეცნიერო წრისა არაფერი სწამდა, უკვირდა ჩემი გატაცება თეიმურაზ პირველის პოეზიითა და „ქილილა და დამანას“ იგავ-არაკებით, თავს ვაკლავდი ისეთი ძეგლების კითხვას, რომელსაც შეეძლო «довести до отчаяния самого терпеливого читателя» (ე. ბერტელსი). იტალიელი მარინეტის თაყვანისმცემელი ბესო (თეორიული ასპექტით, რა თქმა უნდა) ომს უცხადებდა და განადგურებით ემუქრებოდა ჩემს ლიტერატურულ კერპებს. სხვაგან აწერილი მაქვს, როგორი საჯარო დებოში მოგვიწყვეს ურა-ფუტურისტებმა, ნიკოლოზ ჩაჩავას მეთაურობით, უნივერსიტეტში სამეცნიერო-სალიტერატურო წრის სხდომაზე. ბესომ მაშინ თავი შეიკავა, მხოლოდ მაყურებლის როლში გამოვიდა.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ მწვავე კამათი და შეხლა-შემოხლა ოდნავაც არ უშლიდა ხელს ჩვენს მეგობრულ ურთიერთობას. პირიქით, უფრო გვაახლოვებდა და გვახალისებდა. ხშირი შეხვედრისა და დავა-განსჯის იმპულსს გვიქმნიდა. არც სტუდენტურ სერობაზე ვამბობდით უარს.

შემდეგ ჩვენი გზები ერთხანს თითქოს გაიყარა, თუმცა მეგობრობას კვლავინდებურად განვაგრძობდით. ბესომ ადვილად დასძლია „საყმაწვილო სენი“ და სერიოზულ ლიტერატურულ მოღვაწეობას შეუდგა. ბესო ვერ ეგუებოდა არქივებისა და მუზეუმების სპეციფიკურ სურნელოვან მტვერს. მას იტაცებდა თანამედროვეობა, ცოცხალი საქმე, მიმდინარე ლიტერატურული ცხოვრება. ეს იყო მისი სტიქია, ბობოქარმა, დაუდგრომელმა, მაძიებელი სულის პატრონმა თავისი იშვიათი ნიჭისა და უსაზღვრო ენერგიის წყალობით დიდი წარმატებები მოიპოვა მხატვრული კრიტიკის სარბიელზე. მწერალთა კავშირის ერთი ხელმძღვანელთაგანი გახდა. საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნის პოსტზე მოუსწრო მას კიდევაც სიკვდილმა.

ბესო ჟღენტმა ერთმა პირველთაგანმა დაუდო საძირკველი საბჭოურ, მებრძოლ კრიტიკულ აზროვნებას ჩვენს ქვეყანაში და მთელ საბჭოთა კავშირში. განსწავლული, ერუდირებული, დახვეწილი ლიტერატურული გემოვნებისა და უჩვეულო ალღოს მქონე ბესო მთელი

სიცოცხლის განმავლობაში დაუღლელად იბრძოდა მარქსისტული მეთოდოლოგიის პრინციპების დანერგვისათვის, საბჭოური იდეოლოგიისა და ესთეტიკური მრწამსის გატარებისათვის კრიტიკული აზროვნების სფეროშიც და შემოქმედებითს პრაქტიკაში. იგი საიმედო დარაჯად ედგა ქართული სულიერი კულტურის საგუშაგოს. ბესო თავგამოდებით ებრძოდა ყოველი ჯურის უხამსობასა და უდიერობას მხატვრულ მწერლობასა და ლიტერატურათმცოდნეობაში. მაღალი ეროვნულ-საზოგადოებრივი იდეალებით შთაგონებული ჭეშმარიტი მამულიშვილი ნამდვილი გმირული შემართებით იცავდა ჩვენი მშვენიერი ენის ღირსებას და ქართული მწერლობის პრესტიჟს საშინაო, საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე უარისმყოფელთა, ნიჰილისტთა და წუალწუალა კოსმოპოლიტთა ხელყოფისაგან. ბესო ჟღენტი იყო ჩვენი სათაყვანებელი ერის, ჩვენი გამრჯე ხალხის ახალი ცხოვრების ღვაწლმოსილი აქტიური მშენებელი.

ბესო ჟღენტს ყოველთვის ამკობდა შესაშური მახვილი ალღო. მან შეუმცდარად და ზუსტად იცოდა, რა უნდა ეთქვა, სად, როდის და როგორ. იგი იყო უკომპრომისო, მკაცრი, ერთობ საშიში ხელოვანი პოლემისტი, საპაექრო ილეთების საუკეთესო მცოდნე დიდოსტატი. ორატორული ნიჭით უხვად მომადლებული ბესო საარაკოდ ენამახვილი მოპასუხე იყო რაგინდ რა რეპლიკაზე. ყურადღების მისაზიდავად და კამათის მიმდინარეობის გასაცხოველებლად ბესო ხშირად აუდიტორიას საგანგებოდ იწვევდა რეპლიკების წამოსასროლად. ვაი იმას, ვინც ანკესზე წამოეგებოდა და რეპლიკების ხაფანგში გაებმებოდა. ეს კია, თუმცა ბესო იყო ულმობელი მოპაექრე, მისთვის უცხო იყო ღვარძლი, შური, ბოღმის აყოლა. გააფთრებული ლიტერატურული ბრძოლის შემდეგ იგი მოკამათეს ჩვეულებრივ ღიმილით ეგებებოდა და მეგობრულად ართმევდა ხელს. ბესო იყო საკვირველად კეთილი, გულისხმიერი, თბილი და მოყვარული ბუნების კაცი, სტუმართმოყვარე, გულუხვი მასპინძელი.

ბესო ჟღენტის ინტერესები, რასაკვირველია, არ იზღუდებოდა მარტოოდენ მიმდინარე ლიტერატურული ცხოვრების ამოცანებით. იგი იყო ნაყოფიერი მკვლევარი, ლიტერატურათმცოდნე, ლიტერატურის ისტორიკოსი. ბესოს ეკუთვნის მთელი რიგი საყურადღებო ნარკვევები ქართველ (და არა მარტო ქართველ) კლასიკოსებზე და საბჭოთა ლიტერატურის გამოჩენილ მოღვაწეებზე. იგი უბადლო იყო როგორც ქართული საბჭოთა ლიტერატურის ჩინებული მკვლევარი-სისტემა-

ტიზატორი. მან პირველმა შექმნა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის სრულფასოვანი მოკლე კურსი (დაიბეჭდა რუსულად, მოსკოვი 1952, თბილისი 1958). მისი თაოსნობით მომზადდა და 1977 წელს (ბესოს გარდაცვალების შემდეგ) მოსკოვში გამოვიდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის ცნობილი წიგნი. ბესო ჟღენტი იყო თანაავტორი და თანარედაქტორი მრავალფეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის ექვსტომეულისა, რომელიც მოამზადა და გამოსცა გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მოსკოვში.

ბესო იყო აგრეთვე მცირე საბჭოთა ლიტერატურული ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის კონსულტანტი ქართული მწერლობის საკითხებზე. ერთი სიტყვით, დიდზე დიდი იყო ბესოს როგორც მკვლევაო-კრიტიკოსის ავტორიტეტი შინ და გარეთ.

წლების მანძილზე ბესო ჟღენტი ხელმძღვანელობდა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საბჭოთა მწერლობის განყოფილებას, ეწეოდა აგრეთვე პედაგოგიურ მოღვაწეობას უმაღლეს სასწავლებლებში (უნივერსიტეტში, ქუთაისისა და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტებში). ბესო ჟღენტის ღვაწლი ქართული მწერლობის ისტორიის მეცნიერულად შესწავლის თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანია და დიდად ფასეული. მაინც ბესო არასოდეს არ ფიქრობდა სამეცნიერო კარიერაზე, სრულიად არ ზრუნავდა სამეცნიერო ხარისხისა და წოდების მოპოვებაზე, გაურბოდა ამ თემაზე საუბარს, ხელს ჩაიქნევდა ხოლმე და სიტყვას ბანზე აგდებდა. დიდი ბრძოლითა და ვაივაგლახით ვაიძულეთ დაეცვა საკანდიდატო დისერტაცია (1953 წლის დეკემბერში). უტიტულოდაც თავს კარგად ვგრძნობ, კრიტიკოსი ვარ და ჩემს საქმეს ოფიციალური ცენზის უქონლადაც ასე თუ ისე ვართმევ თავსო, ამბობდა ხოლმე, დოქტორის ხარისხის თაობაზე არავითარ შეგონებას არ იღებდა. ერთხელ გამომიტყდა, დოქტორის ხარისხის დაცვა დავაგვიანე, ასე, დისერტაციის დაუცველად მისი მოპოვებისათვის სქელტანიანი წიგნები არა მაქვს, როცა გამოვა ჩემი შრომების ორტომეული, მაშინ მოვითათბიროთო. ეს იყო უკვე 1974 წელი. 1975 წლის შემოდგომაზე ბესომ მომიტანა თავისი მონუმენტური ნაშრომის ანაბეჭდები — „მწერლობა და თანამედროვეობა“ (რჩეული ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები). ეს წიგნი მალე დაიბეჭდება და ახლა, როგორც

საჭიროდ დაინახავ, ისე იმოქმედეო, მითხრა. ასე მეჩვენება, რაღაც წინათგრძნობა აწუხებდა. „მთელი ჩემი ცხოვრება უკომპრომისო ლიტერატურულ ბრძოლაში გავატარე, ამ ნიადაგზე ბევრი მტერი და დუშმანი შევიძინე, ვაითუ ახლა გამიხსენონ და ფარული კენჭისყრის დროს გამისწორონ ანგარიშებიო“, დასძინა. რამდენადაც შემეძლო, დავამშვიდე და დავარწმუნე, რომ მის ღვაწლს ყველა, მტერიც და მოყვარეც, ერთხმად და უყოყმანოდ აღიარებს. საქმეს შევუდექით, თუმცა წინ დიდი და თითქოს გადაულახავი დაბრკოლება გვეღობებოდა. იმ დროისათვის ჩატარდა უმაღლესი საატესტაციო კომისიის რეორგანიზაცია. კომისიის ახალი დებულების თანახმად, გაუქმდა „ჰონორის კაუზას“ საფუძველზე ხარისხების მინიჭების წესი. ჩვენ იმედს არ ვკარგავდით, ვფიქრობდით, რომ უმკაცრეს კანონსაც მოეძებნებოდა გამოსავალი, შევადგინეთ ბესოს სამეცნიერო-კვლევითი და ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობის დახასიათება-წარდგინების ტექსტი, შევაგროვეთ საჭირო დოკუმენტური მასალა და შუამდგომლობით წარვდექით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს წინაშე. დახასიათება-წარდგინებას ჩემთან ერთად ხელს აწერდნენ გიორგი ჯიბლაძე, გიორგი ციციშვილი და სერგი ჭილაია. როგორც მოსალოდნელი იყო, ბესოს ეჭვი უსაფუძვლო გამოდგა. საბჭომ ფარული კენჭისყრით ერთხმად და ერთსულოვნად მიანიჭა ბესოს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ კი, ვითარცა გამონაკლისი, აგრეთვე ერთხმად დაამტკიცა უნივერსიტეტის საბჭოს დადგენილება, ერთხელ კიდევ გამოიყენა თითქო საბოლოოდ გაუქმებული „ჰონორის კაუზას“ უფლება. საატესტაციო კომისიამ მხედველობაში მიიღო ბესო ჟღენტის დიდი პოპულარობა და საყოველთაო აღიარება. ეს მოხდა 1976 წლის 27 თებერვალს. ბესო ძალიან კმაყოფილი იყო, რომ აქაც, ჩვენში, და იქაც, მოსკოვში, სრული ერთსულოვნება გამოიჩინეს მისი ლიტერატურულ-მეცნიერული მოღვაწეობის შეფასებაში. დიდ სიხარულს დიდი სიმძიმილი მოჰყვა, ბესოს მძიმე და, როგორც შემდეგ გამოირკვა, უკურნებელი სენი შეეყარა.

ავადმყოფობის მიუხედავად, ბესო მშვენიერი მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მწერალთა ყრილობაზე 1976 წლის მაისში. ერთხანს საავადმყოფოში იწვა და ივნისის ოცს მოსკოვს გაემგზავრა სსრკ მწერალთა ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად. მოსკოვში ავადმყოფობამ უძალა, ყრილობას ვერ დაესწრო, საუკეთესო საავადმყო-

ფოში მოათავსეს და ბევრი უმკურნალეს. თითქო მომჯობინებული დაბრუნდა თბილისში, ზაფხული წყნეთში გაატარა, უმეტეს წილად მწოლიარემ. მთელი ოჯახი თავზე ადგა და მზრუნველობას არ აკლებდა. ავადმყოფი ძალზე დასუსტდა, გახდა. მნახველების მისვლა სიამოვნებდა, გამოცოცხლდებოდა ხოლმე, მუსაიფს გააბამდა, აინტერესებდა მიმდინარე კულტურული ცხოვრების ყველა წვრილმანი. მომავალი მუშაობის გეგმებს ადგენდა. იმედი ჰქონდა, რომ მალე დაუბრუნდებოდა თავის საყვარელ საქმეს. ავადმყოფობა კი დღე-დღეზე უფრო და უფრო ურთულდებოდა, 1976 წლის 5 სექტემბრის თარიღით ბესომ ოფიციალური განცხადება გამომიგზავნა, მწერდა: „რამდენიმე თვეა ვავადმყოფობ და ვმკურნალობ ხან მოსკოვის და თბილისის საავადმყოფოში, ხან ჩემს ბინაზე, ექიმები მაიმედებდნენ, რომ სექტემბრის დამდეგისათვის შევიძლებდი სამუშაოზე დაბრუნებას, მაგრამ ეს შოლოდინი არ გამართლდა (მთელი შვებულება ლოგინში გავატარე და ნაწილობრივ ბიულეტენზე ვიყავი). შვებულება მიმთავრდება 9 სექტემბერს, მე ჯერ კიდევ არ შემიძლია მუშაობის დაწყება. გთხოვთ: 1. გასცეთ განკარგულება, რომ გადაყვანილი ვიქნე ბიულეტენზე იმ დრომდე, ვიდრე ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალებას არ მომცემს, შევუდგე ჩემი მოვალეობის შესრულებას. 2. ჩემი ავადმყოფობის პერიოდში, გთხოვთ, ჩემი მოვალეობის აღსრულება დროებით დაავალოთ საბჭოთა ლიტერატურის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომელს გიორგი მერკვილაძეს. ამჟამად იწყება წლიური სამეცნიერო თემების კითხვა-განხილვა და ამ საპასუხისმგებლო საქმის ხელმძღვანელობისათვის სანდო და საიმედო პიროვნებად გ. მერკვილაძე მიმაჩნია. პატივისცემით ბესო ჟღენტი 5. 9 76“

დამოწმებული ტექსტი ნათლად გვიჩვენებს, რა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობის პატრონი იყო ბესო ჟღენტი. მძიმე ავადმყოფს უპირველეს ყოვლისა საზოგადო საქმე აწუხებდა, მან კარგად იცოდა. რომ ინსტიტუტში იწყებოდა ნაყოფის მოწევის ხანა, წლიური მუშაობის შედეგების შეჯამება, განხილვა-შეფასება. ამისათვის დროულ თადარიგს იჭერდა. წერილს მსჭვალავს ოპტიმისტური სულისკვეთება, რაც ასე დამახასიათებელი იყო ბესოსთვის საზოგადოდ, ლოგინზე მიჯაჭვულ მძიმე სენით შეპყრობილ ავადმყოფს იმედი ჰქონდა, რომ ის ადრე თუ გვიან დაუბრუნდებოდა ინსტიტუტს, დაუბრუნდებოდა მწერალთა კავშირს, დაუბრუნდებოდა დროებით შეწყვეტილ მუშაობას. ამ წერილის შემდეგ ბესომ იცოცხლა ერთი თვე და ცამეტი

დღე (გარდაიცვალა 1976 წლის 18 ოქტომბერს). თუმცა მისი მდგომარეობა უიმედოდ სახიფათო ხდებოდა, არც გული გასტეხია, არც განსჯის ძალა და შემეცნების უნარი დაჰკლებია არც ცნობისმოყვარეობის გრძნობა შესუსტებია და არც სიცოცხლის ძალუმი წყურვილი განელებია. ასე წავიდა ჩვენგან ეს შესანიშნავი კაცი, კეთილი მეგობარი, ძმა და ამხანაგი. 21 ოქტომბერს ბესო ჟღენტი მივაბარეთ დიდუბის მიწას. მთელმა ქვეყანამ გულითადად დაიტირა მისი მოამაგე შვილის უღვთო სიკვდილი.

1978

ელენე მეტრეველი

სახელოვანი მკვლევარი ქალი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი, ელენე მეტრეველი ჩემი პირველი ასპირანტი იყო თბილისის უნივერსიტეტში. მისი ასპირანტად დატოვება თავისებურ ვითარებაში მოხდა. ბატონი კორნელი და მე ძველი ქართული მწერლობის ისტორიის კურსს პარალელურად ვკითხულობდით ფილოლოგიის ფაკულტეტზე. კურსი ორწლიანი იყო. ბ-ნი კორნელი რომ პირველი კურსის სტუდენტებს უკითხავდა ლექციებს, მე მეორე კურსელებთან ვუძღვებოდი ამ საგანს. პირველ კურსზე დაწყებულ ლექციებს ბ-ნი კორნელი მეორე კურსზე აგრძელებდა, შემდეგ ისევ პირველ კურსს უბრუნდებოდა. მეც ასე მქონდა განაწილებული ლექციების კითხვა. ეს წესი საერთოდ კარგი იყო, მაგრამ უარყოფითი მხარეც ახლდა: ჩვენ უშუალოდ ვერ ვეცნობოდით ფაკულტეტის ყველა სტუდენტს. ელენე მეტრეველი ლექციებს მე მისმენდა. ჩემთან ჰქონდა მას სპეცსემინარიც ძველ ქართულ მწერლობაში. ძალიან ბეჯითი, გულმოდგინე და ნიჭიერი სტუდენტი იყო. მშვენიერი მოხსენება წაიკითხა სემინარის სხდომაზე. შემდეგ იგი გავრცობილი სახით სადიპლომო შრომადაც წარმოადგინა, ბატონ კორნელის, როგორც კათედრის გამგეს, ვუამბე ელენეს შესახებ და ვთხოვე, ეზრუნა ასპირანტად დატოვებისათვის. სიამოვნებით დათანხმდა, ადგილი გამოითხოვა. ეს იყო

1940 წლის შემოდგომაზე. საპროფილო საგანში მისაღებ გამოცდაზე ელენემ ერთგვარად წაიბორძიკა. წაბორძიკება, რა თქმა უნდა, ნერვული დაძაბულობის შედეგი იყო. ბ-ნი კორნელი გამოცდით უკმაყოფილო დარჩა. არამცდაარამც მაღალი ნიშანი არ დაუწერია. პასუხი მხოლოდ „დამაკმაყოფილებლად“ შეფასდა, რაც ტრადიციისამებრ ასპირანტობაზე უარის თქმას ნიშნავდა. უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი დავით ყიფშიძე კათედრას არ დაეთანხმა, განათლების სახალხო კომისრის დასტურით ე. მეტრეველი ასპირანტად ჩარიცხა და კათედრას მოსთხოვა ხელმძღვანელის გამოყოფა. ბ-ნმა კორნელიმ ხელმძღვანელობაზე გადაჭრით თქვა უარი, შენი კანდიდატია და შენვე მოუარეო. მე, აბა, საწინააღმდეგო რა მექნებოდა? შევადგინეთ გეგმა და შევუდექით მუშაობას. იმთავითვე უნდა შეგვერჩია საკანდიდატო დისერტაციის თემა. ელენეს უფრო ქართული მწერლობის უძველესი პერიოდი, ე. წ. სასულიერო მწერლობა იზიდავდა; მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო იქიდან თემის აღება უხერხული იქნებოდა. შევჩერდით ქართული მწერლობის კლასიკურ ხანაზე, სადისერტაციოდ შევარჩიეთ ნიზამი განჯელისა და შოთა რუსთველის ლიტერატურულ-ტიპოლოგიური შეპირისპირების საკითხი.

ელენე მეტრეველი გატაცებით მუშაობდა და წარმატებებმაც არ დააყოვნა, ოღონდ ერთი წელიც არ იყო გასული მისი ასპირანტობიდან, რომ დაიწყო სამამულო ომი. რასაკვირველია, ამან თავისი დაღი დაამჩნია საასპირანტო მზადების რიტმსაც. ელენეს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან გადალახა ყოველი დაბრკოლება, ომის დამთავრებამდე მოასწრო საკანდიდატო მინიმუმის საგნების წარჩინებით ჩაბარება და სადისერტაციო შრომის მომზადება.

ბ-ნი კორნელი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ელენეს მუშაობას, სისტემატურად ისმენდა კათედრაზე ამ მუშაობის ანგარიშებს, თანდათან ეცვლებოდა ძველი შეხედულება. ადრეც და მით უფრო კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოპოვების შემდეგ ელენე მეტრეველი ენერგიულად ეწეოდა ძველქართული საერო-მხატვრული მწერლობის საკითხების კვლევა-ძიებას. მან შეისწავლა ქართული საერო მწერლობის სტილებრივი ევოლუცია შოთა რუსთველამდე და ნათელყო, თუ როგორ დაუპირისპირდა რუსთველი ახალი მხატვრული ფორმების ძიებისას მის წინამორბედ ქართველ ავტორებს და ნიზამი განჯელს, როგორ დაასრულა მან ქართული კლასიკური მწერლობის მხატვრულ-სტილებრივი განვითარების გზა. უპრეტენ-

ზიო სათაურის მქონე ნაშრომით—„შენიშვნები შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ალაპისა და შოთა რუსთველის ფრესკის ირგვლივ“ (1961) ე. მეტრეველმა მტკიცე საფუძველი დაუდო პოეტ შოთა რუსთველისა და ვაზირ შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იდენტურობის პრობლემას. ე. მეტრეველმა დაასაბუთა, რომ შოთა მეჭურჭლეთუხუცესის საალაპო მოსახსენებელი XIII საუკუნისაა. როგორც დახელოვნებული ტექსტოლოგი და აღიარებული რუსთველოლოგი მკვლევარი, ე. მეტრეველი წევრია ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი სარედაქციო კოლეგიისა. საყურადღებოა ე. მეტრეველის მოსაზრებანი იოვანე შავთელის სახოტბო ძეგლის („აბდულმესიანის“) ქების ობიექტის თაობაზე. რამდენიმე წერილი მიუძღვნა ე. მეტრეველმა (ჩემთან და ალექსანდრე გვახარიასთან ერთად) ჭილილა და დამანას ქართულ ვერსიებს. იგი ამ ვერსიების კრიტიკული ტექსტის გამოცემების თანარედაქტორია.

ელენე მეტრეველმა მთავარი გულისყური მიაპყრო ძველი ქართული სამწიგნობრო კერებისა და სასულიერო მწერლობის ნაკლებ შესწავლილი საკითხების კვლევა-ძიებას. ჩემი ფიქრით, მეცნიერი ქალის განსაკუთრებული დამსახურებაა პალესტინისა და შავი მთის ქართული კულტურული კერების მჭიდროდ შემოქმედებითი ცხოვრების ნათელყოფა. ამ თვალსაზრისით შესანიშნავია ერთგვარად შემაჯამებელი ხასიათის მისი ჟრცელი ნაშრომი „იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიის მასალები XI—XII საუკუნეებისა“. (1962). 1975—1976 წლებში გამოქვეყნებული გამოკვლევებით („შეჰანის უდაბნო—XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში“, „დერტავისა და დერტუფას ხელნაწერების ირგვლივ“) ე. მეტრეველმა გაგვაცნო პალესტინის კიდევ ორი ქართული მწიგნობრული კერის საქმიანობა. საზღვარგარეთული ქართული კულტურული კერების მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების ვითარებას გვითვალისწინებს ე. მეტრეველის პუბლიკაციები: ტიმოთე გაბაშვილის „მიძოსვლა“ (1956 წ.) და გიორგი ავალიშვილის „მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე“ (1967 წ.) ე. მეტრეველმა თვალსაჩინო გახადა შავი მთის უცნობი მონასტრისა და ქართული სამწიგნობრო კერის არსებობა („შავი მთის სამწერლო კერის ისტორიისათვის XII ს. პირველ ნახევარში“), დაადგინა იქაურ ქართველ მაშენებელთა და მწიგნობართა ვინაობა, გამოავლინა შავი მთის განთქმული ქართული მოღვაწის თეოლოგოს-ფილოსოფოსის ეფრემ მცირის ავ-

ტოგრაფული ხელნაწერი და ჰომილეტიკური ტექსტები. ე. მეტრეველმავე გამოიძია და შეისწავლა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის უძველესი ავტოგრაფული ნუსხა.

დიდია ელენე მეტრეველის ღვაწლი ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის შესწავლის საქმეში, მისი ამ დარგის ნაშრომებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა კაპიტალური „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ (1971). ყველაფერთან ერთად ე. მეტრეველმა გაარკვია საბაწმინდური ქართული ჰიმნოგრაფიული სკოლის ჩამოყალიბება და საბაწმინდაში საერთოდ გაშლილი მწიგნობრულ-შემოქმედებითი ცხოვრების შთამბეჭდავი ისტორია. ე. მეტრეველის ამ ნაშრომის მნიშვნელობა სცილდება ქართულის ფარგლებს, იგი ფასდაუდებელი წყაროა ბიზანტიური ძლისპირების (ირმოლოგიონის) საკითხების შესასწავლადაც. შემთხვევითი როდია, რომ ე. მეტრეველის დამოწმებულმა პუბლიკაციამ დიდი ინტერესი გამოიწვია ბიზანტიური და სლავური ჰიმნოგრაფიის სპეციალისტთა შორის.

ე. მეტრეველმა მოიპოვა მანამდის უცნობი ჰიმნოგრაფიული ტექსტები და გამოავლინა უცნობი ქართველი ჰიმნოდი ბასილი ბაგრატიონის ძე, რომელსაც შეუთხზავს, მაგალითად, ექვთიმე ათონელის საგალობელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კ. კეკელიძე დიდ ინტერესს იჩენდა ე. მეტრეველის ყველა ნაშრომის მიმართ. მისი ეს ინტერესი თანდათანობით ნამდვილ აღტაცებასა და გულწრფელ სიყვარულში გადაიზარდა. ბ-ნი კორნელი ერთხელ გამომიტყდა და მითხრა, კარგი ჰქენი, რომ თავის დროზე უკან არ დაიხიე და ელენეს მეცნიერული ხელმძღვანელობა იკისრე, მისგან მშვენიერი მკვლევარი დადგაო. თქმულს იმასაც დავსძენ, რომ თუმცა ბ-ნი კორნელი არ ყოფილა ე. მეტრეველის უშუალო ხელმძღვანელი სამეცნიერო წრთობის პირველ საფეხურზე, მკვლევარი ქალი აღიზარდა და გაიწაფა, რასაკვირველია, კ. კეკელიძის მრავალრიცხოვან ფუძემდებლურ ნაშრომებზე. 1974 წლის მარტში ელენე მეტრეველი დამსახურებისამებრ იქნა არჩეული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად (ბ-ნი კორნელი მაშინ ცოცხალი აღარ იყო).

1979

1964 წლის აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის პირველ დეკადაში ტურისტად ვიმყოფებოდი ჩეხოსლოვაკიაში. წმინდა საექსკურსიო მიზნების გარდა დაგეგმილი მქონდა საქმიანი შეხვედრა ცნობილ ჩეხ ქართველოლოგთან პროფესორ იარომირ იედლიჩკასთან. იედლიჩკას ადრეც პირადად ვიცნობდი. 1957 წელს ის პირველად ეწვია ჩვენ ქვეყანას, თავიც გაგვაცნო და ქვეყანაც გაიცნო. საქართველოთი და ქართული ენით ფილოლოგი მეცნიერი და პოეტი ადრე დაინტერესდა. თვითონ იგონებდა „ეს იყო დიდი ხნის წინათ“, როცა ხელთ ჩამივარდა იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“ და ქართულის შესწავლას შევუდექიო. მალე ამ მხრივ დიდ წარმატებებს მიაღწია. საქართველოში სტუმრობის დროს მას უკვე გამზადებული ჰქონდა დასაბეჭდად ვეფხისტყაოსნის ჩეხური თარგმანის ორი ვარიანტი — პოეტური და პროზაული (ორივე ერთ წიგნად გამოქვეყნდა პრაღაში 1958 წელს). გადათარგმნილი ჰქონდა მას რიგი სხვა ნაწარმოებებიც, მათ შორის „კაცია ადამიანი?!“, „ხევისბერი გოჩა“, „სურამის ციხე“, „გვადი ბიგვა“, „ქართული ხალხური ზღაპრები“ და სხვ. იარომირ იედლიჩკა ქართულად გვარიანად ლაპარაკობდა. მისი ოცნება ყოფილა, საკუთარი თვალით ეხილა რუსთველის სამშობლო. „მხოლოდ ახლა ასრულდა ჩემი ოცნება, რომლითაც აღსავსე იყო მთელი ჩემი ცხოვრება ძრავალი წლის მანძილზე...აი, ახლა საქართველოს მიწა. წყალზე შემოვდგი ფეხი და ბედნიერად ვთვლი თავსო“. წერდა ჩვენი სტუმარი და საგანგებოდ დასძენდა: „სინამდვილემ მთელს ჩემს წარმოდგენას გადააჭარბაო“.

იაროჰირ იედლიჩკამ იმოგზაურა ქართლში, კახეთში, (კახეთში მე ვახლდი მეგზურად), დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე. მის ფხიზელ ყურადღებას თანაბრად იპყრობდა ჩვენი ქვეყნის როგორც დიდებული ბუნება და წარსულის მატერიალური ნაშთები, ისე აწინდელი სოციალისტური ცხოვრების მშენებლობის ყოველი მხარე, იედლიჩკა მოხიბლა თბილისმა. მოხიბლა რუსთავის ინდუსტრიამ და სამგორის არხმა, კახეთის ზვრებმა, ქართლის ბაღებმა, მცხეთის არქეოლოგიურმა გათხრებმა და სვეტიცხოველის ხურდათმოძღვრებამ, გელათის ფრესკებმა და ლადო გუდიაშვილის ფერწერულმა ტილოებმა.

მოგზაურობიდან მიღებული შთაბეჭდილების თაობაზე სტუმარმა ჩვენს მაყურებელს მოუთხრო ტელევიზიით საკმაოდ დახვეწილი

ქართული ენით (პირველად მაყურებელს გავაცანი იარომირ იედლიჩკას ვინაობა და მისი დამსახურება ქართული კულტურის წინაშე). სამშობლოში დაბრუნებულმა იედლიჩკამ კიდევ უფრო ინტენსიურად განაგრძო ქართველოლოგიური საქმიანობა.

საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა მიქელ თარხნიშვილმა ქართველოლოგ იულიუს ასფალგის თანამშრომლობით გადაამუშავა და 1955 წელს გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა კ. კეკელიძის „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის" პირველი ტომი (სასულიერო მწერლობა). თარხნიშვილს განზრახული ჰქონდა ასევე გამოეცა კ. კეკელიძის კურსის მეორე ტომიც (საერო მწერლობა). მაგრამ სიკვდილმა უსწრო. წამოწყებული საქმის დასრულება უკისრია იარომირ იედლიჩკას. სპეციალური წერილით 1963 წელს მან ნებართვა ითხოვა უნივერსიტეტის რექტორისაგან (კ. კეკელიძე უკვე გარდაცვლილი იყო, მისი წიგნის გამომცემლად ითვლებოდა უნივერსიტეტი). იედლიჩკამ, რა თქმა უნდა, თანხმობა მიიღო, ოღონდ უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა ევგენი ხარაძემ ჩემთან დათათბირების შემდეგ შეახსენა ჩეხ მეცნიერს, რომ კ. კეკელიძის შრომის გადამუშავების დროს, კერძოდ, რუსთველოლოგიური საკითხების გაშუქებისას გათვალისწინებული ყოფილიყო ამ საკითხების გარშემო არსებული თანამედროვე ვითარება, რომ კ. კეკელიძის ზოგიერთი რუსთველოლოგიური მოსაზრება საჭიროებდა გადასინჯვას ახალი მასალების კვლობაზე. ასეთი შეხსენება მით უფრო აუცილებელი გახდა, რომ ინგლისელმა ქართველოლოგმა დევიდ ლანგმა იარომირ ედლიჩკას ერთ კერძო წერილზე დაყრდნობით, როგორც თვითონ იუწყება, საეჭვოდ მიიჩნია ვეფხისტყაოსნის აღიარებული თარიღი და პოემის პროლოგის ავთენტიკურობა, სწორედ ამ საკითხზე მსურდა იედლიჩკასთან საუბარი პრაღაში ყოფნის დროს. საგულისხმო ისიც იყო, რომ ვეფხისტყაოსნის მისეული თარგმანის ვრცელ შესავალ წერილში პოემის ავტორობისა და სხვა ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებზე ჩვეულებრივი ტრადიციული თვალსაზრისია გატარებული[1].

პრაღაში მყავს ერთი კეთილი მეგობარი, განათლებული ჩეხი ინჟინერი და ლიტერატურის დიდი მოყვარული ალექსი სვატოში. სვატო-

---

[1] აქ აღძრული საკითხები საგანგებოდ მაქვს განხილული გამოკვლევაში „პოეტური მეტაფორის ენა და ვეფხისტყაოსნის თარიღის საკითხი" (ალმანახი „კრიტიკა", 1972, I, გვ. 109—118, ნარკვევები, VI, 1975, გვ. 30—45).

ში ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აქ ტიური წევრია. საქართველოს გულწრფელი მოთაყვანე. მის სამუშაო კაბინეტში კედელზე გაკრულია საქართველოს ძველი და ახალი რუკები. აქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და თბილისის ხედების ძველი ალბომები და იშვიათი წიგნები საქართველოს შესახებ. კაბინეტში ბევრია საქართველოს სინამდვილის გამომხატველი ნივთები (უმეტესობა ნაჩუქარი სუვენირები). ჩვენი ქვეყნის სიყვარული ალექსი სვატოშს მოდგამს მშობლებისაგან. მამამისი იაროსლავ სვატოში (1871—1932) რევოლუციამდე იყო თბილისის ქალთა პირველი გიმნაზიის დირექტორი (და რუსული ენის მასწავლებელი). დედა — ტერეზა (1883—1965) იმავე გიმნაზიის მასწავლებელი. იაროსლავ სვატოში თავის დროზე ითვლებოდა ერთ-ერთ მოწინავე პედაგოგად მთელ ამიერკავკასიაში[1]. 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, იგი დაინიშნა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის კონსულად თბილისში. ამ თანამდებობაზე დაყო 1925 წლამდის. შემდეგ მთელი ოჯახით სამშობლოში დაბრუნდა და ერთხანს ბენეშთან მსახურობდა, ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროში. ბოლოს პენსიაზე გავიდა, შეიძინა საკუთარი სახლი დეივიცეში (პრაღის ერთ-ერთი გარეუბანია), გააშენა პატარა ბაღი და სიკვდილამდე (1932 წლამდე) სახლ-კარის მოვლა-პატრონობას უნდებოდა. ჩემი მეუღლე ნინო სვატოშის გიმნაზიაში სწავლობდა. ჩემს სიდედრ-სიმამრსა და სვატოშებს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. ალექსი 1916 წელს დაიბადა, საქართველოში მან 9 წელი დაყო. ბავშვი და მისი მშობლები ქართულს ფლობდნენ (ჩვენ თვითონ ვინახულეთ 1964 წელს პრაღაში ღრმად მოხუცი ტერეზა სვატოში, ქართულად ლაპარაკს რამდენადმე მაშინაც ახერხებდა).

ალექსი სვატოში და მისი მეუღლე ინგა რამდენიმეჯერ იყვნენ საქართველოში. ბინად ჩვეულებრივად ჩვენთან ჩერდებოდნენ. განვაახლეთ უფროსი თაობების დროინდელი კეთილი ურთიერთობა. ალექსი ერთხელ საგანგებოდ მოვიპატიჟე და სამი კვირა დაყო ჩვენთან სტუმრად. თვითონაც ბეჯითად გვეპატიჟებოდა პრაღაში. 1964 წლის აგვისტო-სექტემბერში, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩეხოსლოვაკიაში ვიმოგზაურე. ჩვენი ჩასვლის, თაობაზე წინასწარ ვაცნობე

[1] ი ვ ა ნ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ჩეხი პედაგოგი იაროსლავ სვატოში საქართველოში, თბილისი 1962.

ალექსი სვატოშს. ვიცოდი, რომ იარომირ იედლიჩკაც მის მეზობლად ცხოვრობდა დეივიცეში. ვთხოვე, თავის ბინაზე მოეწყო ჩემი და იარომირის შეხვედრა. ალექსი ძალიან კმაყოფილი დარჩა ჩვენი სტუმრობით და იმითაც, რომ შემთხვევა ეძლეოდა პატივი ეცა იედლიჩკასათვის.

1964 წლის 30 აგვისტოს მთელი დღე გავატარეთ სვატოშების ოჯახში. ჩემთან იყვნენ ჩემი მეუღლე ნინო და ელენე მეტრეველი (ელენეც ჩვენი ტურისტული ჯგუფის წევრი იყო). ჩვენთან იყო იარომირ იედლიჩკაც. იქ გადაღებული საერთო სურათიც შემომრჩა.

სვატოშებმა გულუხვი მასპინძლობა გაგვიწიეს. ბევრი ვისაუბრეთ იარომირ იედლიჩკასთან ჩვენს საქმეზე. ლანგთან მიწერილი ბარათის თაობაზე იარომირს არაფერი უთქვამს (არც მე მიკითხავს). ჩვენი ყველა მოსაზრება უყოყმანოდ მოიწონა და გაიზიარა. აღგვითქვა, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომს დაამუშავებდა უახლესი სპეციალური ლიტერატურის ფართოდ გამოყენებით და შესაფერის დონეზე, ხოლო წიგნის საბოლოოდ გამზადებულ ტექსტს თბილისში გადმოგვიგზავნიდა გასაცნობად და ვიზის მისაღებად.

1964 წლის 30 აგვისტო დაუვიწყარ სამახსოვრო დღედ დამრჩება მთელ ჩემს სიცოცხლეში.

სამწუხაროდ, იარომირ იედლიჩკას აღარ დასცალდა განზრახული საქმის დაგვირგვინება. ჯანმრთელობას მაშინაც უჭიოდა. თუმცა 63 წლის ასაკისა იყო (იარომირი დაიბადა 1901 წლის 9 ოქტომბერს), ღრმად მოხუცი კაცის იერი ჰქონდა. ავადმყოფობა მალე გაძლიერებია, ჩვენი შეხვედრიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ. 1965 წლის აგვისტოში, იარომირ იედლიჩკა გარდაიცვალა. ქართველი ხალხი ვერ დავიწყებს თავისი ჩუმი მეგობრის სახელს. მისი დიდი ამაგი ვერ ამოიშლება ჩვენი ერის ხსოვნიდან.

1978

დევიდ ლანგის ვიზიტი

1974 წლის იანვარში საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ინგლისელი ქართველოლოგი, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესო-

რი დევიდ მარშალ ლანგი. ჩვენი მეცნიერული საზოგადოებრიობა ჯარგად იცნობს და აფასებს დ. ლანგის ღვაწლს ქართული კულტურის შესწავლის საქმეში. იგი მრავალმხრივი მკვლევარია—ისტორიკოსი, საკუთრივ ნუმიზმატიკოსი, და ფილოლოგი-ლიტერატურათმცოდნე. ლანგმა მშვენივრად იცის ქართული და რუსული ენები. გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს ჩვენი მეცნიერების წინსვლას და რესპუბლიკის კულტურულ მშენებლობას. იშვიათი ბიბლიოფილია, წყაროების საუკეთესო მცოდნე, ცოცხალი კავშირი აქვს დამყარებული ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებებთან, ქართველ მეცნიერებთან და მწერლებთან. საფუძვლიანად იცნობს ჩვენი ქვეყნის წარსულსა და აწმყოს. ცნობილია დ. ლანგის წიგნი „ქართველები“, რომელიც ჯერ ამერიკაში დაიბეჭდა და შემდეგ პოლონურად გამოქვეყნდა (ვარშავა. 1972). ამ პატარა ნარკვევში ჩვენ ვეხებით დ. ლანგის ფილოლოგიურ ნაშრომებს. დასავლეთის სხვა ქართველოლოგებისაგან დ. ლანგი იმით გამოირჩევა, რომ ქართული სასულიერო მწერლობის გარდა სწავლობს და იკვლევს საერო მხატვრულ ლიტერატურას. საპატიოა ის ღვაწლი, რაც დ. ლანგს მიუძღვის „ბალავარიანის“ მიმართ, მან მკაცრად გააკრიტიკა გერმანელი ბიზანტინისტის დელგერის ნიჰილისტური შეხედულება. ინგლისელი მეცნიერი ბეჯითად და საბუთიანად ამტკიცებს, რომ „სიბრძნე ბალავარისის“ ბერძნული რედაქციის ავტორია ექვთიმე ათონელი და არა იოვანე დამასკელი. ფაქტობრივ ლანგმა გამოავლინა „სიბრძნე ბალავარისის“ უძველესი და უმნიშვნელოვანესი ქართული იერუსალიმური ნუსხა და მისი ტექსტის ინგლისური თარგმანიც გამოსცა (ლონდონი, 1966). საგანგებო წერილით შეეხმიანა დ. ლანგი პეტრე იბერის საკითხს (1951).

მთელი რიგი ნარკვევები მიუძღვნა ლანგმა ქართული კლასიკური პერიოდის ეპიკურ ძეგლებს, კერძოდ „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვეფხისტყაოსანს“.

დ. ლანგს დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს ის გარემოება, რომ ბოდლეს ბიბლიოთეკის უორდროპისეულ ხელნაწერ ფონდში იპოვა და შეისწავლა „ამირჰამზას“ ამბის უცნობი ქართული თარგმანი, რომელიც ახალ დროს, XIX საუკუნის პირველ მესამედს ეკუთვნის. აღნიშნული ძეგლის აღმოჩენისა და „ამირანდარეჯანიანის“ სტივენსონისეული ინგლისური თარგმანის გამოქვეყნების გამო დ. ლანგმა ინგლისელ ირანოლოგ გ. მერედიტ-ოუენსთან ერთად დაბეჭდა საინტერესო, მაგრამ ბევრიგად სადავო ხასიათის ნაშრომი

(1959). ამ ნაშრომის თაობაზე უკვე გვაქვს გამოთქმული ჩვენი მოსაზრება (ნარკვევები, IV 1964) და აქ აღარ გავიმეორებთ. საყურადღებოა დ. ლანგის გამოკვლევა „ხალხური და კურტუაზიული ელემენტები ქართულ ეპოსში“ (1970 წ). ავტორს გარჩეული აქვს ქართული ეპიკური სამწერლობო და ფოლკლორული ძეგლები უძველესი დროიდან გიორგი ლეონიძის პოემამდე „ბავშვობა და ყრმობა“. შიგადაშიგ მკვლევარი ეხება „ვეფხისტყაოსნის“ რიგ პრობლემურ საკითხებს, არსებითად, ანალოგიურ საკითხებს მოიცავს მისი მოხსენება ორიენტალისტთა XXV საერთაშორისო კონგრესზე მოსკოვში „შუა საუკუნეთა ქართული ლიტერატურის პრობლემები“ (მოხსენების ტექსტი დაბეჭდილია ამ კონგრესის შრომებში, მოსკოვი, 1963). საგანგებო ინტერესს იწვევს დ. ლანგის შესავალი ლექცია, რომელიც მას წაუკითხავს ლონდონის უნივერსიტეტში 1965 წლის 2 ნოემბერს (ლექციის ტექსტი დაიბეჭდა ცალკე წიგნად, ლონდონი, 1966). ამ ლექციაში განზოგადებულია და თანმიმდევრულად განვითარებული ქართული მწერლობის ისტორიაზე მისი თვალსაზრისი. ლექციის სათაურიც სავსებით გამოხატავს მისი შინაარსის ხასიათს — —„ქართული ლიტერატურის განვითარების საფეხურები“. ლექციაში ავტორი ჩერდება ქართული მწერლობის სათავეებზე. მკაფიოდ აანალიზებს ქართული სასულიერო მწერლობის, უპირატესად ორიგინალური ჰაგიოგრაფიის ძეგლებს. ამბობს, რომ იაკობ ცურტაველი „ცოცხალი რეალიზმის“ კვალობაზე მხატვრულად აღწერს ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ ცხოვრებისეულ სინამდვილეს. ასევე რეალისტურია და მძლავრი რელიგიურ-პატრიოტული სულისკვეთებითაა გამსჭვალული იოვანე საბანისძის „აბოს წამებაო“. ღირსეულად აფასებს დ. ლანგი ბასილ ზარზმელის, გიორგი მერჩულეს, ათონელების, იოვანე პეტრიწის და სხვა სახელოვან ქართველ მწერალთა ლიტერატურულ მოღვაწეობას. პეტრე იბერზე ამბობს, ეს სწორედ ის პეტრეა, რომელიც თავის დროის ერთ-ერთ უდიდეს თეოლოგად ითვლებოდა და რომელსაც განსვენებულ ერნესტ ჰონიგმანი და შალვა ნუცუბიძე დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი შრომების ავტორად მიიჩნევენო.

ლექციაში შედარებით ვრცლად არის მიმოხილული კლასიკური პერიოდის ლიტერატურული ცხოვრება (კლასიკურ პერიოდს დ. ლანგი უწოდებს „ოქროს ხანას“). განსაკუთრებით შთამბეჭდავია „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მხატვრული ანალიზი, ძალიან ცოტას

ამბობს მკვლევარი ე. წ.. აღორძინების პერიოდზე. ორიოდე სიტყვით იხილავს ნ. ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლის პოეზიას, გაცილებით უფრო მეტ ადგილს უთმობს ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობის დახასიათებას. დასასრულ საუბარია მიხეილ ჯავახიშვილსა და კონსტანტინე გამსახურდიაზე, დ. ლანგი დიდად აფასებს ქართველი ხალხის შემოქმედებითს ნაყოფს როგორც წარსულში, ისე აწმყოში და დიდ წარმატებას უქადის ქართულ კულტურას საშერმისოდ.

ლექცია დ. ლანგს დაუმთავრებია განცხადებით, რომ სანამ მას ლონდონის უნივერსიტეტში კავკასიათმცოდნეობის პროფესორის საპატიო პოსტი ექნება დაკავებული, ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ამ „ორიგინალური და ჰეშმარიტად ჩინებული“ ლიტერატურის სრულყოფილად შესწავლას.

ჩვენ ფრიად საყურადღებო გარემოებად ვთვლით ქართული სულიერი კულტურის მაღალ შეფასებას ლონდონის უნივერსიტეტის კათედრიდან. მაგრამ ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს ორი რამ მაინც გარკვევით შევნიშნოთ პატივცემულ ინგლისელ მეცნიერს. პირველი: უსაფუძვლოდ გვეჩვენება ქართული დამწერლობის წარმოშობის მისეული ახსნა, მეორე: სრულიად დაუსაბუთებელია ლექციაში გატარებული თვალსაზრისი (ამ თვალსაზრისს ავითარებს იგი მის სხვა შრომებშიც) — თითქო „ვეფხისტყაოსნის“ განთქმული პროლოგ-ეპილოგი შემდეგდროინდელი დანართი იყოს და თითქო ჩვენი უკვდავი პოემა დაიწერა თამარის შემდეგ.

ძვირფას საინფორმაციო ცნობებს შეიცავს დ. ლანგის ნარკვევი „ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში“, რომელიც ქართულადაც გამოქვეყნდა („ცისკარი“, 1957, №4).

დევიდ ლანგმა ბევრ ინგლისელ ახალგაზრდას შეასწავლა ქართული ენა და შეაყვარა ქართული მწერლობა. ქართველი საზოგადოება არ ივიწყებს მის ამაგს. თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ კი დ. ლანგი უკვე 1968 წელს აირჩია თავის საპატიო დოქტორად.

1974

ლაიოშ ტარდი

ჩვენ, ქართველებს, ცოტა როდი გვყავს საზღვარგარეთ კეთილი მეგობარი, ჩვენი დიდი ეროვნული კულტურის დამფასებელი და მოამაგეც. მათ შორის ერთი პირველთაგანია უნგრელი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ფრიად აქტიური წევრი ლაიოშ ტარდი. იგი ფართოდ განსწავლული ისტორიკოსია და მწერალი, ყველა ძირითადი ევროპული ენის მცოდნე, თავისუფლად ფლობს რუსულს, გვარიანად იცის ქართული, კითხულობს და საუბრობს ჩვენს ენაზე. გამოწერილი აქვს ქართული ჟურნალ-გაზეთები, ბეჯითად ადევნებს თვალყურს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას.

ლაიოშ ტარდი ბევრჯერ არის ნამყოფი საქართველოში, ბევრი ჰყავს. ნაცნობ-მეგობარი, ბევრი ოჯახის სასურველი სტუმარია. თვითონ ლაიოშ ტარდის ოჯახში სუფევს ქართული სული, ბინაზე ბუდაპეშტში (ორგონა, 5) მოწყობილი აქვს ქართული კულტურის კუთხე. ესაა გემოვნებით შერჩეული და კოხტად ექსპონირებული, ასე ვთქვათ, ბინის მინიატურული მუზეუმი. აქ გამოფენილია ჩვენი ისტორიისა და კულტურის, ჩვენი ყოფაცხოვრების ამსახველი სხვადასხვა ნივთი. „მუზეუმს“ ამშვენებს შესანიშნავი ბიბლიოთეკა, სადაც თავმოყრილია დიდძალი ქართველოლოგიური ლიტერატურა უნგრულსა და სხვა ენებზე, მათ შორის ქართულსა და რუსულ ენებზე.

ლაიოშ ტარდი გულუხვი და პურადი მასპინძელია. იგი მეურვეობს საქართველოდან ჩასულ ყველა სტუმარს, მისი კარი მუდამ ღიაა ქართველისათვის, ერთგვარი სიამაყის გრძნობით ათვალიერებინებს ხოლმე მისულს თავის მუზეუმს და ბიბლიოთეკას, ასაჩუქრებს რაიმე სუვენირით. პირადად, მე, მაგალითად, მისახსოვრა ვეფხისტყაოსნის ბელა ვიკარისეული უნგრული თარგმანის 1917 წლის გამოცემის ჩინებულად შენახული ცალი, რითაც დიდად გამახარა.

ლაიოშ ტარდიმ დაუბრუნებელი მგზაურობა გამიწია უნგრეთში ყოფნის დროს 1969 წლის აგვისტოში. ჩემთვის დაუვიწყარი იქნება ის იშვიათი ყურადღება, რომელიც მომაგო მან ამ მგზავრობის დროს. ტარდი მშვენივრად იცნობს თავისი ქვეყნის ყველა კუნჭულს, იმის წარსულსა და აწმყოს. იგი გატაცებით გვიამბობდა ისტორიული მნიშვნელობის იმ ძეგლებზე, რომლებიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ბლომად გვხვდებოდა ქალაქად თუ სოფლად.

მთავარი მაინც ისაა, რომ ლაიოშ ტარდი თავდაუზოგავად შრომობს, როგორც მეცნიერი, უნგრულ-ქართული ისტორიული ურთიერთობის შესასწავლად და ჩვენი რესპუბლიკის აწმყოს საპროპაგანდოდ თავის ქვეყანასა და უცხოეთში. ლაიოშ ტარდი ფართოდ ერუდირებული და ნიჭიერი მკვლევარი-ისტორიკოსია. მისთვის ხელმისაწვდენია უნგრეთისა და ევროპული ქვეყნების სიძველეთსაცავები, რომელთაც შემოუნახავს ჩვენი წარსულის უძვირფასესი მასალები. განსაკუთრებით უხვია ამ მხრივ ვატიკანის მუზეუმი. ძირითადად მის მიერვე გამოძიებული მასალების საფუძველზე დაწერა ტარდიმ ვრცელი გამოკვლევა „უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში“, რომელიც წარმატებით დაიცვა თბილისში 1973 წელს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. 1980 წელს ეს შრომა ბეჭდურად გამოქვეყნდა თბილისშივე ქართულ ენაზე (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 200 გვ. რედაქტორი ი. ტაბაღუა). ადრე, 1968 წელს, დაიბეჭდა ლ. ტარდის ზოგადი მიმოხილვითი ხასიათის მქონე ბროშურა „უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“, მასვე ეკუთვნის საინტერესო ისტორიული რომანი „იაკუბ ბეი“ (თბილისი, 1971). რომანის მთავარი გმირია ერეკლე მეორის კარზე მიღებული ცნობილი მოღვაწე იაკობ რაინეგსი (იაკუბ ბეი). ავტორი ამჟღავნებს XVIII ს. მეორე ნახევრის როგორც საქართველოს, ისე დასავლეთ ევროპისა და რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების კარგ ცოდნას. დისერტაციის დაცვის შემდეგ ლაიოშ ტარდი ინტენსიურად განაგრძობს კვლევა-ძიებას უნგრულ-ქართული ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის საკითხებზე. არა ერთი ნარკვევი გამოაქვეყნა კიდევაც უნგრეთისა და საზღვარგარეთის სამეცნიერო ორგანოებში. ლაიოშ ტარდი მუდმივი თანამშრომელია და სარედაქციო კოლეგიის წევრი პარიზის ქართველოლოგიური ორგანოსი „რევიუ დე ქართველოლოჟი“, რომელსაც საფრანგეთის სამეცნიერო ცენტრის დახმარებით სცემენ ნინო და კალე სალიები.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა ლაიოშ ტარდის სადისერტაციო შრომის გამოცემის თაობაზე. წიგნი გამომცემლობას გადაეცა 1974 წელს, დაიბეჭდა 1980 წელს. ბეჭდვა, რასაკვირველია, გაჭიანურდა, წიგნის გამოსვლამ დაიგვიანა. ამას სხვადასხვა მიზეზი აპირობებდა. ჯერ იყო და გამოკვლევა ითარგმნა ქართულად, ჩასწორდა, დასჭირდა რედაქციული ჩალხი და სასტამბოდ გაწყობა. რთული იყო

ტექსტი ასაწყობად და საკორექტუროდ (ბლომად შეიცავს წყაროებსა უცხო ენებზე). ბატონი ლაიოში ღელავდა და სამართლიან გულისწყრომას გამოთქვამდა. ჩვენ ხშირი მიმოწერა გვქონდა ამის თაობაზე. ბოლოს მის წერილებს რაღაც ეჭვის კილო დაეტყო. 1979 წლის მიწურულში ლაიოშ ტარდის წიგნი დაიბეჭდა. თუმცა გამოქვეყნდა 1980 წლის თარიღით. ავტორს მაშინვე ვაცნობე დეპეშითაც და წერილითაც. 1980 წლის 12 იანვრის თარიღით მისგან ვრცელი პასუხი მივიღე. ვაქვეყნებ ამ პასუხის ერთ ნაწილს[1].

დიდად პატივცემულო ალექსანდრე!

დიდი მადლობა თქვენი თავაზიანი წერილისათვის. მადლობა თქვენი ზრუნვის გამო ჩემი დისერტაციის გამოსაცემად. სამწუხაროდ, ჩემი თხოვნის მიუხედავად, გამომცემლობამ არ გამომიგზავნა ლათინური და იტალიური ტექსტების ანაბეჭდები. ამიტომ მათი გასწორება არ მოხერხდა. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ თქვენ, ვგონებ, თქვენ ერთადერთმა, ასე მონდომებით მიხედეთ ჩემს უბედურ დისერტაციას. რასაკვირველია, ეს დისერტაცია ის აღარაა, რაც ამ შვიდი წლის წინათ იყო. ბოლოდროინდელმა ბევრმა მსგავსმა პუბლიკაციამ დაუკარგა მას ნამდვილი (ე. ი. ადრინდელი, ა. ბ.) მნიშვნელობა. ჩვენს შორის რომ ვთქვა, მე არ მესმის ქართველი კოლეგა-ისტორიკოსების ნეიტრალური დამოკიდებულება ამ საქმისადმი. როგორც ჩანს, ჩემი წიგნის გამოცემას ახლავს ჩემთვის უცნობი რაღაც ამბები. მე ბედნიერი ვიქნებოდი, თუ როდისმე თქვენგან შევიტყობდი ამ დელიკატური საქმის გარემოებას.

წერილის მიღების უმალვე ვუპასუხე ბატონ ლაიოშს და შევეცადე, გამექარწყლებინა მისი უსაფუძვლო ეჭვები. ახლა მოგონებათა ამ წიგნის საშუალებითაც მინდა დავარწმუნო ჩემი ძვირფასი მეგობარი, რომ ის ცდება. საქართველოში მისდამი ყველა სიმპათიითაა განწყობილი. მისმა კოლეგა-ისტორიკოსებმა ყველა ღონე იხმარეს, რომ შრომა დროულად და კარგად გამოსულიყო. კერძოდ, სამაგალითო მონდომება გამოიჩინა შრომის რედაქტორმა (და ადრე ოპონენტმა) პროფესორმა ილია ტაბაღუამ. ბატონმა ლაიოშმა უნდა ირწმუნოს, რომ მისი წიგნის გამოცემის გარშემო არ ყოფილა არავითარი მითქმა-მოთქმა. ყველა, ვისაც კი რაიმე კავშირი ჰქონდა მის წიგნთან, გულით ზრუნავდა მის სასარგებლოდ. სამწუხაროა, რომ გამოცემა მართლაც დაგვიანდა. ეს უფრო ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობა, ვიდრე სუბიექტურმა. მე უკვე აღვნიშნე, რომ დისერტაციის დაცვის

[1] დედანი დაწერილია რუსულ ენაზე.

შემდეგ ლაიოშ ტარდი ენერგიულად განაგრძობდა მუშაობას და რიგი ახალი მასალებიც მოიპოვა, რითაც გაამდიდრა ძველი მიღწევები. ოღონდ ტყუილად წუხს ბატონი მკვლევარი, თითქოს მისი სადისერტაციო ნაშრომი „ის აღარაა, რაც ამ შვიდი წლის წინათ იყო“. ახალი მასალების მოპოვებას და ახალი კვლევაძიებითი მუშაობის შედეგებს სრულიადაც არ დაუჩრდილავს და არ შეუმცირებია მისი მონოგრაფიის თავისდათავადი დიდი მეცნიერული მნიშვნელობა.

ბატონი ლაიოშ ტარდი ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს მის საყვარელ საქმიანობას. ვუსურვოთ მას შემდგომი წარმატებები ჩვენი და ძმური უნგრული კულტურის საკეთილდღეოდ.

1980

ოვანეს თუმანიანის გახსენება ატლანტის ოკეანეში

1969 წლის ოქტომბერში გემით ვიმოგზაურეთ დასავლეთ აფრიკის გარშემო. ორადგილიან კომფორტულ კაიუტაში ერთად ვიყავით მე და ილია თავაძე. ჩვენი მეზობლები იყვნენ ვაჰან მამასახლისოვი და ბორის ფურცხვანიძე. ეს იყო გიბრალტარის სრუტეს გავსცდით და შევცურეთ ატლანტის ოკეანეში. მშვიდი დღე იყო. გემი რიტმულად ირწეოდა და ნელა მიაპობდა ტალღებს. ნასადილევს ილია თავაძე, ვაჰან მამასახლისოვი და მე ბარში შევედით, კუთხის მაგიდა დავიკავეთ, ლუდი და ყავა მოვითხოვეთ, მუსაიფი გავაბით. უცებ მოგვიახლოვდა უცნობი ახალგაზრდა, ასე 25 წლისა, ჯმუხი. შავგვრემანი სახე შეწითლებული ჰქონდა. აღგზნებული ჩანდა. ფავი ამაყად ეჭირა. მან საკმაოდ გამომწვევი კილოთი იკითხა რუსულად, თქვენს შორის აღმოსავლეთისმცოდნე ვინ არისო (ვაჰანმა წამჩურჩულა, ეს კაცი ნასვამი ჩანს და ფრთხილად იყავიო).

—აღმოსავლეთმცოდნის პატივს ვერ დავიჩემებ, მაგრამ მზად ვარ თქვენი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილო, — ვუპასუხე მორიდებულად. ვთხოვე დამჯდარიყო (მივუთითე თავისუფალ სკამზე) და ყავა შევთავაზე. ყავაზეც და დაჯდომაზეც უარი თქვა. ოვანეს თუმანიანის იუბილე თუ გადაიხადეთ საქართველოშიო, მომმართა მკვახედ. როგორ არა, მივაგებე პასუხი, მთელმა საქართველომ იდღესას-

წაულა ოვანეს თუმანიანის დაბადების ასი წლისთავი. მცირედი რამ ძეც გავაკეთე, გასული თვის (სექტემბრის) 20 რიცხვის რუსულ გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ დაიბეჭდა ჩემი წერილი თუმანიანზე, რადიო-მაუწყებლობამ მოაწყო სპეციალური გადაცემა ოვანეს თუმანიანზე სომხეთისათვის (24 სექტემბერს). გადაცემაში მეც მივიღე მონაწილეობა. უცნობს ერთგვარი გაკვირვება დაეტყო სახეზე. იცით, თუ არა თქვენ, ჩემი მხრით შევეკითხე მას, რომ ოვანეს თუმანიანი დაიბადა საქართველოში, იქ გაატარა მთელი სიცოცხლე, იყო საქართველოს დიდი მეგობარი, მშვენიერი ლექსი მიუძღვნა ქართველ პოეტებს, დასაფლაებულია თბილისში, მის ყოფილ სადგომს ამშვენებს მემორიალური დაფა, ერევანში, თუმანიანის მუზეუმში გამართულია მისი თბილისური კაბინეტის აბსოლუტურად ზუსტი ორეული ოთახი შესაფერისი ავეჯით. უცნობს რამდენადმე ფერი ეცვალა. მე განვაგრძე: ოვანეს თუმანიანის ხსოვნის აღსანიშნავად რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა მოაწყო სამეცნიერო სესია, თბილისში და პერიფერიებში გაიმართა ლიტერატურული საღამოები, ჩვენმა წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საიუბილეო ღონისძიებებში ერევანსა და მოსკოვში. და, ბოლოს, ოვანეს თუმანიანის დასკვნითი საიუბილეო საზეიმო სხდომა შედგა თბილისში, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. ამ სხდომას დაესწრო ზეიმის ყველა მონაწილე საზღვარგარეთიდან, მოკავშირე რესპუბლიკებიდან და სომხეთის დედაქალაქიდან.

უცნობი გაოგნებული იდგა. ეტყობოდა, რომ მან არაფერი იცოდა ოვანეს თუმანიანის საქართველოსთან კავშირის თაობაზე. შეცბუნებულმა დაბალი ხმით მკითხა. თქვენ ვინ ხართო. მეც არ დავაყოვნე და ვუპასუხე, რომ ვარ პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. გავაცანი ჩემი კოლეგებიც. ილია თავაძე —პროფესორი, თეატრალური ინსტიტუტის დირექტორი, ვაჰან მამასახლისოვი — ცნობილი მეცნიერი ფიზიკოსი, პროფესორი, აკადემიკოსი. მამასახლისოვი ქართველი მეცნიერია, მაგრამ წარმოშობით სომეხია-მეთქი. ამან კიდევ უფრო გააცვიფრა უცნობი ახალგაზრდა. ერთხანს შეცბუნებული გვიყურებდა, შემდეგ ჩაილაპარაკა — მამასახლისოვი სომხური გვარი არ არისო. საუბარში ვაჰანი ჩაერთო. მართალიაო, განმარტა, მამასახლისოვი (მამასახლისი) ეტიმოლოგიურად ქართულია. როგორც ჩანს, ეს გვარი შეინარჩუნა სომხური (გრიგო-

რიანული) აღმსარებლობის ჩვენმა ქართველმა წინაპარმაო. ორიოდე ფრაზა ვაჰანმა სომხურადაც თქვა. სომხურად შეესიტყვა ჩვენი უცნაური სტუმარიც. იგი მთლად მოეშვა, სადღაც გაქრა მისი ქედფიცხელობა. ბაგეებზე დარცხვენილი კაცის ღიმილი აღებეჭდა. დაიბნა. აღარ იცოდა, რა ეთქვა, რა ემოქმედა, ახლა მე შევაშველე კითხვა. თქვენ ვინ ბრძანდებით — მეთქი. ერთხანს ჩუმად იყო, ამას არა აქვს მნიშვნელობა, მე სავაჭრო სისტემის მუშაკი ვარო, დაურთო. ჩვენც არ ჩავაცივდით და სახელიც აღარ გვიკითხავს. უცნობმა ბოდიში მოიხადა, ერთი წუთით დაგტოვებთ და უმალვე აქვე გავჩნდებიო. მართლაც, ორიოდე წუთის შემდეგ მობრუნდა, ახლა მეგობრული გამომეტყველება ჰქონდა. საუკეთესო მარკის სომხური კონიაკის ერთი ბოთლი მოიტანა, მაგიდაზე დადგა, ეს ოვანეს თუმანიანის გახსენებისა იყოსო, უარი არ გაეწყობოდა. შეგავსეთ სასმისები და წრფელი გრძნობით დავცალეთ სომეხთა დიდი ეროვნული მგოსნის ოვანეს თუმანიანის შესანდობარი, შორს კი, თვალის საწიერზე, ჩამავალი მზის უზარმაზარი წითელი დისკო ოკეანეში ინთქმებოდა.

1979

ვარპეტი

მოძმე სომეხმა ხალხმა და მასთან ერთად მთელმა ჩვენმა ქვეყანამ აღნიშნა თანამედროვეობის უდიდესი პოეტის ავეტიქ ისაააკიანის (1875-1957) დაბადების 100 წლისთავი. ჰეშმარიტად სახალხო პოეტს მისმა ერმა სიცოცხლეშივე „ვარპეტი“ („დიდოსტატი“) უწოდა, რადგან ავეტიქ ისაააკიანის პოეტური სული მზისკენ მიმავალ გზას უნათებდა მკითხველს, ბედნიერების ელვარე მზისკენ, რომლისკენაც ისწრაფის მარად „აბუ-ლ-ალა მაარის“ ქარავანი, ნ. ბარათაშვილის შერნის კვალს გადევნებული. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში სახელგანთქმული ეს პოემა პირველად თბილისში გამოქვეყნდა. ავეტიქ ისაააკიანი დიდი და წრფელი მეგობარი იყო საქართველოსი, ქართული კულტურისა, ქართველი მწერლებისა. ეს სიყვარული აისახა მის შემოქმედებაში. ამ სიყვარულითვე უპასუხა ქართველმა ხალხმა დიდ პოეტს. საიუბილეო დღეებში გამოქვეყნდა ავეტიქ ისაააკიანის პოეზიისა და პროზის ახალი თარგმანები, გამოკვლევები მისი შემოქმედების შესახებ, მის ხსოვნას მიეძღვნა სამეცნიერო სესიები. შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკა-

დემიურ თეატრში გაიმართა დიდი საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა, მეცნიერებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, ქალაქის მშრომელებმა, სომეხი ხალხის წარმომადგენლებმა.

ვაქვეყნებ ამ საღამოზე წარმოთქმული ჩემი სიტყვის ტექსტს:

ახალი სომხური პოეზიის დიდი ჭურუმი, მისი საყოველთაოდ აღიარებული დედაბოძი და წინამძღვარი ავეტიქ ისააკიანი პირადად გავიცანი 1945 წლის სექტემბერში. ეს-ეს იყო დამთავრდა დიდი სამამულო ომი და ქვეყანა წყლულებს იშუშებდა, როცა სომეხმა ხალხმა მაშინდელი პირობების კვალობაზე სანაქებო ზეიმით აღნიშნა საიათნოვას დაბადების 150-ე წლისთავის იუბილე. სტუმრები ცოტანი იყვნენ. საქართველოს წარმოადგენდნენ პოეტი იოსებ გრიშაშვილი, პროფესორი ლეონ მელიქსეთბეგი და ამ სიტყვის ავტორი. სწორედ საიათნოვას იუბილემ შემახვედრა სომეხთა სახელგანთქმული მგოსანთ მგოსანი.

ჩვენ საკუთარი თვალებით ვნახეთ და მოწმენი გავხდით იმისა, თუ რა სათუთი სიყვარულითა და თაყვანისცემის გრძნობით ეპყრობოდა მას მთელი სომხობა. დავესწარით ერთ სანადიმო თავყრილობას. წვეულების მონაწილე რჩეული საზოგადოება (მწერლები, მეცნიერები, მუსიკოსები, მხატვრები, მოქანდაკენი, მსახიობნი, ხუროთმოძღვარნი), ყველა ნამდვილი კეთილმორწმუნე ადამიანის სასოებით, თავდახრილი უკოცნიდა პოეტს მარჯვენას. მასპინძლებს არც ჩვენ ჩამოვრჩით. ჩვენმა ამბორმა კი წამიერად თითქო შეაკრთო მგოსანთ მთავარი, მაგრამ ანაზდეულად მან თავისკენ მიგვიზიდა, ორივეს მკლავი მოგვხვია და შუბლი დაგვიკოცნა. მე ასე მომეჩვენა — ორი მოძმე ხალხი სიყვარულში გაუტყდა ერთიმეორეს და ნებსით თუ უნებლიეთ გამჟღავნებული ეს სიყვარული მხურვალე კოცნით დააგვირგვინა.

უფაქიზესი სულის პატრონი სომეხთა დიდი პოეტი-მოაზროვნე იყო ჩინებული პოეტი-მოქალაქე, პოეტი-მამულიშვილი, რომლის ნატიფი შემოქმედება მხურვალე პატრიოტული სულისკვეთებით არის გამსჭვალული. ავეტიქ ისააკიანს გულს უსერავდა და სულს უმწარებდა სომეხი ხალხის ეროვნული და სოციალური წყლულის მძიმე

სატკივარი. კაიკაცობისა და კაიპოეტობისათვის უღვთოდ დევნილი, უცხოეთში გადაიხვეწა. ყარიბი და მიუსაფარი უკიდეგანო ტანჯვით იტანდა სამშობლოს სევდის მოწოლილ ზაფრას.

აი, ასეთ კაცს და ასეთ პოეტს შეეძლო ნამდვილად ეგრძნო მისი ქვეყნისებრ მონობაში მყოფი სხვა ქვეყნის სიდუხჭირის საშინელება. ეროვნული და ინტერნაციონალური მომხიბლავი ბუნებრიობითა და უშუალობით არის შერწყმული ავეტიქ ისააკიანის ბრწყინვალე პოეზიაში. ამ პოეზიას ასხივოსნებს ხალხთა ძმობა-მეგობრობის დიდი რწმენა.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, ის არის სასიხარულო, რომ ავეტიქ ისააკიანი გულის კარნახით ქადაგებდა სომეხთა და ქართველთა ძმობის იდეას. ოვანეს თუმანიანის მსგავსად იგიც მრავალგზის იმეორებდა, რომ ქართველებსა და სომხებს კარის-კარ უცხოვრიათ ასეული წლების მანძილზე. ერთად უბრძოლიათ მოზღვავებული მტრების წინააღმდეგ, ერთად უტარებიათ ბარბაროსი აგრესორების კირთების ტვირთი და ერთადვე უგემებიათ გამარჯვების საამო სიტკბოც. დიდი სომეხი პოეტი არ ივიწყებდა, რომ „გაჭირვების ჟამს ქართველი ხალხი ძმურ დახმარებას უწევდა სომხებს. მოძალებულ მტრებს გამოქცეული ლტოლვილი სომეხი მშრომელები თავშესაფარს პოულობდნენ საქართველოში“.

ჩვენ ვერ დავივიწყებთ, რომ ყარიბობიდან დაბრუნებული და საქართველოს გზით შინ მიმავალი პოეტის მდიდარმა შთაბეჭდილებამ შეაპირობა მისი ერთი შესანიშნავი პოეტური ნაწარმოების „ქართველი მგოსნის სიმღერის“ შექმნა. ამ მგზავრობის დროს ნახულითა და მოსმენილით მონუსხული პოეტის წარმოდგენებში გაცოცხლებულან გმირული სახეები შოთა რუსთველისა და ალექსანდრე ყაზბეგისა. მას გახსენებია „არწივისებური ყივილი ვაჟა-ფშაველასი“ და ბარათაშვილის ფაფარაშლილი მერნის ჭიხვინი.

ავეტიქ ისააკიანს დიდ სიხარულს ჰგვრიდა მისი „აბუ-ლ-ალა-მაარის“ ამეტყველება შოთას ენაზე. თვითონ ეს უბადლო შედევრთშედევრიც ხომ მისი უფროსი ქართველი პოეტი-მოძმის, ნიკოლოზ ბარათაშვილის შთაგონებამ დააწერინა. თბილი სიტყვებით იგონებდა ისააკიანი აკაკი წერეთლის სახელს. ფრიად შთამბეჭდავი, ღრმაშინაარსიანი მგზნებარე სიტყვით გამოვიდა იგი ვეფხისტყაოსნის 750-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ფორუმზე 1937 წლის დეკემბერში (ამ სიტყვის ტექსტი გამოაქვეყნა მოსკოვის პრესამ). ავეტიქ ისააკიანმა

ქართული პოეტური კულტურის ბევრი ჩინებული ძეგლი გადათარგმნა სომხურ ენაზე. ქართველობაც არ რჩება ვალში. ჩვენი ხალხი ღირსეულად აფასებს ისააკიანის მშვენიერ პოეზიას. კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ რიგმა ჩვენმა სახელოვანმა საბჭოთა პოეტებმა ისააკიანის საკადრისი ძალით ააჟღერეს ქართულ ენაზე მისი ლექსები.

ავეტიქ ისააკიანმა ზეაღმატებულად გამოხატა მისი მშობელი ხალხის წმინდა გულისთქმა და მსოფლიო პოეზიის საგანძურს საკუთარი წვლილი შემატა. მადლიერი კაცობრიობა ვერ დაივიწყებს მის დიდებულ პოეტურ სიტყვას და საქმეს.

1975

შინაარსი

ავტორისაგან 3
ჩემი სოფელი 4
გიმნაზიაში 9
სტუდენტობის წლები 17
დაოჯახება 26
პირველი ნაბიჯები 32
უკრაინაში—გურამიშვილის ნაკვალევზე 57
მშობლიური, ტკბილი... 83
სამშობლო ომის წლებიდან 89
მოგზაურის ჩანაწერებიდან 95
მიქმათის ვიზიტის გამო თბილისში 114
ახუხდენელი ოცნება 116
საახალწლო 118
პირველი სექტემბერი 119
ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიების მუშაობის შესახებ 121
ვეფხისტყაოსნის ერთი რუსული თარგმანის ისტორიიდან 143
„დავითიანის“ უკრაინულად და რუსულად თარგმნის ისტორიიდან 150
კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიიდან 153
ბაქოს სამეცნიერო სესია 163
სიმპოზიუმი პუშკინის სახლში 166
ქართული მწერლობის სათავეების თაობაზე 169
ქართული მწერლობის კათედრის ისტორიიდან 172
დიალოგი 174
ქართული მწერლობის საკვლევაძიებო ცენტრი 182
ახმეტაში 189
მცირე მოგონება დიდ მეცნიერზე (ივანე ჯავახიშვილი) 192
ექვთიმე თაყაიშვილი 211
მოსე ჯანაშვილი 225
კორნელი კეკელიძე 230
აკაკი შანიძე 237
გიორგი ახვლედიანი 247
იუსტინე აბულაძე 251
გუკოლ ბერიძე 265

პაულე ინგოროყვა 270
სიმონ ხუნდაძე 275
იოსებ გრიშაშვილი 278
გიორგი ლეონიძის გარდაცვალება 298
გუდიაშვილის „გურამიშვილი“ 304
სახელოვანი აფხაზი პოეტი 306
მოსე გოგიბერიძე 309
გიორგი ჯაკობია 312
ვარლამ თოფურია 314
დიმიტრი შევარდნაძე 320
ლევან ასათიანის ხსოვნას 312
ბორის გაპონოვის გახსენება 323
ჩვენი პრეზიდენტი (ნიკოლოზ მუსხელიშვილი) 331
მწერლობის დიდი მეგობარი (ილია ვეკუა) 333
სიყრმის მეგობარი (ბესარიონ ჟღენტი) 334
ჟღენე მეტრეველი 340
ალრომირ იედლიჩკა 344
დევიდ ლანგის ვიზიტი 347
ლაიოშ ტარდი 351
ოვანეს თუმანიანის გახსენება ატლანტის ოკეანეში 354
ზარპეტი 356

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფ.
ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი შ. ო ნ ი ა ნ ი

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

სბ 1779

გამომცემლობის რედაქტორი ე. კ ო დ უ ა
მხატვარი გ. ლ ო მ ი ძ ე
ტექრედაქტორი ნ. ო კ უ ჯ ა ვ ა
კორექტორი ე. ჩ ი ხ ლ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 8.2.1982; ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.4.1983;
ქაღალდის ზომა $60\times90^{1}/_{16}$; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 22,8;
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 18.6;

უე 01044; ტირაჟი 6000; შეკვეთა № 1871;
ფასი 3 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19